8 ეს
ეკ-80

მოამბე

თვიური ჟურნალი

წელიწადი პირველი

№ IX

I. 102.

სექტემბერი, 1894

ტფილისი
სტამბა ალ. ბაბალიანისა ალ. ალ. ბ. ... ...
1894

ქ-80

მოამგე

თვიური ჟურნალი

წელიწადი პირველი

№ IX

სექტემბერი, 1894

ტფილისი

[illegible]

1894

[illegible]

Дозволено Цензурою. Тифлисъ, 17 Сентября 1894 года.

შინაარსი

ბეჭ.

I ქარმელა.—მოთხრობა ედმონდ დე ამიჩისისა, თარგმანი გრ. ყიფშიძისა 1

II მსხვერპლი.—მოთხრობა დგ. ელდიანშვილისა . . . 33

III ნადირა.—მოთხრობა ჟანნა დიოლაფუასი, თარგმანი სალომანაგელისა 77

IV საოცარი სიზმარი.—რომანი ე. ბელლამისა, თარგმანი დ. გიორგობიანისა (დასასრული) 103

V ნუგეში მგოსნისა.— ლექსი გაჟა-ფშაველისა 138

VI აივენგო . — რომანი ჯალტერ სკოტტისა, თარგმანი (გაგრძელება) 140

VII ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში.—ბოდ ბურჟე.—წერილი კ. ანასშიძისა (დასასრული). . 1

VIII ღვინის დაყენება.—VII ღვინის სხვა-და-სხვა გვარად დაზიანება და დასნეულება; მისი მოვლა და მოკეთება.—პროფესორი ვ. შეტრაასშვილისა (გაგრძელება) . 33

IX ემილ ლევიეს მოგზაურობა კავკასიაში.—შესიშვნები და შთაბეჭდილებანი.—თარგმანი ვ. ბ—ძისა. . . . 79

X ინდოეთი.—ე. ლაბანსკის თხზულებიდან 95

ქრონიკა:

XI ზინაური მიმოხილვა.—აზნაურობას რა უფველის? აზნაურობის სიმრავლე ჩვენში.—მისი მიზეზი, მისი ავი და კარგი.—მაზანდა.—ლორდებს რამ გააძლებინა.—მართლა უიმედოა, ვითომ, ჩვენი აზნაურობის მდგომარეობა?—მისი ნამდვილი სიმდიდრე.—რამდენი გზა და ღონის-ძიება აქვს შველისა?—ერთი ახალი დაწესებულება, მისთვის გამოსადეგი.—გვარში ურთიერთის შველის გამართვა.—რა დედა-აზრი უნდა ედვას აზნაურობის მეცადინეობას?—წოდებათა აშლა და შეტაკება.—„მოდის“ კუდები.—ნამდვილი წყლული.—ნ. ნაკოლაძისა. 109

XII უცხოეთის მიმოხილვა. — იაპონის ბრძოლა ჩინეთთან. ნ. ნაკოლაძისა 127

პარმელა

მოთხრობა

ედმონდ დე-ამიჩისისა

I

ის, რაც უნდა გიამბოთ, მოხდა ერთს პატარა კუნძულზედ სიცილიის მახლობლად. იმ კუნძულზედ სულ ერთად-ერთი ქალაქი იყო და ცხოვრობდა შიგ ორი ათასამდე მკვიდრი. ამათ გარდა იმ დროს, რა დროსაც ჩემი ამბავი შეეხება, კუნძულზედ იყვნენ ორას-სამასამდე გამოგზავნილნი და ექსორია-ქმნილნი. გამოგზავნილთათვის იდგა აქ, ერთის აფიცრის მოთავეობით, ორმოციოდე ჯარის-კაცის რაზმი, რომელიც ყოველ სამს თვეში ერთხელ იცვლებოდა თავისი აფიცრითურთ. ჯარის-კაცნი დიდს სიამოვნებაში იყვნენ; ყაზარმებსა და საპატიმროებში დარაჯობდნენ პატარა-პატარა ხანსა, მწყობრად დადიოდნენ მინდვრად და ათასში ერთხელ სწავლა ჰქონდათ. ეს იყო და ეს. ამას გარდა სხვა არავითარი საქმე არა ჰქონდათ, ხოლო ღვინო სულ იაფად იყიდებოდა და ძალიან კარგიც იყო. აფიცერზედ აღარას ვამბობ: ის სულ თავისუფალი იყო და თამამად შეეძლო ეთქვა, რომ „მე ვარ უფროსი, სპასპეტი და სპასალარი მთელის ამ ქვეყნის ჯარისა და მხედრობისაო“. აფიცრისაგვე ხელ-ქვეითები იყვნენ ორად-ორი ჟანდარმიცა; აფიცერს მშვენიერი, სახელმწიფო სახლი ჰქონდა მიჩენილი ქალაქის შიგ შუა-გულ ადგი-

ლას, დილით სანადიროდ დადიოდა მთებში, სადილთ უკან დროს ატარებდა თავის კაბინეტში იმ ქვეყნის უმთავრეს წარმომადგენელთა შორის, ხოლო საღამოთი ზღვაზე სეირნობდა ნავით და შეექცეოდა მშვენიერს სიგარებს; იცვამდა ისე, როგორც მოსწონდა და ესიამოვნებოდა. არც უფროსი მისთვის, არც უსიამოვნება. იყო თავისთვის ყოვლად დამშვიდებული და კმაყოფილი. თუ აწუხებდა რამ, ის აწუხებდა მხოლოდ, ვაი რომ ეს ნეტარება სამს თვეზედ მეტს ვერ გასტანსო.

პატარა ქალაქი ზღვის პირად მდებარეობს და აქვს პატარა ნავთ-სადგური. იმ დროს, რა დროსაც მე მოგახსენებ, ამ ნავთ-სადგურში შემოკურდებოდა ხოლმე ორ კვირეში ერთხელ საფოსტო გემი, რომელიც ტუნისსა და ტრიპოლისს შორის დადიოდა. სხვა ხომალდები იშვიათადა ჩერდებოდნენ აქ, ისე იშვიათადა, რომ გამოჩნდებოდა თუ არა ამ ქალაქისკენ მომავალი, მაშინვე ასტყდებოდა ზარების რეკვა და მკვიდრნი საჩქაროზედ მირბოდნენ ზღვის ნაპირისაკენ, თითქო დღეობაა და სეირ უნდა უცქირონო.

სასიამოვნო სანახაი იყო ეს პატარა ქალაქი, მხიარული, კოხტა და ქესკუმი; კარგი იყო მეტადრე უმთავრესი მოედანი შიგ შუა-გულ ქალაქში; როგორც ყველა დაბებში, აქაც ეს მოედანი ისევ იყო, რაც ეზოა დიდს ქალაქებში სახლის მდგმურებისათვის. მოედნის ახლო მისდევდა უმთავრესი ქუჩა, სწორე, ვიწრო და ისეთი მოკლე, რომ, საცა იწყებოდა, თითქმის იქვე თავდებოდა. ყველა დუქნები და საზოგადო დაწესებულებანი ამ მოედანზე იყო მოთავსებული. აქვე იყო ორი ყავახანა; ერთში დადიოდა სინდიკი და სხვა წარმომადგენელნი მთავრობისა, ხოლო მეორე მდაბიო ხალხის დროს-გასატარებელი ადგილი იყო. ის სახლი, საცა რაზმის უფროსი იდგა, მოედნის იმ მხარეზედ იყო, რომელიც ზღვისკენ იცქირებოდა, ხოლო რაკი იქაური ადგილ-მდებარეობა ზღვისკენ იყო დაქანებული, აფიცერს ადვილად შეეძლო თავისი სახლის ფანჯრებიდან (სულ ორი ფანჯარა ჰქონდა) მზერა ნავთ-სადგურისა, ზღვის სანაპიროებისა, თვით ზღვისა და სიცილიის შორეულ მთა-გრეხილებისა.

პატარა კუნძულზედ თითქმის სულ ცეცხლ-მფრქვეველი გორები იყო და დიდი, ხშირი ნაძვნარი და ფიჭვნარი ტყეები.

ამ სამის წლის წინად, ერთს მშვენიერს აპრილის დილას, მოცურდა და გაჩერდა ნავთ-სადგურში საფოსტო გემი, რომელიც ტუნისისაკენ მიდიოდა: გამოჩნდა თუ არა გემი ზღვაზე, ატყდა ზარის რეკვა და გუგუნი და მთლად მკვიდრნიც, მათ შორის უფროსი რაზმისა, ჯარის-კაცნი, კომენდანტი პორტისა, მოეფინენ ზღვის სანაპიროებს. ორი დიდი ნავი მოცურდა გემთან და გადმოიყვანა ხმელეთზედ ჯარის-კაცნი და ერთი აფიფერი, თეთრ-ყირმიზი, ქერა-თმიანი ყმაწვილი კაცი. ახალგაზდა აფიცერმა ხელი ჩამოართვა თავის წინა-მოადგილეს, ადგილობრივ მთავრობის წარმომადგენელთა თავაზიანს სალამზე თავაზიანადვე სალამი მისცა და თავისი რაზმით გაემართა ცნობის-მოყვარეთა მიერ ორის მხრივ გარემოცული დაბისაკენ. ჯარის-კაცთაც თავ-თავისი ბინა მიუჩინა და თავათ მაშინვე ისევ იმათკენ გამობრუნდა, რომელნიც მოედანზე უცდიდნენ; სინდიკმა გააცნო ყველანი სათითაოდ, თითქო ხუმრობითაც, თითქო არც ხუმრობით, შინაურულად, მეგობრობით, გარნა თან ისეთის სახით, ვითომ-და დიდსა და მძიმე მოვალეობას ვასრულებო. ეს ცერემონია რომ გათავდა და ყველანი აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდნენ, მარტოდ დარჩენილმა აფიცერმა სთხოვა თავისს წინა-მოადგილეს, მაჩვენეთ, რომელია ჩემი სახლიო. სახელმწიფო სახლში მსახური ჯარის-კაცი უკვე ალაგებდა წინა-მოადგილის ბარგ-ბარხანასა, ხოლო ახალის მსახური შველოდა თავის ამხანაგს, რომ ახლა ამას გაეხსნა ბარგი თავისი ბატონისა. ერთს საათს უკან ყოველივე მზად იყო.

მიმავალი რაზმი იმ ღამესვე გაემართა ზღვით საღამოს რვა საათზედ. ნავთ-სადგურამდე ახალმა რაზმმა მიაცილა. ჩვენი აფიცერი გამოეთხოვა წამსვლელსა, დაბრუნდა შინ და მაშინვე დაწვა დასაძინებლად. მგზავრობისაგანა და ფაცა-ფუცისაგან დაღლილს ძალიან ეძინებოდა და, მართლაც, ერთს წუთს შემდეგ აფიცერმა ტკბილს ძილს მისცა თავი.

II

მეორე დილას, ამოჰყო თუ არა მზემ თავი, ლეიტენანტი გამოვიდა თავის სახლიდან, მაგრამ ჯერ ათი ნაბიჯიც არ გადაედგა მოედანზედ, რომ ვიღაცა სწვდა კალთებში და ოდნავ ეწევოდა. მოიხედა და დაინახა მახლობლად მაღალი, ტანადი ყმაწვილი ქალი უხეიროდ ჩაცმული, თმა-გაბურძგნული, რომელიც ისე იდგა გამოჭიმული, თითქო ჯარის-კაცია და სამხედროს აძლევს სალამსაო. ახალგაზდა ქალი დაშტერებით უყურებდა თავისი დიდრონის სიცოცხლით სავსე შავის თვალებით და იღიმებოდა.

— რა გნებავთ?—ჰკითხა ლეიტენანტმა და ცნობის-მოყვარეობით და გაკვირვებით დაუწყო ცქერა.

ყმაწვილმა ქალმა არა უპასუხა-რა, კვლავ იღიმებოდა და ხელი შუბლთან ეჭირა, როგორც სამხედროებმა იციან.

ყმაწვილმა კაცმა მხრები აიწია და გაუდგა თავისს გზას, მაგრამ ათის ნაბიჯის შემდეგ კვლავ იგრძნო, რომ სერთუკზედ ვიღაც მეჭიდებაო, და მოტრიალდა. კვლავ ის ქალი იდგა ჯარის-კაცივით გამოჭიმული. ლეიტენანტმა დაინახა ვიღაც მიმავალი კაცი, რომელიც უყურებდა ამ სცენას და იცინოდა.

— რა გნებავთ?—კვლავ ჰკითხა აფიცერმა.

უცნობმა ქალმა ხელი გაუწოდა და ღიმილით უთხრა:

— შენ მინდიხარ!

— ჰო,—გაიელო გულში აფიცერმა,—ახლა კი მეყურება, ეტყობა ტუტუცია.

ამოიღო ჯიბიდან რამდენიმე სოლიდი, მიაწოდა ქალს და უნდოდა წასულიყო. ქალმა გულში მიიხუტა იმისი ხელი, თითქო იდაყვის გაშვერით უნდა უარ-ჰყოს მოწოდებული ფულიო და ერთიც კიდევ სთქვა:

— შენ მინდიხარ!

მერე დაიწყო ფეხების ბაკუნი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიბურძგნა თმა უარესად და გაბმით ყრუდ მოჰყვა ჩივილს,

ბუტბუტს, როგორც სჩადიან ხოლმე პატარა ყმაწვილები, როცა უნდათ აფიქრებინონ დიდებს, რომ ვტირითო. გარშემო ყველანი იცინოდნენ. აფიცერმა შეხედა ხალხს, მერე ქალს დააცქერდა და განაგრძო თავისი გზა. გაიარა თითქმის მთლად მოედანი, რომ უცებ, მივიდა თუ არა იმ ქუჩამდე, რომელიც ნავთ-სადგურისკენ მიდიოდა, იგრძნო, რომ ვიღაც მოსდევს უკან ფეხ-აკრებით, სუბუქად და სწრაფად. ყურში ჩაესმა უცნაურის კილოთი და ნელის ხმით თქმული:

— ჩემო საუნჯეე!

აფიცერს სულ ერუანტელმა დაუარა. აღარ მოიხედა უკან და განაგრძო გზა. კვლავ მოესმა იგივე ხმა:

— ჩემო საუნჯეე!

— არ გეყურებათ, თუ რა არის!—გაჯავრებით შეჰყვირა აფიცერმა, უცბად მოტრიალებულმა ახალგაზდა ქალისაკენ, რომელმაც დარცხვენით უკან დაიწია:—რას ჩამაცივდით, დამანებეთ თავი! ჭირია სწორედ. გამეცალეთ-მეთქი, გესმით თუ არა?

ყმაწვილს ქალს ჩრდილმა გადაჰკრა სახეზედ; მერე გაიღიმა, წინ გადასდგა ნაბიჯი და, გაუწოდა რა ხელი, თითქო უნდა მიესაყვარლოს, მიუალერსოს ყმაწვილს კაცსაო, რომელიც საჩქაროდ გაეცალა, ჩურჩულით უთხრა:

— ნუ ჯავრობ, აფიცერო!

— გამეცალე-მეთქი, გეუბნები!

— შენ ჩემი საუნჯე ხარ!

— მომშორდი თავიდან, თორემ ეხლავ ჯარის-კაცებს დავუძახებ და ვუბრძანებ, ციხეში დაგამწყვდიონ.

აფიცერმა ხელი გაიწოდა ჯარის-კაცებისკენ, რომელნიც იქვე ახლოსა სჩანდნენ კუთხეში. ქალი ნელ-ნელა მოშორდა აფიცერს, თუმცა თვალს კი არ აშორებდა მაინც, ხანდახან გაიწვდიდა წინ ნიკაპს და ტუჩების ცმაცუნით ჩურჩულებდა:

— ჩემო საუნჯე!

— აფსუსი არ არის!—ფიქრობდა ამასობაში ყმაწვილი კაცი და მიდიოდა ნავთ-სადგურისკენ:—კარგი რამ არის ძალიან.

მართლაც რომ კარგი რამ იყო. სწორედ კალმით ნახატსა ჰგვანდა. საკვირველი ნიმუში იყო სიცილიის თავ-მომწონე, გაბედულის სილამაზისა, იმ სილამაზისა, რომელიც იმდენად თავს არ გაყვარებთ,რამდენადაც უფრო თქვენგანა თხოულობს სიყვარულს. თმა და თვალები მაყვალივით შავი ჰქონდა, შუბლი დიდი, დაფიქრებული, რხევა წარბთა და ბაგეთა სიცოცხლით სავსე; ხმა, თითქო ოდნავ დაჰღლიაო, ხრინწიანი, სიცილი თავ-შეკავებული, პირ-შეგუბებული. როცა სიცილს შესწყვეტდა ხოლმე, იდგა ერთს ხანს თვალებ-დაჭყეტილი და ოდნავ ბაგე-განპობილი.

III

— რატომ კარ-დაკეტილ სახლში არა ჰყავთ ეგ ქალი?— ჰკითხა იმავე საღამოს ლეიტენანტმა კუნძულელს მკურნალს, როცა შევიდა იმასთან ერთად ყავახანაში და ის-იყო უამბო თავისი დილანდელი თავ-გადასავალი.

— სად გინდათ მერე, რომ ჰყავდეთ კარ-დაკეტილში?— უპასუხა მკურნალმა:—წელიწადზედ მეტს ხანს იყო სიცილიის სამკურნალოში; ქალაქის გამგეობასა ჰყავდა იქ თავისი ხარჯით; მაგრამ მერე, რაკი ნახეს, რომ ტყუილი დაკარგვა იყო ფულისა და დროსი, დაითხოვეს სახლში. თითქმის არავითარი იმედი არ არის მაგის მორჩენისა; იქაურმა მკურნალებმა სთქვეს ეს პირველად. აქ თავისუფლად მაინც არის ეგ საცოდავი, თავისუფალია მინდვრის ნიავივით და, სწორედ მოგახსენო, ნებაც უნდა მიეცეს ასე თავისუფლად ყოფნისა, იმიტომ რომ სამხედროთა მეტს თითქმის არავის თავს არ აბეზრებს.

ლეიტენანტმა მოინდომა შეეტყო, რა არის მიზეზი, რომ სწორედ მარტო სამხედროებს აბეზრებს თავსაო.

— ეჰ, ვინ იცის, ცოტა არ იყოს სიბნელით არის ეგ საქმე მოცული. ყველა თავისებურად ხსნის, მეტადრე მდაბიო ხალხი, რომელიც არა სჯერდება ხოლმე მარტივს ჭეშმარიტებას, თუ არ შეაფერადა, არ ააჭრელ-ააყვავილა და თავისიც არა მიუმატა-რა. უფრო ჭკუაზედ ახლო უნდა იყოს მაგ საქ-

მის შესახებ შემდეგი ამბავი. ამ სამის წლის წინად შეუყვარდა ეგ ყმაწვილი ქალი ერთს აფიცერს, რომელიც, როგორც ეხლა თქვენ, უფროსობდა აქ მდგომს მეციხოვნეთა რაზმს; ძალიან ლამაზი ყმაწვილი კაცი იყო, ჩინებულად უკრავდა გიტარას და ისე მღეროდა, როგორც ანგელოზი. ეგ ქალიც მაშინ, მაშინ კი არა დღესაც, პირველი იყო სილამაზით აქაურობაში...

— მართლაცა-და ძალიან ლამაზი რამ არის!—ჩამოართვა სიტყვა აფიცერმა.

— ყმაწვილს ქალსაც, აბა, რასაკვირველია, შეუყვარდა ჯერ იმიტომ, რომ მშვენიერი ხმა ჰქონდა და თვალ-საჩინო სამსახური,—სპასპეტი და სპასალარი იყო მთელის კუნძულის ჯარისა და მხედრობისა; უფრო კი იმიტომ, რომ საკვირველის სილამაზის პატრონი იყო. შეუყვარდა და მერე როგორ შეუყვარდა! ისეთის აღგზნებულის სიყვარულით შეუყვარდა, რომ იმასთან შედარებით თვით მდულარე ნაცარ-ტუტაც კი არა-რა იყო: საშინელი ეჭვი, გადარეული სიშმაგე, ერთის სიტყვით, ნამდვილი დრამა იყო! ნათესაობაში ერთის საცოდავის დედის მეტი აღარავინა ჰყვანდა და ისიც ყველაფერში თავისი ქალის აზრისა იყო, ყველაფერში იმის ნებასა და სურვილს ემორჩილებოდა. თქვენ თვითონ განსაჯეთ ახლა, რაოდენად თავისუფალი იქნებოდა... დაიწყეს აქეთ-იქით ჩურჩული და ჭორიანობა; გარნა საქმემა და გარემოებამ დაამტკიცა, რომ ყოველივე ეჭვი უსაფუძვლო იყო და აი ახლა ყველა იმ აზრისაა, რომ ცუდი არა მომხდარა-რა მაშინ... ტცნაური ამბავია, თუ თქვენც იტყვით, არა? უცნაურიცა და დაუჯერებელიცა! თითქმის სულ ერთად იყვნენ განუყრელად. ეს კია, რომ აქედ მხარეს ხშირია მაგისთანა ხასიათების პატრონები. ასე იყო თუ ისე, ნამდვილია მხოლოდ ის, რომ აფიცერმა აღუთქვა, შეგირთავო; ქალმაც დაიჯერა მისი სიტყვა და სრულიად დაჰკარგა მშვიდობა სულისა. იყო ისეთი დროც, როცა ეშინოდათ, ჭკუაზედ არ შეიშალოსო. ადვილადაც შეიძლებოდა ასე მომხდარიყო. ვინ იცის, სადამდე მიიყვანს სიყვარული ამისთანა ხასიათისა და ტემპერამენტის დედა-კაცს! ერთხელ ძლივს წაართვეს ხელიდან ერთი ყმა-

წვილი ქალი, რომელზედაც რაღაც მიზეზის გამო ეჭვი აეღო გამოჯნურებულს ქალს. არც ერთს მანდილოსანს არ შეეძლო მაღლა აეხედნა აფიცრის სახლის წინ გავლის დროს, ან არა-და—გზად შეჰხდომოდა აფიცერს და შეეხედნა მისთვის. მოვიდა ახლა დრო, როცა მეციხოვნეთა რაზმი უნდა გამოცვლილიყო; აფიცერი დაჰპირდა, რომ რამდენისამე თვის შემდეგ დაგბრუნდებიო; ამ დაპირებით წავიდა და მას უკან აღარავის უნახავს ის აქეთ მხარეს. საცოდავი ქალი ავად გახდა. იქნება, რჩენაში რომ შევიდა და ნელ-ნელა ჰკარგავდა ყოველს იმედს, თავისი სიყვარულიც დავიწყებისათვის მიეცა; მაგრამ ჯერ ავადმყოფობას არ გაეელო, რომ შემთხვევით შეიტყო, შენმა საყვარელმა კაცმა სხვა შეირთოვო. ამ მოულოდნელსა და ძლიერს თავ-ზარს კი ვეღარ გაუძლო და ჭკუაზედ შეიშალა. აი ამითი გათავდა სულ ეს ამბავი.

— მერე?

— მერე, როგორც გითხარი, სამკურნალოში გაგზავნეს; შემდეგ დაბრუნდა უკან და აი წელიწადზედ მეტია აქ არის.

ამ დროს შემოვიდა ყავახანაში ჯარის-კაცი და წაიყვანა მკურნალი.

— დანარჩენს ეხლავ გიამბობთ,—დასძინა მან:—ნახვამდინ.

სთქვა ესა და გასწია. ლეიტენანტი წამოდგა და თავი დაუკრა მკურნალს. ამ დროს მისი ხმალი სტოლს მოხვდა და რაკუნი მოიღო. ერთს წუთს შემდეგ მოედნიდან მოესმა ყვირილი:

— თვალი მოვკარ, იმისი ხმა გავიგონე, ის აქ არის.—და იმ საათსავე ჭკუა-შეშლილი კარებში კი აიტუზა.

— გამაცალეთ აქედან!—უნებურად შესძახა ყმაწვილმა კაცმა და ისე წამოხტა, თითქო დაჭიმულმა მავთულის გრეხილმა წამოახტუნაო.

ყმაწვილი ქალი გაიყვანეს. ცხადად ისმოდა მაინც იმისი ლაპარაკი:

— იმის სახლში წავალ და იქ ვუყარაულებ, წავალ იმასთან და იქ დავუწყებ ლოდინს ჩემს ლეიტენანტს.

IV

კარმელას დედა ცხოვრობდა ერთს პატარა ქოხში ქალაქის განაპირად, საცა იდგნენ ორიოდ-სამიოდე მეკომურნიცა, და ვაი-ვაგლახით ირჩენდა თავს საკერავითა. პირველში, როცა ქალი ავად გაუხდა, შეძლებულები მცირეოდენს შემწეობას აძლევდნენ; შემდეგ კი მალე მიანებეს თავი. ქველ-მომქმედებსა და მის კეთილის-მყოფელთ მოჰბეზრდათ ფულის ძლევა. მაინც არა გამოდის-რა და რიღასთვის ვიხადოთ ფულია: ქალი სახლში არა დგება, არცა სვამს, არცა სჭამს შინა და ტანისამოსს არ იყენებს ტანზედაო.

კარმელა თითქმის მთელს დღეს მთა-მთა დაყიალობდა ყრუსა და უხვედრს ადგილებში, ელაპარაკებოდა თავისს თავს ხელების შლითა და ერთის ამბითა, იცინოდა და ხარხარებდა. ხშირად შეხვდებოდნენ ხოლმე ყარაბინერები კარმელას ასეთს უადგილო-ადგილას, უცქეროდნენ შორიდან და ხედავდნენ, რომ ქალი ხან რაღაც ყორეებს აშენებს კოშკებივით, ხან ზის უძრავად და გაიყურება ზღვისაკენ, ან არა-და—წევს და სძინავს დედა-მიწაზედ. თუ თვითონაც მოჰკრავდა თვალს, დაუწყებდა ყურებას და არც ხმას გასცემდა, არც გაინძრეოდა, არც გაიღიმებდა. ხანდახან, როცა შეამჩნევდა, რომ ახლა კი კარგა შორს არიანო, გაიწოდებდა ხელებს და ისე იქცეოდა, ვითომ თოფს ვესვრიო, ხუმრობით კი არა, ნამდვილად, მართლაო. ასევე ექცეოდა კარმელა მეციხოვნე ჯარის-კაცებსაც; არავის არ უნახავს არას დროს, რომ იმათ ახლო მისულიყო, დაჰლაპარაკებოდა და ან შეეცინა მათთვის. ისე გაუვლიდა გვერდზე, რომ ხმას არ გასცემდა, რაც უნდა ხუმრობა და მასხარაობა დაეწყოთ, ზედ არავის შეხედავდა, თავსაც კი მიიბრუნებდა. ვერავის შეეძლო გაებედნა და ახლო მიჰკარებოდა, ან კალთა ჩამოეწია კაბისა. ამბობდნენ, ისეთის სილების გაწვნა იცის, რომ სულ სახეს აუწვავს ადამიანსაო.

საცა უნდა ყოფილიყო, განგაშის ხმას გაიგონებდა თუ არა, მაშინვე იქ გაჩნდებოდა. ვთქვათ, ჯარის-კაცნი ზღვისკენ

გაემართნენ, კარმელაც მისდევს იმათ უკან. ვიდრე სერჟანტი ავარჯიშებდა ჯარს და აფიცერი თვალ-ყურს ადევნებდა ამ ვარჯიშობას, კარმელა იდგა მოშორებით და დიდის გულ-დასმობით ჰბაძავდა ჯარის-კაცთა მოძრაობას. ის თითქო ჩურჩულებსო, ისე იმეორგბდა სერჟანტის ამა თუ იმ ბრძანებას, ეჭირა ჯოხი და ისე ატრიალებდა, როგორც ჯარის-კაცნი თავიანთ თოფებს. მერე უცბად მოისვრიდა ჯოხს და ევლებოდა გარს აფიცერს, ალერსიანად შესცქეროდა თვალებში, ულიმოდა და სხვა-და-სხვა ნაზის სახელით იხსენიებდა; თან პირზედ ხელს იფარებდა, ჯარის-კაცებმა არ გაიგონონო.

როცა დაბრუნდებოდა ქალაქში, სულ მოედანზედ იდგა აფიცრის სახლის ფანჯრებ-წინ; გარს ეხვიენენ ამ დროს მრავლად პატარა ბიჭები, რომელთაც აცინებდა და ართობდა თავის მასხარაობითა და სასაცილო ოინებით. რაც უნდა მოექმედნა ახლა, დიდები ყურადღებას აღარ აქცევდნენ; მარტო პატარა გოგო-ბიჭები-ღა ეხვეოდნენ გარშემო.

ხანდახან ეკლესიაშიაც შევიდოდა, დაიჩოქებდა, დაიკრებდა გულ-ხელს სხვა მლოცავებივით და რაღასაც ბუტბუტებდა. პატარა ხანს უკან უკვე იცინოდა, დაიწყებდა პრანჭვა-გრეხას და ისეთს სამასხარო, ტაძრის შემაგინებელ ოინებს მოჰყვებოდა, რომ მნათე იძულებული იყო ხელი მოეკიდნა და გარედ გამოეყვანა ხოლმე.

ხმა მშვენიერი ჰქონდა და წინად კარგადაცა მღეროდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გონება შეერყა, რაღაც გაურკვეველს, ერთ-კილოიანს ხმას დაჰღიღინებდა, როცა ან თავისი სახლის და ან აფიცრის კარებ-წინ იჯდა.

გარნა ათასში ერთხელ იმასაც შემოაწვებოდა ხოლმე რაღაც ღარდი და მწუხარება; მაშინ ხმას აღარავისა სცემდა და აღარც იცინოდა; ბავშვებსაც კი აღარ ემასხარავებოდა. მოიკუნტებოდა, თითქო ძაღლიაო, კარებ-წინ,მოიბუდნიდა თავ-პირს კაბის ასაფარებელით, ან თავსახვევით და აღარ გაინძრეოდა, ხმას აღარ ამოიღებდა, რაც უნდა ხმაურობა მდგარიყო გარშემო, ათასიც რომ ეძახნათ მისთვის. თუნდა მშობელი დედაცა

ყოფილიყო. ეს კია, რომ ასეთი ამბავი იშვიათად დაემართებოდა ხოლმე; მომეტებულ ნაწილად უფრო მხიარულად იყო.

როგორც უკვე ვთქვით, ჯარის-კაცთ არავითარს ყურადღებას არ აქცევდა და მხოლოდ აფიცრებისთვის ზოგავდა თავისს ალერსს, თავისს გრძნობას სიყვარულისას. მაგრამ აქაც არჩევანში შედიოდა და ყველა აფიცერს ერთნაირად არ ესაყვარლებოდა. მას უკან, რაც კარმელა სამკურნალოდან გამოვიდა, პატარა ქალაქის რაზმი ბარე შვიდჯერა და რვაჯერ გამოიცვალა; აფიცრებიც სხვა-და-სხვა ჰასაკისა და ხასიათისანი იყვნენ ხოლმე. კარმელას ის ემჩნეოდა მხოლოდ, რომ უპირატესობას აძლევდა უფრო ახალგაზდებს და კარგად არჩევდა ლამაზებს ულამაზოთაგან, თუმცა კი ყველაზედ იმას ამბობდა განურჩევლად, რომ „ჩემი საუნჯეაო“. ზოგს მოუვიდოდა ხოლმე ფიქრად, მოდი თავს ისე მოვაჩვენებ, ვითომ მიყვარსო, იქნება ამან იმოქმედოს და განიკურნოსო; მაგრამ ამ საქმეს ისინი სუბუქად იჭერდნენ, ორ-სამ დღეს შემდეგ მობეზრდებოდათ ხოლმე ასეთი ცდა და მიანებებდნენ ხოლმე თავს. ზოგნი კი, რომელნიც მატერიალისტობას მისდევდნენ, ამას ამბობდნენ: „რა საჭიროა განა, რომ მშვენიერ გასათხოვარ ქალს უთუოდ ჭკუა-გონება ჰქონდესო“? და ცდილობდნენ დაერწმუნებინათ კარმელა, რომ სიყვარულისათვის გონება სრულიად მეტი ბარგიაო. საოცარი ის არის, რომ ამისთანებს კარმელა დიდსა და მედგარს წინააღმდეგობას გაუწევდა ხოლმე სრულიად მოულოდნელად. შეატყობდა თუ არა, რომ აფიცერი აღარა ხუმრობსო, გაუსხლტებოდა ხელიდან, დაიკრებდა გულ-ხელს, მოიკუნტებოდა და დაიწყებდა სიცილს, სწორედ ისე, როგორც ბავშვებმა იციან, როცა ჰგონებენ, რომ ჩვენი მასხარად აგდება უნდათო. ამ დროს სახე მისი განცხოველდებოდა ხოლმე, თვალები ნაპერწკლებს ისვროდა და ისე საოცრად ჰშვენოდა, რომ გეგონებოდათ, ამას უჭკუობისა არა სჭირს-რაო. ასე იყო თუ ისე, თითო-ოროლა გაბედულნი, რომელნიც კი ასე მოიქცნენ, დარწმუნდნენ, რომ მათი ცდა ამაო იყო და ასეთის ქცევით კარმელასთან სრულიად ვერას გაჰყიდიდნენ.

როცა რაზმი გამოიცვლებოდა და გაუდგებოდა გზას, კარმელა გააცილებდა ნავთ-სადგურამდე, და ვიდრე გემი თვალთაგან მიეფარებოდა, ხელ-სახოცს იქნევდა ჰაერში, არა ტიროდა, მწუხარება არა ეტყობოდა-რა და თავისს სიყვარულს ახლად მოსულს აფიცერზედ დაამყარებდა ხოლმე. კაცს ისე ეგონებოდა. თითქო ახალი სტუმარი უფრო მეტად მოსწონს, ვიდრე სხვებიო.

V

მკურნალი მალე დაბრუნდა ყავახანაში და უამბო ყოველივე ისიცა, რაც ახლა ჩვენა ვთქვით. ყმაწვილი კაცი გამოეთხოვა მკურნალს და გამოთხოვებისას ერთხელ კიდევ სთქვა: „რა სამწუხაროა! მერე აგრე კარგი მაინც არ იყოს“! სთქვა ესა და წამოვიდა სახლში.

კარგა ღამე იყო უკვე გასული; გარშემო ჭაჭანებად აღარავინა სჩანდა, ლეიტენანტის სახლი მოედნის მეორე მხარეზედ იყო; მიდიოდა ნელ-ნელა, თითქო ეზარებაო. „ის ქალი იქ იქნება უთუოდ!“ ფიქრობდა გულში, ჰკიჟავდა თვალებს, იგრძელებდა კისერს, იხედებოდა ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ და უნდოდა გაერჩია, კარებთან ხომ არავინ არისო. ყოველივე ამაო იყო; ძალიან ბნელოდა.

— რომ ვიცოდე, ვინმე საზიზღარი მელის-მეთქი ხანჯალ-ამოღებული,—გაივლო უცებ გულში,—ვგონებ, უფრო ჩქარა წავიდოდი.

ლეიტენანტმა მხნედ გასწია ფეხ-აჩქარებით. კარმელა იქ იყო; აფიცერმა თვალი მოჰკრა, კარების მისავალზედ იჯდა! სიბნელეში ვერ გაარჩია ქალის სახე.

— აქ რას აკეთებ?—ჰკითხა აფიცერმა ქალს, როცა სულ ახლო მივიდა.

ქალმა მაშინვე არ უპასუხა; ძლივს წამოდგა ბოლოს, მიეხუტა გულზედ, ორივ ხელები მხრებზედ დაადო და ისეთის სინაზით უთხრა, ისეთის კილოთი, თითქო სრულს ჭკუაზედ არისო:

— შენ გელოდი და შენს ლოდინში ჩამძინებია.

— რისთვის მელოდი?—ერთხელ კიდევ ჰკითხა ყმაწვილმა კაცმა და მოიშორა მხრებიდან მისი ხელები.

— იმისთვის გელოდი, შენთან მინდა ყოფნა.

აფიცერმა უცბად ამოიღო ჯიბიდან სპიჩკა, გაჰკრა და კარმელას მიუნათა, იქნება სახე გავარჩიო. კარგადაო. დაღლილსა—ყმაწვილი ქალი მთელს დღეს დახეტიალობდა აქეთ-იქით—და ნამძინარევს ჩვეულებრივი ატაცებული იერი და სიცოცხლე აღარ ეტყობოდა; სამაგიეროდ მიჰბნედოდა და სევდიანობით მოჰქანცოდა. ამ დროს კარმელა სწორედ დახატული იყო და ჩასაყლაპავად მოუნდებოდა ადამიანს; ქალი შეშლილსა სრულიად აღარა ჰგვანდა.

— ოხ, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ძვირფასო!—წამოიძახა ყმაწვილმა ქალმა, დაინახა თუ არა სახე ლეიტენანტისა და უნდოდა ნიკაპზედ წაევლო ხელი.

ყმაწვილმა კაცმა კარმელას ხელსა სტაცა ხელი; ქალი დაეკონა ტუჩებით ხელზედ აფიცერს, ჯერ დაუკოცნა და მერე ოდნავ უკბინა, ლეიტენანტი განთავისუფლდა, როგორც იყო, შევარდა სახლში და შეიკეტა კარები.

— ჩემო საუნჯევ!—ერთხელ კიდევ მიატანა კარმელამ, მერე ხმა-ამოუღებლივ ჩამოჯდა კიბეზედ, შემოჰხვია ხელები თავისს მუხლებს და თავი გადიხარა გვერდზედა. კარმელას ჩაეძინა.

ყმაწვილი კაცი, შევიდა თუ არა სახლში, დახედა თავისს ხელის-გულს. ზეც ცხადად ეტყობოდა ნაალაგევი რვა პატრა კბილისა.

— ესეც შენი სიყვარული!—ხმა-მაღლა წარმოსთქვა, მოუკიდა სიგარას და დაიწყო ოთახში ბოლთის ცემა; მერე ჩამოჯდა სკამზედ, აიღო წიგნი, წაიკითხა ორიოდე ფურცელი და კვლავ ბოლთის ცემა დაიწყო. ბოლოს, იფიქრა, ახლა კი დავწვებიო, გაიხადა კიდეც ტანთ და უცებ კი ამ დროს რაღაც აზრმა გაუარა გულში. პატარა ხანს დაფიქრდა, მერე მიირბინა ფანჯარასთან, გაიწოდა კიდეც ხელი და უნდოდა გაეღო, მა-

გრამ უეცრად ისევ უკან დაიწია, გააქნივ-გამოაქნია თავი და დაწვა.

მეორე დილით, ფეხ-აკრეფით შევიდა სახლში მისი მსახური ჯარის-კაცი და ძალიან გაუკვირდა, რომ მის ბატონს არ ეძინა.

— აიქ, ბატონო, ჩვენ კარებთან, ი გიჟი ქალი ზის,— ღრეჭითა სთქვა მსახურმა:—თქვენსას ამბობს, იმას ვუცდიო.

აფიცერი ძალ-დატანებით იღიმებოდა და თან ტანთ იცვამდა. როცა სულ გაათავა ტანისამოსის ჩაცმა, ჰკითხა მსახურს:

— აბა, ნახე, ისევ მანდ არის?

— მანდ გახლავთ.

— კარებ-წინ, თუ სახლის ვერდზედ?

— სახლის გვერდზედ გახლავთ.

— ჰო, მაშ, ვერ დამინახავს.

აფიცერი გავიდა და ჩაიარა კიბე, მაგრამ ხმლის ჩხარუნმა გასცა კაცი.

— გამარჯვება, გამარჯვება!—დაიძახა ქალმა და გაექანა იმისკენ. ახლო რომ მივიდა, ამოიღო ჯიბიდან ხელ-სახოცი და საჩქაროდ დაუწყო წმენდა მის ჩექმების მტვერს; თან ასე ეალერსებოდა:—მოიცადე პატარა, მოითმინე ცოტაცა, ჩემო მშვენიერო! ჰო, ეხლა კარგი ხარ.

— კარმელა!—შესძახა აფიცერმა, გაინთავისუფლა თავი, რაგორც იყო, და გასწია საჩქაროდ აღელვებულმა, სირცხვილით გაწითლებულმა.

ერთის თვის შემდეგ მკურნალი და ლეიტენანტი დიდად დამეგობრდნენ. ხასიათებისა და ჰასაკის ერთნაირობამ, დილიდან საღამომდინ ერთად ყოფნამ თავისი გაიტანა და ისე შეეთვისნენ ერთმანეთს, თითქო დიდი ხნის მეგობრები არიანო.

ამ ერთის თვის განმავლობაში სულ სხვა ნაირი ცხოვრება დაიწყო ყმაწვილმა კაცმა. პირველშივე ნეაპოლიდან დაიბარა რაღაც წიგნები, დაიწყო კითხვა და თითქმის განუწყვეტლივ კითხულობდა, რასაც ჰნახავდა შიგ თავისთვის საინტერესოს, ამოიწერდა ცალკე და მერე დაუწყებდა დაუსრულებელს

დავასა და კამათს მკურნალსა. ეს დავა და კამათი იმითი გათავდებოდა ხოლმე, რომ აფიცერი ეტყოდა მკურნალს:

— კმარა; მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში მკურნალნი ვერას გააწყობენ და ფარ-ხმალი უნდა დაჰყარონ.

ამას იტყოდნენ და განშორდებოდნენ ერთმანეთს მეორე დილამდე, როცა კვლავ შეუდგებოდათ ერთი განუწყვეტელი და დაუსრულებელი დავა-კამათი.

ერთხელ, აფიცერმა გამოჰკითხა ზოგი რა და ზოგი რა სინდიკსა, მერე მოუწოდა ერთად-ერთს მკერვალს, რომელიც ამ პატარა ქალაქში იყო, მერე შეეიდა შაპოების მაღაზიაში და ოთხის დღის უკან, ვნახოთ, ზღვის-პირად დასეირნობს თეთრ ტილოს ტანისამოსით, დიდის ჩალის შაპოთი და ცისფერ ყელსახვევით მოართული. საღამოზედ შეხვდა მკურნალი და ჰკითხა: „ჰა, რა ამბავია“? „არაფერი“.—„როგორ, არავითარი ნიშანი არა სჩანს-რა?“—„სრულიად არავითარი“.—„არა უშავს-რა, განაგრძე შენი საქმე, ნუ დაჰყრი ფარ-ხმალს“. ყმაწვილმა კაცმა უპასუხა:—„ფიქრი ნუ გაქვს!“

ერთს მშვენიერს დღეს ლეიტენანტი შეეიდა ხარჯის მკრეფელთან, რომელიც კარგი მემუსიკე იყო, არც აცივა, არც აცხელა და უთხრა პირდაპირ: „ერთი სიკეთე მიყავით და გიტარა მასწავლეთო“. ხარჯის მკრეფელმა მაშინვე დაუწყო სწავლება და აფიცერმა ისეთი შნო და უნარი გამოიჩინა, რომ მალე უკრავდა კიდეცა გიტარას და ზედაც დამღეროდა.

— კარგი ხმა გაქვთო,—უთხრა ერთხელ გიტარის მასწავლებელმა:—ამას წინად აქ ერთი აფიცერი იყო, რომელიც ურიგოდ არ უკრავდა გიტარას. ერთს სიმღერას ამბობდა და მშვენიერადაც ამბობდა! თვითონ შეთხუზა ის სიმღერა. ამ სიტყვებით იწყებოდა:

შენს თვალებს ვუმზერ, კარმელა,
ვზივარ შენ ფეხთ-წინ წყნარადა,
ვკოცნი შენს სახეს ნაზადა
და წყურვილი მკლავს, რომ ასე
ვატარო დღენი მარადა.

ხოლო, როდესაც მეწვევა
სიკვდილი სულთა-მხუთავი,
მაშინ დაღლილი ბავშვივით
ნებასა მოგთხოვ, რომ თავი
ჩემი დავმალო შენს მკერდზედ
და დავიძინო, მოვკვდე ზედ.

— ერთ-ხელ კიდევ გაიმეორეთ ეგ სიტყვები,—სთხოვა ყმაწვილმა კაცმა:—ახლა თქვით სიმღერაცა.

მერე შევიდა ყარაბინერების უფროსთან.

— გამიგონია, რომ თქვენ კარგად თურმე იცით დაშნაობა,—უთხრა მან უფროსს.

— მოდი ერთი ვცადოთ ჩვენ ერთმანეთის ძალ-ღონე.

მას უკან, ვისაც უნდა გაევლო მოედანზედ, დილითა თუ საღამოთი, ლეიტენანტის სახლში ყურს მოჰკრავდა იარაღის წკაპა-წკუპსა და ფეხების ბარტყუნსა.

— მგონია ტყუილა სცდები მაგ დაშნაობით,—უთხრა აფიცერს რამდენისამე დღის შემდეგ მკურნალმა:—იმ ქალს აინუნშიაც არ მოსდის ეგეები.

— ვითომ? მაინც საჭიროა ესეცა ვცადოთ. მე მითხრეს, ვითომ ისა და ყარაბინერების უფროსი მუდამ დღე სწორედ ამ დროსა ჰდაშნაობდნენ. კარმელას უნდოდა თურმე დაშნაობის ცქერა და ამ დროს სულ გარედ იჯდა, მოედნის-წინა.

— ეგ მართალია,—უპასუხა მკურნილმა:—მხოლოდ, როგორც სჩანს, სხვა რამ არის საჭირო, ჩემო კარგო!

VII

გავიდა თვე-ნახევარი მას შემდეგ, რაც ახალი რაზმი იყო მოსული. ერთს საღამოს ლეიტენანტი უჯდა სტოლს თავისს სახლში მკურნალთან ერთად, კალმის წვერით აცოდილებდა სანთელს, რომელიც წინ ედგა, და სთქვა:

— რა ბოლო უნდა ჰქონდეს ნეტავ ყოველსავე ამას? ის ბოლო ექმნება, ვგონებ, რომ თვითონ მეც ჭკუაზედ შევი-

შლები, მორჩა და გათავდა! ჩემის თავისავე მრცხვენიან და ხანდახან ასე მგონია, რომ ყველა მე დამცინის და ჩემზედ ხარხარობს-მეთქი.

— რაზედო, მერე?—ჰკითხა მკურნალმა.

— რაზედაო?—გაიმეორა ყმაწვილმა კაცმა გაჭიანურებით, იქნება დრო მეტი დამრჩეს და კარგად მოვიფიქრო პასუხიო:— რაზედა და... ჩემს გულ-მოდგინეობაზედ, იმაზედა, რომ გული შემტკივა იმ უბედური ქალისათვის, იმაზედა, რომ ამაოდ ვცდილობ იმის გამობრუნებას.

— გულ-მოდგინეობ! გული შეგტკივა! მერე, ეგ გრძნობანი რა სასაცილო და მასხარად ასაგდები გრძნობანია!

პატარა ხანს უკან, მკურნალი დააშტერდა აფიცერს და განაგრძო:

— მართალი მითხარ: გიყვარს განა კარმელა?

— მე!—იტკიცა თითქო ლეიტენანტმა და გაწითლდა სირცხვილით.

— შენ.

— მე მიყვარს კარმელა, ჭკუა-შეშლილი? არა, ეგ აზრი როგორ მოგივიდა ფიქრად? სასაცილოა სწორედ შენი ლაპარაკი! მიყვარს კი არა, მეცოდება, მეტის-მეტად მეცოდება; არ ვიცი, რას არ გავიღებდი, ოღონდ კი ეგ ქალი განკურნებული მენახა; არა მეგულება-რა ისეთი, რომ არ გავწირო, ოღონდ კი ეს სურვილი ამისრულდეს; ისე გამეხარდებოდა მაგისი მორჩენა, როგორც ღვიძლი-ნათესავისა. მიყვარს, მართალია, მაგრამ ისევე მიყვარს მეც, როგორც შენც გიყვარს; კარგი, კეთილი და პატიოსანი ქალიშვილია; არც ერთხელ ერთი ურიგო სიტყვა არა მსმენია მაგისაგან. მერე მისი მშვენიერება... ხომ ლამაზია, არა? ერთი შეხედე იმის თვალებს, ტუჩ-კბილსა, ბროლივით ნათალს თითებს... იმისი თმები-ღა?.. ხანდახან ჭკუა-შეშლილიც კი აღარა მგონია ხოლმე, მაგალითად, როცა პირდაპირ დამიწყებს ცქერას, მიღიმის და მეუბნება ჩურჩულით: „ჩემო ძვირფასო!“—„კარმელა-მეთქი,—ვეუბნები ხოლმე მაშინ,—მითხარი, შენ ხომ ჭკუა-შეშლილი არა ხარ?“—„ჭკუა-

P. 6301.

შეშლილი, მე?"—იმეორებს ამ სიტყვებს ისეთის გაკვირვებითა და გაოცებით, რომ მზადა ვარ დავიფიცო, რომ ჭკუაცა აქვს და გონებაცა..—„კარმელა, სთქვი ერთხელ კიდევ, რომ ჭკუა შეშლილი არა ხარ!"—დავუწყებ თხოვნას. მაშინ კი დაიწყებს უაზროდ ცქერას და უცბად გადიხარხარებს. გინდა დაიჯერე გინდა ნუ, ამ დროს მზადა ვარ ხოლმე, ჩემო მეგობარო, თავი ვახალო კედელს. შენ იცი, რომ ვცდილობ, იქნება ჭკუაზედ მოვიყვანო როგორმე-მეთქი, მაგრამ ყოველი ჩემი ფიქრი კი არ იცი. თითქმის ყოველს საღამოს მივიხმობ ხოლმე, ველაპარაკები დიდის ხნობით, ვუკრავ გიტარას და დავმღერ იმ სიმღერებს, რომელსაც ამბობდა თურმე მისი გულით-საყვარელი; ვარწმუნებ, მიყვარხარ-მეთქი, ვეალერსები, თავს ისე მოვაჩვენებ ხოლმე, ვითომ ვტირი, სასოწარკვეთილებას ვეძლევი; ნებას ვაძლევ, მკოცნოს, მეხვეოდეს, მეალერსებოდეს ბავშვივით. ვერ აგიწერ, რა ყოფაში ვარ ხოლმე იმ დროს: არ ვიცი, შიშსა ვგრძნობ, სირცხვილი მტანჯავს, შენანებას ვეძლევი, თუ რა მემართება. ვგონებ ყოველსავე ამას ერთადა ვგრძნობ. დაგარწმუნებ კი, რომ, როცა ვკოცნი, ასე მგონია, გაცივებულს გვამსა ვკოცნი-მეთქი; ხან კი მგონია, ვითომ დიდს ღვაწლს ვეესავ-მეთქი და თავი მომწონს, ვამაყობ; ღამ-ღამობით არ შემიძლიან დავიძინო, რაკი ვიცი, რომ ის ჩემ კარებს ახლო ზის და მოვყვები ხოლმე და ვკითხულობ წიგნს, ვწერ ქაღალდებსა და სულ კი მაინც ჩემი ფიქრი ის არის!.. ჩემო მეგობარო, დამაჯერე, რომ ჭკუაზედ არ შევიშლები: ვგრძნობ, რომ თავი მირატრატებს და აღარა მეყურება-რა...

ყმაწვილმა კაცმა ხელი გაუწოდა მკურნალს. მკურნალი მიუახლოვდა და გადაეხვია. აფიცერი უეცრად გასწორდა წელში, თავი მაღლა აიღო და დააცქერდა მეგობარს; ცქერაზედ შეეტყო, რომ ღიმილი მოსდიოდა.

— რაო?—ჰკითხა მკურნალმა.

— ღმერთო, რომ მოარჩეს ეგ ქალი!—წარმოსთქვა გულმხურვალედ ლეიტენანტმა:—ღმერთო, მაგისმა თვალებმა რომ დაჰკარ-

გოს ერთხელ და სამუდამოდ ის უცნაური ელვარება ტ უმ ოძრაობა, ოდესმე რომ შესძლოს და მითხრას: „გმადლობ ტ გლოცავ! შენ დამიბრუნე სიცოცხლე, მეგობარო“... ღმერთო, რომ ვნახო, ქალი ტირის, ლაპარაკობს, ტანთ იცვამს ისე, როგორ სხვა ყმაწვილი ქალიშვილები, დადის ეკლესიაში, და შეძლება რომ მოგეცეს ვთქვა: ჩემის ფანარით მოხდა ესა-მეთქი, მე აღვადგინე, მე გავაცოცხლე და დავუბრუნე ყოველივე იმედი ყმაწვილ-ქალობისა-მეთქი!.. ჩემო მეგობარო!—წარმოსთქვა მან ღაღადებით და ხელები დაუჭირა თავის ამხანაგს:—ასე მეგონება მაშინ, რომ ღვთაება ვარ-მეთქი, რომ მე შევქმენ რაღაც ახალი, რომ ის ქალი ჩემია, რომ თვით ბედი მიმზადებს იმასა-მეთქი! ოჰ, მაშინ კი გავგიჟდებოდი, სწორედ. ღმერთო, მართალი რომ იყოს, რაცა ვთქვი!..

დაიხარა თავი, მიიფარა ხელები თვალებზედ და დაიწყო ქვითინი.

— ჩემო საუნჯე!—მოისმა ხმა მოედნიდან.

ყმაწვილი კაცი წამოხტა და გადაწყვეტით უთხრა მკურნალს: „მარტო დამტოვე“!

მკურნალმა ხელი ჩამოართვა, წასჩურჩულა: „გულ-მაგრად იყავი“-ო და წავიდა.

ლეიტენანტი პატარა ხანს უძრავად იდგა, მერე მივიდა ფანჯარასთან, გააღო, დაიწია უკან და ერთის წუთის განმავლობაში სტკბებოდა საოცარის სურათის ხილვით. ღამე იყო ნათელი, მყუდრო, გულის წარმტაცი. ქვეით გაშლილი იყო უდაბნოდ გადაქცეული ქუჩები, სჩანდა ნავთ-სადგური და ზღვის კიდენი, მთვარით გაშუქებულნი. შემდეგ მოსჩანდა სარკესავით უძრავი ზღვა, ხოლო შორს მთები სიცილიისა, ისეთის სიცხადით აღნაქვსული, თითქო აგერ სულ ახლოაო. ყოველსავე ამ სახილველთა შორის სუფევდა შეურყეველი მდუმარება.

— რა კარგი იქნებოდა, რომ მეც შემეძლოს დავტკბე ამ საოცარის მყუდროებითაო!—გაიფიქრა ლეიტენანტმა და თვა-

ლითა ზომავდა ზღვის სივრცესა; მერე მოვიდა კანკალით ფანჯარასთან და ძირს გადიხედა. კარმელა კარებთან იჯდა.

— კარმელა!—დაუძახა აფიცერმა ქალს.

— ჩემო სიცოცხლე!

— რას აკეთებ აქა?

— რას ვაკეთებ? შენ გელი, შენც ხომ იცი. შენს დაძახებას ველი. არ გინდა განა, რომ დღეს შენთან მოვიდე?

— აი ეხლავე გაგიღებ კარებს.

კარმელამ სიხარულით ტაში ტაშს შემოჰკრა და ხტუნაობა დაიწყო.

კარი გაიღო და მის ზღრუბლზედ გამოჩნდა ახალგაზდა კაცი სანათით ხელში. ყმაწვილი ქალი შევიდა, სანთელი გამოართვა, გაუსწრო წინ კაცს, მარდად აირბინა კიბე და თან ჩურჩულებდა:

— მოდი, მოდი, შე საწყალო!...

მერე მოტრიალდა, გაუწოდა კაცს ხელი და განაგრძო:

— ჩამოართვი ხელი შენს პატარას, ჩემო ლამაზო და მშვენიერო!

ქალმა გამოართვა ხელი და გააქანა აფიცერი სახლში. აქ ყმაწვილმა კაცმა დაისვა ქალი თავის-წინ და ანგელოზებრივის მოთმინებით დაიწყო განმეორება ყველა იმისი, რაც წინადაც ეცადნა, იგონებდა ახალ ღონესა და ხერხსაც, რამოდენჯელმე სცდიდა თვითეულს მათგანს, აჩვენებდა თავს, რომ ვითომ სიყვარულით ვიწვიო, ვითომ მძულხარო, დიდს მწუხარებასა და სასოწარკვეთილებას ვეძლევიო. მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ქალი შეჰყურებდა და გულმოდგინედ ისმენდა მისს ლაპარაკს, ხოლო მერე დაიწყებდა ხარხარს, იცინოდა და ჰკითხავდა:

— რა დაგემართა?

შემდეგ გამოართმევდა ხელებს და დაუწყებდა კოცნას ისეთის სახით, ვითომ დიდად და დიდად მეცოდებიო.

— კარმელა!—შესძახა ბოლოს ყმაწვილმა კაცმა და იფიქრა, ერთს კიდევა ვცდი ბედსაო.

— რა გინდა?

ანიშნა ჩემთან მოდიო. ქალი ნელ-ნელა მიუახლოვდა და სიყვარულით შესცქეროდა აფიცერს თვალებში, მერე უეცრად მიესვენა მის მკერდზედ, შემოაჭდო ყელზე ხელები, დაეკონა ტუჩებით და შესჩურჩულებდა ათრთოლებულის ხმით: „ჩემო სიცოცხლეე, ჩემო სიცოცხლეე!“ საწყალმა ჭაბუკმა სულ დაკარგა გონება, მოჰხვია ხელი, წაიყვანა სტოლისაკენ და დაეშვა მდივანზედ. კარმელა წამოხტა უცბად, გამწყრალი სახე მიიღო, ჩაფიქრდა და წაიბუტბუტა ზიზღითა:

— რასა სჩადი მაგასა?

იმედის შუქმა ჩააშუქა ყმაწვილი კაცის გულში. მდუმარებითა და მოუსვენრობით შესცქეროდა აფიცერი ყმაწვილ ქალს.

კარმელა ჯერ ისევ რაღასაც ფიქრობდა, მერე გაიღიმა უცნაურის ღიმილით, როგორც არას დროს არ გაუღიმნია წინად და ჰკითხა:

— განა ჯვარი დავიწერეთ კიდეცა?

აფიცერმა ოდნავ შეჰყვირა და პატარა ხანს შედგა პასუხის მოსაფიქრებლად. ამ დროს კარმელამ თვალი მოჰკრა შაპოს, რომელიც კედელზედ ეკიდა, გადიხარხარა, აიღო ეს შაპო, ჩამოიფხატა თავზედ, დაიწყო ღრეჯა და ჯღანვა და მოჰყვა ოთახში ხტუნაობას.

— კარმელა!—შეჰყვირა სასოწარკვეთილებით საცოდავმა ჭაბუკმა და ხელ-აღპყრობით გაექანა ქალისაკენ. კარმელას შეეშინდა, ჩაირბინა კიბე და ერთის წუთის შემდეგ მოედანზედ დაიბადა, დაიწყო ხტუნაობა, ყვირილი და კვდებოდა სიცილითა და ხარხარითა.

VIII

მეორე დილით, ადგა თუ არა, ყმაწვილი კაცი მაშინვე მკურნალთან გაეჩქარა. მკურნალმა, დაინახა თუ არა იმისი დაწითლებული თვალები და დაღონებული პირი-სახე, მაშინვე მიხვდა, ჩემი მეგობარი უთუოდ იმიტომ მოვიდა, რომ რჩევა-დარიგება მივცე და

ნუგეში ვცეო. მკურნალმაც დასვა ყმაწვილი კაცი და დაიწყო: არა გრცხვენიან, აგრე რამ დაგაღონაო. მაგრამ აფიცერი ყურს არ უგდებდა იმის ლაპარაკს და, ეტყობოდა, რაღაც აზრს მოეცვა მთლად მისი არსება. უცბად სახე გაუბრწყინდა, შუბლზედ ხელი დაიკრა და დაიძახა:

— აქამდე როგორ არ მომივიდა ეს ფიქრადა?!

— რა?

ლეიტენანტმა, პასუხის მაგიერ, აიღო ქაღალდი და კალამი და აჩქარებით დაიწყო წერა. გაათავა წერა წიგნისა და წაიკითხა შემდეგი:

„მოწყალეო ხელმწიფეო! სამხედროთა ჩვეულებისამებრ, სრულიად დაურიდებლადა და კადნიერად გაუწყებთ, რომ აგერ ორ-თვე ნახევარია, რაც უფროსობას ვუწევ იმ რაზმს, რომლის უფროსიც ოდესმე თქვენ იყავით. აქ გავიცანი ერთი გასათხოვარი ქალი; სახელად კარმელა ჰქვიან; კარმელა ჭკუაზედ შეიშალა ამ ორის წლის წინად, როგორც ამბობენ, თქვენის სიყვარულითა. ვუყურებ მის საშინელს მდგომარეობას და დიდად მეცოდება; ყოველივე მოვიქმედე, რაც კი შემეძლო, რომ კვლავ ჭკუაზედ მომეყვანა: ისეთსავე ტანისამოსს ვიცვამდი, როგორიც თქვენა გცმიათ, ვისწავლე სიმღერების თქმა და გიტარის დაკერა, შევითვისე თქვენი ჩვეულებანი, ველაპარაკებოდი თქვენ შესახებ, თავს ისე ვაჩვენებდი, ვითომ მიყვარხარ-მეთქი. მაგრამ სულ ამაოდ ჩამიარა ყოველმა ამ ცდამა და თავის მტვრევამა. ერთი ღონის-ძიება კიდევ იპოვება და ეგ ღონისძიება თქვენს ხელთ არის. მოისმინეთ ჩემი თხოვნა, ჰქმენით საქმე კეთილი. ამბობენ, რომ პირველი ღონე და წამალი ჭკუა-შეშლილთა განკურნებისა ის არის, რომ ღიდისა და ზედ-მიწევნილის სინამდვილით აღდგენილ და განმეორებულ იქმნას ის საყურადღებო ამბავი, რომელიც წინ-უძღვოდა იმათს ავადმყოფობას. მე მგონია, რომ ცხოვლად განმეორება კარმელას წინაშე თქვენის განშორების სცენისა იმოქმედებს როგორმე ამ საბრალო ყმაწვილ ქალზედ. გამოვკითხე აქაურებსა და იმათ მითხრეს, რომ ღამე წასულხართ თქვენ აქედან, ხოლო წასვლის წინად

გივახშმიათ ერთად თქვენა, სინდიკსა, ყარაბინერების კაპიტანსა და ორიოდ-სამიოდე სხვასა კიდევ. დაწვრილებით იმ ვახშმის ამბავი აღარავის ახსოვს. გთხოვთ მომწეროთ წიგნი და შემატყობინოთ ყოველივე, რაც გახსოვთ: სახელები ვახშმად მყოფთა, შინაარსი წარმოთქმულ სიტყვათა, დრო, როცა მოხდა ესა თუ ის უმთავრესი ამბავი და გარემოება. გეევედრებით ამას და საუკუნოდაც დამავალებთ, თუ ყველაფერს შემატყობინებთ. მრწამს კეთილშობილება თქვენი და მეგობრულად, ძმურად გართმევთ ხელს. მშვიდობით.“

— მერე შენ გგონია ახლა, რომ მოგწერს პასუხს?—ჰკითხა მკურნალმა.

— დარწმუნებული ვარ.

პასუხი მართლა მოვიდა. წერილი ოთხ-თაბახამდე იყო და შიგ ეწერა დაწვრილებით ყოველივე წვლილი და კნინი დამსწრეთა, გარემოებათა, სიტყვათა და ყოველისავე ცალკე ამბის შესახებ. ერთი სიტყვაც არ იყო გადაკრული წინანდელი სიყვარულის შესახებ, მცირეოდენადაც არ ეტყობოდა წერილის მომწერს, რომ ოდნავ მაინც ენანებოდა კარმელა. „გემი გამოემართა ნაშუადღევის პირველ საათზეო,—ასე თავდებოდა წერილი.—მშვიდობით.“ ბოლოში სახელი და გვარი ჰქონდა მოწერილი.

IX

მოვიდა თუ არა პასუხი, მეგობრები შეუდგნენ იმის თავდარიგს, რომ ეს უკანასკნელი ღონეც ეცადნათ. ინახულეს სინდიკი, მოსამართლე, ხარჯის მკრეფელი და ბევრნი სხვანიცა; დაიყოლიეს, რომ იმათაც ხელი შეეწყოთ და აუხსნეს თვითეულს, ვის რა როლი უნდა ეტვირთნა. მერე კაცი გაუგზავნეს კარმელას დედას და იმასაც შეატყობინეს საქმის გარემოება.

კარმელა იმ ხანებში ცოტა უქეიფოდ იყო და სახლიდან კარში არ გამოდიოდა. ლეიტენანტი და მკურნალი წავიდნენ

იმასთან სახლში და ისიც ინახულეს. ქალი კარებ წინ იჯდა და კედელს მიჰყუდებოდა. სტუმრები რომ დაინახა, წამოდგა, მიეგება აფიცერს და, ჩვეულებისამებრ, უნდოდა მოხვეოდა; თან რაღასაც ჩურჩულებდა.

— კარმელა,—უთხრა ყმაწვილმა კაცმა:— ამბავი უნდა გითხრა: ხვალ მივდივარ აქედან.

— ხვალ მივდივარ აქედან,—გაიმეორა ქალმაცა.

— ვანებებ თავს აქაურობას,—განაგრძო აფიცერმა:—მივდივარ ჩემის მხედრობით, ჩავჯდები გემში და გავწევ შორს, შორს...

ყმაწვილმა კაცმა ხელი მაღლა აიღო, თითქო იმიტომ, რომ ანიშნოს დიდი მანძილიო.

— შორს, შორს,—გაიძახოდა კარმელა და იქით იცქირებოდა, საითაც აფიცერი ანიშნებდა. პატარა ხანს ჩაფიქრდა თითქო, მერე უცება სთქვა ისეთის გულ-გრილობით, თითქო აქ არაფერიაო:—გემში, აიმ გემში, ბოლი რომ ამოდის ხოლმე...

კვლავ ხელი წაატანა, რომ მოხვეოდა ლეიტენანტს და დაუწყო ჩვეულებრივი ალერსი.

— გულს არა ჩასწვდა-რაო,—იფიქრა აფიცერმა და გააქნივ-გამოაქნია თავი.

— ვნახოთ, რა გამოვა,—წასჩურჩულა მკურნალმა.

ორივენი წამოვიდნენ, ხოლო კარმელას სასტიკად აუკრძალეს, შენ ნუ გამოგვყვები თანაო.

ვახშამი შემდეგის კვირისათვის იყო დანიშნული. იმ ღამეს, კარმელა, ჩვეულებისამებრ, ლეიტენანტის სახლის კარებწინ იჯდა. ყმაწვილმა კაცმა შეიყვანა ქალი სახლში; მსახურს ნაბრძანები ჰქონდა, რომ სულ მიჰყარ-მოჰყარე ბარგი-ბარხანა, ვითომ წასასვლელად ვემზადებითო და იმასაც ბრძანება ზედმიწევნით შეესრულებინა. სტოლი, მდივანი, სკამები სულ სავსე იყო საცვლებითა, ტანისამოსით, წიგნებით; შუა ოთახში ორი თავ-ღია სკივრი იდგა; მსახური ჯარის-კაცი უკვე ალაგებდა სკივრებში ბარგს.

კარმელამ ეს არეულ-დარეულობა რომ შენიშნა, როგორ-ღაც არ ეჭაშნიკა და განცვიფრებით დაუწყო ცქერა აფიცერს.

— ვემზადები აქედან წასასვლელად,—სთქვა ლეიტენანტ-მა იმის განცვიფრების პასუხად.

კარმელამ ერთხელ კიდევ მოავლო თვალი ოთახს, წარ-ბები შეიჭმუხნა და კოხები შეიკრა, რაც წინად არც ერთხელ არ დამართნია. ყმაწვილი კაცი გულ-მოდგინედ ადევნებდა თვალ-ყურს იმის სახის მოძრაობას.

— შორს მივდივარ, გემში უნდა ჩავჯდე და ისე წავიდე.

— გემში უნდა ჩაჯდე?

— გემში, ხვალ საღამოს.

— ხვალ საღამოს,—უგონოდ განიმეორა კარმელამ, დაი-ნახა სკამზე გიტარა, შეახო თითები სიმებს და შეაჟღარუნა.

— შენთვის სულ ერთია, რომ მივდივარ? არ გენანები-განა? ხომ თავის დღეში ველარა მნახავ?

კარმელა დააშტერდა და ისე შეხედა აფიცერს, მერე და-ხარა თავი და ძირს დაიწყო ყურება, თითქო რაღასაც ფიქ-რობსო. ყმაწვილმა კაცმა აღარა უთხრა-რა კარმელას, ნელის ხმით დაუწყო ლაპარაკი მსახურს და თან შველოდა ტანისა-მოსის დაკეცვას.

ქალი უძრავად იდგა და თვალ-ყური იმათკენა ჰქონდა. პატარა ხანს უკან ლეიტენანტი მივიდა და უთხრა:

— ახლა კი წადი, კარმელა. საკმაო ხანს დაჰყავი აქა. წადი შინა.

ჩაავლო ხელი და წყნარად გამოიყვანა კარებში. კარმელა მობრუნდა და გაიწოდა ხელები, უნდოდა მოხვეოდა აფი-ცერს.

— არა, არ მინდა ეგეები,—სთქვა ყმაწვილმა კაცმა.

ქალმა ორჯელ-სამჯერ დაბაკუნა ფეხები, ამოიოხრა გმინ-ვითა, კვლავ გაიწოდა ხელები, მოხვია კისერზედ, ტუჩები მოულამუნა ლოყაზედ, თუმცა კოცნით კი არ აკოცა და, თვალებ მიბნედილი, რაღაც ფიქრში წასული ნელ-ნელა გაუ-დგა თავის გზას. მის სახეზე არა იხატებოდა-რა, როგორც არა

იხატება-რა იმ გულ-მაეიწყი კაცის სახეზედ, რომელიც ათას რამესა ფიქრობს და იმავე დროს არცა-რასა ფიქრობს.

— ეს რა ამბავია, ნეტავ?—გაივლო გულში ლეიტენანტმა:—კარგი ნიშანია ვითომ? ღმერთმა ინებოს! გვქონდეს იმედი და ნუ დავკარგავთ სასოებას.

მეორე დღეს აფიცერი სახლიდან აღარ გამოვიდა და აღარც კარმელას ნახვა ინდომა, თუმცა იცოდა, რომ, ჩვეულებისამებრ, აქვე ჩემ კარებ-წინა ზისო. ნასადილევს დრო სულ იმაში გავიდა, რომ მომზადებულიყო ყოველივე იმ უკანასკნელის ღონისძიების საცდელად. სახლში სულ ორი თვალი ოთახი იყო და ერთი სამზარეულო. დასაძინებელს ოთხსა და შემოსავალ კარებ შუა იყო დიდი ოთახი, რომლის ფანჯარებიც მოედანს უცქეროდა. ამ ოთახში იყო მომზადებული ვახშამი. ახლო მეზობელმა, სასტუმროს პატრონმა გამოგზავნა გრძელი სტოლი და მერე თვითონაც მოვიდა საჭმელების გასაკეთებლად, სწორედ ისე, როგორც სამის წლის წინად მოიქცა. ესე, ცხრა საათი იქნებოდა, რომ მოვიდა მკურნალიცა.

— კარმელა ქვეით არის,—სთქვა მკურნალმა:—ჩივის და შენსას ამბობს, რომ დღეს არ მინახავსო. ვკითხე, როგორა ხარ-მეთქი. პირდაპირ შემომხედა, თვალი თვალს გამიბნია და მხოლოდ ეს ჩაიჩურჩულა: „გემში!“ და არ გაიცინა კი. ვინ იცის, იმის პატარა, კოხტა თავში რა ამბავია ახლა! ერთმა ღმერთმა უწყის მხოლოდ. ყველა კარგი და ეს ძალიან მდიდრულად მოგირთავთ აქაურობა!

მიავლ-მოავლეს თვალი სტოლსა და დაიწყეს თათბირი, როგორ სჯობიან, რომ უფრო უკედ შევასრულოთ ჩვენ მიერ მოფიქრებული კომედია ანუ, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, დრამაო.

იქნებოდა ათი საათი, რომ კარებს უკან მოისმა ფეხის ხმა სტუმრებისა და გაურკვეველი ხმაურობა მათის ლაპარაკისა. მსახური გაიქცა, რომ კარი გაეღო სტუმრებისათვის. ამ დროს დაიძახა კარმელამაც: „მეც წავალ გემითაო!“—და მერე მოჰყვა ტაშის კვრასა.

— გამხნევდი!—წასჩურჩულა საჩქაროდ მკურნალმა, თავისს მეგობარს:—გაიგონე, რა დაიძახა? ეტყობა, გონებაში ჩარჩენია ეგ ფიქრი. ეს კარგი ნიშანია. აგერ სტუმრებიცა!

კარი გაიღო და შემოვიდნენ ღიმილითა და სალამ-ქალამის ძლევით სინდიკი, მოსამართლე და სხვა მოწვეულნი. ვიდრე მასპინძელი მოიკითხავდა თავისს სტუმრებს, მკურნალმა რაღაცა უჩურჩულა მსახურს და ისიც იმ წამსვე გაშპა. ერთს წუთს უკან მობრუნდა ისევ და კარმელა მოიყვანა ისე, რომ არავის არა დაუნახავს-რა. ორივემ ფეხ-აკრეფით გაიარეს და იქვე მეორე ოთახში მიიმალნენ.

— აბა, დაბრძანდით!—სთხოვა სტუმრებს მასპინძელმა.

— ყველანი დასხდნენ. სკამების ბრახა-ბრუხმა აღარავის გააგონა ის ხმაურობა, რომელიც მოხდა მეორე ოთახში: იქ მსახური ცდილობდა დაეკავებინა, როგორმე კარმელა, რადგან ერთს ალაგას არა ჩერდებოდა და სულ იმ ოთახისაკენ მიიწევდა, რომელშიაც სტუმრები ისხდნენ. კარმელამ შეჰყვირა: „მთელი დღეა არ მინახავს, უნდა ვნახოვო!“ გააღო კარები და უნდოდა ლეიტენანტისაკენ გაქანებულიყო. მსახურმა სკამი დაუდგა კარებთან და დასვა ზედ ქალი. კარმელამ მიადო პირისახე მიჯვრიტანას და დაიწყო იქიდან ცქერა. იქითკენ არავინ იხედებოდა; კარმელაც აღარ იძვროდა.

თანდათან გახშირდა და გაძლიერდა დანა-ჩანგლებისა და სტაქნების ჩახა-ჩუხი. სიცილსა და ხარხარსაც უმატეს. მკურნალისა და მის მეგობრის მეტი, ყველანი მადიანად შეექცეოდნენ ვახშამს და უჯახუნებდნენ ერთმანეთს ჭიქებსა. ჯერ დაიწყეს ქება ჯარის-კაცთა დისციპლინისა და გულადობისა, მერე მოჰყვნენ მუსაიფს საჭმელ-სასმელების ღირსებისა და სიკეთის შესახებ; საუბარი და მასლაათი შეეხო იმასაც, რომ მშვენიერი ამინდებია, უკვთესი ღამე აღარ მოხერხდებაო, მგზავრობითაც მშვიდობიანად და კარგად იმგზავრებენ ჩვენი ლეიტენანტი და ჯარის-კაცნიო. ჩამოვარდა მუსაიფი პოლიტიკაზედაც, მერე ისევ ჯარის-კაცნი და მათი მგზავრობა გაუხდათ სალაპარაკოდ. თანდათან ყველანი გამხიარულდნენ, უფ-

რო და უფრო ხმა-მაღლა გააპეს ლაპარაკი, ჩქარ-ჩქარა მოჰყვნენ ჭიქების ცლას, ისე რომ სახე გაუწითლდათ, თვალები აუბჟყვრიალდათ, ტუჩების მოძრაობა გაუძნელდათ და შეიქნა სიტყვების უთავბოლო რახ-რუხი. თვისდა შეუმჩნეველად, ყველამ კარგად შეიფერა თავისი როლი და ზედ-მიწევნილის სინამდვილით შეასრულა. მაგრამ რაც უფრო მეტად ავიწყდებოდათ სტუმრებს საგანი მათის შემოკრებისა, მით უფრო ძლიერ უცემდა გული ახალგაზდა მასპინძელს. მკურნალის მეტი, სხვა ვერავინ ამჩნევდა ამ გარემოებას. ის ამხნევებდა ხოლმე ხანდახან თავისს მეგობარს და თან თვალს არ აშორებდა კარმელას, რომელიც წინანდებურად უძრავად იჯდა სავარძელში კარებს უკან. მსახურმა იპოვა მოხერხებული დრო და გაქრა იმ ოთახიდან.

უცბად დარბაზში სამი ჯარის-კაცი შემოვიდა, აიღეს სკივრები, რომელიც კუნჭულებში იდგა და გაიტანეს. კარმელა თვალ-ყურს ადევნებდა ჯარის-კაცთა ყოველს მოძრაობას, მერე ისევ სტოლს დაუწყო ცქერა.

მკურნალმა სინდიკს უჩურჩულა რაღაცა.

— სადღეგრძელო, ბატონებო!—დაიძახა სინდიკმა და წამოდგა ბაკალით ხელში:—ეს ღმერთმა აცოცხლოს სინიორ-ლეიტენანტი, უფროსი გულადის რაზმისა, რომელიც დღეს მიდის და გვანებებს თავს... გაუმარჯოს სინიორ-ლეიტენანტს!

— გაუმარჯოს!—შესძახეს ყველამ, დაუწყეს ჯახუნი სტაქნებს და ღვრიდნენ ღვინოს სუფრაზედ.

სინდიკი დაეშვა სკამზედ მთელის თავისი სიმძიმით.

— ახლა კი გვიმღერეთ რამე,—მიმართა მკურნალმა ხარჯის მკრეფელსა.

ყველამ მხარი დაუჭირა მკურნალს და ამითაც დაუწყეს თხოვნა, სთქვი სიმღერაო. ხარჯის მკრეფელი დაიღრიჯა, მოჭყვა ბოდიშის ხდას, გაინაზა პატარა ხანს, მერე გაიღიმა, ჩაახველა, აიღო გიტარა და ორიოდ-სამიოდე ტაეპი დაამღერა.

— ახლა ჩემი რიგია!—დაიძახა მასპინძელმა და ყველანი სმენად გადაიქცნენ.

იმანაც გიტარა აიღო. მომართა, წამოდგა და დაიწყო სიმღერის თქმა:

შენს თვალებს ვუმზერ, კარმელა,
ვზივარ შენ ფეხთ-წინ წყნარადა,
ვკოცნი შენს სახეს ნაზადა
და წყურვილი მკლავს, რომ ასე
ვატარო დღენი მარადა.

კარმელა უფრო და უფრო მეტის ყურადღებით ისმენდა სიმღერას; ხანდახან წარბებს იშმუხნიდა, კოხებს იკრავდა, თითქო რაღაც ღრმა აზრს ჩაუნთქავს მისი არსებაო.

— ვაშა, ვაშა! მშვენიერადა მღერით!—იძახდნენ ერთხმად სტუმრები.

ყმაწვილმა კაცმა კვლავ განაგრძო:

ხოლო, როდესაც მეწვევა
სიკვდილი სულთა-მხუთავი,
მაშინ დაღლილი ბავშვივით
ნებასა მოვთხოვ, რომ თავი
ჩემი დავმალო შენს მკერდზედ
და დავიძინო, მოვკვდე ზედ.

ნაცნობი სიტყვები, ნაცნობი მუსიკა იყო; ყოველივე ისე მოხდა, როგორც იმ ღამეს, იმ წინანდელს ვახშამზედ.

— ვაშა, ვაშა! მშვენიერია!—გაიმეორეს კვლავ სტუმრებმა.

ლეიტენანტი დაესვენა სკამზედ ძალ-ღონე გამოლეული, მისუსტებული. კარმელა უძრავად იჯდა, თითქო ქანდაკებაოო და თვალს არ აშორებდა ყმაწვილ-კაცს. მკურნალი ჩუმად ადევნებდა თვალ-ყურს კარმელასა.

— შშ!—დაიძახა ლეიტენანტმა. ყველანი გაჩუმდნენ. ღია ფანჯრებში მოისმა მოედნიდან მხიარული მუსიკისა და ხალხის ფეხის ხმა. ქალაქის მემუსიკენი შეკრებილიყვნენ და იმათ გარს ეხვეოდა მკვიდრთა უმრაველესობა, რომელსაც ნამდვილად დაეჯერებინა, რომ ჩვენი რაზმი მიდის აქედანაო.

კარმელა შეეკრეოლდა და პირი ფანჯრებისაკენ მიიბრუნა. მისს პირი-სახეს განცხოველება დაეტყო ოდნავ. დიდრონი მი-

სი თვალები ხან ფანჯარას უცქეროდა, ხან აფიცერს, ხან კიდევ—სტუმრებს, თითქო უნდა კარგად მოისმინოს მუსიკაცა და თან არც ის უნდა, რომ დარბაზში დამსწრეთა მოძრაობაც გამოეპაროსო.

როცა მუსიკის ხმა შესწყდა, ხალხმა ტაშის კვრა დაიწყო, ისე როგორც სამი წლის წინად.

ამ დროს საჩქაროდ მივიდა აფიცერთან მსახური ჯარისკაცი და ხმა-მაღლა დაიძახა:

— სენიორ-ლეიტენანტო, გემი თქვენ გიცდით.

ყვაწვილი კაცი წამოდგა.

— ახლა კი დროა წასვლისა,—წარმოსთქვა აფიცერმა.

კარმელა ნელ-ნელა წამოდგა და თან თვალს არ აშორებდა ლეიტენანტს.

სტუმრებიც აიშალნენ და მასპინძელს შემოეხვივნენ. სწორედ ამ დროს გაჩნდა კარმელას დედა, შეუმჩნევლად შევიდა იმ ოთახში, საცა კარმელა იყო, გადაეხვია თავის ქალს და ალერსიანად უთხრა ნელის ხმით:

— გული გაიმაგრე: ორ თვეს უკან ისევ დაბრუნდება.

კარმელამ შეხედა დედას, ნელ-ნელა გაინთავისუფლა თავი დედის ხვევნისაგან, ხმა-ამოუღებლივ, წყნარად მიიბრუნა პირი-სახე ყმაწვილი კაცისაკენ და ისევ იმას დაუწყო ყურება.

სტუმრებმა ხელი ჩამოართვეს მასპინძელს, ეთხოვებოდნენ, მადლობას უძღვნიდნენ და მშვიდობიანს მგზავრობას ნატრობდნენ მისთვის. აფიცერმა შემოირტყა ხმალი, გადიგდო მხარზე სამგზავრო ჩანთა და კეპი დაიხურა.

ვიდრე აფიცერი ამ საქმეში იყო, კარმელამ, იმის მაგიერ, რომ მოშორებოდა აქაურობას, გამოაღო კარი, რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა, შეხედა აფიცერს, სტუმრებს, დედას და თავში იტაცა ხელები; ძლივს სულს ითქვამდა და თრთოდა აღელვებული.

მოედნიდან კვლავ მოისმა ხმა და კვლამ ატყდა ტაშისკვრა.

— აბა, წავიდეთ,—გადაწყვეტითა სთქვა ბოლოს ლეიტენანტმა და გასწია კარებისაკენ.

საშინელი, გულის-გამგმირი კივილი აღმოხდა კარმელას მკერდიდან. თითქო ვეფხიაო, ერთის კამარით გადახტა ყმაწ-ვილ კაცთან, საშინელის ძალით შემოეწნა, შემოეხვია და გაგიჟებით უკოცნიდა პირი-სახეს, კისერს, გულ-მკერდს და თან ქვითინებდა, კიოდა, გმინავდა, უსინჯავდა აკანკალებულის ხე-ლებით მხრებს, ხელებს, თავს, სწორედ ისე, როგორც დედა მოიქმედებდა, წყალში დარჩობას რომ გადაერჩინათ მისი შვი-ლი. რამდენსამე წუთს შემდეგ საწყალობელი ქალი უგრძნობ-ლად დაეცა თავის საყვარელის კაცის ფეხთა წინაშე.

კარმელა განიკურნა!

ყმაწვილი კაცი მოეხვია მკურნალს და მხურვალედ ჩაიკ-რა გულში. დედა დაიხარა, აკოცა თავის ქალს. და სიხარუ-ლის ცრემლი დააპნია ზედ. ყველა დამსწრემ ხელი აღაპყრო. ცად მიმართ, ნიშნად მადლობისა. მოედანზედ მუსიკა კვლავ გრგვინავდა...

—

ოთხ თვეს შემდეგ, ერთს მშვენიერს სექტემბრის ღამეს, მთვარით ისე განათებულს, თითქო დღე არისო, იმ საღამოს ტუნისიდან წამოსული და, ჩვეულებისამებრ, ჩვენს პატარა ნავთ-სადგურში პატრახანს გაჩერებული გემი გაჩქარებით მი-ცურავდა სიცილიისაკენ. ზღვა ისე იყო დაწყნარებული, რომ კაცს ეგონებოდა, გემი არც კი იძვრისო. მგზავრნი ყველანი გემის ბანზედ მოგროვილიყვნენ, მღუმარებდნენ და ისე სტკბე-ბოდნენ ულრუბლო ცითა და ზღვით, რომელიც სულ ბრწყი-ნავია მთვარის შუქზედ.

მგზავრთა მოშორებით ყმაწვილი კაცი და ქალი იდგა. ისე ახლო იდგნენ ერთმანეთზედ, რომ თითქმის თავი-თავსა ჰქონდათ მიდებული. შორს მოჩანდა ჯერ კიდევ ის კუნძული, რომელსაც ისინი თავს ანებებდნენ და იმ კუნძულისკენ იყუ-რებოდნენ. დიდ ხანს იდგნენ ასე გაუნძრეველად; ბოლოს ქალმა აიღო მაღლა თავი და წაიჩურჩულა:

— მე მაინც გული მიწუხდება, რომ თავს ვანებებ სამშობ-ლო ქვეყანას, საცა იმდენი ვიტანჯე, საცა პირველად გნახე

და ხელ-ახლად გამაცოცხლე, ხელახლად დამიბრუნე სიცოცხლე...

ქალი თვის თანამგზავრის მხარს დაეყრდნო თავით.

— კიდევ ვნახავთ როდისმე მანდაურობას,—უთხრა კაცმა და ისე მიუტრიალა თავი ქალს, რომ თვალებში შეეხედნა მისთვის.

— შენს სახლსაცა ვნახავთ, არა?

— ვნახავთ.

— ხომ კიდევ დაუკრავ გიტრას და იმ სიმღერასაც იტყვი?

— დავუკრავ კიდეცა და იმ სიმღერასაც ვიტყვი.

— მოდი თქვი ეხლავე!—სთხოვა კარმელამ აფიცერს:— თქვი ჩუმად.

ახალგაზდა კაცმა ტუჩები ქალის ყურთან მიიტანა და დაიწყო თქმა სიმღერისა:

შენ თვალებს ვუმზერ, კარმელა,
ვზივარ შენ ფეხთ წინ-წყნარადა...

კარმელა შემოეკედო ქმარს კისერზედ და გულ-ამოსკვნით დაიწყო ტირილი.

— საწყალო არსებავ!—წაიჩურჩულა ლეიტენანტმა და გულში ჩაიკრა.

ქალი უცბად შეეკრეოლდა, მიიხედ-მოიხედა, თვალი მოავლო ზღვას, კუნძულს, ქმარს და წარმოსთქვა ღალადებით:

— დავიჯერო ძილი არ არის ესე ყოველივე?

ყმაწვილმა კაცმა სიტყვა ჩამოართვა და სთქვა:

— არა, ჩემო ანგელოზო, ძილი კი არა, გაღვიძებაა!

გემი კი სულ შორსა და შორს მიდიოდა, თითქო ქარი ბიაქანებსო...

გრ. ყაფშაძე

მსხვერპლი

მოთხრობა

ახალგაზდა, ლამაზი მარინე პარასკევობაზედ ისტუმრებდა თავისს ქმარს ნიკას.

— არ დაგავიწყდეს,—ეუბნებოდა იგი ქმარს:—ეს საჩოხე შალი ხუთ მანეთ ნაკლებ არ გაყიდო, ამ გაროზში თუ მოგცენ ორ მანეთ ნახევარი, გაყიდე, თუ არა-და, ისევ სახლში მოიტანე... ეს ოთხი წიწილი სამ-სამ შაურად... ამ გაროზში რომ ფულს მოგცემენ, იმითი ერთი კაი ბაღდადი მიყიდე და მომიტანე.....

— ბაღდადის ყიდვისა მე არაფერი ვიცი!—მიუგო ნიკამ.

— ნაცნობი ვინმე შეგხვდება, შე კაცო, შეეხვერწე და გაყიდვიებს... მარა კარგი იქნეს კი!

— რა ფერის გინდა?

— თეთრი იქნეს... თუ გინდ ცისფერი... ფოჩვიანი თუ იშოვო, ძალიან კარგი იქნება... ორ მანეთ ნახევრად კარგ ბაღდადს იშოვი...

— ფულები აღარ გეტევათ ზანდუკებში?—სთქვა ამ ლაპარაკის დროს სახლში შემოსულმა მაღალი ტანის, ცოტათი წელში გახრილმა, მოხუცებულმა დედაკაცმა: — ფული არ გეტევათ ზანდუკებში?

— სახლში მოსატან ფულისათვის, ბატონო, საჩოხე შალს ვატან და ოთხ ახალ-ქათამს... ბაღდადს მარტო გაროზის ფასი მიყიდის... ყველას ახურავს თითო ბაღდადი, მე კი უბრალო

თავსაფარით დავდივარ ეკლესიაზედ.... მარტო მრცხვენია!...— თავდაბლად უპასუხა მარინემ მოხუცებულ დედამთილს.

— ათასჯერ მითქვამს მე შენთვის... სხვისი წამხედურობა შენი საქმე არ არის, არა... ჩვენ არ გვარგებს, ქალბატონო, არ გვარგებს... რომ ვერ ჩავაგონე!... შენ, ვაჟბატონო, ბაზრობა რომ გათავდება, მაშინ წადი, შენმა სიცოცხლემ,—მიუბრუნდა ფეფენა ნიკას:—რას გაჩერებულხარ... გასწი შენთვის და დროზედ მოდი სახლში... ფული თელათ მოიტანე!...

ნიკამ, დედის ბრძანებაზედ, სიტყვა-შეუბრუნებლად, მოხვია ხელი, რაც წასაღები იყო, და საჩქაროდ კარში გავიდა. მარინე კი გულ-ამღვრეული მისჩერებოდა, თვალს არ აშორებდა ფეფენას.

— გეუბნები, პრანჭვა-გრეხას თავი დაანებე-თქვა!.. რაღა დროს შენი კოპწიაობაა... ვის ეპრანჭები, მითხარი ერთი? ქმარი გყავს—იმას მოაწონე შენი თავი... ამ სხვებზედ რომ თვალი მიგირბის...

— ვის სხვას ვეპრანჭები, ბატონო?.. ვის ვეპრანჭები, მითხარით მაინც, რომ ყოველ დღე ამას მეუნებით!...

— მუსაიფი გამაბმევიე ახლა მაგაზედ!..—შეუტია მოხუცებულმა.

— აბა რა ვქნა, ღმერთმანი? ასე ტყვილა-უბრალოდ შეწამებამ... გული მომიკლა!..

— ტყვილა-უბრალოდ?! ჰმ! ტყვილა-უბრალოდ!.. მე გული მომეხარჩა, ჩემო ქალბატონო, შენ რომ გიყურებ, გესმის, შენ რომ გიყურებ, გული მომეხარჩა!..

— რა ვქენი მაგისთანა? რა დავაშავე?—ცხარედ წარმოსთქვა ქალმა:—მითხარით მაინც, რა დავაშავე?

— ეგ თქვენი ახალი განათლება არ მინდა მე, არა, არა-მეთქი, გეიგონე ჩემი... ნუ იცი ყოველ კაცთან შენებურად ლაქ-ლაქი, დოურიდებლად ყბედობა, არ შეგფერის ეგ შენი ცუნდრუკი და კასკასი... არა, არა... მე ვიცი, რა ბოლო მოჰყვება მაგისთანა თავისუფლობას...

— მე აღარავის ვცემ ხმას... ყველას ჩამოვეთხოვე... სულ მუნჯად ვერ გადვიქეცი, რა ვქნა მეც!

— ყველას ჩამოეთხოვე, ყველას ჩამოეთხოვე?.. ხმას აღარავის ცემ?.. აბა ეს გლახაკი, გაქუცული აზნოურშვილი დავითი რას დაწანწალობს ჩემს სახლში? რა უნდა კარუგდელაძეს ჩემს ოჯახში?.. მანამდი როდის ყოფილა იგი ამ ჩემ მიდამოზედ მოსიარულე?.. ასე ჩამოეთხოვე ყველას?..

— ბატონო, მე ვერ ვეტყვი ვერაფერს იმ ადამიანს... თქვენ უფროსი ბრძანდებით... თუ გწყინთ მისი აქ მოსვლა, თქვენ დეითხოვეთ და ის იქნება... მე რა ბრალი უნდა მედებოდეს?.. —მარინეს ხმაში შეკავებული ცრემლები ეტყობოდა.

— მე დევითხოვო?... თუ შენ, თუ შენ, შენ უნდა დაანახვო, რომ ტყვილა დაგდევს უკან?... გამიფთხილებიხარ, იცოდე—რომ რამე სირცხვილი მაჭამაო, ოჯახი გამიხადო ქვეყნის სალაპარაკოდ, სამასხარო ასაგდებად, იცოდე, ან შენ და ან მე!... არაფრით არ დაგზოგავ, ცოცხალი ვერ გადამირჩები, იცოდე!—და ამ სიტყვებთან ფეფენამ ისეთნაირად გადახედა მარინეს, რომ ეს უკანასკნელი აქედანვე უნდა დარწმუნებულიყო, რომ ეს, თავის-ნება მოხუცებული დედაკაცი, ერთ გუნებაზედ მართლა-და არ დაზოგავდა მას არაფრით.

— ოჯახს უყურე... ოჯახზედ გქონდეს უფრო თვალი გირჩევნია... თვარა, შენისთანა განათლებული ქალი ერთი კი, არ გვინახავს შერცხვენილი და თავს ლაფ-დასხმული, თავისი გაუფრთხილობლების წყალობით! წაილაპარაკა ფეფენამ და რძალს მოშორდა.

რა პასუხი მიეცა ამაზედ მარინეს? რა მიეგო ამ სიტყვებზედ? ან როგორ შეიძლებდა რამე ეთქვა, როცა მთლად ტანი უცახცახებდა აღელვებულს და ყელში ცრემლები უჭირებდნენ... რა რიგად გაჰკილა, ტალახში ამოსრისა მისი თავმოყვარეობა, მისი ნამუსიანობა და სიყმაწვილე ამ უსვინიდისო დედაბერმა!?.. მერე რისთვის?—მხოლოდ ეჭვისათვის!... ჰმ, ერთი ამ მოხუცებულის ფეხ-ქვეშ მოთელვა, მისი ჩაწიხვლა!—მაგრამ ეს აზრი,

ეს სურვილი წარეცხა თვალებიდან ერთბაშად ნაკადულივით გადმოკრიალებულმა ცრემლებმა.

ამ ცრემლების სიმწვავემ თითქო გამოაფხიზლა მარინე—კაბის სახელოთი მოიწმინდა თვალები, მიტრიალდა და გავარდა კარში; დეეშვა ეზოს ქვემოდ მდებარე ვენახისკენ, გადახტა ვენახის ბოლოში ღობეზე და შარა-გზით მიქროდა და თან იძახდა ხოლმე:—რა ვქნა, რა ვუყო ამ დედა-ბერს?... ღმერთო, რა ცეცხლში ჩავვარდე!?...

მან მიირბინა თავისი ქმრის ბიძისას...

— ბიძია, ბიძია ჩემო, თავი უნდა მოვიკლა...—ძლივს ამბობდა აღელვებული მარინე.

— რა იყო? რა ამბავია, შე ქალო?—ერთ-ხმად შეჰკითხეს ორივე ცოლ-ქმარმა, ონისიმემ და სოფიომ, მარინეს შეხედულობით გაკვირვებულებმა.

— ბიძია, ან ჩემი თავი უნდა მოვიკლა, ანა-და ის დედა-ბერი, ის მართლა კუდიანი, არა-წმინდა, ის უნდა მოვკლა... მეტი გზა არ მაქვს... გამიჭირდა, სიცოცხლე გამიჭირდა მისგან...

— რა დაგემართათ, რა მოგიეიდათ?—ისევ კითხულობდნენ მოხუცებულები.—დაჯექი, შვილო, და ისე გვიამბე,—უთხრა სოფიომ.

— ყველაფერს ვითმენდი, ყოველ იმის სიპილწეს ვუძლებდი... შეხედავდა, მეგონა, რომ არა ვარ ოჯახზე ორგულად... რომ ცუდი არაფერი მჭირს... რა არ ამიტანია, სიტყვის უთქმელად... მეგონა, მცდის-თქვა... ვცდილობდი რამე რიგად მისი ოხერი გული მომეგო... მარა არაფერი, არაფერი მე მასთან არ გამივიდა... კაცს ხმას ნუ გაცემო, კარგად ნუ იცვამო... ძონძებში რავა გამოვეხვიო, როცა, ღვთით, ვშოულობ, ვხელსაქნაროობ... ქმარს—ის უიმისოდაც სულელია—ქმარს მიხელებს, რას არ ეუბნება, აგულიანებს... დღეს რეები არ გამაგონა?... რა არ მითხრა?... რა არ შემწამა?... რატომ იქვე არ მოვკვდი!... რა ეჭვები შემოაქვს ჩემზედ?... ღმერთო, ღმერთო, რატომ ვარ

ცოცხალი ამის შემდეგ!?... და მარინემ დაწვრილებით უამბო ონისიმეს და სოფიოს დედამთილთან ნალაპარაკევი.

— ბიძია, ბიძია,—საყვედურით უთხრა მან ონისიმეს:—ბიძია, შენ ჩამაგდე ამ გენიაში!... რატომ მოიკიდე ჩემი ცოდვა?... რაზედ ათხოვეე ჩემი თავი მაგ ოხრებს! მარინე მწარედ მოსთქვამდა.

ისიც საკმარისი იყო, რასაც მოჰყვა მარინე, ონისიმესათვის და ამ საყვედურმა, ამ საყვედურის ცხარე სიტყვებმა ხომ მოხუცებული მისი გულის მონად გახადეს.

თოფ-ნაკრავივით წამოვარდა იგი ზეზე და წამოიძახა:

— მერე ის შენი სულელი ქმარი, ის სულელი ბიჭი...— გაჯავრებული კაცი სიტყვებს ძლიეს ახერხებდა.

— დედა-მისს რას გაუბედავს... კაცია?—ქვითინებდა მარინე.

— დალახვრათ ჩემმა გამჩენმა!.. სული მიცხონდა მე იმათ შავი ღღე მივაყენო!.. შეჩვენებულს... იმ კუდიან დედაკაცს!.. შეხედეთ ერთი!..—ყვიროდა ონისიმე.

— მოითმინე, კიდევ მოითმინე, შვილო,—ალერსით და ტკბილად ეუბნებოდა სოფიო და თან ეხვეოდა:—კიდევ მოითმინე, შვილო... სულ ასე კი არ იქნება... ისიც დარწმუნდება, შეხედავს, რომ ცდება... ტყვილა გიჯავრდება... კი, შვილო, მოთმინება ჯობია!..

— მოთმინება კი არა!.. ორივე დედა-შვილს სულს ამოვახთენ... თუ ადამიანის დაფასება არ იციან მაგ შეჩვენებულებმა—მე ოვუხელ თვალებს, თუ კაცი ვარ! შენ, ბიძიკო,—მიმართა ონისიმემ მარინეს:—შენ სულ ნუ წახთები... შიშს ნუ მიეცემი... მე ვიცი და იმათ... მე ახლავე წავალ იმ წყეულთან,—წამოიძახა ერთბაშად ონისემ:—ახლავე წავალ!... მომე, ქალო, ღვედი!

— კაია, თუ ღმერთი გწამს, კაია, ონისიმე!... ნუ აცერცეტდები,—უთხრა ქმარს სოფიომ:—რა დროს ფეფენასთან ლაპარაკია ახლა... გვაცალე... დაწყნარდეს ის ადამიანიც... ახლა რო მიხკიდე მასთან—ვარესად გაახელებ, მეტი რა იქნება... მერეც

შეხვდები და ეტყვი ტკბილად, სიტყვა-მოფიქრებით... უკვეთესი იქნება, თუ შენ სულ არ გაცემ ამაზედ ხმას... ისევ მე მეველაპარაკები... მე ვიცი მასთან ლაპარაკი!

თუმცა ონისიმე ქალიან იწევდა რძალთან საჩხუბრად, მაგრამ სოფიომ იმდენი იხერხა, რომ დაბოლოს ეს სურვილი გადაათქმევია ქმარს, მერე მარინეს მიაქცია თავისი ყურადღება და თავისი ტკბილი ზნით, მოხერხებული სიტყვით, შაქრიანი ენით სრულიად დაამშვიდა, დააწყნარა, გული გაუკეთა. ათასი იმედები გაუღვიძა და ისე გაისტუმრა რამოდენსამე ხანს შემდეგ.

— გეუბნებოდი, ნუ ერევი-თქვა იმ შენი ძმისწულის ქალის თხოვაში, ბოლოს შეგარცხვენენ და სამწუხაროდ დაგირჩება-თქვა და ხომ გამართლდა ჩემი სიტყვა... წინდაწინ ვიცოდი, რომ ასეთი ამბები იქნებოდა... და იმიტომ მეშინოდა ყოველთვის!..—საყვედურით ეუბნებოდა სოფიო ქმარს, როცა მარინე წავიდა.

—სიკეთე მინდოდა, სიკეთე, დედაკაცო, მაგ შეჩვენებულებისათვის... გაუწყრათ მაგათ ჩემი გამჩენი... კაცი არ ვიქნები, თუ მე მაგენი რჯულზედ არ მოვაქციო!.. კაცი არ ვიქნები!.. მაგ წუნკლიან, არა-წმინდა დედა-ბერს ასე რავა შევარცხვენიებ ჩემს თავს!

— კაი, კაი... კაია, დაწყნარდი,—შეუტია ქმარს სოფიომ: —ვის ახსენებ მაგრე... ვის ექადნები შე უბედურო, გავიწყდება?

— მისი კუდიანობის შენისთანა დედაკაცებს ეშინოდეს... მე სულაც არ მეშინია მისი!.. მის კუდიანობას ჩემზედ გასავალი არა აქვს!—გაცხარებით წამოიძახა ონისიმემ.

— შენისთანებს გამოუცდიათ მისი ძალ-ღონე... დიდ-გულზედ ხარ, ზურგს უკან რომ ლაპარაკობ! ვითომდა ვერ გეიგებს... რასაკვირველია! ამ იმედით იყავი!.. ონისიმე, თუ ღმერთი გწამს, თუ შენი ოჯახი გებრალება დაჩუმდი... ნუ იხსენებ ცუდად იმ შენ რძალს.. არ ივარგებს!..—თითქმის ხვეწნით უთხრა სოფიომ.

— აბა ფეხ-ქვეშ გევეშალო, ა?.. რას მეუნები დედაკაცო?! კუდიანს, არა-წმინდას ასე რავა დავუმორჩილდები, ღმერთო მომკალი!

— ჩუ-თქვა, ჩუ, შე უბედურო!.. რომ არაფერი ეყურება ამ კაცს... კაცის სიტყვა რომ არ ეყურება! რა გუნებაზედ შეიქენი დღეს?.. აქამდინ, რომ ყოველთვის მის ცუდად ხსენებას ერიდებოდი... დღეს რა ამბავია, რა ამბავია ეს?

— რა დამემართა და გული მომიკლა იმ ბოვშის საყვედურმა... მართალია, სულ მართალია!.. მე ჩავაგდე ის მაგათ ხელში... მე რომ არა, ნიკას ვინ ოხერი მიცემდა ქალს!.. არ მემართლება საყვედური?.. რავა არ გავცეცხლდები, შე ქალო!?.

მოხუცებული არ წყნარდებოდა, მშიშარა სოფიო თავს იკლავდა ამის მაყურებელი და ახლავე ხედავდა ათას უბედურებას მათ თავზედ ფეფენასაგან მოელინებულს; ტიროდა ქალი და წუწუნებდა ქმრის ჯიუტობის გამო. მაგრამ ის კი მაინც მოახერხა, რომ ონისიმეს ფეფენასთან წასვლა გადაათქმევინა.

გაიარა ორმა-სამმა დღემ.

ნაშუადღევის გადასული იყო. ონისიმემ თავისი ეზოდან თვალი მოჰკრა გზად-მიმავალ ფეფენას. ეს უკანასკნელი მიდიოდა ქვევით ყანის დასახედავად.

— მომითნე, მომითმინე!—გადმოსძახა ონისიმემ რძალს:— საქმე მაქვს შენთან!

ფეფენა გაჩერდა.

— ახლა მოგელაპარაკები, როგორც გეკადრება!—გაბედულად წამოვიდა ონისიმე, მაგრამ რა რიგად გამოეცალა ხელიდან ეს გაბედულობა მოხუცებულ ონისიმეს, როცა იგი ახლოს მივიდა ამ მაღალი ტანის დედაკაცთან, რომელიც ჯოხზედ დაბჯენილი იჯდა შარა-გზაში! ფეფენას, მოხვეულ შალს ქვეშ, რომლის ერთი ყურით ყბა ჰქონდა ამოკრული, უჩანდა მხოლოდ ცხვირი და ორი მკაცრად გამომჭვრეტი თვალი. ამ ცოტათი წელში გახრილ დედაკაცში იყო რაღაც ძალა დამალული, ამას უსათუოდ იგრძნობდა ყოველი კაცი პირველ შეხედვაზედვე; მისი შეხედულობა გაგრძნობიებდათ, რომ იგი სხვა

დედაკაცს არ ჩამოგაედა, რომ მასში სულ სხვა ნაირი ხასიათი იყო დაფარული; უნებლიედ რიდით აგვსებოდა გული იმის მოლაპარაკეს, და მორიდებას გაფიქრებინებდა. ამას ზედ ერთ-ოდა მისი განმარტოებულად ცხოვრება, მეზობლობაშიაც მიუ-კარებლობა—და ყოველივე ეს იყო მიზეზი, რომ სოფლად კუ-დიანობის ხმა ჰქონდა ფეფენას დავარდნილი, ყველა მას ერი-დებოდა და ყველას მისი შიში ჰქონდა.

ეს იყო მიზეზი, რომ თუმცა დიდი გულით წამოვიდა რძლისკენ ონისიმე, მაგრამ გაბედულობამ უღალატა და წყნა-რად უთხრა:

— რა ხანია შენი ნახვა მინდოდა.

ფეფენა კი ხმა-გაკმენდილი იდგა, მისჩერებოდა მაზლს და თითქო ეუბნებოდა თვალებით: „რაზედ გამაჩერე, თქვი ბა-რემაო“!..

ონისიმეს შერცხვა თავისი თავის, რომ წინად ისე იქადნე-ბოდა და ახლა კი სულ სხვანაირ კილოზედ დაიწყო ლაპარა-კი და მოხუცებულმა კაცმა თავგამეტებულად სცადა, თავისს წინაშე მაინც დაემტკიცებინა, რომ მას მართლა-და სულაც არ ეშინოდა კუდიანი ფეფენასი.

— რატომ ხარ ასე გლახა გულის ქალი?—დაიწყო მან:— რატომ, შე ქალო, ა?... კი ღმერთმანი!...

ფეფენამ თვალები მიაშტერა.

— მერე?—სთქვა მან.

— მართალს გეუბნები, მე და ჩემმა ღმერთმა!—ისევ წყნარ კილოზედ ჩამოვიდა ონისიმე:—მარინესთანა ქალი ყოველ ოჯახ-შია სანატრელი... არაა ცუდი ქალი!... რატომ დაგემართათ, რომ მაგისთანა ქალი ვერ იგუეთ?... მიკვირს, ღმერთმანი და... მწყინს კიდეც!

— ჰმ!—მშრალად ჩაიცინა ფეფენამ:—ადუკანტობა დეი-წყე?!.. საქმე შემოგლევია, გეტყობა... ადუკანტობა რა შენი საკა-დრისი ხელობაა!?...

— ადუკანტი ვარ თუ რაცხა ვარ, მე საქმეს გელაპარა-კები, რძალო!... ეგ ბოვში მე ვათხოვიე შენს შვილს... მისმა

ჭორისუფალმა მე ჩამაბარა მისი თავი და მარინეს ამბავი ყოველთვის მეკითხება, შე ქალო!

— მერე... რა გინდა?

— შენ ცუდად ეპყრობი მას!

— მიჩივის?

— კი არ გიჩივის, მე თვითონ ვხედავ... და პირში გეუბნები მაგას!... რატომ ახლა—რომ არ არის ურიგო ქალი?

— ონისიმე, ხომ იცი რა გაჭირვება გამომივლია იმ დღიდანვე, რაც შენმა ძმამ მითხოვა!?.. ყმაწვილი ქალი დავქვრივდი... ოჯახი დამაწვა კისერზედ ყმაწვილ, გამოუცდელ ქალს... მერე რა ოჯახი?—სამყოფი სარჩო რომ არ მოუდიოდა... მე ვიყავი იმ შავ-დღიდან მამაკაციც და დედაკაციც... ყანის დამხვნელი დამთესი, გამწმენდი და მომწევი... თან ბოვშსაც ვზრდიდი... ყველაფერი მე უნდა ვყოფილიყავი, მე მარტო-ხელა ქალი, შემწე რომ არავინ მყოლებია!... ვის უნახავს ჩემოდენა გასაჭირი?... ვის გამოუცდია, რაც მე გადამხდა?... მეზობლობა მე არ მიძებნია—სად მცალოდა და ზოგიერთ ჭკუა-თხელს გონია, რომ მე ადამიანი მძულს და იმიტომ არ ვეკარები არავის!.. მარა მე სხვის უგუნურ სიტყვას არ ავყოლიეარ ჩემს დღეში!.. ოჯახი კი ფეხზედ დავაყენე... ჩემი თავი ნამუსიანად შემინახავს—ჩირქი არ მომიცხია ოჯახისათვის და რომ ამდენ ტანჯვა-წვალებით შენახულ ოჯახს თავს ლაფი დაასხას, ქვეყნის ასაკლებად, სასაცილოდ გამიხადოს ვინმემ—მის სისხლს დალევს ფეფენა, იცოდეთ! ერთ წამსაც არ აცოცხლებს მას!—და აღელვებული დედა-კაცი ჯოხს ურტყამდა მიწას.

— ეგ კი, რასაკვირველია... მაგას მართალს ამბობ, ფეფენა!.. მარა მარინემ გაფიქრებია ახლა მაგისთანა რამე?!.. შე ქალო, შენი რძალი ყმაწვილი ქალია, რა ვუყოთ თუ ჩაცმა-დახურვაზედ სული მიუდის... ეგ არაფერს საშიშარს არ მოასწავებს...

— ჰმ, საშიშარს არ მოასწავებს!.. რა მისი საქმეა აბა პრანჭვა-გრეხა, თუ ცუდი რამ გულში არ ჰქონდეს!.. მე, ჩემო ბატო-

ნო, ხამის ლურჯი კაბითაც კარგად გამიტარებია ჩემი წუთისოფელი!..

— მე და შენი დრო სხვა დრო იყო, ფეფენა... ახლა სხვა დროა.. ახლანდელი ქალები სხვანაირად იზდებიან...

— ეგ არი, ეგ არი,—გაჯავრებით გააწყვეტინა სიტყვა ფეფენამ:—ეგ არი, რომ ახლანდელი ქალები სხვანაირად დაიზარდნენ... სხვანაირად უყურებენ ყველაფერს... ძველი სვინიდისიანობა დაიკარგა... ამჩატდნენ... უტიფარი შეიქმნენ. მორიდება აღარ იციან არაფრის... აღარაფრის რცხვენიათ... ნამეტანი გათამამდნენ... რატომაც არ გათამამდებიან, როცა შენისთანა გულ-კეთილი კაცები,—დაცინვით წარმოსთქვა ფეფენამ,—ამართლებენ, დასტურს აძლევენ და მათ მოწონებაში არიან!.. მათი უხეირო საქციელით ქვეყანა წეიპილწა და გეირყვნა!.. შენი წყალობით, ჩემდა გულის სახეთქად, ერთი ამისთანა მეც ჩამომივარდა ოჯახში და სიცოცხლე გამიმწარა!.. რად უნდოდა ჩემს შვილს, გლახაკს, ლამაზი გოგო ცოლად... ძროხასავით რომ დარბის სუყველგან და ცდილობს, ვინ ეიყოლიოს კუდში!..

— ტყვილა ეჰვობ, რძალო, სულ ტყვილა, დამიჯერე!—ჩაატანა სიტყვა ონისიმემ.

— ტყვილა, ტყვილა!.. ჰმ!... გახრეკილი დავით კარუგდელაძე ვინ შემომითრია სახლში? რაზედ დეიარება იგი, ოხერი, ჩემს ოჯახში, როცა მარინეს მოყვანამდი ისიც არ იცოდა, მქონდა თუ არა სახლი!.. სიმყრალე რომ გულში არ ჰქონდეს, რაზედ დეეთრევა, რას დასდევს იმ უნამუსო გოგოს?.. ეგ შენი წყალობითაა ყველაფერი, შენი წყალობით!.. შენ გადამკიდე უტიფარ სულიერს, შენ... ვაჟ-ბატონო!.. და შენ მარიგებ, რომ თავისს ნებაზედ მივუშვა სვინიდის - დაკარგული წყეული, რომ რამე საძაგლობა ქნას და ქვეყანაში თავი მომჭრას!..

— ფეფენა, ნუ აჩქარდები, ნუ აჩქარდები, რძალო... მითქვამს.. შენმა გულ-ფიცხობამ არ შეგაცდინოს, რძალო!

— აბა ვუყურო, გულ-გრილად ვუყურო, რასაც ჩემ თვალწინ ჩადის შენით მოთრეული გომბიო, გულ-გრილად ვუყურო? სირცხვილს რომ მაჭმევენ, მერე გამოვეკიდო საქმის გამოკეთე-

ბას?.. მაშინ გვიან იქნება, ჩემო ბატონო! მე თვალი მაქვს და ჭკუა თავში ჯერ არ გამომლაყებია, ზოგიერთივით!.. შენი რჩევა ჩემთვის უსარგებლოა, თავს ნუ იწუხებ, ნუ, ნუ იწუხებ! და შენთვის კი ეგ მითქვამს: კმარა, კმარა, რაც სიკეთე დამმართე, და შენი ჭკუით ჩემი ოჯახის საქმეებში ნუ ეჩრები, იცოდე, დამითხოვიხარ... დამითხოვიხარ, იცოდე... და კარგად დეიმახსოვნე ეს, გესმის?

ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთი დამუქრებით და თან ზიზღით წარმოსთქვა დედაკაცმა, რომ ამის გამგონე ონისიმე სულ სხვა კაცად გარდაქმნა. ახლა დაავიწყდა მას ფეფენას კუდიანობაც, მისი ძლიერებაც, და მხოლოდ თავისი წყენა, თავისი თავმოყვარეობის შელახვა, თავისი შეურაცხყოფა-ღა ედგა თვალწინ და ეს იყო მიზეზი, რომ მან, გაცეცხლებულმა, უცნაური ხმით მიაყვირა ფეფენას:

— თუ ეგრეა, ჩემიც დეიმახსოვნე... ჩემს მოხუცებულობას ვფიცავ, მარინეს რომ ცუდი რამე შეამთხვიო, ვერც დედა და ვერც შვილი ცოცხალი ვერ გადამირჩებით! ცოცხალი ვერ გადამირჩებით, იცოდეთ!.. ჰაი, თქვენი რჯული, გაგიწყრაო ჩემი გამჩენი! ცოცხლები ვერ გადამირჩებით, იცოდეთ!

ათრთოლებული ონისიმე უცბად მიტრიალდა და თავისი სახლისკენ გასწია. მაგრამ ერთი კიდევ მოტრიალდა და გადასძახა რძალს:—„კარგად დეიმახსოვნე ჩემი სიტყვა... ცოცხლები ვერ გადამირჩებით, თქვე შეჩვენებულებო!...“

— რა ქალი მოვაყვანიე მაგ დაწყევლილს და რას მეუბნებიან, შეხედოს კაცმა ერთი?! კაცი არ ვიქნები, თუ შენისთანა ურჯულო, არა-წმინდა, რჯულზედ არ მოვიყვანო!.. შეჩვენებულები, შეხედეთ, შეხედეთ ერთი!

ფეფენა კი ერთ ხანს ისევ თავისს ადგილას იდგა და მისჩერებოდა გაჯავრებული, გაწიწმატებული მიმავალ მაზლს, მერე ესეც თავისს გზას დაადგა და ქვეითკენ წავიდა ყანის დასახედავად.

სოფიო, მშიშარა სოფიო, შიშმა აიტანა, რაკი ყური მოჰკრა რძალ-მაზლის ლაპარაკს.... მან კარში გამოსვლაც ვერ

გაბედა საწყალმა, ვიდრე ფეფენამ არ ჩაიარა; სოფიომ მაშინ გააღო სახლის კარი და ქმარს ყვედრებით მიმართა...

— ვიცოდი, წინ და წინ ვიცოდი... რომ ასე გათავდებოდა შენი მასთან მუსაიფი!.. ღმერთო მომკალი, ღმერთო მომკალი!... გამოტვინდი, შე უბედურო, გამოჩერჩეტდი, შე საწყალო?! გეხვერწე, გემუდარე—ნუ შეებმები-თქვა ლაპარაკში... არა, არ დეიჯერა, არ დეიჯერა ადამიანის სიტყვა! ღმერთო, ღმერთო!—გაიძახოდა მწუხარედ სოფიო.

— მა რა მექნა, ერთი შენც?!. მოთმინებიდან გამომიყვანა იმ წყეულმა, იმისთანები მითხრა.. მკვდარი ხომ არა ვარ... რა რიგად მომეთმინა?!.. მკვდარიც არ მოუთმენდა, მე რომ იმან მითხრა!

— უნდა მოგეთმინა, უნდა მოგეთმინა!.. ვის ებრძვი, ვის, შე უბედურო?.. რატომ არ ერიდები, შე უბედურო, რატომ არ ერიდები? ვინ გიშველის, ვინ დაგიფარავს, შენზედ ჯავრის ამოყრა რომ მოინდომოს?

— ვერაფერს ვერ მიზამს! — დაჟინებით წამოიძახა ონისიმემ.

— დიაღ, დიაღ, მაგ იმედით იყავი, მაგ იმედით იყავი!..

ქმრის ამგვარი ჯიუტობა გულს უკლაედა საწყალ სოფიოს.

— ეჰ, ერთი შენც კიდევ!—გაჯავრებით სთქვა, მოხუცებულმა კაცმა:—რასაც მიზამს, ქნას და ის იქნება... წავალ ახლა, მუხლზედ მოვეხვევი, შენი მეშინია და მაპატიე-თქვა, თუ რავა გგონია?...

— ვაი ჩემი ბრალი შენს ხელში!.. არ ვიცი შენი ჯიუტი ხასიათის ამბავი თუ?.. ისევ ძე უნდა დავაშოშმინო რამე გზით... ისევ მე უნდა დავაწყნარო!.. ვაი ჩემი ბრალი შენს ხელში, ყოველთვის მე გულის ხეჯქაში ვარ შენი წყალობით... სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა მშიშარა დედაკაცმა.

ფეფენამ დახედა ყანას და ახლა უკან დაბრუნებული, იმავე გზით, სახლისკენ მოდიოდა. თავ-ჩაღუნული, ნელი ნაბიჯით მომავალი, ჯოხზედ დაყრდომით, იგი ათას ფიქრებში იყო წასული... რამდენი მწუხარება, რამდენი უსიამოვნება შეხვდა ამ

ბოლოს დროს?.. ახლაც, ამ ერთი საათის წინ რა ლაპარიკი მოუხდა!?. რა რიგად გაუწვალდა, გაუუგემურდა მოხუცებულობა ამ გლახა გომბიოს გამოისობით?.. რა რიგად მოუშხამა სიცოცხლე ამ უხეირო გოგომ? რა უყოს, რა რიგად აიცდინოს თავიდან განსაცდელი, აიცდინოს ქვეყანაში თავის მოჭრა!.. განსაცდელი მოელის, უსათუოდ მოელის, ამაში დარწმუნებულია ფეფენა!.. რა რიგად უჭირავს თავი, იმ შეჩვენებულს? ვის გაუგონია გათხოვილი ქალის კისკისი, დაუთავებელი სიმღერა, ცეკვა-თამაში ისე, როგორც მან იცის?... გაგონილა ისე თამამად, მოურიდებლად, თავისუფლად ლაპარაკი, მან რომ კაცებთან ლაპარაკი იცის? რას გავს, რავა შეჰფერის ქმრიან ქალს, მან რომ მოკმაზვა-გამოპრანჭვა იცის? ეს გახრეკილი აზნოურშვილიც რომ შემოუთრია სახლში!... ალბად იმედს აძლევს, იმედს! აბა, რაზედ დასდევს ეს შეჩვენებული ასე მოუცილებლად... ამ უნამუსოს კი უხარია, რასაკვირველია, უხარია, რომ აზნოურშვილი უკან დამდევსო!.. უჭკუო, გამოტვინებული ონისიმე კიდევ ამართლებს და... ხმა არ გაცეთო!... დიაღ, სწორედ ეგრე იზამს ფეფენა! სულ თავისუფლად ამყოფებს სანამ თავზედ ლოფს არ დაასხმენ!... სულს ამოახდენს, თავის ხელით წაახჩობს ფეფენა, ვინც მის წვა-დაგვით შენახულ ოჯახს რამე ჩირქს მოაცხებს, ცუდ სახელს დაუგდებს!... ფეფენასთან გლახაა ხუმრობა!...

ცალკე ამ ფიქრებში გართული, ცალკე დაღალული, ნელა-მომავალი ფეფენა ის-იყო ვიწრო ორ-ღობიდან ფართო გზაზედ გამოვიდა, რომ რაღაც ხმა მოესმა, რომელმაც მოხუცებული ქალი ფიქრებიდან გამოიყვანა. მან ასწია თავი და, გაიხედა იქით, საიდანაც ხმა მოესმა.

გაფითრებული ფეფენა თითქო მიეკრა იმ ადგილს, სადაც იდგა.

ეს მარინე იყო, ჩაფი ედგა მხარზედ და მირბოდა ზევითკენ. ფეფენამ ადვილად იცნო; მას ელაპარაკებოდა ღობეზედ მომდგარი დავით კარუგდელაძე, რომელიც ეხლა მარინეს უკან მისძახოდა:

— კვირას მოვალ, უსათუოდ გეწვევი... კაი მასპინძელი თუ დამიხვდები!—მარინე ისევ მირბოდა და დავითიც ღობეს მოშორდა.

სისხლი თავში აუვარდა მოხუცებულ ფეფენას ამ სურათის დანახვაზედ! ახლაც ტყუილად ეწამება იგი მარინეს, ახლაც სცდება თავისს ეჭვში? იმ ზომამდინ იყო გაფითრებული, რომ მოსაზრების ძალაც კი დაკარგა ნახულის მოულოდნელობით; თავდაპირველად ვერ მოისაზრა—რა ექნა, რა რიგად მოქცეულიყო. მერე კი ისევ გონზედ მოვიდა, მოშორდა იმ ადგილს, სადაც გაქვავებულივით იდგა, მიირბინა ღობესთან, სადაც დავითი იყო გადმოწოლილი, ერთი თვალის დახამხამებაში ახტა ღობეზედ და ყანაში გადახტა; მიავლ-მოავლო ყანას თვალი და რომ ვერა კაცი ვერ დაინახა, ხმა-მაღლა დაიძახა:

— სად ქვესკნელში ჩამძვრალხარ?.. შე წუწკო, უსვინიდისო, შენ!—მერე, ვითომც რაღაც გაახსენდა, გამოტრიალდა, ისევ გადმოხტა ღობეზედ და შარა-გზით გაქანდა ზევითკენ ძუნძულით.

ცოტა ხანს შემდეგ იგი დავით კარუგდელაძის ეზოში იყო. დავითის ცოლი, ნატალია, რომელიც ბალკონზედ იჯდა ხელსაქნარით ხელში, კიბესთან შეეგება მას.

— მობძანდი, მობძანდი ჩემო ფეფენა! რას მივაწერო, რომ გაგეიხსენე... სულ დაგვივიწყე, შე ქალო!

ფეფენა ავიდა დაბალი კიბით ბალკონზედ, ჯოხით ხელში.

— კესარია, გოგო! სკამი მოართვი ფეფენას!—დაუძახა ნატალიამ მოსამსახურეს.

— დასაჯდომად კი არ მოვსულვარ!—მკვახედ წამოიძახა ფეფენამ.

ნატალიამ იცოდა ამ დედაკაცის ხასიათი, მაგრამ ამ სიტყვის კილომ მაინც გააკვირვა იგი.

— რა იყო, შე ქალო! რა ამბავია?.. ხომ არავის უწყენია შენთვის რამე?—ჰკითხა ნატალიამ, მაგრამ იქვე დაატანა:— მარა შენ ვინ გაგიბედავს, გაწყენიოს რამე.

— შენ ქმარს ჩემი ოჯახის თავს ლაფის დასხმა მოუნდომებია... — ძლივს წამოიძახა მეტის-მეტად აღელვებულმა ფეფენამ.

— რას ამბობ ფეფენა, რას ამბობ?.. მაგ როგორ იქნება?

— გეუბნები—მართალი ყოფილა!—უზრდელად მიაძახა ფეფენამ:—იცოდე, მეც ისე გევიმეტებ, როგორც იმას ვყავარ გამეტებული!.. გოგო სულელია... იმას არაფერი ესმის!.. უხარია აზნაურშვილი უკან დამდევსო!.. აზნაურშვილს გარყვნილობის მეტი რა ახსოვს?.. ჩამომათხოვე, ნატალია, შენი ქმარი!.. ნუ დასდევს ჩემს შეჩვენებულ რძალს... ქვეყნის თვალში სასაცილოდ ნუ მხდის, თვარა არ ვიცი, არ ვიცი, რას მაქნევინებს, რას გამაბედვინებს შენი ქმრის გარყვნილობა! რაც არ გეკადრებათ, ნუ კადრულობთ... კეთილ-შობილებს გეძახიან!

აზრ-დაბნეულივით მისჩერებოდა ნატალია ამ გააფთრებულ მოხუცებულ დედაკაცს და საშინელ ძალას ატანდა თავისს თავს მოთმინება არ დაჰკარგოდა და ბოლომდინ მოესმინა, რაც იქნებოდა, ამ უცნაური დედაკაცის უზრდელი ლაპარაკი.

— ვეტყვი, ყველაფერს ვეტყვი დავითს და შენ და ის ერთმანეთში მოილაპარაკებთ... მე რა უნდა გითხრა?—უთხრა ნატალიამ და ამით უნდოდა ბოლო მოეღო ამ უცნაური ბაასისათვის.

— ჩემთან იმას არაფერი სალაპარაკო არა აქვს! რაც სა თქმელი მქონდა, გითხარი და აწი თქვენ იცით!.. მშვიდობით ბძანდებოდე!—წამოიძახა ფეფენამ და თავიც არ დოუკრავს მიტრიალდა და უცბად ჩაირბინა კიბე.

— სად მიიჩქარი, შე ქალო?... დაჯექი, დაწყნარდი, შე ქალო, და ისე წადი!—უთხრა ნატალიამ ფეფენას დასაშოშმინებლად, მაგრამ იმას ამაზედ არც კი მოუხედავს, მხოლოდ წაილაპარაკა:

— საქმე კი არ გამომლევია თქვენსავით... თქვენთან ვილაყლაყო!—ფეფენამ ისე ხმა-მაღლა სთქვა ეს, რომ ნატალიამ გარკვევით გაიგონა. ერთი ბეწო დაიკლდა, კინაღამ ბიჭს უბრძანა—ეს პილწი დედა-ბერი კისრის-ტეხით ეზოს გარედ გააგდეო.

საღამოზედ შინ-დაბრუნებულ დავითს ყველაფერი უამბო ნატალიამ, რაც ფეფენასაგან გადაჰხდა.

— რა სულელები არიან ოჯახ-დაქცეულები,—წამოიძახა დავითმა, როცა ნატალიამ გაათავა ეს ამბავი:—თუ კი ქალს ხმა გეეცი, უსათუოდ რამე უნდა შეგწამონ... რა ჩემ ფეხებად მინდა მწვირიანი ყაზახის გომბიო, როცა ლამაზი ცოლი სახლში მიზის... მე ხვალვე ავუხსნი ყველაფერს იმ დედაბერს!... შენ კი ყოჩაღად მოქცეულხარ, რომ მოგითმენია და სახლიდან არ გაგიძუნძუხებია... პილწია ის ოხერი!

— მოვერიდე, მა რა მექნა?!... მთელი ქვეყანა კუდიანობას სწამობს... ვინ იცის, ეგებ მართლადაც იყვეს... მერე რომ რამე შეგამთხვიოს, რაღას იზამ?... თუ ღმერთი გწამს, ხვალ უსათუოდ მიდი იმ დედაბერთან და რამე რიგად დაამშვიდე, დააწყნარე ის უხეირო... ნამეტანი გაანჩხლებულია!

— უსათუოდ, უსათუოდ ვნახავ ხვალ და დავაშოშმანებ, —სთქვა დავითმა.—გეტყობა ძალიან შეუშინებიხარ,—სიცილით უთხრა მან ცოლს.

დავით კარუგდელაძისაგან ფეფენამ პირდაპირ თავისი სახლისაკენ გასწია.

უკვე საღამო იყო, როცა ფეფენამ თავისს ეზოში ფეხი შედგა.

მარინე ვახშმის კეთებას შესდგომოდა; ცეცხლზედ ჭადებისათვის კეცები შეელაგებინა, პატარა ქოთნით ლობიო მიედგა და თვითონ თაროსთან ცომს ზელავდა ჭადისათვის. ნიკა ცეცხლს მოშორებით იჯდა გაყუჩებული პატარა დაბალ სკამზედ და ყალიონს შეექცეოდა.

კარი გაიღო და ფეფენა შემოვიდა სახლში.

— შენისთანა გომბიოს თავზედ ლაფი რავა დავასხმევინო? თავზედ ლაფი რავა დავასხმევინო, ღმერთო მომკალი?!—შემოსვლისათანავე დაჰკექა მან:—შენისთანა გომბიომ რავა გამიხადოს ჩემი ოჯახი ქვეყნის სასაცილოდ?! რას გადმოგიყვლიპინებია მაგ დასაფსები თვალები?!... შენ, შენ, შენ გეუბნები, შე... შე სასიკვდილევ! — მიაყვირა ფეფენამ მარინეს, როცა

ამან თვალები მიაშტერა მოქალქანე დედამთილს.—რაზედ მომიმტრიე ეს ჩემი სისხლის მსმელი, ჩემი მკვლელი, შე სულელო, შე უტვინო, უტვინო?—მიუბრუნდა მერე შვილს.

— რა იყო, დედა!... რა იყო, ჰა?—იკითხა გაუბედავად ნიკამ.

— შენი თვალების დაბნელება, შენი თვალების დაფსება, შვილო!.. ათასჯერ მითხრობია შენთვის, ნუ ხარ ლენჩი-თქვა, ნუ ხარ დაგლახავებული-თქვა... შეგხედოს შენმა ოხერმა ცოლმა, რომ ქმარი ყავხარ!... არ გაგონა დამბადებელმა არაფერი, ჩემი დარიგება შენ ვერ გეიგონე! იმიტომაც კაი საქმე გემართება...

მარინემ ცომის ზელას თავი დაანება და ხელებ-წაკაპიწებული, გაშტერებული იქვე თაროსთან იდგა და გაოცებით ყურს უგდებდა ამ ლაპარაკს.

ნიკამ ერთი თვალით გადახედა მას და ისევ შეეკითხა დედა-მისს.

— რა ქნა მაგ შეჩვენებულმა, ჰა? რა ქნა, რა?

ოჰ, რა საზიზღარი რამ იყო ამ წამში მარინესათვის ეს დედის ყურმოჭრილი მონა-შვილი.

— რა ქნა? ჰკითხე, ჰკითხე... თვითონ მოგახსენებს... მაგას ხომ არაფრისა რცხვენია!.. შარა გზაში რომ ძროხა დედაკაცი საარშიყოდ გამოდგება, იმას რიღასი რცხვენია?.. სულ დაივიწყე, შე შეჩვენებულო, სირცხვილი?.. სვინიდისის აღარ შეგრჩა ცოტაოდენი მაინც მაგ შენს გარყვნილობაში?.. ისიც აღარ იფიქრე, რომ ამ შარა გზაში ვინმე დაგინახავდათ?... თუ აღარც კი ერიდები ვისმე?!... ჰა? ამ ზომამდინ მივიდა შენი თავხედობა და უნამუსობა?... ჰმ! რასაკვირველია, ამ ღვთის გლახას წუწკი აზნოურშვილი დავითი სჯობია!... რასაკვირველია, რასაკვირველია!.. მარა მე რას მიპირობ?... მე დამივიწყე, რომ ცოცხალი ვარ?... შე გარყვნილო, შე უტიფარო!—ყვიროდა ბრაზ-მოსული ფეფენა, რომელიც თავს ველარ იკავებდა თავისს გულის-წყრომის გამოთქმაში და ამასობაში უფრო და უფრო ხელდებოდა და ბორგდებოდა.

მარინემ ჯერ დრო მისცა ამ დედაკაცს ამოესვარა ტალახში მისი ნამუსი, მერე კი სცადა თავის გამართლება; ცდილობდა აეხსნა, თუ რარიგად შეხვდა მას დავითი, ეფიცებოდა, რომ მას, მარინეს, დავითისათვის ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ხმაც არ გაუცია, მაგრამ ყოველივე ეს ამაო იყო... ფეფენას აღარაფერი ეყურებოდა ამგვარები, მხოლოდ მარინეს ხმა უფრო ახელებდა, უფრო ბრაზს უმატებდა და ბოლოს იმ ზრამამდინ მივიდა ფეფენა, რომ არავითარ სიტყვას აღარ ერიდებოდა მარინესათვის; სიტყვა სიტყვაზედ უფრო მყრალი, პილწი, ეჭვი ყოვლად საზიზღარი, ნამდვილად აღსარებული უანგარიშოდ, უზომოდ ეყრებოდა თავზედ ყმაწვილ-ქალს.

ბოლოს ამასაც მოთმინებამ უღალატა და, რაც ძალა ჰქონდა, განწირულებით შეჰყვირა გააფთრებულ დედაბერს:

— გაჩუმდი!.. გაჩუმდი!.. კმარა!..—და ცხარე ცრემლები შადრევანივით წამოუვიდა თვალებიდან. მთელი სხეული უცახცახებდა მას.

— ვის უბედავ შენ მაგას, ჰა? ვის უბედავ?..—წამოვარდა ნიკა და მარინესაკენ წამოიწია.

— ღვთის გლახა! ღვთის გლახა!—ზიზღით მიაძახა მარინემ:—ღვთის გლახა!.. იქით, ახლოს არ მომეკარო!

— შეხედე, შეხედე ამ გარყვნილს!.. შეხედე ამ არა-წმინდას!—მიაყვირა ფეფენამ და ამანაც მარინესაკენ მიიწია.

— არა-წმინდა არ იყვე, კუდიანიც არ იქნებოდი!—გადმოსძახა მარინემ.

— გარყვნილო, როსკიპო! სხვას აბა რას იტყვი... როსკიპო, როსკიპო! იწივლა ფეფენამ, მოიქნია ჯოხი, და ისიყო თავში უნდა დეერტყა მარინესათვის, რომ ამ უკანასკნელმა ვეფხივით ისკუპა თავისი ადგილიდან, ერთ თვალის დახამხამებაში დეეძგერა მოხუცებულ დედაკაცს, ღონიერად მოიქნია იგი და მძლავრად მიწაზე დაახეთქა.

ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ნიკა სრულიად დაიბნა, მერე უცბად წამოაელო ხელი პატარა სამ-ფეხიან ხკამს და მა-

რინეს ესროლა, მაგრამ სკამი ასცდა და მარინეს მაგიერად მძიმედ მოხვდა კედელს.

მარინემ ერთი-ორჯელ ჩაჰკრა წიხლი ფეფენას და კარში გავარდა.

— სად მიხვალ?.. სად მიხვალ, შე შეჩვენებულო?... გაჩერდი, თვარა ეს არის მოგკალი!—ყვირილით მისდევდა უკან ნიკა.

მარინემ ერთ წამში გადირბინა ეზო, გადახტა ღობეზედ და ბნელ ღამეში მშველივით მიჰქროდა ორ-ღობეში.

— მიშველეთ, მიშველეთ!—ყვირილით მივარდა მარინე ონისიმესას:—ბიძია, მიშველეთ, თვარა მომკლეს!...

შეშინებული ჯალაბობა გარედ გამოცვივდა ამ ყვირილზედ და, გაოცებულნი მარინეს შეხედულობით, ეკითხებოდნენ, თუ რა ამბავი მოხდა.

ძლივს მოასწრო მარინემ ორიოდე სიტყვის წარმოთქმა, რომ ეზოში ნიკამ შემოირბინა.

— აქ არი, ბიძია, მარინე?— დაიძახა მან.

— შენ ხარ, ბიჭო, ნიკა?—შეეკითხა მას ონისიმე.

— ჰო, მე ვარ, ბიძია, მე! მარინე თქვენთან არი?

— ბიჭო, რა ღმერთი გიწყრებათ? რა ავი ზნე გივლით! ალარ გრცხვენიათ მაინც?

— მაგას უწყრება ჩემი გამჩენი, მაგას!... მაგ უსვინიდისოს, გარყვნილს! ბიძია, დედა-ჩემი გამილახა მაგან, დედა-ჩემი! რავა არ მოვკლა მაგ?... ნუ გყავთ მაგი სახლში... გამოაგდეთ... კარში გამოაგდეთ!...

— შენმა სიცოცხლემ!—გამოსძახა მარინემ სახლიდან.

— აბა სხვაგან სად წავიდოდა?... უკეთესს თავშესაფარს სად მონახავდა!... მარა ძალიან შემცდარი ბრძანდები!—მოისმა ღამის სიბნელეში ფეფენას ხმა:—მად არის, ბიჭო, ხომ?

— კი დედა, აქ არი, აქ?—მიუგო ნიკამ.

— არ გრცხვენია, ბატონო, ონისიმე, არ გრცხვენია ახლა?... აქ გამომიყვანე მაგ შეჩვენებული...—ფეფენა სახლის-წინ გადმოხურულში შემოვიდა, სადაც სხვებიც იყვნენ.

— ორივე დედა-შვილი თავიდან მომშორდით, დამითხოვიხართ ამ ჩემი სახლიდან... ამ ჩემ ეზოში არ ენახო არც ერთი... ახლავე გამეცალეთ... მე თქვენთან ლაპარაკის თავი არა მაქვს! — შეუტია გაჯავრებით ონისიმემ.

— შენთან სალაპარაკოდ კი არ მოვსულვარ, ვაჟბატონო... ოგოგ გამოაგდე გარედ, ამას ვეუბნები, გესმის? — წყალობით მიუგო ფეფენამ მაზლს.

— ონისიმე, კაცო... გეიგონე ჩემი... ნუ იკიდებ შენი ოჯახის საცოდაობას... ნუ ახელებ მაგას... გაატანე მაგ ბოვში! — ხმადაბლა წაულაპარაკა სოფიომ ქმარს.

— მაგის მეშინია, თუ რავა გონია მაგას?!... ახლავე გავაძუნძულებ ამ ჩემ ეზოდან, თუ კაცი ვარ! — წამოიძახა ონისიმემ და წინ წაიწია, მაგრამ სოფიომ უცბად წაავლო ხელი ახალუხის კალთაში და უკან დაახევინა.

— მოჰკიდე, ბიჭო, მამა-შენს ხელი, ფეხი არსად გადაადგმევინო, — უთხრა მან იქვე მდგარ შვილს და თვითონ კი სახლში შევიდა.

— მარინე, შვილო, წაჰყევი... წაჰყევი, ჩემო ბიცოლა! ნუ გეიმეტებ ბიძი-შენის ოჯახს, შენი ჭირი შეეყაროს შენს ბიცოლას! ამოგვწყვეტს, ამოგვბუგავს... აღარ დაგვინდობს... ათას უბედურებას შეგვყრის მაგ შავ-ღღეზედ გაჩენილი! ნუ მოიკიდებ ჩვენს ცოდვას... შენთვისაც აჯობებს, რომ წაჰყვე, შენ ნუ მომიკვდები! — ხვეწნა დაუწყო სოფიომ მარინეს.

— ბიცოლა, მომკლავენ!... მომკლავენ, ბიცოლა! არ იცი შენ მაგათი ამბავი... ღმერთმანი მომკლავენ!... ბიცოლა, ნუ მოაკვლეინებ მაგათ ჩემს თავს... ბიცოლა, შენ დაგენაცვლე, შენი სულის ჭირიმე, დამიფარე, მაგათ ხელიდან მიპატივე! მომკლავენ, მომკლავენ მაგ ურჯულოები! — მოსთქვამდა მარინე.

— ნუ გეშინია, შვილო... მე შეგარიგებ ფეფენასთან... მე დოვუჩოქებ და ისე შევეხვეწები გაპატიოს, დედაშვილობამ... ოღონდ ახლა წაჰყევი... ოღონდ მაგას ჩვენზედ ნუ გაახელებ... მე შეგარიგებ... ნუ ტირი, შენი სულის ჭირიმე... კაია, ნუ ტი-

რი!...—და თვალ-ცრემლიანი სოფიო გულში იხუტებდა მტირალ მარინეს და თავსა და პირს უკოცნიდა.

— როდემდის უნდა ვიყურყუტო ამ ღამეში?!—წამოიძახა ფეფენამ:—უმაგისოდ მე აქიდან ფეხს არ მივიცვლი.

— გიახლებათ, ბატონო, გიახლებათ, შენი ჭირიმე!—დაიძახა სახლიდან სოფიომ; გადმოხურულში გამოვიდა, მარინე გამოიყვანა თან და ფეფენას წაუყენა წინ.

— ჩემო ბატონო, შენი ჭირიმე, შენ დაგენაცვლე... აპატიე მაგ უბედურს მისი უგუნურობა,—დაუწყო ხვეწნა სოფიომ ფეფენას:—ნუ დასჯი შენი სულგრძელობისათვის!

— ხელი მოჰკიდე, ბიჭო!—უბრძანა ფეფენამ ნიკას:—არსად გაგექცეს კიდევ!... წამობრძანდი, ქალბატონო!

სოფიოს სიტყვები კი ვითომ არც კი, გეეგონოს ისე წაუყრუა ფეფენამ მას. ნიკამ ჩააელო მარინეს მკლავში ხელი და ეზოდან გაიყვანა. მტირალი მარინე დასაკლავი პირუტყვივით მიჰყვებოდა ქმარს.

— აი, დაგწყევლა ჩემმა გამჩენმა... არა წმინდა რაღაც გაუჩენიხარ ღმერთს!—მიაძახა ონისიმემ ფეფენას.

— გაგიხმა მაგ ენა!..—შეუტია სოფიომ და ისევ ფეფენას გაჰყვა ხვეწნით, რომ მას ეპატივებინა მარინესათვის მისი დანაშაულობა.

ამ დღიდან სრულიად მიიკარგა მარინე; სოფლად იგი არავის უნახავს. სოფლელები ლაპარაკობდნენ, რომ ქმარმა და დედამთილმა, როცა ონისიმესაგან სახლში მიიყვანეს, ისე გალახეს, რომ ავად არისო; ზოგიერთები ამბობდნენ, დედამთილი სახლს გარედ არსად უშვებსო, ეზოშიაც არ ახედებსო. ყოველ ამგვარ ლაპარაკს ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ფეფენასთან ძვირად თუ ვინმე მოვიდოდა ოჯახად.

მეზობლობაში რძალ-დედამთილის უცნაურად გადაკიდებას და ყოველგვარ უთანხმოებას იმით ხსნიდნენ, რომ ფეფენას არ შეეძლო ეგუებინა თავისს მახლობლად იმისთანა ქალი, რომელიც მისი კუდიანობის მონაწილე არ გახდებოდა და იგი ვითომც ცდილობდა, ყოველ ღონეს ხმაროდა, არა საშუალებას

არ ზოგავდა, ოღონდ კი მარინე თავისი ხელ-ქვეითი გეეხადა, გეეკუდიანებინა. ეს ყველას უტყუარ საბუთად, ჭეშმარიტებად მიაჩნდა და როცა ფეფენას ოჯახში წინანდელი უთანხმოების ამბავი აღარ ისმოდა მეტად, ყველამ დაამტკიცა, რომ ფეფენამ თავისს საწადელს მიაღწია, მარინე დაიმორჩილა და კუდიანობაში გარიაო.

— გული ამოსჭამაო,—ამბობდნენ,—და ყოლისფრის ხალისი დოუკარგაო; როგორიც თვითონ არის, იმისთანა გახადაო.

ამაში უფრო რწმუდებოდნენ მით, რომ მნახველები მარინეს ველარ ცნობილობდნენ, სრულიად ველარ ცნობილობდნენ მასში უწინდელ მარინეს. ახლანდელი მარინე თავისი დედამთილივით ერიდებოდა ყველას, ძვირად ვისმეს გამოელაპარაკებოდა; აღარავისი ნახვა, შეხვედრა მას აღარ ეხალისებოდა წინანდებურად. საწყალს ყველაზედ გული გაუტყდა; ვისზედაც მეტი იმედი ჰქონდა, ონისიმემაც, ვერ დაიფარა იგი ფეფენას ხელისაგან; მას გადახდა ყოველივე თავისი და ახლა აღარავინ ესაჭიროებოდა მომხმარედ; აშკარად დაინახა, რომ ფეფენას წინაალმდეგი ვერავინ გამოჩნდა, რომ ფეფენა ყველაზედ ძლიერი ყოფილა, რომ მასთან ბრძოლა ამაო იქნებოდა და დაემორჩილა, ეყმო სულიან-ხორციანად. მისი მაყურებელნი კი ამნაირ მის მდგომარეობას მის გაკუდიანებას აწერდნენ.

ფეფენასთან ერთად ახლა მარინესაც დაუწყეს რიდება, ახლა მისი შიშიც მიემატათ მეზობლებს.

დღე-მუდამ ლაპარაკი ისმოდა ამ ბოლოს დროს, რომ ამა და ამ კაცს მთლად საქონელი ავად გაუხდა, ამას წვრილ-ფეხობა აღარ ეზრდებაო, ამას ეს ცუდი საქმე შეემთხვაო და ეჭვი მარინეზედ მიჰქონდათ... მის კუდიანობის შემდეგ მომრავლდა სოფლად ყოველივე უბედურობაო... ახლა ბავშვებსაც კი აშინებდნენ მარინეს სახელით და საქმე იმ ზომამდინ მივიდა, რომ როდესაც მარინეს ერთ-ხელ ვიდაც ბავშვი შეხვდა, ამ უკანასკნელმა შექმნა შიშისაგან საშინელი ყვირილი და გულ-გადატრიალებულმა ძლივს მიაღწია ცოცხალმა სახლამდინ.

ერთი მოხუცებული დედაკაცი, რომელსაც ფეფენასათვის უარი ვერ ეთქვა და სიმინდის სარჩევში მოსახმარებლად სახლში წაჰყოლოდა და მათთან ვახშამიც ეჭამა, ყველას არწმუნებდა, რომ გამოვცილდი თუ არა ფეფენას სახლს, პირის საშინელი აყროლება ვიგრძენიო... გულ-გახეთქილ მოხუცებულს ვერას გზით ვერ მოეშორებინა ეს საძაგელი სუნი პირიდან და უზომოდ შეწუხებულს თავშალის ყურით მაგრად აეკრა ცხვირ-პირი; მთლად ჯალაბობა გაეკვირვებინა თავისი ხმის ამოუღებლობით, ეგონათ თურმე, ავად თუ არისო... თეთრად გეეთენებინა ის ღამე და ალიონზედ მაკრინე-მკითხავთან წასულიყო... მაკრინეს ეთქვა—ქალალდიდან ამოეკითხა,—რომ ეგ ამბავი მარინეს საქმეაო, ფეფენას რად მოეხმარეო... ხანდახან თურმე კუდიანობაში ეჯიბრება კიდევაცო... მაკრინეს ამასთანავე შენალოცი მარილი მიეცა ამ დედაკაცისათვის და ის მარილის პირში ხშირ-ხშირად გამოვლებით განთავისუფლებულიყო საზარელ მდგომარეობისაგან. ვინ იქნებოდა იმისთანა, რომ არ დაეჯერებინა ეს ამბავი, როდესაც ამას ამბობდა ის, ვისაც ყოველივე ზემოხსენებული თავს გადაჰხდომოდა.

ახლა კი მარინე ნამდვილ კუდიანად იყო ცნობილი.

— წადი, კაცო, წადი, მეტი გზა აღარ არის, წადი და მაგ უბედურის ჭირისუფალს შეატყობინე მათი შვილის ამბავი...— ეუბნებოდა ონისიმეს სოფიო.

— მრცხვენია, ქალო, მრცხვენია, გესმის!.. რა პირით დევენახვო მარკოზას?.. რა რიგად მოვუყვე მისი შვილის გაბოროტიანებას?—ამბობდა მწუხარებით სავსე ონისიმე:—სიტყვა მივეცი პატიოსანი, თქვენი შვილის მეთვალ-ყურე ვიქნები-თქვა, მე ვუპატრონებ, თუ რამე გასაჭირი შეხვდა-თქვა... წადი ახლა და ამისთანა ამბებს მოუყევი?!. მომკლა არ დავეძებდი და ასეთ სირცხვილში კი არ ჩავვარდნილიყავი!.. რაზედ გეევრიე, მე ოხერი, მაგათ საქმეში... მარა ძმისწულია ის გლახაკი და შემეცოდა... მას ქალს ვინ მიცემდა, თუ მე არ მეთავებია?.. რა მეგონა, თუ ამისთანა რამეს ნახავდნენ ჩემი თვალები!..

— ბედი ჰქონებია ალბად მაგ საცოდავს მაგისთანა, აბა რავაა?.. ყოველისფერი ღვთისგანაა... ვენაცვალე მის ძლიერებას...—ვითომდა სანუგეშოდ უთხრა ქმარს სოფიომ.

— აბა, სხვეფრ რავა იქნება!—ეთანხმებოდა მოხუცებული ონისიმე:—სხვეფრ აბა რავა იქნება?!. რაც ადამიანს უწერია, ვინ ააცდენს თავისს წერას?..—აბა, წავალ ხვალ მარკოზასთან...—ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ სთქვა ონისიმემ.

— წადი, წადი!.. ეგებ იმათ მაინც უსაშუალონ რამე... უთხარი, რომ ჩვენ სრულიად აღარ გვეკარება, თორემ რამე საშვალებას ვიხმარდი-თქვა... ჩვენს სიტყვას სულ არ იკარებს-თქვა... არ დაავიწყდეთ, მათ მახლობლად საიქიოს ნამყოფი კაცი რომ არის—გამოტეხა შენაძლება ახლად გაკუდიანებულების—და იმას თხოვონ, ეგებ წამოყვეს და გამოტეხოს, კუდიანობიდან ეგებ რამეფერად ფეხი ამოადგმევინოს, იმ დალოცვილმა... სულს არ წააწყმედინებენ მაინც უბედურს და შავ-დღეზედ გაჩენილს!

ონისიმე ფოცხვერაძემ უამბო მარკოზა ხმელაძეს მისი შვილის ამბავი და ამან სიძე-მძახალზედ დამუქრებით გამოსწია წითურეთისკენ შვილთან. მარინეს დედა, მოხუცებული ესმა, ვერაფრით ვერ დააკავეს სახლში; შორი გზის მიუხედავად, წამოსვლა რაკი სთქვა, ვერას გზით ვერ გადაათქმევინეს; შვილის ნახვის სურვილმა, როცა მისი ამბავი გაიგო, ყოველი შორ გზაში მოსალოდნელი გაჭირვება არარად ჩააგდებინა. უბედური მშობლები მივიდნენ საიქიოს ნამყოფ ვასილ კარიკაძესთან და შემწეობა შესთხოვეს; ამასაც არავისათვის არასოდეს უარი არ უთქვამს, როცა მის შემწეობას ვინმე საჭიროებდა და არც ამათ უთხრა: მათთან ერთად გასწია წითურეთში.

მიწურული შემოდგომის გრილი დილა იყო. მზე დიდი ხნის ამოსული არ იყო მტვერიანი გზით მიმავალნი ჯერ-ჯერობით ხალისით მიდიოდნენ და დაღალულობას ვერ ტყობილობდნენ; ვასილი და მარკოზა წინ მიუძღოდნენ, ესმა და ონისიმე კი მათ მისდევდნენ. გზა-და-გზა ლაპარაკის მოყვა-

რულმა მარკოზამ უამბო თავისი ჭრელი თავ-გადასავლი ვასილს, და ეს უკანასკნელი ისე წახალისდა, რომ თვითონაც მოჰყვა იმის ამბავს, თუ როგორ მოიარა საქართ.

— ჭურის თავზედ ცხონებულ მამა-ჩემს,—ასე დაიწყო ვასილმა თავისი ამბავი:—ერთი ძველი, დაბერებული მუხა ჰქონდა. ცხონებულმა ამ მუხის მობელვა მითხრა ერთხელ. ხეზედ ჩემი ასვლა და ჩემს ხელში ცულდის დამძიმება ერთი იყო... ეს კარგად მახსოვს... ყურადღება არ მივაქციე ამას, დავუწყე შტოებს ჭრა... ერთი შტო მოვჭერ, ჩამოვაგდე, მეორე მოვჭერი, ჩამოვაგდე, მესამე შტოს რომ მოვუქნიე ცული, ვერ მოვახვედრე, ორჯელ-სამჯერ დავაცილე... გული მომივიდა, ნუ თუ ასე მომეღალა ხელი-თქვა; ერთი ლონიერად მოვიქნიე—მოხვდა შტოს მართალია ჩემი ცული, მარა რომ არ გაჭრა, სულ არ მიეკარა რკინა ხეს!.: თურმე რას მოსჭრი?!... ჩვენ აბა რა ვიცოდით, მერე გევიგეთ... თურმე ამ მუხაზედ ანგელოზებს ცოდნიათ ჩამოფრენა... მერე მივხვდით ამას ჩვენ!.. მე კი უფრო მომივიდა გული, რომ შტოს ვერაფერი მოვუხერხე... ზედ გადამჯდარმა რაც ღონე მქონდა კიდევ მოვიქნიე ცული... ახლაც ვერაფერს დაგაკლებ-თქვა თუ, გუნებაში ვთქვი?!. შენს მტერს, მე რომ დამემართა. უცბად თვალებში წამომიბნელდა, წინ რაღაც შავად წამომეფარა, აზრი დამეკარგა და ხიდან ჩამოვარდნილს ძლივს დამყოლია სული მიწაზედ... ცოცხალ-მკვდარი მნახეს თურმე მუხას ქვეშ და წამიღეს სახლში... ისეთი ავად შევიქენი, ისეთი, რომ ჩემს მორჩენას ადამიანი აღარ ფიქრობდა თურმე!... რა არ ექნა მამა-ჩემს? რა საშვალება არ ეხმარა: ჯერ განატეხი თურმე გაატანია დედაკაცებს, მერე ცხრა გამოცდილ ქალს ცხრა-ცხრა სამთლით ხელში თითოს ცხრა ცხრა ლოცვა ათქმევია იმ მუხასთან, წმ. გიორგის ხატისათვის ჩემი ზომა წმინდა სანთელი მიერთმია,—მაგრამ არ მეშველა და არ მეშველა მაინც არაფერი—ისევ ისე უიმედოდ ვარ თურმე!... ერთ დღეს მომკვდარვარ კიდევაც... შეექნათ თურმე ერთი ტირილი, კივილი, წივილი... ჩემს გასვენებაზედ დეიწყეს ლაპარაკი... მე არაფერი არ მესმის!.. ამასობაში მე ზეცაში დავფრინავარ... ჩემი სული, რასაკვირვე-

ლია... ქვეყნად მარტო ჩემი ლეში იდვა ტახტზედ... სული კი მაღლა-მაღლა მიფრინავს... ზევიდან დავჩერებივარ დედა-მიწას... ბურთივით პატარა მოჩანს... უცბად ჩემს თვალ-წინ გეიშალა იმისთანა თვალ-უწვდენელი ამწვანებული მინდორი, იმისთანა, რომ მის ნახვას არაფერი ჯობია... მინდორია იმისთანა, კიდე არა აქვს... მთელი წელიწადი რომ იარო, გარს ვერ შემოუვლი!.. მუხლებამდია მწვანე, აბრეშუმივით ბალახი... არის გაბნეული ამ ტრიალ მინდორზე უთვალავი ცხვარი და ბალახს წიწკნიან!... სულ, სადაც მიიხედავ, მარტო ცხვარია... აგერ ერთია, აგერ ორი ერთად, სამ-სამი, ხანდახან ოთხ-ოთხიც... დადიან და ჭამენ ამ მშვენიერ ბალახს!... წვრილი გზა შემხვდა ერთი... დავადექი ამ გზას—ვიარე, ვიარე და ერთ წყაროსთან მივედი... წყალია იმისთანა, რომ მკვდარს გააცოცხლებს მისი ერთი წვეთი... წყაროსთან კაცია, წევს... დამინახა.—სადაური ხარო? მკითხა. მე მოვახსენე, რომ ამა და ამ სოფლიდანა ვართქვა ამა და ამ კაცის შვილი - თქვა. — აბა შენი აქ მოსვლა ჯერ ადრეაო... შენ ისევ დედა მიწაზედ უნდა დაბრუნდეო... გაჰყევი ამ გზასა, არსად გადუხვიო, ბოლოში სიმონა კიკაბიძეს შეხვდებიო, მიხვალ იმასთანო და ის გასწავლის გზას დედა-მიწაზედ რომ ჩახვიდეო... მითხრა: თუ გალობა რამე გეიგონოო, დეიჩოქე და ისე იყავიო, სანამ გალობის ხმა არ შეწყდებაო... გამიხარდა, სიმონა კიკაბიძეს ნახავო, რომ მითხრა!... გავსწიე ნაჩვენები გზით... ვიარე, ვიარე ამ მინდვრით... სულ ცხვრით იყო სავსე იქაურობა... ბევრი ვიარე, ერთ ადგილას შემხვდა სიმონა... ზის და მასთან რამოდენიმე ჩვენი სოფლის მიცვალებულებიც არიან... მუსაიფობენ... დამინახეს, გეეხარდათ, ამბავი მკითხეს... მერე მე ვკითხე: ეს რა ადგილია-თქვა? მიპასუხეს, რომ სამოთხეაო და წყაროსთან რომ კაცი იწვა, ანგელოზი ყოფილიყო თურმე... რასაც ცხვრებს ხედავო, ცხონებულთა სულიაო... ანგელოზი უყურებს მათ, არა დაკლდეთ-რაო. რომ ვლაპარაკობთ ასე, მოისმა იმისთანა მშვენიერი გალობა, რომ მთელ სიცოცხლეში მისი ყურება რავა მოეწყინება ადამიანს!... ყველამ მუხლი მოვიყარეთ... სიმონამ მითხრა, ანგე-

ლოზთა გალობა�, ღმერთს ადიდებენო... ბევრი ვილაპარაკეთ, ბევრი ჩვენებურები ვნახე, ვინც იქ იყო... სიმონამ მითხრა, რომ მამი-შენის ლოცვა ძალიან წაგვდგომიაო, ღმერთს შენზედ მოწყალება მოუღია და აქ ნულარ იგვიანებო... როგორც გითხრა ანგელოზმა, დედა-მიწაზედ მალე დაბრუნდიო... ყველას გამოვეთხოვე, სიმონამ გზა მასწავლა და ჩემი სული სწორედ იმ დროს დაუბრუნდა ჩემს ლეშს, როცა გასვენებას ისიყო მიპირობდნენ. ყველა გაშტერდა გაოცებულები რომ მნახეს!... რა სიხარული, რა ამბავი, კაცი რავა გამოთქვამს?!... ერთ თვეზედ სრულიად გამოვკეთდი და მას აქეთია, ღვთის შეწევნით, ფჩხილი არ წამომტკენია ტყვილა... ასეთი მოწყალება მოიღო ჩემს თავზედ ჩემმა გამჩენმა, ვენაცვალე მის დიდებას!—და ვასილმა პიჯვარი გადისახა.—ის ძალაც მომანიჭა, რომ ბოროტი ადამიანის გამობრუნებაც ადვილი გახადა ჩემთვის.

— ვენაცვალე ღვთეებას... არ ვყევართ მოძულებული კიდევ და შენისთანა კაცებს გვაღირსებს ხანდახან ჩვენდა გასამხნევებელად.—მარკოზამაც პირჯვარი გადისახა ამ სიტყვებზედ.

— სწორედ, სწორედ!—დეეთანხმა ონისიმე.

— შენ დიდი ხნის სიცოცხლეც გექნება დანიშნული ღვთიდან!—მიმართა მარკოზამ ვასილს:—შენისთანა კაცები დიდ ხანს ძლებენ და ძალიან მაგრებიც არიან! მე ვიცი რამოდენიმე მაგალითი... ცხონებული მამი-ჩემისაგანაც გამიგონია ასე!

— კი, კი, მართალია!—ემოწმებოდა ონისიმე.

— ასე იტყვიან, მართალია,—სთქვა ვასილმა:—მარა ყველაფერი ღვთის ნებაა... რავარც იმას ნებავს, ისე იქნება... ისე იქნება!

— რასაკვირველია, რასაკვირველია!—ერთხმად წამოიძახეს ონისიმემ და მარკოზამ.

ესმა კი ხმას არ იღებდა; იგი სმენად იყო გადაქცეული და ამ უცნაური კაცის უცნაურ ამბავს ყურს უგდებდა.

საღამო იყო, როდესაც ჩვენი მგზავრები ონისიმესას მივიდნენ.

— სოფიო, ქალო, ეი!.. კარი გააღე და სტუმრებს გამოხედე!—დაიძახა ონისიმემ, თავისს ეზოში რომ შეიყვანა ვასილი, მარკოზა და ესმა.

სახლის კარი გაიღო, სოფიო გამოვიდა; დიდის თავაზით შეეგება სტუმრებს და სახლში მიიწვია.

— მიბძანდით, თქვენი ჭირიმე, მიბძანდით... დაღალული ბძანდებით... კაი გზა გაქვთ გამოვლილი... ღმერთო, მომკალი, თქვენ რამ შეგაძლებიათ ამათთან სიარული, ჩემო ბატონო!— მიუბრუნდა იგი ესმას.

— გამწარებამ, ჩემო ბატონო, გამწარებამ, ჩემო ანგელოზო!—ნაღვლიანად წარმოსთქვა დაღლილობისაგან ძლივს ფეხზედ მდგომმა ესმამ.

— დასწყევლოს ღმერთმა ეშმაკი და მისი მონაწილეც... მარა ღმერთი მოწყალეა, იმის იმედით ვინუგეშოთ, ჩემო ბატონო!—ამოოხვრით და მონაწილეობით უთხრა სოფიომ; მერე უცბად ლაპარაკის კილო შეცვალა, ვასილზედ თვალით ანიშნა და ხმა-დაბლა ჰკითხა ესმას:—ეს არის, ბატონო, საიქიოს ნამყოფი კაცი.

— კი, შენი ჭირიმე!—მიუგო ესმამ.

— აბა ღმერთი ჩვენსკენ ყოფილა,—იმედიანად და ხალისით სთქვა სოფიომ:—აწი აღარაფერი გიჭირს!..

— დედა-კაცო,—წამოიძახა ონისიმემ ცოტა ხნის შემდეგ:—ბატონი ვასილი დაღალულია და მოსვენება ეჭირვება... აბა, თუ გაქვს, რამე დროით მოგვიტანე!

— ნამდვილი კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა! მაგაზედ უკვეთესი არაფერი იქნება!—სიცილით სთქვა მარკოზამ.

— ხელად სუფრა, ბიჭო!—მიაძახა შვილს ონისიმემ:—გოგო, შენ რას გაყუჩებულხარ მად ყურეში... დედა-შენს ხელი შუუწყვე!..

ერთ წამში სუფრა მზად იყო.

მადაზედ მოსულმა მარკოზამ ველარ მოითმინა და წამოიძახა:

— მადლიანი დედაკაცის ჭირიმე!.. მე და ჩემმა ღმერთმა!

— ნეტავი შენ!... ყოველთვის კარგ გუნებაზედ ხარ!— უკმაყოფილებით შეუტია ესმამ.

— აბა ვიტირო ახლა, დედაკაცო, თუ?... ცოდვა არ იქ-

ნება მასპინძლის ამისთანა სუფრას მოღუშული რომ შამოეუსხდეთ!.. ეგრე არა, ბატონო?—მიმართა მარკოზამ სოფიოს, რომელიც სუფრას აკრიალებდა.

— კი, ჩემო ბატონო, კი, შენი ჭირიმე, მართალს ბრძანებთ?—ტკბილად მიუგო მან.

— ნუ გეშინია, იმ კუდიან დედაკაცთან ანგარიშის გასწორებას კიდევ მოვესწრებით!.. სად წამივა? ხვალ ალიონზედ დეეეცემი თავზედ ორივე დედა-შვილს და შავ ღღეს დავაყენებ... როგორც კაცი!—ახლა კი ამ ვახშამს შეექცეთ... ტკბილი ღვინო დავლიოთ... მასპინძელს სუფრას ნუ დავუწუნებთ... ნურც ბატონ ვასილს მოვაწყენთ!.. არა, მძახალო, ჰა?—იძახოდა მარკოზა,

— კი, ჩემო მარკოზა, კი, ჩემო მარკოზა!—ამხნევებდა ონისიმე.

— შენთან ნურას უკაცრავად, ჩემო ბატონო, შენი ჭირიმე,—მიუბრუნდა ვასილს მარკოზა:—თუ რამ უზრდელობა შემნიშნო, მაპატიე... შენ სულ სხვა კაცი ხარ!...

— მოილხინე, ჩემო მარკოზა, მოილხინე,—დინჯად მიუგო ვასილმა:—მე რაში მერიდები, შე კაცო!

— იცოცხლე, კაცი ბძანდები და კაცი... შესმენილი და ღვთისგან დაჯილდოებული!... აბა, ონისიმე, ვასილს ღვინო მიართვი!—და მარკოზა ისე გამხიარულდა, რომ გეგონებოდათ, სრულიად დაავიწყდაო, თუ რამ მოიყვანა იგი ონისიმეს ოჯახში. ესმას თუმცა ძალიან სწყინდა ქმრის ამნაირი უსაქციელობა, მაგრამ ვერაფერი გააწყო მარკოზასთან, რომელიც ყოველ მის თხოვნაზედ, რომ დაწყნარებულიყო, პასუხად უგებდა:

— ნუ გეშინია, ვერსად ვერ წაგვივა ის კუდიანი შენი მძახალი, ვერსად ვერ წაგვივა! ხვალ განახვიებ მის სეირს!...

დილა ადრიანი იყო, მარკოზა რომ მეორე ღღეს სიძისას მივიდა.

— გამარჯვება შენი,—უთხრა მარკოზამ ნიკას, რომელიც სახლის წინ რაღაცას სთლიდა წალდით.

— ღმერთმა თქვენი თავი მიცოცხლოს!... საიდან, ბატო-

ნო, როდის მობრძანდით?... ღამე გივლიათ!...—მიეგება ნიკა სიმამრს.

— მარინე შინ არი?

— სახლში გახლავს, აბა სად იქნება!

— ავად ხომ აღარაა?

— არა, აჰ!

— ჩვენთვის არ უნდა შეგეტყობინებია, ბიჭო, შენი ცოლის ავად ყოფნა?

— ისე ავად რომ არ ყოფილა...

— ჰეი, შვილო,—სიტყვა გააწყვეტინა მარკოზამ:—ქვეყანაზედ კაცს რა დეემალება?!.. მარგალიტივით ქალი მოგეცი და ვაგლახად ვერ შეგანახვინებ მის თავს, იცოდე!...

— შენთვის რაღაც ენა მოუტანიათ ჩვენზედ... ათასი მტერი გვყავს...— გაუბედავად დაიწყო ნიკამ.

— ეს თქვენი სიგლახით, თვარა ჩემ შვილზედ მტეროობას კაცი არ ჩაიდებს გულში მიდღემჩი...

— ვის ელაპარაკები, ბიჭო?—მოისმა სახლიდან ფეფენას ხმა და ამასთანავე მოხუცებულმა დედაკაცმაც კარში გამოიხედა, დაინახა მარკოზა და შესძახა:—უიმე!... თქვენ ბძანებულხართ!... სახლში შემობძანდით, ბატონო, სახლში შემობძანდით!... შე სულელო, ამდენ ხანს ვერ გამაგებიე?!

მარკოზა შევიდა სახლში; ფეფენას ჩამოართვა ხელი და დაკვირვებული თვალი აავლ-ჩაავლო მარინეს, რომელიც ის-იყო მიეგება მას; მერე მოჰკიდა ხელი და გვერდთ მოისვა.

იგი მისჩერებოდა შვილს და თვალს არ უჯერებდა. ნუთუ ეს ის სიცოცხლით სავსე, ცქვიტი, მხიარული, პირ-სავსე, ლამაზი მარინეა, რომელიც მან ნიკას გამოატანა?! ეს სახე ჩაყვითლებული, გამხდარი, თვალებ-მიმქრალი ქალი მარინეა?... მაშ მართალი ყოფილა, სულ მართალი ყოფილა, ეჭვი რაღა საჭიროა, მართალი ყოფილა, რაც ონისიმემ უამბო!.. საწყალმა მარკოზამ კიდევ ერთხელ თვალი გადაავლო შვილს, უფრო მიიკრა გულზე; გულმა აღარ მოუთმინა მოხუცებულს და შვილსა ჰკითხა:

— რამ გამოგცვალა ეგრე უცნაურად, შვილო?.. ავად ხომ არა ხარ?

— არა, ბატონო!. წყნარად მიუგო მარინემ.

— კარგად რომ არ ხარ, არ გეტყობა თუ?.. მე ჯერ თვალები არ ამბმია!..—წყრომით წარმოსთქვა მარკოზამ.

მარინე შიშმა აიტანა ამ სიტყვებზედ; წინდაწინვე ჰგრძნობდა იგი, რომ აქ მშვიდობიანად არ გათავდებოდა საქმე... მამამისი სულ სხვანაირ ხასიათზედ იყო... ოჰ, ღმერთო, ისევ ხელახლად აყალმაყალი, უსიამოვნება, გულის ხეთქა!.. ისევ მოეშალა ეგრე ძვირად მოპოებული მყუდროება, მშვიდობიანობა!.. მან თითქო მოიწადინა გაქცეოდა ყოველ ამ უბედურებას, სადმე გადაკარგულიყო. ფეხზედ წამოდგა და წასვლა დააპირა. მარკოზამ ხელი წაავლო.

— სად მიხვალ?... დაჯექ, ჩემთან იყავ!—უთხრა მან და მარინე ისევ გვერდთ მოისვა.

ფეფენა თავისი გამჭრიახი თვალებით უცბად მიხვდა, რომ მარკოზა უბრალოდ მოსული არ იყო, უეჭველად ჩხუბი ასტყდებოდა მძახლებ შორის, და მან მოინდომა დეესწრო მარკოზასათვის—თავისი სათქმელი ეთქვა და ამით ამ კაცისათვის უსიამოვნო საგანზედ ხმის ამოღება მოესპო.

— მე ძალიან ვემდური,—დაიწყო ფეფენამ:—ძალიან ვემდური შენ შვილს, რომ ერთ დროს სულ არ მიიკარა ჩემი სიტყვა, ვერაფერი ვერ ჩავაგონე და ბევრი უსიამოვნება გამომარონია... ბევრი მწუხარება მომაყენა...—და მან უამბო თითქმის ყველაფერი, რაც მათ შორის მოჰხდა.

მარკოზამ აცალა ფეფენას მისი სამთქმელის დათავება.

— ახლა ქე მიხვდა თავისს შეცდომას,—დაათავა თავისი სიტყვა ფეფენამ:—და ქე მეეკიდება ოჯახს!

მარკოზა წამოდგა და მარინეც წამოაყენა.

— ამისთანა ქალი აწი ველარ არგებს თქვენისთანა ოჯახს!.. მე მიმყავს ჩემი შვილი!

— რავა მიგყავს?.. რას ბძანებ!—შეეკითხა გაოცებული ფეფენა.

— მიმყავს!.. ისევ ჩემს სახლში მყავდეს... მე თქვენზე უკედ მოვუველი, თუ თქვენ ვერ დააფასეთ!—და მარკოზამ უფრო მაგრად ჩაავლო მარინეს ხელში ხელი:—წამოდი ჩემთან!

— ღმერთო, მომკალი!.. ეს რა მესმის?!. შე სულელო, ხმას ვერ ამოიღებ, ხახა რომ დაგიღია?—შეუტია ფეფენამ ნიკას:—არ გეყურება, ცოლს გართმევენ!

ნიკა ისევ გაუნძრეველად იდგა.

— წამო, შვილო!—მარკოზამ მარინე კარისაკენ გასწია.

— მამა, მამა, შენი ჭირიმე!—ხვეწნით ეუბნებოდა მარინე მამა-მისს და თან ცდილობდა მარკოზას ხელიდან გაენთავისუფლებინა თავისი ხელი.

— წამო, გეუბნები! ნუ სულელობ!

— მამა, მამა! შენი სულის ჭირიმე!—თვალ-ცრემლიანი ემუდარებოდა ყმაწვილი-ქალი.

— ღმერთო, რა დღეს მევესწარი?!.—წამოიძახა ფეფენამ: —რა დღეს მევესწარი?!.

— რატომ კადრულობთ მაგისთანა საქმეს, ბატონო?.. არ გეკადრებათ!—წინ გადაუდგა, გზა გადუღობა მარკოზას ნიკამ.

— იქით, შე მართლა ქალაჩუნა!—მარკოზამ ლონიერად მოიქნია ნიკა და განზედ მიაგდო, მოსწია მარინეს მძლავრად და ძალით გაითრია ეზოში, თუმცა ყმაწვილი ქალი ტიროდა და გაიძახოდა:

— მამა, ჩემო მამა, შენ სულს დავენაცვლე... გამიშვი... გამიშვი, შენი ჭირიმე, ჩემო მამა... მომკლავენ... მამა! ვაიმე, ვაიმე!—მოსთქვამდა და უძალიანდებოდა მარინე.

— კმარა!.. გაჩუმდი!—წყრომით შესძახა მარკოზამ:—კმარა... გაჩუმდი! ვინ მოგკლავს?.. ხელსაც ვერავინ შეგახებს... ამოვარდა მაგათი რჯული, ნუ ზლუქუნობ!

ონისიმესას სახლის აივანზედ უკვე თავი მოეყარა ბლომა საზოგადოებას, რომელიც შესდგებოდა მარტო დედაკაცებისაგან.

ვასილ კარიკაძე ეზოში ნიგოზ ქვეშ იჯდა და ონისიმეს ელაპარაკებოდა.

ჭისკარი გაიღო; ეზოში შემოვიდა მარკოზა და თან მარინე შემოიყვანა. დაინახა თუ არა ესმამ შვილი, გამოქანდა, მივარდა მას, მოჰკიდა ბეჭებში ხელი და ცოტათი უკან დაახევინა, რომ კარგად შეეხედნა მისთვის; უყურა, უყურა ესმამ საცოდავ შვილს, პირის-სახემ ძაგძაგი დაუწყო და ერთბაშად თვალებიდან ცხარე ცრემლების ნაკადული წამოუვიდა მოხუცებულ ქალს.

— შვილო!.. შვილო!.. ვაი შენს დედას!.. ვაი შენს დედას, შვილო!—ძლივს შესძლო ეთქვა: ყელში ცრემლები ხმას უწყვეტდა მას. ესმამ გულში ჩაიკრა მარინე.

— კარგი... გეყოფა დედა-კაცო!

მარკოზამ ქალებისკენ წაიყვანა მარინე. ამან თვალი გადაავლო შეკრებილობას, ძლიეს შესამჩნევად თავი დაუკრა და ბოძთან ჩაჯდა. რას ნიშნავდა ეს, რისთვის მოუყრია ამათ თავი?—ფიქრობდა მარინე და ხან-და-ხან გაუბედავად გამოიხედავდა თვალებზედ ჩამოწეულ თავსაფრის ქვეშიდან.

— შეგაწუხეთ, ბატონებო, შეგაწუხეთ,—მიმართა დედაკაცებს მარკოზამ:—მაგრამ დღემდინ არ მცოდნია, თუ ჩემს თავზედ ამისთანა უბედურება ტრიალობდა... ცუდი ამბავი შეგვემთხვა... მოგვიტევეთ... რა ვქნათ... ყველაფერი ღვთის ნებაა... ყოველივე სიკეთე მისცეს ღმერთმა ბატონ ვასილს, ეს ღვთისნიერი ადამიანი გაისარჯა, ინება ჩვენთან წამობძანება. . თუ ჩემ შვილს მართლა რამე კავშირი აქვს ეშმაკთან, ეხლავე გაგვაგებიებს ეს ღვთისნიერი კაცი... მარინემ ამ სიტყვაზედ ერთი კი ახედა მამა-მისს და მერე უფრო ჩაღუნა თავი და თავსაფარიც ჩამოიწია ისე, რომ სულ ერთიანად პირი-სახე დამალა.—ამიერიდან თქვენ მაწუხებელისაგან თავისუფალი იქნებით და ჩვენც თქვენგან სამდურავს ავცდებით...—გაათავა სიტყვა მარკოზამ.

— მადლობელი ვართ, მადლობელი ვართ!... ღმერთმ დღეგრძელობა მოგცეს! მოისმა აქეთ-იქიდან.

— სვინიდისიერი კაცი ბრძანებულხარ... შვილის კაი პატრონი... ღმერთმა გიწინამძღვროს!– უთხრა ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა.

— აბა, ბატონო ვასილ, ყოველისფერი მზადაა, შენი ჭირიმე... დროს ნუ დავკარგავთ... შევუდგეთ საქმეს!... თავდაბლად უთხრა მარკოზამ ვასილს.

ეს უკანასკნელი წამოდგა და ქალებისაკენ წამოვიდა. მთელი საზოგადოება ფეხზედ წამოდგა მის მისვლაზედ და პატივისცემით თავი დაუკრეს. ვასილმაც თავის მხრივ დინჯად თავი დაუკრა ყველას საერთოდ და მიმართა:

— დაბძანდით, დაბძანდით!—და თითონაც მარინეს მახლობლად დაჯდა სკამზედ.

მარინე მუმიასავით იჯდა, მიჰყუდებოდა ბოძს და თავი გულზედ ჰქონდა დაყრდნობილი; პირი-სახე სრულიად არ უჩნდა თავსაფრის ქვეშ, ისე დაბლა ჰქონდა იგი ჩამოწეული. იგი უფრო მკვდარს ჰგავდა, ვიდრე ცოცხალს. მარინეს ზურგს უკან მოიკუნჩხა დედა-მისი, ესმა, რომლის დრო-გამოშვებით სასოწარკვეთილებითი წამოძახება—შვილო, შვილო... რა დღეს შეესწრო შენი ოხერი დედა!..—და ამასთან გულში მუშტების ჩარტყმა მაყურებლებს გულს უთუთქავდა.

— ბიძიკო,—დაიწყო ტკბილი ხმით ვასილმა:—შენ გაბრალებენ, ვითომც ქრისტესათვის გელალატნოს და ეშმაკებს მიჰკერძოდე... ვითომ მავნებლობასთან და ბოროტთან კავშირი შეგეკრას და ამის დასამტკიცებლად შენზედ ბევრ რამეს ამბობენ შენი ამას წინად საყვარელი მეზობლები და ამხანაგები...—ვასილმა უთხრა ყოველივე ის, რაშიაც ბრალსა სდებდნენ მარინეს და ჰკითხა:—მართალია თუ არა ეს?

მარინემ პასუხი არ გასცა.

ვასილმა ისევ განიმეორა თავისი კითხვა, მაგრამ პასუხი მაინც ვერ მიიღო.

— არ გესმის, რომ გკითხავენ?—მიაძახა მარკოზამ.

მარინე მაინც ხმას არ იღებდა... გაქვავებული, უმოძრაოდ იჯდა.

— მიეცი, შვილო, პასუხი, პასუხი მიეცი, შვილო!—მხარზედ ხელის დადებით შეეხვეწა ესმა:—პასუხი მიეცი, შვილო!

— არ იცი, ბოშო, ვინ გკითხავს!.. უბრალო კაცი ხომ არ გელაპარაკება?.. ანგელოზთან ნამუსაიფები კაცი ხმას გცემს და შენ რა ღმერთი გიწყრება!?.—გაცხარდა მარკოზა.

— მე უშენოდაც კი მიგიხვდები,—ისევ მიმართა სიტყვა ვასილმა ყმაწვილ-ქალს:—უშენოდაც კი მიგიხვდები ყოველ შენს საქმეს, მარა შენთვის ჯობია, რომ თვითონ შენით აღიარო ყოველივე შენი ამბავი... ყველაფერში გამოგვიტყდე და ღმერთი, ჩვენი შემქნელი და მწყალობელი, გაპატივებს შენს შეცდომას, მოგიტევებს შენს დანაშაულობას... არა-და, არ გამოტყდები,—იცოდე, საუკუნო წვალება მოგელის ჯოჯოხეთში... ყოველ წვალებაზედ უფრო მეტი... ამაში დამერწმუნე მე, რომ მართალს გეუბნები... თუ კი გამოტყდები, როგორც გითხარი, ღმერთი შეგინდობს შენს შეცდომილებას და სულსაც არ წაიწყმედ, ეშმაკს არ დააპატრონებ მასზედ... ხარ კუდიანი, თუ არა? გაქვს მათთან რამე კავშირი?—კიდევ ჩაჰკითხა ვასილმა.

სიჩუმეში მოისმოდა შეკავებული ტირილის ხმა.

— გაქვს კავშირი თუ არა კუდიანობასთან?—არ ეშვებოდა ვასილი.

— მაქვს!—ძლიეს გასაგონი ხმით სთქვა მარინემ.

საშინელმა, გულ-გამგმირმა კივილმა შესძრა იქაურობა.

— უმე, უმე! — სასოწარკვეთილებით კიოდა ესმა და თავზედ ხელებს იცემდა.

— ქალო, გაჩუმდი, გაჩუმდი!.. არ გესმის შენ, ეი! გაჩუმდი, გეუბნები!—ამშვიდებდა ცოლს მარკოზა მარინეს სიტყვისგან გამშრალი, გარეტიანებული.

ქალებმა ერთმანეთს გადახედეს.

— ვინ შეგაცდინა? ვინ გაგაჩვია კუდიანებთან?—ჰკითხავდა ვასილი.

მარინე ისევ გაყუჩდა და პასუხი არ მისცა. მარკოზას გული მოუვიდა და წყრომით უთხრა, რომ ამგვარი ჯიუტობით ვასილს აწუხებო. ამას შემდეგ ვასილმა ისევ განიმეორა თავისი კითხვა და მარინემაც ყრუდ მიუგო:

— ჩემმა დედამთილმაო!

ქალები ისევ შეინძრნენ, ერთმანეთს გადახედ-გადმოხედეს. ესმა კი მუშტებს ირტყამდა გულში; ქმრის შიშით ხმამაღლა ტირილს ვერ ჰბედავდა საცოდავი მოხუცებული დედაკაცი.

— აბა, ახლა მოგვიყევი, როგორ შეგაჩვია კუდიანობას შენმა დედამთილმა?.. თავიდან მოჰყევი: რას გიშვებოდა, რას გეუბნებოდა ან გპირდებოდა. რამეს? ჰო?

მარინემ ჯერ ხმა არ ამოიღო, მერე თითქო იფიქრა, რომ მაინც არ მომეშვებიანო, ვიდრე დაწვრილებით არ ვიტყვი ჩემს ამბავსო და მოჰყვა ყველაფერს. მთელი საზოგადოება სმენად გადიქცა; ზოგიერთი ქალები წამოდგნენ და მარინესკენ გამოიწიეს, რომ უკეთესად გაეგონათ მისი ლაპარაკი.

სიჩუმემ დაიპყრო იქაურობა და ამ სიჩუმეში ძლივს ისმოდა აღელვებული, მისუსტებული მარინეს ხმა, რომელიც ხშირად უწყდებოდა მოლაპარაკეს.

მარინემ უამბო, თუ როგორ გალახეს იგი დედამთილმა და ქმარმა, ონისიმესაგან რომ სახლში მიიყვანეს, რის შემდეგაც ავად გახდა... როგორ უმოწყალოდ სდევნიდა მას ფეფენა, მოსვენებას არ აძლევდა; რაგორ აუკრძალა ჯერ სახლიდან ეზოში გამოსვლა, მერე ეზოს გადალმა გადაბიჯება; უშლიდა სხვებთან ლაპარაკს; რომ ყველგან სდევნიდა მას და ვერსად ვერ დაეფარა მისგან თავი.

— ერთხელ ვენახში დავემალე, დავწექი ბჟოლის ძირში... მიმძინებოდა, — ამბობდა მარინე: — უეცრად რაღაც შავი უშველებელი დამეტაკა, გამომაღვიძა, წამავლო ხელი და ცაში ამიყვანა ისე მაღლა, რომ თავბრუ დამესხა დაბლა რომ გადმოვიხედე... „დამნებდიო,—მითხრა იმან,—და ჩემი ნება აასრულეო, თორემ ახლავე აქედან ხელს გაგიშვებ და მიწას დაგახეთქებო“. შემეშინდა, ავკანკალდი... ვუთხარი, კი ბატონო-თქვა.— აბა გახსოვდეს ეგ შენი სიტყვაო... მე ხუმრობა არ ვიციო... ჩავაჩერდი, ვინ მელაპარაკებოდა, მინდოდა შემეტყო... იმ შავ მოჩვენებაში ჩემი დედამთილი ვიცანი... მე უფრო შემეშინდა კიდევ და ხვე-

რწნა დოვუწყე—ოღონდ ნუ მომკლავ და შენი მორჩილი ვიქ-ნები-თქვა... არც ხმას გავცემ ვისმე უშენოდ, არც არსად წავალ შენდა დოუკითხავადა-თქვა... ოღონდ მიწაზედ დამიშვი-თქვა... ისევ თვალებზედ წამომეფარა რაღაცა, გონება დამეკარგა... აზრზედ რომ მოვედი, ისევ იმ ადგილას ვიწევი, სადაც მიმძინ-ნეობდა...

— კიდევ?

— ნიგოზზედ შემომესწრო...

— ჰმ!

— ნიგოზს ვხალავდი... უეცრად თვალებზედ წამომეფარა შავად... რეტი დამესხა, მეგონა გადმოვარდი ეს არი-თქვა... ბრჭყა-ლები ჩამასო კაბაში... მაღლა... სულ მაღლა ამიყვანა!.. გად-მოგავდებო... აქედან გისვრიო... ნიგვზის წვეროზედ წამოე-ცობიო, თუ არ შემომიდექიო... კუდიანი გახდიო... შემეშინდა, სული შემიხუთდა.... მორჩილი ვიქნები-თქვა, ვუთხარი... ნუ მომკლავ-თქვა, შევეხვერწე...

— ვინ იყო, თუ იცანი, ვინ გელაპარაკებოდა მაგრე?

— ვიცანი.—მარინემ ღრმად ამოიხვნეშა...

— ვინ იცანი?

— სული მეხუთება!.. დედა, მიშველე!.. ოჰ! მიშველე, დე-და!—ატირდა მარინე, დედისკენ პირი ქნა და ღონე-მიხდი-ლი კისერზედ ჩამოეკიდა.

— ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია, შენ დაგენაცვლოს შენი დედა! რა იყო, შვილო? რა დაგემართა, შვილო, შვილო?!. —შექნა ყვირილი ესმამ, შვილის უსიცოცხლო სახე რომ და-ინახა, როცა მას პირზედ თავსაფარი ახადა.

— ვინ შეიცანი, ვინ?—არ ეშვებოდა მაინც ვასილი, რო-მელიც ყურში ჩასძახოდა გრძნობა დაკარგულს ქალს.

— დედამთილი!—ძლივს შეიძლო ეთქვა და მკვდარივით, ხელებ და კისერ მოსხლეტილი მიილუშა ესმას კალთაში.

— შვილო, მარინე, შვილო!—დასწიოდა მას საცოდავად ესმა:—რატომ შენი დედა უწინ არ მოგიკვდა, სანამ ამას დეი-

ნახავდა მისი დასავსები თვალები!... შვილო, შვილო!—მწარედ მოსთქვამდა მოხუცებული დედა.

მარკოზა გაშტერებული, გალენჩებული იდგა განზედ და უცნაურ ძალას ატანდა თავისს თავს, რომ ამ საზოგადოებაში ტირილი არ წასკდომოდა.

— სახლში შეიყვანეთ... დაიძახა და ფეხზედ წამოდგა ვასილი:—შეიყვანეთ სახლში და დააწვინეთ ქვეშაგებში... ვასილი ქალებს მოშორდა და ონისიმესა და მარკოზას თანახლებით ეზოში გავიდა. გრძნობა-მიხდილი მარინე სახლში შეიტანეს, დააწვინეს ტახტზედ და საბანი წაახურეს... დედაკაცები იქვე ფუსფუსებდნენ... ვინ ესმას ანუგეშებდა და ამხნევებდა... ვინ რა რჩევას იძლეოდა მარინეს გრძნობაზედ მოსაყვანად.

— ახლა კი წმინდად გეიწმინდა! –ამბობდა ერთი დედაკაცი.

— ძალიან საქმე ქნა იმ დალოცვილმა კაცმა!—ამბობდა მეორე.

— ღვთის კაცია, შე დალოცვილო... ვიგინდარა ვინმე ხომ არ არი!

— რასაკვირველია, რასაკვირველია!... მარა ამ უბედურს დიდი ხნის სიცოცხლე კი აღარა აქვს...—გადუჯუჩუნა ერთმა დედაკაცმა მეორეს.

— შე ქალო, სული რომ არ წააწყმედიეს, ის აღარ კმარა?—ხმა-დაბლა მიუგო მეორემ:—გამოტეხილს რაღა აცოცხლებს?... არ გამოეტეხათ, ვარესი ცოდვა არ იქნებოდა?.. იცოცხლებდა კი, მარა რაღა სიცოცხლე იქნებოდა მისი... ბოლოს ხომ წაწყმედილი იქნებოდა მაინც...

ეს საზოგადო აზრი იყო, რომ გამოტეხილი დიდ ხანს ვერ იცოცხლებდა და ამაში დარწმუნებულნი წავიდ-წამოვიდნენ გამოტეხაზედ დამსწრე დედაკაცები. ამათ მადლობა უთხრეს როგორც ვასილ კინიკაძეს, ისე მარკოზას, რომ მათ სოფელს ამისთანა სამადლო საქმე უქნეს—გაკუდიანებული ქალი მოაშორეს სოფელს. მეორე დღეს ვასილიც წავიდა თავისს სოფელში ონისიმეს ვაჟიშვილის თანახლებით. მარკოზა ბევრი ეხვეწა მას

მიელო მისგან ორიოდე მანეთი გასამრჯელო, მაგრამ ვასილმა არაფრის გულისთვის არა ქნა.

— ღმერთს ჩემთვის ეს ძალა ფულის საბოჭავად კი არ მოუნიჭებია, შე კაცო!—უთხრა მან მარკოზას.

— აბა ვეცდები სხვა ნაირად გემსახურო და ეს დავალება კაცურად გადაგიხადო, ჩემო ბატონო!—მიუგო მოხუცებულმა გლეხმა.

ამ წამებამ, მთელი საზოგადოების წინაშე წამებამ სულ დაათავა უიმისოდაც მისუსტებული მარინე. იგი მესამე დღესაც არ ამდგარა ზეზე, ისევ ავადმყოფი იწვა. უბედური დედა-მისი თვალ-და-თვალ უყურებდა, როგორ ესალმებოდა მისი საწყალი, მრავალტანჯული შვილი ამ წუთი-სოფელს. ესალმებოდა, აბა რისი მომასწავებელი იყო მისი ასე საცოდავად მოკვდომა... და ესმა თავს დასტიროდა მარინეს... მარკოზა კი ხანდახან მივიდოდა ავადმყოფთან, ჩაჰკითხავდა: „რავა ხარ, შვილოვო?“ და პასუხის მაგივრად რომ გაიგონებდა გაუგებარ სიტყვებს მიმქრალი ხმით წარმოთქმულს, უცბად მოშორდებოდა მას და ცალკე ჰყრიდა ცრემლებს ისე, რომ ესმას არ შეენიშნა იმისთვის ეს ცრემლები.

სოფიო და ონისიმე ნუგეშს აძლევდნენ ვითომ მოხუცებულებს, მაგრამ თვითონაც ხედავდნენ, რომ სანუგეშო აქ არა იყო-რა.

ერთხელ მარინემ უცნაურად დაიჟინა სახლში, დედამთილთან, წასვლა იქ დასაწოლად; მარკოზამ ძლიეს, ისიც წყრომით, გადაათქმევინა მას ეს სურვილი. „ფეფენას ნურაფერს აწყენინებთო“,—ეხვეწებოდა მომაკვდავი მშობლებს.

ფეფენას არაფერი გაუგია იმისი, თუ რა მოხდა ონისიმესას, რა რიგად საბოლოოდ დამტკიცდა მისი ნამდვილი კუდიანობა და მისგან რძლის გაკუდიანების მონდომება. ვინ იქნებოდა იმისთანა, რომ ყოველი ეს ეამბნა ფეფენასათვის, რომლის წინაშეც უფრო იმატა შიშმა მეზობლების გულში. გამოტეხაზედ დამსწრენი მაინც ერთობ შიშში ჩავარდნენ—ფეფენამ არ გაგვიგოს იქ ყოფნა და არ გადაგვეკიდოსო.

ფეფენამ ეს გაიოგო მხოლოდ, რომ მარკოზამ მარინე ონისიმესას მიიყვანა და რომ ახლა იგი ავადმყოფი იწვა მის მაზლის სახლში. არ მოუთმინა გულმა მოხუცებულ დედაკაცს და გადასწყვიტა, ყოველივე ყოფილის მიუხედავად, გადასულიყო ონისიმესას, რძლის ამბავიც გეეგო და მის მშობლებთანაც მოელაპარაკნა, რომ ასე წართმევა ქალის არავის უნახავს და გაუგონია, მით უფრო, რომ ფეფენა ამ ბოლო დროს სრულიად კმაყოფილო იყო მარინესი. მართლადაც, როცა მარინემ სრულიად გამოიცვალა ხასიათი, მისი სიტყვის გამგონი დაშდამჯერი შეიქმნა, მიივიწყა უწინდელი ცმუტვა-ცერცეტობა, სულ სახლში იჯდა და მოხუცებულმა ქალმა, მის აზრით, თავიდან აიცილია თავზედ წამოწეული უბედურება— ახლა ფეფენას აღარავითარი განსაცდელის მოლოდინი არ აწუხებდა. მან სრულიად გამოიცვალა გული რძალზედ. ამიტომაც იყო, რომ მან ასე გადუთქმელად მოინდომა ავადმყოფი მარინეს ნახვა... ეგებ ამ უცნაური ხასიათის პატრონის გულის სიღრმეში რძლის სიყვარულმაც გაიღვიძა... ვინ იცის!

— აჰა!.. კაი დაგემართოს! მაგაზედ უკეთესს ვერას იზამდი!...—რაღაც უცნაურ კილოზედ წამოიძახა მარკოზამ, როცა ნიკას თანხლებით ეზოში შემოსულ ფეფენას თვალი მოჰკრა.

— სახლში არ შემოუშვა მაგ სულ-წაწყმედილი, მაგ! გაჯავრებით სთქვა ესმამ.

— ვინ არი, დედა? იკითხა ავადმყოფმა.

— წყეული შენი დედამთილი, შვილო! მარკოზა, კაცო, სახლში არ შემოუშვა, იცოდე, თვარა ამ წამსვე ყანყრატოში ვეცემი!

— მაცალე, დედაკაცო!.. შენ შენთვის იყავი, სანამ არაფერი გითხრა!.. ეს მინდოდა, რომ სადმე მოხერხებულ ადგილას ხელში ჩამეგდო მაგისი თავი და ღმერთი მიგზავნის კიდევაც!—ბოროტად წარმოსთქვა მარკოზამ, მივარდა კერას, აჩქარებით გამოქექა ცეცხლი, გადააბნია ნაცარი და ზევით ამოაგდო კერაში ნაგდები ნალი. მერე ისევ ნაკვერცხლები წააყარა

რკინას, მიტრიალდა და ფეფენას შეეგება კარებთან. არც სოფო და არც ონისიმე შინ არ იყვნენ.

— მობძანდი, მძახალო, მობძანდი!.. აქამდინაც კი უნდა გენახა, შე ქალო, შენი ავადმყოფი რძალი! —დაცინვით უთხრა მარკოზამ:—შენ, ბიჭო, არ გეკადრებოდა ცოლის ამბავი გაგეგო?

— შე დალოცვილო,—მიმართა ფეფენამ მარკოზას:—შენ იმისთანა საქმე გვიყავი!.. გხედავდი, სხვანაირ გუნებაზედ იყავი და აღარაფერი გითხარი.. მე ვთქვი, ჯერ ესე იყოს, კაცი დამშვიდდება, დაწყნარდება... შვილიც ეტყვის!...

— შვილმა ვერაფერი კაი მითხრა!—წამოიძახა მარკოზამ.

— მამა, მამა!—მოისმა ავადმყოფის ხმა.

— იმიტომ ვიცდიდი ამ სამ დღეს,—თავისას ამბობდა ფეფენა:—რითია ავად? რამ გახადა ასე უცბად ამნაირად?—და ფეფენა ავადმყოფთან მივიდა.

— ნამდვილი ამბავი გინდა, რასაკვირველია, გეიგო, ხომ?—ისევ სხვანაირად ჩაჰკითხა მარკოზამ ფეფენას.

— დედა, დედა... უთხარი მამას!..—ძლივს გააგონა დედამისს მარინემ.

— შენ კი, ბიჭო, გარეთ გადი! დაუძახა ნიკას მარკოზამ:—შენი გასაგონი არ არის ეს ჩვენი ლაპარაკი!...

ნიკა ცხვარივით კარში გავიდა. მარკოზამ უცბად მიხურა კარი და გადარაზა სარაზავით; გამოტრიალდა, წინ წამოუდგა წელში გამართული, ღონჯებ-შემოყრილი ფეფენას და შეჰყვირა.

— შენმა კუდიანობამ უყო მაგას ეგ!... შენმა კუდიანობამ!—დაიყვირა რაც ხმა ჰქონდა მარკოზამ:—ვითომ და არ იცოდე... იმისათვის მოდი, რომ მაგის წვალების ყურებით დამტკბარიყავი?!.. მარა სად წამიხვალ ახლა, სად წამოხვალ!..—უყვიროდა მარკოზა გაფითრებულ მოხუცებულ ქალს, რომელიც, ბრძნობა-დაკარგულივით მისჩერებოდა ამ გამხეცებულ კაცს.

— ვერსად ვერ წამიხვალ! ვერსად... გესმის თუ არა?—ყვიროდა ისევ მარკოზა.

— ხომ არ გადარეულხარ! —შეუტია გონზედ მოსულმა ფეფენამ:—ხომ არ გადარეულხარ... ახლავე კარი გამიღეთ!...— და მან კარებისაკენ მიიწია, მაგრამ მარკოზამ ხელი სტაცა და უკან დაახევია.

— სად მიხვალ?... სად მიხვალ?

— გამიშვი, გეუბნები!... ხელი გამიშვი, სულელო! ბიჭო ნიკა, კარი გააღე ახლავე... გესმის, ბიჭო!

— ვერ გავაღე, დედა, ვერა! მოისმა ნიკას ხმა.

— რატომ ტანჯავ, რაზედ აწვალებ, შე შეჩვენებულო?.. აღარ გეყო მაგის წვალება, ვერ გაძეხი? შე წყეულო, სული რომ არ წაგაწყმედინე, ხორც რას ერჩი, მითხარი?—და მარკოზა რაც ძალა და ღონე ჰქონდა მოხუცებულს ხან იქიდან წაჰკრავდა მუჯლუგუნს, ხან აქედან. ფეფენა კი ამ სიტყვებით გაკვირვებული იძახდა:—რეებს ამბობ, შე უკონო, რას სულელობ?—და თან საზარლად ყვიროდა. მაგრამ მარკოზამ ყურიც არ ათხოვა ამას, მოჰხვია ხელები ფეფენას, მიათრია ბაგასთან, მოხსნა ბაგაზედ ჩამოკიდებული ხარის დასაბმელი ბაწარი, ესმას დახმარებით შეჰკრა მოხუცებული დედაკაცი და შებაწრული მიწაზედ დააგდო.

— მიშვილეთ, მიშვილეთ!—შესაზარი ხმით გაჰკიოდა ფეფენა.

— მოიტა აქ ნალი!—გადასძახა მარკოზამ ცოლს; თვითონ კი ფეფენას თავს დაადგა და ნიშნის მოგებით ეუბნებოდა: —სად წამიხვაო, სად წამიხვალ, შე კუდიანო?!.. ახლავე დაგიკარგავ მაგ შენს ძალას!... ახლავე მოგარჯულებ მე შენ!... მალე, დედაკაცო!

ესმამ გამოჩხრიკა ცეცხლი, გამოიღო საკეცით გაბარბალებული ნალი და მარკოზასაკენ წამოიღო.

— მამა, მამა!.. რას შობი?... რას შობი, მამა?—წამოვარდა ამის დანახვაზედ ლოგინიდან მარინე:—მამა, შენი ჭირიმე... მე მომკალი, მე!.. ნუ შობი მაგას!.. დედა იქით!—დეიწივლა მან და ესმას ხელიდან გააგდებია საკეცეც და ნალიც.

— ახლავე მორჩები, შვილო! გვაცალე!—წამოიძახა ესმამ.

— ᲛᲐᲛᲐ, რატომ მკლავ, რატომ მკლავ შენ!—და ღონე მიხდილი კისერზედ ჩამოეკიდა მარკოზას.

— მაცალე, გეუბნები! მაცალე!—გაჯავრებით მიაძახა მარკოზამ:—დოუდაღაეი რავა გადამირჩება მაგ.

ფეფენა ყვირილისაგან ხმა-ჩახრინწიანებული ისევ შველას ყვიროდა. კარებთან კაცების ხმა მოისმა. ეს ნიკამ შეჰყარა მეზობლები.

— მარკოზა, კარი გააღე, კარი გააღე, მარკოზა!—იძახოდნენ და თან კარს აწვებოდნენ.

— მაცალე, ბოშო, მაცალე! წეიყვანე ეს სულელი იქით! — მიაყვირა მარკოზამ ესმას და თან ისე ღონიერად შეინძრა, რომ მარინესაგან თავი გაინთავისუფლა, მაგრამ ამან თავი ველარ შეიმაგრა და მიწას დაასკდა მძიმედ.

განთავისუფლებულმა მარკოზამ უცბად დაავლო ხელი საკეცეს, აიღო მით მხურვალე ნალი და მიიტანა იგი ფეფენასთან, რომელსაც შიშისაგან ხმა დაეკარგა და გველივით კლაკნა დაიწყო.

— ხედავ ამას, ხედავ!—ყვიროდა მარკოზა:—ხედავ ამას! აი შენი რჯული, შენი რჯული!—და გამხეცებულმა მარკოზამ გახურებული რკინა თეძოზედ მიადო ფეფენას.

სალხში მყრალი, ნამწვი ჭინჭის სუნი დადგა. ამ დროს კარიც ჩამოგლიჯეს და სახლში შემოცვივნულმა გლეხებმა ცოცხალ-მკვდარ ფეფენას მოაშორეს მარკოზა, მოხსნეს მას ბაწარი და გარედ გიიყვანეს ჰაერზედ.

საშინელმა კივილმა შესძრა იქაურობა. ᲔᲡᲛᲐ, რომელიც მიწაზედ დაცემულ მარინესთან ფუსფუსობდა, საზარლად ღრიალებდა:

— შვილო, მარინე!... მარინე!.. მიშველეთ... ქრისტიანი ვინ ხართ, მიშველეთ... კვდება, კვდება!.. მარინე, შვილო!—ყვიროდა საცოდავად დედაკაცი.

— ჰა, მოკვდა!?...—იყვირა მარკოზამ და მარინეს მივარდა:—მარინე, შვილო! მარინე!...—და რა შეხედა უსულოდ მიწაზედ მდებარე შვილს, მოხუცებულმა ღონიერად ასწია საყვარელი გვამი, გულში ჩაიხუტა და თან გულსაკლავად გაიძახოდა:

— შვილო! შვილო, მარინე!.. მარინე, შენი ჭირიმე! ვაიმე, ვაიმე, ვაიმე!—და მარკოზა ამასთანავე გაცივებულ პირის-სახეს უკოცნიდა მკვდარს.

დავ. კლდიაშვილი

———— * ————

ნადირა

მოთხრობა

ჟანნა დიოლაფუასი

I

მედიდურად აუდებულან გატრას *) კედლები. კუბერთელა კოშკების თაკები მწვრალად იცქირებიან ფაართო არსებით გაუკანიდ მდინარეში. ოთხი დიდრონი ალაყაფის კარები მალულად არის ამოუკანილი უზარმაზარ სიმაგრეებ ქვეშ. ქვათა ნანქერზედ მრისსასნელ წამოწყიმულან გრძელ-გრძელი სარისები სასროლ ირაღებისა. იქვე ფარულად ჩაუმწკრივებიათ შაგ-შაგი ქვაბები, თავამდინ ავსილნი ფისითა და კუბრით. ფარდულები გამოტენილია ბზის მორებით, უზარმაზარი ქვებით, სასროლი ირაღებით და ჩაფებითა, რომლებშიაც ასაფეთქებელი წამლებია შენახული. ციხეებში აუარებელი მშვილდ-ისარი აწყვია. ყოველის მხრიდან ეზიდებიან შურდულებსა და ქვებსა. კაცები, ქალები, ბავშვები—ყველანი ფაცა-ფუტში არიან,—ყველანი ესმარებიან მეცისოვნეებს ციხე-სიმაგრეების აგებაში. მეფე დაიზემი და მისი თორმეტი კაჟი ბირადის მაგალითით ამხნეკებენ სალხს და ულვიძებენ მას ლაშქრობის სურვილსა.

დიდი სანი არ არის, რაც მეფე დაიზეიმა დამოუკიდებლობა მოუბოვა თავისს ბატარა სასელმწიფოს. ძვირად დაუჯდა მას ეს თავისუფლება; მით უმეტესად თავ-გამოდებულია დაიზემი; მით უმეტე-

*) გატრა—ქალაქია ძველ სპარსეთში.

სად ცდილობს, რომ ერთსულ მოპოებული უფლება არავის დაუთმოს. დაიზეში ძლიერ ეჯავრებათ სუზიელებს, რომელთაც ის სარგს ასდგეინებს, მაგრამ ესენი მას ვერას დაუკლებენ: ის გამოტდილი მეომარია. მის ჭაღარას ბევრი ომის ტეტსლი უსასავს. უბედურობა მხოლოდ ის არის, რომ დღეს მასთან სალიერად გამოსულა არა რომელიმე სუზიის მხდალი მეფლობელი, არამედ თვით დიდებული სპარსეთის შაჰი, შაფური, რომელიც ხრდილოეთიდან მოუძღვის დიდძალ ჯარს. შაფური სასტიკად უპირობს დასჯას ვატრას მეფეს მისთვის, რომ მან ასოსრა სუზია, მოჭკლა ამ ქვეყნის მეფლობელი, შაფურის მოსარეკ, და მოიტაცა მისი ქალი მარიამ.

დიდი იყო რიცხვა სპარსეთის შაჰისა. მისი ჯარი სთელავდა ყანებსა, ანგრევდა არსებსა და ბოგირებსა, სწრიდა ხესილებსა, სამუდამოდ ასდგურებდა ნოყიერ ადგილებსა და შეუბრალებლად სწყვეტდა ბაღჩებსა. ხალხი შიშისაგან თავ-ზარ დაცემული ჯოგსავით მირბოდა ვატრასკენ, რომ მის ტისე-სიმაგრეებში თავი შეეფარა. ხალხს თან მისდევდა ავარებელი დატვირთული ურმები. ეიწრო, ნაკებზე გადაგდებული სიდის-წინ ერთი წეწვა-გლეჯა იყო: ყველას უნდოდა წინ გასულიყო და ეშველა თავისი თავისათვის. ხალხის გროვა თანდათან მატულობდა. ქუჩები და მოედნები ავსო კარვებითა და ურმებითა.

დაიზეში თვალ-ტრემლიანი შეჰყურებდა ქალაქში ხალხის შემოსვლას. ან კი რა უნდა ექნა? კარებს სომ ვერ დაუკეტავდა, თავ-შესაფარს სომ ვერ დაუკავებდა აურაულ ხალხს? მით უმეტეს, რომ, ვინ იცის, ამ ბრბოდან რამდენი გმირი გამოიდოდა საჭირეების დროს. ის წინ და წინვე სედავდა, თუ რა ავარებელ მსხვერპლს მოითხოვდა მომავალი ომი.

ვატრას ვერ ეტანა მოსების ულელი. მისი მცხოვრებნი, ისეთნაოდ გამდიდრებულნი ძარცვა-გლეჯითა, დაუღალავნი და გამბედავნი მზად იყვნენ თავ-განწირულად დასვენდრობდნენ მტრებს და გაეკვირვებინათ ისინი სიმამაცითა. განა პირველად არის ვატრა გასასტდელში? ამას წინად არ იყო, რომ მამაცად გაუმაგრდა მრავალსანე რომაელების თავ-დასხმას, და არამც თუ გაუმაგრდა,—უკუაქცია კიდეც? მას აქედ სომ უფრო გაამლიერეს ეს ქალაქი მისმა მეფეებმა:

ტისკენები ააგეს, კედლები აუმაღლეს, საუკეთესო იარაღები მოუხოვეს. მის უზარმაზარ კედლებს არ ეშინიათ კედლის საქტეი ძელებისა, არ უორთიან ასასვლელ კიბეებსა... სასროლი იარაღები ბევრი აქვს. სურსათის მაღაზიები თავამდინ აესილნი არიან; შიგ შუა ქალაქში ტიგროსის ტოტი ხაუდის. მაგრამ მოსუტ დაიზემს მაინც გული უღონდება.

რა არიან მისთვის სპარსელები!.. სხვა დრო იყოს, მათი შემოსვა სიასარულსაც მოჰგვრიდა მას. დედა-მისი არაბელი ქალია. ერთ დროს ის განთქმული იყო ისრის სროლაში და სმლის სმარებაში. დაიზემი ჯერ მაშინვე იყო ომში, როდესაც ტის სისათლეტ კი არ ენახა. ის დაიბადა ორ ომ შუა რომაელებთან, ორ განარჯვებას შუა მათზე. იზრდებოდა მუდამ ლაშქრობაში და ლაშქრობითა სტოტსლობდა. მისი მგერდი მხოლოდ მაშინ ფართოვდებოდა სიამოვნებით, როდესაც ომის ტეტსლიან ჭაერს ჭელაპაკდა. შურდულების ზუზუნი და ისრის სტვენა საუკეთესო მუსიკა იყო მისთვის. მაგრამ გული მაინც საგულეს არა ჭქონდა დაიზემსა.

— კაი"თუ, — ფიქრობდა ის, — კაი თუ ვერც ჩემმა განმებადობამ და გამოტდილებამ, ვერც ჩემი შეილების სიკაუკაცემ ვერ დაგვისსნას უბედურებისაგან? კაი თუ მტერმა გვმლიოს და' გატრა დაგვიქციოს?... მაშინ მოსუტი დაიზემი აიღებს ხელში ჯოხს და დაუწყებს ტსკრეტს მწუსვას მისი წინაპრებივით. ის დაუბრუნდება მამა-პაპურ მარტივ ცხოვრებას, მათ ზნესა და ჩვეულებას. ამნაირი ბოლო, ასეთი შეტკლა ესლანდელი მდგომარეობისა არ აშინებდა დაიზემს, მაგრამ გული მაინც არ ასვენებდა მას.

გატრა ბაკისი მაღალი კედლებით, კოშკებით, აუარებელი იარაღებით ხომ მიუვალი ტისეა? ვერა ძალა იმას ვერა სძლევს. მაშ რაღა ანაღვლებს შეფეს?

ოღონდაც, რომ სანაღვლებელი აქვს დაიზემს... მას ჭყავს ერთი თვალ-მარგალიტი ქალი, ნადირა, რომლის დასაცავად გატრას ზღუდე უბრალო ნაფოტად მიაჩნია.

ნადირა უკელაზე უმცროსია დაიზემის შვილებში. ის ერთად-ერთი ქალიშვილია დაიზემისა. თსუთმეტი წელიწადია, რაც ის დაიბადა. თსუთმეტი წელიწადია დაიზემი მაზედ ლოტულობს; ბედნიე-

რად სთვლის იმ დღეს, საათს, წამს, როდესაც ის ქვეყნად გაჩნდა. თსუთმეტი წელიწადია დაიზემი მას თვალებში ჩასტქერის და იქ კითხულობს თავისს ბედს და უბედობასს. რა უნდა ინატრონს, რა უნდა მოისურვოს ნადირამ იმისთანა, რომ დაუეოვნებლივ არ აუსრულონ?

ან კი ვინ გაუბედავს ნადირას უარს? მისი ფიერუზის-ფერი თვალები, გარემოცული გრძელ-გრძელი წამწამებითა ძალა-უნებურად ჭსიბლავენ მათთა მეწვრეტელთა. ოქროს-ფერი სუნუნა თმა ისე უბრწყინავს, თითქო ჩამავალი მზის შუქი ზედ დაჭკონებიაო. კვრდის-ფერი ტუჩები უმეობენ მარგალიტებრ ჩამწკრივებულ თეთრ კბილებს, და ტანადობა მისი ისომ ალვის ხესაც შეჭშურდება.

ფუფუნებაში აღზრდილი, განებივრებული ნადირა ფიქრობდა, რომ თვალები მისთვის აქვს, რომ უმზიროს, თუ როგორს ატლასებაში მოდიან მისი სიტურფეთა, ეურები—მისთვის, რომ მუდამ ქება ესმოდეს, და სული—მისთვის, რომ დასტკბეს თავისი სიმშვენიერითა და სანაზითა. მისი მსლებელნი ბედნიერად სთვლიდნენ თავისს თავს, თუ ოდესმე ნადირა გაუღიმებდა მათ ან ალერსით სიტყვას ეტყოდა. მათთვის ისიც დიდი ღვთის წყალობა იყო, რომ შეეძლოთ ამ მშვენიერების მუდამ ტქერა.

იმ დროს, როდესაც შუა დღის ჰაპანაქება დედა-მიწას სრაკვავდა, ნადირა წამოწოლილი იყო სოლმე რომელსამე ბუჩქ ქვეშ, წყლის ნაპირას. მოასლეები შუბლს უგრილებდნენ მას მარაოთი და წვეთ-წვეთად ასმეკდნენ ყინულიან სასმელებს. ის ეურს უგდებდა მდინარის გამართობელ შსეიდს, ჭყლაპავდა სუნნელოვან ჭაერს და სტკბებოდა თავისი მდგომარეობით; ნამეტურ—როდესაც ამ მდგომარეობას შეადარებდა მენავეების ბრძოლას მდინარეს ტალღებთან ან წყლის მზადავების ჭაპან-წყეტით სიარულს წყლის გორიან ნაპირებზე. მას სასიამოვნოდ მიაჩნდა ეს განსვენება და სულაც არ აკვირვებდა; არასოდეს არ აღძერია მას თავში ის კითხვა, თუ რად სუფევს ასეთი განსვენება მუშაკთა და მას შორის, რად არის ადამიანებ შეა ასეთი უთანასწორობა? იმას ფიქრადაც არ მოსდიოდა ეს კითხვები, იმიტომ რომ ის მეფე დაიზემის შვილია, იმიტომ რომ ის შეუდარებელი, ტურფა ნადირა არის...

ერთსულ ნადირა საღამოს ყამს კარდების წალგოტში დასეირნობდა. უეცრად ყური მოჰკრა ორი მგზავრის დაპარაკს. ერთი ეუბნებოდა მეორეს, რომ ხოსრომ დაიწუნა ტურფა ნადირა და ირაკლის მარიამს, მეფის ნაცვლის ქალს სუზიაში; ჰკვირობდნენ, თუ რაგორ მოსდა, რომ ამ შესანიშნავმა ბელადმა, დიდი სასულმწიფოს წარმომადგენელმა ღამაზი ნადირა გასცვალა ვიღაც ნაცვლის ქალზე:

— რაგორ თუ,—სთქვა თავის გულში თავ-მომწონე ქალმა: —რაგორ თუ მოიპოვებს ისეთი კაცი, რომელიც ჩემს სიმშვენიერეს სწუნობს?! ან არის ისეთი ქალი, რომელიც ბედავს საქრმო წამართოსო!

გაანწყლებულმა ნადირამ გადასწყვიტა თავისს გულში სასტიკად დასჯა თავისი მოპირდაპირე. ამას შემდეგ ნადირას აღარ მოუსვენია არც დღე, არც ღამე, სანამ არ მიაღწია თავის მიზანს: მან ჩაგონა მამას და ძმებს, რომელნიც ისეთივე ყურ-მოჭრილი ემები იყვნენ ნადირასი, როგორც მამა, რომ თავს-დასხმოდნენ სუზიასა და მარიამი დატყვევებული მოეყვანათ მასთან. მისი სურვილი დაუყონებლივ შასრულეს: სუზია აიტაცეს, მისი მმართველი მოჰკლეს და სატოდავი ობლად დარჩენილი მარიამი ტყვედ წამოიყვანეს. ამ საქმეებმა განარისხა სპარსეთის შაჰი შიფური, რომლის მოსარკედ ითვლებოდა სუზიის მმართველი. გასა დაიზემმა კი არ იცოდა, რომ ეს ასე იქნებოდა? ის წინდაწინვე ჰგრძნობდა ყოველსავე შედეგს; ის იმასაც კი ფიქრობდა, რომ, შეიძლება, ტახტსაც გამოეთხოვოს ამ საქმის გამო. მაგრამ ეს რადი აწუსებდა მას. დაიზემს მხოლოდ ის უღონებდა გულს, რომ კაი თუ ნადირა შესწუსდეს ომის დროს; კაი თუ მან კერ აიტანოს მტრის შემოსევა და დარბევა. აი ეს ფიქრები უმანჭავდნენ გმირულ ბერის-სახეს მოხუც მეფეს.

მზეს სანათლე თან და თან აკლდებოდა. მსუბუქი ორთქლი, წითლად შეღებილი ჩამაკალი მზის შუქით, ისამურად იკლაკნებოდა აქა-იქ. ცის კამარა თან და თან მოწითანო ფერს იკრავდა სამხრეთისაკენ. ამწკანებული მიდამოები თითქო ძილს ეშირებიანო მთელი დღის ბაბანაქების შემდეგ.

გატრაში სალსთა დენამ იკლო. დაგვიანებულები ჩქარის ნაბიჯით მიეშურებოდნენ.

უეცრად სმა გავარდა, რომ ჯარი მოდისო. ქალაქში მოკარდნენ მოწინავე ჯარის კაცები და შეატყობინეს დიზემს მტრის მოახლოებება. შორს, შორს ძლიეს მოჩანდა რამდენიმე შავი წერტილი. წერტილების რიცხვი თან და თან მრავლდებოდა; ჯერ გამოჩნდა მხოლოდ ათი, შემდეგ ორმოცი და ათი, ათასი და ბოლოს ურიცხვი. ძლიეს შენიშნავდით, რომ ცხენებზე სხედან. აგერ იარაღებიც ბრწყინავს. მოახლოებულნენ. გატრეღებმა ცხადად დაინახეს, რომ მოწინავე ჯარს შეადგენენ სუზიელები და მათ წინ-მოუძღვის ბატონიშვილი სოსრო. სოსროს ჭსურს, ბირველად აიღოს ის ციხე, სადაც დამწყვდეულია მარიამი.

დიზემმა იცოდა, რომ სპარსელები დილა-ადრიან ალყას შემოარტყამენ გატრას და რამდენიმე დღის შემდეგ სრულიად შეჭკრავენ ქალაქიდან გასავალ გზებსაო; ამიტომაც მან ბრძანება გასცა, რომ დუუონებლივ აეყარათ ნაგებზე გადაგებული სადი; მიატანინა ალაყაფის კარების გასამაგრებლად უსარ-მარადი საკერჩხლის ძელები; დათვალიერა სამხედრო იარაღები, გასინჯა თოკების სიმაგრე და ჩაყენა თავისი შვილები, სადაც უფრო საშიში ადგილები იყო. თვითონ კი აღმოსავლეთის ალაყაფის კარი დაიჭირა, რადგანაც იცოდა, რომ ბირველად სპარსელები ამ კარებს მოადგებიანო, მაგრამ სანამ ის თავისს ადგილს დადგებოდა, ნადირა ინახულა, რომ მის ალკოვში მოეშოკებია გამაძღნეკებელი ძალა.

ნადირა ტუდ გუნებაზე დაუსვდა მამას. მას აღარ ამხიარულებდა მოახლეების სიმღერა. დაღონებულის სმით შესჩივლა მამას, რომ მას არ აძლევენ მოსვენებას გლესები, რომელთაც ასე მრავლად შეუურიათ თავი სასახლის წინ.—ქუჩაშიაც კერ გამიგლია ისე, რომ კისმე ძონძებში გახვეულს არ წავაწყდე თავს! ან კი რა საჭიროა იყო ამ ღატაკი სალხის ქალაქში შემოშვება? ეს ხომ სიქმეს უფრო აბრკოლებს? გაუშვით სალხი გარეთ, ჯარებიც თან გააყოლეთ და განდეგნეთ მტერიო,—ეუბნებოდა ის.

— ჩვენი ქალაქ გარედ გასვლა და დამარცხება ერთი იქნება, შვილო,—უპასუხა დიზემმა შვილს:—სად შეგეიძლიან ჩვენი ბატარა ჯარით აუარებელი მტერი მოვიგერეთ? აი, შენ რომ დაგვეთანხმო და მარიამი განკითხვის-უფლოთ, მაშინ მტერი თვითონვე მოგვშორდება.

— რაო, მარიამი, ეს ნამოსაარული მარიამი განგანთავისუფლოთ და მის საფეარელს დაეუბრუნოთ? ბარაქალა მამა, კი რჩეა ბტოდნია! მერე რაღა ნიშანი გერჩება შენის სუზიელებზე გამარეკვებისა? ნუ თუ ისე დაუძლურდი, რომ მეფიდან-ისარსაც ვეღარ მიმართავ? თითის ტარი სომ არ გახუქო, მამა? შენ იმისთანა რამეებს ლაპარაკობ, რომ იძულებულს გამხდი შენ მაგიერ მე ავიღო ხმალი ხელში და ჯარს წავუძღვე. გაღმომეტი ბარეიდა უფროსობა, მე დავეხმარ თავს ხვარსელებს, მე გამიმგრდეს ის წუწკი შიფერი, რომელიც შენ ესრე გაშინებს.

ნადირა დაღლილი ტირე ლაპარაკით საგარეჯოზე დაეშვა. შენიშნა, რომ ამ აგზნებულმა ლაპარაკმა გაელეწა იქონიერ დიაზემზე. ამიტომაც მელეფრის ტბიერობით გადახედა მას და უთხრა:

— შენ ის გამბედავი, შეშინებული მეფე არა ხარ, მამა, რომელის ხასელიც კი რისხვად ეჩვენებათ შენს მტრებს?

— შეიღო, შეიღო,—უთხრა დიაზემმა ქალს:—ჩემი სიმხდალე, რომელიც შენ ასე გარტყვენს და გაწითლებს, გამოწვეულია შენდამი სიბრალულით, მით, რომ შენ არ შემიწუხდე ლაშქრობის დროს!

— გთხოვ, მამა, უფრო კარგი აზრის იყო შენს ქალზე: იტოდე, რომ ნადირა სიკვდილს ირჩევს თავის შერცხვენას.

დიაზემი ალელვებული დათს გამხნევებული ამ მოგონილი სიფიცხეთ დაბრუნდა ბანაკში. იმას კი კერ ატყობდა, რომ ეს სიფიცხე გამოწვეულია მარიამისადმი შეურიგებელი სიძულვილით.

სიბნელის გამო ვერ გამოარკვევდა კაცი სხვარსელების რაოდენობას; მეტრამ მრავალ ალაგას გაჩაღებულმა ცეცხლმა დაარწმუნა დიაზემი, რომ მოსალოდნელზე ბევრად მეტი ჯარი იყო. ინათ თუ არა, დიაზემის წინ გადიშალა უშველებელი მინდორი, სულერთიანად გადათეთრებული სხვარსელების კარვებითა და ავარებელი დატვირთული ურმებითა. ალმოსავლეთის მხრით სჩანდა შაჰის მაღალი კარავი, რომელიც განსხვავდებოდა სხვა კარვებისაგან სიდიდით, სილამაზით და მორთულობით. ტოტა მოშორებით შენიშნავდა კაცი სპილოებს, რომელთაც უზარ-მაზარ ძელებს ზიდავენებდნენ ბედნების დასანგრევად. ცხადი იყო, რომ შაფურს ყოველი ღონე უღონებია, რომ დიაზემი და-

ამარცხოს როგორმე და ამნაირად გადაუსადოს მას მირიაძის დატუვევება.

II

სპარსეთის შაჰი შაფურ დიდად შეძღებული სულმწიფე იყო. როდესაც ის დაიბადა, მამა-მისმა არდეშირმა მოკვლა უბრძანა მისი, რადგანაც მოგვების თქმით ის მამის სიცოცხლეშიკე დაიჭერდა ტახტს. სიკვდილს გადაარჩინა დიდმა კეზირმა, რომელმაც ფარულად აღზარდა ის ტახტისათვის.

როდესაც არდეშირი მოსუტებაში შეკიდა, დაიწყო გოდება და წუხილი, რომ მას მემკვიდრე არა ჰყავს და ტახტი უსულმწიფოდ რჩება.

— დამშვიდდით, მეფე!—მოახსენა მას დიდმა კეზირმა, და გამოუტუდა მას უველაფერში.

დიდი განსაცდელი გამოიარა შაფურმა ახალგაზდობაში, ბევრი რამ ცუდი გადაჰყრია თავს, მაგრამ ხასიათი კი არ შერეულია. უველა აქებდა მის დიდ-სულოვანებას და კეთილ-შობილ გულს. უველამ ზეპირად იცოდა მისგან გამოთქმული მემდეგი აზრები სულმწიფობის შესახებ:

«ნუ ეფერები ბიჭში მეფეს,—ის თავისს თავს იცნობს; ნურავის ებეზღებ,—არ გაგიგონებს; უფრთხილდი სიტრუფეს,—საზარელია ცისა და ქვეყნისათვის; უჯაროდ სასულმწიფოს ვერ დაიცავ; უფულოდ ჯარს ვერ შეინახავ; ფულს ვერ იშოვნი, თუ მიწა კარგად არ დაიმუშავე, და მიწას ისე ვერ დაიმუშავებ, თუ უველა ქვეშევრდომს თანასწორი უფლება არ მიანიჭე».

რა წამოიზარდა შაფური, ბედმა ის შეილად აიყვანა. ჯერ არ იცის მან, რა არის დამარცხება. დიდი ხანი არ არის, რაც შეება უდიერ რომაელების ლეგიონებს ედესის ახლოს და ისეთნაირად დამარცხა, რომ მათი მეფე ტესარ-ვალერიანი ტყვედ ჰყავდა სელში. სასანიდების წინაშე დედ-მიწაც კი თრთოდა. უპირველესი სასულმწიფოების მფლობელნი თავს ისრიდნენ მათ წინაშე. შაფურს ეგონა დაიზეიმე ასე მოიქცე�და, ეგონა, რომ შებრალებას ითხოვდა, და მაშინ ძვირად კი დაუჯდებოდა მას ამ შებრალებას.

მაგრამ, დასე მის კადნიერებას, ორი დღე ელის სპარსეთის მეფე დაიზემს, ორი დღეა, რაც ის სპილოს ძვლის ტახტზე ზის, გარშემორტყმული ძვირფასს ტანისამოსებში დარჩენულ კარის-კაცებითა. მაგრამ დაიზემი არსად სჩანს! განრისხდა შაჰი. უბრძანა მოუყვანათ რომის იმპერატორი კლერიანი, რომლის ბეჭებს ფეხის დასადგმელად ხმარობდა ტახტზედ შეჯდომის დროს; შებძანდა ტახტზე და დათვალიერა გარეს გარშემო დაყენებული ჯარი.

— კმარა ამდენი მოთმენა, გატრა უნდა მოისპოს!—ამბობდა ის:—დაიზემი და მისი აკაზაკი სატეტლები უნდა მოისრისონ, თორემ ღამის მთელი სპარსეთი შეაწუხოს ამ მეამბოხეთა ბრბომ! კარგა ხანია კატეობ, რომ დაიზემი არაფრად აგდებს სპარსეთის დიდებას. ქვას ქვაზე არ დაგტოვებ, მიწასთან გავასწორებ მთელს გატრას!

სპარსელებმა ააშენეს ორი გარს შემოსადგომი კედელი და მიჭედეს ხელი თხრილის ამოგებას: აუარებელი ხე და ქვა ჩაუშვეს შიგ, აუარებელი მიწა ჩაყარეს, მაგრამ მის ამოგებას არა ეშველა. მთელი ორი თვე განუწყვეტელად მუშობდნენ; არც დღე და არც ღამე იმათ მოსვენება არ ჰქონიათ; მრავალი მათგანი ამოწყდა გატრელების უწყალო ისრებით. მაგრამ ქალაქის კედლები მაინც მედგრად იდგნენ. ამ ორმა თვემ დაარწმუნა შაფური, რომ საქმე ვერ მიდის სასურველად, რომ გატრასთან ომი ხუმრობა არა ეოფილა. ნადირა სიხარულით ადარ იყო, რომ ხარჩო ვერას გახდა. ის უმადლოდა მამას და ძმებს ხარჩოს დამარცხებას.

— შენ კარგად იყავ, ჩემო მტრედო,—ეუბნებოდა მას მამა:— და ჩვენი თავი შენდა სასაცვალოდ შემოგვიწირავს.

სპარსელებმა მოატანინეს უზარ-მაზარი ძელები და დაუწყეს კედლებს ჭიდვა. ასტედა ხმაურობა. კედლის ორი უკრე გაიბზარა; ერთი კოშკიც ძირს გადაინგრა. დინგრეულ კოშკთან დიდ-ძალმა სპარსელების ჯარმა მოიყარა თავი. ამით ისარგებლა დაიზემმა: მოისმარა მძლავრი ჯარის-კაცები; ასწიეს აზარმაცებით დიდი ქვის გროვა და თავზე დაუშვეს მათ... ქვამ იგრიალა და მრავალი ჯარის-კაცი მოიტანა ქვეშ. ადგა საოცარი კორიანტელი; მოისმა გულსაკლავი ოხვრა და კვნესა. შაფური გაჯავრდა; ბრძანება გასცა, მოეტანათ კედელზე ასასვლელი მანქანა; ეს იყო მაღალი კოშკი, რო-

მელსაც ზედ ება ასაწევი სიდი. ამ მანქანას კედელზედ გადაჭიდებდნენ და ამსაიერად ჯარი ბირდაბირ ციხეში შედიოდა.

შესედა თუ არა ნადირამ მანქანას, მიეარდა ადმოსავლეთის ალაყეთის კარებთან, სადაც დეიზემი თავისი შეილებით დინჯად შეჰყურებდნენ სპარსელების ჭაბანწყვეტას.

— მამილო, რა ამბავია, ჩვენის მხრით ჯერ ერთი კაციც კი არ მომკვდარა, და თქვენ კი ნებას აძლევთ მტერს მანქანა გადმოჭიდოს ჩვენს კედლებზე და არსეინად ქალაქში შემობრძანდეს?

— ოო, ნადირა, ჩვენო გამამხნეებელო, ჩვენო სულის ჩამდგმელო!—მაუგო დაიზემმა:—სკალ დილით, ადრე ადი ერთ-ერთ ადმოსავლეთის კოშკზე, ებრძანე მოასლეებს ერდოზე ნოსი დაგონ, წამოწევ, ჩემო თვალის სინათლეე, და თვალი ადევნე ჩვენსა და სპარსელების ბრძოლას.

— ჩვენს ვაუკაცობას სკალ დაინასავენ თქვენი მშვენიერი თვალები—წამოიძახა ერთმა ბელადთაგანმა:—ნეტავი იმ ბედნიერს, ვისაც სახელს თქვენი ლამაზი ბაგენი წარმოსთქვამენ, როგორც საუკეთესო ვაუკაცისას!

— ვინც მეტი გმირობა ჩაიდინოს, მას სამასსოვრად მიეტეს თქვენს ბრალს ყელზე ჩამოკიდებული ოქროს ძეწკვი—სთქვა ასადგაზდა ნიზვეიელმა მეფემ.

— მომიტანე შალვარის თავი, ნიზვეიელო მეფეე, და შენ მაიღებ ჩემგან არამც თუ ყელის ძეწკვს, არამედ, შეაძლება ს

ლამაზე კაცს გაგიყვებდა, რომ მკვდრის ფერი არა სდებოდა. ეს გასულათ ნადირას ოინი. და მართლაც, კაცი ვერ მოიგონებდა უკეთეს სერსს ამ კოშკის დასაცავად. მარიამმა იცნო ხოსრო; ეძახდა, სელჯს უშვერდა—მიშველეო. ხოსრო გაგიყდა; სტაცა კიბეს სელი, გიუიეთ ამოკარდა ზევით კოშკზე და მოიტაცა მარიამი. გატრეღები, თითქო გაწყდესო, კაცი არსად სჩნდა. სპარსელები განცვიფრებით შეჰყურებდნენ თავიანთი ბელადის გმირობას. ჯერ შუა კიბეზე არ იქნებოდა ჩასული ხოსრო, როდესაც ქვეშ მდგომმა ჯარმა ერთი ეკირიღი შექმნა: ალმოსაღლეთის ალაყაფის კარებიდან გამოცვიდნენ შავ-შავი არაბები, თავიათ ფესებამდის შეიარაღებული. მათი ჯავშნები, ფარითო ხმლები და მძიმე ბრინჯაოს ფარები მოგვაგონებდნენ რომაელების შეიარაღებასა. მათ წინ მოუძღოდა თვით დიაზემი თავისი თორმეტი კაკით.

შეიქნა სოტარი ისართ სრიალი, შურდულთ შუილი, სასროლ ისრალების ჯასა-ჯუსი, სპარსელებს სეტეკვასავით ეკრებოდათ თავზე სხვა-და-სხვა ისარღები. ჯერ კიდევ ძირამდინ არ ჩამოსულიეო ხოსრო, როდესაც არაბებმა სტაცეს სელი კიბეს და ეირამაღა გადაბარეს. მარიამს ს

ელი ალარ დაჭეოლია მიწაზე, ხოსრო კი დად ხანს ეგდო გაბრეებული. ბოლოს გონს მოვიდა, წამოდგა ფესზე და, რა ნახა, რომ მარიამი მკვდარია, მორთო ღრიალი: «სიკვდილი დიაზემს და მას დაწყეველილ ქალს... სიკვდილი დიაზემს!»—ეკირიდა ის:—«მაგრამ რას ვამბობ! შენს ძვირფასს სისხლს გამოიყიდის განა იმ სამაგალის სიკვდილი, ჩემო გულით საყვარელო?..» ხოსროს მკვდარი გულში ჩაიკრა; ბოლოს მოიხსნა თავისი წამოსასხამი და ზარეა-სანაგზე გადაფარა... მერე გადაერია და სადაც სმალების ჩასა-ჩუსი ისმოდა, აქ შეკარდა. «მარიამ! მარიამ!» ეკირიდა ის გიუსავით.

მაგრამ ისრების შეუუენებელმა წვიმამ გაფანტა სპარსელები. ამაოდ ამხნევებდა მათ ხოსრო; ვერაფერმა ვეღარ შეაყენა მათი უკუქცევა. ვინც გამაგრდნენ იმათ უარესი დაემარცხა. სელად გაუკანილ არსში გადმოუშვეს ტისეებიდან წყალი, რომელმაც სრულიად გაფუჭა მანქანისაკვის გაკეთებული გზა. მანქანა გადიგრიხა გზაზე. უცბად იფეთქა ქვესონმა, ამას მოჰყვა მეორე, მესამე, მეთოთ... დიაზემმა ტეტსლი მოუკიდა სპარსელებით აკსებულ კედლის საქცევ მანქანას.

სქელი კვამლი აკარდა ცაში, ტეტხლი გაძლიერდა. სპარსელები ან უნდა გადაკარგნილიყვნენ უშველებელი სიმაღლიდან ძირს, ან უნდა გამომწკარიყვნენ თაგვებივით მანქანაში. გატრეღება შემოესაკანენ ძირს ტეტხლ-მოკიდებულ სპარსელებს, სტოდნენ, ტეკვაკდნენ, მღეროდნენ და დასტინოდნენ მანქანაში მეოთე კარს. ნადირა, რომელიც შორი-ასლოდან თვალს ადევნებდა ამ სურათს, ტაშს უკრავდა და დასტინოდა შაფურს,—ამ ლომის ტუკეში გასვეულ ტურას.

ეს დამარცხება ისეთი მოულოდნელი და უეცარი იყო შაფურისათვის, რომ ის გეელ-ნაგებენივით ფესზე წამოსტა, როდესაც ეს ამბავი მოასსენეს. სწრაფად გადიცა საკურველი, შეკდა ცხენზე და მიაშურა კარს, მის უკან დაედევნა ამალა, ოქროსა და ძვირფასს თვლებში ჩამსსდარი. კარში სმა გაკარდა, მეფე მოდისო. დაჭერეს ბუკი და ნაღარა. გაქცეული კარი უკან დაბრუნდა და სელ-ახლა მიაკგნენ კედლებს. ამ დროს იგრიალა მანქანამ და შორს გაფანტა ტეტხლ-მოკიდებული მუგუზლები.

— ფულია, ფულია!..—ვინ არის ის მსედარი?.. არ იცი მისი სახელი?—ჰკითხავდა ნადირა თავისს ძიძას, რომელიც დიაზემმა ტუკედ აიყვანა რომაელებთან ბრძოლის დროს ნადირას დედასთან ერთად.

— რომელი მხედარი?.. ის სუზაელი ბელადი რომ არის?

— არა, ქალო, აი იქ ხედავ?.. მისი ხმალი ელვასებრ ბრიალებს; ლამაზ წელს უმშვენებს ოქროს კარსკვლავებით მოჭედილი ქამარი. მუზარადის ქვეშ შავი სუჭუჭი თმა მოუჩანს, თითქო ლომის ფაფარიაო.

— ნუ თუ კელარა სტნობ, ფულია, ჩვენს სელმწიფეს, რომლის სასეც უკელა ოქროს მანეთებზეა გამოსატული?—უთხრა ერთმა საკურისმა ძიძას:—ეს სომ ჩვენი ბატონის, დეიზემის მოსასხლე მტერია, ჩვენი მშვენიერი ბატონიშვილის დამტინავი და გამკილავი,—ეს შაფურია!

ნადირა აღტაცებაში მოვიდა მხედარის სილამაზით, სიმარჯვით და მოუკანილობით.

— აი როგორი უნდა იყოს კაცი!—სთქვა ნადირამ თავის გულში:—აი ვის შვენის სელმწიფება! დახე ამალას... რა ამალაა, რო-

გორ ბრწყინვალენს! გასა შეიძლება ეს კეკლუცი, ოქრო-მარგალიტ-ში ჩამსხდარი უმაწვილები შადარონ კაცმა ჩვენს უსეიროდ დაღ-რეკილ შავ-შავ არაბებს!

ნადირას გამოეცადა ამდენი სნის განმავლობაში მსოლოდ ერ-თი გრძნობა—გრძნობა თავ-მოყვარეობისა. არცერთსელ კერად წოდებულ თანაგრძნობას მის გულში ჯერ არ გაეკარო. მაგრამ ესლა კი რაღაც უცნობმა გულის-თქმამ მთლად დაატუკეკა იგი. ამ ასალი გრძნობის ზედ-მოქმედება ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, რომ ნადირა აღარც კი ცდილობდა მის წინააღმდეგობას. აღარ მიიღო მსედველო-ბაში აღარც სამშობლო, აღარც მშობელი და შეუგნებელად, გაურკვე-ველად მიეცა ტრფობის ალს.

დაიზემი და ზაფური ერთი-მეორეს ეძებდნენ მოსაკლავად, მაგ-რამ ვერ შესდნენ ერთმანეთს. რა იყო ამის მიზეზი? უბრალო შემთხვე-ვა, თუმცა, შეიძლება, დეიზემის კაუბიც შეზიდნენ სელს ამ ორი მეთაურის ერთად შეყრას.

უეცრად ნადირამ თვალი მოჭკრა ნიზიეილ მეფეს, რომელიც შურდულიანთ გაექცა ზაფურისაკენ. ნადირამ ერთი სიოტრად შეჭეა-ლა: გაახსენდა, რომ ზაფურის თავი დაფასებულია... თავისი გულის ძეწკვი ერდა მიეცა, ვინც ზაფურს თავს მოსწრიდა.—«ოს, ნეტავი გამოფრინა, რომ ჩემი მკერდი დავახვედრო მისთვის მოქნეულს სმალს»! გაიფიქრა ნადირამ. ამ დროს ჭაერში იელა ზაფურის მძიმე და მწარელმა სმალმა, და თავ-გამოდებული არაბი ძირს დაეცა უსუ-ლოდ.

ნადირა აღტაცებაში მოვიდა:—«ეხლა ხომ კეღარ მოვა ის თავ-მომწონე უმაწვილი მეფე და ვერ მომიტანს კალთას ქვეშ ამოფარე-ბულ სისასლიან თავს; ხომ კეღარ მომთხოვს ჯილდოდ გულის ოქროს ძეწკვს»!

ზაფური დარწმუნდა, რომ საქმე ცუდად მიდიოდა, და ხალხი კი ბევრი იელიტებოდა; ამისათვის ბრძანება გასცა, ჯარი უკან დაბრუ-ნებულიყო. დაიზემი არ დაედევნა სპარსელებს უკან. იგი იმითაც კმაყოფილი გახდა, რომ მტერს ზარი ამარუნებინა დროებით მაინც. ის დარწმუნებული იყო, რომ აღრე თუ გვიან შიმშილი და ტიფ-ტსელება ხელს აღებინებდა სპარსელებს გატრაზე.

გაცრეულებმა დაჭკრეს გამარჯვების ნადარა. ყოველი მხრიდან მორბოდნენ გამარჯვებულები და მოაფრიალებდნენ ბაირაღებს. ნადირას ოითქო არა ესმოდა-რა; მისი თვალები სადღაც შორს იცქირებოდნენ. მიიმალა თუ არა სასინდი, ნადირამ სიობლე იგრძნო.—«სეტარ არიან ქალები, რომელნიც შიფურს უყვარს; მაგრამ უფრო ბედნიერია ის, ვინც იმ ქალებს გამოსდევნის იმის გულიდან და თვიოონ დაიჭერს მათ ალაგს»,—ფიქრობდა ის. ეს ბედნიერიც ნადირა იქნება. ფულგიამ კაი სანია უწინასწარმეტყველა მას დიდი ბედი. აი ესლა ხდება ეს წინასწარმეტყველება. ან კი რატომ არ უნდა ახდეს? დაიზეიმის ქალი შთამომავლობას დიდებულ წინაპაროვან; ის ითვლება ლამაზთა მეფედ, ისე, როგორც შიფური ითვლება მეფეთა მეფედ. ის დაიჭერს ადგილს შიფურთან ერთ ტახტზე; ის დიდგამს თავზე მთელი ქვეყნის უბრწყინვალეს გვირგვინს; ის გაუწევს ნასანიდს უდელს,—უდელს ქვეყნის მართვისას. აი რა უნდა მოხდეს ეთ-ეოდ.

იმ დროს, როდესაც ნადირა ამ ფიქრებში იყო გართული, დაიზეიმ შემოვიდა.

— გაგამართლე ჩემი სიტყვა თუ არა, ჩემო პატარა მეფეკ?—დაიყვირა მოხუცმა მხედარმა, რომელსაც ჯერ მტრის სისხლი არ შეშრობოდა ტანისამოსზე:—რას იტყვი შენ, ნადირა, ჩვენს გმირობაზე? დიდო შიფურ, შენ გინდოდა დაგესაჯა დაიზეიმ; გინდოდა გატრა მტვრად გექცია! აბა, ტურფავ მეფეკ, მოდი და ნახე შენი შესანიშნავი მანქანა, შენი კედლის საქტეკი ძელები, დაათვალიერე ირაღლები!.. რა დაგრჩა ამთგან? ნაცარ-ტუტა და ნასიერი... რას გაჩუმებულხარ, ნადირა? ან თუ კიდევ კმაყოფილი არა ხარ ჩვენის გულადობით?

— რა უნდა გითხრა, მამა?.. ომიანობა, სისხლის ღვრა, ვაცის-კვლა—ვითოომ რა სასიამოვნო სურათია? ბერიქვით—ეს მსეტობაა და სხვა არაფერი. ესლა, მამიდო, ჩემი სურვილია, რომ ეს ომი მალე გათავდეს.

— რას ამბობ, ნადირა? გუშინ არ იყო, შენ თვითონ გვარცხვენდი, მხდალებს გეეძახდი, გვამხნევებდი და გაგვუფიანებდი ლაშქრობისათვის?

— გუშინ... ეგ სსვა, მე კიდევ არ კიცოდი, თუ რა არის ომიანობა. მაგრამ დღეს კი, დღეს საბრალულით დავიწვი, როდესაც ჩემ თვალს წარმოუდგა ათასი დაწრილი და მკვდარი, ათი-ათასი ტირებული და გაუბედურებული. მთელმა სსეულმა თრთოლა დამიწყო, როდესაც გესსე, რომ სიკვდილი მესრს ავლებს სალსს, თავის-უფლად დათარეშობს და ათასს გულით მეგობარს და სიყვარელს სამუდამოდ აშორებს ერთიერთმანეთს. არა, კაცა-კაცა ბუნების წინააღმდეგია.

— მაპატიონ მკვდრთა სულებმა, და დაიზეძა იმის არ შეუშინდება, რომ სულსდა სისსლის ღვარი ადინოს, თუ მაფურმა თავი არ მოისარა ჩემ წინაშე!

— სასსინადი თავისს დღეში არ დაიმდაბლებს თავს ვიღაც ბატრას მეფის წინაშე!

— იძულებულს გავსდი!

— არა, ისეე ისა სეფობია, მშვიდობიანის მორიგებით გათავდეს საქმე. გამარჯვებული ხომ შენა ხარ? შენკე ვეკუთვნის, რომ მშვიდობიანობაზე დაბარაკი ჩამოუგდო. ჩვენში კი დარჩეს-და, მიზეზი ხომ თქვენ იყავით? რისთვის მოჭკალით სატოდავი მარიამის მამა? რისთვის ავოსრეთ სუფია?

— ეგ ხომ შენი სურვილი იყო, გოგონა?

— ჩემი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ მარიამი მოგეტაცნათ, და თქვენ კი მამა-მისი ამ სოფელს გამოსალმეთ.

— მერე, შეიძლებოდა მარიამის წამოყვანა ისე, რომ მამა-მისი არ მოეკეალა? კინ დაგვანებებდა მარიამის თავს ასე ადვილად?

— რაც უნდა იყოს, მარიამი ესდა მკვდარია, და ჩემი სიძულვილი მას საფლავში არ ჩაჰყვება.

— რას ნიშნავს ეს დაგვიანებული სინანული?

— მე სულაც არა ვნანობ!

— მაინც...

— მაინც ჩემი სურვილია, რომ შენ გასდე უდიდებულესი მამა.

— მე ისიც მეყოფა, თუ უსაყვარლესი ვარ.

— გამიგონე, რა გითხრა.

— მხოლოდ მოკლედ კი თქვი: მეტად დაღლილი ვარ.

— ნუდარ ანჩხლობ. აბა, რა ჩვენისთანა წვრილმანების საქმეა იმისთანა ლომებთან ბრძოლა, როგორიც არის შაფური და მისი ჯარი. უკეთესია მათი გული მოიგო, შეეხვეწო და შემდეგ....

ნადირა სიტყვაში მორიდებას არ იყო ჩვეული, მაგრამ უსიამოვნობამ, რომელიც დაიზემს ცხადად დაეტყო სახეზე და ამასთან მეტად გაბედულმა მოთხოვნილებამ—ცოტა შეაჩერა იგი.

— გაათავე!—უთხრა დაიზემმა.

— შემდეგ დაადებინე გატრას ალაყაფის კარები!—დაასრულა ნადირამ.

დაიზემი გიჟულ-ნაგბენიკით ფეხზე წამოხტა, შიში და გაკვირვება ერთად გამოეხატა სახეზე.

— გატრას კარები დავადო?!.. ომის ჭურეტამ ხომ არ წაგართო, შვილო, ჭკვა?

და დაიზემს ხმა ჩაუწყდა.

— სუმრობ თუ... შენ დასტინი შენს მოხუტს მამას?

— მე სასუმარო არამაქვს-რა.

— ნადირა... ჩემო სულის ჩამდგმელო, ნადირა...

— თუ დუჯერებ ნადირას, ის მალე შეიქნება მეგობარი მეფეთ მეფისა.

— მეგობარი კი არა, ხასა... ჩემგან დამარცხებული მეფის ხასა!

— გვირგვინოსანი მეუღლე! მისმა სილამაზემ, ახოვნებამ და გმირულმა შეხედულებამ მომსაბლეს მე. მთელს დედა-მიწაზე მის მეტს არავის ვინდომებ ქმრად. მიმათხოვე, მამა, შაფურს და მზითებად გატრა მომეცი.

ნადირა მიუახლოვდა დაიზემს, მოესვია კისერზე და მიადვა ლოყა ლოყაზე.

— მამიდო, შენ ხომ არა გსურს, რომ მე მოკვდე... მაშ გაადებინე გატრას კარები! შემოუშვი შაფური!—ჩურჩულით ეუბნებოდა ნადირა.

ეს ჩურჩული, ეს ჩუმი ლაპარაკი დაიზემს ქარიშხლის გამაუოუებელ ღრიალად მიაჩნდა, ზვავად წამოსულ მთის სრიალცელად ეჩვენებოდა. შუბლზე ტიკი ოფლი დასხმია; ბერის-სახე დაეღმინჭა, სხეული მოეკეცა. ის შეჰყურებდა ოვიანს ნადირას და კვლარა სცნობ-

და მას. ეს უმანკო ქმნილება, მისი სიყვარული ქალი ამ წამში გარეულ მხეცზე უარესი იყო, სიზიზღარ გველზე უფრო შესაზარავი.

რა ნახა, რომ მამა ხმას არ იღებდა, ნადირას ტირილი ღიმილად შეეცვალა: იფიქრა მეთანხმებაო. დაიზემი გამოარკვია ამ ღიმილმა. მან მოიკრიბა ძალა, გაიმართა წელში, წაიღო ნადირას სელი სელში და ძლიერად ჩაუჭირა.

— შაფურს რომ დაეემარტსებინე,—სთქვა მან გულ-ამოსკვნით: —და ეთქვა ჩემთვის: «შენს ნადირას სელს არ გახლებ, თუ ერთ სელს მომაჭრეინებო», მე ორივე სელს გავუწკდიდი და ვეტყოდი: აგა, ჩემო სელმწიფე, ერთის მაგიერ ორივე მომჭერი, ოღონდ ჩემს ქალს არა ეკონა-რა! მე ამას იმიტომ ვიზამდი, რომ გაგიუებით მიეკარდი, შენში ვსედავდი წმინდა ქმნილებას, მაგრამ ესლა კი?.. ამას რას ვსედავ? ეს რა მესმის... შენა მთხოვ, რომ ჩირქი მოვცხო ჩვენი წინაპრების წმინდა ძვლებს, შენ კინდა შეეურთდე ჩემს მოსისხლე მტერს, ჩვენი ქვეყნის დამაქცევარს!... შორს!.. შორს აქედან, რომ ჩემმა თვალებმა არ დაგინახონ; მე შენ ვეღარ გცნობ ჩემ ქალად... გულ-შემოყრილი მოხუცი ვარად გავარდა.

მამის გამწარებას დიდად არ დაუღონებია ნადირა. ის დარწმუნდა მხოლოდ, რომ დაიზემს ერას გზით ვერ დაიყოლიებდა თავისი სურვილის ასრულებაში. მაშასადამე, სხვა ღონის-ძიება უნდა ეხმარა მიზანის მისაღწევად.

გატრას უწყლობის არ ეშინოდ, რადგანაც ქალაქის შუაგულს ტიგროსის ტოტი ჩადიოდა. მაგრამ სიფრთხილისათვის ამ მდინარის კიდეებზე მაინც აკეთებ სელოვნური სიმაგრეები, გამოიყვანეს მაღული თხრილი, რომლითაც ქალაქიდან გასვლაც შეიძლებოდა გაჭირვების დროს და წყლის შემოყვანაც ადვილი იყო ქალაქში.

ომის დაწყების წინ დაიზემმა აჩვენა ეკელა შვილებს ეს საიდუმლო თხრილი. ეი ამ თხრილიო ისარგებლა ნადირამ. მან გაგზავნა სპარსელების ბანაკში ოვიისი ძმა, ფეულვია, რომელიც მისთვის თავ-განწირული იყო, და შეუთვალა შაფურს, თუ როგორ შეიძლებოდა ქალაქში შემოსვლა. ნადირას ეგონა, შაფური, დაინახავდა თუ არა მას, ყურ-მოჭრილ მონად გაუხდებოდა, რაც თვითონა სწადდა, იმას ასრულებინებდა.

რაკი საქმე ამ ნაირად გარიგდა, წადირამ ასლა მამა-მისთან ჩაირბინა. დაიზე

ამათ ეგონათ, მამას ტისეში სძინავსო; დადგნეს დაკეტილ ტიხის კარებთან და ლაპიეთ იბრძოდნენ, სანამ უკელანი არ დახოტეს.

სპარსელები გაიფანტნენ ქალაქში. ხოსროამ ძლიერის ჯარით ბირდაბირ სასასლეს მიაშურა. მას სწყურდა დიაზემის და ნადირას სისხლი. მსოლოდ იმის ფიქრში იყო, თუ რა სატანჯელი მოიგონოს ისეთი, რომ ღირსეულად იზღოს მარიამის სიკვდილი. ჯარის-კაცები გამსეტდნენ. გარედ და შიგნით კვნესა და ოხვრა იდგა; ქუჩები წითლად შეიღება, ეკლესიები აოხრებულ იქმნა. ხოსროა, სასასლში ამოსვრილი, თანდათან უასლოვდებოდა სასასლეს. დედაკაცები და ბავშვები თავლტრემლიანი შესტიროდნენ მას და შებრალებასა სთხოვდნენ.

— სად არის დიაზემი?—ჰკითხა ხოსროამ ჯარის-კაცებს, რომელნიც სასასლის წინ ელოდებოდნენ მას.

ჯარის-კაცებმა სიტილით უპასუხეს მას:

— დიდება ძეფეისა გატრიისასა!—გაიწ-გამოიწიეს და ასწავლეს მოხეტი დიაზემი, რომელიც ორ კაცს ჭეკვდა ხელში გაკავებული. საბრალო დიაზემი ისეთ სასოწარკვეთილებაში იყო ჩაკარდილი, რომ ეელარას ჭეკრძნობდა. წვერი მოეშრათ; კბილები სანელის ტარით ჩაემტვრიათ; გრძელ-გრძელი საყურეები ხორციანად ამოეგლეჯათ ყურებიდან.

— სარზედ წამოაგეთ ეგ!—ბრძანა ხოსროამ და თვითონ სასასლეში შეკარდა თავისი ჯარით. აქ მოსასა მან კერტლის კარები ჭარამ-ხანისა და უბრძანა, რომ დაემტვრიათ. სპარსელები შეტეკვდნენ ქალების სადგომებში. აქ დიაზემის ტოლები, ქალები და მონები წიკილ-კეკილით შესვდნენ მათ: ზოგი ემაწეილებს გადაჭეარებოდა თავს, რომ დაეფარა ისინი გამსეტებული ჯარის-კაცებისაგან, ზოგს ოქრო-მარგალიტით სავსე ეეთები ჩაეკრა გულში და ზოგნიც მუსლ-მოდრეკილნი გარს შემოსვეოდნენ ტახტს, რომელზედაც უძრავად იჯდა ნადირა. ტანსა ეტკა ოქრო-მკედით ნაქარგი თეთრი ბრეშუმის კაბა, თავს ესურა ძვირფასი ქვებით შემკული რიდე, რომლის ქვეშაც კეკლუცად იტეხარებოდა დახუჭუჭებული თმა. ახალ-გაზდა, თეთრი, როგორც რძე და ღვინო, ნადირას სასე არ ჭხატავდა არავითარ მღელვარებას. არტერთი ტკარი ტრემლი არ ბრწყინავდა.მის

ტისფერ თვალებში, არტერთი ნაოწი არ მოიძებოდა მის თეორ შუ-ბლზე! ხოსროს ჯერ არ ენახა ნადირი, მაგრამ მისმა სამაგალითო სილამაზემ და ამპარტავნულმა თავის დაჭერამ მიახვედრა ის, რომ მის წინაშე ზის დიაზემის გასთქმული ქალი. ხოსრო მიუახლოვდა ტახტს. ქალები შიშით მიაფეთ-მოიფეთქნეს, მაგრამ ნადირა კი ისევ ისე უძრავად იჯდა. ხოსრომ ერთი ფეხი შედგა ტახტის ასაცალზე, გადასარა და უსდოდა ერთი შემოგვრეთ თავი მოეკვეთნა ნადირასათვის, მაგრამ ამ დროს ქალმა ამაყად შესძახა მას:

— მოსაკ, შენი ასალი ხოსროა?

— მე მონა არ გასლავარ,—მე ვარ ბელადი და შურის-მძიებელი მარიამისათვის.

— მონაკ, შაფურის მესარკეკ, ამ წამსვე დაიოჭქ!—ნადირამ მედიდურად გადაშალა მის-წინ მფარველობითი საგელი, შაფურისგან ბეჭედ-დასმული.

ხოსრო ძირს დაემხო და გაშტერებით შესცქეროდა საგელს. ბოლოს გონს მოვიდა, წამოიჩოქა და ეთხოვა მეფის ბეჭედს.

— ამ წამში ქალაქიდან გამიყვანე,—მწარალის ხმით უთხრა ნადირამ:—მე ხელმწიფის ქალი ვარ და უამალოდ საარულს არა ვარ ჩვეული.

რა დაინახეს ასურელებმა დიაზემის ქალის ასეთი გამბედობა, გონს მოვიდნენ, ძალა მოიკრიბეს, იშოვნეს ცხენები, ტასტრევანები, შესვეს ზედ ქალები, ბავშები და გაგზავნეს სპარსეთის ბანაკში, რადგანაც იქ უფრო ნაკლები შიში იყო, ვიდრე გატრაში.

ნადირა და დიაზემის ჭარამ-ბანა ერთად გაემგზავრნენ სპარსელების ბანაკში. ის არა ჭკეთხულობდა არც მამისა და არც ძმების ამბავს. დარწმუნებული იყო, რომ დიაზემი სიდმე ციხეშია დამწყვდეული და ძმები კი ომში არიან გართულნი. ხვალ, დილით ადრე ნადირა გაანთავისუფლებს მამას და მოაყვანინებს ძმებს. ქარავანი ნელის ნაბიჯით მიდიოდა ალმოსავლეთის კარისაკენ, რადგანაც გზა მოფენილი იყო მკვდრებითა და დაჭრილებითა. ასზიზღარი და თან საშიშარი სურათი იშლებოდა ნადირას წინ ყოველ ფეხის გადადგმაზე; დაჭრილების კვნესა-ოხვრა ჭეშებს აყრუებდა.

მცხოვრებლებს ერთი დღის ვადა მისცეს, რომ ქალაქიდან გასულიყვნენ. ვინც მეტ ხანს დარჩებოდა — იმათთვის თავები უნდა მოეკვეთნათ. ქალები, კაცები, ბავშვები — ყველა სიჩქარით ეზიდებოდნენ, რაც რამ გაახსდათ და ეშურებოდნენ ქალაქიდან გასვლას.

მიაღწია რა ალმოსავლეთის კარებს, ნადირამ საშინელი სურათი დაინახა: ალაყაფის კარებზე მიწედილი იყო თორმეტი მოჭრილი თავი, რომელნიც ფართოდ დალებული თვალებით მისჩერებოდნენ მას. ნადირამ ვერ იცნო, ვისი იყვნენ ეს თავები, რადგანაც სისხლში იყვნენ მოსვრილნი, მაგრამ დათვლა კი მოასწრო და ამით შეატყო, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ მისი ძმებისა. მხოლოდ ესლა იგრძნო მან სვინიდისის ქენჯნა — გრძნობა, რომელსაც ვერ ის არ იცნობდა.

IV

შაფურს ულოცავდნენ კარის-კაცები მტერზე გამარჯვებას, და ისიც სიხარულით ღებულობდა ამ მილოცვას, თუმცა, ცოტა არ იყოს, ნაღველსაც ჭვრძნობდა ამ სიხარულში, ნამეტურ, როცა მოიგონებდა, რომ გატრა დაიმორჩილა მან არა საკუთარი ძალით, არა თავისი ჯარების მსნეობითა და გაბედულობით, არამედ მოღალატის წყალობით, რომელიც სცალა მოვა და პირობის ალსრულებას მოსთხოვს. მოსამსახურეებმა მოახსენეს შაფურს, რომ დაიზემის ჭარმსახნა მოვიდაო და შიგ ერთი ისეთი ლამაზი ქალი ურევია, რომლის მზგავსიც ვერ კაცის თვალს არ უნახავსო. კარის-კაცებმა იმ წამშიგე მარტოდ დასტოვეს მეფე.

ნადირა ნელის ნაბიჯით შევიდა კარავში. თუმცა შაფურს ადრეც ბევრი გაეგონა ამ ქალის სილამაზის შესახებ, მაგრამ, რა შესდა, ისე გაოცდა, რომ ველარ შესძლო თავისი გრძნობის დაფარვა. ნადირას მთელი სხეული ბრწყინავდა რაღაც უცნაური სხივით. «ვერ კაცის სარბ თვალს არ მოსჩვენებია ასეთი ყოვლად შემკული ქალიო», — ამბობდა თავისს გულში შაფური.

— შემიბრალე, ხელმწიფეკ!—მიმართა ნადირამ მისუსტებულის ხმით და დაიწოქა:—შეიწყალარე საწყალი ქალაქი, მიპატიეკ შენის ძლიერი სკიპტრით ჩემი ძმები...

ნადირას ტკბილმა, მუსიკალურმა ხმამ გული აუძგერია შაფურს.—საბრალო უმაწვილი ქალი!... ჯერ კიდეკ არა სტოდნია თავისი ნათესავების უბედურება; დიდი უდმერთობა იქნება, რომ ამას ყველაფერი გაკუმეულვინონ ესლა.

ნადირა სელებს იმტკრევდა და გულამოსკვნით ტიროდა. მისი მკერდი, ძვირფასი მარგალიტებით მოართული, ღელავდა და თრთოდა.

— მსედარი უძლურ არს ცრემლების წინაშე,—სთქვა მეფემ და ფეხზე წამოაყენა ქალი:—შენისთანა ობოლი მარგალიტი უნდა ამშვენებდეს,—განაგრძო შაფურმა,—სპარსეთის მდიდრულ სასასლეებს.

ნადირა ისმენდა ამ სიტყვებს და ხმას არ იღებდა, თუმცა გულში კი ძალიან უსაროდა. შაფურმ, სრულიად მოსიბლული ნადირას სილამაზით, თავს ვეღარ იკურდა.

— მე შენ მიყვარხარ!...—წამოიძახა მეფემ.

— სელმწიფეკ, მე დავიბადე ტახტის კვარცხლბეკზე და სიკვდილს კარამდე გაუპატიურებას, ერთი წამის სიყვარულს!—სთქვა ნადირამ.

— რას ამბობ, მშვენიერო?.... შენ და ხასა? თუ შენ თვითონ არა გჯერა შენი სილამაზე? სად უნდა კბოკო მე უფრო შესაფერი პირი გვირგვინისათვის? დამშვიდდი. შენ იქნები მეუღლე სასანიდისა და მთელი ქვეყანა მუხლს მოიდრეკს შენ წინაშე!

ნადირა საბრალოდ ადარ იყო. დაკმაყოფილებულმა თავმოყვარეობამ დაავიწყა ის საშინელი ღამე, როდესაც გატრეულების ღრიალი ტანსაც კი სწვდებოდა. ესლა მხოლოდ მისი ფიქრი ის იყო, თუ როგორ შეებორკა სპარსეთის შაჰი სამუდამოდ.

— იმის შემდეკ, რაც მე კაება გამოვცადე, ნება მიბოძეთ, ეჭვის თვალით შეეხედო თქვენს სიტყვას.

— გაძღეკ სელმწიფურ სიტყვას.

— მერე რომ დაიწყო ნანობა, რად შეკერთე დამარცხებული მეფის ქალიო? აქედანვე უნდა იცოდე, რომ ნადირა მოითხოვს ზოგიერთ მსხვერპლს შენი სიყვარულისაგან.

— ქალმა დაღუშა ცატრა და ქალიეე აღადგენს მასა! გულ-მოწყალება მეფისა გადააჭარბებს შენს სურვილს.

მან მიიკრა ნადირა გულზე... ამ დროს მოისმა ნაღარის ხმა, რომელიც ნიშნავდა დღე და ღამის გაყრას.

— კმარა,—წაიჩურჩულა შაფურმა:—ერთი მაკოცე, რომ შენი ტუჩების სიტკბოება თან გამყვეს.

— როგორ, სად მიდიხარ? ხომ იცი, რომ ჩემი ტყვე ხარ.

— განთიადისას მზადა კარ შენი მონა გავხდე, მაგრამ მანამდინ სება მომეცი თავისუფალი გავხდე. იმას კი ვერ გაგიმხელ, თუ რად მეჭირვება ეს თავისუფლება.

— მე მიმხვდარი კარ შენს საიდუმლოს... შენ ჭარამ-ხანაში მიბრძანდები. წელან შენ თვითონ მელაპარაკებოდი—მიყვარხარო, და ესლა სხვაგან მიეშურები. არა, ნებას არ გაძლევ, გიბრძანებ კიდევაც... ეოყმანობ? ჩემს ბირკელ თხოვნასაც კი არა სტკმ ბატივსა? არა, სელმწიფეკ, დარჩი შენს ნადირასთან. ნადირამ შენთვის მაძას ულალატა, ძმები დაღუშა. რატომ მე უბედურმა იმ წამში ესასლეში არ დავიკეტე თავი, როდესაც შენ ომის ველზე გამოხველ, როგორც დამსეველი ანგელოზი! მე ველარ მოგერიე ჩემს გრძნობებს და ვავსდი მსხვერპლი უძლეველი სიყვარულისა... მე შენ მიყვარხარ და ამისათვის სვინიდისის ქენჯნასაც კი არა ვგრძნობ. მაგრამ თუ წახველ, იმ წამს შემომეხვევიან მკვდართა სულები და გულს გამიქენჯნიან!

— კარგი, ვრჩები.

— მე ჯილდოს არა ვთხოულობ. მხოლოდ შენს კეთილგულს მიკვნდობი. მფარველობითი სიგელი და ტოლის შეერთვის ბირობა ჩვენ შორის ესლა სულ მეტია.—ამან მოიგლიჯა გულიდან ავკარობი, რომელშიაც მეფისაგან ნაბოძები სიგელი ჭქონდა გამოხვეული, მიიტანა კერონთან და დასწვა.

გრძნეულმა სილამაზემ სვინიდისიც კი დაუხშო შაფურს: ის ცდილობდა გაემართლებინა ბიწიერი შეცდომილებანი ნადირასა. მეფეებსაც ისე იპურობს ალეზნებული სიყვარული, როგორც უბრალო მომაკვდავებს.

V

კარსკვლავებს სსიეი მოაკლდათ. ცის კიდე აღმოსავლეთისკენ წითლად შეიღება, სათელი თან და თან ჭეანტავდა ღამის ბურუსსა; ცის სიწითლე მატულობდა, მაგრამ მზე კი არსად სჩნდა.

ნადირას ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა რბილ ლოგინზე; მაგრამ შაფერი კი ამდგარიყო, გადაეწია ფარდა და გატრესკენ იყურებოდა. ის ადგილი, სადაც გუშინ სიცოცხლე დუღდა, ხავლ უდაბნოდ უნდა გადიქცეს და განადგურდეს, აღარაფერი მოგეგონებს, რომ აქ ოდესმე დიდი ქალაქი იყო და ამშარტავნულად დაჭყურებდა მიდამოებს. ქალმა დაღუშა გატრა, და ამისათვის მეფე შაფერმა გვიორგვინით უნდა შეუმეოს მას თავი! ის თან და თან ერკვეოდა თავის აზრებში. ატესილი გრძნობები აღარ უღელვებდნენ მას გულს. ვნებათა-ღელვის აჩქარებით დაკმაყოფილებამ სიტკბოების მაგივრად სვინიდისი გაუღვიძა.

მზის შუქმა კარების ჯუჯრუტანებში შეატანა, მაგრამ ნადირას ჯერ კიდევ ტკბილად ეძინა. ოქროს ფერი თმა შესანიშნავად უნდებოდა მის ბირის-სახეს. მთელი მისი აგებულება რაღაც დამაბრმავებელ სიდამაზეს წარმოადგენდა. ბოლოს გაიღვიძა. ერთი კვალევტად გაიზმორა და თვალები ახილა. წინ წარმოუდგა შაფერის გმირული სახე. ამისმა დანახვამ ღიმი მოჭვარა მას ბირზე, გაახსენდა მას გუშინდელი მისი სიტყვები: «მე შენ მიყვარხარ... შენ უნდა ამშვენებდე სპარსეთის მდიდრულ სასახლესო...»

მაგრამ ამასთანავე ნადირას რაღაც ნაოჭი დაეტყო შუბლზე: სწყინდა, რისთვის მიატოვა ასე ადრე მეფემ მისი საწოლი, და ცოტა ნაწყენი კილოთი ჰკითხა:

— რად ამდგარხარ ასე ადრე?

— სიყვარულმა აღარ დამაძინა.

— შენი უძილობა ადვილად აიხსნება: უკეთესია ქვეშაზე დაიძინოს კაცმა, კიდრე ამ ლოგინზე—გვერდები მატკინა.

— მე შენ მაკვირვებ! წამოჯექ, აბა ვნახო, რამ შეგაწუხა, და მაშინ კაუურებინებ სეირს ჩემს მონებს.

წამოჯდა თუ არა ნადირა, შიფურს ფესებზე კარდის ფოთოლი დაეცა.

— აი, აი, ხომ უყურებ! შენ კი გეგონა, ტყუოდი.

— როგორ, კარდის ფოთოლმა გატკინა გეკრდები?

— რასაკვირველია,—სთქვა მან სინაზით.

— მაშ მე გუბრძანებ მონებს, რომ იმისთანა ქვეშსაგები მოგართვან, როგორიც გატრაში გქონდა.

— ოო, ის ქვეშსაგები ბედის ფრთების ქვეშ ამოგლეჯილი ბუმბულიდგან იყო გაკეთებული.

— მაშ სჩანს, რომ გატრას სასახლეში უფრო ნაზად ცხოვრობდნენ, ვიდრე სპარსეთისაში? მაშ ისიც მიბრძანე, რით ებეჭბაკდა მამა-შენი?

— ნადებით, სუნნელოვანი თოვლით, ბულბულის კვერცხებით და ნეკტარით.

— ომიანობის დროსაც კი?

— ყოველს დროს. შენს ჯარის-კაცებს რომ არ აეოხრებინათ ჩემი ბაღები, მაშინ მე შენთან მომიტანდნენ კარდის კარაკით.

— მე კი ისე მგონია, რომ არაბები შენ მკატრად გზრდიდნენ, ძმები სასტიკად გეშურობოდნენ!..

— სულაც არა, სულაც არა,—წამოიძახა მან ბაკშვურად:—ჩემს ძმებს მე ისე კუეკარდი, რომ ჩემი გულისთვის ტეტხლში ჩადგებოდნენ.

შაფური მოიღუშა. თვალებში მრისხანება გაიოესატა.

— მე თუ მოგიტეკე შენი შეტოდებანი,—სთქვა მან მკატრად: —მხოლოდ მისთვის, რომ მეგონა, რომ მამა და ძმები ტუდად გეშურობოდნენ. მაგრამ, როგორცა სჩანს შენი სიტყვებიდან, შენ იმათი უზომოდ ჭეკარებისარ. მაშასადამე, შენ ყოფილხარ მეტად უმადური ადამიანი,—მით უმეტესად დასასჯელია შენი მათდამი საქციელი.

— თვითონ შენ არა სთქვი გუშინ, რომ სიყვარული ამართლებს შენს საქციელსო?—შიშით უპასუხა ნადირამ:—მე შენ მიყვარდი...

— ნუ ბილწავ მაგ სიტყვას! სიყვარული არის კეკეშირი ორის წმინდა გულისა; შენი გული კი უწმინდურია. შენ ისეთი დანაშაული ჩაიდინე, რომელმაც გაკაქარწყლა ჩემი სიყვარული.

შაფურმა დაჭვრა ტაში, და კარავში შეიდნენ საჭურისები.

— წაიყვანეთ მეფე დაიზეიის ქალი, რომელმაც ერთი ღამის სიყვარულში გასცვალა მამა, ძმები და სამშობლო!

— მომიტევე... მომეტ ერთი დღე, ერთი საათი, რამდენიმე წამი, რომ თავი კიმარილო შენ წინაშე!.. შენ გინდა ჭარამ ხანაში შემაგდო... გინდა, რომ მომკლა... არა, ნუ მომკლავ!

— მე დავიფიცე, რომ შენ ცოლად შეგირთო და კიდევაც ავასრულებ ამ ფიცს: შენ დავადგმენ თავზე გვირგვინს, მაგრამ სიცოცხლეს კი არ შეგარჩენ,—შენი საქციელი ციისა და ქვეყნის შემაძრწუნებელია.

ნადირა ხელებს იმტვრევდა; ყოველ საშუალებას ხმარობდა, რომ თავი დაეხსნა სიკვდილისგან.

— იქნება სრულიად უდანაშაულო ადამიანსა სჯი...

— საზიზღარო! კერ მოგცემ ნებას, რომ შენა შვა ასასანიდი, რომელიც შენ დაგემსგავსება ასაათიან?!.. არა, მე კალდებული კარ დავიცვა სახელი ჩემის გვარისა!

ნადირას უნდოდა შაფურს ფეხებზე მიეარდნოდა საკოცნელად, მაგრამ საჭურისებმა დაიჭიქეს იგი და ბირზე ხელი მიაფარეს.

— დაადგით მაგას თავზე გვირგვინი,—ბრძანა შაფურმა:—მოიყვანეთ ოთხი გარეული ცხენი და მათ კუდებზე მაბმით თმით, რომ ნაგუწ-ნაწად დაიგლიჯოს მაგის ტოდგილიანი გვამი!

გაათავა თუ არა შაფურმა ეს სიტყვები, ნადირა, როგორც მეს. დაცემული, ძირს დაეშვა.

— მოკვდა!—ხელის ხმით წარმოსთქვა შაფურმა და დაიხარა მისკენ.

სალოძინაგელი

საოცარი სიზმარი

რომანი

ე. ბელლამისა

VI *)

თუმცა გენრის შეეძლო მადლენა ყველაფერზე დაეთანხმებინა, მაგრამ რადგანაც მადლენა სასოწარკვეთილებას მიეცა, ჯვარის დაწერას ის არ უჩქარიდა. ჯვარის დაწერა გენრიმ იმ დროსთვის გადადვა, როდესაც მადლენა თავისს მწუხარებას დაივიწყებდა და სიცოცხლე მისთვის უფრო ძვირფასი შეიქნებოდა.

მადლენას ტრაპეზის-წინ წაყენებას გენრი მხოლოდ მაშინ ფიქრობდა, როდესაც თვით მადლენა ტრაპეზს მოწიწებით შეხედავდა.

გენრიმ ნაცნობ ოჯახში ორი სუფთა ოთახი დაიქირავა და, როგორც თავისი ცოლი, მადლენა იქ დააბინავა. რა საშუალებას არა ხმარობდა გენრი, რომ მადლენა რამენაირად გაერთო: ყოველდღე მისთვის წიგნები მოჰქონდა, უშოვა პიანინო, ხშირად სასეირნოდ დაჰყავდა და სხვ... და მადლენაც ყველაფრის ნებას აძლევდა იმას, არაფერში წინააღმდეგობას არ უწევდა. მაგრამ ამისათვის მადლობა კი გენრის მისგან ერთხელაც არ გაუგონია. ხანდახან, მართალია, მადლენა მას თავაზიან სი-

*) <მოამბე> № 8.

ტყვას ეტყოდა ხოლმე, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვეულებრივი ზრდილობით მოსდიოდა. როგორც ეტყობოდა, ქალი ყველაფერს მარტო გენრის გულისათვის სჩადიოდა,—თვითონ კი ცხოვრებაში ღირს-საყურადღებოს აღარაფერსა ხედავდა.

გენრიმაც შენიშნა, რომ მადლენა მხოლოდ მის ალერსსა და ზრუნვას აფასებდა. ეს ცხადი იყო, როდესაც ქალის სახეს გამოურკვეველი ეჭვიანობის კვალი აღებეჭდებოდა ხოლმე. კდემულებამა, სინანულმა და სასო-წარკვეთილებამ ყინვის კედლებით შემოზღუდეს მადლენას გული; მან, როგორც იმის ყოფა-ქცევა ამტკიცებდა, გრძნობის ნიჭიც კი დაკარგა. თუმცა გენრის მადლენა ძლიერ უყვარდა, მაგრამ მადლენა მას სრულიად უცხოსავით ექცეოდა. გავიდოდა რამდენიმე დღე, რომ მადლენა ხელს არასფერს ახებდა. ის ქვასავით უძრავად იდო,—არც წიგნებს, არც ჟურნალებს ხელს არა ჰკიდებდა. პიანინოს კი იშვიათად,ძალიან იშვიათად უკრავდა. ხანდახან გენრი დაუწყებდა კითხვას, თუ რა უფრო ჰსურდა, რა უფრო ეხალისებოდა მას, მაგრამ პასუხის ნაცვლად მადლენა ყოველთვის სიცილს მოჰყვებოდა. გენრი ხმას აღარ ამოიღებდა, ცოტას კიდევ მოიცდიდა, შაპოს დაიხურავდა და თავისთვის წავიდოდა. ამ გვარად მადლენასთან სიარულს გენრისათვის ტანჯვის მეტი არაფერი სარგებლობა მოჰქონდა. სადღაა უწინდელი ცქვიტი და სიცოცხლით სავსე მადლენა? რითღა ჰგავს იგი აწინდელს, რომელიც გენრის-წინ მუხლებზე ხელებ-ჩამოშვებული უძრავად იდგა!?...

როდესაც გენრი ჰკითხავდა ხოლმე—როგორა ხარო, ის ყოველთვის ეუბნებოდა, კარგადა ვარო. და მართლაც, ერთის შეხედვით მადელენა სრულიად კარგადმყოფსა ჰგავდა; მაგრამ ნაღველი მის ტანის სიმრთელეს ცელს ნელ-ნელა უსვამდა. მადლენას კიდევ შერჩენოდა უწინდელი სანდომობა, ის მიმზიდველი სანდომობა, რომელსაც იმ დაუვიწყარი დღიდან გენრის გული სამარადისოდ მოეხიბლა.

გენრის მადლენა თეატრშიაც დაჰყავდა; მან შეამჩნია, რომ მწუხარებას მადლენა ყველაზედ უფრო წარმოდგენების ყურების

ლროს ივიწყებს. ერთხელ, როდესაც თეატრიდან დაბრუნდნენ, მადლენამ გენრის ლაპარაკი ჩამოუგდო მაზე, თუ როგორ მშვენიერად იყო დახასიათებული დღევანდელს წარმოდგენაში ერთ-ერთი მოქმედი პირი,—ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მადლენამ თვითონ დაუწყო გენრის ლაპარაკი და თავისს თავად თუმცა მადელენას ბაასი შინაარსით დიდს არაფერს მოასწავებდა, მაგრამ გენრისთვის მაინც ძვირფასი იყო. ასე ძვირფასია ჩვენთვის ახლად-გამომრთელებულის პირველი სიტყვები, როგორც ნიშანი იმისა, რომ ავადმყოფი, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში ედგა, კვლავ სიცოცხლეს უბრუნდება, კვლავ მისკენ ისწრაფვის.

ამ უბრალო შენიშვნაზე გენრიმ მთელი თავისი იმედები დაამყარა. გადიოდა დღეები და ის მარტო ამაზე-ღა ფიქრობდა. მაგრამ ვაი, რომ პირველი და უკანასკნელი იყო ეს შემთხვევა!

გულში მადლენა ის არ იყო, რაც გარეგნობით. ის დღითი-დღე უფრო და უფრო ნათლადა ჰგრძნობდა თავისი მეგობრის გულ-კეთილობას; უფრო და უფრო ნათლად იხატებოდა მის-წინ მისი გულ-შემატკივარი მეგობრის კეთილ-შობლური ხასიათი. თუმცა ის გენრის მადლიერი არ იყო,—ან კი რისთვის უნდა ყოფილიყო მადლიერი, გენრი ხომ მას ველარაფერს უშველიდა,—მაგრამ ის მაინც კარგადა ჰგრძნობდა გენრის სულის დიდებას. მადლენა ფიქრობდა, რომ გენრის შრომა და მარად-დღე ტანჯვა ვიღაცა სხვას ეკუთვნოდა, ის კი ყოველივე ამას უიმედოდ შესცქეროდა და მხოლოდ ჰკვირობდა.

იყო წამები, როდესაც მადლენა მკვდარს დაემსგავსებოდა ხოლმე და ტირილსა ნატრულობდა. მაშინ ის მოუჯდებოდა პიანინოს და წარსულზე გრძნობიერ სიმღერას დააკვნესებდა. ამ დროს ტანჯვა მას ცოტა გულს მოეშვებოდა, ხელის თითები პიანინოს თვლებში ჩაელაგებოდა და თვითონ ტკბილს, ტკბილს ოცნებას მიეცემოდა; ფიქრობდა მაზე, თუ როგორი ბედნიერი იქნებოდა, თუ იმ დაუბრუნებლად გაფრენილს დღეს გენრის სიყვარულზე მას უარი არ ეთქვა. განცვიფრებით ეკითხებოდა

ის თავისს თავს: „რისთვის არ მოხდა ასე“? მადლენას ეს ძლიერ უკვირდა.

როგორც მომაკვდავი განიზრახავს თავისს გულში, თუ რამდენი რისამე გაკეთება შეეძლო მას კარგადმყოფობის დროს; როგორც მთელი სიცოცხლით საპყრობილეში ჩაგდებული წარმოიდგენს ხოლმე თავისს ოდესღაც თავისუფალს დროსა,—აგრედვე მადლენაც ეხლა თავისს გამქრალ სიყვარულზე ოცნებობდა.

მას შემდეგ, რაც გენრიმ მადლენა იპოვა და მისმა კოცნამ მადლენას ღაწვებზე ცრემლთა ნაკადული გამოიწვია, გენრის საბრალო ქალის კოცნა მეტად ველარ გაებედნა. ერთს საღამოს მადლენა ჩვეულებრივზე უფრო ჩუმად და მოწყვეტილად იჯდა და აზრ-გაფანტული გენრის ლაპარაკს ყურს უგდებდა. ამ საღამოს, გამომშვიდობების დროს გენრიმ გიჟივით მოხვია მადლენას ხელი და ისე გრძნობიერად ჩაჰკოცნა, თითქო სიცოცხლე უნდა ჩაჰბეროსო და კვლავ თავისი სიყვარული ჩაუნერგოსო. აღარ დაიცადა გეეგო, რა მოქმედება იქონია მისმა კოცნამ, მშველივით გარედ გამოვარდა. მადლენა გაშტერებული დარჩა, გეგონებოდათ მოულოდნელად რაღაც გამოუკვლევიაო და თავის გამოკვლევას თვითონვე უკვირდებაო. მის დამფრთხალ თვალებში პირველად რისხვამ იელა და ლოყები სირცხვილის ალით დაეფარა. მადლენა ტახტზე დაეცა და მიბნედილი სახე ბალიშში ჩამალა; თვითონ კი მწარედ ქვითინებდა და ტანი სულ მთლად უცახცახებდა. ამ დროს სიყვარულმა მას ყინვით გარემოცული გული გაულხო. მადლენამ მხოლოდ ეხლა იგრძნო, რომ მას გენრი უყვარდა! როგორა სტანჯავდა ეხლა მას თავისი კდემულების წარმოდგენა, ეხლა, როდესაც იმას სასო-წარკვეთილება დროებით მოშორდა! რას ჰგრძნობდა ეხლა მადლენა, როდესაც მის გულში სიყვარულმა გაიღვიძა და როდესაც იგი მზად იყო გენრისათვის ყველასფერი შეეწირა!.. მადლენას ჰსურდა, თავისი საყვარელი უმანკო ქალწულობის ყვავილებით შეემკო, მაგრამ მისმა ყვავილებმა კაი ხანია ფერი დაკარგა და დასჭკნა: მადლენამ იგინი სხვისთვის მო-

სწყვიტა. სიყვარული ეხლა ისე კი არ დაბადებულა მადლენას გულში, როგორც საზოგადოდ იბადება ხოლმე: სირცხვილის ნაპერწკალნი, როგორც ფერფლ ქვეშ, სინანულის ფრთებით დაფარულნი, მან გააღვივა და დიდ ცეცხლად აქცია.

ეხლა კი, როდესაც მადლენამ შეიტყო, რომ მას გენრი უყვარს, იმან ცხადადა სცნა, რომ მას უკვე არაფრის გზთი აღარ შეუძლიან გენრის თავისი თავი მისცეს, მისი ცოლი გახდეს. აქამდინ, ვიდრე ის სრული სასო-წარკვეთილებით იტანჯებოდა, გაჰყვებოდა თუ არა გენრის ცოლად, მისთვის სულ ერთი იყო. მისთვის განურჩეველი იყო, რაც უნდა მომხდარიყო მის თავზე. მადლენა მზად იყო დაეჯილდოებია გენრის გულ-კეთილობა, მით, რითაც თვით გენრი ისურვებდა; და თუ გენრი მხოლოდ იმ სიყმაწვილის ნანგრევებით დაკმაყოფილდებოდა, რომელსაც წარმოადგენდა ეხლა მადლენა, ეს მადლენას არა ჰგამოდა? მაგრამ ეხლა კი სულ სხვა იყო: იმას, რის მისაცემადაც მადლენას გულ-გრილობა უწინ მზად იყო, ახლად-გაღვიძებული სიყვარული მეტის-მეტად ულირსად სთვლიდა; ასეთი ჯილდო, მადლენას ფიქრით, გენრისათვის ცოტა უნდა ყოფილიყოს. წინად მადლენა შესაძლებლად რაცხდა გენრის ცოლად გაჰყოლოდა და სიყვარულით კი არა ჰყვარებოდა ის. ეხლა კი, როდესაც მას თვითონ უყვარდა გენრი, ამ სიყვარულისაგან წარმომდგარი სიხარული მის კდემულებას სრულიად ესაბამებოდა. იმის ფიქრით, კდემულებისგან ბედნიერების შექმნა მეტის-მეტი უპატიოსნება და ულირსობა უნდა ყოფილიყოს: ამ შემთხვევაში მას თავისი თავი უკანასკნელ ხარისხამდე დაცემულად უნდა ჩაეთვალა. ერთი იმ სიხარულის გამოც კი, რომელიც გენრის კოცნამ მასში გამოიწვია, მადლენა თავისს თავს „როსკიპს“ ეძახდა. მის გულში ეკალივით დასრიალებდა ის აზრი, თუ როგორი უბედურება მოელის გენრის იმისაგან. მადლენა ამბობდა, რომ, თუმცა გენრის სურვილი იქნებოდა, ამ ბედნიერებაზე ის უარს ვერ იტყოდა; მაგრამ მეორეს მხრივ კარგადა ჰგრძნობდა, რომ ეს მისთვის ყოვლად შეუძლებელი იყო. ერთხელ მადლენას თავისი უკიდუ-

რესი მდგომარეობა, თავისი ტანჯვა-უიმედობა თვალ-წინ ცხადად წარმოუდგა.

დილა იყო. მთელი ღამე მადლენას კარგად ეძინა; სიზმრები ყველა ნათელი და კარგის მომასწავებელი ენახა. მას გამოელვიძა და ნამძინარევი ისევ ქვეშსაგებელში იწვა. ბოლოს თვალები გააღო. ამომავალი მზის შუქს მისი ოთახი გაენათებია. ბაღში ფრინველები ჭიკჭიკებდნენ. ფანჯრის წინ აყვავებულს დიდ-გულასა დილის სუსტი ნიავი ნაზად არხევდა და მისი აჩრდილი მზის სხივებთან ერთად მადლენას ოთახის კედლებზე დათამაშობდა. სინათლემ და ამომავალმა მზის სხივებმა მადლენა ზეზედ წამოაყენა. ის უცბად ლოგინიდან წამოხტა, ერთი თავისუფლად ამოიოხრა და მხიარულის ღიმილით ფანჯარასთან მიირბინა. ერთს წუთს მას ყოველივე დაავიწყდა—თავისი კდემულებაც და მწუხარებაც, დაავიწყდა ისე, თითქო არასოდეს არ გამოეცადოს. მზის სხივები მის ბედნიერ უმანკო პატარა სახეზე ისე დაცელქობდნენ, თითქო აჩრდილი მას არასოდეს არ მისდგომოდეს. მაგრამ... მოგონებანი უკანავე მოფრინდნენ. თითქო მადლენას გულს ვინმე ცივის ხელით შეეხო და მასში უდარდელად მოთამაშე სისხლი შეაჩერაო. მხიარული ღიმილი საწყალ მადლენას ტუჩებზე შერჩა და თვითონ მუხლებზე დაეცა.

— ღმერთო!.. ოჰ! ღმერთო!.. ღმერთო!..—კვნესოდა იგი და სულის შემაძრწუნებელ ქვითინისაგან მთელი ტანი უცახცახებდა.

მთელი ეს დღე და მას შემდეგაც მადლენა სულ იმ ერთი წუთის თავ-დავიწყებაზე ფიქრობდა, რომელიც მანამდე გაგრძელდა, სანამ წარსულის შავ მოგონებათ გონს არ მოიყვანეს თავისი მსხვერპლი. რა ტკბილი უნდა იყვეს სიცოცხლე, თუ მათ ასეთი წუთები სჩვევია!.. დიაღ! მადლენასაც ჰქონდა ის ძვირფასი დრო,—რომელიც დიდი, დიდი ხანია მისთვის გამქრალიყო,—ჰქონდა დრო, როდესაც ის უშიშრად იღვიძებდა, როდესაც სირცხვილი და სინანული მის თავ-ქვეშ არ დარაჯობდნენ, რომ გამოეხიზლებისათანავე მისთვის თავისი მწუ-

რე ბრჭყალები ჩაერჭოთ... ნუ თუ ის ერთი ბედნიერებით სავსე წუთი, როდესაც მადლენა გარემო ბუნების მშვენიერებით ასე სტკბებოდა, ნუ თუ ის ერთი წუთი არა კმაროდა დასამტკიცებლად, რომ მას მხოლოდ საშინელი მოგონებანი აუწმინდურებდა?.. მაგრამ რა გამოვიდა, რომ მადლენას გული წმინდა იყო, რომ თვით მადლენა სიკეთისადმი მიისწრაფვოდა? წარსულის მოგონებანი მის გულში მაინც არა კვდებოდა!..

VII

პირველ შეხვედრის შემდეგ დაქორწინებაზე გენრის ერთხელაც არასფერი უთქვამს მადლენასათვის. გადიოდა დღეები და ის კი ჯვარის დაწერას არ უჩქარიდა,—უცდიდა იმ დროს, როდესაც მადლენა გულს დაიმშვიდებდა და სასო-წარკვეთილებას მოარჩებოდა. მაგრამ გენრის იმედები არ უსრულდებოდა: წინააღმდეგ ამისა ის ხედავდა, რომ მადლენა უფრო და უფრო ნაღველს ეძლეოდა და სახე თან და თან უჭკნებოდა. იყო წამები, როდესაც გენრი თავისი თავის იმედსაც კი ჰკარგავდა. ეხლა ის ნათლად ჰგრძნობდა, რომ ადამიანისათვის, რომელიც უკვე სრულს სასო-წარკვეთილებას შეუპყრია, სიცოცხლის დაბრუნება სრულიად ისე ადვილი არ ყოფილა, როგორც აქამდინ მას ეგონა,—ხედავდა, რომ ისეთი მოვლენანიც ყოფილან, რომელთა შემუსვრა თვით ისეთ ძლიერ სიყვარულსაც კი არ შესძლებია, როგორიც მასში სუფევდა. გენრი ხანდახან ჩაფიქრდებოდა და ჰკითხავდა თავისს თავს: რით უნდა გათავებულიყო მისი და მადლენას საქმე, როგორი ბოლო უნდა ჰქონოდა მას. მაგრამ გაუმჯობესობის ნაცვლად საქმე უკან და უკან მიდიოდა. გენრიმ გარდასწყვიტა სხვა საშუალებისათვის მიემართა. ერთს საღამოს იმან მადლენას ჰკითხა, რომ უკეთესი არ იქნებოდა ბასტონიდან დედა-მისი ქ-ნი ბრანდი მოსულიყო და ოჯახის თავდარიგში მოხმარებოდა?

— არა, არა!—მიუგო შეშფოთებულმა მადლენამ და თან გენრის შეშინებული თვალებით უცქეროდა.

გენრიმ მას უცბად ნუგეშის-ცემა დაუწყო და უთხრა, რომ ეს სხვათა შორის მოუვიდა თავში, რომ ეს დიდად საჭირო არ არის. თუმცა ბევრი ანუგეშა, მაკრამ გენრიმ მაინც შენიშნა, რომ მთელი საღამო მადლენა მას ეჭვის თვალით უყურებდა,—ხომ არასფერი გარდაუწყვეტია გენრის გულშიო. მადლენა უფრო დაც იმიტომ წამოსულიყო ბასტონიდან, რომ დედის ჯავრისათვის ველარ გაეძლო, რადგანაც დედა მას თავისს ნაღვლიანს თვალებს აღარ აშორებდა. როდესაც გენრიმ მადლენა იპოვა, იძულებული იყო ეთხოვა ქ-ნი ბრანდისათვის, რომ ის მადლენას ნახვას არ დასჩქარებოდა.

გენრი უფრო დაღვრემილი და გარეტიანებული იყო, ვინემ თვით მადლენა და მათი შეხვედრა თან და თან სამძიმო ხდებოდა. გენრი ეხლა მადლენაზე უარესადა სდუმდა. მადლენაზე ზრუნვა და მეცადინეობა სამსახურის შრომასთან შეერთებული გენრის სიმრთელეს ღღითი-ღღე ასუსტებდა. ერთხელ ქარხნის პატრონმა მოიხმო ისა და რამდენიმე ხნით თავისუფლების ნებას აძლევდა.

— თქვენ, როგორც გეტყობათ, საქმეს მუყაითობით ეკიდებით და, ვგონებ, თავისს თავს კარგად ვერ უნდა ჰგრძნობდეთო!—ეუბნებოდა ის გენრის.

მაგრამ გენრიმ მადლობა გადაუხადა; სამსახურიდან განთავისუფლებაზე კი უარი უთხრა.

პატარა ხანს შემდეგ გენრი ერთს თავისს ნაცნობ ექიმს შეხვდა. გენრის ექიმმაც შეამჩნია, რომ ის თავისს თავს კარგად ვერა ჰგრძნობდა და ამის შესახებ მას ლაპარაკიც ჩამოუგდო. ბოლოს ყმაწვილმა-კაცმა აღიარა, რომ, მართალია, ის თავისს თავს კარგად ვერა ჰგრძნობს და, რაც უფრო საყურადღებოა, მოუსვენარი ძილი აქვს. ექიმმა ურჩია გულის გასართობად ის მოგზაურობას შესდგომოდა, მაგრამ გენრიმ ამაზე უარი განაცხადა. მაშინ ექიმმა უთხრა, რომ მას მეტი ძილი ეჭირვებოდა და ამისათვის დასაძინებელი წამალი გამოუწერა. გენრიმ ამის მიღებაზე თანხმობა განაცხადა.

გენრი ხედავდა, რომ ის თანდათან ჰკარგავდა ტანის სიმრთელეს და თავისს თავს უნებურად ეკითხებოდა: რაღა ეშველება მადლენას მე რომ ან მოვკვდე, ან მძიმე ავადმყოფი შევიქნეო? და ექიმთან ბაასის შემდეგ მან გადასწყვიტა, საქმე რამენაირად გაეთავებინა. ჯვარის-დაწერის გადადება მას აღარ შეეძლო. თუმცა, მართალია, კარგი არ იყო მადლენას ეხლანდელს მდგომარეობაში ძალის დატანება, მაგრამ გენრი მაინც ცხადადა ხედავდა, რომ ასე საქმის მიყრუება უფრო უაზრო და შეუძლებელი იყო.

გენრი, როგორც მადლენა, ერთ-ერთს ბასტონის გარეთუბანში ცხოვრობდა. ამ საღამოს ის შინისაკენ მოდიოდა და ვაგონში ორი ვაჟ-ბატონის ბაასს ყური მოჰკრა. ისინი ერთს თხზულებას არჩევდნენ, რომელიც ტვინის შესახებ ახალ გამოკვლევათა შეიცავდა. გენრისათვის რომ გეკითხნათ, თუ რაზედ ლაპარაკობდნენ ეს ვაჟ-ბატონები, ის სრულიად ვერაფერს გიპასუხებდათ,—იმას მხოლოდ სიტყვები ესმოდა, მაგრამ გონებამდინ კი ვერა სწვდებოდნენ.

ნავახშმევს გენრი ჩვეულებრივ მადლენასთან წავიდა. პატარა უბრალო ბაასის შემდეგ, გენრი გულ-აღგზნებული მადლენას მიუბრუნდა:

— მადლენავ, თქვენ გახსოვსთ, რა პირობა მომეცით? მე არ მინდა ძალა დაგატანოთ, მაგრამ მაინც დრო არ არის განა ჯერ თქვენ ჩემი ცოლი გახდეთ? დაგვიანება რაღა საჭიროა? თქვენ იცით, როგორ მიყვარხართ!

მადლენა დაბალ სკამზე იჯდა და ხელები მუხლებზე ჩამოეშვა. როდესაც გენრიმ ლაპარაკი დაუწყო, თავი ძირს, სულ ძირს დახარა, ასე რომ გენრი მის სახეს სრულიად ვეღარ ხედავდა. გენრი გაჩუმდა და პასუხს ელოდა,—მაგრამ მადლენა მუნჯივით იჯდა.

— მე ვიცი,—დაიწყო ისევ გენრიმ:—თქვენ მხოლოდ ჩემი გულისათვისვე აღმითქვით ცოლობა; ვიცი, რომ ეს თქვენ დიდ ბედნიერებას არ შეგძენთ,—მაგრამ მე მაინცა მსურს თქვენ ჩემი ცოლი გახდეთ. და ეს თქვენთვისაც სასარგებლო

იქნება,—ამაში მე დარწმუნებული ვარ, ეს მე მტკიცედ მრწამს. მე შემიძლიან სამსახურს დროებით თავი დავანებო,—რამდენიმე ხანს საკუთარი ქონებაც მეყოფა: ჩვენ მოგზაურობას შევუდგებით—ვნახავთ ქვეყნებს!

მადლენა მაინც ხმას არ იღებდა, მაგრამ გენრის ისიც კი აიმედებდა, რომ ქალი მის სიტყვებზე უარს არ აცხადებდა.

— თანახმა ხართ რამდენიმე დღის შემდეგ ჯვარი დავიწეროთ?—ჰკითხა გენრიმ.

ქალმა თავი ასწია და გენრის შეხედა.

— დიაღ, თქვენ მართალს ამბობთ,—წარმოსთქვა მან:—მეტი ასე საქმის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია!

— მაშ, თქვენ თანახმა ხართ?—ჰკითხა კიდევ მადლენას დამშვიდებით იმედ-მოცემულმა გენრიმ.

— დღეს ნუ მთხოვთ გარდაწყვეტილს პასუხს,—მშვიდობიანად უპასუხა ქალმა:—ხვალ დილამდინ მაცალეთ,—დილაზე კი ყველაფერს შეგატყობინებთ. მეც მაგ აზრისა ვარ: ასე საქმის გაგრძელება მეტად აღარ შეიძლება.

ესა სთქვა მადლენამ და გაჩუმდა.

გენრიმ კიდევ რაღაცეების კითხვა დაუწყო მას, მაგრამ მადლენა ხმას აღარ იღებდა. ის ფანჯარაში იცქირებოდა და თვალი ღამის სივრცეში მიესვა. გენრი ადგა და წამოვიდა. როდესაც გარედ გამოვიდა, მადლენამ იმას უკანავე დაუძახა:

— ერთ წამს აქ მოდით, გენრი!..

გენრი მობრუნდა.

— მაკოცე,—ჩუმად ჩაილაპარაკა ქალმა.

ისინი შუა-გულ ოთახში იდგნენ; ამომავალი მთვარის შუქი ორთავეს უხვად ეფინებოდა. მადლენას მკვდრის ფერი გადასდებოდა. მისი მომხიბლავი თვალები ისე მოწყენილად, მეტად მოწყენილად ელვარებდა... უცბად მათი ტუჩები ერთმანეთს მიეკვრნენ და დიდ ხანს, დიდ ხანს არ მოშორებიან ერთმანეთს. გენრი თავისს დღეში ვერ წარმოიდგენდა, თუ ერთს კოცნას ასეთი ნეტარების მოტანა შეეძლო. სიხარულისაგან ის ტირილსაც კი აპირობდა...

გენრი შინ მეტის-მეტად აღელვებული დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, თუ რამდენს ტანჯვასა და ვაი-ვაგლახს შეიცავდა მის და მადლენას შორის დამოკიდულება, გენრი მაინც რაღაც უიმედო სიხარულით მოელოდა, როდესაც ზარი დარეკდა და მადლენა მისი ცოლი გახდებოდა. მისი სიხარული იმდენად დიდი იყო, რამდენადაც ის ცხადად წარმოიდგენდა, თუ როგორი განსხვავება იყო მის სიხარულსა და სხვების სიხარულ შორის ჯვარის დაწერის წინ.

მოვიდა თუ არა შინ, გენრიმ ექიმის გამოწერილი წამალი მიიღო. მერე აიღო ხელში ერთი სამეცნიერო წიგნი, რომელშიაც ლაპარიკი ელექტრონული ძალის შესახებ იყო; წერილის წერა დაიწყო, აქ სიგარაც მოსწია,—მაგრამ ამაოდ! იმის დამშვიდება არაფერს შეეძლო. ბოლოს მან ყველაფერს თავი გაანება და ლოგინში გაეხვია.

მთელი მეორე დღე, როგორც გენრის ეგონა, მან რაღაც თავ-დავიწყებაში, თითქო ნახევრად ძილში გაატარა. მხოლოდ იმ აღელვებამ, რომელიც მან წინა საღამოს მადლენასთან გამოსცადა, გამოიყვანა გენრი საგათას ძილიდან. იმან პირველად წარმოიდგინა, თითქო მადლენა წინაღმდეგ თავისი სასოწარკვეთილებისა ისე აღელდა, რომ ჭკუაზე შეიშალა. თვალები მადლენას ცივებით შეპყრობილსავით აენთო. ერთს ხელში მას გენრის მოტანილი სამეცნიერო წიგნი ეჭირა და მეორე თვით გენრისათვის ჩაეჭირებია.

— გენრი!—დაიწყო მან პირდაპირ სალამის მიუცემლად:— გენრი! ლეტის ზღაპარი ზღაპარი აღარ არის: თავ-დავიწყება არსებობს!

— დაჯექ, ჩემო პატარავ! აგრე ნუ შფოთავ, — დაიწყო გენრიმ და შიშით ქალს შესცქეროდა. გენრი ფიქრობდა, მწუხარებასა და შფოთვას მადლენასათვის აზრი დაუკარგავსო.

— დავმშვიდდე? ნუ ვშფოთავ? არ შემიძლია მე ეს, არა!— ამბობდა მადლენა და გენრის ხელს უფრო და უფრო უჭერდა: —შენ თვითონ წარმოიდგინე, ვთქვათ — ვინმე ცუდი საქმე ჩაიდინა ,და შემდეგ შეინანა, თავისი საქციელის დავიწყებაც კი

მოინდომა. მითხარი,—რომ მართლა 'შეეძლოს იმას თავისი ბოროტების დავიწყება, დარჩება თუ არა ის იმავე კარგ კაცად, როგორც უწინ ყოფილა? როგორა ფიქრობ? გთხოვ, მითხრა.—დარჩება თუ არა, როგორა გგონია? მითხარი!

— რასაკვირველია, დარჩება! მაგრამ დავიწყება რა საჭიროა? თუ იმან ბოროტება შეინანა, ის უიმისოდაც კარგი კაცია!

— შეუძლია კი დაივიწყოს?

— რასაკვირველია მისთვის ისა სჯობს, თავისს თავს სრულიად უდანაშაულოდ, მართლადა ჰგრძნობდეს, თითქო მას თავისს დღეში არაფერი ცუდი ჩაედინოს.

— გენრი!..—წარმოიძახა გიჟივით ქალმა:—გენრი! ოჰ! რომ შემეძლოს იმის დავიწყება, რაც...—შენ თითონ იცი, რის დავიწყებაც; დავიწყება ისე, თითქო ის მე სრულიად არასოდეს არა მქონოდეს?!..

გენრი შიშით შესცქეროდა მადლენას. ნუ თუ მართლა ჭკუიდან შეიშალა? ნუ თუ უიმედობამ მას გონება დაუკარგა? ეს კითხვები ისე ნათლად იხატებოდა გენრის სახეზე, რომ მადლენამ იგინი მაშინვე შენიშნა.

— ოჰ! შენ კიდევ ვერ გაიგე, რას გელაპარაკები!—უთხრა მან გენრის:—წადი შინ და აი, ეს წაიკითხე, წადი და ჩქარა წაიკითხე! რომ წაიკითხო, ისევ ჩემთან მოდი...—ამ სიტყვებით ხელში წიგნი მიაჩეჩა და კარებამდინ გამოაცილა.

გენრი გამოვიდა, მაგრამ გამოსვლისათანავე ფიქრი გამოიცვალა: მას ეშინოდა მადლენას ასეთს მდგომარეობაში მარტოდ-მარტო მიტოვება. ის იქვე სანათურთან მივიდა და წიგნი ნაჩვენებ ადგილზე გადაშალა.

— „აზრების მოსპობა“,—წაიკითხა მან.

— ნუ თუ ის ჭკუაზე შეიშალა!.. მაგრამ აქ ხომ ჭკუაზე შესაშლელი არასფერია,—ფიქრობდა გენრი.

ავტორი იწყებდა იმ გამოკვლევებიდან, რომელნიც თანამედროე ფიზიოლოგებსა და ჰსიხოლოგებს ფიზიკურის მეთოდის საშუალებით გონების შესახებ აღმოუჩენიათ. შემდეგ ავტორი ამბობდა იმის შესახებ, თუ როგორ დამტკიცდა ამავე მეთოდის

საშუალებით, რომ ტვინის რუხი ნივთიერების რამოდენიმე მილიონი ნაწილები თავ-თავისი დანიშნულებით ერთმანეთისაგან განირჩევიან: ერთნი მათგანი ერთ-გვარ წარმოდგენებსა და მათგან დამოკიდებულს ფიქრებს და ვრძნობებს ჰბადავენ და მეორენი—მეორეთა. სწორედ ეს რუხი ნივთიერების პაწაწა ნაწილები, საიდუმლოდ დარჩენილნი, აღმოუკითხავი ჰიეროგლიფები, არიან სიცოცხლის წყარო. როდესაც რომელიმე ნაწილებთაგანი დაშავდება, მყის ის ფიქრებიც და წარმოდგენებიც გაქრება, რომლებიც მისგან იყო დამოკიდებული. მაგრამ სხვა წარმოდგენებს და ფიქრებს, სხვა ნაწილებთაგან დამოკიდებულებს ამ დროს სრულიად არაფერი აკლდებათ. თავისი თეორიის დასამტკიცებლად ავტორს, სხვათა შორის, ყოველ-დღიური მოვლენა მოჰყავდა: ტვინის რომელიმე ნაწილების ტკივილის დროს, კაცს გონება მთლად კი არ ეკარგება, ის მხოლოდ რამოდენიმე მოგონებათა და აზრებსა ჰკარგავს, დანარჩენი წარმოდგენანი კი მასში სრულიად მრთელად რჩებიან. ამას შემდეგ ავტორი ამტკიცებდა, რომ გალვანიური ძალის დენით შესაძლებელია ტვინის ის ნაწილები მოვსპოთ, რომელნიც ჩვენა გვსურს, ისე კი, რომ სხვა ნაწილებს სრულიად არ შევეხოთ; ამტკიცებდა, რომ იმას, ვისაც რომელიმე მქენჯნავი აზრით ამ აზრთან მტკიცედ დაკავშირებული ტვინის ნაწილები დაუქანცავს, იმას ადვილად შეუძლია ამ აზრზე წარმოდგენაც კი დაკარგოს, სრულიად დაივიწყოს იგი, თუ ის ამ ნაწილებს გალვანიური ძალის დენით მოისპობს; სხვა ნაწილებისა კი ამ დროს შიში არ არის.

სტატიის ბოლოში მოყვანილი იყო ავტორის გამოკვლევის კარგ შედეგთა ნუსხა და ადრესი.—ექიმი გეიდენგოფი. მიიღებს საკუთარ ბინაზე, ბ.... ქუჩაზე № 65.

— არა, მადლენა ჭკუაზე შეშლილი არ არის,—იფიქრა გენრიმ და წიგნი მაგრად დაკეცა:—მაგრამ ეს ექიმი გეიდენგოფი კი ნამდვილად სულელი ყოფილა!

გენრისათვის ასე ცხადი არასოდეს არა ყოფილა მადლენას სასოწარკვეთილება, როგორც ეხლა, როდესაც ის ხედავდა,

რომ მადლენა ასეთს სისულელესაც კი ყურს უგდებს და მაზე მთელს თავისს იმედებს ამყარებს. გენრის მადლენა იმდენად შეებრალა, რომ ეხლავე მასთან ლაპარაკი აღარ შეეძლო და გულის დასამშვიდებლად ის ერთს საათს ქუჩებში დახეტიალობდა. ბოლოს მადლენასთან შემოვიდა.

— წაიკითხე?—ჰკითხა შემოსვლისათანავე მადლენამ.

— დიაღ, წავიკითხე. ეს ვაუბატონი ან საგიუეთიდან არის გამოვარდნილი, ან-და ერთი ვილაცა უსვინიდისო ცრუ-მატყუარაა. ეს წმინდა სისულელეა!

გენრიმ სიტყვა უკან აღარ დაიბრუნა,—მას არ უნდოდა, რომ მადლენას ფანტაზიური ფიქრებით თავი მოეტყუებინა. მაგრამ ქალის ყურებაც გენრის აღარ შეეძლო, რადგანაც ის ასე სასტიკად უფრთხობდა საბრალოს ოცნებებს. გენრის არ უნდოდა ენახა, თუ რა მწარედ ხვდებოდა თვითეული მისი სიტყვა მადლენას გულს,—ეს მისთვის აუტანელი იყო.

— არა, ეს სისულელე არ არის!—წამოიძახა ცეცხლ-მოკიდებულმა მადლენამ და თან გენრის მაგრად ხელი ჩაუჭირა: —არა! მშვენიერი მოსაზრებაა, როგორსაც კი ადამიანის გონება მისწვდება!—ეს მართალია! არა, შეუძლებელია, შეუძლებელი, რომ მე ასე სასტიკად მოვტყუებულიყავ! კმარა, სთქვი, რომ ეს სისულელე არ არის!..

მადლენა გულის წასვლაზე შორს აღარ იყო, ამისათვის გენრი ფრთხილად უნდა მოქცეულიყო იმასთან.

— მაგრამ, მადლენა, ამ ორში ერთია: ეს აზრი ან ძლიერ შესანიშნავი გამოკვლევა უნდა იყოს, ან არა-და უსვინიდისო სიცრუვე. ვთქვათ პირველია. მაგრამ არ დაგავიწყდეს კი, რა უბედურება შეიძლება მოჰყვეს ამგვარ ექიმობას: ის ან მთლად გაასულელებს ადამიანს, ან არა-და სრულიად მოჰკლავს...

— არა, გენრი, შენ კიდევაც რომ მითხრა, ამ ექიმობას ათასში ერთხელ მოაქვს თავისი შესაფერი ნაყოფიო, განა მე ერთს წუთს უკან დავიხევდი? განა მე. როდისმე ამგვარ მკურნალობაზე უარს ვიტყოდი?

გენრის მხოლოდ ერთს პირობაზე შეეძლო დაეთანხმებია მადლენა: ჯერ ექიმ გეიდენგოფთან თვით გენრი უნდა წასულიყო და მისი საოცარი ექიმობის მეთოდი დაახლოვებით გაეცნო.

VIII

მეორე დღეს გენრი ბ.... ქუჩაზე დადიოდა და მე-65 № ს ათვალიერებდა. ერთ-ერთ უბრალო სახლზე პაწაწა ფიცარი ბრწყინავდა ზედ-წარწერით: „D-r med. გუსტავი გეიდენგოფი“. გენრი შეეიდა ოთახში, რომლის ყველა კედლები ტვინისა და ნერვების ნახატებით იყო დაფარული. ცოტა ხანს შემდეგ ოთახში ვიღაც უცხო პირი შემოვიდა. ეს იყო მაღალი, კარგი ტანადი და ჭკვიერი შეხედულობის პატრონი კაცი. წვერ-ულვაში მას მოპარსული ჰქონდა; გრძელი თმა მხრებზე კონა-კონად ეფინებოდა; მისი დიდრონი მტრედის ფერი თვალები რაღაც სულ სხვა გამჭრიახობით გამოიცქირებოდა. მთელი თავისი შეხედულობით გენრიზე მან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. როდესაც უცხო პირი გაეცნო გენრის და ექიმი გეიდენგოფი უწოდა თავისს თავს, გენრიმ იმას თავისი მოსვლის მიზანი შეატყობინა.

ექიმს სასიამოვნოდ დარჩა გენრის ამგვარი სურვილი და დასთანხმდა მისთვის სამსახური გაეწია. გენრი ჰკითხავდა და ის კი თვითეულს კითხვაზე შესაფერს პასუხს აძლევდა და უფრო გასაგებად თავისს აზრს კედლის სურათებით განუმარტებდა.

შემდეგ მან გენრი მეორე ოთახში გაიყვანა და იქ გალვანიური ძალის დენის მოწყობილობა აჩვენა. ექიმმა აუხსნა, რომ მისი მეთოდი ახალ რაიმე მის საკუთარ გამოკვლევებზე კი არ არის დაფუძნებული, არამედ მან მხოლოდ ცნობილი ფაქტებით ისარგებლა.

მაგრამ ის საშუალები კი, რომლითაც მას გალვანიური ძალის დენა მოქმედებაში მოჰყავს და, სახელდობრ, მას ტვინზე ამო-

ქმედებს,—აი, სწორედ, ეს საშვალებაა მისი საკუთარი გამოკვლევა, მისი საიდუმლო.

ექიმი ამბობდა, რომ იმის გამოკვლევას ჯერ მისთვის სახელი არ განუთქვამს, რომ საქმე მისი მიერ ახალად დაწყებულია. ზოგიერთნი ძლიერ ბევრ რასმე გამოელიან მისი ექიმობისაგან და საკმაოა, ცოტა რამ ავადმყოფის სასარგებლოდ არ მოხდეს, რომ მის ექიმობის მეთოდს მაშინვე მეტიჩარობა უწოდონ.

— მე სრულიად კმაყოფილი ვიქნები, თუ ყოველთვის მე სხვისაგანაც დახმარება მექნება და გამოკვლევათა მოსახდენად ავადმყოფები მეყოლებიან,—უთხრა მან გენრის.

ექიმი დიდი ცნობის-მოყვარეობით უგდებდა ყურს, როდესაც გენრი მას მადლენას ამბავს უყვებოდა. ბოლოს მან უთხრა გენრის, რომ ექიმობის კარგი შედეგი იმაზეა დამოკიდებული, თუ რისგან ასტკივდა ქალს ტვინის რომელიმე ნაწილები—მწუხარებისაგან, თუ სხვა რაიმესაგან. ამას გამოცდილება გვაჩვენებს და მაშინ გავიგებთ, შეიძლება თუ არა კარგი შედეგის იმედი ვიქონიოთო. მაგრამ ყოველ შემთხვევაში,—არწმუნებდა ექიმი გენრის,—საშიში აქ არაფერია: თუ მოჯჩა ავადმყოფი, ხომ რა კარგი, თუ არა-და, ამ ექმობით მადლენას არაფერი დაუშავდებაო.

— ძლიერა ვწუხვარ, ყმაწვილო, რომ ოცი წლის შემდეგ არ მოხვედით თქვენ ჩემთან. მაშინ ჩემი გამოკვლევა იმდენად შემუშავებული იქნებოდა, რომ კარგს შედეგზე ეჭვსაც არ განვაცხადებდი. რადგანაც ჭკუა გონების კანონები ექვემდებარებიან ფიზიკურ პირობათა, მეცნიერება დასდებს უცილობელს საზღვარს აზროვნებასა და გრძნობათა შუა და ხელთ იგდებს სადავეს აზროვნების კანონებისას. ეს ჩემთვის ჯერ კითხვაა, რომელსაც მომავალი აგვიხსნის. არ ვიცი, გალვანიური ძალის დენით, თუ სხვა რაიმე საშუალებითა, მაგრა ეს კი ნამდვილია, რომ მომავალი პსიხიატრი კაცის რომელიმე მოგონებისა და აზრის აღმოკვეთას არასფრად ჩააგდებს, როგორც კბილების ექიმი კბილის მოწვდას ეხლა არაფრად აგდებს.

მაკბეტის კითხვა,—
და მაგასაც ხომ საშველი აქვს;
სნეულს გონებას ვერ მოუვლი? ამოაგლიჯე
მეხსიერებას სევდა მასში ღრმად ფეხ-გადგმული,
ჭკვას ჩაჭდეული მღელვარება მთლად ამოფხიკე
და წამალი რამ მიეც სევდის გამქავრებელი;
მკერდს განაშორე ტვირთი იგი სულის შემხუთი,
რაიც საზარლად ლოდებრ მძიმედ გულს დასწოლია,—

მეთექვსმეტე საუკუნის მეცნიერთათვის გამოურკვეველი გამოცანა იყო, მაგრამ მეოცე საუკუნე მას ადვილად გამოიცნობს.

— მტკივნეული ხომ არ არის თქვენი ექიმობა?— ჰკითხა გენრიმ.

— სრულებით არა. ჩემი ავადმყოფები ყველაფერს მეუბნებიან, რასაც ექიმობის დროსა ჭგრძნობენ. მათის სიტყვით, როდესაც გალვანიური ძალის დენა შესწყდება, ყურებში მათ რაღაც ხმაურობა ესმით. თავის ქალას იმ ადგილებში კი, სადაც მავთულები ეხება, ცოტათი სითბოსა ჭგრძნობენ და ჭგრძნობენ აგრედვე, თუ როგორ გავლენიანად მიმოდის მათს ტვინში გალვანიური დენა. თუ ამ დროს თვალებს დახუჭავენ, ისინი ნაპერწკლებსა ხედავენ, ცხვირში ცუდს, დამწვრის სუნსა ჭგრძნობენ და პირში არა-სასიამოვნო გემოს.

— მაგრამ სულიერი გრძნობანი კაცისა ოპერაციის დროს, რასაკვირველია, სრულიად თავისებურნი უნდა იყვნენ? უეჭველად, სურვილის წინააღმდეგ რაიმეს დავიწყება კაცის გულში აღშფოთებას გამოიწვევს,— მით უფრო, რომ კაცი ასეთის ოპერაციის დროს მხოლოდ ამაზედ-ღა ფიქრობს?— ჰკითხავდა გენრი.

— თავისებურნი რად უნდა იქნენ? ჩემი ავადმყოფების სიტყვებმა იმ დასკვნაზე დამაყენა, რომ ეს სულის გრძნობანი სწორედ იმასა ჰგავს, როდესაც კაცი ძილის წინ რამეზე ფიქრობს, ამ დროს აზრების ძაფი სწყდება. ჩვენ ვცდილობთ, მათი თავი მოვიგონოთ, მაგრამ ბოლო გვავიწყდება, ბოლოს

გავიხსენებთ, თავი გვავიწყდება. გაღვიძების შემდეგ ჩკენ შეგვიძლიან გავიხსენოთ ძილის წინ რაზედაც ვფიქრობდით და შეგვიძლიან არ გავიხსენოთ.

უბრალო ძილსა და ჩემი მეთოდის ძილ შუა განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ჩემი მეთოდის ძილი აზრსა და ფიქრს, რომელიც კი ჩვენა გესურს, სრულიადა ფხვრის,—რასაკვირველია, თუ ტვინის საჭირო ნაწილები მოსპობილ იქნება. რაც შეეხება დანარჩენ კაცის სხეულის თვისებას, ისევე უცვლელად რჩება, როგორც ჩვეულებრივის ნასადილევის ძილის შემდეგ.

— მაგრამ არ შეიძლება რაიმე არ მოჰყვეს მაგგვარ ძილს!—უთხრა გენრიმ:—ავადმყოფებმა ხომ კარგად იციან, რომ მათ რაღაცა უნდა დაევიწყნათ, მაგრამ რა—ეს კი აღარ იციან. ამისათვის იგინი მოწყენილი და ჩაფიქრებული უნდა დარჩნენ, თითქო რაღაცას იგონებენო.

— რასაკვირველია,—მიუგო გეიდენგოფმა:—ცოტა უგუნებოდ ყოფნას იგოძნობენ, მაგრამ ეს იმას წააგავს, როდესაც ჩვენ ნანახი სიზმრის მოგონებასა ვცდილობთ და ვერ მოგეიგონებია. განკურნებული, რასაკვირველია, გულით მონდომებული იქნება გაიხსენოს, რის დავიწყებაც უნდოდა, მაგრამ ამაოდ! გახსენებით ველარ გაიხსენებს და მალე ფიქრსაც სრულიად დაეხსნება, როგორც ჩვენ დავიწყებულ სიზმარზე აღარ ვფიქრობთ ხოლმე. ყველაზე უფრო საყურადღებო ოპერაციის დროს კი ისაა, რომ ავადმყოფი იმ მდგომარეობამდე მივიყვანო, რომ ოპერაციის შემდეგ უპირველეს ყოვლისა მან ძალი ისურვოს.

— დიაღ!.. როდესაც თქვენ თვითონ ამბობთ ამას, თქვენი ნათქვამი კაცს, მართლა რომ, არ უკვირს. მაგრამ გაჩუმდებით თუ არა, მომიტევეთ, ყოველივე ეს წარმოუდგენელ სისულელედ, შეუძლებელ სასწაულად ეჩვენება კაცსა.

ექიმმა გაიცინა.

— იმ გამოკვლევიდან, რომ ყველა ფიქრებსა და გრძნობებს ერთი ბუდე აქვთ ტვინში, რომ ყველა წარმოდგენებს თავ-თავისი ნაწილები აქვს მიჩენილი ტვინის რუხ ნივთიერე-

ბაში,—ამ გამოკვლევიდნ ჩემს გამოკვლევამდე—ფიქრთა და გრძნობათა მოსპობამდე—ერთი ნაბიჯი-ღაა. ასე რომ ფიქრი მხოლოდ ოპერაციის ტეხნიკურ საშუალებაზეა დამოკიდებული,—და ეს კი, ეს იმდენად დაუძლეველი გასაჭირია, როგორც მრავალი სხვა, რომელნიც მედიცინამ ასე მამაცად შემუსრა.

— მაგრამ ეს უფრო გასაკვირვლადაცა ხდის თქვენს გამოკვლევას,—აქ ფიზიკური და პსიხოლოგიური მოვლენანი ერთად თავს იყრიან: გარეგანი ოპერაცია შინაგან სვინიდისის მქენჯნავ აზრების მოსპობას უერთდება!—წაძოიძახა გენრიმ.

— მერე რა არის გასაკვირველი ამ შეერთებაში?—ჰკითხა გეიდენგოფმა:—რად გიკვირთ, რომ მქენჯნავი აზრების მოსპობა ფიზიკურის აკტის საშუალებითა ხდება? მქენჯნავი აზრიც ხომ ფიზიკური აკტით იბადება. ავადმყოფები მოდიან ჩემთან და, გულ-წრფელად შენანებულნი და თავისს მოქმედებაზე დანაღვლიანებულნი, შველასა მთხოვენ, და ჩემი მეთოდი ფიზიკურად უსრულებს იმათ იმ ნატვრას, რომელიც მათს გულში აღორძინებულა..... წარსულზე შენანება და სვინიდისის ქენჯნანი გამოუთქმელ ტვირთად აწევან თავზე კაცის ცხოვრებას. იგინი იკეთებენ ბუდეს ტვინის საიდუმლოებით აღსავსე ლაბირინთებში, მაგრამ მეცნიერების სხივი თამამად გამოსდენის მათ მათი საბუდრებიდან!—და ექიმმა ხელის-გაშლით ბატარეიაზე უჩვენა.

ისინი კიდევ დიდ ხანს ლაპარაკობდნენ. ბოლოს გენრიმ პირობა მისცა ექიმს, ხვალ მადლენას მოვიყვან თქვენთანაო. გენრის ეგონა, საქმე თვით ჯადოქართანა მაქვსო. თვითონ არ იცოდა, შეეძლო თუ არა ექიმის მეთოდს მადლენასთვის რაიმე სარგებლობა მოეტანა. ექიმთან ბაასის დროს ის ხან ერთს აზრს ადგა და ხან მეორეს: ხან ექიმის სიტყვებით გატაცებულს ეს აზრი იმას მტკიცედა სწამდა, ხან თავისს თავზე უკმაყოფილო იყო, რომ ასეთ სიბრიყვეს უჯერებდა.

გამოვიდა თუ არა გენრი ქუჩაზე ხმაურობამა და დიდი ქალაქის საქმიანობამ სრულიად მოუსპო მას ის შთა-

ბეჭდილება, რომელიც ექიმი გეიდენგოფის ოთახის მისტიურმა მოწყობილებამ მას მოჰზერა. გენრიმ თავისი თავი გიჟად ჩასთვალა.

საღამოზე გენრის არ უნდოდა მადლენასათვის გაემხილა, რომ ხვალ ორივე დაპირებისამებრ ექიმ გეიდენგოფთან უნდა წასულიყვნენ. გენრის იმგვარად უნდოდა საქმე მოეხერხებინა, რომ ექიმთან წასვლაზე თვითონ მადლენას ეთქვა უარი. მაგრამ ის მალე დარწმუნდა, რომ იმ აღელვებასთან, როგორშიაც ეხლა მადლენა იყო, წაუსვლელობიდან არასფერი გამოვიდოდა და ამისათვის გადასწყვიტა ეთქვა მადლენასთვის, რომ ხვალ შუა დღეზე ისინი ორნივე ექიმ გეიდენგოფთან უნდა წარსულიყვნენ.

— რატომ დილაზე არ მივდივართ?—ჰკითხა მადლენამ.

— რატომ? განა სულ ერთი არ არის,—საათით გვიან მივალთ, თუ ადრე?

— შენა ბგონია ჩემთვის რამდენიმე საათი არასფრადა ღირს?—და ქალმა მწარედ ტირილი დაიწყო.

— ბევრს იმედებს ნუ გამოელი იმისგან, მადლენავ!—შენიშნა გენრიმ სიფრთხილით:—მე შიში მიტანს, როდესაც წარმოვიდგენ, თუ რა დაგემართება, რომ იმედი გაგიცრუვდეს. თვით გეიდენგოფი სრულს იმედს კი არ იძლევა,—ეს ბევრ, ბევრ სხვა-და-სხვა გარემოებაზეა დამოკიდებულიო.

— ამას რისთვის ამბობ შენ? განა მეტის-მეტი ულმერთოება არ არის ეს შენის მხრივ! მე იმედი მაქვს ჩემი ცხოვრება რამეფერად ცოტათი მაინც გავაუმჯობესო და შენ კი ასე სასტიკად მარწმუნებ, ყველა შენი იმედები ფუჭიაო...

უკანასკნელი დღეების აღელვებისაგან, რამდენიმე ხნის სასო-წარკვეთილების შემდეგ, მადლენას თითქმის ისტერიკა მოსდიოდა. მას ერთს წუთსაც აღარ შეეძლო მოსვენება: ხან ადგებოდა, ხან დაჯდებოდა, ხან ისევ გაუჩერებლად ოთახში დაიარებოდა.

კარგა ხნის სიჩუმის შემდეგ ის უცბად შეჩერდა.

— ვთქვათ, მე ყველაფერი დავივიწყე, აღარაფერი მახსოვს,

რაც კი შენზე ჯვარის დაწერას მიშლიდა. მაგრამ შენ ხომ მაინც გეცოდინება ყოველივე ამის მიზეზი და შეიძლება აღარ ისურვო ჩემზე ჯვარის დაწერა!

— რაც უნდა მოხდეს, ჩემთვის სულ ერთია, მე მსურს!— მიუგო გენრიმ.

— მაგრამ, განა სამართალია ვიფიქროთ, რომ შენ ჩემზე ჯვარი დაიწერო, როდესაც მე ყველაფერს დავივიწყებ?—განაგრძო დაფიქრებით მადლენამ:—არა, სჯობს ეხლავე ავიღო პირობა შენგან, რომ შენ ჩემზე ჯვარს აღარ დაიწერ!

— არასოდეს, არასოდეს! ასეთს აღთქმას მე შენ ვერ მოგცემ!

— ოჰ! ვიცი!—განაგრძო ქალმა:—ვიცი, რომ შენ წარსულს არ დამაყენებრი,—ასეთი სულ-მდაბლობა შენი საქმე არ არის. მაგრამ მაინც გთხოვ, გენრი, შენ ჩემზე ჯვარს ნუღარ დაიწერ, თუ ექიმობამ ფიქრებისა და გრძნობების მოსპობის გარდა ისე უმანკო არ გამხადა, თითქო... თითქო მეც ისეთივე ვიყო, როგორიც სხვა ყმაწვილი ქალები არიან.—და ქალმა ბწარე ქვითინი შექნა.

რამდენიმე წამმა მომაკვდავ დუმილში განვლო.

— დედა ჩემი მაშინ ისევ ჩემთან იცხოვრებს... რა საოცარი იქნება! დღეს მე სულ ამაზედ ვფიქრობდი. წარმოვიდგინე, თუ რა აუტანელი იქნება ჩემთვის მისი შეხედვა! მე ვკითხავ,— რა არის, დედილო, რომ ასე დაცინვით მიცქერი-მეთქი, მაგრამ ის სწორ პასუხს არ მაღირსებს... იცი, გენრი,—უეჭველად მომაკვდავიც იმასა ჰგრძნობს, რასაც ეხლა მე,—როდესაც წარმოიდგენს, თუ როგორ დაუწყებენ ცქერას მის გვამს მისი ნათესავნი და მეგობარნი... რა გულითა მსურს, ვინც მე აქამდინ მიცნობდა, ფიქრების მოსპობის შემდეგ აღარა მნახოს. შენ, გთხოვ, ამას ეცადე.

— მომაკვდავს რა საქმე აქვს, როგორც უნდა უყურონ მის გახრწნილს ნაშთებს, როდესაც სული უკვე გაფრინდა?! ხვალ, თუ ექიმობამ გაიმარჯვა, შენც იგივე დაგემართება. რა გენაღვლება, ვინც უნდა გიყურეს!

ცოტა ხანს მადლენა ჩაფიქრებული დარჩა და მერე თავი გაიქნია.

— არა, არა! შენ სხვა ხარ, შენ შეგიძლია, რამდენიც გინდა, მიყურო და იფიქრო ჩემზე, რაც გინდა. უეჭველად ჯერ არაფერი ცოლი ასე ქმარს არ განდობია, როგორც მე შენ. დიაღ, საამისოდ, უეჭველია მიზეზიც არავისა ჰქონია, როგორც მე! — და თვალებზე ცრემლ-მორეულმა ქალმა გაიცინა.

მეორე დღეს ნაშუადღევის პირველ საათზე მადლენა, ფერმკრთალი, ექიმი გეიდენგოფის მისაღებ ოთახში იჯდა. გენრიც იქვე იყო და წინა და უკან დადიოდა; ის ხან-და-ხან მადლენას ზრუნვით თვალს გადაავლებდა ხოლმე.

— ყველაფერი მზად არის!—ნახევრად გაღებული კარებიდან დაიძახა ექიმმა.

მადლენა წამოდგა, გენრიმ იმას ხელი მოჰკიდა.

— არ დაივიწყო, მადლენავ, — ჩაუჩურჩულა ყმაწვილმა ქალს:—რომ ეს საკუთარი შენი სურვილია და არა ჩემი, მოიტანს თუ არა ექიმობა რაიმე ნაყოფს, ჩემთვის სულ ერთია.

ქალმა პასუხის ნაცვლად გენრის თავი დაუქნია და ორნივე ოთახში შეეიდნენ. მადლენა, რომელსაც ფერი დაჰკარგოდა და შიშისაგან მთლად ცახცახებდა, ექიმისგან ნაჩვენებ სკამზე დაჯდა. ექიმმა გეიდენგოფმა მას თავი კარგად დაუმაგრა, რომ მადლენას მისი აქეთ-იქით განძრევა აღარ შესძლებოდა. მადლენამ თვალები დახუჭა და გენრის ხელი მაგრად ჩაჰკიდა.

— ჰე, თქვენ ეხლა სულ იმაზე იფიქრეთ, რაც მეხსიერებიდან გსურთ ამოიგდოთ. მაშინ ელექტრონის დენა უფრო ჩქარა შეეხება ტვინის იმ ნაწილებს, რომლებიც აღელვებული გაქვთ. როდესაც ყველა აზრები შემოიკრიბოთ, ხელით მანიშნეთ.

რამდენიმე წუთის შემდეგ მადლენამ ანიშნა და აპარატმა ტკაცუნი და თან ზუზუნი შექნა. მადლენამ გენრის უფრო და უფრო მაგრად ჩაუჭირა ხელი, მაგრამ სიმშვიდე კი არ დაუკარგავს.

ბოლოს ხმაურობა შესწყდა. ექიმმა მადლენას თავის მისამაგრებელი გამოაცალა. მადლენამ თვალები გააღო, მაგრამ მაშინვე დახუჭა.

— ოჰ, რა დავიღალე!

— თქვენ ეხლა უნდა დაიძინოთ,—უთხრა ექიმმა და მეორე ოთახში გაიყვანა, სადაც ტახტი იდგა.

მადლენა დაწვა და მყისვე ჩაეძინა.

ექიმი უკან გამობრუნდა და მადლენას გაღვიძება რომ არ გამოჰპაროდა, ოთახის კარები ნახევრად გაღებული დასტოვა.

IX

— დიდ ხანს უნდა ეძინოს?—ჰკითხა გენრიმ.

— საზოგადოდ ოპერაციის შემდეგ ორი საათი უნდა ეძინოს,—მიუგო ექიმმა:—ამას მაგრად დაეძინა, ეს კარგი ნიშანია. ჩვენ შეგვიძლია, მგონი, კარგი შედეგის ახლა კი იმედი ვიქონიოთ.

გენრი აღშფოთებული დადიოდა ოთახში.

— თქვენ ნუ შფოთავთ,—უთხრა გეიდენგოფმა:—თქვენ, საჭიროა, გულის სიმშვიდე დაიცვათ, რომ საქმე ცუდდად არ დაბოლოვდეს, თორემ მაშინ ხომ თქვენ უნდა ანუგეშოთ თქვენი საცოლო და ეს კი უმისოდ არ შეიძლება, თუ თავს სრულიად დამშვიდებულად არა გრძნობთ. აი, არ ინებებთ? სიგარა მოსწიეთ და ნერვები თავთავის ალაგას დალაგდებიან,—და ექიმმა გენრის სასიგარე მიაწოდა.

გენრიმ სიგარა აიღო და ააბოლა. ის დიდი ნაბიჯით დაიარებოდა ოთახში. ექიმი კი სავარძელზე წამოწვა და გენრის გასართობად ლაპარაკს მოჰყვა.

— მართლა და რა საოცარი შემთხვევები შეიძლება შემიხვდეს მე! წარმოიდგინეთ ასეთი ამბავი: ერთმა მეორეს აწყენინა. პირველმა თავისი დანაშაული შეინანა და საშველად ჩემთან მორბის. საქმე ბრწყინვალედ თავდება. შემდეგ თვით შეურაცხ-

ყოფილმა აწყენინა პირველს, თავისს შეურაცხმყოფელსა, მაგრამ ამ დროს ის ჩემი ექიმობის ამბავს გაიგებს. რა კმაყოფილება უნდა მიიღოს მან თავისი შურის-ძიებით, როდესაც დარწმუნდება, რომ მის მოწინააღმდეგეს თავისი მოქმედება სრულიად დაუვიწყნია!

— თქვენა გგონიათ, რომ შეურახყოფილი იმავე მძულვარებას არა ჰგრძნობს თავისს მოწინააღმდეგეს მიმართ, როგორც პირველად, მიუხედავად იმისა, დაავიწყდა თუ არა მის მოწინააღმდეგეს თავისი საქციელი? ის ხომ მაინც შეურახცყოფილია და შეურაცხყოფილი?—ჰკითხა გენრიმ.

— ცხადია, სულითა და გულით ეძულება მას თავისი შეურაცხმყოფეელი, მაგრამ შურის-ძიებას მაინც აღარ გამოეკიდება,—რასაკვირველია, თუ ის, ესე იგი შეურაცხყოფილი, ნამეტნად სასტიკი არ არის. იმისათვის შურის-ძიება შეუძლებელი იქნება, როდესაც გაიგებს, რომ მისი მოწინააღმდეგე თავისს თავს სრულიად მართლადა ჰგრძნობს.

ან კიდევ ასეთი შემთხვევა: ორი მეგობარი მოდის ჩემთან და მეუბნება: „ჩვენ წავიჩხუბეთ და ერთმანეთს მეტად ვაწყენინეთო. ეხლა ორივემ ყველაფერი შევინანიეთ და გვსურს შევრიგდეთო, მაგრამ არ შეგვიძლიან. მოგვეკით დავიწყება და ჩვენ უწინდებურად შევიყვარებთ და პატივსა-ვცემთ ერთმანეთსო“.

მე დარწმუნებული ვარ, რა კი ჩემი გამოკვლევა ხალხში ფეხს გაიდგამს, კიდეც მისაყვედურებენ,—მეტყვიან, ეს სვინიდისის დამამხობელი და მით კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების საძირკვლის შემმუსვრელიაო. მაგრამ ასეთი საყვედურები დიდ ხანს არ გასტანს.

რამდენადაც შენანება გულ-წრფელია, იმდენად სვინიდისის ტანჯვანი მოუშორებელი და მწვალებელია, იმდენად კაცის გულში უფრო და უფრო იღკიძებს ლტოვილება კარგისადმი, უზენაესისადმი. მაგრამ კაცი ამ ლტოლვილების მიზანს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესც იმას გზაზე წარსული არ გადეღობება, როდესაც კაცი წარსულის კვალს თავისს გულშ

სრულიად მოსპობს. ცხადია, კაცობრიობა მაშინ ზნეობრივად უფრო მაღლა იდგება, ვინემ ეხლა. ცუდი და კარგი ხასიათები ყოველთვის ყოფილა და იქნება. მაგრამ ავი ზნის კაცი ერთხელ რომ დაეცემა, წამოდგომითაც ადვილად წამოდგება, თუ ის ამ დაცემის დავიწყებას შეიძლებს.

— თქვენ აგრე ფიქრობთ?—ეჭვი» ჰკითხა გენრიმ.

— წარსული ცოდვების მოგონებანი სრულიად გვანახევრებს ჩვენ. მათი მეოხებით ჩვენ, რადგანაც თვალ-წინ სირცხვილი გვიდგია, თავ-მოყვარეობას, თავის პატივსაც კი ვკარგავთ. სინჯეთ და მოგვაშორეთ ეს მოგონებანი და ჩვენც ცუდი საქმის ჩადენის შემდეგ იმაზე უარესი სრულიადაც არ გავხდებით, რაც უწინ ვიყავით. გარდა ამისა, არც ის უნდა ვიფიქროთ, თითქო ჩვენ უეჭველად კიდევ მოგველის დაცემა.

— მაგრამ ჩვენი კარგი და ავი მოქმედებანი ხომ მაინც დაღს ამჩნევენ ჩვენს ხასიათსა და სცვლიან ჩვენი ცხოვრების მიმდინარეობას,—ეწინააღმდეგებოდა გენრი.

— უკაცრავად,—ამ დაღს მოქმედებანი კი არა, მხოლოდ მათი მოგონებანი გვასვამენ. ამისათვის მე ვამტკიცებ, რომ ცუდი ხასიათის ადამიანი მუდამ ამ თავისს ნორმალურს წერტილზე იდგომება, თუ იმისთვის თავისი მოქმედების დავიწყება შესაძლო იქნება—ნაცვლად იმისა, რომ მან თან და თან ცოდვათა სივრცეს მისცეს თავი! მოგონებანი—ფესვია ადამიანის გადაგვარებისა.

— ვთქვათ აგრეც მოხდეს, — ვთქვათ მოგონება გაქრა. მაგრამ მის გამო პასუხის-გება ხომ მაინც დაგვრჩება?—ჰკითხა გენრიმ.

— სრულებითაც არა!—მიუგო ექიმმა.

— ამაზე ხომ უარს ვერ იტყვით, რომ მოვალეობა, პასუხის-გება და მართლ-მსაჯულება უნდა იყოს?

ექიმმა უზრუნველად მხრები აიწია.

— მე მორალისტი არ გახლავარ,—დაიწყო მან:—მე ვარ მეცნიერების მიმდევარი კაცი, ვარ ექიმი და ვცდილობ ადამიანის ბუნება შევისწავლო. ადამიანი არ არის უცვლელი

რამ—ის მარად ცვალებადი, მარად მოზარდი ორგანიზმია, რომელსაც ორ წუთსაც კი ვერ ნახავთ ერთსა და იმავე მდგომარეობაში. ამისათვის, როდესაც სამართალი წარსული დროის მოქმედებისათვის ადამიანს აწმყოში სჯის, ამით ის თვით ბოროტ-მოქმედს კი არა სჯის, არამედ სულ სხვას, მხოლოდ ბევრად თუ ცოტად იმის მსგავს პირსა.

— თქვენი სიტყვებიდან გამოდის, ვითომც მკვლელი, რომელიც თავისი მსხვერპლის გულიდან გასისხლიანებულს დანას აძრობს, სრულებით ის არ არის, რომელმაც მოჰკლა?

— უეჭველად! — მიუგო ექიმმა: — მას შეიძლება კიდევაც უხარია, რომ კაცი მოჰკლა და შეიძლება,—რაც უფრო ადვილად საფიქრებელია,—მწუხარებით დასცქერის თავზე თავისს უენო მსხვერპლსა. ის შემდეგში ან უკეთესი შეიქნება, ან უარესი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ის მაინც არ იქნება, რაც უწინ იყო,

— მაშ თქვენის ფიქრით, დამნაშავეს დასჯა საჭირო არა ყოფილა?

— სრულებითაც არა! . . . . . ჩვენს დროში დასჯა აუცილებლად საჭიროა, როგორც რომელიმე სენის მოსასპობად რაიმე საშუალება. ვინც თავისი ბოროტ-მოქმედებით იმედს იძლევა, რომ მომავალშიაც ის ცუდს საქმეს არ მოიშლის, ის, რასაკვირველია, საპყრობილეში უნდა იჯდეს.

— მაგრამ, პატივცემულო ექიმო, ვინც თქვენი თანამოაზრეა, იმას წარსული ცოდვების დასავიწყებლად თქვენი ექიმობა აღარ ეჭირვება: მან იცის, რომ წარსული ცოდვებისთვის ის პასუხის-მგებელი არ არის.—უთხრა გენრიმ.

— მართალი ხართ! მათთვის, რომელნიც ჩემი ფილოსოფიის წერტილამდე აღმოსულან, მე საჭირო აღარა ვარ. წარსულისაკენ გასაბრუნებელ ხიდსა მე მხოლოდ სუსტებს ვუმსხვრევ. მძლავრი უჩემოდაც შესძლებს მის ჩატეხას. დეე მხოლოდ უმრავლესობამ საჭირო სიბრძნე და სიმხნევე შეიძინოს, რომ წარსული წარსულად ჩასთვალოს, წინ თამამად გასწიოს და

ყოველს ახალ დღეს ისე მიეგებოს, როგორც ახალს ცხოვრებასა! რაღა თქმა უნდა, აწმყო წარსულისაგან იბადება და შესდგება, მაგრამ ის წარსულისათვის პასუხს არ აგებს. რისთვის აჯერებენ ხალხს, რომ ის წარსული ცოდვებისაგან მუდამ უნდა სინანულში იყოს და მათთვის იგვემებოდეს,—ის უიმისოდაც მრავალ-ტანჯულ არს! განა მე სიყმაწვილის ცოდვებისათვის პასუხი უნდა ვაგო? განა შესაძლებელია, მე სამოცი წლის მოხუცმა, სტუდენტობის დაუდეგარი დროის ცოდვებისათვის მწუხარება დავიწყო?... ღმერთო ჩემო! ჩვენ აწმყოს ტანჯვა და უბედურება კი არ გვეყოფა! რაღა საჭიროა, წარსულის მოგონებით ტანჯვები ტანჯვებს მივუმატოთ? წარსული დროის ცოდვებში ჩვენ იმდენად გვიდევს წილი, რამდენადაც ჩვენი ჩინაპრების ცოდვებში. რა სისულელეა, როდესაც ხედავ, რომ კაცი მთელ თავისს ცხოვრებას წარსული ცოდვების მწარე მოგონებაში ლევს!

ეს ხომ იმაზე უფრო უაზრობაა, როდესაც კაცი მთელ თავისს ცხოვრებას რაიმე კეთილი საქმის მოგონებაში, რომელიც მას ოდესმე ჩაუდენია, ტკბილად ატარებს. დაგვეხსენით ოღონდ და გარწმუნებთ, ჩვენ არასოდეს არ დაგვავიწყდება, რომ მარტო სულელები ამკობენ და დამღერიან თავისს წარსულ კეთილ საქმეებს და მათზე უფრო ჭკვიანი არც ისინი ბრძანდებიან, ვინც მთელ ცხოვრებას წარსული ცხოვრების მწარე მოგონებაში ატარებენ და მით თავისს სიცოცხლეს აუტანელად ხდიან.

ამ დროს გენრის მახვილ ყურს მეორე ოთახიდან შრიალი მოესმა. ის კარებთან მივიდა და ოთახში შეიხედა. მადლენას გაღვიძებოდა.

მადლენა ძილში გაწეწილ თმას ისწორებდა. წარბები მას შესჭმუხნოდა და, როგორც ეტყობოდა, რაღაცაზედ ღრმად ჩაფიქრებულიყო. გენრი მან მანამდი ვერ შენიშნა, სანამ ის სულ

მთლად არ დაუახლოვდა. ამაოდ მალავდა გენრი თავისს აღელვებას, როდესაც ჰკითხა:

— როგორა ხარ, მადლენავ!

— კარგად, მშვენიერად მეძინა!—მიუგო მან დაქანცულის ხმით, მაგრამ თვალები კვლავ დახუჭული ჰქონდა.

— გღვიძავს, მადლენავ?—განაგრძო გენრიმ, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რას ლაპარაკობდა.

მადლენამ შეხედა გენრის, მაგრამ ცხადადა სჩანდა, რომ მას რაღაც ფიქრი აწუხებდა.

— მე დიდი ხანია გავიღვიძე, მაგრამ ვერასფერი გზით ვერ მოვიგონე!

— რა ვერ მოიგონე?—ჰკითხა გენრიმ და შეკრთა. იმან აღარ იცოდა, როგორ დაეჭირა მადლენასთან თავი.

— ღმერთო ჩემო! განა არ ვიცი, აქ რისთვისაც ვარ მოსული: მე რაღაცა უნდა დამევიწყნა. — გულმოსულად დაიწყო ქალმა ლაპარაკი: — იმას ნუ კი ფიქრობ, ექიმმა მთლად რეგვენად გამხადა. რაღაც ამის მსგავსი... „გოვარდი“,—ერთი სიტყვით, ესე იწყებოდა გ-ნით, მე ეს ნამდვილად ვიცი. გ, თუ ჯ,—ლაპარაკობდა მადლენა:—კმარა, მითხარი, გენრი! შენ ხომ იცი?

— დიაღ, ვიცი,—მიუგო გენრიმ:—მაგრამ თუ დაგავიწყდა, გახსენება რაღა საჭიროა?

— დამავიწყდა, მაგრამ ექიმობამ კი ფუჭად ჩამიარა,—მე იმას ეხლავე მოვიგონებ. შენ შეგიძლიან მითხრა, თორემ ორისამი წამის შემდეგ მე თვითონ მოვიგონებ მას,—არწმუნებდა გენრის მადლენა.

გენრიმ ექიმს დაუძახა.

— ექიმო, თქვენ უკედ გეცოდინებათ, რა უნდა დავიწყნოდა მადლენას!

— მერე რას იტყვით, მე რომ ის გითხრათ, რომ ეს ძველი სიყვარულის ამბავია-მეთქი?—ჰკითხა ექიმმა და თან ქალს სხვანაირად ვადახედა.

— ვიტყვი, რომ ძალიან წინ-დაუხედავი ბრძანებულხართ! —მრისხანებით შენიშნა მადლენამ.

— მართალს ამბობთ. მაგრამ აგრე სასტიკადაც არ უნდა მოექცეთ ჩემსავით მოხუცებულს. მომიტევეთ წინ-დაუხედავი ხუმრობა,—იხდიდა ბოდიშს ექიმი და წარბებს საკმაოდ ძირს უშვებდა.

— თქვენ, პატივცემულო ექიმო, გსურთ მომატყუოთ! მაგრამ ამაოდ: მე იმას გავიხსენებ. მე ცხადად ვიცი, რომ ეს გ-ით იწყებოდა. მოითმინეთ!.. გარრიგტონი, გარვარდი,—რაღაც ამის მსგავსი,—იგონებდა მადლენა.

— შეიძლება, გარრისონ კორდისია?..

— გარრისონი? გარრისონ კორდისი?—წარბებ-ჩამოშვებული ფიქრობდა ქალი:—არა, ის უფრო „გარვარდი"-ს მსგავსი იყო. თქვენ გინდათ გზა დამიბნიოთ!

ექიმი სიცილით გარედ გამოვიდა.

— აბა, მადლენავ, დროა წავიდეთ!—დაილაპარაკა გენრიმ.

— მე კი მაინც გავიხსენებ იმას!—ამბობდა მადლენა და ღიმილით გენრის შესცქეროდა.

ვენრიმ მას ხელი მოჰხვია. მადლენამ ბეჭზე თავი დაადვა და მოუთმენელად კოცნას-ღა ელოდა. იმას გენრის ასეთი სიფრთხილე უკვირდა და თავისი მომხიბლავი თვალებით მისჩერებოდა.

— როგორ გიყვარვარ, გენრი!—ნაზად წაიჩურჩულა ქალმა.

რა გაახარა გენრი ამ ბედნიერმა ნაპერწკალმა, რომელმაც მადლენას თვალებზე იფეთქა და ამ სინაზემ, რომელსაც ის, რამდენი ხანია, ელოდა.

როდესაც მათ წასვლა დააპირეს, ექიმმა გენრის ხელი ჩაჰკიდა და ცალკე გაიხმო.

— ჯერ ასეთი კარგი შემთხვევა არა მქონია!—რაღაც ალტაცებით შენიშნა მან:—მე შეგამჩნიეთ თქვენ როგორ შეშინდით, მე რომ ისეთი კითხვა მივეცი თქვენს საცოლოს,—მა-

გრამ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ: ის ყველაფერს მოიგონებს, მხოლოდ სიმართლეს კი ვერა. თქვენ რომ მას ყველაფერიც უამბოთ, მოტყუედებით,—მას ეგონება, თქვენ მას დასცინით.

როდესაც გენრი და მადლენა შინ მოდიოდნენ, გზაზე მადლენამ ჰკითხა:

— მე კარგად არ ვიცი, რისთვის ვიყავით ჩვენ ექიმ გეიდენგოფთან! ავად ვიყავი?—და ქალმა გენრის თვალებში შეხედა:—როგორ მოწყენილად იყურები? რა დაგემართა?

— სრულიად არაფერი!—მიუგო მან და ხელში სასიგარეს ატრიალებდა:—როგორ მოგეწონა ექიმი გეიდენგოფი?—ჰკითხა თავისი მხრით გენრიმ ქალს.

— დიაღ, როგორც ეტყობა, კარგი ექიმი უნდა იყოს, მაგრამ, იცი გენრი, ისეთი მისი თავ-ხედი კითხვა არ მომეწონა. საზოგადოდ, ხუმრობაში მამაკაცები თავ-შეუკავებელი ბრძანდებით.

— მაგრამ ცუდის განზრახვით კი არ უთქვამს შენთვის ეს იმას,—მიუგო გენრიმ.

— იმას ნამდვილად ისეთი რისამე თქმა უნდოდა, რაც არასოდეს არა ყოფილა,—ასე ხსნიდა მადლენა ექიმის კითხვას:—შენ კი რა შეგეშინა იმ კითხვაზე!

— როგორა?

— შენა გგონია, მე ვერ შეგხედე, როგორის თვალით გადმომხედე შენ მაშინ? ვერა, მე ვერ მომატყუებ: შენ ხომ ასეთ შეხედულებას ხშირად მიიღებ ხოლმე, როდესაც მე ვინმე გვერდზე გადმომხედავს,—და მადლენამ შენიშნა თუ არა, რომ გენრი მის სიტყვებზე თანდათან წითლდებოდა, ერთი ხმა-მაღლა გაიხარხარა:—გამოხატული ეჭვის ბუდე ხარ! მე კი მინდოდა ყველა ჩემს თაყვანის-მცემლებზე მეამბო შენთვის! — ახელებდა გენრის მადლენა.

— იცი, გენრი, საოცრადა ვგრძნობ თავს, როდესაც ვიცინი: სახე ხესავით მიხდება, თითქო, ღმერთმა იცის, რამ-

დენი ხანია არ გამიცინია,—უცბად შესცვალა მან სალაპარაკო საგანი.

როდესაც შინ მოვიდნენ, გენრიმ ძლივ-ძლიობით გაბედა მარტო მისი დატოვება: ეშინოდა, რომ მადლენას, რაც დაავიწყდა, მართლა არ მოეგონებია. ამისათვის, როგორც კი თავისუფალი დრო იშოვნა, მაშინვე მისკენ გამოეშურა.

მადლენა სულ ამაზე ფიქრობდა.

— საიდან მოვედით ჩვენ ორნივე ბასტონში? რა მინდოდა აქ მე? მე მხოლოდ ის მახსოვს, შენ რომ მოწყენილი მიპოვე!

— დიაღ, მადლენავ, ძლიერ მოწყენილი იყავ მაშინ.

— რადა? ავად ხომ არა ვყოფილვარ?

— დიაღ!

— სულიერი ავადმყოფი?

— დიაღ!

— და ამისათვის ვიყავით ეხლა ჩვენ ექიმ გეიდენგოფთან?

— დიაღ!

— დედა-ჩემი რატომ აქ არ არის?

— შენ... შენ თვითონ არ ისურვე...

ამ კითხვების დროს გენრის ცივი ოფლი დაასხა.

— ჰო, ჰო!.. ეხლა გამახსენდა: შენ მირჩევდი მის მოყვანას, მაგრამ მე არ ვისურვე. რასაკვირველია,—მე მაშინ ჩემს აზრზე აღარ ვიყავი. გენრი!—დაიწყო უცბად ნაჭის ხმით ქალმა:—შენ იმდენად გულ-კეთილი იყავი ჩემზე, რომ ექიმმა გეიდენგოფმაც კი ვერ დამავიწყა მე ეს.

მეორე დღეს მადლენას დედაც მოვიდა. გენრი მას რკინის გზის სადგურზეც შეეგება და ყოველივე უამბო; და ისიც უთხრა, მადელენასთან როგორ უნდა მოქცეულიყო. საწყალმა მოხუცმა დიდ ხანს ვერ გაიგო, საქმე რაში იყო: ამისათვის მას ჭკუა აღარ უჭრიდა. მთელი დღე ის ხმა-ამოუღებლად დადიოდა და სულ იმაზე ფიქრობდა, თუ რა ამბავი მოხდა მადლენას თავზე. ხან-და-ხან ის გენრის გადახედავდა ხოლმე, შეიძლება ამან მაინც რამე გამიმხილოსო. იდუმალი ტანჯვით

შესაქერელად ქ-ნი ბრანდი მადლენას ხალისსა და ბავშურ ცელქობას, რომელიც მის ქალიშვილს სულმთლად უკლებლად დაჰბრუნებოდა. როდესაც მადლენა, როგორც პაწაწა მტარვალი, გენრის მოსვენებას აღარ-აძლევდა—რაიც გენრის ძალიან მოსწონდა—ქ-ნი ბრანდი მის თავ-დავიწყებული მხიარულების დამშვიდებას-ღა ცდილობდა.

— არ ვიცი სწორედ; რა დაემართა დედა-ჩემს?—კითხულობდა ხოლმე მადლენა, დედის მოსვლის შემდეგ ორი კვირე რომ გავიდა:—აქ ცხოვრება, მგონია, არ მოსწონს. ჯვარის დაწერის შემდეგ სამოგზაუროდ ეგეც თან წავიყვანოთ!

— ოჰ! არა!—იუარებდა გულ-კეთილი მოხუცი:—არა, გენრის არ ესიამოვნება!

— გენრის ისე ვუყვარვარ, ჩემს წინააღმდეგ ხმასაც ვერ ამოიღებს,—ეტყოდა სიცილით დედას მადლენა:—გენრი, მოგწონვარ დღეს მე შენ?—ცბიერებით ჰკითხა მადლენამ.

— დღეს შენ მომხიბლავი ხარ! ეს ის კაბა არ არის, მაშინ რომ ოჩხარზე გეცვა?

— არა, ეს სხვა არის!

— რა კარგი იყავი მაშინ შენ! გახსოვს მე რომ გაკოცე? მიკვირს საიდან დამებადა ისეთი გაბედულება! აქამდინ ვერ წარმომიდგენია. მაგრამ სხვაფერ არ შემეძლო მოვქცეულიყავ: უნდა მეკოცნა.

— რა უსამართლოდ გექცეოდი მაშინ. უბედური! რომ გამახსენდება, ეხლაც კი მებრალები!

კარები ნელა დააკაკუნეს: ქ-მა ბრანდმა გამოხედა და უცბად დიდი კალათით ხელში უკანვე შემობრუნდა.

— ოჰ! ჩემი საქორწინო ტანისამოსი!—წამოიძახა მადლენამ:—ეხლა შენ შეგიძლია თავისუფალი გაგვხადო. ჩვენ ეხლა უბრალო ლაპარაკზე უფრო საჭირო საქმეცა გვაქვს. ტანისამოსი უნდა დავიზომო.

— მე კი მინდოდა მენახე, როგორ მოგიხდებოდა ეს ახალი ტანისამოსი!

— მართლა?

– დიაღ!

— ეს შენთვის ასე საყურადღებოა?

— მეტად, მეტად,—მიუგო გენრიმ.

— მაშ, მოიცადე აქ, თუ მოთმინება არ გიღალატებს!

მადლენა და დედა-მისი მეორე ოთახში გავიდნენ. გენრი იჯდა და მათ გამოსვლას უცდიდა.

მადლენა მშვენიერს ფარჩის ტანისამოსში გამოწყობილი გამოვიდა. გრძელი ლეჩაქი, რომლისათვისაც მას სულ ზევით მოეყარა თავი, მძიმე ნაწნავებს ოდნავად აჩრდილოებდა; ლეჩაქის ქვეშ ნაზად გამოიცქირებოდა პაწაწა საყვარელი სახე. გენრის არ ახსოვდა, მადლენა ასეთი სანახავი ყოფილიყოს როდისმე: ის უწინდელ თავ-მომწონე და თამამს მადლენას კი არ ხედავდა,—მის წინ იდგა ფრთხილი და მორცხვი ყმაწვილი ქალი. გენრი აღტაცებაში მოჰყავდა იმ გაუბედაობას, როგორითაც მადლენა მას უცქეროდა. გენრის თვალები ცრემლით აევსო. მადლენას საყვარელი სახე ნელ-ნელა დაიბინდა. თეთრმა ტანისამოსმა თანდათან თავისი ელვარება და ფერადობა დაკარგა, და უცბად...

გენრიმ თავისი საწოლი ოთახის ფანჯრები დაინახა, რომლებსაც დილის მზის სხივები ეთამაშებოდნენ. მოტყუებულმა და შეშინებულმა მან თავში ხელი იტაცა,—იგი თავისს ლოგინში იწვა!

წარმოუდგენელი სისწრაფით მისი თვალები ერთი საგნიდან მეორეზე გადადიოდა და მას დიდ ხანს გონს მოსვლა აღარ შეეძლო. აი, სტოლზე საათი უკაკუნებს; ის სწორედ იმ დროს აჩვენებს, რომელზედაც გენრი ჩვეულებრივად იღვიძებს. იმის გვერდით ის წიგნი დევს, წუხელი ძილის წინ რომ გენრი კითხვას აპირობდა. სტოლზე მორფის ნახვევი ქაღალდი აგდია. მორფი იყო, ეს საოცარი სიზმარი რომ გამოიწვია.

ამგვარად ნაწილი გამონაცადისა და ნაგრძნობისა იყო სიზმარი! მაგრამ რა ესიზმრა მაინც გენრის? ამის წარმოდგენა გენრის აღარ შეეძლო. საქორწინო ტანისამოსი, რასაკვირველია, მხოლოდ სიზმარი იყო. გენრის მოაგონდა, რომ ქ-ნი

ბრანდისათვის მას აქედ იმას წერილიც არ მიუწერია, რაც ისა და მადლენა ექიმ გეიდენგოფთან იყვნენ...

გენრიმ უცბად შუბლზე ხელი მოისვა. ღმერთო მოწყალეო! ეს ყველაფერი სიზმარი იყო. ეგი გონს მოვიდა და მხოლოდ მაშინ გაარჩია სიზმარი მწარე სიცხადისაგან. გენრიმ გაიხსენა, რომ გუშინ საღამოს აქედ მადლენა მას სრულებითაც არ უნახავს. გაახსენდა ისიც, თუ როგორ ეხვეწებოდა ის მადლენას მალე ჯვარის დაწერას. მოიგონა ის პირველი კოცნაც, რომლითაც ის მადლენამ გააბედნიერა, ის ციური კოცნა...

რა სიზმარი იყო ეს სიზმარი? ამის მიზეზი გახლდათ მორფი, წიგნი ელექტრონულს ძალაზე და ის ბაასი ტეინზე, რომელიც გენრის ვაგონში მოესმა. აი, ამ დაფანტული, სველი მასალისაგან, როგორც ფერად-ფერადის შუშებისაგან კოლეიდოსკოპში, ასეთი მშვენიერი და ლამაზი ფიგურები შეზავდა.

ამგვარს სიზმრებს ერთხელ, ბევრი-ბევრი ორჯელ გამოსცდის ხოლმე ადამიანი მთელს თავისს სიცოცხლეში! გენრის უნდოდა სიზმარი სრულიად მოეგონებია, მაგრამ მეხსიერებამ უღალატა. მადლენას კოცნას სხვა დანარჩენი მოგონებანი იქიდან სულ გამოედევნა. რა ბედნიერებამა და ტანჯვამ მოიყარეს თავი ამ ერთს კოცნაში! დიაღ, ისინი ჯვარის დაწერას უნდა დაეჩქარონ. იმათ შეუძლიანთ ამ კვრაშივე დაქორწილდნენ...

კარები ვიღაცამ დააკაკუნა. შემოვიდა მოსამსახურე და გენრის წერილი მისცა. გენრიმ მადლენას ხელი იცნო. წერილი წინადღის რიცხვით იყო გამოგზავნილი. გენრიმ გახსნა და ეს ამოიკითხა:

„წახვედი თუ არა ჩემგან, მაშინვე,

როდესაც მე შენ გაკოცე, მე მეშინოდა, რომ ჩემს სახეზე შენ ჩემი გულის გადაწყვეტილება არ ამოგეკითხა. მე კი ლოდინით დავიქანცე,—აღარ შემიძლიან ამდენ ტანჯვას გავუძლო. მაგრამ შენ ვერაფერი შუმამჩნიე. ჩემი კოცნა შენ ისე მიიღე, თითქო მით მე ცოლ-ქმრობის პირობას გაძლევდი,—ის კი მხოლოდ იმას ნიშნავდა, რომ მე შენი ცოლობა არ შემეძლო, საბრალო, მაგრამ თავდავიწყებამდინ საყვარელო ადამიანო! ნუ თუ ასე ძნელი იყო ამის შეტყობა?!

ნუ თუ გეგონა, მე შენი ცოლი გავხდებოდი? ნუ თუ ფიქრობდი, მე შენ ნებას მოგცემდი გუბედან ტალახით გასვრილი ვარდი ამოგეღო, როდესაც უიმისოდაც ბაღები სავსეა ტკბილ-სუნნელოვან ზამბახებითა?—არა, მე შენ მეტად მიყვარხარ. დიაღ, მიყვარხარ! და ეს სიყვარული მეუბნება შენზე მეტი ვიზრუნვო, ვიდრე ვზრუნავდი მაშინ, როდესაც, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, ცოლობას გპირდებოდი. მერწმუნე, ძვირფასო, რომ ამით მსხვერპლად არ ვიწირები შენთვის: სულ ერთი არის, ბედნიერი მე მაინც აღარ ვიქნებოდი. თუმცა მე შენ მიყვარხარ, მიყვარხარ აღგზნებით ბ გულ-წრფელად, მაგრამ ჩემი ბედნიერება ჩემს კდემულებას, სირცხვილს მარად თვალ-წინ დამიყენებდა. და ეს სირცხვილი მარად ჩემსა და შენს შორის იდგომებოდა, როგორც ამ უკანასკნელ დღეებში. მე შენ მიყვარხარ, მაგრამ ისე კი არა, როგორც ის მიყვარდა,—ეს სულ სხვა, უმჯობესი და უმაღლესი სიყვარულია. ამისათვის ეხლა გამოგიტყდები იმაში, რასაც უწინ გიმალავდი. ღამე, როდესაც შენს სახეს წყვდიადი გადაეფარება, მე უფრო აღარ შემრცხვება. მე ვიცი, რომ დილა კვლავ აღარ შემოსავს თვისის ოქროსფერი სხივებით ჩემს აწითლებულ ლოყებსა. ცივი ხელები გადეფარება სირცხვილით იმათ ლალსა, როდესაც შენ უკანასკნელად მიხილავ. ამაღამ მე მივალ იმასთან, ვინც თავისი სულ-გრძელობით გაცილებით შენზე მაღლა სდგას. მისი სახელი—სიკვდილია. ნუ გამამტყუნებ, გენრი, და ნუ იტყვი, რომ ჯერ კიდევ ჩემთვის ბედს არ დაურეკია. არა, ბედი მხოლოდ მაშინ დაგვირეკს ხოლმე, როდესაც სიკვდილი კარზე მოგვადგება, რომ სხეული შეგვიმუსროს!...

იგი მეძახის, ის დიდი ხანია მეძახოდა!

მ ა დ ლ ე ნ ა.

დ. გიორგობიანი.

ნუგეში მგოსნისა

ვნუგეშობ სწორედ სანუგეშოცა:
გულზე მედება ცეცხლის გესია,
ქვეყნის სიბოროტე თვიქრით გამსჭვალულს,
ავი მე არა ჩამიდენია;
ვინ რას გაიგებს, ან ვინ რა იცის
რამდენჯელ ცხარე ცრემლი მდენია?!
ვნუგეშობ ამით: მიწას მიწურად
და ცას ციურად მივეთავაზი,
არ მიბობღნია დაბლა ქვე-ძმრომად,
მაღლა დავეფრინავ როგორც გავაზი;
ჩემს ტურფეა მხარეს მეერდს დავაკერე
სიტყვა საგმირო,—სიტყვა ლამაზი,
და ამ ჩემს მღერას ყურს რომ უგდებენ
ქართველ-კასელი, იმერ-ოფსაზი.
მამა-პაპათა ავლადმებიდან
გამოვიწვიე გმირთა ჩრდილი
და დავუკოცნე იმათ მკლავები,
ასეა შუბის წვრილ და ხმლით ჩრჩნილი;
მე გავაცოცხლე სელის შესებით
ლეში მდუმარე, ლეში გახრწნილი.
თავზე დავადგი დიფნის გვირგვინი,
წელი შეეუმკე ისევაც ხმლითა,
ნოყიერად ექმენ ნაგვალი მიწა,
როგორაც წვიმამ, მოსულმა ცითა.

არ დაუძველდა ჩემს გულს თვის სატრფო,
როგორც სხვისას, ვნუგეშობ მითა.
მე არ ვუთხარე მოძმესა ორმო,
მთხრელი შევმურე ეუბრით და ლაფვით,
არ ვის ვაუტანე მე ლუკმა-ბური,
სხვასაც გავუყავ ნაშოვნი ჯაფვით
და სიყვარული ჩემს თანა მოძმეთ
ვაუწყე მედგრად ნაღარით, დაფვით.
უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავასაუბრე ლოდები ველისა
და როგორც მეფე გავათამამე
მწიერი ბალახი, ის ქუჩი მთისა.
მადლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა!

ვაჟა-ფშაველა

ᲐᲘᲕᲔᲜᲰᲝ

თავი მეთერთმეტე*)

ჰეროლდი წინ-და-უკან აღხრ დარბის, საყვირების ხმა ისმის. მხოლოდ აღმოსავლეთსა და დასავლეთზედ ლაპარაკობენ, შუბები საზარლად წამოიშვირეს. წვეტიანი დეზები ცეხნეს გვერდებში ერეზობიან,—აი მეომარნი, რომელთაც ომიც იციან და ცხენზედ ჯდომაც; შუბი ფარზედ ტყდება, რაინდი მის დარტყმას ჰგრძნობს; ხმლებმა გაიკრიალეს; ჩაფხუტი შუაზედ გაიპო და სის ხლი ნაკადულივით გადმოსკდა.

ჩაუსერი.

მშვენიერი ბრწყინვალე დილა გათენდა, ცაზედ არც ერთი ღრუბელი არა სჩანდა და თუმცა მზე ჯერ კიდევ მაღლა არ იყო ამოსული, მაგრამ ასპარეზობის მაყურებელნი მაინც გამოჩნდნენ ველზედ და ცდილობდნენ მოხერხებული ადგილების დაჭერას, რომ რაინდების ბრძოლა კარგად დაენახათ.

ათ საათზედ მთელი ველი მოფენილი იყო მაყურებლებითა—ქალითა და კაცით, ზოგი ცხენით მოსულიყო, ზოგი ფეხითა. ამ დროს საყვირის ხმა გაისმა და ამით ეუწყა ხალხს, რომ პრინცი იოანე მოვიდაო. რაინდები ორ დასად გაიყვნენ, ერთი დასის წინამძღოლი „სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდი იყო, მეორესი—ბრიან დე ბოა გილბერი.

იოანეს მოსვლისათანავე ცედრიკ საქსონელიც მოვიდა თავისი როენათი, მაგრამ ატელსტენი კი თან აღარ ჰყვანდა, რადგან იმასაც ჩაჩქანი ჩაეცვა და გილბერის დასს მიმხრობოდა.

*) <მოამბე> №№ 7, 8.

ცედრიკს არაფრად იამა ასეთი საქციელი თავისი მეგობრისა და საყვედური უთხრა.

ატელსტენმა იმდენი გონიერება გამოიჩინა, რომ არ გამოამჟღავნა ის მიზეზი, რა მიზეზითაც ბრიან დე ბოა გილბერს მიემხრო. თუმცა იგი თავისი მძიმე ხასიათის გამო ბევრს არა ცდილობდა მოსწონებოდა როენას, მაგრამ მის მშვენიერებას კი დიდს პატივსა სცემდა და მისი ცოლად შერთვა გათავებულ საქმედ მიაჩნდა, თუ რომ ცედრიკი თანახმა იქნებოდა. ამისათვის უზრუნველი ატელსტენი ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა გამარჯვებულ რაინდზედ, როდესაც იმან ის პატივის-ცემა აღმოუჩინა, რა პატივის-ცემაც თვით ატელსტენს უნდა აღმოეჩინა. ამისათვის მან გადასწყვიტა, არამც თუ მიჰშველებოდა „სამკვიდრებელს მოკლებულს" რაინდს, არამედ მის წინააღმდეგ დამდგარიყო და თავისი ძალა და ლონე ეჩვენებინა მისთვის.

დაინახა თუ არა იმ დღის დედოფალი როენა მინდორზედ, პრინცი იოანე ზრდილობიანად მიეგება წინ, ქუდი მოუხადა და ცხენიდან გადმოსვლა უშველა. იოანეს მხლებლებმაც აგრედვე მოიხადეს ქუდები, ხოლო ერთმა დიდებულმა გვარის კაცმა როენას ცხენი ჩამოართვა.

— აი როგორი ერთგულნი ვართ სიყვარულისა და მშვენიერების დედოფლისა,—უთხრა იოანემ:—თვითონ ჩვენ მიგიყვანთ ტახტამდინ, რომელზედაც დღეს უნდა დაბრძანდეთ. ქალებო!—განაგრძო მან:—გაჰყევით თქვენს დედოფალს, თუ რომ გინდათ თქვენც ისევე პატივის-ცემით მოგექცეთ, როგორც ამას.

ესა სთქვა და პრინცმა იოანემ ქალბატონი როენა მიიყვანა საპატიო ადგილთან, რომელიც თვით პრინცის ადგილის პირდაპირ იყო. ყველაზედ მშვენიერნი და დიდებულნი ქალნი გარშემო ეხვევოდნენ როენას, რომ რაც შეიძლებოდა ახლო ყოფილიყვნენ თავისს დროებით მბრძანებელთან. როგორც კი დაჯდა როენა თავისს ადგილზედ, მაშინვე მუსიკა დაუკრეს და ხალხიც დიდის აღტაცებით მიესალმა მას.

ორ დასად გაყოფილი შეიარაღებული რაინდები ბრძოლის ველზედ იდგნენ და თათბირობდნენ იმაზედ, თუ როგორ

დაწყობილიყვნენ საბრძოლველად, ან როგორ მიჰშველებოდნენ ერთმანეთს გაჭირვების დროს. ამას შემდეგ ჰეროლდებმა ანიშნეს გაჩუმებულიყვნენ, რომ ასპარეზობის წესები წაეკითხათ; ასეთი გაფრთხილება საჭირო იყო იმისთვის, რომ ამ დღეს ბრძოლა ხმლებითა და შუბებით უნდა მომხდარიყო. ამას შემდეგ ჰეროლდები ასპარეზიდან გავიდნენ და რაინდები ერთიერთმანეთის პირდაპირ დადგნენ.

საყვირი დაუკრეს და პირველი რიგობა რაინდებისა ერთმანეთს ეკვეთნენ. მათი იარაღის ჩახა-ჩუხისაგან ყურთა-სმენა აღარ იყო. დანარჩენნი კი უკან იდგნენ და მზად იყვნენ მიჰშველებოდნენ თავიანთ ამხანაგებს, როცა საჭიროება მოითხოვდა. პირველ ხანად მტვრის გამო არაფერი არ ირჩეოდა, მაგრამ როდესაც მტვერი დაჯდა, მაყურებლებმა დაინახეს, რომ რამდენიმე რაინდი ცხენიდან გადმოვარდნილიყო და მიწაზედ ეგდო, ხოლო ზოგნი კი ისე გაშმაგებით ებრძოდნენ ერთმანეთს, თითქო მათი ბედი და უბედობა ამაზედ არის დამყარებულიო. უფრო დიდი ალიაქოთი მაშინ ასტყდა, როდესაც რაინდების მეორე რიგობანი თავ-თავიანთ ამხანაგებს მიეშველნენ.

ბრძოლამ დიდ ხანს გასტანა, ხან ერთი მხარე სძალავდა, ხან მეორე. არა ერთი და ორი დამარცხებული რაინდი ჩავარდა ცხენების ფეხ-ქვეშ და მათი კვნესა ხალხის ყიჟინის გამო აღარ ისმოდა. ყიჟინას სცემდნენ არამც თუ კაცები, არამედ ქალებიც. საზოგადოდ ქალები არამც თუ ტაშის-კვრით ამხნევებდნენ მებრძოლთ, არამედ ასეთი სიტყვებითაც: „ვიშ რა კარგად შემოჰკრა ხმალი! უჰ რა მშვენივრად შეათამაშა ცხენი“! მაგრამ ფერიც კი ხშირად ეცვლებოდათ ხოლმე, როდესაც თავიანთ ქმრებს, ან ძმებს განსაცდელში დაინახავდნენ. ამ ყიჟინისა და ალიაქოთის დროს ჰეროლდიც ყვიროდა ხოლმე: „იბრძოლეთ, მამაცნო რაინდნო! კაცი მომაკვდავია, დიდება კი საუკუნო! იბრძოლეთ—დამარცხებას სიკვდილი სჯობიან! მშვენიერ ქალთა თვალები მხოლოდ თქვენ შემოგცქერიან“!

ბრძოლის დროს ბედი ხან ერთ მხარეს ულიმდებოდა, ხან მეორეს. მაყურებელნი უფრო ორ რაინდს აქცევდნენ ყურადღებას, რადგანაც იგინი წინამძღოლნი იყვნენ ერთი-ერთმანეთის მოწინააღმდეგე რაინდებისა. ორივენი ახირებულს ვაჟკაცობას იჩენდნენ. ესენი იყვნენ ბრიან დე ბოა გილბერი და „სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდი, რომელთა ბადალი არავინ მოიპოვებოდა მთლად მებრძოლ რაინდთა შორის. ამ ორივე რაინდს ერთი-ერთმანეთის მტრობა ჰქონდათ და სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ, რადგანაც ერთი მათგანის გამარჯვება მეორე მხარის დამარცხებას მოასწავებდა. მაგრამ პირველ შეტაკებაზედ რაინდები ისე აირივნენ ერთმანეთში, რომ ეს ორი გამოჩენილი რაინდი დიდ ხანს ვერ შეხვდნენ ერთმანეთს.

მაგრამ როდესაც მრავალი რაინდნი დამარცხდნენ და ან სხვა რამ მიზეზის გამო ბრძოლის გაგრძელება აღარ შეეძლოთ, მაშინ კი ბოა გილბერი და „სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდი შეხვდნენ ერთმანეთს და საშინელის თავ-განწირულებით შეიბრძოლნენ. ყოველს მათს ხმლის მოქნევას ხალხი აღტაცებაში მოჰყავდა და საშინელს ყიჟინასა და ალიაქოთს იწვევდა.

„სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდის მომხრეებს საქმე უპირდათ. ფრონ დე ბეფმა და ატელსტენმა თითქმის ყველა იგინი დაამარცხეს. რა კი მოწინააღმდეგენი აღარავინა ჰყვანდათ, ეს ორივე რაინდი ბოა გილბერს მიეშველნენ და უცნობი რაინდისაკენ გაექანნენ. „სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდი უსათუოდ დიდს განსაცდელში ჩავარდებოდა, თუ რომ იმის ბედში ხალხს არ მიეღო მონაწილეობა.

— გაფრთხილდი, გაფრთხილდი, „სამკვიდრებელს მოკლებულო“ რაინდო!—მოისმა აქეთ-იქიდან. დაინახა თუ არა, რომ განსაცდელი მომელისო, უცნობმა რაინდმა საშინლად შემოჰკრა ხმალი ბოა გილბერს და ისე სწრაფად გაატრიალა უკან ცხენი, რომ მაზედ მისეულმა ატელსტენმა და ფრონმა კინაღამ ერთმანეთს არ დააჯახეს ცხენები. მაგრამ როგორც იყო თავი შეიმა-

გრეს და ორივენი ერთად ხელახლად მიესივნენ უცნობს რაინდს იმ განზრახვით, რომ ცხენიდან გადმოეგდოთ.

ვერაფერი ვეღარ დაიხსნიდა მას, თუ არ ის კარგი ცხენი, რომელიც მან წინა დღით მოიგო.

უცნობი რაინდი ეხლა უფრო კარგ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რადგანაც ბოა გილბერის ცხენი დაჭრილი იყო, ხოლო ატელსტენისა და ფრონის ცხენები კი მოქანცულნი იყვნენ მხედარნა სიმძიმისა გამო. რადგანაც უცნობი რაინდი კარგი მხედარი იყო და კარგი ცხენიცა ჰყავდა, ამისათვის ხან ერთს მიეტეოდა ხოლმე ქორივით, ხან მეორეს, თვითონ საშინლად შემოჰკრავდა ხოლმე ხმალს და მათგან მოქნეულ ხმალს კი იცდენდა.

თუმცა ასე მამაცად იბრძოდა უცნობი რაინდი, მაგრამ უტყობოდა, რომ ღონე ელეოდა. დიდ-კაცობა სთხოვდა იოანეს კვერთხი გადაეგდო და ბრძოლა შეეჩერებინა, რომ გამოჩენილი რაინდი არ დამარცხებულიყო და არ შერცხვენილიყო, მით უმეტეს, რომ იგი ერთი იყო და მოწინააღმდეგენი სამნი.

— არა, გეფიცები ზეციურს ნათელს!—მიუგო პრინცმა იოანემ.—ამ მეტიჩარამ, რომელიც თავის ვინაობას ჰმალავს და ჩვენს მასპინძლობას პატივი არა სცა, ერთი საჩუქარი უკვე მიიღო; დაე ეხლა სხვამ მიიღოს საჩუქარი.—ვიდრე იგი ასე ლაპარაკობდა მოულოდნელმა შემთხვევამ სულ სხვა მიმართულება მისცა საქმეს.

„სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდის მომხრეთა შორის იყო ერთი რაინდი, რომელიც შავს ცხენზედ იჯდა და შავად იყო შეიარაღებული, იმის შუბზედ არავითარი დეკეზი არ იყო. ეს რაინდი თავისთვის იდგა და ბრძოლაში თითქმის არავითარს მონაწილეობას არ იღებდა, რისა გამოც ხალხმა მას „შავი ზარმაცი“ დაარქვა.

მაგრამ როდესაც დაინახა, რომ „სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდი განსაცდელში იმყოფებოდა, მან დასძლია თავისი სიზარმაცე და გრიგალივით გაექანა მისკენ მისაშველებლად. იგი სწორედ დროზედ მიეშველა. ფრონ დე ბეფმა უკვე მოულერა

ხმალი უცნობს რაინდს და ჯერ კი არ დაერტყა. შავმა რაინდმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაჰკრა მას თავში ხმალი, რომელიც ცხენსაც მოხვდა და მხედარიცა და ცხენიც ორივე ძირს დაეცნენ. მერე „შავმა ზარმაცმა“ ატელსტენისკენ გაატრიალა ცხენი, და რადგანაც ხმალი გაუტყდა, თვითონ იმას გამოსტაცა ხელიდან ნაჯახი და პირდაპირ კვინიხში დასთხლიშა, რის გამოც ისიც უგრძნობლად დაეცა დედა-მიწაზედ. ამას შემდეგ შავი რაინდი არხეინად გაბრუნდა უკან და ბოა გილბერის დამარცხება „სამკვიდრებელს მოკლებულ“ რაინდს მიანდო. ეხლა მისი დამარცხება ისე ძნელი აღარ იყო, როგორც წინად, მით უმეტეს, რომ ბოა გილბერის ცხენი დაჭრილი იყო და სისხლიდან იცლებოდა. ბოლოს ბოა გილბერი გადმოვარდა ცხენიდან და ადგილზე ეთრეოდა, რადგანაც ფეხი უზანგოში დარჩენოდა. „სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდი გადმოხტა ცხენიდან, ბოა გილბერს ხმალი მოუღერა და დამორჩილებას სთხოვდა, მაგრამ ამ დროს პრინცმა იოანემ კვერთხი გადააგდო, ბრძოლა შეაჩერა და ტაძრის რაინდი შერცხვენას გადაარჩინა.

ასე გათავდა ასპარეზობა აშბი-დე-ლა-ზუსში. ამ ასპარეზობაში ოთხი რაინდი მოკვდა, ერთი ჩაჩქანის სიმძიმის გამო დაირჩო და ოც და ათზე მეტი დაიჭრა, რომელთაგან ოთხი გარდაიცვალა ჭრილობისაგან. პრინცმა იოანემ, რომლის მოვალეობაც იყო დაესახელებინა ყველაზედ გამარჯვებული რაინდი, გამოაცხადა, რომ ამ დღის დიდება იმან მოიხვეჭა, ვისაც ხალხმა „შავი ზარმაცი“ დაარქვაო. პრინცს აგრძნობინეს, რომ მისი გარდაწყვეტილება უსამართლო იყო და ბრძოლა „სამკვიდრებელს მოკლებულმა“ რაინდმა მოიგოვო, რომელმაც ერთს დღეში ექვსი რაინდი დაამარცხა და ბოლოს მოწინააღმდეგე რაინდთა წინამძღოლიც ცხენიდან გადმოაგდოვო. მაგრამ პრინცს მაინცს არ უნდოდა თავისი გადაწყვეტილება შეეცვალა და ამბობდა, რომ უცნობი რაინდი უსათუოდ წააგებდა ბრძოლას, თუ რომ „შავი რაინდი“ არ მიშველებოდაო.

თუმცა ბევრი ეძებეს „შავი რაინდი“, მაგრამ ველარ იპოვნეს, რამაც მაყურებელნი საშინლად გააკვირვა. ბრძოლის გათავების უმალვე მან დაუტოვა ასპარეზი და ზოგიერთებმა კიდეც დაინახეს, როდესაც იგი ტყისაკენ ჩვეულებრივის წყნარის ნაბიჯით მიდიოდა. რაკი „შავი ზარმაცი“ ველარ იპოვეს, მაშინ იოანემ იმ დღის გმირად „სამკვიდრებელს მოკლებული“ რაინდი გამოაცხადა.

სისხლით შეღებილ და დამტვრეული იარაღით მოფენილს მინდორზედ გადაატარეს გამარჯვებული რაინდი ასპარეზობის მარშლებმა და იოანეს წინ დააყენეს.

—„სამკვიდრებელს მოკლებულო“ რაინდო!—უთხრა პრინცმა იოანემ:—რაკი გინდათ, რომ ჩვენ მხოლოდ ამ სახელით გიცნობდეთ, ხელმეორედ გიცხადებთ ჩვენს პატივის-ცემას და გაუწყებთ, რომ თქვენ ღირსი ხართ მიიღოთ სიყვარულისა და მშვენიერების მეფას ხელიდან საპატიო გვირგვინი, რომელიც ღირსეულად დაიმსახურეთ თქვენის მამაცობით და გმირობით. რაინდმა მდაბლად თავი დაუკრა, მაგრამ არც ერთი სიტყვით კი პასუხი არ მისცა...

როდესაც გამარჯვებულს პატივის-საცემლად მუსიკა უკრავდა და ქალები აბრეშუმის ხელსახოცებს და რიდეებს უქნევდნენ, უცნობი რაინდი მარშლებმა ქალბატონი როენას ტახტის წინ მიიყვანეს. როენა წამოდგა ზეზედ და ის-იყო რაინდისთვის გვირგვინი უნდა დაედგა თავზედ, რომ მარშლებმა ერთხმივ გამოაცხადეს:

— არა, ეს უწესოება იქნება: პირი უნდა აიხადოს. — რაინდმა ჩუმის ხმით რაღაც წარმოსთქვა, ალბად ის თუ, რომ პირს ნუ ამხდითო, მაგრამ მარშლებმა ცნობის მოყვარეობისა გამო ყურადღება არ მიაქციეს ამას და თავიდან ჩაფხუტი მოხადეს. იქ დამსწრეთ დაინახეს მზე-მოკიდებული მშვენიერი პირი-სახე ახალგაზდა რაინდისა, სახეზედ მომაკვდავის ფერი ედო და რამდენიმე ადგილას სისხლი ჰქონდა შემხმარი.

დაინახა თუ არა იგი როენამ, ოდნავ შეჰკივლა, მაგრამ მაშინვე მოიკრიბა ყოველი ძალა, რაინდს თავზედ გვირგვინი

დაადგა და წარმოსთქვა:—გადგამ ამ გვირგვინს, ბატონო რაინდო, რომელიც შენის გმირობით დაიმსახურე. — როენამ რამდენიმე წამის სიჩუმის შემდეგ განაგრძო:—რაინდის გვირგვინს არასოდეს ამაზედ ღირსეული თავი არ დაუმშვენებია!

რაინდმა თავი დაუკრა, ხელზედ აკოცა მშვენიერების მეფას, რომელმაც თავზედ გმირობის გვირგვინი დაადგა და შემდეგ მის ფერხთა წინაშე უგრძნობლად დაეცა.

ყველანი აირივ-დაირივნენ. ცედრიკი საშინლად გაჰკვირდა თავისი გაგდებული შვილის აქ მოსვლით და გაეშურა, რომ ქალბატონ როენასათვის მოეშორებინა. მაგრამ მარშლებმა გაიგეს აივენგოს გულის წასვლის მიზეზი, საჩქაროდ მოაშორეს როენას და ჩაჩქანი გახადეს. რაინდი შუბით იყო გვერდში დაჭრილი.

თავი მეთოთრმეტე

„გმირნო, აქეთკენ!“ დაიძახა ხმა-მაღლა ატრილმა. „დადექით აქ, რომ ხალხმა კარგად დაგინახოთ თქვენ, რომელნიც ღონითა და ხერხით ყველას სჯობიხართ და დიდების მოპოება გწყურიანთ! ეს ძროხა, რომელიც ოც ხარად ღირს, იმას ერგება, ვისი ისარიც უფრო შორს წავა“.

ილიადა.

როგორც კი წარმოითქვა აივენგოს სახელი, მაშინვე მთელმა ხალხმა შეიტყო. ბოლოს თვით პრინცმაც გაიგო და ძალიან ეწყინა მისი დაბრუნება ინგლისში. წინადვე მიგრძნო გულმა,—სთქვა პრინცმა:—რომ ჩემს ახლოს ჩემი ძმის საყვარელი კაცი იმყოფებოდა, თუმცა მას სახე სრულიად დაფარებული ჰქონდა, და არ ვიცოდი ვინ იყო.

— ფრონ დე ბეფი იძულებული იქნება აივენგოს თავისი მამულები დაუბრუნოს,—სთქვა დე ბრასიმ, რომელიც პრინცის ამალაში იმყოფებოდა.

— ფრონ დე ბეფი, უთხრა პრინცმა:—ისეთი კაცია, რომელიც აივენგოს ციხე-დარბაზისთანას სამს კიდევ შეიძენს და არც

ერთს მათგანს კი არავის დაუბრუნებს. იმედი მაქვს, ბატონებო, არც ერთი თქვენგანი ეჭვს არ შემოიტანს, რომ მე ნება მაქვს დავასაჩუქრო ისინი, ვინც ჩემი მომხრეები არიან და მემსახურებიან და არა ისინი, რომელნიც უცხო ქვეყნებში დაეხეტებიან და რაც უნდა გაჭირება მქონდეს, არაფერში დამეხმარებიან და არც ღირსეულს პატივსა-მცემენ.

ვალდემარი, რომელიც დაჭრილი ივენგოს სანახავად წავიდა, ეხლა უკან დაბრუნდა და სთქვა:—ეს გმირი რაინდი თქვენს დიდებულებას არავითარს უსიამოვნებას არ მიაყენებს და ფრონდე ბეფიც გულ-დამშვიდებული იუფლებს მამულზედ: იგი მძიმედ არის დაჭრილი და არა მგონია სიკვდილს გადაურჩეს.

— რაც უნდა მოუვიდეს,—უთხრა პრინცმა იოანემ:—დღეს გამარჯვებული მაინც ის არის, და თუ გინდ რომ ათჯერ უფრო დიდი მტერი იყოს ჩვენი, და ჩვენი ძმისა კი ერთგული მეგობარი, ჩვენ მაინც ვიზრუნებთ იმის ჭრილობაზედ და ჩვენს ექიმს ჩავაბარებთ.

ამ დროს პრინცს მოახსენეს, რომ დაჭრილი რაინდი მისმა მეგობრებმა წაიყვანესო.

— ვინ არის ეს ქალბატონი როენა?—იკითხა პრინცმა.

— საქსონელი მემკვიდრეა და დიდი მამულებიცა აქვს,—მიუგო მამა აიმერმა.

— ვეცდებით მწუხარებაში ნუგეში-ვცეთ და შემდეგ ნორმანზედ გავათხოვოთ, რომ იმისი ჩამომავლობა გავაკეთილშობილოთ. იგი ობოლია და მისი გათხოვება ჩვენზედ არის დამოკიდებული. რას იტყვი, დე-ბრასი? მამულების შეძენა კიდევ ხომ არ გინდა?

— რაკი მამულები მომწონს, მოწყალეო ხელმწიფევ,—მიუგო დე ბრასიმ:—არ შეიძლება ისეთი საპატარძლოც არ მომწონოს, როგორიც ქალბატონი როენა არის. მე საუკუნოდ დავალებული ვიქნები თქვენის უმაღლესობისაგან.

— კარგი, კარგი, არ დაგვავიწყდება,—უთხრა პრინცმა იოანემ:—ჩვენ ამაღამვე დავიპატიჟებთ მეჯლისში როენას და იმის თანამოგზაურებს—ცედრიკს და ატელსტენს. დე-ბილოშ!—

უთხრა მან კარის-კაცს:—ვინძლო ისე ზრდილობიანად დაჰპატიჟო ისინი, რომ უარი არა სთქვან.

პრინცს წასვლა უნდა ენიშნებინა, რომ ამ დროს პატარა წერილი მოართვეს.

— ვისგან არის? ჰკითხა პრინცმა იოანემ, როდესაც მომტანს შეხედა.

— უცხო ქვეყნიდან არის გამოგზავნილი, მაგრამ საიდან—ეს კი აღარ ვიცი, მიუგო მოსამსახურემ. იგი მოიტანა ერთმა ფრანგმა, რომელსაც არც დღე და არც ღამე არ დაუსვენია თურმე, რომ იგი დროით მოეტანა თქვენი უმაღლესობისთვის.

პრინცმა ჯერ ყურადღებით გასინჯა ბეჭედი და ზედ წარწერა წერილისა, მერე გახსნა და შემდეგი აღმოიკითხა.

„მოერიდენით! ეშმაკმა ჯაჭვი აიწყვიტა!“

პრინცს საშინელმა ფერმა გადაჰკრა, მაგრამ როგორც იყო გული დაიმშვიდა და წერილი თავისს მხლებლებსაც წაუკითხა.

— იქნება ყალბი წერილია და ჩვენ კი ტყუილად ვშფოთდებით,—სთქვა დე ბრასიმ.

— ბეჭედი და ნაწერი საფრანგეთის მეფისაა,—მიუგო პრინცმა იოანემ.

— თუ აგრეა, უთხრა ფიტცურზმა,—ჩვენ ჩვენი მომხრეები ოორკში ან სხვაგან სადმე უნდა მოვაგროვოთ. რამდენიმე დღის შემდეგ ვაი თუ დაგვიანებული იყოს. თქვენი უმაღლესობა რაც შეიძლება მალე უნდა მორჩეს დღევანდელს კომედიას.

— მაგრამ მეშვილდისრენი და ხალხი,—მიუგო დე ბრასიმ,—არ შეიძლება უკმაყოფილოდ გავუშვათ იმით, რომ დღევანდელს თამაშობაში მონაწილეობა არ მივაღებინოთ.

— ჯერ დღე კიდევ დიდია,—მიუგო ვალდემარმა:—მეშვილდისრეთ შეიძლება ნება მივცეთ რამდენჯელმე ესროლონ ნიშანში და შემდეგ საჩუქრები დავურიგოთ. ეს სრულიად დაკმაყოფილებს საქსონელებს და პრინცის დაპირებაც შესრულდება.

— გმადლობ, ვალდემარ,—უთხრა პრინცმა:—შენ მე მამაგონე, რომ ერთი სოფლელი კაცის ჯავრიც უნდა ამოვიყა-

როთ, რომელმაც ჩვენ შეურაცხყოფა მოგვაყენა. არა, მეჯლისის გადადება არ შეიძლება, უკანასკნელი საათიც რომ იყოს ჩემის მეფობისა, მე ამ საათსაც ჯავრის ამოყრასა და განცხრომას მოვანდომებ: ხვალინდელი დღისათვის ხვალ ვიზრუნოთ.

საყვირები დაუკრეს და შინ წასასვლელად გამზადებული ხალხი ისევ უკან დააბრუნეს. გამოაცხადეს, რომ პრინცს იოანეს საჭირო საქმეები გამოუჩნდა და ხვალ ასპარეზობას ველარ გამართავსო; მაგრამ რაღგანაც არ უნდა, რომ ამდენი მარჯვე მეშვილდისრენი გულ-ნაკლულად დარჩნენ, ამისათვის მათი შეჯიბრებაც დღესვე უნდ მოხდესო.

გამოაცხადეს, რომ საუკეთესო მეშვილდისრე საჩუქრად შეეერცხლილს საყვირს და ნადირობის ღმერთის გუბერტის ხატს მიიღებსო.

პირველად ოც და ათი მეშვილდისრე შეეჯიბრნენ ერთნმანეთს, მაგრამ ბოლოს მხოლოდ რვანი დარჩნენ, დანარჩენებმა უარი განაცხადეს, რაღგანაც გაიგეს, ვისთანაც მოუხდებოდათ შეჯიბრება. პრინცი იოანე მივიდა მათთან და ვიღასაც დაუწყო ძებნა; მან მალე იპოვა ის მეშვილდისრე, რომელმაც გუშინ სიტყვა შეუბრუნა.

— მეგობარო!—დაუყვირა მას იოანემ:—შენი ამაყი სიტყვებიდან სჩანდა, რომ შენ გრძელი შვილდისარი არ გიყვარს, ეხლა კიდევ ვხედავ, რომ ვერ ჰბედავ შეეჯიბრო იმ მეშვილდისრეებს, რომელნიც აქა დგანან.

— გარდა იმისა, რომ სირცხვილისა მეშინიან,—მიუგო მეშვილდისრემ:—მე სხვა მიზეზიცა მაქვს არ შევებრძოლო იმათ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

— რა მიზეზია ეგ მიზეზი?—ჰკითხა პრინცმა იოანემ.

— აი რა მიზეზია,—მიუგო მეშვილდისრემ:—მე არ ვიცი ეს მეშვილდისრენი იმისთანავე ნიშანს ესვრიან, როგორსაც მე, თუ არა; აგრედვე არ ვიცი, იამება თქვენს უმაღლესობას, თუ არა, თუ ვინიკობაა მესამე საჩუქარსაც ისეთი კაცი მოიგებს, რომელზედაც თქვენ გაჯავრებული ბრძანდებით.

— რა გქვიან შენა?—ჰკითხა პრინცმა იოანემ და სიბრაზისაგან გაწითლდა.

— ლოკსლეი,—მიუგო მეშვილდისრემ.

— მაშ, ლოკსლეი,—უთხრა პრინცმა იოანემ:—სროლაში შენც უნდა მიიღო მონაწილეობა, თუ ნიშანში ვერ მოარტყამ, ჩემი კაცები კურტკას გაგხდიან და წკეპლებით გცემენ, ხოლო თუ მოარტყი—საყვირს ფულით აგივსებ.

— რა იქნება მაგ პირობაზედ რომ არ დავთანხმდე?—ჰკითხა მეშვილდისრემ:—თქვენს უმაღლესობას ნება აქვს ამდენი რაინდების დახმარებით კარგადაც მცემოთ, მაგრამ ძალათი კი შვილდ-ისარს ვერ გამასროლინებთ.

— თუ რომ ჩემს პირობაზე უარს ამბობ,—მიუგო პრინცმა:—ასპარეზობის უფროსი შვილდსა და ისრებს დაგიმტვრევს და აქედან გაგაგდებს, როგორც სულ-მოკლე მშიშარას.

— ამაყო პრინცო,—უთხრა ლოკსლეიმ:—თქვენ მე გაჭირვებულს მდგომარეობაში მაგდებთ, როდესაც ძალას მატანთ კარგს მსროლელებს შეეჯიბრო, მეშინიან, ვაი თუ შევრცხვე. მაგრამ რა გაეწყობა, თქვენი სურვილი უნდა შევასრულო.

— ყური უგდეთ ამას,—უბრძანა პრინცმა იოანემ:—იგი შიშობს და არ მინდა ხელიდან წაგვივიდეს. თქვენ კი, ჩემო მეგობრებო, დაიწყეთ სროლა; აიმ კარავში შემწვარი ირემი და ერთი ბოჩკა ღვინო მზად არის თქვენთვის.

ნიშანი დასვეს. მეშვილდისრეებმა თავ-თავიანთ ადგილი დაიჭირეს და სროლა დაიწყეს. ყველა მსროლელს ზედი-ზედ სამი ისარი უნდა გაესროლა. ოც და ოთხ გასროლილს ისარში მხოლოდ ათი მოხვდა ნიშანს, დანარჩენი ისრები ისე ახლო დაერჭვნენ ნიშანთან, რომ სუყველა მეშვილდ-ისრენი კარგ მსროლელებად იქმნენ აღსარებულნი; მაგრამ ამათში ყველაზედ მარჯვე მსროლელი მალვოაზენის მეტყეევე გუბერტი გამოდგა, ამისთვის გამარჯვება იმას დარჩა.

— აბა, ლოკსლეი,—მიუბრუნდა მას პრინცი იოანე დამცინავის ღიმილით,—შეეჯიბრები გუბერტს სროლაში, თუ შენ შვილდ-ისარსა და მის ბუდეს თამაშობის უფროსს გადასცემ?

— თუ ვგრეა,—მიუგო ლოკსლეიმ:—მე ჩემს ბედს ვცდი იმ პირობით, რომ თუ ორი ჩემი ისარი გუბერტის ნიშანს მოხვდება, იმანაც ერთი თავისი ისარი ჩემგან დასმულს ნიშანს მოახვედროს.

— ძალიან კარგი!—უთხრა პრინცმა იოანემ:—მაგაზედ უარს არ გეტყვი. აბა, გუბერტ, თუ შენ მაგას აჯობებ, ბლომა ფულს გაჩუქებ.

— კაცი იმას აკეთებს, რაც შეუძლიან,—მიუგო გუბერტმა:—ჩემი მამა-პაპანი ურიგოდ არ ისროდნენ გასტინგის ომში; ვეცდები, იგინი არ შევარცხვინო.

წინანდელი ნიშანი აიღეს და ახალი დასვეს. როგორც გამარჯვებულს პირველად გუბერტს უნდა ესროლა. გუბერტი დიდ ხანს უმიზნებდა ნიშანს, ბოლოს ისარმა გაიზუზუნა ჰაერში და მოხვდა ნიშანს, შუა გულში კი არა.

— შენ ქარი არ მიიღე მხედველობაში,—უთხრა ლოკსლეიმ:—თორემ უსათუოდ მოხვდებოდა.—მერე თვითონ ლოკსლეიმ ესროლა თითქმის დაუმიზნებლად და ნიშანს შიგ შუა გულში მოარტყა.

— გეფიცები ზეციურს სინათლეს!—უთხრა პრინცმა იოანემ გუბერტს:—თუ ამ მაწანწალამ გაჯობა, სწორედ სარჩობელას ღირსი იქნები.

გუბერტს ყველაფერზედ ერთი პასუხი ჰქონდა:—თუ გინდ რომ დამარჩოთ, თქვენო უმაღლესობავ, კაცი მაინც ამაზე ძეტს ვერ გააკეთებს, რაც შეუძლიან. თუმცა ჩემმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ სროლა...

— ჯანაბას შენი წინაპარის თავიცა და მთლად იმის ჩამომავლობისაც!—უთხრა იოანემ:—ეცადე კარგად ესროლო, თორემ ვაი შენი ბრალი!

გუბერტი თავისს ადგილზედ დადგა, ლოკსლეის შენიშვნისამებრ ქარი მხედველობაში მიიღო და ისე ესროლა. ისარი შიგ შუა გულში მოხვდა ნიშანს.

— ყოჩაღ გუბერტო! ყოჩაღ გუბერტო!—დაუძახა ხალხმა, რომელიც ამას უფრო თანაუგრძნობდა, როგორც ნაცნობს, ვი-

დრე უცნობს მეშვილდისრეს.—მოარტყა! გაუმარჯოს გუბერტს!

— შენ ასე მარჯვედ ვერ გაისვრი, ლოკსლეი:—უთხრა პრინცმა იოანემ დაცინვით.

— მე მაგის ისარს ზედ შუაზედ გავაპობ,—მიუგო ლოკსლეიმ, და მართლაც ისე მარჯვედ ესროლა, რომ გუბერტის ისარი შუაზედ გააპო. ხალხი ისე საშინლად გაოცდა ამ მარჯვე სროლით, რომ ხმა ვეღარ ამოიღო.

— კაცი კი არა, ეშმაკია!—ეუბნებოდნენ ერთმანეთს მეშვილდისრენი:—ასე მარჯვედ სროლა არა თქმულა მას აქედ, რაც ბრიტანიაში პირველად შემოიღეს შვილდ-ისარი.

— შენ სანაძლეოც მოიგე და ფულიცა,—უთხრა პრინცმა,—ჩემგან ორმოც და ათს ოქროს კიდევ მიიღებ, თუ ჩვენს ქეშიკთა რიცხვში შემოხვალ. შენისთანა მარჯვე-ხელის კაცი ჩვენ არ გვინახავს.

— მაპატივე, თქვენო უმაღლესობავ,—მიუგო მეშვილდისრემ:—მე დაფიცული ვარ, არავის არ ვემსახურო, თუ არა თქვენს ძმას რიჩარდს. ჩემთვის მოსაცემი ფული გუბერტისთვის გადამიცია, როგორც კარგის მსროლელისათვის.

გუბერტმა თავი გაიქნია და უკმაყოფილოდ მიიღო უცნობი მეშვილდისრის საჩუქარი; ლოკსლეი კი ხალხში შეერია და აღარ გამოჩენილა.

იქნება ეს გამარჯვებული მეშვილდისრე ასე ადვილად არ გაჰპარვოდა პრინც იოანეს, თუ რომ ამ დროს სხვა უფრო საპირო საქმეებზედ ფიქრით არა ყოფილიყო გართული. მან მიიხმო თავისი კამერგელი და უბრძანა აშბში საჩქაროდ წასულიყო და ებრაელი ისაკი ეპოვა.—უთხარი იმ ძაღლს,—განაგრძო პრინცმა:—რომ მზის ჩასვლამდინ ორი ათასი კრონი გამომიგზავნოს. გირაოდ რაც არის, თვითონ იცის; დასარწმუნებლად შეგიძლიან ეს ბეჭედი აჩვენო. დანარჩენი ფული იორკში უნდა მომცეს ექვსი დღის განმავლობაში. თუ ამას არ შეასრულებს, უსათუოდ სიკვდილი მოელის.

ამას შემდეგ პრინცი შეჯდა ცხენზედ და აშბში წავიდა. იმის წასვლის შემდეგ ხალხიც დაიშალა.

თავი მეცამეტე

> როდესაც ძველად რაინდები გმირულ თამაშობას ათავებდნენ, ჩაჩქანიანი მხედარნი და დართული ქალები საყვირის ხმაზედ იკრიფებოდნენ ციხე-დარბაზის გოტიურს ზალაში.
>
> ვარტონი.

პრინც იოანეს მეჯლისი აშბის ციხე-დარბაზში ჰქონდა. მან უბრძანა თავისს კაცებს, რომ არაფერი არ დაეშურათ, ოღონდ კი მეჯლისი კარგი და ბრწყინვალე ყოფილიყო. სტუმრები ძლიერ ბევრნი იყვნენ მოწვეულნი. პრინცმა, ხალხის გულის მოსაგებად, ნორმანელ ბარონებთან ერთად საქსონელი დიდი გვარის კაცებიც დაჰპატიჟა. ცედრიკი და ატელსტენი დიდის პატივის-ცემით მიიღო და ძლიერ ეწყინა, რომ როენა უქეიფობის გამო არ მივიდა მეჯლისში. ცედრიკს და ატელსტენს ძველებური საქსონური ტანისამოსი ეცვათ, რომელიც ისე განირჩეოდა დანარჩენი სტუმრების ტანისამოსისაგან, რომ პრინცმა იოანემ და ვალდემარ ფიტცურზმა სიცილი ძლივს შეიმაგრეს. თუმცა პირუთნეველი კაცის თვალში საქსონური მოკლე ტანისამოსი უფრო ლამაზი და მოხდენილი იყო, ვიდრე ნორმანული ტანისამოსი, რომელიც გრძელ პერანგს მოაგონებდა კაცსა.

სტუმრები დასხდნენ სუფრაზედ, რომელზედაც იმოდენა გემრიელი საჭმელები ელაგა, რომ სტოლი იზნიქებოდა. ნორმანები ჭამა-სმის დროს უფრო თავდაჭერილი და ზრდილობიანი იყვნენ, ვიდრე საქსები. ამისათვის იგინი ჩუმ-ჩუმად დასცინოდნენ ცედრიკის მოუხეშავ ქცევას და ატელსტენის ახირებულს მადას, რომელმაც მარტო თვითონ შეჭამა მთლად სტუმრებისთვის დამზადებული პიროჟნი. როცა ხანგრძლივი მეჯლისი გათავდა, სტუმრებმა „შავს რაინდზედ“ და აივენგოზედ ჩამოაგდეს ლაპარაკი. ლაპარაკის დროს მხოლოდ პრინცი იოანე იყო დაღვრემილი: ეტყვბოდა რაღაც დიდი დარდი აწუხებდა.

— მე ვსვამ ვილფრედ აივენგოს სადღეგრძელოს,—წარმოსთქვა პრინცმა:—რომელმაც დღევანდელს ასპარეზობაში გაიმარჯვა. ვწუხვარ, რომ დაჭრილობის გამო იგი ჩვენს სუფრაზედ არა ზის. დაე ყველამ დალიოს მისი სადღეგრძელო, განსაკუთრებით თქვენ, ცედრიკო როტერვუდელო, ამ რაინდის ღირსეულო მამავ.

— არა, ბატონო,—მიუგო ცედრიკმა, ზეზედ წამოდგა და დაუცლელი ჭიქა სტოლზედ დასდგა:—მე არ ვუწოდებ შვილს იმ ურჩს ყმაწვილს, რომელმაც ჩემს სურვილს ყურადღება არ ათხოვა და თავისს წინაპართა ზნე-ჩვეულება უარი ჰყო.

— განა შეიძლება, რომ ასეთი გმირი რაინდი ულირსი და ურჩი შვილი იყოს?—სთქვა პრინცმა იოანემ ცბიერის გაკვირვებით.

— დიაღ, ბატონო, ასეთია ვილფრედი,—მიუგო ცედრიკმა:—მან დაუტევა ჩემი დამშვიდებული ოჯახი და თქვენი ძმის დიდებულ კარის-კაცებში გაერია. იქ ისწავლა მან ეს ცხენოსნობა, რომელიც თქვენ ასე გიკვირთ.

— რაკი თქვენი შვილი ჩემი ძმის თანამოგზაური ყოფილა,—უთხრა პრინცმა იოანემ ვითომ-და გულ-მტკივნეულობით:—საჭირო აღარ არის გკითხოთ, სადა და ვისგან ისწავლიდა მამის ურჩობას.

ამას ამბობდა პრინცი იოანე და ის კი დავიწყებოდა, რომ გენრიხ დიდის საზოგადოდ ურჩ შვილებში იგი ყველაზედ ურჩი და უპატივცემულო შვილი იყო.

— მე ვგონებ,—განაგრძო იოანემ რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ:—ჩემი ძმა დაჰპირდა თავისს საყვარელს ვილფრედ აივენგოს მშვენიერი ციხე-დარბაზის ჩუქებას.

— თქვენმა ძმამ მისცა მას ეს ციხე-დარბაზი,—მიუგო ცედრიკმა:—და მე არ მიამა, რომ მან, როგორც ფეოდალურმა ვასალმა, მიიღო ის საჩუქარი, რომელიც მის წინაპართა სამკვიდროს შეადგენდა.

— მაშასადამე, პატივცემულო ცედრიკო,—უთხრა პრინცმა იოანემ:—თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით გადაეცეს ეს მა-

მული ისეთს კაცს, რომლის ღირსებაც არც მაშინ დამცირდებბა, როდესაც მას ინგლისის მეფისაგან მიიღებს. ბატონო რეჯინალდ ფრონ დე ბეფო,—უთხრა ბრონს,—მე ვფიქრობ შენ იყო მფლობელი აივენგოს მშვენიერის შამულისა, რომ ბატონმა ვილფრედმა ამ ციხე-დარბაზში შესვლით აღარ გააჯავროს თავისი მშობელი მამა.

— გეფიცები წმინდა ანტონს!—მიუგო წარბ-შეკმუხვნით უზარ-მაზარმა ბრონმა:—დაე თქვენმა უმაღლესობამ მე საქსად ჩამთვალოს, თუ რომ ცედრიკმა, ან ვილფრედმა, ან სხვა ვინმე ინგლისის სიხლის კაცმა წამართვას ის, რასაც თქვენ მაჩუქებთ.

— ვინც შენ საქსს დაგიძახებს, ბატონო ბრონო,—უთხრა გაჯავრებულმა ცედრიკმა:—ის შენ უღირს და დაუმსახურებელ პატივის-ცემას გაგიწევს.

ამ ლაპარაკის დროს სტუმრებში დიდი უსიამოვნება მოხდებოდა და ჩხუბამდინაც მივიდოდა, თუ რომ პრინცი იოანე არ ჩარეულიყო და ცედრიკის სადღეგრძელოს დალევით ლაპარაკი არ შეეწყვეტინებინა.

— ბატონებო!—დაიძახა იოანემ:—მე ვსვამ ცედრიკის სადღეგრძელოს, რომელმაც თავისი შვილის სადღეგრძელო არ დალია.

სტუმრებმა ტაში დაუკრეს და საქსის სადღეგრძელო დალიეს, მაგრამ ამან ცედრიკზედ არავითარი გავლენა არ იქონია. იგი ბუნებით შორს-გამჭვრეტელი არ იყო, მაგრამ არც ისე გაუგებარი იყო, რომ ამ ცბიერის პატივის-ცემისათვის მიყენებული შეურაცხყოფა დაევიწყა. იგი ჩუმად იჯდა, როდესაც პრინცმა ატელსტენის სადღეგრძელო დალია.

რაინდმა თავი დაუკრა და მადლობის ნიშნად დიდი ჭიქით ღვინო დაცალა.

— ბატონებო!—დაიძახა ღვინისგან შეხურებულმა პრინცმა იოანემ:—ჩვენ ლირსეული პატივი-ვეცით საქსებს, დაე ახლა იმათ გვცენ პატივი. ბატონო ცედრიკო! შეიძლება გთხოვოთ, რომ თქვენ დაასახელოთ ერთი ვინმე ნორმანი, რომელიც

ყჭელაზედ ნაკლებად გეჯავრებათ და იმის სადღეგრძელოსთან ერთად შესვეთ მისი ხსენებით გამოწვეული უსიამოვნება.

ფიტცურზი მივიდა ცედრიკთან და უჩურჩულა, რომ მას ესარგებლა შემთხვევით და მტრობისათვის ბოლო მოეღო თვით პრინცის სადღეგრძელოს დალევით. საქსმა აივსო თასი და მიმართა პრინცს.

— თქვენმა უმაღლესობამ,—უთხრა მან:—დამავალა დავასახელო ისეთი ნორმანი, რომელიც ყველა ამ სუფრაზედ ხსენებულს ნორმანსა სჯობდეს. ეს დიდი ვალია: იგი იძულებულს ჰყოფს მონას თავისს დამმონებელს ქება შეასხას, ძალას ატანს დამარცხებულს თავისი დამმარცხებელი შეაქოს. მაგრამ მე მაინც დავასახელებ ნორმანს, რომელიც ყველა ნორმანზედ უკეთესი და უკეთილშობილესია. ვინც იმის სადღეგრძელოს არ დალევს, მე იმას ცრუსა და უპატიოსნოს დავეძახებ და პასუხის გაცემასაც შეეიძლებ. მე ვსვამ რიჩარდ ლომ-გულის სადღეგრძელოს.

პრინცი იოანე მოელოდა, რომ საქსი იმის სადღეგრძელოს დალევდა, მაგრამ როდესაც თავისი მოძულებელი ძმის სადღეგრძელო გაიგო, თოფ-ნაკრავივით წამოვარდა ზეზედ და აღარ იცოდა, რა ექნა. მან უგრძნობლად მიიტანა თასი პირთან, მაგრამ მაშინვე სტოლზედ დადგა და თავისს მოსაუბრეებს დაუწყო ცქერა, აბა რას იტყვიან ამ სადღეგრძელოზედაო, რადგანაც დალევაცა და არ-დალევაც საშიში იყო. ბევრმა მათგანმა პრინცს მიჰბაძა, თასი პირთან მიიტანა და მერე სტოლზედ დადგა; ზოგმა კი, კეთილშობილურის გრძნობით გატაცებულმა, დაიძახა: „მრავალჟამიერ! ღმერთმა რიჩარდი ჩვენთან მალე დააბრუნოს!“ ფრონ დე ბეფს და რაინდს ბოა გილბერს რიჩარდის მეტის-მეტის მძულვარებით ხელიც არ მოუკიდნიათ თასებისთვის.

ცედრიკმა რამდენსამე წამს ისიამოვნა თავისს გამარჯვებით, მერე მიუბრუნდა თავისს ამხანაგს და უთხრა:—წავიდეთ, კეთილშობილო ატელსტენ! ჩვენ აქ საკმაოდ დიდ ხანს დავრჩით და პასუხი მივეცით პრინცი იოანეს ზრდილობას და სტუმრის-მოყვარულობას. ჩვენ ეხლა კარგად ვიცით, რაც ყოფილა მეფის მეჯლისი და როგორიც არის ნორმანული ზრდილობა.

ამას შემდეგ იგი გავიდა სამეჯლისო დარბაზიდან და მას თან გაჰყვნენ ატელსტენი და სხვა საქსონელი სტუმრები, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ პრინცი იოანეს და მის სასახლის კაცების დაცინვით. დარბაზში მხოლოდ ის სტუმრები ღა დარჩნენ, რომელთაც ცხადად პრინცის მხარე ეჭირათ. პრინცი ძალიან უკმაყოფილოდ დარჩა, რომ ერთმა მისი ძმის სახელის ხსენებამ ამდენი მომხრენი შემოუფანტა.

თავი მეთოთხმეტე

> იმას მაინც ჰგონია,—ხა! ხა! ხა! —რომ მე მისი მოსამსახურე და სურვილის ამსრულებელი ვარ. დაე ასე ეგონოს; იმის ვერაგულის ქცევით გამოწვეულ ამბოხების დროს მე დიდი საქმეებისკენ გავიკვლევ გზას, და ვინ იტყვის, რომ ეს უსამართლობა იქნება?
>
> იოანე ბელი.—ბაზილი, ტრაგედია.

არც ერთს ობობას იმდენი არ უმუშავნია დაწყვეტილი ქსელების გადასაბმელად, რამდენსაც მუშაობდა ვალდემარ ფიტცურზი, რომელსაც უნდოდა შეეგროვებინა გაფანტული მომხრენი პრინცი იოანეს შეთქმულობისა. მომეტებული მათგანი უფრო პირადის სარგებლობისთვის ემხრობოდა იოანეს. ამისათვის ფიტცურზს უნდა დაეჯერებინა ისინი, რომ შემდეგში უფრო ბევრს საჩუქარს მიიღებდნენ პრინცისგან. ახალგაზდა ბარონებს იგი თავგასულს თავისუფლებას ჰპირდებდა, პატივის-მოყვარულებს—ძლიერებას, მოანგარეთ—სიმდიდრესა ღ მამულებს, დაქირავებულ ჯარების წინამძღოლთ—ოქროებით დასაჩუქრებას, თუმცა მან დაპირება უფრო უხვად იცოდა, ვიდრე ასრულება. ერთის სიტყვით, არავითარს საშუალებას არ ზოგავდა, რომ მომხრეები ეშოვნა და მხდალნი გაემხნევებინა. ყველას იმას ეუბნებოდა, რომ რიჩარდის დაბრუნება ყოვლად შეუძლებელიაო.

— თუ რიჩარდი დაბრუნდება,—ეუბნებოდა ფიტცურზი: —მხოლოდ იმისთვის დაბრუნდება, რომ გაამდიდროს თავისი უბინაო და გლახა ჯვაროსნები იმათი სარჩოთი, რომელნიც წმინდა ადგილებში არ წაჰყვნენ. იგი დაბრუნდება იმისთვის, რომ

საშინლად დასაჯოს ისინი, რომელთაც იმის აქ არ-ყოფნის დროს სახელმწიფო კანონებს და ან მეფის უფლებას წინააღმდეგობა გაუწიეს. იგი დაბრუნდება იმისთვის, რომ ტაძრისა და წმინდა იოანეს რაინდების ჯავრი ამოიყაროს, რადგანაც მათ წმინდა ადგილებში ომის დროს ფილიპე საფრანგეთელის მხარე დაიჭირეს... იგი დაბრუნდება იმისთვის, რომ დასაჯოს, როგორც მოღალატენი, ისინი, რომელნიც იმის ძმას იოანეს მიეხმრნენ. ნუ თუ იმის ძლიერებისა არ გეშინიანთ?—განაგრძო ცბიერმა ფიტცურზმა:—მე მჯერა, რომ იგი გამბედავი რაინდია; მაგრამ წარვიდნენ ის დრონი, როდესაც ერთი მეომარი მთელს ჯარს შეაფერხებდა ხოლმე. რიჩარდი თუ დაბრუნდება, დაბრუნდება მარტოდ-მარტო, უამალოდ და უმეგობრებოდ. პალესტინის მინდვრები მისი გმირის ჯარის ძვლებით არის სავსე. მხოლოდ რამდენიმე მისი თანა-მოგზაურნი გადურჩნენ სიკვდილს და დაბრუნდნენ აქ გაღატაკებულნი, როგორც ვილფრედ აივენგო. მერე რა არის, რომ რიჩარდი პირმშო შვილია?—ეუბნებოდა იმათ, რომელთაც ეს საკითხავი აშინებდა: —ჩვენ ნება გვაქვს ის ამოვირჩიოთ მეფედ, ვინც უფრო კარგად მოუვლის სამეფოს და თავად-აზნაურობის ინტერესებს დაიცავს. მართალია პირადის ღირსებით პრინცი იოანე დაბლა სდგას თავისს ძმა რიჩარდზედ, მაგრამ იმასაც ნუ დაივიწყებთ, რომ რიჩარდი ჯავრის ამოსაყრელად დაბრუნდება და პრინცი იოანე კი უფრო უხვად დაგვასაჩუქრებს მამულებითა და ფულითა. აქედან ცხადადა სჩანს, ვისი მხარეც უნდა დავიჭიროთ.

ასეთმა ლაპარაკმა ზედმოქმედება იქონია იოანეს მომხრე ბარონებზედ. ბევრი მათგანი დასთანხმდა იორკში წასვლაზედ, რომ პრინცი იოანესთვის მეფის გვირგვინი დაედგათ.

დაღლილ-დაქანცული ფიტცურზი ღამე დაბრუნდა აშბის ციხე-დარბაზში და დე ბრასის შეხვდა, რომელსაც სადღესასწაულო ტანისამოსი გაეხადა, მოკლე მანტია წამოესხა და პატარა ხმალი შემოეკრა; ხელში შვილდ-ისარი ეჭირა და სარტყელში ერთი მუჭა ისრები ჰქონდა გარჭობილი.

— ეს რა ნიღაბობაა, დე ბრასი?—ჰკითხა წყენით ფიტ-ცურზმა:—განა ეხლა მაგეების დროა, როდესაც ჩვენი ბატონი პრინცი იოანეს ბედი უნდა გადაწყდეს? რატომ შენც ჩემთან არ წამოხველ იმ უსულო მშიშარა ხალხთან, რომელთაც რიჩარდის ხსენება თავ-ზარსა სცემს?

— მეც ჩემი საქმეები მქონდა,—მიუგო წყნარად დე ბრასმ:—როგორც შენც შენი საქმეები გქონდა, ფიტცურზო.

— შენი საქმეებიო? სულაც არა!—უთხრა ვალდემარმა:—მე პრინცი იოანეს საქმეებს ვაკეთებდი.

— მერე რა იყო მაგის მიზეზი, თუ არა შენი საკუთარი სარგებლობა? კმარა, ფიტცურზო! ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. შენი საგანი პატივის-მოყვარეობაა, ჩემი—სიამოვნება, ეს ჩვენი წლოვანების განსხვავებისგან წარმოსდგება. პრინც იოანეზედ შენც იმასა ფიქრობ, რასაც მე, ესე იგი ის ისე სუსტი ხასიათისაა, რომ მეფობა არ შეუძლიან, ისეთი მიდრეკილება აქვს მტარვალობისადმი, რომ მის ხელში რამე უფლების ჩაგდება საშიშია, ისეთი თავხედია და თავ-ქეიფა, რომ მას ხალხი ვერ შეიყვარებს, ისეთი მშიშარაა და დაუდგრომელი, რომ მართვა დიდ ხანს არ შეუძლიან. მაგრამ ის ისეთი მეფე იქნება, რომელიც ფიტცურზსა და დე ბრასის აამაღლებს. ამისათვის შენ მას შენის პოლიტიკითა შველი და მე ჩემი თავისუფალი რაზმის შუბებით.

— საიმედო თანაშემწე კი ხარ,—მიუგო ფიტცურზმა:—როდესაც გაჭირვების დროს მაგისთანა სისულელეს სჩადიხარ. ამისთანა არეულს დროს მაგისთანა სულელური ტანისამოსი რად ჩაიცვი?

— იმისათვის, რომ დავეცე თავს მოუხეშავ საქსონელების ციხე-დარბაზს და მათი საყვარელი როენა მოვიტაცო და ცოლად შევირთო. ეს მით უფრო ადვილია, რომ ციხე-დარბაზის პატრონები ეხლა შინ არ არიან.

— ჭკუაზედ ხომ არ შესცდი, დე ბრასი? ხომ იცი, რომ ისინი თუმცა საქსები არიან, მაგრამ მდიდრები და ძლიერნი არიან და თავიანთ თანა-მემამულენი დიდს პატივსა სცემენ?

— იარაღით დაპყრობილი ხალხი ღირსი არ არის პატივის-ცემისა.

— ეხლა მაინც დრო არ არის მაგაზედ ფიქრისა; სახელმწიფოში იმ ცვლილების მოსახდენად, რომელიც ჩვენ გვინდა, ხალხის გულის-მოგებაა საჭირო. პრინცი იოანე დაუსჯელად არ დასტოვებს იმათ, ვინც ხალხის საყვარელს კაცებს შეურაცხყოფას მიაყენებს.

— დაე დასაჯოს, თუ გაბედავს! იგი მალე დაინახავს რა განსხვავებაა ჩემსა და უსულ-უგულო საქსების დახმარებას შორის. მაგრამ მე ჯერ ცხადად არ ვიმოქმედებ. მე ჯაშუშები მყვანან საქსებში, ამაღამ ისინი მონასტერში გაათევენ ღამეს. ხვალ დილით დავესხმით თავს საქსებს, მოვიტაცებ მტირალს ტურფა როენას და წავიყვან ფრონ დე ბეფის ციხე-დარბაზში, და თუ საჭირო იქნება ნორმანდიაშიაც. მე იმას იქ შევინახავ და იქამდინ არ ვაჩვენებ იმის ნათესავებს, ვიდრე არ გახდება მეუღლე მორის დე ბრასისა.

— ძლიერ ჭკვიანური დაწყობილობაა,—უთხრა ფიტცურზმა:—და არა მგონია შენი ჭკუის ნაყოფი იყოს. მითხარ პირდაპირ, ვინ შეგიდგინა ეგ გეგმა და ან ვინ გიშველის მის აღსრულებაში მოყვანას. შენი საკუთარი რაზმი ეხლა იორკში იმყოფება.

— კარგი,—მიუგო დე ბრასიმ:—თუ რომ ნამდვილად გინდა გაიგო, გეტყვი: მე ეს გეგმა ბრიან დე ბოა გილბერმა შემიდგინა და იგივე დამეხმარება აღსრულებაში მოყვანის დროს.

— გეფიცები პატიოსნებას, რომ ეგ გეგმა ორივეს ჭკუის შესაფერია. შენი კეთილ-გონიერება იმაში სჩანს, რომ ქალბატონი როენა შენი ღირსეული მომხრეს ხელში გინდა ჩააგდო. ჩემის აზრით, შენ ადვილად შეგიძლიან საქსებს როენა მოსტაცო, მიგრამ შემდეგგ ამოიხსნი მას ბოა გილბერის ბჭყალებიდან თუ არა, მაგისი კი რა მოგახსენო. იგი ქორსა ჰგავს, თუ ერთხელ მაგრა ჩაავლო თაეისს მსხეერპლს ბრჭყალები, ძნელად თუ კიდევ გაუშვას.

— იგი ტაძრის რაინდია და არა მგონია მდიდარს მემკვიდრე ქალს—როენას შემეცილოს; არა მგონია თავისს დღეში ულირსი რამე განიზრახოს დე ბრასის საკოლოს შესახებ.

— რადგანაც ვერავითარის დამტკიცებით ვერ გამოგიფანტავ თავიდან სულელურს განზრახვას (მე კარგად ვიცი შენი ჯიუტობა), დროს მაინც ნულარ დაჰკარგავ და მალე შეუდექ შენი განზრახვის შესრულებას.

— მე შენ გეუბნები,—მიუგო დე ბრასიმ:—ყველაფერი რამდენსამე საათში გათავდება და შემდეგ წავალ იორკში, რომ ვუწინამძღვრო ჩემს მამაც ამხანაგებს, რომელნიც ბრმად დაემორჩილებიან შენს განკარგულებას. მაგრამ მესმის, რომ ჩემი თანა-მოგზაურნი შეიკრიბნენ, ზოგან ცხენების ფეხის ხმა და ჭიხვინი ისმის. მშვიდობით! მივდივარ, როგორც ნამდვილი რაინდი, რომ ბრძოლით მოვიპოვო ღიმილი მშვენიერებისა.

— როგორც ნამდვილი რაინდი?—გაიმეორა ფიტცურზმა და მიმავალს თვალი გაადევნა:—უმჯობესი იყო გეთქვა: როგორც უგუნური, ანუ როგორც ბავშვი, რომელიც საჭირო და სასარგებლო საქმეს თავს ანებებს და ღელაღუნტას დაუწყებს ბერვას. მაგრამ მე ამ ნაირის კაცებით უნდა ვისარგებლო. მერე ვის სასარგებლოდ? ქარაფშუტა და უმადური პრინცის სასარგებლოდ, რომელიც მეფობაშიაც კი უმადური იქნება. მაგრამ ისიც... ისიც ჩემს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენო. და თუ ის სიამაყით ჩვენი ინტერესების გაყოფას განიზრახავს, მაშინ ამ საიდუმლოებს მალე გავუმჟღავნებ.

ფიტცურზი ამ ფიქრებში იყო გართული, როდესაც ძირის ოთახიდან პრინცის ხმა მოესმა: „კეთილშობილო ვალდემარ ფიტცურზო!“ მომავალმა კანცლერმა (ცბიერს ნორმანს ამ თანამდებობის ჩაგდება უნდოდა ხელში) მოიხადა ქუდი და თავისს მომავალ მეფეს მიეგება.

(შემდეგი იქნება)

ახალი მიმართულება საფრანგეთის ლიტერატურაში

პოლ ბურჟე

V *)

უკვე მოსსენებული გვქონდა, პოლიტიკურმა შემთხვევებმა რა ნიადაგი მისცეს ბურჟესგან ნახევენებ უმაწვილ-კაცების აღზრდასა. იქვე ნათქვამი გვქონდა, რომ ერთად-ერთი ნაკთ-სადგური პატიოსან მუშაკთათვის ესლა მეცნიერება იყო და ვიცით უკვე რანაირად ყოვ-და ს ე მეცნიერებისა და ჩაჩრდილა ეგოლიტერი. ცხოვრებისათვის ბრძოლაში მხოლოდ ეს დარჩა გამარჯვებული. ესლა თქვენ, ველარ ნახავთ მეცნიერებს, რომელნიც პოლიტიკურს მოღვაწეობასაც ჩემ-ულობდნენ. წინანდელ ესენი დაშინებულნი ირიან და თავისს კაბინეტს ველარ შორდებიან. თანაც საზოგადო ცხოვრების დამტირებამ და დაჭეითებამ დასთო საშინელი მეზმენვარების ბეჭედი ყოველ მათ ქმნილებასა. ლიტერატურაც მეცნიერების მოსამსახურად გარდაიქცა: ყველობერი უმაღლესს იდეალს ლიტერატურის ნაწარმოებისასა მხო-ლოდ სტილის გამშვენიერებაში და საზოგადოდ ტესნიკურ მხარეში ხედავდა. ყოველივე ნაწარმოები მეცნიერებისა და ლიტერატურისა პესიმიზმით გაყენთილია. ეს პესიმიზმი იმდენად ძლიერია, რომ ხანდახან ოპტიმისტებსაც ეწვევა ხოლმე. 52-ში მოხდა coup d'état[1])—ისტორიული ფაქტი, რომელსაც მსოფლიო მნიშვნე-ლობა აქვს დღემდინაც და ირავის იცის, თუ მას შედეგი კიდევ არ

*) «მოამბე» № 7.

[1]) ნაპოლეონ მე-III-ის გამეფება.

ექმნება მომავალშიც. 59-ში მოსდა რეგოლიუცია მეცნიერებაში. ამ წელიწადს გამოიდა დარვინის «გვართა წარმოება». საეჭვოდ მიგვჩნია, რომ რაიმე წიგნს, რაიმე გამოგვლევას ისეთი საზოგადო სასიათი ჰქონოდეს და ისეთი დიდი შედეგი მოჰყოლოდეს, როგორც ამ წიგნის გამოსვლასა. არ დარჩენილა არცერთი მეცნიერების შტო, რომ ძირითადად არ შეეცვალოს ამ წიგნსა. დიდია მისი მნიშვნელობა ლიტერატურასა და სელოვნებაშიაც, ფილოსოფიასა და ეტიკაშიაც. ევოლიუციის თეორია შეიქმნა სიფუძველი კაცის ტვინის ფოველიეე ნაწარმოებისა. ბუნების შერწყვა, მეშვიდრეობის კანონი და ყველაზედ უფრო შესანიშნავი ცხოვრებისათვის ბრძოლა—ეს ფაქტორები ევოლიუციისა, განვითარებისა, დღეის ამას იქით შეიქმნენ ფოველიეეს ამსსენელნი, ფოველიეეს მიზეზნი. საზოგადოების სულის მდგომარეობასაც ძალიან ეთანხმებოდა ამაში გამოუვანილი აზრები, სწორედ დროის შესაფერნი იყვნენ ეგენი. კაცი მსეტის ძმად თუ არა ბიძაშვილად მაინც სდებოდა, კაცი კაცისათვის მგელად ცნობილი იყო, კაცი შეიქმნა უბრალო სარასნილის მტრედად, რომელსაც ბუნების შერწყვა, მეშვიდრეობა და ცხოვრებისთვის ბრძოლა სადაც უნდათ იქ დასმენ და იქ წასწყვეტენ. ფოველიეე ამის დამასურათებელი და დამასაბუთებელი ფაქტი თავლ-წინ იყო, განსაკუთრებით საფრანგეთში. მსეტური ძალის გამეფება, მთელის ერის საუკეთესო გრძნობების შელახვა და ამ ერისაგან ცხვრის მსგავსად ამ შელახვის ატანა განა უკეთესს აზრს შეგადგენინებთ კატორბრიობაზე? ამას მოჰყვა სამოტ და ათიასი წლები, განუწყვეტელი კაცის ყლეტა, ძმის სისხლის ღვრა და ტვინის ფესით სრესა. ნუ თუ საბოლოოდ არ დაეთანხმებით იმ დე-კერნსა, რომელიც გაიძახოდა, რომ homo hominis lupior lupis'ო. ლიტერატურამაც ხომ კვერი დაუკრა მეცნიერებასა. მის მიგიერად, რომ კაცის გული—ეს უკიდური ზღვა—დანანგვებისა ჩვენთვის იმ ზე-მთავრობების წყალობით, რომელიც მარტო რჩეულს აქვს მიმადგებული, დანანგვებისა ის კუნწულები კაცის გულისა, რომებამდისაც მეცნიერებამ ვერ ჩაწია, რადგან არცერთი მეცნიერი უარს არ ჰყოფს, რომ ბეკრში კაცის გული გამოუცნო-

[2]) იხილე ბრუნეტიერის L'évolution des genres, ეტიუდი ტენის შესახებ.

ბელია, არა ჭეშმარიტ უარსა, რომ ბევრი რამ არის მიუწდომელი (l'inconnaissable), ლიტერატურამ მხოლოდ დარვინის თეორიების დამამტკიცებელი საბუთობა დაიჩემა. მოგესსენებათ ზოლა და მისი რომანების სერია, რომელშიაც საშინელის სიმკაცრით არის გაფენილი შთამომაყლობისა და ცხოვრებისათვის ბრძოლის თეორია. კრიტიკა ტენის სელში სომ ზოოლოგიადა და ბოტანიკად გარდაიქცა[2]). ერთის სიტყვით, დარვინისა და სპენსერის თეორია მოარულ სნებისაებით მოდგა ყოველივეს. მართალია ვთქვათ, მათ დიდს მნიშვნელობას ვეღარავინ ვერა ჭეშმარიტ უარსა. გარნა კაცის გული სარბა და გაუძღომელია. შეიძლება კაცობრიობის წინ-სვლის მიზეზიც ეს იყოს. მე კი მგონია, რომ ცხოვრება დაშრტებოდა, რომ კაცი კმაყოფილი იქნეს მისი აწმყოთი. ის ყოველთვის ელტვის და ელტვის სხვა რასმე. თუ რასმე მიაღწია, ამას იმდენად დაასასიერებს, რომ უთუოდ თავისთვისვე არა სასიამოვნო შედეგს მოატანინებს, მგონი, განგებ მისთვის, რომ დაკმაყოფილებული არ დარჩეს. ასე დაემართა დარვინის თეორიასაც: არც იკმარეს ის, რასაც ეს თეორია სნნიდა, და ვერც დაადგინეს იმ საფრთხილეს და თავდაჭერილობას, რომლის უდიადესს მაგალითს თვით ამ თეორიის შემქმნელი წარმოადგენდა. ამბობენ, სრულიად მოულოდნელი შედეგი მოჰყვა ამ თეორიების გავრცელებასა. ყოველმა ბოროტმა, მხეცმა, თავ-გასულმა და საზიზღარმა კაცმა ეს თეორიები სელზე დაიხვია: ძმას სისხლსა სწოდა თუ საზიზღარს რასმე ჩადენდა, თავს იმართლებდა, ცხოვრებისათვის ვიბრძვიო; განა მე ამაში დამნაშავე ვარო, მემკვიდრეობამ და გარემოებამ ასე იმოქმედა ჩემზედაო. ბოძმეთათვის თავის დადება სომ საანალოდ შეიქმნა: ქვეყანა ეგოიზმზედ არის აშენებული, ალტრუიზმი ოცნების მოყვარე იდეალისტების მოგონებიაო, თუ დაამტკიცებ კაცსა, მაშინ შეიძლება სხვისთვის რამე გააკეთებიოო. იგი სომ მხეცია და მხეცი კი ჯაბნეთ უნდა დაბა, რომ ველარ გიკბინოსო. იმ პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რომელშიაც საფრანგეთი იყო 52-დან 75-მდინ, და ამ აზრების გაკვლენამ თუ რა მხეცად გარდაქმნა კაცი—ამის დასურათებასა აქვს მონდომებული ბურჟეს საუკეთესო, «უძლიერესი» (le plus fort[3]) რო-

[2]) იხილე ბრუნეტიერის წერილი Revue des deux mondes 1 ივლ. 1891 წ.

მანი «მოწაფე» (Le Disciple). ამ თხზულებამ, როგორც ზემოდ გვქონდა მოხსენებული, მრავალი მეცნიერი აღაფრთოვა, მრავალ ლიტერატორს საღერღელი აუშალა და ორი-სამი წელი გაფიტებული სვა-ბაასის საგნად იყო. ყურადღება რომ არ მიგაქციოთ მის ლიტერატურულს ღირსებებსა, რომელნიც ერთხმად აღიარებულნი არიან, იმდენი ფილოსოფიური და მწვავე კითხვები აღძრა, რომ შეუძლებელი იყო მთელი გახათლებული კერძოების ყურადღება არ მიექცია. დიდი სანია, ლიტერატურას ასეთი დიდმნიშვნელოვან კითხვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, ძალიან ძვირად წამოუყენებია მას ასეთი მძიმე საფიქრალი კითხვები, რა გაგლენა აქვთ ფილოსოფიასა და მეცნიერებას, რა გაგლენა აქვს საზოგადოდ აზრს კაცზედ? რა ძალი აქვს იდეალს? არის თუ არა მეცნიერი, ფილოსოფოსი, პოეტი, რომანისტი კალდებული ყურადღება მიაქციოს თავისს თხზულებებს, რადგან მათ გაგლენა ექნებათ საზოგადოებაზედ? არიან თუ არა იგინი პასუხის-მგებელნი მავნე აზრის გავრცელებისათვის? ეს კითხვები მძიმე ასასსნელნი, მაგრამ ძალიან მწვავენი არიან და ამიოსტ აიხსნება ამ დროში იშვიათი სასული ბურჟეს რომანისა. კარდა ამისა რომანი იწყება წინასიტყვაობით, რომელიც გაუგსთილია წრფელის სიყვარულითა სამშობლოსა და მისის საუკეთესო შვილების—ყმაწვილ-კაცებისადმი. ეს წინასიტყვაობა კი არა, მოწოდებაა მთელი ასალის თაობისა ერერგიულად შრომისათვის კაცობრიობისა და სამშობლოსათვის. ამით ბურჟე დიდეტანტობასა სტოუებს და მაგრად იგიდებს ფესსა მორალისტის ნიადაგზე. იგი დდეიდან შეიგნებს ლიტერატურის დიადს მნიშვნელობასა საზოგადოებისათვის და შეიქმნება მისთვის გულ-წრფელი მშრომელი. ამ რომანით ის ჩაერია ასალ აზრების ბრძოლაში, გაუმკლავდა ეკრედ-წოდებულს «უარ-მყოფელებსა» და ჩაგდა ზნეობისა და მოვალეობის დამცველთა ჯგუფში[4]). ის სიმწარით აღიარებს თავის უძლურებას მოქმედებისათვის, მაგრამ არიდებს სხვას დამამსობელს ძალებს, რომელთაც ენერგია მოუკლეს და ურჩევს მათ კეთილ გზასა: «გაქვს იდეალი,

[4]) მნიშვნელობა სიტყვისა „უარ-მყოფელები“ (négatifs) და პოზიტივისტებისა (positifs) იხილე როდის თხზულებაში, რომელიც წინა წერილში გვქონდა მოხსენებული, და პოლ დეჟანდერის Le devoir présent-ში.

ჩემო ძმაო, უფრო მაღალ იდეალი, უფრო მტკიცე რწმენება, უფრო მეტი სასოება, გიდრე ჩვენ? თუ ჭო, მაშინ მომეცი სული და მა-თქმეგინე შენთვის: გმადლობ. მაგრამ თუ არ?.. თუ არა-და, მომი-სმინე. ემაწვილ-კაცთა ორ ტიპს გსედავ ამ სოფლიში ჩემს თვალ-წინ, ისინი შენ-წინაც არიან, როგორც ორი ფორმა განსაცდელისა, ორივ ერთნაირად საშიშარი და ორივ ერთნაირად დამღუპველნი. ერთი ცინიკია და მასსარა. წლოვანება ოც წელზედ მეტი აქვს და ატარებს ცხოვრებას უდარდელად. მისი სარწმუნოება ერთს სიტ-ყვაში ისტება: სიამოვნება—და ეს კი ითარგმნება გამარჯვებად. გინდ პოლიტიკურს საქმეში ტრიალებდეს იგი, გინდ ლიტერატუ-რასა და ხელოვნებაში მუშაობდეს, გინდ მრეწველობას ეტანებოდეს, რაც გინდ იყვეს, ოფიცერი, თუ დიპლომატი, გინდ ადვოკატი, მას თავის მეტი ღმერთი არა ჰყავს პრინციპად და მიზნად. ესლანდე-ლის ნატურალისტური ფილოსოფიისაგან მან შეიძინა დიადი კანონი ცხოვრებისათვის მეტოქეობისა. საშინელი სიმკაცრე, რომლითაც სმა-რობს იგი ამ კანონს თავისი ბედის მოწყობაში, სდის მას განთ-ლებულს ბარბაროსად—ამ უსაშინელესს კაცის გვარად. მის ცხოვ-რებაში წარმატების მეტი არა აინტერესებს-რა და წარმატებაში კიდეც ფულების მეტი. დარწმუნებულია, როცა ჩემს ნაწერსა ჭკითხულობს,— ჩემს ნაწერს კი ჭკითხულობს, როგორც ფველთფერს სხვას, მხო-ლოდ მისთვის, რომ თავისს დროს არ ჩამორჩეს,—რომ მე დავცი-ნი საზოგადოებას ამ სურათის დასტეითა, რომ თვით მე წაკვეკვარ ამ სურათსა, იმიტომ რომ სულის სიდრმემდის იმდენად თავისებუ-რი ნიჭიერისტია, რომ ოველიფე კაცის იდეალი კომედიად მიაჩნია. მისთვის მართლაც ასე არის, მაგალითად, როცა სალსს ატეუებს, რომ არჩევნებში მათი სმა იშოგოს. ეს ემაწვილი კაცი საშინელი მასინჯი რამ არის, არა? მაშ რა არის თუ არ სიმაჯინჯე, კაცი ოც და სუთი წლის იყვე და სული კი გქონდეს ასანგარიშო მანქანად გარდაქმნილი, რა-ზელიც მზად არის ასმასსური გაუწიოს სიამოვნების მანქანასა (une machine à calcul au service d' une machine à plaisir.). მაგრამ ეს ისე საშიშარ არის შენთვისა, როგორც მეორე. ამას აქვს ნაზი, არისტოკრატული ნერვები და არისტოკრატული გონება, მა-გრამ ინტელიკტუალური და გასკეფილი ეზიეკურიელია, ისე, როგორც

ბირგელი იყო მსჯელი და მეცნიერი ეპიკურიელი. რა საშინელებაა ესენაზი ნიჭილისტი და რამდენია ამისთანა. 25 წლის კაცსა ყოველნაირი აზრი შეუგნია, მისმა კრიტიკულმა, ადრე გაღვიძებულმა ნიჭმა შეიგნო და შეისწავლა ესლანდელი ფილოსოფიის უკანასკნელი დასკვნანი. არ დაელაპარაკო მას ურწმუნოებაზე, მატერიალიზმზე. იცის, რომ სიტყვას «მატერია» აზრი არა აქვს, ოანაც ბონიერებანებას არ ამლევს უარ-ყოს, რომ ყოველივე საწმუნოება თავისდროზე კანონიერი იყო. მაგრამ მას თავისის ღელვაც არა ჰქონია-რწმენა, არც ექნება რწმენა არცერთი საწმუნოებისა, ისე, როგორც არავეარს არ ირწმენს, თუ არ თავისს შემაქებელს თამაშს ბონებისა-სა, რომელიც მან გარდაქმნა კოსტა გარეგნილების იარაღად. ბეთი-ლი და ბორბოტი, სიტყვიერ და სიმასინჯე, ბიწიერობა და სათნოება მისთვის მხოლოდ უბრალო ტნობის-მოყვარეობის საგანია. კაცის სული მისთვის მეცნიერი მესანიზმია და მისი გამოძიება და დანაწილება ინტერესებს როგორც ცდის საგანი. მისთვის არავეარი არ არის წეშმარიტი, არავეარი არ არის ტყუილი, არავეარი არ არის ზნეობრივი და არავეარი არ არის უმართებულო. ამ გათლილისა და გასვეწილის ეგოისტის ერთად-ერთი ტნოვრების მიზანი არის «ოვის **ძეს** გაღმერთება და მისი შემოსვა სსვა-და-სსვა ასალ-ასალი გრძნობებითა. კაცობრიობის საწმუნოებრივი ტნოვრება, ისე, როგორც ბონებრივი და ზნეობრივი მისი ტნოვრება, არის მხოლოდ მისთვის საბანი გრძნობების გამოწვევისათვის. მის გარეგნილებას სულ სსვა სიღრმე აქვს, ვინემ იმ ბარბაროსი მოთაბაშისა; იგი სსვაბრივად არის შეზავებული. კოსტა სასელი დილეტანტიზმისა, რომელსაც ის უწოდებს თავისს გარეგნილებას, ძალვს მხოლოდ ტიეს სიმკაცრესა და საშინელს გულის სიმშრალესა. ოხ! ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ ყმაწვილ-კაცსა; კინაღამ მას არ დავემსგავსეთ ეგველანი, რომელთაც ძალზედ გვსიბლავდა ჩვენი დიდებული ოსტატების ბარადოქსები. ეველა ვიუკვით ამ კაცად ერთს დღეს, ერთს საათს მაინც და თუ მე ამ წიგნს ვწერ, ეს იმიტომ, რომ დაგანახვო შენ, ყმაწვილო-კაცო, რომელსაც ჯერ კიდევ ოცი წელიც არ შეგსრულებია და რომლის შინაგანი არსება მხოლოდ ესლა ამოაგრებს განვითარებას, თუ რა ბორბოტ-ბოქმედია დამდგენი ამ ეგოიზმში.

ეცადე, ჩემო ასულგაზდა მეგობარო, არ გასდე არც ერთისა და არც ამ მეორე უმაწვილი-კაცის მსგავსი. ნუ იქნები ნურც მსეტის მსგავსი პოზიტივისტი, რომელიც პორტატდა სმარობს ენებათა ღელვას, ნურც ამაყი სოფოისტი, უდრო-უდროდ გარეგნილი და გაცვეთილი, რომელიც პორტატდეე სმარობს ენებისა და გრძნობის სამეფოს. ეცადე, არ გაგაამაყოს არც ცხოვრებამ და არც ენებამ იმდენად, რომ გასდეს ტანკი და აზრების მოთამაშე. ამ დროში, როცა ენება აღელვებულია და როცა ათასი ერთმანეთის წინააღმდეგი დოქტრინები დათარეშობენ, შენ მაგრად ბასეჭიდე სელი, როგორც მსინელს შტოს, ქრისტეს მცნებას: «ნაყოფთა სამე მათთაგან იცნეთ სენი». არის ერთი რამ რეალური, ნამდვილი, რომლის არსებობაზე შენ ეჭვის შემოტანა არ შეგიძლიან, მისთვის რომ ამ რეალური რათიმე სუნთქავ თვით შენ, შენ გრძნობ მას, მით ცხოვრობ ეოველ წუთში: ეს შენი სულია. იმ აზრთა შორის, რომელნიც შენ გაქს გასგეკიან, არის ისეთი, რომელიც ამ სულს აგლებს ნების ძალას. გრწამდეს, რომ ეს აზრი არის ტრუ ერთის მსრით, რაც უნდა სიფუძვლიანად ან ღრმად გეჩვენებოდეს იგი, რაც უნდა დიადი სიტყვის ჰატრონის სასელი ამშვენებდეს მას. მოიშოვე და ზარდე შენში ორი დიდი უშეშარიტება, ორი დიდი ძალა, თვინიერ რომელთა თავში არის ჯერ გარეგნილება და ბოლოს ტანჯვა, —სიყვარული და ნების ძალა. დღეგანდელი მეცნიერება, გულ-წრფელი და თავ-დაბალი, ალიარებს, რომ ანალიზის ბოლოს გადაიშლება «მიუწდომელი». იყავ მამაცი და, ვინც გეტყვის, რომ ამ ოკეანეს იქით არის სიცარიელე, ჯურღმული სიბნელისა და სიკვდილისა, თამამად უთხარ: «თქვენ ეს არ იცით»... და თუ შენ იცი, თუ გრძნობ, რომ სული არის შენში, იშრომე, ეცადე სული არ მოკვდეს შენში, შენზე უწინ».

ჩვენ თითქმის უმეტესი, უკეთესი ნაწილი წინა-სიტყვაობისა გადმოვთარგმნეთ. იმდენად ძვირფასი დამასურათებელია ავტორის ასეთი წრფელი სიტყვები, იმდენად მრავალ-მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ კერ გამოვტოვეთ იგი, მით უმეტეს, რომ რუსულადაც არ არის სათარგმნი, რომ უმეტესმა ნაწილმა მკითხველთა წაიკითხოს იგი. გარდა ამისა ამ წინასიტყვაობაში დასურათებულია თვითონ გმირი

ამ რომანისა, ეს სწორედ ის ურწმუნო, გასვეწილი და გატეეთილი ტინიკეა, რომელიც ასე სიშიშრად მიაჩნია ავტორს და მართლაც მთელი მისი მოთხრობა ამის დამტკიცებულია. საქმე აი რაშია. ერთი ემსწავლილი კაცი (გრელუ) ჭეკეო სქარავეები მასწავლებლად მარკის დე ეიუსასა ოჯახში. მარკიზსა ჭეკეს ორი ვაჟი (უმცროსს გრელუ ასწავლიდა), რომელთაგან უმფროსი (ანდრე) ათეიტერი იყო, და ერთი გასათხოვარი ქალი (მარდოტა). გრელუ იგრძნობს მსტურს სურვილს ამ ქალიშვილისადმი და შეუდგება მის მოსიბვლასა. ამისთვის აქეზებს მას ერთის მხრით მეტნიერული ინტერესი (ეთოს-და ფსიხოლოგიური ცდა უნდა მოასდინოს შეეკარებულს ქალიშვილზედა) და მეორეს მხრით კი სურვილი ანდრეს შეურაცხყოფისა, რომელისადმი ბერგელის დასასვენისთანავე იგრძნო ხაშინელი ზიზღი. ასნდასას წრფელის მოქმედებით, უფრო სშარად კი ტბიერებით მოასერხებს ისე, რომ მარდოტა დანებდება მას, მაგრამ ამ ბერობით კი, რომ ორიეესი თავს მოიწამეულ. გრელუ დაიკმაყოფილებს მსტურს წადილსა და თავის მოკვლასზე კი ურს ამბობს. მაშინ თავ-ზარ-დაცემული ქალი თავს იწამლავს. მარდოტას საკვდილის მიზეზი არავინ იცის, გარდა ძმისა, რომელსაც საკვდილის წინ თვითონ მისწერა ბარათი. ამიტომ მოწმების ჩვენების გამო იკურეს გრელუს. გრელუს გაგებული აქვს მარდოტასაგან, რომ ანდრეს ეკვდებოდეო იცის, მაგრამ ამდენილს მაინც არას ამბობს თვითონ. რა გრძნობა აიძულებს მას ამისათვის? იქნებ ეკეთონოთ სურვილი ქალის ბატიოსანის სასელის დაცვისა? არ მოტეეედეო. მას სწადია მხოლოდ ანდრეს დამცირება. თუ ეს არისტოკრატი ამდენილს მიზეზს არ გაამსელს თავისი დის მოწამეობისას, ჩაიდენს უბატიოსნებას და ეს გრელუსათვის იმდენად ასურველია, რომ საკვდილისაც კი არ ეშინიან. სატუსაღოში ისა სწერს აღსარებას თავისს მასწავლებელს, გამოჩენილს თეოლოგოზოს საქმეს. ამ აღსარებით საქმეს ეკიგებს, რაშია საქმე, და მისწერს ანდრეს ბარათს. ანდრე ამისაგულოში აღიარებს, რომ მისმა დამ მოიწამლა თავი თვითონ და არავის აბაში დამნაშავე არ არის. თუმცა გრელუს კანონი განთავისუფლებს, მაგრამ ზნეობრივი კალი არ სტოკებს დუსკელად და ანდრე, საზოგადოების ზნეობრივი გრძნობის წარმომადგენელი, ამ

გრძნობის შეღალვისათვის დამბაჩას დასტემს გრელუსა, თვითონ კი პოლიციას მიეტანა სელში. რა ანრის აქ საინტერესო ეგელაზედ უფრო? საქმე იმაშია, რომ გრელუ, 21 წლის ასალგაზდა ჩაიდენს ამ ბოროტ-მოქმედებასა და იმართლებს თავსა სხვა-და-სხვა მეცნიერულის თეორიებითა, რომელთაც უმეტესი საწილი ეკუთვნის სიქსტუსა. ეს კი უარსაყოფს უკეთესისეგრს, რაც შეადგენდა დღემდინ საარწმუნოებისა და ზნეობის საფუძველსა, უარსაყოფს ღმერთსა, სიყვარულსა, მეგობრობასა, მამა-შვილურსა და ოჯაელს სოციალურს დამოკიდებულებასა და გასწორებულებასა. კაცი მისოგან პარეტეკია; კეთილი და ბოროტი ისეთი პროდუქტია, როგორც შაბიმანი და ძაქარი; მისი პოლიტიკური ინდიფერენტიზმი ხომ საზღვარს გადადის. ერთის სიტყვით, ამ ფილოსოფოსში ბურეკესა ყველა გაბოსატული უკანასკნელი 40 წლის ფილოსოფეა თავისის ღარსებათა და საგლულეგანებითა. დარგინი და სპენსერი, ტენი და რენანი, განსაკუთრებით ორი უკანასკნელი, ოვა-მოერილია მასში. ამ მეცნიერის აზრებმა იპოკეს მშვენიერი ნიადაგი გრელუში, და ისეთი ნაყოფიც გამოიღეს, რომელთაც თავ-ზარი დასცეს სიქტსა. აა აქ იბადება ბეთსა კაცთა აზრის მზრდელების ბასიუსის მგებლობისა და აქ ანრის უფრო დიდი ინტერესი რომანისა. დაკვანურათოთ სიქსტი, დაკვანურათოთ გრელუ, როგორც გონებრივი შვილი სიქსტისა, აქედან გამოჩნდება ფილოსოფოსის აზრის კავშირი გრელუს მოქმედებასთანა და თანაც მთელი აზრი თხზულებისა.

ანდრიეს სიქსტი გასდგათ «ეროიეესიით ფილოსოფოსი» და უმაწვილობიდანვე შეუდგა მის შესწავლასა. ორი წელი მოანდომა ინგლისისა და გერმანიის ფილოსოფიასა[5]). ჩადმოწვენით შეესწავლა ბუნების მეტყველება, განსაკუთრებით ტეინის ფიზიოლოგია. თანაც ძალიან მცოდნე იყო მათემატიკისა. დიდი ხნის შრომის შემდეგ, შეუდგა თხზულებების წერასა. გამოსცა პირველად «ფსიხოლოგია ღვთისა». კრიტიკულმა ანალიზმა ამ თხზულებისა, «სადაც სიმესვილე სიმკაცრეს უდრიდა, სადაც გატაცებული უარისყოფა აღგზნებული იყო ფანატიზმამდე» გაოცებაში მოიყვანა მოეული მო-

[5]) ტენიც ხომ ასე იყო. იხილე ბრუნეტიერის ეტიუდი ტენის შესახებ: L' évolution des genres.

ზრე ქვეყანა. სასტიკმა ათეიზმმა თავიდან ბოლომდინ შიგ გატარებულმა შიშის ზარი დასცა ღვთის მსახურებსა და გამოიწვია გამოჩენილის ეპისკოპოზის ბროშიერა, წარმოათქმეინა აღელვებული სიტყვა კარდინალსა, რომლის მათრახებიც სულ მეტნიერსა სვდებოდა. ერთმა ცნობილმა «მიმოხილვამ» გამოაქვეყნა მესთა-მტესი წერილი სპირიტუალისტი კრიტიკოსისა[6]). «დიდი ხანია აღარ ნახულა ასეთი ძალა იდეათა და ასეთი სიფუძვლიანი ერუდიცია, ასეთი სიფაროფ შესედულებისა და ასეთი თამამი ნიჭილიზმი», როგორიც ამ წიგნში იყო გატარებული. დღეიდან სიქსტი უარჭყოფს ყოველივე გარეგან ცხოვრებას, დაიგეტებს თავისს ოთახში, რომ იქიდან სტეორტნოს სოლმე დამმხობელი თეორიები. «თავისს დღეში ის ტოლს აღარ შეირთავს, თავისს დღეში არ გამოვა საზოგადოებაში, არ მოიწადინებს არავითარი ადგილის შოვნასა, არავითარი სახელისა და დიდების მოპოებასა, მთელი მისი ცხოვრების ფორმულა ეს სიტყვაა: —ზრდენა». დღის ყოველი ჟამი წინდაწინვე განაწილებული აქვს სხვა-და-სხვა მეცადინეობისათვის. მისი მონასტრული ცხოვრება ბუნებოდა დილის ექვს საათზედ და თავდებოდა საღამოს ათ საათზედ. სასეირნოდ თუ გავიდოდა „Jardin des plantes"-ში, მისი ერთად-ერთი თავ-შესაქცევი მაიმუნებისა და სპილოს მზერა იყო. რა ზრდები გაურბენდა სოლმე მაშინ მას თავში, როცა ამათ სედგიდა, კაცის ბირუტეგობაზედ და რა სარგასტიული ღმილი გამოისტებოდა მის მკრთალს ტუჩებზე! რომ საღამი არ ენახა, ავადმყოფ წავიდოდა სოლმე ორშაბათობით, უქმე დღეს კი სასლში იყდა. ყურნალსა და გაზეთს სომ თავისს დღეშიაც არა კითხულობდა[7]).

---

[6]) ტენის ფილოსოფიურმა ნაწერებმაც ხომ ასეთი აღელვება გამოიწვიეს მორწმუნე საზოგადოებაში (იხ. ბურჟეს Essais ტ. I გვ. 179). ორლეანის ეპისკოპოზმა სიტყვა წარმოსთქვა და აფრთხილებდა ოჯახის მამებს დამნაშავე ფილოსოფოსისაგან, რომელმაც გაბედა და წარმოსთქვა: „რა სამეუფოსაც უნდა ეკუთვნოდეს ფაქტი, ბუნებისასა თუ ზნეობისასა, მას თავის მიზეზი აქვს. დიდების მოყვარეობასა, სიმამაცესა, სიმართლის მოყვარეობას აქვთ თავიანთი მიზეზი, ისე, როგორც საკმლის მოხელების პროცესსა, როგორც მუსკულების მოძრაობასა და ცხოველის სითბოსა (chaleur animale). ბიწიერება და სათნოება ისეთივე პროდუქტია, როგორც შაქარი და შაბიამანი". (იხ. ტენის L' histoire de la litterature anglaise ტ. I შესავალი XV გვ.).

[7]) გაგეგონებათ ანეგდოტი რენანის შესახებ. როდესაც საფრანგეთში თეატრი (opéra comique) დაიწვა და რამდენიმე კაცი იმსხვერპლა, ერთი თვის შემდეგ რენანი სადილად მიპატიჟებული იყო თავისს ნაცნობებთან. ჩამოეარდა ლაპარაკი თეატრის დაწვის შესახებ. რენანმა თურმე არაფერი იცოდა ამის შესახებ. ნაცნობების გაოცებას რენანმა გულ-გრილი პასუხი უგო: «მე ხომ გაზეთს თავისს დღეშიაც არა ვკითხულობო».

პოლიტიკური მისი ინდიფერენტიზმი საოცარ რამ იყო. თავისს დღეში მას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია. სასლობასთან კვეშირი გაწყვიტა და «ეს კვეშირის გაწყვეტა, როგორც ყოველი მისი ცხოვრების წვრილმანი საქმე, იყო დაფუძნებული თეორიაზე». რამდენად შორს იყო იგი ყოველსაგე გარეგანს ცხოვრებაზედ ამით მისვდებით, რომ მისი მსახურის ზრუნვისა და ყურადღების წყალობით ყოველს ოთხშაბათ-პარასკევს მარხულობდა, ყიღეტში აგვარობა ჭქონდა გამოკრული და ამეებს ვერც კი ამჩნევდა. მისის დაუცხრომელის შრომის შედეგი გარდა ზემოხსენებულის თხზულებისა იყო კიდევ «ანატომია ნებისა» და «თეორია ენებთა». ამათში ისტებოდა სიქსტის დოკტორინა. კანტის მიმდევარ ფილოსოფოსებთან ერთად ის აღიარებდა, რომ შეუ'ლებელია მიზეზთა მიზეზისა და ეფექტთა (მოვლენათა) შინაარსის გაგება. საკვირველ სოლმე მოვლენის რიგ-რიგად დაწყობა, რომ ეთი მოვლენა მეორესი მიზეზი იყოს და ეს მეორე ბირველის შედეგიო. ინგლისელ ფსიხოლოგებთან ერთად ის ამტკიცებდა, რომ «ის გრძნობა ფენომენთა, რომელსაც სულს ეძახიან, ექვემდებარებიო მეცნიერულს შესწავლასა, თუ კი მეცნიერულს მეთოდს ისმარებთო». მის გასაგორებულს თვისებას კი წარმოადგენდა ის, რომ ის უარსა ჭყოფდა სპენსერისაგან აღიარებულს «მიუწდომელსა», ესე იგი იმ-უკანასკნელ ნიადაგსა, რომელზედაც კიდევ ფიქრობენ საარწმუნოებისა და მეცნიერების მორიგებასა და შეთანხმებასა. მას კი ეს მიუწდომელი მაჩნდა უკანასკნელ ნაშთად მეტაფიზიკურის ოცნებობისა და ძალუმის არგუმენტებით აღჭურვილმა გამოიმეტყვა მის დასამსობლად. მეორე მისი ორგინალური აზრი მეცნიერებაში იყო დარვინის კეოლიუციის მოხმარება კანტის სულიერ მოქმედებათა და თვისებათა ასახსნელად: «ასა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ჩვენი უზენაესი გრძნობანი, ჩვენი ზნეობიანი სიტურფე და აგრედვე ყოველი ჩვენი საზიზღარი მოქმედება არის უკანასკნელი წერტილი განვითარებისა, უმაღლესი მეტამორფოზა მარტივ ინსტინკთა, რომელნიც დამყარებულნი არიან ადრინდელ ცელულას (უჯრედის) თვისების შეცვლაზე. ასე რომ ზნეობრივი თვისება წარმოადგება ფიზიკურის თვისებიდან». რაღა თქმა უნდა, რომ იყო სრული დეტერმინისტი. «ყოველი მოქმედება» ამ-

ბობს ის, «ჭრის მიმიტება. ვინც ამბობს, რომ ეს მოქმედება თავი-სუფალია, ის ამბობს და გვარწმუნებს, რომ ჯერი უფრო ბევრია შე-ერთებულს რიცხვებზედა. ეს კი ისეთივე ბასურდია ფსიხოლოგია-ში, როგორც მათემატიკაში». დეტერმინიზმი კი არა, ფატალიზმიც კი დაგმაყოფილებოდა ასეთის მკაცრის სიტყვებით. ის მხოლოდ აზრებით ცხოვრობდა, თავ-ბრუ დასხმულივით სხვა არა გაეგებოდა-რა, ამ ქვეყნიერებას ხომ მოშორებული იყო და მხოლოდ იდეებში იყო დაფლული. საეჭვოა მას ეგრძნოს ოდესმე რაიმე, არც დასჭი-რებია კი გამოცადა რამ გრძნობა: «თავის დღეში არ მოსურვებია მას სიახლოე ნაზისა და თანაგრძნობის სულისა, თავის დღეში არ უგრძვნია საჭიროება არავითარი კაეშირისა, არც ტოლ-შეილისა, არც თავ-განწირულებისა, არც სიყვარულისა და არც მეგობრობისა». იმას კი ნუ დაივიწყებთ, რომ, ბუნებით უწყინარი და მშვიდი, იგი ბუზ-საც, სკამსაც კი არას აწყენინებდა და ხშირად ობობებს მაინც ჭეშლეტამდა. თვითონაც კი არ იცოდა, რად იქცეოდა ეგრე. უთუოდ «კატისადმი კეთილი და სულ-გრძელი იყო იმავე მიზეზით, რა მი-ზეზითაც თავის ოთახში სკამს ნელა და ნაზად გადასდგამდა». თა-ნაც კი ასეთ უტნაურ რამეს გამოსთქვამდა, რომ სამწუხაროა საზო-გადოება მეტნიერ კატებს არ ანებებს ბავშვებს ტლისთვისაო, ბავშვე-ბი საუკეთესო იქმნებოდნენ იმის საცდელად, თუ სხვა-და-სხვა მოვ-ლენა რა და რა გავლენის ქვეშ უფრო კარგად გამოიხატებაო. «ია-გრამ ვის დააკერებთ», ეუბნება გამომძიებელს სიქსტი (გრელუს სა-ქმეზედ ხომ ესეც დაიბარეს), «რომ მეტნიერებისათვის დიდად სა-სარგებლოა, მაგალითად, ბავშვებს ვაძლიო სამტემატიურად რაიმე ბიწერება ანუ ნაკლი». თუ კისმე დაელაპარაკებოდა, მაგალითად, ზოგიერთ მეტნიერსა, მხოლოდ ბრიოფესიონალურ საბაასად. ზოგს ქიმიაზე ელაპარაკებოდა, ზოგს უმაღლესს მათემატიკაზე და ზოგს ძარღვების ავადმყოფობაზედა. მას ფესებზედ ეკიდა—ნეყვადათ მათ ტოლ-შეიდი თუ არა, აქტიკდნენ შვილების აღზრდას ეურადღებას თუ არა, ტდიღობდნენ სამსასურში წარმატებას თუ არა, რას ფიქრობ-დნენ საზოგადოების შესახებ და სხვ. ან კი რისთვის? განა მის-თვის სულ ერთი არ არის? ეოველიკე «ფილოსოფოსთათვის არ სუ-ფევს», ეუბნება იმავე გამომძიებელს, «არც კეთილი და არც ბოროო-

ტი, ჩვენი სურვილი არის ერთგვარი ფაქტი, რომელიც ერთგვარ კანონებს ექვემდებარება. გათავდა და მოჩანა». ასეთს სურათს წარმოადგენდა ეს ფილოსოფოსი, როცა ერთ დღეს სასამართლოში დაიბარეს და გამოუცხადეს, რომ ზნეობრივ მოვალედ სდიან გრელუს ბორბოტ-მოქმედებაში, რადგან სასვენ მისის გონების მწვრთნელად და მმართველად. როგორც მოსალოდნელი იყო, ამგვარ ბრალმდებელს ამაყი ბასუსი მისცა სიქსტმა. «ასირებულია, თქვენმა მზემ, რომ ბასუსის გვანში ჩაგდოთ რომელიმე დოქტრინა, იმიტომ რომ ვინმე უგუნურმა შეუსაბამო და უტნაური ასსა მისცეს მას. ეს ხომ იმას ემსგავსება, რომ ქიმიკოსი დასაჯოთ იმ ბორბოტ-მოქმედებისათვის, რომელიც მისი გამოგონილი დინამიტებით ჩაუდენია ვისმე. ეს ისეთი საბუთია, რომელიც ყურადღების ღირსი არ არის». მაგრამ ბოლოს თვით ფილოსოფოსი მიაქცევს ამ საბუთს დიდსა და უდიდესს ყურადღებასა. ესლა კი ის გაჯავრებული მადიოდა თავისი სასლისაგენ. როგორც გულ-კეთილსა და უზრუნველს ბურუუას, მას აწუსებდა, რომ ამ საქმეს არ დაერღვია მისი მშვიდი ცხოვრება, ენანებოდა, რომ ორ, სამ საათს წაართმევდა. როგორც ფილოსოფიურს ბოლემისტს, მას სტანჯავდა ის აზრი, რომ მისი მოწინააღმდეგენი სელზე დაისვენდნენ ამ ფაქტს და მოელის მისის ფილოსოფიის წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. როგორც ფსიხოლოგი კი, იგი ამ გრელუს შემთხვევას აღტაცებაში მოჰყავდა, რადგან ამით მისი ფილოსოფიური ფორმულა მტკიცდებოდა, რომელიც ერთ თავისს წიგნში გამოსთქა. «ემაწვილი კაცი ეჩვეინობს და ჰკლავს», ასე სწერდა, «ეი ერთი დამამტკიცებელი ფაქტი კიდეკ, რომ ინსტიკტი დამსობისა და სიყვარულისა ერთსა და იმავე დროს იღვიძებს მამაკაცშიო»[8]).

ასასამართლოდან დაბრუნდება თუ არა სიქსტი, გრელუს დედა ეტყმა და მასვე ბრალსა სდებს: «ძან დაჭვარგა საწყენობა თქვენი და თქვენის ნაწერების წყალობით, ბატონო ჩემო», ეუბნება გაძწარებული დედა, «ის თქვენი მოწაფეა, თქვენ მისი მოძღვარი ხართ». ეხვეწება უშველოს, ეცადოს და დაუსსნას შვილი. ამასთან გადასტყმს ფილოსოფოსს გრელუს აღსარებასა. გაძწარებულმა დედის ნა-

[8]) იხილე ლიტრეს განმარტება სიყვარულისა მისსავე ლექსიკონში. ლიტრეც ხომ პოზიტივისტი იყო ტენის ჯგუფისა.

სკვამ, მისმა ტრემლებმა, მისმა მდუმარებამ ამ გამოთიტულის კაცის გულის სიღრმეში სულ სხვა სიმპატიური გრძნობები აშალა. ასლა კი იწყება სანა, როდესაც თავისი ბასუნის გება თანდათან ეზრდება თვალ-წინ. შიშითა და კრძალვით იღებს გრელუს აღსარებასა. ათასჯერ გადასდებს, განა თუ მარტო მისთვის, რომ გრელუ ესვეწებოდა, თუ კისმე ეტყვი, რაც აქ დაწერილია, მაშინ ნუ წაიკითხავ? არა. მას ეშინოდა, მარიალა არ გამოხენილიყო მისი გაგლენა ამ ბოროტ-მოქმედების ჩადენაში. გული უკანკალებდა, კი თუ გამართლდეს ის ბრალის-დება, რომელიც დღეს ორჯელ გაგიგონია. «ანგარიში ვერ მიეცა თავისათვის, ისე კი ძაგძაგებდა, მის სულის საღრმეში რაღაც არეულობა სდებოდა». დიდ ხანს იბრძოდა, პოლოს ფსიხიოლოგიურმა ცნობის-მოყვარეობამ გაიტაცა, და გადაშალა გრელუს «აღსარება ესლანდელი ყმაწვილი კაცისა». ეს ფატალისტიური მოთხრობა ამ სიტყვებით იწყებოდა. «დიდებულო მოძღვარო, თქვენსა და ჩემს—თქვენს მოწოფეს—შორის, რომელსაც ჭბრალდება უსაშინელესი დანაშაული, არსებობს კავშირი. ეს კავშირი მომაკვდავთათვის გაუგებარია, თვით თქვენც არ იცით, მაგრამ მე კი ვგრძნობ და იმასაც ვგრძნობ, რომ ეს კავშირი ისეთივე მტკიცეა, როგორც განუწყვეტელი. მე ვცოცხლობდი თქვენის აზრით. სიუკეთესოსა და დიდ-მნიშვნელოვანს დრამა ჩემის ცხოვრებისასა მე კიეკი გატაცებული თქვენის აზრებით, მე კიეკი მთლად გაყენთილი მით». სიზოგადად მოკლესათა შესწავლა და მათი ნამდვილი მიზეზების გამორკვევა ძალიერ ძნელი რამ არის. მაგრამ ეს სიბნელე ორკეცდება, როცა საქმე ესება სოციალურ მოკლენებს და განსაკუთრებით კაცის გულისა და სულის თვისებებს. აქ არავს დრამა არ არის ერთი მიზეზი ამა თუ იმ მოკლენისა, არის ათასი, ათი-ათასი და იმდენად ერთმანეთზე გადასლართული, რომ მათი გამორკვევა სანდასან შეუძლებელი სდება. რომ კარგად შეეიგნოთ გრელუს ტიპი, მისი ცხოველი სურათი, ამისათვის უნდა განვმარტოთ, რა გავლენაა ზედმოქმედებით გამოტეკრა ეს უცნაური კაცი. უმთავრესს ყურადღებას კი მიგაქცევთ აზრთა გავლენას, რაც მიზნად აქვს თვით რომანსაც. უკეე სომ ვიცით რაგვარი იყო სოციალური გარემოება, რომელშიაც გაიზარდა ვერნი, ლარშე და გრელუცა? ესლა სხვა მოვძებნოთ.

თვით გრეფუ უსვენებს, რომ მის ადგრდაზე დიდი გაკვლენა ჰქონდა შაარმოგვლობასს, რომელმაც ამ რიგად იმოქმედა მასზედ: მამა მისი იყო ინკისერი, ძლიერ უყვარდა მათემატიკური მეცნიერება და ნიადაგ შრომობდა მათემატიკის გასაგებულ თეორიებზე. მოკლებული ეოკვლნაიოს ფიზიკურს კარგიშსა, ის მხოლოდ აზრიო ცხოვრობდა, გრეფუსაც ბავშვობიდანვე საშინლად უყვარდა გასაგებული აზრები და ძალიანაც ეადგილებოდა გასაგებული აზრის წარმოთქმა; მასაც იტაცებდა ეოკვლიეე გონებრივი მოქმედება და კარგიშობა, ხოლო ფიზიკური მოძრაობა აზიზღებოდა. «მე საშინელს შიშსა ვგრძნობდი ეოკვლეკარი მოქმედებისადმი, იმოდესად მეკვარებოდა იგი, რომ ჩემთვის სიკვდილის მსგავსი იყო კისმესთან სადარბაზოდ წასვლა. წარმოიდგინეთ, ისიც კი შეზარებოდა, რომ კისმესთან მეგასსა, თუგინდ უქირურგასესი ჩემი აზრების დასაცველად». გასაგებულ აზრების კარგიშობის ნიჭთან, გონებრივი ცხოვრების წადილთან ერთად მან დაიმკვიდრა მამისაგან ამაყი სასიათი და სუსტი მუსკულები, რომელიც მისი ძარღვების ამადას ერთი ბეწო წინააღმდეგობასაც კი ვერ უწევდნენ. სძაგდა სულ მარტივი, უმტიერესი მოქმედება, მაგრამ აღვირ-წასხნილი და თავ-დაუკვებული სურვილები კი ჰქონდა, ისე რომ თუ რამე მოუნდებოდა, თავს ვეღარ მოერეოდა, რომ თავისი სისარბე ჩაეხუმბა. მოქმედების საძულვილის ბირდაბირი შედეგი იყო ისა, რომ მისთვის შეუძლებელი შეექმნა თავისს ენებს წინ აღდგომოდა. ბავშობიდანვე მასში იპოვიძებს ანალისტი (analyste) (მამისაგან გამოჰყვა ესეტ). უკვე დიდი სნიდან ამჩნევდა თავისს ორ-ბუნებოვანობასა. ერთი კაცი მასში დადიოდა, სჭამდა, სვამდა, ლაპარაკობდა, მეორე კი უტქვრდა ამ ცოცხალს კაცსა და მის მოქმედებებსა სჯიდა. ბავშობიდანვე უბრალო მოვლენას მასზედ უშველებელი შედეგი მოჰყვებოდა. სავმოა იყო ოდნავ მიჰკარებოდა რამ მის აკვადმყოფ გრძნობიერებას, რომ ის საშინლად აღელვებულიყო. წარმოიდგინეთ, რა ფაქტი ულვიძებს მას ამაყობასა, რა შემთხვევა არწმუნებს, რომ იგი და მასთან ერთად მოაზრე კაცობრიობა ოდიმეის ღმერთია, რომელსაც ნება აქვს დაცინვით და ზიზღით უყურაოს ქვეყნიერებასა. დედას საყდარში დაჰყავს ხშირად. მამა არ დადის ხოლმე. როგორც მოგასსენეთ, ბავშვობიდანვე ჩხრე-

კა-ძიებას მიჩვეული, გრეღუ იკითხავს მიზეზს მამა-მისის სიყვარულში უსიყრეულობისასა. დედა ეუბნება, რომ როგორც ბავშვსა, მას არც შეეფერის და არცა სწორია იტოდეს ეს მიზეზი. ამ სიტყვებმა ჩამოაშორეს მას საუკუნოდ დედა, მისგან რა, რომ დიდი მანძილია ამ ეულ-უბრუველო, მაგრამ უაზრო დედაკაცსა და მას შორის, რომელიც იძიებს ყოველივეს მიზეზს და შედეგს და სრულიად ვერ დაკმაყოფილებს თავისს კრიტიკულსა და ეჭვიან ნიჭსა ამგვარი პასუხებით— «რა საჭიროა კიტოდე» და სხვ. ამ სიტყვებმა დაანახვეს მას, რომ ჭკვას უმაღლესი—და უწყრეხინებულესთ ეოხებითა (მამა-მისი ითვლებოდა ერთ საუკეთესო მტოდნედ იქა) აქვთ ნება არ აღასრულონ ისა, რაც სხვებისთვის საკვლდებულოა. აქედან მან თავისი რწმენება გაძოიეკანა: «ერთისა და იმავე კანონს არ ექვემდებარებიან დიდი ჭკვისა და ეოხების მექონნი და უბრალო მამაკაცნი... რომ მოაზრეებმა არ უნდა მიიჩნიონ კანონად ის, რაც არის და კიდევაც უნდა იყვეს კანონი მათთვის, ვინც აზროვნებას მოკლებულია». თუ მამის თავისებები პირდაპირ გაღმოეტა, დედისამ კი წინააღმდეგ იმოქმედა მასზედ. ყოველი დედის თვისება ზიზღსა ჭვარიდა. დედა სულ სხვა ჯურის არსებად მიაჩნდა. ყოველთვის უმაღლავდა მას თავისს მოქმედებასა. თავდაპირველად უმაღლავდა, იმიტომ რომ ეშინოდა და ერიდებოდა და მერე კი ამაყობა ნებას არ აძლევდა მისი, კატობრიობის უმაღლესი ჯიშის, აზრები და გრძნობები ვიღაც უბადრუკისთვის გაეზიარებინა. «თუ ვერ ბედავ», ამბობს ის, «თავი აჩვენო ვისმე, მაშინ უნდა განცალკევდე და თუ განცალკევდი, მაშინ მაღე შენი თავის არჩევანა და ტრფიალებას დაიწყებ». ჯერ დედასა ეტყოდა ასე, მერე ამბანაგები და ოსტატიც კი აღარ დაინდო. მათგანაც განირჩოდა, მათზედაც მაღლა იდგა დავისი აზრით: «ვგრძნობდი, რომ მათგან განვირჩოდი ა რითა: მე მესმოდა მათი და მე კი მათთვის გაუგებარი რამ ვიყავი». ასე რომ მაღე თავისი თავის მეტი აღარავინ არაფერად მიაჩნდა, ამიტომაც სრული და უსაზღვრო ეგოისტი გახდა, რომელიც ენერგიულის ზიზღით და ჭედიდურებით ეჭცეოდა ყოველთა და ყოველივეს. ერთში მისდეკდა იგი მხოლოდ დედის რჩევასა. ეს იყო აღსარების თქმა. ის თითქმის გატაცებული იყო ამ მოქმედებით, რადგან «თავის შინაგანი თვისების ჩხრეკა და ძიე-

ბა შეადგენდა მისთვის ბავშვობიდანვე ძალიან სასიამოვნო თავის-შესაქცევსა». «ჩემი აზრისა და გრძნობის შიშითა და კრძალვით ძიებამ და ყურებამ, ჩემი შინაგანი არსების უფრო დაშალული კუთხეების გამოჩენამ იმოდენად გამიტაცა, რომ აღარაფერს ყურადღებას არ კაქცევდი. ჩემმა ანალიტიკურმა გონებამ ძლივს არ იშოვა სამუშაო საგანი!» ამ დროს ისეთ აღტაცებაში მოდიოდა და მერე ისეთნაირ დაღალულობასა. და მოდუნებასა ჭგრძნობდა თავისი ნერვეებისასა, რომ თითქმის ავადმყოფს ემსგავსებოდა, მაგრამ ამგვარი სარწმუნოებრივი მოქმედება უფრო ურწმუნოების მომასწავებელი იყო და მალე გაქრა, პირველსაკე შეტაკებისათანავე შეოლაში გაგონილს, ათეისტური ფილოსოფეების აზრებთან. ამ დროს კიდევაც დაკაკვტდება. თანამედროე ლიტერატურამაც დროზე მოუსწრო, მიუსესეს გონების ამშლელმა პოემებმა და სხვა მსგავსმა გაუღვიძეს მამაკაცის ინსტიკტი და ის პირველ შესვედრილ ქალთან დაიწერს კავშირსა, რომელიც შემდეგ აღარ შესწყდება. ასე მომზადებული იყო ეს კაცი ზნეობრივად და გონებრივად, როცა გადავიდა იმ კლასში, სადაც ფილოსოფიას ასწავლიან. სელში ჩაუკარდება სიქსტის თხზულებანი. ამ თხზულებათ მის აზრთა დენაში იგივე გაგლენა იქონიეს, რაც მიუსესეს ლექსებმა მის ფიზიოლოგიურს თვისებაზედ. «თქვენ დაინახავთ», სწერს თავის აღსარებაში ისა, «რა რიგად შეავდგინე მე თქვენის ნაწერებიდან სრული ეტიკა, რომელმაც დაწყო სხვა-და-სხვა არეულ-დარეული ელემენტები ჩემს გარეშემო». სიქსტმა დაუმტკიცა, რომ ყოველივე აზრი შესახებ პირველი მიზეზისა არის შეუსაბამო და უგუნურება: მისმა ფილოსოფიამ ამცნო, რომ ღმერთი არ არის. «მე რაღაც ფიზიკურს სიხარულსა ვგრძნობდი», ამბობს ის, «როცა თქვენი წიგნებით სალხში ვარღვევდი მთელს შენობას სარწმუნოებისასა, რაზედაც აღვიზარდე». მან დაუმტკიცა, რომ ჩვენ არ ძალ-გვიძს ჩვენის პირადობის, ჩვენის არსების გასშორებაზ, რომ ყოველივე კავშირი ორ არსებას შორის ილიუზიაზეა დამყარებული; თავისი ორბუნებოვნობა მას ეგონა გულწრფელობის ან-ქონის მიზეზი, მაგრამ სიქსტმა დაუჯერა, რომ ეს შთამომავლობის ბრალია. მან მისცა ეს საზარო სიტყვები გრელუს სელში, რომელითაც სელმძღვანელობდა

მთელს შემდეგს მოქმედებაში: «ყოველი სული მეცნიერმა უნდა მიიჩნიოს, როგორც ბუნებისაგან გაჩენილი ექსპერიმენტი, აქ ექსპერიმენტი ზოგი სასარგებლოა საზოგადოებისთვის და მაშინ წარმოსთქმენ ხოლმე სიტყვას—«სათნოება», ზოგი'კი მისთვის მაგნებელია და ამას აღნიშნავ სიტყვით—«ბიწიერება» ანუ დანაშაულობა. ამ უკანასკნელთ ყველაზედ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ და მეცნიერებას მოაკლდებოდა ერთი უსაკირესი ელემენტი, რომ, მაგალითად, ნერონი ან რომელიმე ტირანი იტალიაში XV საუკუნეში არ დაბადებულიყო!» გესმით ესა თუ არა? დაგანებოთ თავი ზნეობრივი სიტურფის მოთხოვნილებასა, სარწმუნოებასა და სხვა ამ გვარებსა, რომელთანაც მეცნიერებას სელი არა აქვს. ვეიდოთ მეცნიერებისაგან აღიარებული უტილიტარული თეორია. ეს მაინც უნდა იყოს მიჩნეული საკირად, რაც საზოგადოებისათვის სასარგებლოა, რაც სასარგებლოა გვარისათვის. სიქსტი კი არც ერთს ამას ეურადღებას არ აქცევს. კაცი, საზოგადოება, ყოველივე გასძეებულია და საუკეთესო ქურუმს მეცნიერებისას წამოუყენებია რაღაც აბსტრაქტია, მეცნიერება, რომლის გამოსაცდელად უფრო საკირო ნერონი, სიანამ იესო ქრისტე, ამისთვის, რასაკვირველია, უნდა ეცადოს ნერონების გამრავლებასა. მეცნიერება მაშინ არის კარგი, მაშინ არის სანატრელი, თუ იგი ემსახურება კეთილობრიობასა, თუ იგი ესმარება და შეელის მისის მატერიალურისა და სულიერის მოთხოვნილების დაკმაყოფილებასა, თორემ მეცნიერება—მეცნიერებისათვის, სულოვნება—ხელოვნებისთვისა—ეს სწორედ უაზრო რამ არის. მაგრამ სიქსტს ოცი და ოც და ათი წლის განუყენებულმა ცხოვრებამ სრულიად გადააკეთა კეთილობრიობა. ის იჯდა თავის ოთახში, რომლის სარკმლიდან მხოლოდ ცა თუ მოჩანდა, სწერდა ასეთს საშინელს სიტყვებსა და ის კი არ იცოდა, რომ ეს თეორიები, ცხოვრებაში ისეთივე სისასტიკით გაუკანონლნი, როგორც ქალაღდზე დაწერილია, ისეთს რამეს მოახდენდა, რაც თვით სიქსტს გონებას აურევდა. ამ ფრაზას მან შესწირა ექვსი და შვიდი სტრიქონი და ერთი ნაფლეთი ქალაღდი. გრეღუმ კი, რომელიც ცხოვრების შუაგულში დატრიალებდა, სამი და ოთხი ადამიანი შესწირა მას და ზედ თავისი თავიც გადაატანა. სწორედ ამ ეტიკეთ აღჭურვილი გრეღუ ჩაკარ-

დება მარკიზ დე ყიუსსას ოჯახში და აი აქ ეოკელ მის საზიზღარსა და საზარელს მოქმედებასა ხსნის სიქსტის თეორიებით. დაინახავს თუ არა მარკიზის შვილს ანდრეს, შეეზიზღება და ეს ადგილი გასაგებია, თუ სულს სულთან თვისტომობა აქვს, უთვისტომობაც ექმნება და ამათთანა უთვისტომონი ერთად მგონი არასოდეს არ შეერიღანან. ანდრე იყო ომში გამოჩენილი ძამაცი, ენერგიით სავსე სამხედრო კაცი, რომლის სიტყვა—საქმე იყო, რომელიც სულ მოძრაობდა და ძალიან ცოტას კი აზროვნებდა, ერთის სიტყვით, დამჯდარი ბუნება იყო. გრელუ კი უარმყოფელი ეოკელიგე ფიზიკური გარჯისა, მარტო აზროვნებას შესტრფიალებდა. მგონი სულის თქმაც კი ეზარებოდა, რადგან მოძრაობა იყო. მისი მოძრაობა, მისი საქმე—აზროვნება იყო. თანაც დამამსობელი ნიჭიერისტი იყო. აქ ცხადია, რად არ მოეწონა მას ანდრე. განა ზიზღით ეურება და სიძულვილი კი სრულიად საჭირო არ იყო. მაგრამ წარმოვიდგინოთ, როგორც აკადემიური გრძნობის პატრონს არ მოეწონა. და კიდეგეც შეეზიზღდა. მასზედ ხომ ეოკელსაგე გარდამეტებული გაგლენა ჰქონდა. ამის მეცნიერულად ახსნა და მით ამაყობა სრულიად უსაფუძვლო და უმნიშვნელოა. ამ ფიქტში ის სადავი ატავიზმია. აი როგორ: თეორმე ყიუსსა ეკუთვნის დამმარცხებელი რასა-სა და თვით გრელუ კი დამარცხებული. რასაკვირველია, დამარცხებულთ სძაგთ დამმარცხებელნი. გრელუს, როგორც ჩამომავალს პირველთა, ატავიზმის მიზეზით შესძულდა უკანასკნელთა ჩამომავალი. ძალიერ ორგინალური და გაბედული ახსნაა, მაგრამ ძალიერ ცოტა მეცნიერება კია აქვ. ატავიზმი, მემკვიდრეობა—ეს ჭიშტეზა არის, და ასეთს სიმკაცრეს ხომ, როგორსაც ამლეკს გრელუ, მათემათიკური კანონებიც კი მოკლებულნი არიან.

მარკიზ დე ყიუსსას ქალის სილამაზე მოსაბეზრეს მასა და გაუღვიძებს მხეცურს გრძნობებსა, ისა ჭვრძნობს მისდამი მხოლოდ მხეცურს მიმზიდველობასა, მაგრამ, არა, აქაც მეცნიერება უნდა მოეხმარა. განა ეკადრება გრელუსა, ინტელექტუალისტსა რაიმე მოიქმედოს ისეთი, რაც სხვა-და-სხვა მეცნიერულს თეორიებზე არ იყოს დამყარებული? «მე გადაეწყვიტე»-ო—ამბობს ის,—«სრულიად გულ-გრილად ამ ქალის მოხიბვლა, ისეთომ არც კი მეკარებია, მხოლოდ ფსიხოლოგიურის

ტნობის-მოყვარეობისათვის, უბრალოდ, თავის შესაქცევად, რომ მეთამაშებინა ეს გულ-უბრყვილო სუდი და მე კი შორიდან მეკვრიტა ამ ენებათა-ღელვის მესანიზმისათვის, რომელსაც დღევანდელ დღემდინ მხოლოდ წიგნებიდან თუ სწავლობენ. მხოლოდ ერთი სურვილი მიტანებდა მე, გამემდიდრებინა გონება ასალი გამოცდილებით... დიაღ, მე ასე მსურდა და არც შემეძლო, რომ ასე არა მსურვებოდა, (მოიგონეთ დე-კერნი) რადგან მემკვიდრეობამ და აღზრდამ ისეთ კაცად შემქმნა, რომ იმ წრეში, სადაც მე ჩავვარდი შემთხვევის წყალობით, საშინელის ზიზღით სავსე გულით იმ ჩემს მოწინააღმდეგე ემაწვილ-კაცისადმი, სწორედ ასე უნდა მოვქცეულიყავ»... «შეიძლება მოხიბლის წადილში იმალებოდა ზორორტი წადილი ამ ჯარის-კაცის დამცირებისა, ამ კეთილ-შობილი კაცისა და ამ მორწმუნეს წმიდათა-წმიდის შებღალვისა». ეს, რასაკვირველია, ერთი მიზეზთა-განია იმის მოქმედებისა, ისე, როგორც «ზარლოტას რომანტიული სიტურფე», ისე, როგორც ბირადად მისი გაცვეთილობა და გარეგნილობა. გასაკვირველია, ამბობს ის ერთ ადგილას, თუმცა ზიზღით ეუფურებ რეკოლიუციის დოქტრინებსა, რომელნიც ჭეარავენ უფერულის სპირიტუალიზმის დოქტრინებსა, მაგრამ ჩემში ბლებეისა ვსვდებიო, როცა წარმოვიდგენდი ხოლმე, რომ შესაძლებელია მე, შვილის-შვილმა მიწის მუშათა, მიეღწიო და მოგსიბლო შვილის-შვილი დიდი მებატონისა მხოლოდ ჩემის გონიერების ძალითაო. ამ დღიდან თავისი მოქმედების გეგმას, «ფილოსოფიურს ტექსტებზე დამყარებულსა», დიდის გულ-დასმითა და ენერგიით ასრულებს. არ ზოგავს არც სიცრუეესა, არც ორპირობასა, არც ფარისეულურს ცრემლებსა, რომ გამოიწვიოს შარლოტას გულში ჯერ-ჯერობით მარტო სიბრალული. მან კარგად იცოდა, რომ სიბრალული ასეთის ქალის გულში დასაწყისია და წინა-მორბედი სიყვარულისა. უნდოდა თავი შეეცოდებინა და ამით შეეყვარებინა თავი. განა სიქსტის თეორია რას ეუბნებოდა? «სიბრალულში არის ფიზიკური ელემენტი, რომელიც განსაკუთრებით ქალებში სქესის გაღვიძებასთან ერთად იბადება». შემდეგ ისა ცდილობს აკითხოს შარლოტას ისეთი წიგნები, რომელნიც ხელს შეუწყობენ მის კარებათა-ღელვების გაღვიძებასა. ბოლოს იქამდინაც მიაღწევს, რომ ტყეში ერთხელ თავ-

დავიწყებულს ქალს ტუჩებს ჩაუგოცნის. საქმე სერიოზულს მიმართულებასა ღებულობს, გრელუს კი ეს არ შეაწერებს. ამ ქალის უბიწოება, მისი პატიოსნება და ანგელოზური თვისებანი, თუ სანდასან რაიმე პატივისცემის მსგავსს გამოიწვევენ მის გულშია, თავს ასეთი სიტყვებით დაიმშვიდებს: «თითქო არ ვიცოდე, რა ფასიცა აქვს სიტყვას—«პატივისცემა», რომელიც ჩვენი უგუნურების ნაყოფია. ნუ თუ პატივსა-ვცემთ იმ მოთამაშეს, რომელიც ათჯერ იგებს რულეტკაზე? მაშ, ამ ქვეყნის დატარიაში კეთილი და ბოროტი იგივეა, რაც რულეტკის წითელი და შავი. პატიოსანს ქალიშვილსა და იღბლიანს მოთამაშეს ერთი და იგივე ღირსება აქვთ». შარლოტა კი პირველი დამარცხების შემდეგ გონს მოდის, ხედავს—თუ რა დიდი ზღვარი უძევს შუაში მასა და გრელუსა. ხედავს, რომ შეუძლებელია მათი შეუღლება, რომელსაც ყოველნაირად წინააღუდგებიან მშობლები და განსაკუთრებით ძმა. ნერვებ-აშლილი, თითქმის ავადა სდება და მიჭყავთ პარიჟში. ბევრსა სწერს გრელუ, მაგრამ პასუხი არ მოსდის. გრელუმ კარგად იცის, რისთვის წაიდა შარლოტა პარიჟში, კარგად იცის, რა საშინელი ბრძოლა არის მის გულში ატეხილი. თვითონაც საშინლად იტანჯება. ხანდახან მისი სეკდა შეუკარებულის სეკდას მოგაგონებთ. უნდა დაგვაჯეროს, რომ მხოლოდ «აზრით იტანჯება», მაგრამ გულითაც სენეშის და ოსრაგს. მას აწუხებს, ბრაზსა ჭვერის ამ ქალიშვილის სულიერი ძალი. ერთ დღეს მარკიზს წერილი მოუვა, სადაც ატყობინებენ, რომ მისი ქალიშვილი სთხსმდება გაჭყვეს ცოლად ანდრეს მეგობარსა, რომელსაც უწინ უარი უთხრა. გრელუს სიბრაზეს საზღვარი ადარა აქვს, მისთვის ყოველივე დაკარგულია. მაგრამ ბედიც თითქო ეხმარება. მისი შეგირდი ავად გახდება და შარლოტა დაბრუნდება სოფელში. გრელუ მაინც ვერაფერს აწყობს. მაშინ უკანასკნელ ხერხს იგონებს, სწერს შარლოტას, რომ გადასწყვიტა თავის მოკვლა. ამ კარდაწყვეტილებაში სიწრფელის ნაწილიც ერია, ასე გასინჯეთ, საწყალსაც კი მოაქმნადა; თვითვე ამბობს, რომ ამ ხანში ჩემი თავისა არა გამეგებოდა-რაო. დანიშნულს დროზე გულის-ცემით უცდის შარლოტას შემოსვლას. კარგად იცოდა, გამოანგარიშებულიცა ჭქონდა, რომ კარდაწყვეტილება შარლოტას მიიყვანდა მის ოთახში.

გულ-ტკბრუკეიდო ქალი, დარწმუნებული, რომ გრელუ მართლა მოიკლავს თავსა, თვითონაც გადასწყვეტს თავის მოკვლას. გრელუ ემუდარება, რომ დაიმაუოთეიდონ მაინც თავიანთი გული ერთმანეთით, რაკი სიკვდილი გარდაწყვეტილი აქვთ. როცა შარლოტა ამაზე დაეთანხმება ჯ ერთად სიცოცხლის მოსპობის სურვილს გამოუცხადებს, ისიც შეჰფიცავს: «ოს! მოკვდეთ ერთად, უთუოდ მოკვდეთ ერთად, გეფიცები, რომ ჭო!» მსუტური სურვილების დაკმაუოფილების შემდეგ გრელუ გამოფსიზლდება და სულ სხვა ჭანგზე დაუწყებს ბაასს შარლოტასა და არა თუ თვით არ იწამლავს თავსა, მასაც არ დაანებებს-კამწარებული და გაბრაზებული შარლოტა გარედ გამოვარდება ამ სიტყვებით: «უპატიოსნო, ფლიდო და ბინძურო კაცო!» ამას შემდეგ გრელუ არ შეიკდიმებს და კიდევ სდევს შარლოტას. ეს კი დღეიდან მეკვდარია. მაგრამ მისს პატიოსნებითა ჯ სათნოებით საკუ გულსა ჯერ კიდევ ვერ დაუჯერებია ასეთი სიბინძურე კაცისა. ის ამ ურიგო ქცევას ჩაიდენს, რომ წინაღმდეგში დარწმუნდეს: გრელუს ჭეშმდა დღიური, რომელზედაც შარლოტას თვით მისგან გაუგონია, ქალი შეპარება მის ოთახში და გადაიკითხავს დღიურსა. იქ ნახავს, თუ რა აზრითა და გრძნობით გატაცებული მისული მასთან გრელუ და სასოწარკვეთილი ქალი თავს იწამლავს. მაგრამ გრელუს რა უჭირს? ის ოკეანეთვის იშოვის თავისს გამამხნევებელსა და მანუგეშებელს თეორიებსა: «თქვენ კარგად იცით», სწერს ის ადსარებაში, «ფატალურად აუცილებელი იყო ჩემი ასეთი მოქმედება, სიზიგიდოებას კი სიცრუვითა და ორპირობით შეზაკეშულს ჭესურს იცხოვრო თვინიერ მეცნიერებისა—იმ მეცნიერებისა, რომელიც ერთად ერთი სულ-მძღვანელი იყო მთელს ჩემს მოქმედებაში». ის სანდისხან თავისს თავს ამგვარ კითხვასაც კი მისცემს: «ეგელოფერი ეგელოფერია, მაგრამ გაქვს კი უფლება მოაქტე შარლოტას, როგორც უბრალო საკანს შენის აქსპერიმენტისას?» ამაზედ სპინოზა ეუბნება: «ჩვენის უფლების საზღვარი ჩვენი ძალი და ღონეა». გადაშლის სიქსტის «ენებათა თეორიასა» და ამოიკითხავს: «ბუნების კანონი ითხოვს, რომ ყოველივე არსებობა იქმნეს ძალით მოპოებული, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ძალიერისაგან სუსტის დამარცხების შემწეობით. ამ კანონს ეკვემდებარება, როგორც მორალური, ისე ფიზი-

გური მსარე ჩვენის ცხოვრებისა». «არის მტანჯებელი სულია», დასძესს გრელუ, «როგორც მტანჯებელი მგელი, კეფაში და არწიგი. მე კარ მტანჯებელი სულია, დიაღ, მტანჯებელი სულია». ეს ეგვლა გრელუს ჯურის კაცების გამამართლებელია. ამასვე ამბობს დე-კერნა, მაგრამ თვითვე ‖ გრძნობენ, რომ ძალიან სუსტი საბუთია, და ერთი რამ, რაც საბრალულს გვიბადებს ამგვარი კაცუბატონებისადმი ეს კიდევ ისაა, რომ მათ აქვთ ჩარჩენილი გულში «რაღაც», რომლის ამგვარის საბუთებით მოტეუება და დაბეჯითება არ შეიძლება. თვით ამ გვამის ვინითა და სისასტიგით გამეორება, რომ ჩვენ მტანჯებელნი ვართო, ამტკიცებს, რომ მათ ეს შეიძლება გონებით სწამდეთ, მაგრამ მთელი მათი არსება კი ვერ დაუჯერებიათ. განა ვამბობთ ჩვენა, რომ დღე—დღეა და ღამე—ღამე, რომ ჩვენ ორი თვალი გვაქვს და ერთი ცხვირი? თუ რამეში სართ დარწმუნებული, მას ასჯერ და ათასჯერ გამეორება აღარა სჭირია. ეს ასე მოუხდა დე-კერნს, ასევე მოუხდა გრელუს. მის აღსარების თავში ამ გვარ სიტეკვებს შეხვდებით, დეტერმინისტურ თეორიას გამოსთქვამს და მერე დასძენს: «კაჰმე, რომ ამ აზრს ასე მკაფიოსა და ასე ნათელს ჩემთვის, როცა რიგიანადა ვსჯი, ვერ ძალ-უძს მოსპოს ჩემში ერთგვარი უცნაური ტანჯვა, რომლითაც იკვნება ჩემი გული, როცა მაგონდება ჩემგან განვლილი საშინელი დრამა, როცა მაგონდება ჩემი მოქმედებანი ზოგნი ნებსითნი და ზოგნი უნებლიეთნი... მე გამრიეს ეიუსას ქალიშვილის მოწამეობაში, მტანჯავს სვინიდისის მხილება, მაშინ როდესაც ჩემგან ადიარებული დოქტრინები, ის ჯეშმარიტებანი, რომელნიც ვიცი და ის რწმუნებანი, რომელნიც ჩემს შინაარს შადგენენ, მიმტკიცებენ, რომ სვინიდისის მხილება უშინაარსო ილიუზია რამ არის. მაგრამ ამ რწმუნებათა ვერ ძალ-უძთ მომიპოვონ ჩემი ჩვეულებრივი, ნამდვილი სიმშვიდე. ის, რაც თავს მიაჩნია ჯეშმარიტებად, გულს მიაჩნია სავეჯოდ». რა კარგია ეს უკანასკნელი სიტყვები! მაშ ეოფილა რაღაც, რაც მარტო გულის სამეუფოს ეკუთვნის განსაკუთრებით? მაშ ეოფილა გრძნობა, სვინიდისი, სვინიდისის მხილება და ესეც შეიძლება იმ დეტერმინიზმის კანონს ეჰქვემდებარებოდეს, რომლითაც გრელუ უწინ თავისს გულის სიმრავლეს ხსნიდა და ამართლებდა? მართლაც, თუ კი რამე აუცილებელი, კა-

ცის გულიც აუცილებელია, და ტკბილად ეცდება ვინემ განაშოროს იგი კაცსა, უკედ კოძვათ, ბუნებასა. გრელუმ კი დიდი სანია უეურადღებოდ დასტოვა ეს ერთი მხარე კაცისა, დიდი სანია გული საპურობილეში ჭეკედა. ესლა მასაც მოუკიდა დრო და იმდენად სტანჯავს მას, რომ თავისს მოძღვარს ემუდარება უშველოს: «თქვენს ხელთ არის ჩემი შველა, დამიხსენით, დიდებულო მტოდნე კაცის სულის აკადმოფობისა, გაიმეტეთ ჩემთვის ერთი სიტყვა და ამისსენით, რის ახსნაც ვერ მოვიხერხებია. დამანასკეთ, რომ არა ვართ საშინელება. მომაწოდეთ სიტყვა, რომელიც ღუზად ექმნეს ჩემს არეულ-დარეულს გონებასა, სიტყვა მომაშველეთ, სიტყვა, რომელმაც დამიმტკიცოს, რომ ამოდენი ხნის განმავლობაში არა ვცდებოდი მით, რომ მიკვეადლე ახალა რწმენებასა გულწრფელი არსების სრულის ძალითა და ღონით. და ბოლოს, ჩემო ძვირფასო მოძღვარო, ერთობ უბედური ვარ და საწყიროდა ვხდი ჩემი უბედურება გაგაგებინოთ. მაშ ვისკენ მივიქცე, ვის მივმართო, თუ არ თქვენა, მე ხომ წარმოდგენაც არ შეიძლია, რომ ვინმე გამიგებს იმ ფსიხოლოგის მეტი, რომლის მოწაფეცა ვარ». ამგვარიგე კვნესით ათავებს ალსარებასა. ის რამოდენიმე სტრიქონი, სადაც საშინელის ტანჯვით ემუდარებოდა მოძღვარს შველას, საკესა ისეთის ჭეშმარიტებით, ისეთის სინამდვილით კ კაცის ისეთის ღრმა ცოდნით, რომ მსგავსს ძვირად შესვდებით ლიტერატურაში: «სიხუმე მარჩობს, მეტი აღარ შეიძლიან, რაღაც სიმძიმე მაწევს გულზედ და სულს მიხუთავს ოკეელს წუთში... მტანჯავს სვინიდისის მხილება. მე მჭირია ვინმემ გამიგოს, მანუგეშოს, სიყვარულით მომეპყრას. მე მჭირია შემბრალებელი და მანუგეშებელი ხმა, რომელსაც შეეძლოს განაბნიოს ეს ღანდები, რომლებიც წამდა-უწუმ თვალ-წინ გამირბენენ ხოლმე და მიტანჯავენ სულსა და გულსა... მომწერეთ, მიწინამძღვრეთ, ძვირფასო მოძღვარო, განმიმტკიცეთ ის რწმენება, რომელიც იყო და ესლაც არის ჩემი რწმენება. დამაჯერეთ, რომ არის მსოფლიო აუცილებლობა, დამაჯერეთ, რომ ჩვენი უსაზღვრესი და უბოროტესი მოქმედებანი აუცილებელი შედეგია მსოფლიო კანონებისა, დამაჯერეთ, რომ თვით ეს გულ-გრილად შედგენილი და ალსრულებული გეგმა მოხიბვლისა, თვით ჩემი სისუსტე სიკეთილის ალთქმის წინ, აუცილებლად დაკვ-

შირებულნი იყვნენ ამ მსოფლიო კანონებთან. მითხარით, რომ მე არა კარ საშინელი არსება, რომ არამც თუ მე, საზოგადოდ არ არის საშინელება, რომ თქვენ კიდეკ მიმიღებთ მოწყალედ, თუ ამ საქმეს გადაგურჩი. განა ექიმი რომ იყოთ და თქვენთან დაწერილი მოკიდეს, არ გამოიჩენთ კაცთ-მოყვარეობას და არ შეუგრავთ წერილობასა? მაშ თქვენ აგეთიკე ექიმი სართ, დიადი ექიმი სულისა. კაჭმე, ჩემს სულს ღრმა წყლული აქვს, იგი სიასლისაგან იცლება. მე თქვენა გთხოვთ ერთს სიტყვასა, რომელმაც შემიმსუბუქოს ტკივილი, მხოლოდ ერთი სიტყვა მითხარით და საუკუნოდ კურთხეული იქმნებით თქვენის მოწყალისაგან». ეს გულის სიღრმიდან ამოსკვნილი სიტყვები ძლიერ დიდ-მნიშვნელოვანია. მხოლოდ ამათ შეეძლოთ სიქსტისათვის ბასუსის-მგებლობის აზრი ჩაეწვეთებინათ ყურში, და იმგვარად, რომ საუკუნოდ მისგან დატანჯული უნდა დარჩენილიყო. იგი ჩასწვდა მას გულის სიღრმემდის და ძალზედ შეანძრია. მარტო იმ სიტყვებმა, ს�ა გრელუ მასთან კავშირზე ამბობს, ანძაგძაგა ფიდოსოფოსი. ყრუანტელი დაუვლიდა სოლმე თავიდან ფეხებამდე, როცა მის ან მისი თხზულებების სასელს შეხვდებოდა ხოლმე ამ აღსარებაში, რადგან მთელი აღსარება უმტკიცებდა, რომ ამ საზიზღარ, ბოროტ-მოქმედ, მომსიბლველს ნება ჰქონდა ეთქვა მისთვის შენი მოწყალე კარო. რამდენს გადაშლიდა აღსარების ფურცლებს, იმდენად უფრო და უფრო რწმუნდებოდა, თუ რა საშინელს მოქმედებებთან არის დაკავშირებული მისი საუკარელი იდეები, მისა საუკარელი მეცნიერება. მერე ტუუილა კი არ იყვნენ ნასსენები. თავში სატეში ის არის, რომ გრელუ ამ თეორიებს სთელიდა თავისი დანაშაულის შემამსუბუქებელ გარემოებად. მერე რა უცნაურისა და საშინელის მოქმედების მიზეზად რაცხდა მათ! «რამდენსაც უფრო კითხულობდა სიქსტი აღსარებასა, იმდენად უფრო ჰგრძნობდა, რომ მის შინაგან არსებას რაღაც ტალანსი და ჩარქი ეცხობოდა, რაღაც უცნაური სნეულება ედებოდა, რადგან ამ უმაწვილ-კაცში თავისს თავსა ბოლოდობდა, «თავისს თავსა, რომელიც რაღაცა საიდუმლოების მიზეზით, ასეთს, მისთვის უსაზიზღრეს, გრძნობებში გაერიათ». თურმე ეს განუკეთებული კაცი, ქვეყნისაგან წასული და დამალული, მარტო ქალაქზე იყო ურ-მეოფელი. გამბედავსა და მოუდრეკელს

ინტელექტუალურ ნიჭიერებისტში ოერძმე კეთილ შობილებით სავსე, გულ-უბრალო კაცი იყო დამალული, მაშინ როდესაც, «ეს სასაარელი ამბავი სასიხარული მოსიბვლისა, ბნელით მოცული დალატისა, მელანსოლიური თავის-მოკვლისა მას თვალ-წინ უსტავდა მის ანარს, გაძრეულსა და მატდურსა და თვითონ კი ცხოვრობდა თავ-განწირულებითა და იდეალურის უბიწოებითა». რა საშინელი რამ არის ამ საბრალო კაცისთვის ის ფიქრი, რომ ოცისა და ოც და ათის წლის შრომამ და ტანჯვამ ამ რიგად ბაუარა. ამდენი ხანი შესწირა მან თავისის იდეალოფიას და რა საყოფი გამოიღო მან?— გრეტუ, რომლის ალსარებამ თავზედ მესი დასცა სიქსტუსა. ეს ალსარება იყო «უტეუარი და სამდვილი, როგორც თვით ცხოვრება, საბუთი, რომ მისმა ნაშრომმა მოწამლა სული, რომ მის თხსულებაში იყო სიკეკდილის ბრინტიბი, რომელსაც ვერ ელებს ერთ ეკუნის ერთის გუთსიდან მეორემდინ. ეს! რა საშინელი ტანჯვაა, რა ლრმა ჭრილობაა, თუ გინდა ეს ტანჯვა და ეს ჭრილობა ერთი საათის მეტი არ გაგძელდეს». რვა დღე იყო ამ ტანჯვაში ეს დიდებული, მაგრამ უბედური კაცი, რვა დღე გალიუტინაციების მეფლობელობაში იყო, ნიადაგ, ოთეელს წუთისა და წამში მას წარმოუდგებოდა მოწამე, რომელიც ამ საშინელს ოგრაბას ბასიმასოდა ეურში, საყვირის მსგავსის ხმით: «მე გცხოვრობდი თქვენის ანარებიო, დიალ, თქვენის ანარებიო გატაცებული ბეში არსება მისი ეურ-მოჭრილი ეამ იყო». ეს იყო მისთვის ეველაზედ ეფრო ეძლეველი საბუთი თავისი დანაშაულობისა. როცა გამომძიებელმა ეთხრა რაღაც მის ზნეობრივ ბასუხის-გებაზე, ზიზღით შესედა. დატანჯულის დედის ცხარე სიტყვებს დინჯი ბასუხი ეგო. ეს სიტყვები კი მას აბრაზებდა, გულს ეწყლავდა და გონებას ურეკდა. მართალია, გრეტუ, როგორც ფსიხოლოგიური ნიადაგი, ეკვე მზად იყო, მას ბუნება გარეგნილი ჭქონდა, მაგრამ სიქსტის თეორიებმა ალმოაცენა ამ ნიადაგზე საშინელი, სიკეკდილის გამომძლებელი მცენარე. ჭეარმნობდა რა-ამას, ეს «ეარ-მეოფელი ეოკეკლგეარი მორალური თვისეიფლებისა, ეს ფატალისტი, რომელიც ბიწიერებასა და სათნოებას ნაწილებად შლიდა ისეთის სიმკაცრით, თითქო ქიმიკოსი იყოს და ღაზს ანაწილებდესო, ეს თამაში წინასწარმეტყველი მსოფლიო

მესანიზმისა, რომელიც აქამდის ეოკელოგის ჭეშმარიტობდა სრულს ჭარმონიას გულსა და აზრს შორის, იტანჯებოდა ტანჯვით, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა მისგან აღიარებულს დოქტრინებსა... მას სვინიდისის მსიჯლება სტანჯავდა, იგი თავისს თავს ეუბნებოდა - მგებლად რატომ! » როგორც მოგეხსენებათ, სასამართლოსაგან გამართლებულს გრელუს, ხნდრეს დამბასა მიანიჭებს სამართალსა. ი აქ იმის ტხედრის წინ მთავრდება მთელი ტანჯვა სიქსტისა, ეს ტანჯვა უფრო რბილდება, უფრო კდემებასა და შენანებაში გადადის და სასინელი სევდა, რომელითაც მოტეულია მისი ბუნება, გვარწმუნებს, თუ რა დიდ დამსაშაკედ მიაჩნია მას თავი. დიდი ჟარმოფელი უეურებდა მხურვალე და მომტირალს გრელუს დედასა, ხედვიდა სტოლზედ დასვენებულს თავისს მოწყალეს, რომელმაც სუკუნოდ დაიძინა, და ეიერველად თავისს სიტოტხლეში იგრძნო, რომ მისი ყოველის შემძლები გონება და აზრი კელარ იკეკებს მას. ეს კაცი, რომელის ლოგიკის ძლიერება და სისასტიკე, რომლის თამამობა და გაბედულება უფრო მწვავე კითხვებში უბრალო მომაკვდავთაგან განარჩევდა მასა, მორჩილად თავს იხრიდა და მუხლებს იყრიდა ამ სიდუმლოების წინაშე. «ერთად-ერთი ლოტვის სიტყვები აგონდებოდა, — მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა — რომელიც ენაზე ადგებოდა». — როცა დედა წამოდგა, დაინახა, რომ ეს კაციც ტრემლებსა ღვრიდა.

სიქსტის სულის მოძრაობის აღწერა გვახვენებს, რომ იგი ჭეშმარიტობს თავისს თავს დამნაშაკედ. სვინიდისის ქეჯნა უწინ, მორჩილი თავის მოდრეკა ტხოვრების სიდუმლოების წინაშე და ტრემლები გრელუს ტხედართან დახთხეულნი გვიმტკიცებენ ამასა. სასოგადოება ხომ გამომძიებელის, გრელუს დედისა და და მარკიზის ოჯახობის პირით მას ხდის ეასუხის - მგებლად. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ ბეკრს კიდეკ არ მაჩნია ეს ფილოსოფოსის ეასუხის-გება სათლად გამორკეული და მრავალს მწერალს სხვა-და-სხვა აზრი წარმოუთქმეია. ბურეუს გამოურკვეველობამ აქტ იხინა თავი. ტნო-

ბილი სოფრასგეთის ფილოსოფოსი � 9), თუმც თვითონ კი ხდის ფილოსოფოსებსა და მეცნიერებსა ბესუხის-მგებლად, თანახმაა, რომ «ნაყოფთა სამე მათთაგან იცნობიან ხენი», მაგრამ ბურეკეს რომანში კი ამ კითხვას ვერა სედავს ნათლად გამორკვეულს. თუ უნდოდა ეჩვენებია თეორიების გაკეთება კაცზედ, მაშინ ბურეკეს გრელუ ბუნებითად გაფუჭებული და სულით ავადმყოფი კი არ უნდა გამოეყვანა, არამედ ისეთი, რომლის გარეგნის ძიზეზი მარტო აზრი ყოფილიყოო. ბრუნეტიერიცა ხდის კაცთა აზრის მზრდელთ ბესუხის-მგებლად მაგნე აზრის გაკრცელებისათვის და ფიქრობს, რომ ბურეკემაც ნათლად გამოსატა ესა. «ის ფილოსოფოსნი», ამბობს ბრუნეტიერი, «რომელნიც ბედვენ ყოველივეს შეეხონ, ყოველივეს დაეტაკონ და ყოველივე უარჰყონ, ისეთივე დამნაშაენი არიან, თუ არ მეტად, როგორც გრელუ. ნუ მეტყვით, რომ მეცნიერი თავის ლაბორატორიაში და ფილოსოფოსი თავის კაბინეტში სრულიად არ აქცევენ ყურადღებას მისა, თუ ბრბო რა აზრს მისცემს მათ თეორიებსა და მათ მეცნიერულს გამოკვლევებსაო! კმარა, ბატონებო, ამის დაბარაკი, დროა ეს ინდიფერენტიზმი განვაქოთ. მეცნიერნი ბესუხის-მგებელნი არიან მათის ნაწერებისათვის».

სრულიად წინააღმდეგი შესედულებისა არიან რუსის მწერლები (მიხაილოვსკი, არსენიევი) და საფრანგეთის ზოგიერთი კრიტიკოსები (ანატალ ფრანსი). არც ერთს მათგანს არ მიაჩნია ბესუხისგება მეცნიერთა საფუძველიანად, წინააღმდეგ, მიაჩნიათ იგი მაგნებლად კაცთა კარგიშობისა და წინსვლისათვის. არსენიევი მხოლოდ ურჩევს როგორც ბურეკე თავისს წინასიტყვაობაში, რომ ახალგაზდობა ერიდოს ამგვარ დამაბრკოლებელ თეორიებსა.

---

[9]) როგორც ნათქვამი გვქონდა ბურეკეს „Le disciple"-მა მთელი ლიტერატურა გამოიწვია. გარდა მრავალი წერილებისა რუსულ ჟურნალებში, იხილეთ: წერილი ბრუნეტიერისა Revue des deux mondes-ში 1 ივლ. და 1 სექტ. 1889; პოლიანესი Revue Bleue'-ში 12,19 აპრილ 1890. ფსიხელო ავტორისა Revue scientifique-ში 17 აგვ. 1889. ზემოდ მოხსენებული თხზულება როდისა; პელლისსიეს: Esssai de littérature contemporaine (ეტიუდი ბურეკეს შესახებ). აგრედვე სხვა და სხვა ფრანგულს გაზეთებში გაბნეულია სხვა-და-სხვა ფრანგული მწერლების წერილები (განსაკუთრებით ანატოლ ფრანსის წერილები 1889 წლის Temps-ის ნომრებში, საყურადღებოა). იხილე აგრედვე არსენიევის სტატია Вѣстникъ Европы 1889 წლის ოქტომბრის ნომერი და მიხაილოვსკის წერილი მის Литература и Жизнь-ში გვერდი 2 და შემდეგი.

ჩვენ კი გვგონია, რომ რომანში სიქსტი გამოდის, თვითვე ადიარებს თავისს თავს დამნაშავედ და სჩანს პასუხის-მგებლობასაც კისრულობს. ამაში უველა დარწმუნდება, ვინც კი გადათვალიერებს რომანსა [10]) (ბურეუ წინასიტყვაობაში ამ რომანს უწოდებს ეტიუდს მორალური პასუხის-გების შესახებ). კიდევაც გვგონია, რომ მეცნიერნი და ფილოსოფოსნი პასუხის-მგებელნი უნდა იყვნეს, მაგრამ ისე თავისი აზრებისთვის არა, როგორც იმ განუნებული ცხოვრებისათვის, რომელიც მათ ჩვეულებად აქვთ. მეცნიერებმა უნდა იცოდნენ, რომ ცხოვრების სარგებლიდან ყურება არ შეიძლება, უნდა იცოდნენ, რომ მათი თხზულებანი ტოტხად არსებათა შორის დატრიალებს, იმიებს ზოგის ადტაცებას და ზოგის ზიზღს, პოულობს თვის მორწმუნეთა და მოწაფეთა გუნდსა. ამიტომ იგინი ცხოვრებას არასოდეს არ უნდა განუკერძოვდნენ, თორემ უთუოდ ეგიეე მოუვათ, რაც სიქსტსა. სიქსტი უბიწო კაცი იყო და სიყვარულზე ათას უცნაურ თეორიებს სწერდა, რასაკვირველია, მას არც კი შეეძლო წარმოეგინა, რომ მოიძებნებოდა ვინმე ისეთი, რომელსაც უბიწოება დიდის ხნიდან დაკარგული ექნებოდა და ბიწიერებას ჩაიდენდა გრელუს მსგავსსა. სიქსტს საკმისთვისაც კი არ უსდია სული. სტოლთან გასტარა თავისი სიცოცხლე და, რასაკვირველია, არც სიძულვილი და არც სიყვარული არ გამოუცდია. აქ კი სიხარბეზე და მემკვიდრეობით გადმოტანილ სიძულვილზე თეორიებს ადგენს, რომელნიც გრელუს დაესმარებიან ანდრესადმი თავის ზიზღის ასახსნელად. თუ ის გამოსულიყო ცხოვრებაში, თუ ენახა, რომ არის ტანჯვა, არის ტრემლები მის გარშემო, არის კვნესა და ოსკრა; რომ იმ ბავშვებს, რომლის ექსპერიმენტად მოსმარებაც მას უნდოდა, ჭყვეთ დედა, რომელიც ტრემლებს დაუფრქვევს მათთვის,—მაშინ იგრძნობდა, რომ ყოველივე გრძნობისა და ზნეობრივი მოქმედების უარყოფა არის უაზრობა და შეუძლებელია კაცისთვის. მაგრამ ის განუნებული იყო და ყოველივე მისი ბრალია ამაშია. რომ მისი თეორიები კარგად შეგნებულ-

[10]) ამას ნათლად გვიმტკიცებს ეს სიტყვები ამ რომანის წინასიტყვაობისა: „რას შეიძენ შენ და შენი ამხანაგები ჩვენის თხზულებიდანზ თუ კი ამას წარმოიდგენს, არ მოიძებნება ისეთი უპატიოსნო ლიტერატორი, რაც უნდა უბადრუკი იყოს იგი, რომ არ ათრთოლდეს, იგრძნობს რა თავისს ვალს, თავის პასუხის-გებას თქვენს წინაშე“.

ნი და კარგის კაცისაგან აწონილ-დაწონილნი გამრუკენლნი არ არიან, ამას თვით სიქსტის პირადობა გვიმტკიცებს. უსაფუძვლოდ მიგვაჩნია ის შენიშვნა, რომ ბურეუს თუ უნდოდა მეცნიერების პასუხისმგებლობა და დანაშაულობა ეჩვენებინა, მაშინ გრელუ მარტო აზრების პროდუქტი უნდა ეთვალიწოო (ეკონ). რომანი მათემათიკა არ არის, რომანს უნდა ჰქონდეს კავშირი ცხოვრებასთან, უნდა სინამდვილეს გვიჩვენებდეს, ამიტომაც ბურეუმ მოსძებნა ნიადაგი მშვენიერი ამ აზრების ნაყოფის გამოსაღებად და დიდებულადაც მიაღწია თავისს განზრახვასა. ჩვენთვის საკმარისია, რომ გრელუს გარეგნის ერთ-ერთ მიზეზად ეს აზრები იყვნეს, ესეც დიდი დანაშაულია.

ამით კათავებთ ჩვენ ბაასს ბურეუს შესახებ. ეს რომანი ამას გარდა სხვა შესანიშნავ მოვლენასაც წარმოადგენს. მრავალ მწერლების ნაწერებთან აქვს ესა თუ ის კავშირი, მაგრამ ყველა მათზე მაღლა სდგას, როგორც აზრის, ისე მხატვრობითის მხრივაც. ბალზაკის „La recherche de l' absolu" წარმოგვიდგენს სიქსტის მსგავსს მეცნიერებისათვის თავ-განწირულსა, მაგრამ უფრო მანიაკსა და ცხოვრების სინამდვილეზე დაშორებულსა. მეორე კიდეკ, ბალზაკს ასეთი ფსიხოლოგია არა აქვს, მისი გმირის სულიერი მხარე მეითხველთათვის ძალიან ბუნდად არის ნაჩვენები, მაშინ როდესაც ბურეუმ ნათლად დაგვანახვა მთელი შინაარსი ყველა თავისი გმირებისა. «ამ რომანში გამოყვანილს პირებს ისეთი ინტენსიური ცხოვრება აქვთ, რომ მსგავსი არ ნახულა. ძვირად თუ ვისმე კაცის აზრი, კაცის გონება უჩხრეკია, უძიებია და დაუნაწილებია ასეთის სიღრმითა და ძალით». გრელუ კითომ ჰგავს სტანდალის „le rouge et le noir"-ის გმირს სორელს, მაგრამ ამითშიაც დიდი განსხვავებაა. ამას მიანც რამე იტაცებს, აქვს სურვილი სამსახურში წარმატებისა, სრულიად არ ეზარება მოქმედება, გრელუ კი სრული ინდიფერენტისტია, ცარიელი, გამოფიტული კაცია. მას არ აინტერესებს არც სამსახური, არც პოლიტიკა, არც მამული. რასკოლნიკოვი დოსტოევსკის რომანისა უფრო საბრალო და, თუ შეიძლება ასე ითქვას, პატიოსანი დამნაშავეა, ბორტ-მოქმედებას თუ ჩაადენს, ერთი ბეწო პირადი ინტერესისა შიგ არა ურევია-რა. ის თავს სწირავს თავისს მასლობელსა, რომელიც

გრელუს სასიცილოდაც არ ეყოფოდა, მერე კიდეკ სულით აკვდმყოფია, ნამდვილი სულით აკვდმოფა, რომელზედაც ძლიერ შორს სდგას გრელუ. კითომ და აზრი და სიუჟეტი ფელიეს „la morte“-ს[11]) ჭვავს და განა სენკევიჩის დიდებული რომანის («უდოგმატოდ» [12])) გმირის ბლოშოვსკის ნათესავი კი არ არის გრელუ? მაგრამ ეკელა ამათ მხოლოდ წაგავს: ეს ამტკიცებს მხოლოდ სიდიადეს ტიპებთა შექმნისას, მით სინამდვილეს, რომელნიც მარტო დღეკანდელი დღის წარმომადგენელნი კი არ არიან. გრელუსთანა ტიპები ამა თუ იმ ფორმით ამ უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში იშვიათი მოვლენა არ არის და იგინი ბეკრში ჭვანან ერთმანეთს. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ამ ტიპის ძლიერი შექმნა ბურჟეს ეკუთვინის.

ამ რომანით ბურჟეს განკითარების ციკლი დამთავრდა. სიქსტის ბასიუსის-გებაში მიტემით, მისი ტრაგიკულ-კომიკურის მდგომარეობის აღწერით ბურჟემ სულ-ჯაგვი გადაუგდო თავისს ძველს ოსტატებსა, თვითონ მათვე აღიარებია მათი თეორიების უსაფუძვლობა. «კეთილი ბოროტი მათი თეორიით სულ ერთია», გრელუს კი ბოროტმოქმედება ბრაზსა ჭვერის სიქსტსა; «სინიდისის მსილება, სინიდისის ქენჯნა სისულელე და იდიუზიაა», თვითონ სიქსტი კი ნამდვილ მოწამედ ხდება სინიდისის ქენჯნისა. ღმერთი მათთვის არ არის, მაგრამ უმაღლეს დრამატიულს მდგომარეობაში ისინი ჭვრეტნობენ სიჭიროებას ღვთაებისას, სიჭიროებას ლოტვისას (სიქსტი გრელუს ცხედართან). «თუ კი არ სუფეკდეს ეს ზეციერი მამა, განა მოგვწყეტდებოდა ამ წუთში მასთან მიმართვა»? ამბობს ბურჟე თავისი რომანის ბოლოს. მისი უკანასკნელი რომანები „La terre promise“ და „Cosmopolis“ი უკვე გამოცხადებული აღსარებაა სარწმუნოებისა. ჩვენ არ შეგუდგებით მის გარჩევას, თუ რამდენად მართალია ბურჟე თავისს თეოლოგიურ ფილოსოფიაში, რამდენად სიფუძველი აქვს, რომ მორალს ამყარებს სარწმუნოებაზე, ჩვენ ის გვაინტერესებს მხოლოდ როგორც მორალისტი. რაზედაც უნდა იყოს მორალი დამყარებული, ყოველა მორალისტის კალდებულებაა კეთილი გიქადაგოს და ბოროტი შეგაძაგოს. თუ მთელს თავის თხზულებაში ამას ცდილობს ბურჟე, მეტი ჩვენ არა გვინდა-რა. მისდა სადიდებ-

[11]) იხილე პელლისსიეს: Essais de la littérature contemporaine (ეტიუდი ფულიეს შესახებ).

[12]) «უდოგმატოდ» სენკევიჩისა და «მოწაფე» ბურჟესი თითქმის ერთსა და იმავე დროს გამოვიდა.

ლად უნდა ვთქვათ, რომ თავისის უკანასკნელს და სუფთეესო რომანებში იგი ამას სეინიდისიერად ასრულებს. უმეტესი ნაწილი მისი რომანებისა მეშვიდე მცნებას შეესება, ის გვიჩვენებს, თუ რა დამამხობელი შედეგი მოჰყვება მის დარღვევას ამა თუ იმ შემთხვევაში. თვით სასული ერთი მისი რომანისა «ტოდვა სიყვარულისა» შეეგიძლიან ყველა ბურუსს ნაწარმოებს დაკარგვა. მართლაც, რა არის თუ არ ტოდვა სიყვარულისა Cruelle enigme-ში რომ კაცს კაამსტეებს. რა არი თუ არ იგიგე ტოდვა სიყვარულისა «ანდრე კორნელში» მეგობრისაგან მეგობრის მოკვლა იმისთვის, რომ მისი ტოლი დასაკუთრება. Mensonges-შიც ხომ ტოდვა სიყვარულისა ღუბავს სატოდვე რენეს და კისდამ თავს არ მოაკვლევინებს. Le Disciple-ში გრძელუ მხეცური სიყვარულით გატაცებული და მეცნიერების სხვა-და-სხვა თეორიებით თავის გამმართლებელი ჭკვანეს ანგელოზის მსგავსს ქალსა, იდენს უსაშინელესს ტოდვას სიყვარულისასა, და თვითონ ტოდვა სიყვარულისა ხომ გვიჩვენებს, რა ტეტსლში ჩაუდო ამ ტოდვამ თვით მოქმედნი (ვენე და დე-კერნი) და მათის წყალობით გულით-მოყვარული კაცი (ელენეს ქმარი). მხოლო იმის ოთ რომანში Mensonges-ში და Le Disciple-ში ამას ვხედავ, კიდევ საზოგადო აზრია გაუკანილი. ბირკელი ბრალსა სდებს ემწყალ-კაცსა (აბბე ტაკონეს სიტყვით) და სჯის მისთვის, რომ სამშობლოს გაჭირვების დროს იგი სიბინძურეს მიჰყვება. მეორე სჯის თეოლოსოფოსსა, რომელსაც დაეწყებია თავისი უდიადესი მნიშვნელობა კაცთა აზრისა და გონების მზრდელისა, შეეუნჭულა თავისს ოთახში და მხოლოდ თავისს გონებას ასიამოვნებს სხვა-და-სხვა დამამხობელის აზრების წერითა.

სწორედ ამ მორალურმა ქადაგებამ (მიუხედველად საძირკველისა, რომელზედაც ის აშენებს თავისს მორალს, გაკვირვებთ ჩვენ მკითხველს) ბურუსამ მიგვიზიდა ჩვენ, როცა ამ წერილის დაწერას შეკუდგქით. ჩვენშიაც შეგხვდებათ ბატარა დე-კერნები, ბატარა გრეტუები, თითქო ქარს მოეტანოს ჩვენნაქდინაც იმათი შემქმნელი ბირობები. ჩვენშიაც გაუგონიათ ნაწყვეტ-ნაწყვეტად აზრები ეხლანდელთა მოძღვართა, რომლითაც ხშირად ამართლებენ თავისს გულ-გრილსა და ხშირად სამაგელს ქცევასა. ბატიოსანი კაცის, ერთგული მამული-შვილის მოკალეობაა ეცადოს ამისთანა დამამხობელს სენს თავშიგე ბოლო მოუღოს. თუ ამას ცოტათი მაინც არის მიაღწევს ჩემი წერილი, მე სრულიად დაჯილდოებული ვიქმნები.

კ. აბაშიძე

ღვინის დაყენება

VII *)

ღვინის სხვა-და-სხვა ვვარად დაგზიანება და დასნეულება; მისი მოვლა და მოკეთება.

წინა წერილში ჩვენ გავარჩიეთ სხვათა შორის ნორმალური ღვინის შედგენილება, მის შემადგენელ ნივთიერებათა მეტ-ნაკლებობის გასწორება. ახლა ვეცდებით გავარჩიოთ სხვა-და-სხვა გვარი ღვინოების ნაკლულევანებანი, რომლებიც ღვინისგან არიან მოპოვებულნი სხვა-და-სხვა გარემოებაში: ან ყურძნობის დროსვე და ან დადუღების შემდეგ. ამ ორივე შემთხვევაში ეს ნაკლულევანებანი ან სრულებით არ შეეხებიან ღვინის ნორმალურ ქიმიურ შედგენილებას და ან თუ შეეხებიან, მაშინ გამოწვეულნი არიან რაღაცა გარეგანი მიზეზისაგან: ა) პირველ შემთხვევაში თვითონ ღვინო სრულიად ნორმალურია, კარგად არის შეზავებული, მაგრამ, სამწუხაროდ, რაღაც სხვა უცხო რამე მიჰმატებია, რომელიც მას აზიანებს: ან სუნს უცვლის, ან გემოს და ან ფერს; ერთი სიტყვით, ღვინოს შეუძენია ერთი რაღაცა იმისთანა რამე, რომელიც მის ნორმალურ ქიმიურ შედგენილებას სრულებით არ შეეხება. ამ შემთხვევაში ეს უცხო რამე ნივთიერება ან a) ყურძენშივე იყო და დაყენების დროს ღვინოსაც გადაეცა და ან b) ღვი-

*) <მოამბე> № 8,

ნომ დადულების შემდეგ შეიძინა ან შესანახავი ჭურჭლიდან და ან ცუდი მოელით.—ბ) მეორე შემთხვევაში კი ეს ნაკლულევანება წარმომდგარია ღვინის რომელიმე შემადგენარი სხეულის წახდენით, გაფუჭებით და გადაგვარებით. ამ შემთხვევაში ღვინო წინად კარგად იყო შედგენილი, იქნება შესანიშნავიც იყო თავისი თვისებით და ღირსებით, მაგრამ უთვალ-ყურობის და ცუდი გარემოების გამო დასნეულებულა და ამ სნეულებას ან იმის ალკოგოლი გადუგვარებია სხვა-და-სხვა რიგად და ან მისი ექსტრაქტის რომელიმე შემადგენელი სხეული: ან სიმჟავენი და საფერავი, ან ღვინის მარილი, ან აზოტური ნივთიერებანი და ან გლიცერინი.

ღვინის ყოველგვარ ნაკლულევანებას და სენს ახლა ცალ-ცალკე მოკლედ გავარჩევთ და ამასთან ვუჩვენებთ, როგორც ნაკლულევანების და სენის მიზეზს, ისე იმ საშუალებასაც, რომელიც რომელიმე ნაკლულევანებას ანუ სენსა რგებს:

ა) ღვინის ნაკლულევანებანი ანუ ზიანი

როგორც წინადაც ვთქვით, ამ ნაკლულევანებათა შორის არიან იმისთანანი, რომლებიც ღვინოში ყურძენს შეუტანია და იმისთანანიც, რომლებიც ღვინის დაყენების დროს არიან მოპოვებულნი:

ა) ყურძნიდან მოპოვებული ნაკლულევანებანი:

1) **მიწის გემო.** ღვინოს ხშირად რაღაცა ძნელი გასარჩევი გემო ეძლევა, რომელიც მიწის გემოს მოგვაგონებს; ამისათვის ამ ნაკლულევანებას დაარქვეს მიწის გემო და ამბობენ, რომ ვაზი მიწის ნიადაგიდან იღებს ამ გემოს, ყურძენს გადასცემს და ყურძენიც ღვინოსა, თუმცა ზოგიერთნი, როგორც მაგ. გამოჩენილი გიუო, ღვინის ამგვარი ნაკლულევანების მიზეზად მიწის ნიადაგს კი არა სთვლიან, არამედ ღვინოში თხლის წახდენას; ამ სწავლულის აზრით, თუ ღვინოს მიწის გემო აქვს,

მაშინ ეს ღვინო უეჭველად ძველს და ცუდად გარეცხილ ჭურჭელში უნდა იყოს შენახული. სხვანი კი, უმეტესობა, როგორც ვთქვით, ამ ნაკლულევანების მიზეზად სთვლიან მიწის ნიადაგს და განსაკუთრებით, თუ ვაზი გაშენებულია ან თიხის ნიადაგზე და ან იმისთანა ადგილზე, რომელიც ბევრს ორგანიულ ნივთიერებას შეიცავს, როგორც ახლად გაკაფული ტყის ნიადაგი და ან ძველად ნაჭაობარი მიწა. ამბობენ, რომ როგორც თიხა, ისე დამპალი მიწა ვაზს აძლევენ რაღაცა იმისთანა ნივთიერებას, რომელიც ყურძენშიაც გადადის და აქედან ღვინოში. ამ ნაკლულევანების მიზეზი რომ წამხდარი ჭურჭელი არ არის, ეს იქიდან სჩანს, რომ მიწის გემო ხშირად იმისთანა ღვინოსაცა აქვს, რომელიც ახალ, ჯერ უხმარებელ ჭურჭელში იყო შენახული. ჩვენ აქ ვერ შევეხებით იმის ვრცლად გამოკვლევას, თუ რომელი მხარე უფრო მართალია ამ შემთხვევაში; მხოლოდ იმას კი ვიტყვით, რომ უმეტესობა მაინც ამ ნაკლის მიზეზად მიწის ნიადაგსა სთვლის, და მართლაც იმ ნიადაგს, რომელზედაც ვაზია გაშენებული, დიაღაც შეუძლიან მიწის გემო მისცეს იმ ვაზის ყურძნიდან დაყენებულ ღვინოს.

რადგანაც ის ნივთიერება, რომელსაც მიწის გემოს ეძახიან, უფრო მოგროვილია ყურძნის კლერტში და ჩენჩოში, ამისათვის ამ ნაკლულევანების ასაცილებლად საჭიროა ღვინო დიდ ხანს არ დარჩეს ჭაჭაზე და თხლეზე; ღვინო ხშირად და მალმალ უნდა გადაიღონ კარგად გასუფთავებულ ჭურჭელში და ამასთან წებოთიც დაწმინდონ. ყოველი გადმოღება და დაწმენდა შესამჩნევად ამცირებს ამ ნაკლულევანებას, მაგრამ ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ხშირად დაწმენდასაც თავისი ნაკლულევანება აქვს—ღვინოს ფერი ეკარგება და ექსტრაქტი უმცირდება. ამიტომაც, თუ ღვინოს მიწის გემო გაძლიერებული აქვს და ღვინო გაფუჭებულია, მაშინ უნდა მიჰმართონ ერთგვარ საშუალებას, რომელიც ხშირად უებარია და კარგად შველის—ზეითუნის ზეთის ხმარებას. ღვინის პირველი გადაღების შემდეგ თითო ბოჩკას (220 ლიტრი) ნახევარ ლიტრ ზეითუნის ზეთს მიუმატებენ და კარგად შეანჯღრევენ, შესთქვეფავენ, რომ ზეთი

ღვინოს ყოველგან მოხვდეს, ყოველ მის ნაწილს. ამას შემდეგ ღვინოს რამდენიმე დღით დაასვენებენ და როცა მთელი ზეთი ღვინოს პირზე პოექცევა, ფრთხილად მოხდიან. ამას ასე ახერხებენ: ან ბოჩკას ღვინით შეავსებენ—ჭურჭლის გავსების დროს ზეთი ბოჩკიდან ამოვა და ღვინოს გაშორდება, და ან ღვინოს ფრთხილად გადაიღებენ სხვა ჭურჭელში ისე, რომ ზეთი არ გაჰყვეს. როგორც ამბობენ, ზეთის ხმარებას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ის ადვილად ხსნის თავისს ტანში იმ ნივთიერებას, რომელიც მიწის გემოს შეადგენს და ამგვარად ღვინოს ამოაცლის და მოაშორებს. ზეთის მოხდის შემდეგ ღვინო წებოთი უნდა დაიწმინდოს.

2) **სიმწარე და კლერტის გემო.** ღვინის სიმწარე ორი მიზეზისაგან წარმოსდგება—ერთი ავადმყოფობა არის და მეორე კი მხოლოდ ნაკლულევანება; ახლა ჩვენ ამ უკანასკნელზე მოვილაპარაკებთ. ღვინოს თუ სიმწარე ადრე გამოაჩნდა, მაშინ ეს იმის შედეგი იქნება, რომ ღვინო დიდ ხანს იყო ჭაჭაზე გაშვებული. ჭაჭიდან და განსაკუთრებით კლერტიდან ღვინომ ამოიღო ერთგვარი მწარე ნივთიერება, რომელმაც თავისი გემო ღვინოსაც გადასცა და დაამწარა. მაშასადამე, ყოველ შემთხვევაში მიუცილებლად საჭიროა, დუღილის დროს ღვინო დიდ ხანს არ დარჩეს ჭაჭაზე—მაშინ ღვინო არ დამწარდება და თუ ღვინო უკვე დამწარებულია, მაშინ ამას ისეთივე წამლობა რგებს, როგორც მიწაგემოვან ღვინოს. ამისათვის აქ ამაზე მეტს არას ვიტყვით.

3) **გატეხილი ღვინო** (vin casséc). მას შემდეგ, რაც ვაზს სხვა-და-სხვაგვარი ავადმყოფობა გამოუჩნდა, განსაკუთრებით ფილოქსერა, ნაცარი და ან მილდიუ, ხშირად ყურძენი კარგად ვერა მწიფდება და ხშირადვე ამგვარი ყურძნიდან დაყენებულ ღვინოს ერთგვარი ნაკლულევანება უჩნდება, რომელიც ძველ დროში ცნობილი არ იყო. ღვინო ჯერ სრულებით საღია, კარგი შეხედულობა და გემო აქვს, გამჭვირვალია, ერთი სიტყვით, არაფერი არა აქვს წამხდარი; კარგად იწმინდება და მანამ ჭურჭელშია მშვენიერი ფერი აქვს (ეს ნაკლი წითელ ღვინოს უჩნ-

დება). გადაღების შემდეგ ამ ღვინოს ფერი უფუჭდება, იმღვრევა და თვითონ ღვინოს მრავალი ღირსება აკლდება. ეს არის გამოწვეული ჰაერის ზედმოქმედებით, რომლის ჟანგ-მბადიც ჟანგავს რაღაცა ჯერ გამოუკვლეველ ღვინოში მყოფ ორგანიულ ნივთიერებას; ეს ნივთიერება გადუღებელ ღვინოში უჰაეროდ სრულებით უფერულია, მაგრამ რაკი ჰაერი მოხვდება, მაშინვე მუქად ან შავად იფერება და ღვინოსაც ამგვარადვე შეჰფერავს. როგორც ვთქვით, ეს ნაკლულევანება ხშირად იმისთანა ღვინოს უჩნდება, რომელიც მოუმწიფარი ყურძნიდან არის დაყენებული, იმისთანა ყურძნიდან, რომელიც ნაავადმყოფარია და ცოტა შაქარი აქვს. უეჭველად ამგვარ ღვინოში უნდა იყოს დარჩენილი პექტინოვანი ნივთიერებანი, რომლებიც ძლიერ დაუდეგარნი არიან და ადვილად იცვლებიან ჟანგ-მბადის ზედ-მოქმედებით. ამისათვის, თუ ყურძენი ნაავადმყოფარია და შაქარი ცოტა აქვს, მაშინ დასადუღებელ ტკბილს უეჭველად საკმაო შაქარი უნდა მიემატოს. ამგვარად დაშაქრული ტკბილიდან დაყენებული ღვინო აღარ ფუჭდება ჰაერის ზედმოქმედებით. მაგრამ თუ დადუღების წინად ეს საშუალება არ არის ნახმარი და ღვინო დაზიანებულია, ესე იგი გატეხილია, მაშინ იმის გასწორება ადვილი არ არის.

ამგვარი ღვინის გასასწორებლად ბევრნი ურჩევენ ტანინის და ღვინის სიმჟავის მიმატებას და ამას შემდეგ წებოთი დაწმენდას. ამ საშუალებით ღვინო ხშირად კეთდება, სიმღვრივე ეცლება, თავისს ფერს ისევ მოიპოვებს და გამჭვირვალეც გახდება, თუმცა კი შესაძლებელია ხანში შესვლით ისევ აიმღვრეს გადაღების დროს.

4) თეთრი ღვინის ფერის შემუქება. (vin blan roussi) ზოგიერთი თეთრი ყურძენი, ხანდისხან კარგი ჯიშისაც, იმისთანა ღვინოს იძლევა, რომელზედაც ჰაერი ძალიან მოქმედობს, განსაკუთრებით გადაღების დროს; იმ ღვინის თეთრი ფერი მუქდება, წაბლის ან მიხაკის ფერს იჭერს, ფერის გამოცვლასთან ერთად ეცვლება. ღვინის ასეთი ნაკლულევანების მიზეზი თვითონ ყურძენშია, რომელიც შეიცავს ერთგვარ ორგანიულ ნივ-

თიერებას, რომელსაც ჯერედ არავითარი ფერი არა აქვს, მაგრამ თუ ჟანგ-მბადმა იმოქმედა, ის ნივთიერება მაშინვე დაჟანგდება; ეს ჟანგი მუქად შეღებილია, ღვინოშივე რჩება და ღვინოსაც ღებავს. ამას გარდა ესევე ნივთიერება ჟანგ-მბადის ზედმოქმედებით ზოგიერთ ღვინის შემადგენელ ნივთიერებას უერთდება და აქედანაც ახალი ნივთიერება ჩნდება. ამ ორგვარი ზედმოქმედებისგან წარმოსდგება როგორც ფერის შეცვლა, ისე გემოს წახდენაც. ხანში შესვლის დროს ამ ღვინოს თანდათან ეცლება მჟავე მარილი (კრემორტარტარი) და ამის გამო მისი საზოგადო სიმჟავე მცირდება. ზოგიერთ შემთხვევაში ესეთი სიმჟავის შემცირება გამოიწვევს ფერის შემუქებას; სხვა-და-სხვა გვარი ტუტე: კალიქვა, ნატრი, კირი და სხვანი ძალიან ხელს უწყობენ ღვინის დაჟანგვას და ფერისა და გემოს შეცვლას.

საბედნიეროდ, ეს ნივთიერება, რომელზედაც ასე ძლიერ მოქმედობს ჟანგ-მბადი, ძალიან მცირე რაოდენობისა არის ყურძენში ანუ ყურძნის წვენში და ამასთან ადვილი გამოსაცლელიც არის; ეს ნივთიერება ადვილად უერთდება ჟელატინს და ალბუმინს და ამ ორივე დამწმენდავ ნივთიერებასთან შეერთებული ღვინოში აღარ იხსნება, ამისათვის ღვინოს გამოეცლება და მუქ ლექად თხლეს მიემატება.

თუ წინადვე ცნობილია ყურძნის ასეთი თვისება, ესე იგი რომ დაუდეგარ ღვინოს იძლევა, მაშინ შესაფერი სიფრთხილე უნდა იხმარონ და მაშინ ღვინო კარგად შეინახება: უნდა ეცადნენ, რომ ღვინოზე ჰაერმა არ იმოქმედოს და არცრამე ტუტემ; ამასთან დაყენებულ ღვინოს ცოტაოდენ სიმჟავესაც მიუმატებენ. ამას გარდა ყოველგვარი დამწმენდავი წებოთი დაწმენდაც (ჟელატინი, ალბუმინი, თევზის წებო და სხვ.) ძალიან არგებს, ღვინოს სრულებით გაანთავისუფლებს იმ ნივთიერებისაგან, რომელიც ასე ადვილად იცვლება და ღვინოსაც ფერსა და გემოს უცვლის. თუ ღვინო უკვე გამუქებულია, მაშინაც შეიძლება იმის გასწორება იმავეგვარი წამლობით, ესე იგი დაწმენდით; ღვინოს გამოეცლება ის შეღებილი ნივთიერება და თა-

ვისი წინანდელი ფერი და გემო მოუბრუნდება, ერთი სიტყვით, ღვინო გამოსაღდება და გამოკეთდება.

5) თეთრი ღვინის გაყვითლება. თეთრი ღვინის სიყვითლე ყოველთვის ნაკლულევანება არ არის; ზოგიერთი თეთრი ღვინო ხანში შესვლით ყვითლდება, მაგრამ ამით არც თავისს გემოს და არც თავისს სიმჭვირვალეს არა ჰკარგავს; ასე დაძველებით გაყვითლებული ღვინო ხშირად შესახედავად უფრო სასიამოვნო არის და ბევრნი ღირსებადაც სთვლიან ამ სიყვითლეს. მაგრამ თუ ახალი ღვინო გაყვითლდა თხლეზევე, მაშინ ეს ნაკლულევანებას შეადგენს, ამ ღვინის წახდენის ნიშანი იქნება. ხშირად ამისთანა ღვინოს დასაწყისში არავითარი ნაკლულევანება არ ეტყობა და დუღილის შემდეგ სრულიად გამჭვირვალია, მაგრამ ცოტაოდენ ხანში შესვლით, ხანდისხან რამდენიმე თვის განმავლობაში, ეს ღვინო სრულიად იმღვრევა და ყვითლდება. ეს ნაკლულევანება დამოკიდებულია ღვინის სუსტ აგებულებაზე. გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ მხოლოდ იმისთანა ღვინო ყვითლდება, რომელსაც ცოტა ალკოგოლი აქვს, ცოტა სიმჟავე და საზოგადოდ ცოტა ექსტრაქტი და ამის წინააღმდეგ დიდძალ ვაშლის სიმჟავეს შეიცავს. მაშასადამე, აქაც ამ ნაკლულევანების მიზეზი ყურძნის მოუმწიფრობა არის. ეს ნაკლულევანება ღვინოს უჩნდება შეხნიერების დროს კი არა, არამედ ძალიან ადრე, პირველი გადმოღების უმალვე, თუ რასაკვირველია გადაღებული ღვინო დიდ ხანს იყო ჰაერის ზედმოქმედებას ქვეშ. ხშირად, როგორც ვიქვით, მარტო ფერით არა თავდება ღვინის წახდენა, იმას ამასთან გემოც უფუჭდება. ამისათვის მიუკილებლად საჭიროა ამ ნაირ ღვინოს დიდი თვალ-ყური ეგდოს და ნაკლულევანება გამოაჩნდება თუ არა, მაშინვე რამე საშუალებით გასწორდეს ის. ამგვარი ღვინისთვის უებარია ტანინის მიმატება (თითო გეკტოლიტრზე 25 გრამი) და ამას შემდეგ წებოთი დაწმენდა. ამ საშუალებით ღვინო გასაღდება, ფერი და გემო მოუბრუნდება და ადვილი შესანახი იქნება. დაწმენდილ ღვინოს გადაიღებენ სუფთა ჭურჭელში, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ბევრი ჰაერი არ მოხვდეს.

თუ ყურძენი კარგად არის დამწიფებული და იმისი ტკბილი კარგად დადუღებული და დაყენებული, მაშინ აქედან დამდგარ ღვინოს წახდენის შიში არ უნდა ჰქონდეს.

6) თეთრი ღვინის გაშაგება. ხშირად მოხდება, რომ კარგი თვისების თეთრი ღვინო, რამდენიმე წუთით ჰაერში გამოდგმით, გაშავდება. ზოგის აზრით, ამის მიზეზი ცუდ გარემოებაში მოკრეფილი ყურძენი არის; როცა ყურძენი ტალახით გათხუპნულია და ან მარცვლები დამპალი აქვს, მაშინ ამისთანა ყურძნიდან დაყენებული თეთრი ღვინო ადვილად შავდება. ზოგიერთი შემთხვევისათვის შეიძლება ეს სრულებით მართალი იყოს, მაგრამ ხშირად ამნაირადვე შავდება ზოგიერთი იმისთანა ღვინოც, რომელიც კარგი და საღი ყურძნიდან არის დაყენებული და დადუღების შემდეგ კარგადაც არის მოვლილი. მაშასადამე, ამის მიზეზი რაღაცა ჯერედ გამოუკვლეველი ნივთიერება უნდა იყოს; შესაძლებელია, რომ აქაც იგივე პექტინოვანი ნივთიერებანი იყვნენ, რომლებიც გატეხილ ღვინოში არიან.

ცოტაოდენი ალკოგოლის მიმატება რგებს ამისთანა ღვინოს, ფერი აღარ უშავდება; აგრედვე გოგირდით ბოლებაც მარგებელია; წებოთი დაწმენდა და შემდეგ გათბობაც კარგია. თუ ღვინოს ტანინი აკლია, მაშინ უეჭველად უნდა მიემატოს 6—8 გრამი თითო გეკტოლიტრზე და თევზის წებოთი დაიწმინდოს; თევზის წებოს ცოტაოდენი ღვინის სიმჟავე უნდა ჰქონდეს მიმატებული.

7) ღვინის აყროლება. ზოგიერთი ღვინო თუმცა თავისი შედგენილებით ძალიან კარგია, მაგრამ რაღაცა ისეთი მყრალი სუნი აქვს, რომ ძნელი სასმელია. ამგვარ სუნს ხშირად უფრო თვითონ ყურძენი შეიტანს ხოლმე ღვინოში და წარმომდგარია იმ პატივისაგან, რომელიც ვაზისთვის იყო მიცემული. უეჭველია, თუ ამ პატივში ერია ბევრი იმისთანა სხვა-და-სხვაგვარი ორგანიული ნივთიერებანი, რომლებიც კარგად დადუღებულნი ან გაღვიებულნი არ იყვნენ, მაშინ ისინი მიწაში დალპებიან და სიდამპლის გეშოს ვაზსაც გადასცემენ; ალბად მიცემულ პატივს წინადვე

მყრალი სუნი ჰქონდა და ან შემდეგ მოიპოვა და ეს სუნი ვაზმა შეითვისა და ყურძენსაც გადასცა. ამგვარად ღვინო დაბადების დროსვე, ესე იგი ყურძნობასვე იყო გაფუჭებული. პატივის გარდა სხვასაც ბევრს რასმე შეუძლიან ააყროლოს ღვინო: თუ გაშენებული ვენახის ახლო ისეთი რამ ქარხანა არის, სადაც მოსამზადებელ ან მომზადებულ ნივთიერებას და ან ნაშთს რამე მყრალი სუნი აქვს, ამ სუნსაც ადვილად შეითვისებს ვაზი და ყურძენსაც გადასცემს. ერთი სიტყვით, ვაზი თუ გაშორებული არ არის ყოველგვარი მყრალ-სუნიანი და დამპალი სხეულებისგან, ის უეჭველად შეითვისებს ამ სიმყრალეს და ყურძენსაც გადასცემს. რასაკვირველია, ღვინოს შემთხვევითაც შეუძლიან გაფუჭება: შესანახავი ჭურჭლის უწმინდურებით და ან სხვა-და-სხვა სხეულების მიმატებით, მაგრამ ამაზე შემდეგ გვექნება ბაასი.

საიდანაც უნდა იყოს გაჩენილი ეს მყრალი სუნი—ვაზის პატივიდან თუ ღვინის დასაწმენდავი ნივთიერებიდან—ყოველთვის ერთი საშუალება არის სახმარი, სახელდობრ, ზეითუნის ზეთი; ერთ ლიტრ ზეთს ერთ ბოჩკა ღვინოს მიუმატებენ, კარგად აურევენ, კარგად შესდღეებენ და დასვენების შემდეგ ამ ზეთს სიფრთხილით სრულიად მოხდიან და გამოაცლიან ღვინოს—ამით მყრალი სუნიც უმცირდება.

თუ ღვინოს გოგირდის ანუ გალაყებული კვერცხის სუნი აქვს, მაშინ შესაძლებელია, რომ ამის მიზეზიც თვითონ ყურძენი იყოს, თუ ეს ყურძენი რამე მოთხოვნილების გამო გოგირდ-შეყრილი იყო. თუ ტკბილში გოგირდი ჩაერია, დულილის დროს ეს გოგირდი შეუერთდება წყალ-მბადს და აქედან გაჩნდება წყალ-მბადიანი გოგირდი (H^2S), რომელსაც გალაყებული კვერცხის სუნი აქვს. ამ შემთხვევაში ღვინოს ძალიან არგებს გოგირდით ბოლება; გოგირდის ბოლი გოგირდეული სიმჟავე არის (SO^2) და ეს ენერგიულად მოქმედობს წყალ-მბადიან გოგირდზე და ამ მოქმედების შედეგი წყალი და გოგირდია, რომელთაც არავითარი მყრალი სუნი არა აქვთ $2H^2S + SO^2 = 2H^2O + S^3$; ამგვარად ღვინოს ადვილად წაერთმევა

გალაყებული კვერცხის სუნი, რასაკვირველია, თუ ეს სუნი ყურძნიდან შეჰყვა. გალაყებული კვერცხის სუნი ღვინოს სხვა შემთხვევაშიაც მიეცემა, მაგრამ ამაზე შემდეგ.

b) დაყენების და ან შენახვის დროს ღვინისგან მოპოვებული ნაკლულოვანებანი:

1) **ჭურჭლის გემო.** თუ ღვინო შესანახავად ჩაასხეს ან წამხდარ და ან გაურეცხელ ჭურჭელში, მაშინ ხშირად ღვინოს საძაგელი და საზიზღარი გემო ეძლევა. ეს გემო წამხდარი და გაფუჭებული ღვინის მარილის გემოა და ამის გამოცლა შემდეგი საშუალებით შეიძლება: ღვინოს გადაიღებენ წმინდა ჭურჭელში, რომელიც მთლად არ უნდა გაივსოს და თითო ბოჩკაზე (228 ლიტრი ანუ 57 თუნგი) თითო ლიტრს კარგს და წმინდა ზეითუნის ზეთს (l'huile d'olive) მიუმატებენ, კარგად შეანჯღრევენ, შეთქვეფავენ, რომ ზეთი ემულსიად გადაიქცეს და ღვინოს ყველგან მოხვდეს; ერთი დღე და ღამის დასვენების შემდეგ მიმატებული ზეთი ღვინოს პირზე მოექცევა; ამ ზეთს ფრთხილად მოხდიან და ღვინოსაც ფრთხილადვე გადაიღებენ, რომ ზეთი არ გადაჰყვეს. თუ ამით ღვინო არ განთავისუფლდა ჭურჭლის გემოსაგან, მაშინ ხელმეორედ გაიმეორებენ ამავე ოპერაციას. როცა ღვინო სრულიად განთავისუფლდება, მაშინ იმას გადაიღებენ სუფთა ჭურჭელში, რომელიც წინად გოგირდით უნდა იყოს ნაბოლები. რაღა თქმა უნდა, რომ ღვინის გასაწმენდად ნახმარი ზეითუნის ზეთი ძალიან წმინდა უნდა იყოს და განსაკუთრებით—სიმწარის გემო არა ჰქონდეს.

ზეთის მაგივრად ნახშირის ფქვილის ხმარებაც შეიძლება, მაგრამ მხოლოდ თეთრი ღვინისთვის; ამ საშუალებით წითელი ღვინის გაწმენდა არ შეიძლება, რადგანაც ფერს სრულიად წაართმევს, გააფერადებს. სახმარი ნახშირი კარგად გამომწვარი უნდა იყოს და ყველას ემჯობინება თონის ან ბუხრის ნახშირი (braise). ეს ნახშირი კარგად გარეცხილი უნდა იყოს, რომ

ნაცარი არ შეჰყვეს და სიმჟავე არ შეუმცირდეს; ამასთან გამ-
მშრალი და წმინდად დანაყილი. თითო გეკტოლიტრ ღვინოზე
500 გრამ ნახშირს ხმარობენ. ამ ნახშირს ჩაჰყრიან ღვინოში,
კარგად აურევენ და როცა დაილექება, ღვინოს გადაიღებენ.
თუმცა ჩვენ აქ ნახშირის რაოდენობა ვუჩვენეთ, მაგრამ მხო-
ლოდ ვარაუდით; ნამდვილად საჭირო ნახშირის რაოდენობა
უნდა შეიტყონ გამოცდილებით; რადგანაც ჭურჭლის გემო
ყოველ ღვინოს ერთგვარად არ ექნება გამჯდარი, ზოგს ძლი-
ერ და ზოგს სუსტად, ამიტომაც ხან ცოტა ნახშირი ეყოფა და
ხან კი ბევრი მოუნდება. გამოცდილებას მოახდენენ ერთ ლიტრ
ღვინოზე და ამით შეიტყობენ რამდენი ნახშირიც მოუნდება
მთელ ღვინოს. მაშ გაფუჭებულ წითელ ღვინოს მარტო ზეი-
თუნის ზეთით დასწმენდენ და თეთრს კი ნახშირის ფქვი-
ლით.

თუ ღვინო შენახულია ახალ ბოჩკაში და თუ ეს ბოჩკა
ნედლი ხის ყავრებიდან არის გაკეთებული, მაშინ ღვინოს ნე-
დლი ხის გემო ეძლევა, რომელიც აგრედვე სასიამოვნო არ
არის. ამ ღვინის გასწორებაც იმავე გვარად შეიძლება, როგორც
საზოგადოდ ჭურჭლის გემოსი.

2) **საცობლის გემო.** ბოთლებში ჩასხმული ღვინო თუ
შენახულია ნოტიო სარდაფში და ამასთან ან ყელი კარგად
არა აქვს ლაქით დაბეჭდილი და ან საცობლად ძველი, ნახმა-
რი საცობელი აქვს, მაშინ ეს საცობელი მალე დალპება და
ღვინოს ცუდ გემოს მისცემს. ამ შემთხვევაში ბოთლებს პირი
უნდა აეხადოს და მთელი გაფუჭებული ღვინო ერთ ჭურჭელ-
ში მოგროვდეს; ჭურჭელი წინად გოგირდით უნდა იყოს ნა-
ბოლები. ამას შემდეგ ზეითუნის ზეთს იხმარებენ იმის გასა-
წმენდად.

3) **შმორის სუნი და გემო.** სამწუხაროდ, ჩვენში ღვინოს
ხშირად ეძლევა შმორის სუნი და გემო და ეს მთლად დამო-
კიდებულია შესანახავი ჭურჭლის უწმინდურობაზე და ცუდ-
მოვლაზე: როცა ღვინო შენახულია დაობებულ ჭურჭელში და
ან თვითონ მარანში ანუ სარდაფში ნოტიო ჰაერია, მაშინ, რა-

საკვირველია, ჭურჭელსაც და მარანსაც შმორის სუნი და გემო ექნება და ამას ღვინოსაც გადასცემს. თუ ჭურჭელი კარგად გარეცხილია და მარანიც სუფთა და ზომაზე მშრალია, მაშინ იქ შენახულ ღვინოს არავითარი სუნი და გემო არ მიეცემა და უვნებლად შეინახება. მაშასადამე, ეს ზიანი მთლად უთვალყურობით არის გამოწვეული. ერთხელ გაფუჭებული ღვინო ძნელი-ღა მოსაბრუნებელია, იმის გამოკეთება და მობრუნება თითქმის შეუძლებელია. თუმცა ამ შემთხვევისათვისაც ხშირად ურჩევენ ზეითუნის ზეთის ხმარებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ზეთი ღვინოს ვერასდროს ისე ვერ გაანთავისუფლებს შმორის სუნისა და გემოსაგან, რომ ეს საღ ღვინოს დაემსგავსოს; თუ ზეთს შველა რამე შეუძლიან, ის მხოლოდ მაშინ, როცა შმორის სუნი და გემო სუსტია, ჯერ არ გაძლიერებულა. ყველას ის ემჯობინება, რომ ზიანის დატყობის უმალვე ღვინო გადაიღონ სუფთა და გოგირდით ნაბოლებ ჭურჭელში და ამით შეაფერხონ ნაკლულევანების გაძლიერება. ის უფრო ემჯობინებოდა, რომ ღვინო იმ თავითვე კარგ ჭურჭელში ყოფილიყო შენახული და ეს ნაკლი არ მოეპოვებინა.

4) **დამპალი გემო.** თუ ღვინო ძალიან სუსტი აგებულებისაა, ჯანი არა აქვს, ალკოგოლი და ტანინი აკლია, მაშინ ეს ღვინო ხშირად იცვლება და რაღაცა ცუდი გემო ეძლევა; ფერი თითქმის სრულიად ეცლება და შიგვე ღვინოში რჩება, კარგად არ ილექება, ასე რომ ღვინო ამღვრეულია (louche). ეს ნაკლულევანება ფერის გამოცვლით იწყება—წითელი ფერი აგურის ფერად იცვლება (ეს ნაკლულევანებაც წითელი ღვინის ნაკლულევანებაა), მოყვითანო ფერი ეძლევა, ძველი ღვინის ფერს იჭერს; თუმცა წითელი საფერავი სრულიად გამოცლილია, მაგრამ წმინდად კი არ არის დალექილი; ღვინოში რჩება შეუცვლელად მხოლოდ ყვითელი ფერი (როგორც ვიცით წითელი ღვინის ფერი რთულია და მასში ყვითელი ფერიც არის). ამას შემდეგ ღვინოს გემოც უფუჭდება, მყრალი გუბის წყლის გემო ეძლევა. თუ ეს ნაკლი ახლად გამოჩენილია, მაშინ იმის შეფერხება და შეკეთება შესაძლებელია ალკოგოლის და ტა-

ნინის მიმატებით და ან მწკლარტე და მაგარ ღვინოსთან შერევით. ამასთან ესეც საჭიროა ვიცოდეთ, რომ ამისთანა ღვინის სრული გამოკეთება ძნელი მოსალოდნელია,—რამდენიმე წლის შემდეგ ღვინო ისევ გაფუჭდება. ამგვარად შეკეთებული ღვინო წებოთი არ უნდა დაიწმინდოს, მაგრამ თუ ეს მიუცილებელად საჭიროა, მაშინ მხოლოდ კვერცხის ცილით უნდა დასწმინდონ; კვერცხის ცილას ალკოგოლი უნდა ჰქონდეს მიმატებული, რომ მალე აიჭრას. ამ ნაირი ღვინის არც გადატანგადმოტანა შეიძლება და არც სხვა ჭურჭელში გადაღება.

5) მყრალი სუნი. ჩვენ წინად მოვიხსენიეთ, რომ თუ ღვინოს მყრალი სუნი აქვს მოპოვებული, ამის მიზეზი ან ყურძენია და ან თვითონ ღვინის დაყენება და შენახვა; პირველი შემთხვევა ჩვენ უკვე გავარჩიეთ; ახლა ვნახოთ, რა არის მიზეზი ღვინის აყროლებისა იმის შენახვის და დამთავრების დროს: თუ მარნის ახლო რამე ისეთი ქარხანა არის, რომელიც ჰაერს აფუჭებს და ამყრალებს, ამ ჰაერს ღვინოც ჩაისუნთქავს ჭურჭლის ფორების შემწეობით და ამ მყრალ სუნს მიითვისებს; აგრედვე, თუ მარანთან ახლო ან სანეხვე არის, ან გომი, მაშინაც მოსალოდნელია ღვინის აყროლება. ამას გარდა, თუ ღვინის დაწმენდის დროს კარგი და საღი წებო არ არის ხმარებული და ან სისხლით ან რძით უზომოდ არის დაწმენდილი, მაშინ ესეც ძალიან ახდენს ღვინოს: ცუდი წებო მთლად არ შეუერთდება ტანინს, ღვინოში დარჩება, დალპება და ღვინოს ცუდ სუნს მისცემს; აგრედვე, თუ რძე და სისხლი გადამეტებული იყო ნახმარი, ისინიც დარჩებიან ღვინოში, აყროლდებიან და ღვინოსაც ააყროლებენ; აგრედვე, თუ დასაწმენდად ნახმარი კვერცხის ცილა კარგი და საღი არ იყო, ისიც წაახდენს ღვინის სუნს, წყალმბადიანი გოგორდის ანუ ლაყი კვერცხის სუნი მიეცემა. ხშირად გოგირდით ბოლებაც ახდენს ღვინოს, ცუდ სუნს აძლევს. რასაკვირველია, თუ ღვინის გადაღება და დაწმენდა სიფრთხილით და დაკვირვებით არის მოხდენილი, თუ ამ ოპერაციების დროს ღვინოს იმისთანა არა შეერია-რა, რო-

მელიც, თუ ღვინოში დარჩა, აყროლდება,—მაშინ ღვინის აყროლება მოსალოდნელი არ არის.

თუ ღვინო უკვე გაფუჭებულია, მყრალი სუნი აქვს მოპოვებული, მაშინ, რასაკვირველია, წამლობა უნდა, თუმცა კი არც ერთი იმ საშუალებათაგანი, რომელსაც ამ შემთხვევაში ურჩევენ, არ არიან უებარნი.

თუ მყრალი სუნი ღვინოში ახლად გაჩენილია, ცოტად ეტყობა, მაშინ მისი შეფერხება და შემცირება შესაძლებელია იმ ღვინის გადაღებით იმისთანა ჭურჭელში, რომელშიაც ამას წინად კარგი და საღი ღვინო იყო; ამ ჭურჭელში ღვინოს წებოთი დასწმენდენ.—აგრედვე ურჩევენ აყროლებული ღვინისთვის ყურძნის წვენის, ტკბილის მიმატებას ან შაქრისას და ხელმეორედ დადუღებას. ამბობენ, რომ დუღილის დროს გაჩენილი ნახშირის სიმჟავე ჭურჭლიდან ამოსვლის დროს ცუდ სუნსაც თან ამოიყოლიებსო. ზოგიერთნი ამგვარი ღვინოების შესაკეთებლად ურჩევენ საღ ღვინოებში შერევას, მაგრამ ეს დიდი შეცდომა იქნება; წამხდარი ღვინო საღ ღვინოსაც გააფუჭებს. ამგვარი ღვინის გასასწორებლად ყველაზე კარგი საშუალება იქნება ჰაერის ჩაბერვა—ჩაბერილი ჰაერი ხშირად ანთავისუფლებს ღვინოს ცუდი სუნისგან. თუ ღვინო თეთრია, მაშინ ნახშირის ფქვილის ხმარებაც კარგია; ამ ფქვილს ღვინოს ან ჭურჭელში მიუმატებენ, კარგად შეანჯღრევენ და დალექის შემდეგ სხვა ჭურჭელში გადაიღებენ და ან თვითონ ღვინოს ნახშირის ფქვილში (ნახშირის ფილტრში) გაატარებენ—ესეც ხშირად ართმევს ღვინოს აყროლებულ სუნს. ამ შემთხვევაში ზეითუნის ზეთის ხმარებასაც ურჩევენ და ხშირად რგებს კიდევაც.

5) **გაყინული ანუ გათოშილი ღვინო.** თუ ღვინოს ტემპერატურამ დაიწია,—6° ან—7°C მიუახლოვდა, მაშინ ის გაითოშება ანუ გაიყინება. ხშირად მოხდება, რომ სუსხიან ზამთარში მარანშიაც ძალიან ცივა და ამის გამო შესანახავ ჭურჭელში ღვინო იყინება; აგრედვე, თუ ღვინო გზაშია და ამ დროს დიდი სიცივეები დადგა, მაშინაც მოსალოდნელია იმის გაყინვა. თუ ღვინო გაიყინა და ამ გარემოებაში დიდ ხანს დარჩა

და შემდეგ ის ყინული ღვინოშივე გადნა, მაშინ ღვინო ძალიან ფუჭდება: როგორც გემო და ბუკეტი, ისე ფერიც წაუხდება და ღვინო სასმელად აღარ ეკარგება. ამისათვის, თუ ღვინო რამე მიზეზის გამო გაიყინა, მაშინ პირველი ოპერაცია იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ამ ღვინოს მაშინვე გასცილდეს ეს ყინული; ამისათვის რაკი შეატყობენ, რომ ღვინო გაიყინა, ის მაშინვე სხვა ჭურჭელში უნდა გადაიღონ. ამის მიუხედველად ღვინო მაინც იმღვრევა, ამისათვის საჭიროა, რომ გადაღებული ღვინო წებოთიც დაიწმინდოს. თუ გაყინული ღვინო ცოტა-ალკოგოლიანი იყო, ალკოგოლის მიმატებაც კარგია და ან ჯანიან ღვინოსთან შერევა. ამ შემთხვევაში აი როგორ მოიქცევიან: ღვინოს გადაიღებენ გოგირდით ნაბოლებ ჭურჭელში, რომელშიაც გადაღების წინად ჩაასხამენ ნახევარ ლიტრ კარგ ალკოგოლს თითო გეკტოლიტრ ღვინოზე; რამდენიმე დღით შეასვენებენ და შემდეგ წებოთი დასწმენდენ. როგორც წინადაცა ვთქვით, მიუცილებლად საჭიროა, რომ ღვინოშივე არ გადნეს იქ გაჩენილი ყინული. ყველაზე კარგი საშუალება რასაკვირველია ის იქნებოდა, რომ ღვინო არ გაყინულიყო. მაშასადამე, მარანი ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ დიდის სიცივის დროს კარებისა და ფანჯრების დახურვა შეიძლებოდეს და თუ საჭიროება მოითხოვს—გათბობაც ცეცხლის ანთებით. ზამთარში შორს გასაგზავნი ღვინოც, რასაკვირველია, უნდა ისე გაიგზავნოს, რომ დიდმა ყინვამ არ იმოქმედოს—მაშ ღვინის ჭურჭელი ან ჭილობში და ან ჩალაში უნდა იყოს გახვეული და უფრო ის ემჯობინება, რომ შუაგულ ზამთარში ღვინო არსად გაიგზავნოს.

6) დუღილში ხელმეორედ შესვლა. ხშირად ღვინო გადატანის დროს იმღვრევა და ხელმეორედ დუღილში შედის, ნახშირის სიმჟავე ჩნდება. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ღვინოში დარჩენილი შაქარი და დუღილის დედა არის. ამ შემთხვევაში ხშირად უებარია ჭურჭლის დასველება, რომ ტემპერატურამ დაიწიოს. თუ ამან არ შეაფერხა დუღილი, მაშინ ჭურჭლიდან ცოტა ღვინოს ამოიღებენ, ორიოდე ლიტრს, რომ ჭურჭელში

ცოტაოდენი ცარიელი ადგილი დარჩეს და გოგირდით უბოლებენ და ამოღებულ ღვინოსაც იქვე მიუმატებენ. თუ ამანაც არ შეაფერხა დუღილი, მაშინ სხვა ჭურჭელში უნდა გადაიღონ, რომელიც წინად გოგირდით კარგად ნაბოლები უნდა იყოს.

თუ მარანში მთელი ღვინო დუღილში შევიდა ხელმეორედ, მაშინ ამას საზოგადო წამლობა უნდა: მარანში გააჩაღებენ მაყალს და შიგ ბლომა გოგირდს დასწვამენ, რომ მთელი მარნის დეზინფექცია მოხდეს. თუ ამან არ არგო, მაშინ მთელი ღვინო ერთ დიდ ჭურჭელში უნდა გადაიღონ (თუ, რასაკვირველია, ღვინო ერთგვარია) და გოგირდით ბლომად უკმიონ. თუ დუღილი მხოლოდ ზოგიერთ ჭურჭელშია, მაშინ იმათაც ცალკე უწამლებენ.

ყოველ შემთხვევაში ღვინო წითელია თუ თეთრი იმის დუღილის შეჩერება შესაძლებელია ან თვითონ ღვინის გაცივებით, ან გოგირდის ბოლით და გოგირდით ნაკმევ ჭურჭელში გადაღებით. აგრედვე ღვინის გათბობა ან ბლომად ალკოგოლის მიმატებაც შეაფერხებს ამ დუღილს—ამასთან ცოტა ტანინის დი ღვინის სიმჟავის მიმატებაც კარგია.

თუ დუღილი ბოთლებში ჩასხმულ ღვინოში გაჩნდა, ეს იმის ნიშანია, რომ ან ღვინო ცუდი შედგენილებისა არის და ან ძალიან ახალი და ცუდად დაწმენდილი ღვინო ჩაუსხამთ ბოთლებში. ამ შემთხვევაში ბოთლები რამდენიმე დღით ცივ ადგილს უნდა დააწყონ; შემდეგ საცობლებს ამოაძრობენ და რამდენიმე დღით ესე გაუშვებენ, რომ იქ გაჩენილი ნახშირისსიმჟავე ამოსცილდეს, მაგრამ ამით ღვინო მხოლოდ დროებით დაწყნარდება. უფრო ის ემჯობინება, რომ ბოთლებიდან ღვინო ბოჩკაში ან ქვევრში ჩაისხას და ერთად ან გათბეს და ან გოგირდი ებოლოს. ამას შემდეგ ისევ ჩაასხამენ სუფთა ბოთლებში.

7) გამმლე-ქაფიანი ღვინო. ხანდახან ზოგიერთი წითელი ღვინო, რომელსაც ძალიან კარგი შეხედულობა აქვს, ფერი ცხოველი და გამჭვირვალე, თუ შეანჯღრიეს ან შეა-

ჭანჭყარეს, მაშინვე ქაფს მოიკიდებს და ეს ქაფი დიდ ხანს არა ქრება, არა შორდება. ეს ქაფი ნაკლულევანება არ არის, თუ ღვინოს კარგი შედგენილება აქვს. ეს მხოლოდ ისეთი ნაკლია, რომელიც ღვინის სიკეთეს სრულებით არ ამცირებს, მაგრამ მაინც საჭიროა ამ ღვინის გადაკეთება.

ყურძნის წვენში ბევრი იმისთანა აზოტური ნივთიერებანი არიან, რომელთაც ის განსაკუთრებითი თვისება აქვთ, რომ შენჯღრევით აქაფდებიან კვერცხის ცილის დაგვარად. ქაფი წებოვანია; ჰაერის ბუშტები შიგ ეხვევიან და დიდ ხანს ესე რჩებიან. თუ ტკბილის დულილი კარგ გარემოებაში არის მოხდენილი და კარგად არის წაყვანილი, ესე იგი თუ დულილის ტემპერატურა, შაქრის და სიმჟავეთა რაოდენობა სრულიად ნორმალურია, მაშინ ეს აზოტური ნივთიერებანი მთლად გამოეცლებიან ღვინოს და თხლესთან დაილექამენ. ეხლა ღვინო, როგორც იტყვიან ხოლმე, შეხებით ხმელია, ესე იგი, წებოვანება არა აქვს და თუ შენჯღრევის დროს მაინც აქაფდება, ეს ქაფი მაშინვე გაქრება. დიდ ხანს არ გასძლებს. მაგრამ თუ დულილის დროს ტკბილს გადამეტებული სიმჟავე აქვს, მაშინ ზოგი ნაწილი ამ აზოტური ნივთიერებისა ღვინოშივე რჩება და მოკიდებული ქაფი დიდ ხანს რჩება, დიდ ხანს არა სცილდება. ამნაირ ღვინოს თუ ცოტაოდენ ალკოგოლს და ტანინს მიუმატებთ, მაშინ ამ ღვინოს ამგვარი ქაფის მიზეზი სრულიად გამოეცლება და, მაშასადამე, ნაკლიც გაუსწორდება.

8) **ზეთის გემოიანი ღვინო.** თუ ღვინო ზეითუნის ზეთით არის ნაწამლი და ეს ზეთი ან დიდ ხანს შერჩა ღვინოს, კარკად არ მოშორდა და ან დამწარებული და დამძაღებული იყო, მაშინ ღვინოსაც მიეცემა დამძაღებული ზეთის გემო. ესევე შეიძლება მოხდეს, თუ ღვინო შენახულია იმისთანა ჭურჭელში, რომელშიაც წინად ზეთი იყო შენახული და დაცლის დროს კარგად არ იყო გაწმენდილი. ის ზეთი, რომელიც ქურჭლის გვერდებში იყო გამჯდარი და დამწარებული და დამძაღებულია, ეხლა ღვინის ალკოგოლი ცოტაოდენს გახსნის და ღვინოსაც მძაღე გემო მიეცემა.

ამ ნაკლულევანების გასწორება ძნელი მოსახერხებელია. თუ დამწარებული ზეთის რაოდენობა მცირე არის, მაშინ იმის ამოცლა შესაძლებელია ცოტაოდენი კირის მიმატებით. ეს კირი ფქვილად უნდა იყოს ნაქცევი და საცერში გაცრილი. თითო ბოჩკაზე 100 გრამს მიუმატებენ, კარგად შეანჯღრევენ, რომ წამხდარი ზეთის ყოველ ნაწილს მოხვდეს. კირის ზედმოქმედებით კირის საპონი ჩნდება, რომელიც ღვინოში არ იხსნება გამოეცლება და თხლესთან დაილექავს. ამ საშუალებით, სამწუხაროდ, მოსალოდნელია ღვინის სიმჟავის შემცირება, ამისათვის ეს კარგად უნდა იყოს გამორკვეული და თუ შემცირდა, მაშინ ცოტაოდენი ღვინის სიმჟავე და კრემორტარტარი უნდა მიემატოს. თუ წამხდარი ზეთის გემო ძლიერ ეტყობა, ამის მოშორება ძნელი-ღა იქნება. სჯობს, რომ ამნაირი ღვინო ასრულის გამოსახდელად მოიხმარონ.

9) მდგრიგე ღვინო. ღვინის სიმღვრივეს მიზეზი სხვა-დასხვაგვარია; აქ ჩვენ ვეცდებით გავარჩიოთ ყველა მათგანი ცალ-ცალკე:

ა) ღვინო, რომელიც არ იწმინდება. ნოტიო წლებში დაყენებული ღვინო ჩვეულებრივ ძნელად იწმინდება და საზოგადოდ ეს დამოკიდებულია ტანინის სიმცირეზე ღვინოში. ამ შემთხვევაში ამ ნაკლის მოსაშორებლად თითო გეკტოლიტრ ღვინოზე 30 გრამ ტანინს უმატებენ, რომელიც გახსნილია ერთ ლიტრ ალკოგოლში. ტანინის მიმატების შემდეგ ღვინოს წებოთი დასწმენდენ. თუ ამ პირველ დაწმენდით ღვინო მაინც გამჭვირვალე არ არის, მაშინ რვა დღის შემდეგ კიდევ გაიმეორებენ წებოთი დაწმენდას—და უეჭველია, რომ მაშინ ღვინო კარგად დაიწმინდება. თუ ღვინოს ბევრი წებო აქვს მიცემული, მაშინ ღვინოშიაც დარჩება ეს წებო და იმას აამღვრევს. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, უებარი წამალი ტანინის მიმატება იქნება.

ბ) შერეული ღვინოების სიმღვრიგე. როცა ღვინოების კუპაჟი ანუ ერთმანეთში შერევა კარგი გამოანგარიშებით და კარგი ყურადღებით არ არის მომხდარი, მაშინ ხშირად მოხდება, რომ ამ ნარევის შემადგენელი ღვინოები კარგად ვერ ეკავ-

შირებიან ერთი-ერთმანეთს ერთგვარი ღვინის შესადგენად და ამის გამო ღვინო გამჭვირვალი და წმინდა არ არის, ამღვრეულია. ეს ღვინო ხანში შესვლით, რასაკვირველია, კარგად შეკავშირდება და დაიწმინდება, მაგრამ რადგანაც დაცდა ყოველთვის მოსახერხებელი არ არის, ამისათვის საჭიროა რამე ღონისძიების ხმარება იმის დასაწმენდად. ამ შემთხვევაში უებარია ან წებოთი და ან საწურავში (ფილტრში) გატარება.

სხვა-და-სხვა ღვინოებისგან შერეული ღვინო ხანდისხან, სიმღვრივეს გარდა, ლექსაც იჩენს, რომელიც მუქი წითელი ფერისა არის, ხან თითქო შავი და ღვინის ბუნებითი საფერავიდან შესდგება და შერეული აქვს ღვინის მარილი და სხვა-და-სხვა ორგანიული ნივთიერებანი. აქაც გაწურვა და ან დაწმენდა იქნება საჭირო, რასაკვირველია, თუ ღვინო თვითონ არ იწმინდება; ხანდისხან ცოტაოდენი ალკოგოლის მიმატებაც არგებს—ამით ღვინოს ცოტაოდენი მჟავე მარილი (კრემორტარტარი) გამოეცლება, მალე დაილექავს და სიმღვრივესაც თან ჩაიყოლიებს.

რასაკვირველია, ის უფრო ემჯობინება, თუ შერევის დროს ღვინო სრულებით არ აიმღვრა და ამისათვის კუპაჟის გარჩევის დროს ჩვენ ვურჩიეთ წინადვე შეტყობილიყო, თუ როგორ ეთვისებიან ერთი-ერთმანეთს სხვა-და-სხვა გვარი შესარევი ღვინოები.

ზოგიერთი ჯიშის ღვინოები ხანდისხან თავის-თავადაც იმღვრევიან და საფერავს ილექავენ. აქაც დაწმენდა არის საჭირო, თუმცა კი დიდის სიფრთხილით. რადგანაც, თუ წებო ჭარბად არის მიცემული, ღვინო უეჭველად გაფუჭდება.

ხანდისხან ისიც მოხდება, რომ ღვინო ქვევრში კარგად წმინდა და გამჭვირვალი იყო და ბოთლებში ჩასხმის შემდეგ კი აიმღვრა. ეს მოელენა დამოკიდებულია დუღილის გაჩენაზე, ალბად ღვინოს ბოთლებში ჩასხმის დროს შაქარიც და დუღილის დედაც ჰქონდა და გადაღების დროს შერეულმა ჰაერმა დუღილის დედა გამოაღვიძა და ამანაც შაქარი გაანაწილა. ამ ღვინოს ისე მოექცევიან, როგორც ნათქვამია ღვინის ხელმეორედ დუღილში შესვლის შესახებ.

6) ბოთლებში ღვინის გაფუჭება. ბოთლებში ჩასხმული ღვინო (თუ ნაკლულევანება რამე არ ჩაჰყვა და ყურადღებით არის მოვლილი) ერთი წლის განმავლობაში ძალიან შეკეთდება, სრულს ბუკეტს მოიპოვებს და, მაშასადამე, უფრო კარგი თვისებისა და ღირსებისა იქნება, ვინემ იგივე ღვინო ბოჩკაში ან ქვევრში შენახული. ამის მიუხედველად, ზოგიერთ შემთხვევაში, ბოთლებში ჩასხმული ღვინო ფუჭდება; ეს დამოკიდებულია, რასაკვირველია, თვითონ ღვინის მდგომარეობაზე ბოთლებში ჩასხმის დროს: თუ ამ დროს ღვინოს ჯერ კარგად არა ჰქონდა გამოცლილი ჭაჭიდან შერეული ნამცეცები, თუ ღვინო დიდ ხანს იყო გაშვებული ჭაჭაზე და კლერტიდან ბევრი ექსტრაქტიური ნივთიერება ამოიღო, თუ ღვინო ნაკლებად იყო გადაღებული და ნაკლებადვე შესვენებული შესანახავ ჭურჭელში, მაშინ, რასაკვირველია, მოსალოდნელია, რომ ეს ღვინო ბოთლებში დიდ ლექს გაიჩენს. ამას გარდა, ღვინო რაც უნდა კარგად იყოს შედგენილი და რაც უნდა კარგი ჯიშისა იყოს, თუ ეს ღვინო დიდი ხნით ცივ სარდაფში არ იყო შენახული და ხშირად არ იყო გადაღებული, მაშინ ეს ღვინო სრულებით არ იქნება განთავისუფლებული იმ ექსტრაქტიურ ნივთიერებათაგან, რომლებიც ღვინის ბოთლებში ჩასხმის წინად უნდა მოშორდნენ—მაშინაც, რასაკვირველია, ბოთლებში დაილექავს.—ამას ნუ დავივიწყებთ, რომ ბოთლები ყოველთვის ცივ სარდაფშია შენახული და ამ ადგილის ცივი ტემპერატურა ხელს უმართამს ამ ლექის გამოცლას, რადგანაც, როგორც ვიცით, ღვინის მარილი ცივ ღვინოში უფრო ცოტა იხსნება. ამ გარემოებაში ღვინიდან გამოცლილი მარილი ან კრისტალებად დაჯდება ბოთლის ძირში და გვერდებზე და ან ფხვიერი იქნება და სულ ძირს დაილექავს. ამგვარი მარილის შეცოტავება, რასაკვირველია, ღვინის საზოგადო სიმჟავეს შეამცირებს და ამასთან მის სიმკვახესაც და ამიტომ შესამჩნევი გაუმჯობესობა დაეტყობა ღვინოს; უფრო ნაზი და ბუკეტიანი გახდება. მხოლოდ იმისთანა ღვინო არ დაილექავს ბოთლებში, რომელიც ძალიან შეხნიანებული არის ჩასხმული და რომელმაც ბოჩკაშივე მოიშორა ეს

ლექი. თუ ლექი ცოტაა ბოთლში და შესდგება ღვინის მარილისაგან, მაშინ ეს ლექი ღვინოს არ გააფუჭებს და გაშორება საჭირო არ არის. მაგრამ თუ ბოთლებში დამჯდარი ლექი ბევრია, მაშინ მიუცილებლად საჭიროა ამ ლექის გამოცლა, ღვინის სხვა ბოთლებში გადასხმა ანუ დეკანტაცია (decantation), უამისოდ ღვინის გაფუჭება მოსალოდნელია; თუ ღვინო დიდ ხანს დარჩა თხლესთან, ამ ღვინოს თხლის გემო მიეცემა და ამასთან მისი დამწარებაც მოსალოდნელია. თუ ამის წინააღმდეგ ბოთლებში ლექი ბევრი არ არის, მაშინ ის უფრო ემჯობინება, ხელი არ ეხლოს ამ ბოთლებს, მეტადრე თუ ღვინო ძალიან კარგი ღირსებისა არის; სხვა ბოთლებში გადაღების დროს მოსალოდნელია ბუკეტის შემცირება და ამასთან, რასაკვირველია, მისი ღირსებისაც. თუ ღვინო შორს გასაგზავნია, მაშინ კი ცუდი არ იქნება იმის გადაღება; უამისოდ მგზავრობაში ღვინო აიმღვრევა და იქნება გაფუჭდეს კიდევაც. ღვინის დეკანტაციას დიდი გაფრთხილება უნდა, რომ კარგი შედეგი ჰქონდეს; ეს ოპერაცია რაც შეიძლება უჰაეროდ უნდა მოხდეს, რომ ის ეთერები, რომლებიც ღვინის ბუკეტს შეადგენენ, ღვინოს არ გამოეცალნენ და არ შემცირდნენ. ისიც შენიშნულია, რომ ამგვარი ღვინის სხვა ბოთლებში გადასხმის დროს იმას ალკოგოლიც უცოტავდება. სარდაფიდან ამოტანილი მღვრივე ბოთლები უნდა კარგად შეასვენონ, რომ ღვინო ისევ დაიწმინდოს; ამისათვის ამ ბოთლებს ჩააწყობენ თითო-თითოდ პატარ-პატარა კალათებში და სიფრთხილით საცობლებს ახდიან და ღვინოს დიდის სიფრთხილითვე გადაასხამენ სხვა ბოთლებში, რომლებიც, რასაკვირველია, კარგად გარეცხილები უნდა იყვნენ. ბოთლები კალათებში დაწვენილია და თვითონ კალათებს ისეთი ფორმა აქვთ, რომ იქიდან ღვინის გადასხმა შესაძლებელია ღვინის შეუნჯღრეველად. თუ გადასხმის დროს ღვინომ ჭანჭყარი დაიწყო, მაშინ ღვინო ძალიან აიმღვრევა და, მაშასადამე, იმისი გადასხმა აღარ შეიძლება. ერთი ბოთლიდან მეორეში გადასხმის დროს დიდი თვალყურის გდება უნდა, განსაკუთრებით ღვინის მდგომარეობა მუდამ დათვალიერებული უნდა იყოს; რაკი დაეტყობა, რომ ღვინო ბო-

თლიდან გამჭვირვალი არ მოდის, ოპერაციას მაშინვე შეაჩერებენ. თუმცა ზოგიერთი ურჩევს ბოთლიდან ბოთლში ხელით გადასხმას, მაგრამ ეს შესაწყნარებელი არ არის, ღვინო უეჭველად აიმღვრევა. ამას თქმა აღარ უნდა, რომ ყოველი ბოთლი, რომელშიაც ღვინოა გადაღებული, კარგად უნდა გაივსოს და საცობლით კარგად და გერმეტიულად დაიხუროს. ზოგიერთი ასე ურჩევს ღვინის ბოთლებში გადაღებას: ცარიელი ბოთლი დამდგარია და ყელში ძაბრი აქვს ჩადგმული და დაწვენილი ბოთლიდან გადაასხამენ ღვინოს ამ ძაბრის შემწეობით. რაკი ღვინო ცოტაოდენად აირევა, მუშაობას მაშინვე შესწყვეტამენ. მაგრამ არც ამგვარად ღვინის გადასხმა არის კარგი, რადგანაც აქაც ძნელია აუნჯღრეველად ღვინის გადასხმა. ზოგნიც ურჩევენ ღვინის გადასხმას სიფონის შემწეობით, მაგრამ არც ეს გამოდგა კარგი, ღვინო მაინც იმღვრევა და ოპერაციის ერთბაშად შეჩერება ძნელი მოსახერხებელია, თუ ღვინოს სიმღვრივე დაეტყო.

ამ ნაკლულევანებათა ასაცილებლად მოიგონეს ერთგვარი მანქანა, ბოთლებიდან ღვინის გადასასხმელი მანქანა, რომელიც ძალიან კარგია და ადვილი მოსახმარებელიც. ეს მანქანა შესდგება ორი ფიცრიდან, რომლებიც ანჯამებით არიან ერთმანეთზე მიკრულნი და ხარიხაზე დაწვენილნი, ასე რომ ორივე ფიცარი დაგეზებულია. ეს ფიცრები ისეა მოწყობილი, რომ თითოზე თითო ბოთლის დამაგრება კარგად შეიძლება: ერთ ფიცარზე სავსე ბოთლი და მეორეზე ცარიელი. იმ ფიცარს, რომელზედაც სავსე ბოთლია დამაგრებული ხელით ასწევენ მაღლა და ღვინო მეორე ბოთლში გადაისხმება შეუნჯღრეველად; თუ სიმღვრივე დაეტყო, მაშინვე ფიცარს ძირს დასწევენ და ოპერაციას შეაჩერებენ. ბოთლის საცობლის ახდის უმალვე ამ ბოთლს მიუკეთებენ ერთს პატარა კაუჩუკის მასრას, რომელიც მეორე ბოლოთი ცარიელ ბოთლშია ჩარჭობილი და ჭანჭყარის მოსაცილებლად ამ მილს ორი ეგრედ წოდებული საჰაერო მილი აქვს საცობლებში ჩატანებული ერთი იმ ბოთლისათვის, რომელიც ცარიელდება და მეორე იმისთვის, რომელიც ივსება.—

ბოთლების თითქმის გორიზონტალი მდებიარების გამო ღვინის ქველი შეურხეველად და შეუჭანჭყარებლად გადადის მეორე ბოთლში, გვერდებს ასველებს და წყნარად ჩადის. თვითონ მანქანის ქვეშ ერთი აუზია, რომელშიაც დაღვრილი ღვინო გროვდება.—ფიცრებს ისეთი ბოთლების შესამაგრებელი ჩარჩოები აქვს, რომ ყოველი ტანის ბოთლის ჩამაგრება შეიძლება.

10) თეთრი ღვინო, რომელიც წითლდება. თუ თეთრ ღვინოს ფერი გაუწითლდა, ეს იმის შედეგი იქნება, რომ ჭაჭა და ტკბილი დიდ ხანს იყვნენ ერთად გაშვებულნი დაწურვის დროს და ან წითელი ყურძენი ისე მწიფე იყო, რომ საფერავი ადვილად იხსნებოდა ტკბილში. ჩვეულებრივ თუ ტკბილს ცოტა-ოდენი საფერავი შეჰყვა, ეს ფერი დულილის დროს შეიცვლება, მაგრამ თუ ყურძენი ძლიერ საფერავიანი იყო, მაშინ კი ღვინოც დაფერიანდება. თეთრი ღვინის გაწითლება მაშინაც შესაძლებელია, თუ ჩასხმულია იმისთანა ბოჩკაში, რომელშიაც წინად წითელი ღვინო იყო. ამ ფერის წასართმევად ხმარობენ ნახშირის ფქვილს; ხშირად თვითონ ხის მასალასაც შეუძლიან ღვინის შეღებვა, მაშინ ან გოგირდით უნდა უბოლონ, და თუ ეს არა რგებს, წებოთი უნდა დაწმინდონ.

ბ) ღვინის სხვა-და-სხვა გვარად დასნეულება

აქამდინ ჩვენ გავარჩიეთ ღვინის ის სხვა-და-სხვა გვარი ნაკლულევანებანი, რომლებიც ღვინომ მოიპოვა ან დასაყენებელი მასალიდან, ესე იგი ყურძნიდან, და ან სხვა-და-სხვა გარემოებიდან, როგორც დადუღების დროს, ისე შემდეგაც შემთავვრების ხანაში.—ახლა გავარჩიოთ ღვინის იმისთანა ნაკლულევანებანი, რომლებიც არიან შედეგნი სხვა-და-სხვა გვარი მისი სნეულებისა; აქ ჩვენ დაწვრილებით გავსინჯავთ ღვინის ყოველგვარ ავადმყოფობას, მისგან გამოწვეულ ცვლილებას ღვინოში, შემოკლებით ავწერთ იმ არსებათაც ანუ ფერმენტებს, რომლებიც ავადმყოფობას გამოიწვევენ და ვუჩვენებთ ზოგიერთ იმ საშუალებასაც, რომელიც უნდა ვიხმაროთ დას-

ნეულებული ღვინის მოსავლელად და მოსაგვარებლად.—გიუ-ოს აზრით, „თუ ღვინო ბუნებითია, წმინდა და კარგად არის დაყენებული, კარგი და კარგად დამწიფებული ყურძნიდან არის გამოწურული მისი ტკბილი, კარგ ჭურჭელში და კარგად არის დადუღებული და ამასთან კარგ სარდაფშიაც არის შენახული, ეს ღვინო არასდროს არ დასნეულდება. ამის წინააღმდეგ, თუ ღვინო დასნეულებულია, იმის მოვლა ტყუილ-უბრალო საქმე იქნება, იმას აღარა მოარჩენს-რა; სვინიდისის და გიგიენის წინაშე გაფუჭებული, დასნეულებული და ნაწამლი ღვინოების გაყიდვა აკრძალული უნდა იყოს, როგორც აკრძალულია ავადმყოფი საკლავის გაყიდვაო“.

რაღა თქმა უნდა, ის ყველას ემჯობინება, ღვინო ისე იყოს მოვლილი, რომ ყოველგვარი ავადმყოფობა ასცილდეს და არავითარი წამლობა არ დასჭირდეს, მაგრამ ეს მხოლოდ სასურველია და ცხოვრება და პრაქტიკა კი სხვას გვიჩვენებს,—იმას, რომ ცოტაოდენი დაუდევრობით შესანიშნავი ღვინოები ფუჭდება და თუ მათი მობრუნება შესაძლებელია, თუნდ წამლობითაც, მაშინ ეს ძალიან ბედოვლათობა იქნება, რომ ამ ღვინოს ყური არ ვუგდოთ.

ვერნეტ-ლამოტიც იმ აზრისა არის, რომ ავადმყოფობის აცილება სჯობია, დასნეულებული ღვინის წამლობასაო, მაგრამ ამასთან ის დიდის გარკვევით აგვიწერს ყოველ ავადმყოფობას და მშვენიერ დარიგებასაც იძლევა, როგორც ავადმყოფობის ასაცილებლად, ისე დასნეულებული ღვინის მოსარჩენად და მოსახმარებლად.

დიდი ხანი არ არის, რაც ღვინის დასნეულების მიზეზი შეიტყეს, თუმცა კი თვითონ სნეულებანი ძველადვე ცნობილნი იყვნენ. ამის გამოკვლევა და გამოაშკარავება ეკუთვნის საფრანგეთის გამოჩენილს სწავლულს პასტერს, რომელმაც 1873 წ. თავის განთქმულ შრომაში: „Etades sur le vin“ ცხადად დაამტკიცა, რომ ყოველგვარი ღვინის ავადმყოფობა წარმოსდგება „პარაზიტეული წვრილი მიკროსკოპიული მცენარეებისაგან, რომლებიც ღვინოში პოულობენ მათი აღორძინების და გამ-

რავლების ხელთ-მომწყობ პირობებს“ და ეს მიკროსკოპიული ორგინიზმები ღვინოს ახდენენ ან იმითი, „რომ ღვინოს ართმევენ ზოგიერთ იმ ნივთიერებას, რომელიც მათ საზრდოდ გამოსადეგი არის და ან იმით, რომ თავიანთი სიცოცხლით და ცხოვრებით სხვა-და-სხვა სხეულებს აჩენენ, რომლებიც მათი აღორძინების და გამრავლების ეფექტია“. ამგვარად პასტერმა ყოველ ავადმყოფობას გაუჩინა თავისი საკუთარი მიზეზი, ფერმენტი; სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობის ფერმენტები ერთი ერთმანეთისაგან კარგად განირჩევიან, როგორც თავიანთი შეხედულობით, ისე თავიანთი ცხოვრების და მოქმედების ეფექტებით, შედეგით. მაშასადამე, ახლა ადვილად შესაძლებელია მიკროსკოპში გასინჯვით წინადვე კარგა დაახლოვებით შევიტყოთ რომელი ღვინო რომელი ავადმყოფობით გახდება ავად და, მაშასადამე, შეგვიძლიან ამ გამოკვლევის ძალით წინადვე მივიღოთ იმისთანა ღონისძიებანი, რომ ღვინო არ დასნეულდეს და საღი და უვნებელი დარჩეს. კარგად გამოკვლეული და გამოაშკარავებულია, რომ ღვინოს ჯერ რომელიმე ავადმყოფობის ფერმენტი ეწვევა, შიგ ჩაიბუდებს და როცა იპოვის იმისთანა გარემოებას, რომელიც ხელს უწყობს იმის აღორძინებას—გამრავლდება და ღვინოზედაც იმოქმედებს—ეს ღვინო დასნეულდება. ხშირია, რომ რამე ფერმენტის შერევიდან ავადმყოფობის გამოჩენამდე რამდენიმე თვე და უფრო მეტიც გავიდეს. მაშასადამე, ავადმყოფობის ფერმენტი დიდ ხანს ინერტიულ მდგომარეობაშია, სპორებად არის), ანუ გაბრუებულია და ან რიცხვით ისე მცირე, რომ ვნება არ შეუძლიან.—აქედან ცხადია, როგორც თვითონ პასტერიც ამბობს, რომ „რამე ავადმყოფობის ასაცილებლად საკმარისი იქნება იმისთანა საშუალება ვიხმაროთ, რომელიც ამ მცენარეების სიცოცხლეს და მოქმედებას ან შეაფერხებს და ან სრულიად მოსპობს“. ამ ფერმენტების გამრავლებამდინ ისინი უნდა დაიხოცნენ ღვინოში რამე ღონისძიებით, რომლებზედაც ჩვენ დაწვრილემით გვქონდა ლაპარაკი წინა წერილში. მაშ აქ ახლა შევუდგეთ ავადმყოფობის აწერას:

1) **პრკე-მოკიდებული ღვინო.** (Vins éventés, fleuris). ამ ღვინის ავადმყოფობას, რომელსაც პრკე ანუ ღვინის აყვავებას ეძახიან, Portes და Ruyssen'მა ნახშირწყლოვანი დულილი დაარქვეს, რადგანაც ამ ავადმყოფობის დროს ერთი უმთავრესი ღვინის შემადგენარი სხეული, სახელდობრ ალკოგოლი, ისე ჟანგდება, რომ მისგან წყალი და ნახშირის სიმჟავე გამოდის. ეს ავადმყოფობა ჩვეულებრივ უჩნდება სუსტს, ცოტა-ალკოგოლიან ღვინოს და ისიც მაშინ, თუ ჭურჭელში ცოტა ცარიელი ადგილია, ესე იგი ნახარჯ ჭურჭელში; ჩვენში სავსე, ახლად ახდილ ქვევრსაც კი აქვს პრკე მოკიდებული, რის მიზეზიც, რასაკვირველია, ის არის, რომ ქვევრი არას დროს სავსე არ არის, ყოველთვის ჰაერი არის ღვინის პირზე. ეს დულილი ანუ ავადმყოფობა გამოწვეულია ერთგვარი ფერმენტით ანუ სოკოთი, რომელსაც ეძახიან **სახარომიცეს ვინი** (Sacharomyces vini) ანუ **მაკოდერმა ვინი** (mycoderma vini), რადგანაც მართლა-და ღვინის პირას ჩნდება და ისე მრავლდება, რომ სრულებით ჰფარავს ღვინოს სქელი ნაღებივით. მიკროსკოპში თუ გავსინჯეთ (სურათი 54), ისინი წარმოგვიდგებიან კარგა მოზდილ, კვერცხივით მოგძელო ბუშტებად, რომელთა გულშიაც სჩანს ხან ერთი და ხან ორი ვაკუოლი (ცარიელი ადგილი); ეს ბუშტები ჯერ ორიოლად არიან შეერთებულნი, მაგრამ ჩქარა შორდებიან ერთმანეთს, მათი გამრავლების და აღორძინების საშუალებანი არიან როგორც კვირტები, ისე სპორებიც ანუ პარკები; კვირტებით მრავლდებიან ისინი მხოლოდ მაშინ, რო-

სურათი 54.
ღვინის პრკე
S. vini (Mycoderma vini)

ცა ალკოგოლ-ნარევ წყალში არიან და სპორებით კი, როცა მარტო წყალში იმყოფებიან. — კვირტებით გამრავლება უფრო ეხერხებათ, რადგანაც იმ გარემოებაშიაც, როცა სპორებით მრავლდებიან, მაშინაც კი რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ კვირტებით იწყებენ გამრავლებას.

ამ ფერმენტს, ამ სოკოებს ერთი საკვირველი თვისება აქვთ: დიდი ხალისით და ენერგიით ინთქავენ ჰაერის ჟანგ-მბადს და აგრეთვე ხალისით და ენერგით გადასცემენ იმ ნივთიერებათ, რომელთა შორისაც ისინი იმყოფებიან. თუ ეს გარეშე ნივთიერებანი ჟანგ-მბადს კარგად უერთდებიან, მაშინ ისინი სრულიად დაიწვებიან და დაინთქებიან ამ გარემოებაში; ამ შემთხვევაში, როგორც წინადაც ვთქვით, ალკოგოლი წყლად და ნახშირის მჟავედ იქცევა და, მაშასადამე, სრულიად დაინთქება და. გადაგვარდება: $C^2H^6O+O^6=2CO^2+3H^2O$.

ის ამიტომ ალკოგოლზე კი არ მოქმედობს, არამედ შაქარზედაც და ძმრის სიმჟავეზედაც, რომელსაც აგრედვე ანადგურებს: $C^2H^4O^2+O^4=2CO^2+2H^2O$.

ეს ფერმენტი იმითიც არის შესანიშნავი, რომ ალკოგოლიდან ძმარს არასდროს არ აკეთებს, არამედ პირდაპირ ნახშირ-მჟავემდინ სწვავს.

პრკე ეკიდება უფრო ხშირად ახალ ღვინოს, მეტადრე თუ ცოტა ალკოგოლი აქვს, თუმცა კი ისიც არის შემჩნეული, რომ ეს ფერმენტი კარგად ცხოვრობს მაგარ, ბევრ-ალკოგოლიან ღვინოშიაც.

როგორც ზემოდ მოყვანილი რეაკციებიდან ვნახეთ, ამ ფერმენტს თავისი მოქმედებისათვის დიდძალი ჟანგ-მბადი უნდა, ასე რომ სადაც ის არის, იქ სხვა არსებას თითქმის აღარ შეუძლიან გაჩენა. ამასთან დიდი სითბო და ნახშირის სიმჟავე ჩნდება. ამის წარმოსადგენად საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ თუ ღვინოს 10^0 ალკოგოლი აქვს, მაშინ ერთ ლიტრში ხომ თითქმის 80 გრამი იქნება და ამ 80 გრამი ალკოგოლის გადასაგვარებლად საჭიროა 160 გრამი ანუ 100 ლიტრი ჟანგ-მბადი. აქ სანუგეშო ის არის, რომ, თუ ქვევრში ან ბოჩკაში

ღვინო ბევრია, ესე იგი ჭურჭელს ცოტა აკლია, მაშინ იმას დიდი ზარალის მოტანა არ შეუძლიან, რადგანაც ჩანთქული ჟანგ-მბადის მაგიერად ორი მესამედი იმის ტანისა ნახშირის სიმ-ჟავე ჩნდება და, მაშასადამე, მალე უნდა შეფერხდეს ამ ფერმენ-ტის ზედმოქმედება ღვინოზე. სამწუხარო აქ უფრო ის არის, რომ ეს ფერმენტი ძალიან უშლის ღვინოს მომწიფებას, რად-განაც ნებას არ აძლევს ჟანგ-მბადს იმოქმედოს ღვინოზე. ამას სხვა უფრო ცუდი შედეგიც მოსდევს.—ამ ნიადაგზე ადვილად ჩნდება სხვა ფერმენტი, რომელიც ღვინოს აჭანგებს. ამისათვის მიუცილებლად საჭიროა, რომ ღვინის ჭურჭელი სა-ვსე იყოს და ჰაერს არ შეეძლოს მასზე პირდაპირ მოქმედება და ფერმენტის გაახლება და გავარჯიშება. თუ ფერმენტმა დიდ ხანს იმოქმედა ღვინოზე, მაშინ ღვინოს ალკოგოლი ძალიან შეუმცირდება და ამასთანავე რაღაცა ცუდი სუნი და გემო მი-ეცემა—ცარიელი ჭურჭლის სუნი და დაგუბებული წყლის გე-მო. ამის გამო ეს ღვინო ცუდი სასმელი იქნება. თუ ღვინო კარგად დახურულ ჭურჭელშია შენახული, თვითონ ჭურჭელიც მთლად სავსეა და ღვინო მოშორებულია ჰაერის პირდაპირ ზედ-მოქმედებას, მაშინ ეს ავადმყოფობა მოსალოდნელი არ არის; როცა ჭურჭელი გერმეტიულად არის დახურული, მაშინ პრკეს იქ აღარა შეუძლიან-რა. მაშასადამე, ყველაზე სასურველი ის იქნება—ღვინოს ისე მოუაროთ, რომ ის ავად არ გახდეს, არ დასნეულდეს.

თუ ღვინის პატრონი იძულებული არის შესაფერი უჭურ-ჭლობის გამო ღვინო ახალ ქვევრში ან ბოჩკაში იქონიოს, მაშინ მიუცილებლად საჭიროა ღვინის ყოველ ამოღების შემ-დეგ ღვინოს გოგირდი უბოლოს ჭურჭელში და ამასთან ისიც კარგი იქნება, თუ ჭურჭელი გიდრავლიური საცობლით იქნება დაცმული, რომ ჰაერმა მავნე ფერმენტი არა ჩაიყოლოს-რა.

თუ ღვინო უკვე პრკე-მოკიდებულია, მაშინ იმის გადა-ღება აღარ შეიძლება, რადგანაც გადაღება ღვინოს აურევს და პრკე მთელ ღვინოში გაიფანტება. თუ შესაძლებელია, ჯერ პრკე უნდა მოხადონ ღვინის შეურხეველად და ამას შემდეგ

შეიძლება გადაიღონ სხვა ჭურჭელში, კარგა შეავსონ და შეინახონ. პრკის მოსახდელად აი როგორ მოიქცევიან: აიღებენ შუშის ან თუნუქის მილს, ზედა-პირს თითით დაუცობენ და გაფრთხილებით ჩაასვენებენ ღვინოში ერთი მტკაველის სიღრმეზე, თითს მოაშორებენ, მილში პატარა ძაბრს ჩასდგამენ და გაფრთხილებით მიუმატებენ იმგვარსავე ღვინოს. ჭურჭელი რომ გაივსება, მაშინ პრკეც, რასაკვირველია, პირზე ამოვა და, თუ ქვევრი სრულიად გაივსო, მაშინ ეს პრკე-მოკიდებული ზედაპირი ქვევრიდან გადმოიღვრება და ღვინო პრკიდან განთავისუფლდება. თუ ამას შემდეგ ღვინოს კიდევ შერჩა პრკეს გემო, მაშინ ეს ღვინო ფრთხილად უნდა გადაიღონ სხვა ჭურჭელში და გოგირდი უბოლონ. თუ ღვინოს მხოლოდ ცოტა პრკე ჰქონდა მოკიდებული, მაშინ ამის მოსაშორებლად ასე მოიქცევიან: ქვევრს მიუმატებენ წმინდა ზეითუნის ზეთს, რომელიც პრკეს ზევით ამოიტანს, პირზე მოიქცევს და ღვინო საღი დარჩება. ზეთსა და პრკეს გაფრთხილებით მოხდიან და ღვინოს სხვა ჭურჭელში გადაიღებენ. თუ გადაღების შემდეგ ღვინოს მაინც პრკის გემო შერჩა, მაშინ თითო ბოჩკაზე თითო ლიტრ კარგ ალკოგოლს მიუმატებენ და ან ამის მაგიერად მწკლარტე და მაგარ ღვინოს; ამას შემდეგ კვერცხის ცილით დასწმენდენ და გადიღებენ წმინდა და გოგირდით ნაბოლებ ჭურჭელში.

ხშირად პრკე ბოთლებში ჩასხმულ ღვინოსაც ეკიდება. ამ შემთხვევაში ამ პრკის მოშორება უფრო ძნელია; თუ აქაც შევსება ვიხმარეთ, მაშინ ღვინო უეჭველად აირევა პრკესთან. ამ გარემოებაში აი როგორ იქცევიან: ჯერ ბოთლებს ფრთხილად ახდიან საცობლებს, ისე რომ ღვინო არ შეინჯღრეს და პრკე ღვინოს არ შეერიოს; შემდეგ აიღებენ ტილოს ან კალენკორის პატარა ნაჭერს, შიგ პატარა რგვლად გამოჭრილ ნაფოტს გაახვევენ და რამე მავთულზე ან ჩხირზე მიამაგრებენ. ამ ჩხირის ტარით ტილოს პრკეს მიუახლოვებენ და პრკე ამ ტილოს მიეკვრება და ამოღების დროს თან ამოჰყვება. ტილოს კარგად გასწმენდენ და, თუ ბოთლში პრკე კიდევ დარჩა, ამ ოპერაციას

კიდევ გაიმეორებენ, მანამ სრულებით არ ამოსწმენდენ. ყველა ბოთლებს ასე მოხდიან პრკეს და ისევ დაუცობენ.

თუ ბოთლებში ცოტაა დარჩენილი ჰაერი ან სრულებით არ არის, მაშინ ღვინოს პრკე არასდროს არ მოეკიდება; თუ ბოთლებში ცოტა ჰაერია დარჩენილი და ბოთლებიც დაწვენილია შენახული, რომ საცობელი მუდამ ღვინით იყოს დასველებული, მაშინ პრკეს შიში არ უნდა გვქონდეს.

2) **ღვინის დაძმარება ანუ დაჭანგება.** ღვინის დაძმარება ძალიან გავრცელებული ავადმყოფობა არის და ამასთან ეს ავადმყოფობა ძნელი მოსაშორებელია. ამ ავადმყოფობის მიზეზიც ერთგვარი პატარა სოკო არის, ძმრის დედა (სურათი 55), რომელსაც ადრე **მიკოდერმა აცეტი**'ს ეძახდნენ (mycoderma aceti), ახლა კი **დიპლოკოკუს აცეტი**'ს ეძახიან (diplococus aceti). ეს ფერმენტი მიკროსკოპში გვეჩვენება ორ მუქ წერტილად, რომლებიც ერთმანეთში გადაბმულნი არიან რაღაცა ვიწრო და უფერო ძაფით, თითქო ორი პაწაწინა სოკო თავიანთი ფეხებით იყვნენ ერთმანეთზე მიკრულნი; ეს ფერმენტი ერთი პატარა ბუშტია, რომელიც შუაგულში ძალიან შევიწროებულია. თითო მათგანს $\frac{1,5}{1000}$ მილიმეტრის სიგძე აქვს; ხშირად ეს პატარა არსებანი ერთად არიან შეერთებულნი და კრიალოსანს წარმოგვიდგენენ. ხანში შესვლით ყოველი ბუშტუკის შეეიწროებული ნაწილი უფრო შეეიწროვდება და ბოლოს სრულიად გაწყდება, ასე რომ ერთიდან ორი სოკო ჩნდება, რომლებიც თავისი მხრით



სურათი 55.

დაჭანგებული ღვინის ფერმენტი—ძმრის დედა Diplococus aceti.

კიდევ განაწილდებიან. ეს არის მათი აღორძინების და გამრავლების საშუალება. ამგვარად ძალიან ცოტა ხანში მათი რიცხვი აუარებლად მატულობს, მრავლდება. ამგვარი გამრავლება, მისი ტანი და შეხედულობა გვიმტკიცებს, რომ პრკესა და ამ ფერმენტ შუა დიდი განსხვავება არის. თუმცა პრკეც ადვილად მრავლდება, მაგრამ ღვინის პირის მოსაფენად რამდენიმე კვირა და ხან თვეც უნდება; ძმრის დედას კი ერთი დღისა და ღამის განმავლობაში ისე შეუძლიან გამრავლება, რომ ათიოდე არსებიდან 300 მილიარდამდინ გაჩნდება. ამ ფერმენტის ამგვარი გამრავლგბით სარგებლობენ მრეწველობაში ძმრის მოსამზადებლად—ამაზე ჩვენ შემდეგ გვექნება საუბარი.

ამ ფერმენტსაც თითქმის ისეთივე მილტოლვილება აქვს ჟანგ-მბადთან, როგორც პრკეს; ძმრის დედაც ბევრ ჟანგ-მბადს ინთქავს და ალკოგოლს გადასცემს, რომელსაც დააძმარებს ამ გვარად: $C^2H^6O+O^2=C^2H^4O^2+H^2O$.

ჩვეულებრივ ეს ავადმყოფობა იმისთანა ღვინოში ჩნდება, რომელიც უკვე პრკე-მოკიდებულია. ამასთან შესანიშნავი ის არის, რომ რამდენადაც დაძმარება მატულობს, იმდენად პრკე კლებულობს, ასე რომ ბოლოს პრკე სრულებით გაქრება. დაძმარებული ღვინო და მჟავე ღვინო, რასაკვირველია, ერთმანეთისაგან განირჩევიან. მართალია, ორივე შემთხვევაში ღვინო მჟავეა, მაგრამ ამ სიმჟავის მიზეზი პირველ შემთხვევაში ძმრის სიმჟავე არის ($C^2H^4O^2$) და მეორე შემთხვევაში კი—ღვინის სიმჟავე ($C^4H^6O^6$).

ყოველგვარი ღვინო დაძმარდება, თუ რამდენიმე ხანი პირ-ახდილ ჭურჭელშია გაშვებული, მაგრამ თუ ღვინოს ბევრი ალკოგოლი აქვს, მაშინ ძმრის დედა ვერ იმუშაებს და, მაშასადამე, ვერც დააძმარებს ამგვარ ღვინოს. თუ რომელიმე ღვინო ამ ავადმყოფობით დასნეულდა, იმისი მორჩენა ძალიან ძნელია.

ამ ავადმყოფობის ასაცილებლად ძველ დროში ღვინოს ზეითუნის ზეთს ასხამდნენ, რომელიც ფერმენტს ნებას არ აძლევდა ღვინოზე ემოქმედა. სამწუხაროდ, ამ ჩვეულებას ცუდი

შედეგი მოჰქონდა: ზეთი მწარდებოდა და ღვინოსაც მწარე და მძაღე გემოს აძლევდა. ჩვენ დროში ზეთს თუმცა თავი დაანებეს, მაგრამ თითქმის ამგვარსავე საშუალებას ხმარობენ ზოგიერთნი—ტერპენს (ბელკონს) უმატებენ ღვინოს. სამწუხაროდ, ეს საშუალება ღვინოს სრულებით არ იფარავს დაძმარებისგან და ღვინოს სხვანაირადაც აფუჭებს, ცუდ გემოს აძლევს. ყველა ამეებზე უმჯობესია ის, რომ ღვინო შეინახონ გოგირდით ნაბოლებ ჭურჭელში. ბევრნი ურჩევენ გაჩენილი სიმჟავის, ძმრის ტუტით დანელებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი სიკეთე არც ამას მოაქვს; დღეს დანელებული სიმჟავე ხვალ ისევ იმატებს და თითქმის ყოველდღეს მოუნდება დანელება. თუ ტუტით დანელების შემდეგ ღვინო კარგად გაათბეს, მაშინ კი გამოდგება ეს ღვინო საყოველდღეო სასმელად. დაძმარებული ღვინის მოსარჩენად ბევრი საშუალება არის ნარჩევი, მაგრამ, სამწუხაროდ, თუ ღვინოს ეს სენი ძალიან აქვს გამჯდარი, იმის მორჩენა ძნელი მოსალოდნელია; ყველას ის ემჯობინება, რომ
V დაძმარებული ღვინო ძმარად აქციონ და ისე მოიხმარონ. თუ ღვინო ძალიან არ არის დაძმარებული, მაშინ სარჩევია ისეთი საშუალება, რომელიც ძმრის დედის მოქმედებას ან შეაფერხებს და ან მოსპობს და ამგვარად ღვინოს დაიცავს დაძმარებისაგან. ამ საშუალებათაგან ყველაზე უფრო სარჩევია ან ღვი-
1 ნის გათბობა სათბობ მანქანაში, ან გოგირდეული სიმჟავის
2,3 მიმატება და ან ალკოგოლისა. თუ გოგირდეული სიმჟავე ამოირჩიეს, მაშინ ჯერ გამოცდილება უნდა მოახდინონ ღვინის ცოტა ნაწილზე: ჯერ აიღებენ, ვთქვათ, ერთ ლიტრ ღვინოს, გოგირდით უბოლებენ და ამ ღვინოს ცოტ-ცოტაობით მიუმატებენ კარგ ღვინოს, რომ შეიტყონ რამდენი ღვინის მიმატების შემდეგ დაძმარებული და გოგირდით ნაბოლები ღვინო ჰკარგავს როგორც ძმრის სუნს და გემოს, ისე გოგირდეული სიმჟავისასაც. როცა ეს გამოკვლეული იქნება, მაშინ გოგირდს უბოლებენ მთელ წამხდარ ღვინოს და ამას შემდეგ იმდენ კარგ ღვინოს მიუმატებენ, რამდენიც გამოცდილებამ უჩვენა. აგრე გასწორებული ღვინო კარგა ხანს შეინახება. თუ დაძმარებუ-

ლი ღვინო რამე ტუტით არის დანეღლეგბული, მაშინ ამ ღვინოს გათბობის შემდეგ ცოტა რამ ის მასალაც უნდა მიემატოს, რომელიც დაძმარების დროს მან დაკარგა; ოტავის რჩევით, ამგვარად გასწორებულ ღვინოს გადაიღებენ სხვა ჭურჭელში, რომელშიაც წინად ჩასხმულია ერთ ლიტრ ან ლიტრ ნახევარ ალკოგოლში გახსნილი: 1 კილო გამშრალი თხლე და 10 ან 15 ლიტრი ახალი თხლე, 5 გრამი ტანინი და 25 გრამი ღვინის სიმჟავე; თხლე, რასაკვირველია, მთლად არ გაიხსნება ალკოგოლში, ამისათვის სჯობს თხლე ცალკე მიემატოს.— მიცემული თხლე, თუ კარგი თვისებისა არის და კარგი ღვინისა, გასწორებულ ღვინოს კარგ გემოს აძლევს და ერთგვარ ბუკეტსაც. თხლეშია ღვინის მარილი, ფოსფორის სიმჟავის მარილი, სხვა-და-სხვა ეთერები, ქარვის სიმჟავე და გლიცერინი, თუმცა კი სულ მცირე რაოდენობით. ყველა ეს და ამასთან მიმატებული ტანინი, ღვინის სიმჟავე და ალკოგოლი სრულებით გადააკეთებენ და ღვინო მოიპოვებს იმ ძალას და გემოს, რომელიც იმან დაკარგა დაძმარებით.

ამ ჭურჭელში ღვინო სამ კვირამდინ არის შენახული. ამასთან, რასაკვირველია, საჭიროა, რომ ჭურჭელი ყოველთვის სავსე იყოს და გერმეტიულად დახურული. მიუცილებლად საჭიროა დიდი თვალყურის გდება და ღვინის ხშირად გემოთი გასინჯვა. როცა ღვინოს კარგი გემო მიეცემა, მაშინვე უნდა გაიყიდოს და ან დაილიოს და თუ მყიდველი არ არის, მაშინ ღვინოს ხელმეორედ სხვა ჭურჭელში გადაიღებენ, რომელიც გოგირდით ნაბოლებია. ამ სახით ეს ღვინო დიდ ხანს შეინახება უვნებლად.

ერთმა იტალიელმა სწავლულმა, კარპენემ, დაძმარებული ღვინის გასწორება მოინდომა **ენდოსმოზით** და ამისთვის ერთგვარი ჭურჭელი მოიგონა, რომელსაც ენოსმოჟენი დაარქვა (d'Oenosmgene). ეს ჭურჭელი ამგვარად არის გაკეთებული: თერთმეტი ოთხ-კუთხი ჩარჩო ერთი ტანისა ზედი-ზედ არის მიწყობილი და ყოველ წყვილ ჩარჩოს შუა პერგამენტის ქაღალდია დატანებული; ნაპირების ჩარჩოები გარედან და-

ფიცრულია. ამგვარად ამ ჩარჩოებიდან არის შემდგარი ოთხკუთხა ყუთი, რომელშიაც 11 განყოფილებაა, ერთი ერთმანეთისგან გაშორებული პერგამენტის ქაღალდით: 1, 3, 5, 7, 9 და 11 განყოფილება ერთი-ერთმანეთშია შეერთებული ჩარჩოებში დატანებული ნახვრეტებით—აქ ჩაასხამენ ალკოგოლიან წყალს, რომელშიაც ალკოგოლის რაოდენობა ისეთივეა, როგორც დაძმარებულ ღვინოში; 2, 4, 6, 8 და 10 განყოფილებანიც ჩარჩოების შემწეობითვე არიან შეერთებულნი და აქ არის ჩასხმული დაძმარებული ღვინო. კარპენეს მოწმობით, რვა საათის განმავლობაში ღვინო დაკარგავს თავისს სიმჟავეს, რომელიც პერგამენტის შემწეობით გადავა ალკოგოლიან წყალში. ამას შემდეგ ამ ღვინოს მიუმატებენ ახალ თხლეს, ღვინის სიმჟავეს, ტანინს და ალკოგოლს, ესე იგი შეაკეთებენ და მოუვლიან იმავეგვარად, როგორც ოტავი ურჩევს.

თუმცა ჩვენ აქ დაწვრილებით ავწერეთ სხვა-და-სხვა საშუალებანი დაძმარებული ღვინის მოსაკეთებლად, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვიაროთ, რომ დაძმარებული ღვინის გამოკეთება დიდად ძნელია, შეუძლებელია*).

ისევ ის ემჯობინება, რომ როცა ღვინოს დაძმარება დაიწყო, ეს ღვინო მაშინვე გათბეს და გაიგზავნოს არყის გამოსახდელად; ძნელი მოსახერხებელია, რომ ერთხელ დაძმარებულმა ღვინომ ისე მოიკეთოს, რომ სასმელად გამოდგეს. ამ ავადმყოფობის წინამორბედი არის ერთგვარი ღვინის გადაგვარება, რომელსაც ფრანგებმა დაარქვეს სახელად vin echonflés. ზოგიერთ შემთხვევაში გადმოღვრის ან გზაში ყოფნის დროს ღვინოს ფერი უფუჭდება (ternit), რომელიც ჰკარგავს თავისს სიცხოველეს და სიმჭვირვალეს, იმისი საღი გემო იცვლება და პირში რაღაცა უსიამოვნო სითბოს აგრძნობინებს კაცს—ეს ის ღვინოა, რომელიც მალე დაძმარდება. აქედან ცხადია, რა დიდი თვალყურის გდება სჭირია ამისთანა გამოცვლილ ღვინოს, რომ დროზე რამე საშუალება ხმარებულ იქმნას თავიდანვე სენის მოსაშრე-

*) ელექტრონის ამ შემთხვევაში მოქმედებაზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი წინა წერილში.

ბლად. თუ ამისთანა ღვინოს მიკროსკოპით გავსინჯავთ, უეჭველად დავრწმუნდებით, რომ აქ არის ძმრის დედა, თუმცა სუსტი რაოდენობისა, მაგრამ მაინც არის. ამ ავადმყოფობის მიზეზი, რასაკვირველია, იგივეა, რაც დაძმარებისა—ესე იგი ძმრის დედა, რომელიც სუსტ ღვინოში, ცოტა ალკოგოლიანში უფრო კარგად მრავლდება, სუსტ ახალ ღვინოში და ან ძველ დრო-გადასულ ღვინოში, ხნით დაღალულში.

აქ, რასაკვირველია, წამლობა ისეთივე უნდა, როგორც წინად ვთქვით.

შემჩნეულია, რომ ის ღვინო უფრო ადვილად ძმარდება, რომელიც ტკბილია დარჩენილი, იმისთანა ღვინო, რომლის დულილმაც ვერ გაანაწილა ტკბილში მყოფი მთელი შაქარი ან იმიტომ, რომ ეს შაქარი ძლიერ გადამეტებული იყო და ან ტკბილს ისეთი ცოტა სიმჟავე ჰქონდა, რომ დულილის დედამ ვერ შეიძლო მთელი შაქრის განაწილება.— ამგვარად ღვინოში რჩება რამოდენიმე შაქარი, რომელიც დიდად საშიშია ღვინის სიმრთელისათვის.

3) **ადელვებული ღვინო** (vins poussés, vins montés). ზოგიერთი ღვინო—თეთრია თუ წითელი, სულ ერთია—თუ გაზაფხულზე ისეთ სარდაფშია შენახული, სადაც ტემპერატურა მაღალია, სნეულდება ერთგვარი სენით, რომლის თვისებაც შესანიშნავია: თუ ღვინო დახურულ ბოჩკაშია შენახული, მაშინ ჭურჭელი აქა-იქ დაიწყებს ჟონას, მეტადრე ყავრებ შუა; ამას გარდა ბოჩკის გვერდები აქა-იქ გაიბერება, ძირი გაუბრუნდება. თუ ამ დროს ბოჩკა სადმე გაიხვრიტა, ღვინო მაშინვე შადრევანივით ამოვა. თუ ღვინო ქვევრშია შენახული, მაშინ, რასაკვირველია, ეს არ დაეტყობა, რადგანაც ქვევრი გერმეტიულად არასდროს არ არის დახურული. თუ ამისთანა ღვინოს სტაქანში ჩავასხამთ, მაშინ ქაჯს მოიკიდებს. ცოტა ხნით ჰაერის მოქმედების ქვეშ გაშვებული ღვინო იმღვრევა და ფერსა ჰკარგავს. თავისი ბუნებითი გემო დაკარგული აქვს, გუბის წყლის გემო ეძლევა. თუ ეს ღვინო შევანჯღრიეთ და კარგად დავაკვირდით, მაშინ შევატყობთ, რომ ამ ღვინოში რალაცა აბრე-

შუმის ძაფივით მობრწყინვალებს და მოძრაობს. ეს ავადმყოფობა დიდი ხანია ცნობილია, თუმცა ამის მიზეზი კი მაინც პასტერმა გამოიკვლია და შენიშნა, რომ ამ ღვინოში არიან რაღაცა ცხოველი არსებანი, რომელთა ტანსაც ძლივს $\frac{1}{1000}$ მილიმეტრი დიამეტრი აქვს და სიგრძე კი სხვა-და-სხვა, ხან კარგად მოდიდოც (სურათი 56). ამ ავადმყოფობის დროს შესანიშნავი ის არის, რომ ნახშირის-სიმჟავის გაჩენასთან ჩნდებიან აგრედვე იმისთანა ადვილად ასაორთქლებელნი ცხიმოვანი სიმჟავენი, როგორც ძმრის სიმჟავე და პროპიონის სიმჟავე და ამასთან თვითონ ღვინის სიმჟავე კი ცოტავდება. დიუკლოს გამოკვლევიდან ცხადად გამოჩნდა, რომ ეს ფერმენტი მოქმედობს განსაკუთრებით ღვინის მჟავე მარილზე, იმას ანაწილებს და ნახშირის სიმჟავედ და ზემოდ მოხსენებულ ცხიმოვან სიმჟავეებად გადააგვარებს. ამგვარად დასნეულებული ღვინის წამლობა მდგომარეობს შემდეგში: ჯერ მიუმატებენ მჟავე ღვინის მარილს, ესე იგი კრემორტარტარს და შემდეგ გაათბობენ; დასასვენებლად გადაასხამენ გოგირდით ნაბოლებ ჭურჭელში და რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ წმინდად გადაიღებენ მეორე ჭურჭელში, ეგრედვე გოგირდით ნაბოლებში.



სურათი 56.
აღელვებული ღვინის ფერმენტი.
Ferm. de la pousse.

4) ღვინის გადაბრუნება (vins tournés). ეს ავადმყოფობა უფრო ქვემო ქვეყნების ღვინოებს ედება და პირველი შეხედულობით ღვინის აღელვებას მიემსგავსება, თუმცა კი მათ შორის დიდი განსხვავება არის.

ეს ავადმყოფობა იმისთანა ღვინოს ეწვევა ხოლმე, რომლის ყურძენიც მომწიფდა თბილსა და წვიმიან შემოდგომაზე, განსაკუთრებით თუ მტევნები დაობებული იყო. ეს ავადმყოფობა ხშირად პირველი გადაღების შემდეგ ჩნდება. თუმცა ეს ღვინო გადაღების დროს სრულებით წმინდა და გამჭვირვალია, მაგრამ ზედა-პირზე მალე ეტყობა ცოტაოდენი შემღვრევა; ჰაერის ზედმოქმედების გამო წითელი საფერავი ლურჯდება და დაილექავს; თვითონ ღვინო მოყვითალო ფერს იღებს და მწარე და მჟავე გემო ეძლევა.

ამ ავადმყოფობის მიზეზიც ძაფის დაგვარი მიკრო-ორგანიზმები არიან, რომლებიც შეხედულობით ძლიერ მიაგვანან აღელვებული ღვინის ფერმენტს (სურათი 57), თუმცა კი მათი მოქმედების შედეგით ქიმიური მხრით დიდად განირჩევიან ერთმანეთისაგან. როგორც ვნახეთ, ღვინის აღელვების დროს ნახშირის სიმჟავე ჩნდება; გადაბრუნებულ ღვინოში ნახშირის სიმჟავე არა სჩანს.—პირველ შემთხვევაში ჩნდებიან ცხიმოვანი სიმჟავენი—ძმრის და პროპიონისა, მეორეში კი თუმცა ცოტაოდენი ძმარი ჩნდება, მაგრამ უფრო ნამეტანი ნაწილი გაჩენილ სიმჟავეთა ტარტრონის და რძის სიმჟავენი არიან – მაშასადამე, განსხვავება დიდია. მათ შორის ერთგვარი კავშირიც არის, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ორივე შემთხვევაში ორივე ავადმყოფობის ფერმენტები ერთსა და იმავე ნივთიერებაზე მოქმედობენ, სახელდობრ ღვინის მჟა-

სურათი 57.
გადაბრუნებული ღვინის ფერმენტი.
Ferm. des vins tournés.

ვე მარილზე ანუ ღვინის სიმჟავეზე; აი გადაბრუნებული ღვინის დროს რა ხდება, როგორც დიუკლომ უჩვენა:



$$2C^4H^6O^6 = 2C^3H^4O^5 + C^2H^4O^2$$ და ან $$3C^4H^6O^6 = 3C^3H^4O^5 + C^3H^6O^3.$$

ღვინის სიმჟავე. ტარტრონის სიმჟავე. ძმრის სიმჟავე. ღვინის სიმჟავე. ტარტრონის სიმჟავე. რძის სიმჟავე.

თუ ღვინო ახლად დასნეულებულია და ძალიან ხელდარეული არ არის სნეულებისაგან, მისი მობრუნება კიდევ შესაძლებელია; ამისათვის საჭიროა, მიემატოს ღვინის სიმჟავე და ფერმენტისაგან გააზატებულ იქმნას რომელიმე ცნობილი საშუალებით—ან გათბობით, ან გოგირდეული სიმჟავით და სხვ.

ამას შემდეგ ღვინო წებოთი უნდა დაიწმინდოს და დასვენების შემდეგ გოგირდით ნაბოლებ ჭურჭელში გადაიღონ.

მისამატებელი ღვინის სიმჟავის რაოდენობა დამოკიდებულია ავადმყოფობის მდგომარეობაზე. ჯერ 40 ან 50 გრამ სიჟავეს მიუმატებენ თითო გეგტოლიტრ ღვინოზე და თუ რამდენიმე დღის განმავლობაში ღვინოს თავისი ბუნებითი ფერი არ მოუბრუნდა, მაშინ ცოტა სიმჟავეს კიდევ მიუმატებენ. ამას გარდა კარგი იქნება ამ ღვინოების შერევა ხორციან და მკვახე ღვინოებთან, ესე იგი იმისთანა ღვინოებთან, რომლებშიაც ბევრია ღვინის მარილი და სიმჟავე; ალკოგოლის მიმატება და ამას შემდეგ წებოთი დაწმენდაც კარგია.

ზოგიერთი ურჩევს ღვინისთვის ახალი, კარგი ღვინის თხლის მიმატებას და ან ახალი გამოწურული ჭაჭისას, რომელიც მარგებელია აგრეთვე, რადგანაც ღვინო ჭაჭიდან ბლომა ტანინს და სიმჟავეს ამოიღებს.

თუ ავადმყოფობა გაძლიერებულია, მაშინ ღვინო ისეა შეცვლილი, ისეა გადაგვარებული მისი ქიმიური შედგენილება, რომ ამას აღარა შველის-რა და, მაშასადამე, სხვა-და-სხვა გვარი წამლობაც ტყუილად დაკარგული ხარჯი და ჯაფა იქნება; ეს ღვინო ძმარადაც არ გამოდგება, ძალიან ცუდი და საზიზღარი ძმარი დგება. მაშ მხოლოდ არყის გამოსახდელად-ღა ეკარგება ეს ღვინო.

გათბობა კარგად რგებს ღვინოს, თუ ავადმყოფობა გაძლიერებული არ არის და მხოლოდ დასაწყისშია. გათბობის შემდეგ უნდა მიემატოს ხორციანი და მკვახე ღვინო—მაშინ ღვინო სასმელად ურიგო არ იქნება. ჯერ უნდა შეიტყონ, გამთბარი ღვინო კარგად უკავშირდება თუ არა მისამატებელ ღვინოს და თუ ჰო, მაშინ ჯერ ღვინოს გაათბობენ და მერე მიუმატებენ საღ ღვინოს. ამგვარად შერეულ ღვინოს უფრო კარგი გემო ექნება; სამწუხაროდ, ეს ადვილი შესატყობი არ არის, ხშირად შერევით ღვინო იმღვრევა, რადგანაც სხვა-დასხვა ღვინოები ერთმანეთს ვერ უერთდებიან. ამისათვის უფრო კარგი იქნება ღვინოები ჯერ შეუჯიონ, კუპაჟი მოახდინონ და მერე გაათბონ. ამ შემთხვევაში იმას ვარდა, რომ ავადმყოფობის სენს მოსპობენ, ღვინოებსაც ერთად კარგად აკავშირებენ და თუ ცოტაოდენი სიმღვრივე გაუჩნდა, იმის მოშორება ძალიან ადვილია წებოთი დაწმენდით. რაღა თქმა უნდა, რომ რა წამსაც ღვინოს დაეტყობა გადაბრუნების წინამორბედი ნიშანი—სიმღვრივე და ამასთან მიკროსკოპიც გვიჩვენებს ამ სენის ფერმენტს, მაშინვე გათბობას უნდა შეუდგნენ—დაცდა ბედოვლათობა იქნება. სათბობი ქვაბიდან გამოსული ღვინო უნდა ჩაასხან გოგირდით ნაბოლებ ჭურჭელში და რამდენიმე დღით შესვენების შემდეგ წებოთი უნდა დაწმინდონ და მეორე ჭურჭელში გადაიღონ. კარგად გამთბარი ღვინო მორჩენილია ამ ავადმყოფობისაგან.

ნ) **გასქელებული ანუ გასუქებული ღვინო** (vins gras, vins filants ანუ la graisse). ზოგიერთი თეთრი ღვინო ზოგიერთ შემთხვევაში ისე სქელდება, რომ ჭურჭელში ჩასხმის დროს ზეთს მოგაგონებთ და ამისათვისაც დაარქვეს გასუქებული ანუ ზეთოვანი (huileut) ღვინო. ამასთან გემოც უფუქდება, დამპალი ანუ გუბის წყლის გემო ეძლევა, იმღვრევა და გამჭვირვალეობას ჰკარგავს. წითელი ღვინო არას დროს არ ხდება ამ სენით ავად; თეთრ ღვინოებშიც მხოლოდ იმისთანა ღვინოები სნეულდებიან, რომლებსაც ცოტა ალკოგოლი და ცოტა ექსტრაქტი აქვთ, ესე იგი სუსტი ღვინოები; ავადმყოფ-

ვაზის ღვინოც ხშირად ხდება ავად; ეს ავადმყოფობა უფრო ხშირად ერთი წლის შემდეგ ეწვევა ხოლმე ღვინოს; პასტერის გამოკვლევით, ამ ავადმყოფობის დროს ყოველთვის ღვინოში მოიპოვება ერთი ფერმენტი, ძაფის მაგვარი, გძელ-გძელი, შემდგარი წვრილ-წვრილი მარცვლებისაგან, რომლებიც კრიალოსანივით არიან შეკინძულნი და ახალგაზდობაში ძლიერ მიემსგავსებიან ძმრის დედას. მარცვლების სიდიდე სხვა-და-სხვა არის და ეს დამოკიდებულია თვითონ ღვინოზე, მაგრამ არას დროს ეს მარცვლები $\frac{1}{1000}$ მილიმეტრზე უფრო მცირენი არ არიან (სურათი 58). ეს მარცვლები გაეხუპნულია რაღაც წებოიანი, ჟელატინის დაგვარი ნივთიერებით; ამას ისიც დავუმატოთ, რომ ეს წვრილი კრიალოსნები ანუ ძაფის ნაწყვეტები ერთიერთმანეთზე არიან შებურდნულნი, ნაბადივით მოთელილნი და ამისთვის ღვინოსაც ისე ასქელებენ.



58 სურათი.
გასქელებული ანუ გასუქებული ღვინის ფერმენტი.
Ferm. de la garisse.

ზოგიერთნი ფიქრობენ, რომ ამ ავადმყოფობის მიზეზი ღვინოში დარჩენილი აზოტური ნივთიერებანი არიანო, მაგრამ ჩვენ ხომ ვნახეთ აზოტური ნივთიერებანი რა ცვლილებასაც ახდენენ ღვინოში.

გამოკვლევამ გვაჩვენა, რომ თუ ღვინოში ტანინი და ალკოგოლი საკმარისია, მაშინ ღვინო ამ ავადმყოფობით აღარა ხდება ავად, მაშასადამე, ეს სხეულნი ამ ფერმენტს გამრავლების ნებას არ აძლევენ. თუ ღვინოს 0,5 გრ. ტანინი ლიტრში და 12° ალკოგოლი არ აქვს, ის ადვილად ხდება ავად; სითბო, ცუდი ჯიში ყურძნისა და მიწის პატივი ხელს უწყობენ

ამ ავადმყოფობას. ყოველი საშუალება, რომლითაც შეიძლება ტანინის და ალკოგოლის მიმატება ღვინისთვის, ხელს უშლიან ამ ავადმყოფობას. მაშასადამე, დასნეულებული ღვინის წამალიც ამ სხეულებში უნდა იყოს. ამგვარად დასნეულებული ღვინოების წამლობაზე სალერონი მოგვითხრობს შემდეგს:

ვაჭრები გასქელებული და ამღვრეული ღვინის გასაყიდად მას ღებავდნენ ერთგვარი საფერავით (la teinte de tismes—ანწლი ალკოგოლში გახსნილი) და ამგვარად შეფერილს ჰყიდდნენ წითელ ღვინოდ; აგრეთი შეღებვა მყიდველებს და მსმელებს ატყუებდა. მაგრამ ერთმა ღვინის ვაჭარმა, ჟაკესონმა (Jacquesson) შენიშნა, რომ ეგრეთ შეღებილი ღვინოები სიმღვრივესაც ჰკარგავდნენ და შემდეგისთვის ავად აღარ ხდებოდნენ. ეს შენიშვნა შეატყობინა თავისს ქიმიკოს ფრანსოას (François), რომელმაც იცნო, რომ ანწლის მარცვლებში ბევრი ტანინი იყო და ეს ტანინი რგებდა ალბად; ამ საღებავის მაგივრად იმან გამოსცადა ალკოგოლით გუნდიდან ამოღებული ტანინის მიმატება და აქაც ეს გამოჩნდა, ღვინო დაიწმინდა და გაკეთდა. ამას შემდეგ ტანინის ხმარება გავრცელდა და ეხლი, როცა ღვინოებს დაწმენდის წინად ტანინს უმატებენ, ამ ავადმყოფობის ხსენებაც კი აღარ არის (შამპანიაში).

ერთი სიტყვით, ტანინი უერთდება ავადმყოფ ღვინოში მყოფ აზოტურ ნივთიერებათ, ღვინოს აცლის და აშორებს ავადმყოფობის ეფექტს, შედეგს. ამას გარდა ტანინ-მიმატებული ღვინო ისეთია, რომ იქ ეს ავადმყოფობა ველარ გაჩნდება, რადგანაც მწკლარტე ღვინოში იმის ფერმენტს ცხოვრება არ შეუძლიან.

რასაკვირველია, უმჯობესი იქნება, რომ ღვინო ისე იყოს დაყენებული და ისე იყოს მოვლილი, რომ ავად არ გახდეს და წამლობა არ დასჭირდეს; მაშ დულილის დროს ყურადღება იმაზე უნდა იყოს მიქცეული, რომ ღვინომ უეჭველად მოიპოვოს ყველა ის ნივთიერება ანუ სხეული, რომელიც საჭიროა მისი ნორმალური შედგენილებისათვის. რადგანაც ამ

ავადმყოფობით მხოლოდ თეთრი ღვინო სნეულდება, რომელიც ჭაჭაზე არ არის დაყენებული და, მაშასადამე, ძალიან ცოტა ტანინი აქვს. მაშასადამე, საჭიროა თეთრ ღვინოს როგორმე მიემატოს ეს ტანინი, რომელიც იმას უნდა ამოეღო ჭაჭიდან, თუ მით დადუღებულიყო; თუ დასადუღებელი ტკბილი ცოტა-შაქრიანია, მაშინ შაქარიც უნდა მიემატოს, რომ ღვინო 12° დადგეს.

თუ ღვინო უკვე დასნეულებულია, მაშინაც იმისთვის უეგბარია ტანინის მიმატება (30 გრამი ტანინი ერთ ლიტრ ალკოგოლში თითო გეკტოლიტრ ღვინოზე); ცოტაოდენი ღვინის სიმჟავის ამასთან მიმატებაც კარგია. ამას შემდეგ თევზის წებოთი უნდა დაიწმინდოს და მხოლოდ იმ ვარაუდით, რომ დაწმენდის შემდეგ ნახევარი მიცემული ტანინისა ისევ ღვინოში დარჩეს.

ცნობილია აგრედვე, რომ ჰაერის მოქმედება უშლის ამ ავადმყოფობის გაძლიერებას; ამისათვის ავადმყოფი ღვინო რამდენჯერმე უნდა გადაიღონ სხვა-და-სხვა ჭურჭელში, რომ ღვინო ჰაერს შეერიოს; ჰაერთან შენჯღრევა ან ჰაერის ჩაბერვაც ხშირად რგებს. ხშირად უნახავთ, რომ შორს გაგზავნილი ღვინო გზაშივე მორჩენილიყოს ნჯღრევის გამო.

ხანდისხან ღვინო თავის-თავადაც მორჩენილა, თუ ცივ ადგილას ყოფილა შენახული.

ზოგიერთი ურჩევს ამ საშუალებას: თითო გეკტოლიტრზე უმატებენ 20 გრამ ტანინს და 150 ღვინის მეავე მარილს, ორივეს წყალში გახსნილს; ამის მიმატების შემდეგ ღვინოს ალკოგოლსაც უმატებენ, რომ იმის სიმაგრემ 12°-დინ აიწიოს; ღვინოს კარგად შეანჯტრევენ. მეორე დღეს თევზის წებოს მიუმატებენ და ხუთი ექვსი დღის შემდეგ სხვა ჭურჭელში გადაიღებენ, რომელიც გოგირდით ნაბოლები უნდა იყოს.

6) ღვინის სიმწარე (Maladie de l'amersume). ეს ავადმყოფობაც შედეგია ერთგვარი ფერმენტისა, რომელსაც აგრედვე ძაფის სახე აქვს, და მოძრაობა არ ეტყობა; ძაფები თითქო დაშტოვებულია, მაგრამ ეს შტოები ზოგი მოგრეხილია,

ზოგი მოკეცილი, ერთმანეთში გადაბლანდულნი არიან და ამასთან ცოტად შეღებილნიც ან წითლად, ან ყვითლად, ან წაბლის ფერად (თვითონ ავადმყოფი ღვინის ფერის დაგვარად); ხშირად მათთან მოიპოვებიან რაღაცა კრისტალებიც, რომლებიც ალკოგოლში იხსნებიან. ეს ძაფოვანი სხეულები თითქო შეწებებულნი არიან რაღაცა ნივთიერებით და კარგად რომ დავაკვირდეთ, შევნიშნავთ, რომ ეს ძაფები შემდგარნი არიან პატარ-პატარა მოგძო ნაწილებიდან, რომლებიც ზოგან გაბერილები არიან და ზოგან შევიწროებული და ამისათვის მიკროსკოპში გვეჩვენებიან ზოგნი ნათლად და ზოგნი ბინდად. ძაფების დიამეტრი $\frac{1}{1000}$ მილიმეტრს ძლივს მიაღწევს (სურათი 59). ამბობენ, რომ ეს სენი მხოლოდ წითელი ღვინის ავადმყოფობა არისო, თუმცა კი ხანდისხან თეთრ ღვინოსაც ეწვევა ხოლმე, განსაკუთრებით იტალიაში. ამ ავადმყოფობით განსაკუთრებით სნეულდებიან ბურგონიული წითელი ღვინოები; მგონი, რომ ჩვენებური საფერავიც ხშირად სნეულდება ამ სენით; პასტერის აზრით, ეს ავადმყოფობა გამოჩენილი კარგი ღვინოების ავადმყოფობა არის.

სურათი 59

დამწარებული ღვინის ფერმენტი.

Ferm. de l'amersume.

ვერნეტ ლამოტი ამბობს, რომ ღვინის სიმწარე ორგვარიაო: პირველი, რომელიც მეორე ან მესამე წელს უჩნდება ღვინოს და მეორე კი მხოლოდ ძალიან დაძველებულ ღვინოებს ეტყობათო.

ამ უკანასკნელ ავადმყოფობას დაარქვეს ძველი ღვინის გემო (goût de vieux vin) და ისე საშიშარი და მავნებელი არ

არის, როგორც პირველი; ბევრი ძველი დამწარებული ღვინო დიდ ხანს შენახულა ამ მდგომარეობაში და ყოველთვის კარგი სასმელი და შესახედავად სასიამოვნო ყოფილა. მეორე სიმწარე კი, რომელიც მეორე ან მესამე წელიწადში უჩნდება ღვინოს, ისე ახდენს და აფუჭებს პირველ წლებშივე, რომ მისი შენახვა და მოხმარება უყურადღებოდ შეუძლებელია. პირველ დასაწყისში ღვინოს რაღაცა უცხო სუნი უჩნდება, მისი ფერი ისე ცხოველი აღარ არის, გემო დაგუბებული წყლის გემოს მიემსგავსება (fade)—სუნი უფრო ძლიერდება, თუმცა მწარე გემო ჯერ გამორკვევით არ ეტყობა, მაგრამ აუცილებელია; თუ ყური არ ეგდო, სენი უფრო გაძლიერდება, ღვინო მწარდება და გემოვნების დროს ცოტა დუღილის გემოც ეტყობა, რადგანაც ცოტაოდენი ნახშირის სიმჟავე არის გაჩენილი; ამას შემდეგ ღვინო უფრო ცუდ მდგომარეობაში შედის, ფერი სრულიად წაუხდება, უფუჭდება, ღვინის მარილი უფრო გადაგვარებულია და ღვინო სასმელად აღარ ვარგა.

პასტერის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ამ ავადმყოფობის დროს ღვინის სიმჟავე არა ცოტავდება და გლიცერინი კი შესამჩნევად აკლდება; აქედან ცხადია, რომ ეს სენი ხელს არ უნდა ახლებდეს ღვინის მარილს, არამედ უნდა იმოქმედოს ღვინოში მყოფ გლიცერინზე. რადგანაც ამასთან საზოგადო სიმჟავე ღვინისა ცოტათი მატულობს, ამისათვის საინტერესო იყო შეტყობილიყო, რაგვარი სიმჟავე ჩნდება ღვინოში ამ ავადმყოფობის დროს. დიუკლომ ვრცლად გამოიკვლია ეს საგანი და იცნო, რომ იმ სიმჟავეთა შორის, რომლებიც ორთქლად იქცევიან, მოიპოვება ძმრის სიმჟავე და ბუტირინის სიმჟავე ($C^4H^8O^2$). ამ უკანასკნელი სიმჟავის მყოფობა ცხადად გვიჩვენებს, რომ ის ალკოგოლიდან ვერ გაჩნდებოდა და რადგანაც ამ ღვინოში გლიცერინი მცირდება, ამისათვის საჭიროა მივიღოთ, რომ ეს ერბოს ანუ ბუტირინის სიმჟავე ამ გლიცერინიდან ჩნდება. ამ ქიმიური გამოკვლევის შედეგი იმასაც გვიმტკიცებს, რომ ამ ავადმყოფობაში და აღელვებული ღვინის ავადმყოფობაში დიდი განსხვავებაა ქიმიურად. აღელ-

ვებულ ღვინოში პროპიონის სიმჟავე ჩნდება და აქ კი ბუტირინისა.

თუ ყურძენი კარგად გადარჩეულია რთველში და გაფუჭებული მარცვლები გაშორებული აქვს; აგრეთვე თუ დულილს კარგი დედა აქვს მიმატებული, დულილი კარგად არის წაყვანილი და ყველა სახმარი თუ შესანახავი ჭურჭელი კარგად იყო გაწმენდილი; თუ ღვინო ყოველთვის შევსებულ ჭურჭელში იყო შენახული და ჰაერს გაშორებული,—მაშინ ღვინოს შიში არ უნდა ჰქონდეს დაწარებისა. თუ ღვინო უკვე დაყენებულია, მაშინ ღვინის გათბობა, თუ კარგად არის მოხდენილი, სრულიად ააცილებს ღვინის ამ ავადმყოფობას.

თუ ღვინო უკვე დასნეულებულია, მაშინ შემდეგი საშუალებანი უნდა იხმარონ, რომლებიც ხშირად აბრუნებენ ღვინოს და ანთავისუფლებენ ამ ავადმყოფობისაგან.

თუ ღვინოს დაეტყო სენი, მაშინ თუ იმას მიუმატებთ კარგ თხლეს (წებოთი დაუწმენდავი ღვინისა), ღვინის სიმჟავეს და შაქარს (500—1,000 გრამ. ერთ გეკტოლიტრზე) და 10 ან 15 გრამ. ტანინს—დადულების შემდეგ ღვინო სიმწარეს ჰკარგავს.

თხლის მაგივრად ახალი ჭაჭის ხმარება შეიძლება შაქრის, ღვინის სიმჟავის და თხლის მიმატებით.

აი როგორ მოიქცევიან:

ჯერ იშოვნიან იმისთანა ღვინის კარგს და ახალ თხლეს (თეთრი ღვინისა იყოს თუ წითლისა, სულ ერთია), რომელიც ჯერ წებოთი არ არის დაწმენდილი; თუ ამისთანა თხლე არ იშოვება, მაშინ, რასაკვირველია, წებოთი დაწმენდილი ღვინის თხლის ხმარებაც შეიძლება; თითო ბოჩკაზე (220 ლიტრი) ორ ლიტრ თხლეს აიღებენ და პატარა წმინდა ჭურჭელში ჩაასხამენ; ამას მიუმატებენ ორ კილო კარგ წმინდა თეთრ შაქარს; კარგად აურევენ და ზედ დაასხამენ 2 ლიტრ გამთბარ ღვინოს (35° ან 40° C.); ჭურჭელს კარგად დახურავენ და რამეში გაახვევენ, რომ მალე არ გაცივდეს. ერთი საათის განმავლობაში შესვენებული უნდა იყოს. ამ დროს ცოტად დულილი დაიწყება.

ამას ახლა გადაღებულ მწარე ღვინოს მიუმატებენ, კარგად აურევენ და დახურავენ გიდრავლიური საცობლით. ჰაერი ცივი არ უნდა იყოს—ღვინოშიაც გაჩნდება დუღილი და ორი კვირის ან ერთი თვის განმავლობაში სრულიად გათაედება, ღვინო დაიწმინდება და განთავისუფლებული იქნება სიმწარისაგან. ამ ღვინის თხლეზე გაშვება არ შეიძლება, უნდა მალე გადაიღონ და ცოტაოდენი წებოთი დასწმინდონ და დაწმენდის შემდეგ გადაიღონ ახალ ჭურჭელში. გადაღების დროს ეს ღვინო ცოტა უნდა გააძლიერონ შემდეგი ლიქორით:

ერთ ბოჩკა ღვინოზე (220 ლიტრი.) აიღებენ 2 ლიტრ წმინდა ალკოგოს, 10 გრამ ტანინს და 2 ლიტრ ღვინოს, კარგად აურევენ. ამ ლიქორს ღვინის ჩასხმის წინად ჩაასხამენ ბოჩკაში და ზედ ღვინოს დაასხამენ.

—

უკანასკნელად კიდევ გავიმეორებთ, როგორც წინადაც არა ერთხელა ვიქვით, რომ ყოველგვარი ნაკლულევანების, წახდენის და ავადმყოფობის აცილება შეიძლება, თუ ღვინოს თავიდან დაწყებული ბოლომდინ კარგი მოვლა და ყურადღება ექნება მიქცეული. რაღა თქმა უნდა, რომ ავადმყოფობის აცილება ბევრად სჯობია, ვინემ დასნეულებული და წამხდარი ღვინის წამლობა და მორჩენა. მაგრამ ამასაც ნუ დავივიწყებთ, რომ თუ ღვინო უკვე დასნეულებულია, თუმცა იმისი სრული მორჩენა და სენისაგან განთავისუფლება ძნელია, მაგრამ მიუცილებლად საჭიროა სენის დასაწყისშივე მოვიხმაროთ ყველა ის საშუალებანი, რომლებიც გამოცდილნი არიან სხვა-და-სხვა გარემოებაში. ყოველთვის შესაძლებელია ღვინის იმდენად მოგვარიანება, რომ დღიურ სასმელად გამოდგეს.

ვ. ჰეტრიაშვილი

(შემდეგი იქნება)

ემილ ლევიის მოგზაურობა

კავკასიაში*)

შენიშვნები და შთაბეჭდილებანი

ჩოლური, შაფათ საღამოს, 2 აგვისტოს

თუმცა არ კიცი გაკვთავებ თუ არა დღეს საღამოს ამ წერილს, მაგრამ კეტდები მაინც მიკანდო ქაღალდს ზოგიერთი შენიშვნები ჩვენის მოგზაურობისა თეთრეზე, რომელიც 1600 მეტრის სიმაღლით აღემატება ჩოლურს.

გუშინ დიდას 5 საათზედ ქველაფერი მზად იყო, მაგრამ $5^3/_4$ ადრე ვერ დაკიძერიი სამგზაროდ. ამის მიზეზი ის იყო, რომ ერთი ცხენი გაგეფქტა და მის დაჭერას კარგა ხანს მოკუნდიო. მშვენიერი დიდა გეიორკეტებდა სინანულს ამ დაგვიანების გამო, რადგან ყოველი დაკარგული წამი სელიდან გვატლიდა რაიმე მშვენიერ სანახაობას მაღალ სერებიდან. ჟნდა გაისსენოთ, რომ ჩოლური ზეკის ძირშია და მაღალი ფრიალო და ტყით მოსილ სერებით არის შემოზღუდული. მხოლოდ ერთ კუნჭულში, ჩრდილო-დასავლეთისაკენ, ჩვენთვის თვალ-უწდომ სიმაღლეზე, აბართულია ლაჭიდას კლდოვანი წვეტები; ერთი ნაწილი ამ კლდეებისა წუსანდელი ფიფქი თოვლით არის მოფარული. ეს წვეტები მხოლოდ დიღაობით მოჩანან სოლმე, როცა ჭერი წმინდაა. გუშინ შუადღეზე ბევრით ადრე იგინი გაესვიენ ბურუსში და ეს საბურავი, მუდამ განსხვავებული ზედ-მისეულის ღრუბლებით, მაშინაც კი შერჩათ მათ, როცა შეეანაქება

*) „მოამბე“ №№ 3 და 7.

სიტყვამ ზედ დააწერა და მზემ აკვნო თავისი ბრწყინვალე სხივებით მთელი სოფა.

ცოგერიდან ლესტესამდე ჩვენ რიგ-რიგად ვჯდებოდით სოფმეფ იოსებას ტყენზე და მე თითქო კიდევაც შეკეხვეა ალმართ-დალმართში ჩერქეზულ უნაგირსა, რომელიც, ჩემის აზრით, ბევრად უარესი ალარ არის კორსიელ გინდ ბრეტიელ უნაგირზე. თეთნერზე ასვლის დროს, ბირველ ალმართშიეე ტანდად ვიგრძენ, რომ კეთილშობილთა სელობა, ე. ი. ტყენოსნობა, ასჩემო ასქმე არა ეოფილა და ჯერ კიდევ ბევრი რამ სალიდუმლო დარჩენილა ჩემთვის ამ სელობაში დაფარული. მართლაც-და, კავკასიის ქედზე ტყენით მოგზაურობა არაფრად წაგვავს იტალიის გრან სასოს გორაკზე გასეირნებას,—ოჰ, რა საკვირველი ბირუტუეია კავკასიის ტყენი! თავალადი მაინცა და მაინც არ არის, მაგრამ სიმაგრე კი ჯისვისა აქვს და თვინიერებაც ტყვრისა. მართლაც-და, დიდად გაწრთვნილი და თვინიერი უნდა იყოს ბირუტუეი, რომ ამ ხარ ფრიალო კლდეებზე ატარონ და ზიდონ კაცი!—გზა—რის გზა? ბილიკი—რის ბილიკი? მისვალ ღვთის ანაბარად ბუნებისაგან აკიბულ გზაზე იმ სიმაღლეზე, რომ ხანდისან თავ-ბრუ გესხმის. ტყენს ალადეე არ ეტყვრვება; იგი თვით არჩევს გზას და მიუსვ-მოუსვეეს საკვირველის მიმსვლარობით, მაგრამ სიფათს მაინც ვერ აშორდება კაცი. ყოველ ფესის გადადგმაზე ტყენი შეაგდებს ხოლმე მსალარს და წინისაკენ ასეთქებს, და რადგან უნაგირს წინ და უკან კოტები აქვს, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს ამას. მაგრამ ეს კიდევ არაფერი, თქვენ უნდა ნახოთ მაშინ, როცა ამისთანა გზა ტეეიან ადგილს შეჰყვება. ათასი შტო თხილისა, თხმელისა და რცხილისა გადი-გადმოდის ვიწრო გზაზე. ტყენი ქვეშა რჩება, მსალარი შტოებს ეძლევა; შეუძლებელია ან მარცხნიო მიაბეეეოთ, ან მარჯვნით, რადგან ბილიკი, თუ კი არსებობს, ხელის სიფაართეა. შტოები უწყალოდ გტეემენ ტხვირბირში, წაგიწერენ კისერში, ტხვირიდან სითვალეებს გტაცებენ, ჯიბიდან ტხვირსახტს ამოგაცლიან. ბანანდებზე ფეხებს მოიმაგრებ როგორმე და რაც ძალი და ღონე გაქვს დაიწყებ ხელებით ბოქმედებას; ზოგიერთ შტოს, თუ მოერია, მოამტვრევ, ზოგს გვერდზე მისწევ და ზოგს კიდევ თავ ზემოთ აიტილებ;

ტანში სომ ათას ნაირად იგრისები: სან მარჯვნით გადაისრები, სან მარცხნით, სან სრულიად მუტლით დაეწვები ცხენს. ერთი სიტუკვით, ცხენ-და-ტცხენ სწაღლობ ტურვას. სად უნდა შეგსვდეს მსგავსი რამ ევროპაში? ამას დაუმატეთ კიდევ ტანში დანუღრეკა და წინა და უკანა კოტებზე შეჯასება! ნასვეარი სათი თუ მაინც გამოსტაცდე ამსაირი კარჯიშობა, რასაკვირველია, ილაჯს გაიწყვეტ და ოფლში გაიწურები. ბედი კიდევ, თუ ორ-სამ ალაგს მეტად არ გამოგდის სისხლი ბარძლისა და ეკლისაგან დაკაწრულს.

მაგრამ სამგზეროდ რა სურათის სედვე მტენარეულობისას; რა სიამოვნებასა გრძნობ, როცა შეხერდები და მიისედ-მოისედავ. იქვე ჩოლურს ზემოდ იწყება ზოლი ბუჩქნარებისა, შკერისა, ეუნელისა, თსილისა, მაყალო ვაშლის ხისა, დათვის-მსლისა (рябина). მალე შედისართ დიდ ტყეში, ს

«გვწიოთ, ბატონებო, გვწიოთ»! ისესხდა გოსტო, რომელსაც მოეკლა რაღაც ფრინველი, მგონია შაშვი, და მოუთმენლად მიეშურებოდა სადმე დასაბინავებლად. ჩვენი ბატარა ქარავანი გაუდგა გზას, ფესოსსები გამწკრივდნენ ერთი-მეორეს მიყოლით, ცხენოსნები უკან მიგდეკდით იმ გადაწყვეტილებით, რომ მეტი დრო აღარ დაკარგოთ და აღარ დაგნებდეთ macroflore-ის ხმას მტვნარეულობის მომჭადოებელ ძალას. დღეიდან ამ ხმას ბალახების მტვნარეულობას macroflore-ს კუწოდებთ. ბოტანიური ეოგრაფია მათზე არაფერს გვეუბნება და თუ ტოტა რამ ვიცით მათ შესახებ, ესეც დოკტ. რადდეს ზოგიერთ ნაწერებიდან. Macroflore-ი ასალი სიტყვაა და შეიძლება უკანონო-ლობილიც იყოს, რადგან ორი სხვა-და-სხვა ენისაგან არის შედგენილი; იქნება ბარად ეს სიტყვა მისაღებიც არ იყოს, მაგრამ ამ უზარ-მაზარ ნაძეებ ქვეშ და ზღვის ზემოდ 1,800 მეტრის სიმაღლეზე არა უშავს-რა.

გზაში ჩვენ ერთმანეთს განვუზიარებდით ჩვენს მოსაზრებას ან შესეულებას macroflore-ის შესახებ და ერთი თუ ორი კიდე�t შეეადგინეთ მათ შესახებ. ერთმა გარემოებამ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. იმ ჭალაკზე, სადაც ჩვენ შეკრებდით, ზოგიერთი მტვნარენი, რომელნიც ბარადაც ქვინახავენ, აქ მომეტებულად დამსხვილებულან და გაზდილან, კინემ ქვეყო ადგილებში, ს

ბურის ყანებში, სხვა-და-სხვა ლეარძლის მტენარეები არა-ჩვეულებრივად იზრდებიან. მაგრამ ეს შემთხვევითი ესმესი მტენარენი სუსტები არიან, მათ ღეროებს სიმაგრე და სიმტკიცე არა აქვთ; მაშინ როდესაც ამ მთის მტენარეებს მაგარი და ღონიერი ღერი აქვთ, ასე რომ, ძირიანადაც რომ მოთხაროთ და სელში დაიწყიროთ, მათი ღერი არ გაიღუნება.

ეს ტურფა მტენარეულობა თავის-თავად ვერ გაჩნდებოდა აქ, თუ რომ პირველადი მიზეზი, საბაბი რამ არ ჭქონოდათ. ეს საბაბი გასალვა ნიადაგის სიმდიდრე—ნოყიერება, რომლისთვისაც თვით ბუნებას უზრუნველია და მიუცია გამოულეველი სასუქი, პატიერი. ამნაირი დაპატიერება მიწისა მუდამ-დღე ხდება კავკასიის ტყეებში: ფოთლად, ჯერ კიდევ ფესვზე მდგომ, ტყეს ქვეშ დამარხულია ათასი და ათი-ათასის წლისა და მოდგმის ტყე; თავლიათა ხედავ და ფეს ქვეშ გრძნობ, როცა მოდიხარ ამსაირ ტყეში, კეკბერთელა წაქცეული ხის ნაფლეთებს; იგი ნელ-ნელა ლეშება, მიწად იქცევა და აღმოაცენს აღურიცხველ მტენარეულობას: გვიმბარას, ხავსს, სოკოებს და სხვ... რაც ტყეში ხდება, იგივე ხდება იალაღებზე—მთების შიშველებზე. აქაც აუარებელი და დიდებული კრება ესმესი მტენარეებისა, იშვიათად გათქრილი საქონლის ფეს ქვეშ, ოკეელ-წლიე ზამთრის პირად ბაწვება სოლმე და აბოსიერებს ნიადაგს.

მაგრამ რაც უნდა ნოყიერი იყოს ნიადაგი, მარტო ის თავისთავად ვერ შესძლებს გაამუმბერაზოს წვრილმანი მტენარეულება, როგორიცაა მაგალითებრ: ოსანი (bluet—василекъ), ყაყაჩო (coquelicot), შროშანა (tulipe)—იმ ზომამდე, რომ მათ ადვილად დაჭფარონ ტენარესანი კაცი. მათი

ალოგანე გუშინდელი ამბავი რადია, არც ათასი წლისა. ეს მათ მოსდგამს შაამომავლობაი და ეს შთამომავლობა იკრგება საუკუნეთა წუკდიადში. ჩვენ აქ ვსედავთ ძველის დროის ბუმბერაზი მტენარეულობის ნაშთებს, რომელიც შერჩენილა აქ, კავკასიაში, კარგის ნიადაგის და ჭარის წყალობით.

აწი კი დროა გზას გავუდგეთ, მით უმეტეს, რომ სურათი იცვლება და რალაც შქერის მსგავსი ბუჩქნარი ჩვენს ყურადღებას იპყრობს; ამ პატარა ბუჩქების დაკვრანჩსული და მომესო ტოტები ბილიკს მიჭეკება რგოლებივით. ეტყვი ალარ არის, რომ კავკასიის

შქერსა ვსედავთ, ნაყოფ-გამოდებულს. ეს იმის ნიშანია, რომ უმაღლესი სამზღვარია ტყისა ასლა. ნაძვნარი შეთხელდა, არყის ხე, —უფრო ჯმუხი აგებულებისა, ვინემ წინად,—იშკერს მის ადგილს და ჩვენ მაღე გავდივართ ხელად დაშვებულ ფერდობზე, ს

სტეფანი მოაწყობს ფოტოგრაფიის მანქანას და აპირობს ლაჭიდას ერთი-მეორეზე მიმოდ სურათების გადაღებას. სანამ ის თავის საქმეს გასთავებდეს, მე წათოსებული დავეფორთხავ მინდორში და კვრებ ალბიურ მცენარეულობას. სიძოვარი აქ აკაროსას ჩამოუვარდება, მაგრამ მცენარეულობა სხვა-და-სხვა გვარისაა და მშვენიერი უკეთილები მრავლად არის. საუზმე მზად არის; ჩვენი მსლებლები შნოიანად დასხდნენ მდელოზე, ამოიღეს თავიანთი ჩანთებიდან დამსმარი პურები და შეეჭცეიან დიდის მადით. მე კელოდები პურს, მაგრამ გაკსინჯე თუ არა ეს დამკვებული ტომი, რომელიც კბილებს ეტლიზნება—ღმერთს მადლობა შეკწირე სუსრების გადარჩენისათვის.

უეცრად მოგვესმა ყრუ სმაურობა, დედამიწა შეანძრა თითქო ცხენოსანის ჯარის შორეული თქაფა-თქუფით. ჩვენს ზემო ადგილიდან მარჯვენით შურდულიეთ დაეშვა ორმოციოდე იალღზედ გაშვებული ცხენი. მათი გრძელი მწვრიები მოშავო ზოლიეთ მიიკლაკნებოდა დაღმართში; სისწრაფით მოგვიასლოვდნენ, გადასცრეს ჩვენ სისწერიე ადგილი და მაღე ისეგ დაეანასეთ: ჩვენს ქვემოდ ღაღის სისწრაფით მეშურებოდნენ პაწია ჭალაკისაკენ. მათი თოლების ტკაცუნი თოფების ტკაცა-ტკუცს მოგაგონებდათ. მეთაურს თვრთოდ გაეშალა ცხეირის ნესტოები და თითქო ბრძანებას იძლეოდა. სან დაიჭისვანებდა, სან შეჩერდებოდა, და მაშინ მთელი ჯოგი შეჩერდებოდა ისეთის სისწრაფეთ და შნოთი, რომ უნებურად გაშას ვიძახოდით! სელ-მეორედ დაჭისვინებაზედ ეველანი გაეშურნენ პაწია ტბისაკენ, სადაც უნდა მოეკლათ წყურვილი. ამასობაში ჩვენი ცხენებიც აცმუტდნენ. ორი მათგანი კიდეკაც გამოუდგა უკან ჯოგს; ჩვენი მსლებლები მათ დაედევნენ. იოსებ თავ-შიშველი და თმა-გაწეწილი მოასტა უბელო თეთრ ცხენს და დაუწყო გაშმაგებით ქუსლების ცემა გვერდებში, გაა გადაუკრა, თავი დაუარა და როგორც იქნა უკუაქცია გაქცეულები. მამასასლისი და გიგო წინ დაუსდნენ, დაიჭირეს და მოიუკანეს სელით. სამოვარად გაშვებული ცხენები კიდეგ დიდ სანს მიმორბოდნენ სან ჩვენსკენ, სან იქით და ბოლოს თავალთაგან მიგეეფარნენ. ჩვენ ეფიქრობდით, რომ საოცარს მათ მცველებსაც დაეინასავ-თქო, მაგრამ არსად მოჩანდნენ; ბოლოს, მამასასლისმა

აგვისსნა, რომ ჩაფსულობით ცხენები სრულიად უმწყემსოდ არიან მთებზე გაშვებულნიო, მაგრამ არცერთი არ იკარგებაო.

აწი კი დრო იყო ჩვენი მცენარეებით სავსე კოლოფები მიგვეტანა იქ, სადაც ბარგი გვქონდა და საქაჩაგში გაგვეტარებინა მცენარეები. გოსტოტ დაბრუნებულიყო; მას შორიდან დაესახა არჩეი და მოეკლა რამდენიმე თრინველი, სხვათა შორის როჭო (ბარეული ინდოური), მაგრამ ეს უკანასკნელი სადღაც ხრამში ჩავარდნილა და კვლარ ენახა. ჩვენს საათში სამი იყო და გზას გავუდექით.

გვეგონა დღეს მცენარეულობაზე საუბარი, თქვენც თავი მოგაბეზრათ და მეტ მომკვეთა კბილი თორმეტის საათის განმავლობაში მათმა ტოდვილმა. რამოდენა გზა გავიარეთ იმ დაუბოლოკებელ და გზა-სავნეკ ტყეში! მაგრამ რა საიმოვნებას კვრძნობდით იმ დროს, როცა დავუკვეთ თავქვე ამ 1,600 მეტრის სიმაღლიდან დაღმართის, რომელიც მიო უფრო დაქანებული იყო, რაც უფრო ვუასლოვდებოდით ტყენის-წყალს! მუსლები მეკეტებოდა ერთგვარი ტიკინასავით, როცა ჩვენ კარგად დაღამების დროს მივაღწიეთ ტყენებამდინ. რაკი უნაგირზე შეკვექი, სიამოვნებით ამოვისუნთქე. არც რბილი დიკანი, არც ამერიკული საქანაო სკამი არ მეჩვენება თავისის დაღეში ასრე სასიამოვნო სავდომად, როგორც ეს გასრეკილი და კოტოებიანი უნაგირი, რომელსაც ასე ვგმობდი ამ დილაზე.

საუბედურად, მე დამავიწყდა, რომ სკანეთში ორ-ნაირ ფელობას ვეწეოდი. ერთი მთეანი, სასელდობრ ფელობა ესკულაპისა (ექიმობისა), მეტად მოწონებული და დაფასებულია ამ მამაცი მთიულებისაკან. მამასასლისს თურმე თავისი ბლანი ჰქონდა, ანუ, უკედ რომ კთქვაო, დარეგებული იყო, როცა მიეკუკადით ლესურის სოფელზე ანუ ‘ლეკზედ, სადაც მიეკედით ტყრის-ნასვეარზე. იქ უნდოდა ეჩვენებინა ჩვენთვის ერთი ავადმყოფი ადგილობრივი თავადის გარდაფხაძის ასასლი. ეს უკანასკნელი მამა არის იმ ქერა ყმაწვილი-კაცისა, რომელიც გუშინ ვნახეთ. მისი ასასლი იკეთიკვ უბრალოა, როგორც დანარჩენი ავანებისა და ქვიტკირის გალავნით არის შემოზღუდული. გალავანში მხოლოდ ერთი თალიანი კარია დატანებული, რომლითაც შეკედით. მოსუტი თავადი, ასასიამოვნო ასხისა და გაკაღარავებული, კარებში გვიტდიდა. ის შე-

გვიძღვა ერთს დაბალ-ჭერიან ოთახში, რომელიც გატენილი იყო სალხით: კაცით, ქალით და ბავშვებით, და მიგვიყვანა შორს კუთხეში. იქ იწვა ლოგინზე მძიმე ავადმყოფი და გაყვითლებული ყმაწვილი-კაცი. მოვიკრიბე რაც ლონე შემრჩენოდა და შევუდექი ავადმყოფის გასინჯვას. გადავწყვიტეთ, რომ სალ დილას კინმე უნდა წასულიყო ხოლოურში და მოეტანა წამლები. ამ წამლების უმთავრესი შემადგენელი ნიეთიერება ქინაქინა იყო, რადგან ყმაწვილის ავადმყოფობა წარმოსდებოდა ძველის და გაძლიერებულის ციებებისაგან. მერე თვით თავადმა მოისურვა მაჯის ჩვენება და ამ სინჯვის დროს მე შევიტყე მისი სიბერის უძლურებანი სიმნაირის თრჯიმანის საშუალებით, რომელნიც გვშველოდნენ მე და თავადს ლაპარაკში. ოთახი ძლივს იყო განათებული ორი პატარა ლამპის საშუალებით; მდუმარედ მსხდომ დამსწრეთა შორის, რომელნიც ცნობის მოყვარეობით თვალებს აკაანთებდნენ, მე მოვკარ თვალი ორს შესანიშნავ ლამაზს ასულგაზდა ქალს. თვით კნეინა—დიასახლისი—ბევრად უფრო ასულგაზდა იყო თავისს ქმარზე და კიდევ უფრო მშვენიერი თავისს სტუმარ ქალებზე. იგი თითქმის თვალ-ტრემლიანი გვისდიდა მადლობას, თავი დაგვიკრა დარბაისლურად და შნოიანად, გამოგვიწვადა თავისი პაწაწა არისტოკრატული სელები და ამნაირად დად სანს გვემშვიდობებოდა. ორი კაცი გამოგვყვა ანთებული კვარით სელში გზის გასანათებლად, და უკანასკნელ წამს, როცა ჩვენ შევჯექით კიდევაც ტასებზედ, ორი ჭიქა სასმელი მოგვართვეს. ეს სასმელი ცოტა არ იყოს წაიგემურებდა, ერთ რიგად გვგონებდათ წყალ-სარეკ კირშს (kirsch). ეს იყო არაყი, მაგრამ კნეინას სელით მომზადებული. ამ დროს მთვარეც ამოვიდა; ჩვენ მივდიოდით ვიწრო ბილიკით ორლობეს შუა. მარჯვნით ჩამოგვიჩნდა ჩვენთვის უსილაკი ტანის-წყალი თავისებური შუქით და გვაგონებდა დღეანდელ დაღლილობას.

აი, ეს გახლავთ ის ველური, საშიშარი სალსი, რომელზედაც მოგვითხრობენ მოგზაურები.

ბატონო მოგზაურებო, იწამეთ ღმერთი, ნუ დასდებთ ხოლმე აჩქარებით თქვენს ურიგო განაჩენს მთელს სალსზე!

კალა (თავისუფალი სვანეთი) 6 და 7 აგვისტო, 1890 წ.

ლატფარის ქედს, რომელიც 1,800 მეტრით ჭმაღლობს ჩოლურს, ცხენოსანი კაცი ადვილად გადაივლის სოლმე ერთ დღეს ჩოლურიდან სოფელ კალამდის (თავისუფალ სვანეთში პირველი სოფელია მდინარე ინგურის პირად). ეს გზა მიდებულია 25 ვერსის მანძილად, ჩვენ კი სამი დღე მოკანდომეთ მას. ორი ღამე დაბანაკებული ვიყავით სამხარეთისაკენ მიშველილ მის კალთაზე, კარგი ტარიანი სელს გვიწყობდა და ამ შეჩერებამ ცოტა რამ კიდევ შესძინა ჩვენს საბოტანიკო ბარგს. ყველანი ვესიყვარულებოდნენ, თითქო ჩვენ მიგვეღლოდნენ. 2,000 და 3,000 მეტრის სიმაღლეზე ეს დრო ყველაზედ უმშვენიერესია, როცა გაზაფხულიც და ზაფხულიც შესვედრიან და ერთმანეთს ჩაჭეონებიან და როცა ორთავე დროის ყვავილოვნობა ერთმანეთში არეულან; ჩვენ საკმაოდ ვისარგებლეთ კიდევაც ამით.

კვირას 3 აგვისტოს უნდა გავსულიყავით ჩოლურიდან. განთიადისას შეეუდექით აბარგებას და დიდ-ძალი დრო მოვანდომეთ კარვის აშლას და ბარგის შეკვრას, რომელიც ოთხშაბათიდან,—ჩოლურში მისვლის დღე იყო,—ძლიერ ავრიგ-დავრიეთ. ყველა ჩვენი ცხენები და მათ შორის იოსებაც ბარგს მიეუჩინეთ, რადგან გზა უარესი გვქონდა და ადმართი უფრო საძნელო გვეგულებოდა.

გოსტომ 7 საათზედ ყველაფერი რიგიანად მოაწყო და ჩვენ ჩაის შეკექტვოდით; ამ დროს მოგვადგა კიდევ ერთი ტიებიანი აკვდმეოფი ქინაქინასათვის და გვაიძულა გაგვესხა წამლების კოლოფი. სანამ მას მიეუთვლიდა ამბის, გავისედეთ და მეორეც გასხდა. ეს იყო მოხუცი ლუკის ტიბის პატრონი, რომელსაც გუშინ საღამოს შეეპირდით წამლებს; სამაგიეროდ მან მოგვიტანა ერთი სელადა წიოელი ღვინო, რომელსაც ქვეშნის წვენს მიეუგავდა გემო. მაინი უფრო დიდის სიამოვნებით მიეიღეთ ეს ძღვენი, რომ კუშრის გემო არა ჭქონდა, და მოტანილი ღვინო სასჭარად დაკლიეთ. გოსტომ, რომელსაც ცხოვრების ავან-ჩავანი გაეგება, მიართვა თავადს ცხელი ჩაი და შაქარი ტიღოს ტოპრაკში. თავადმა აიღო მხოლოდ ერთი ნატეხი შაქარი და კენეტით დაუწყო ჩაის სმა; სტეფანემ აგვიხსნა, რომ

მთელ რუსეთში გლეხები ამსაირად სმენ ჩაისო. წინა დღეს შეკვამხნიეთ, რომ ჰერი შემოგვლოდა და კაფერინეთ კაცი ლენტესში (ცხრა კერსია). ბიჭს ჰერიც მოეტანა და დაგრესილი თეთუნიც, რომელზედაც ძლიერ სუსტად იყვნენ თურმე ჩენი მხლებლები. თეთუნი ლენტესში კარგი ღირსებისაც ეოფილა და ისეთადაც. ბოლოს როგორც იქნა ეკვლაფერით გამოკეწეთ და გზას გავუდექით.

ჩვენი გზა ხან გაშლილი, ხან ტეე-ტეე მისდეგდა ცხენის-წყლის მარცხენა ნაპირს. გზაში სალისიანად მიეგდიოდით, ვსტებოდით ლელეებზე და გუბეებზედ, რომელნიც გზას გვიღობავდნენ და სალამს ვუსდიდით მგზავრებს, რომელნიც, თითქმის ეველანი, ცხენებზედ ისხდნენ. ერთი მეღორე სანი გზის პირად იდგა ჯოხზე დაყრდნობილი. მისი პატარა ეკრა მის გარშემო ღრეტენებდა. ჩვენ პირველად ვსედავდით ეიეგისაგან გამოსულებულ კაცს, რომელსაც კავკასიის მთებში შესვლა სოლმე კაცი. ასეთი უცნაური რამ მაინც არ მენასა ჯერ იტალიისა და შვეიცარიის მთებში, თუმცა იქაც მოიპოვებიან ეიეგიანები. მისმა აბურძგნულმა თმამ, წვრილმა მბეტავმა თვალებმა, რომელნიც იკარგებოდნენ ეიეგისაგან დამასინჯებულ მის პირი-სასეში, დაგვალულმა ტანადობამ, ხრინწიანმა ხმამ, სულეღურმა ლაპარაკმ და წამოძასილმა ჩვენი მოასლოვებას დროს ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოასდინა ჩვენზე, რომ სრულიად დაგვავიწყდა ამოგვეღო ბარგიდან ფოტოგრაფიის მანქანა და გადაგვეღო მისი სურათი. რა გასსოვებს ვსედავთ, რა დაქვეითებას ადამიანის სიმშვენიერისას, როცა ერთის მხრით გაეითვალისწინებთ ჯერ ამ შშვენიერ ტიპებს კავკასიისას და მერე ამ უმსგავსოებას შეგსედავთ! ოს, ღმერთო, რაზედ არის დამოკიდებული კაცის ბედ-იღბალი! ტოტოდესი კაკეული ნიეთიერება წყალში *), ანა-და რომელიმე წყეული შიკრობი საკმაოა, რომ ეს მეფე ქვეყნიერებისა ამ ზომამდე დაეცეს!

ტოტა მოშორებით ჩვენ შეეჩერდით ერთი სანის ბავშვის გასასინჯავად, თვალები ისე საოცრად დასიებოდა, რომ მამა იძულებული იყო ბრმასავით ეტარებინა იგი. შეკსიშნე, რომ მხოლოდ

*) აქ ავტორი იგულისხმებს იმას, რომ ვითომ ყიყვი წყლისაგან წარმოს დგებოდეს. ჯერ კი მეცნიერებამ ნამდვილი მიზეზი ყიყვის გაჩენისა არ იცის.
მთარგმ.

თევლის უშეები დაჭზიანებოდა მწერის ნაგებნობით, თევლის კაკალი კი უკანებლად ჭქონდა. ამიტომ კურჩიე მსოლოდ: Tzkali, Tzkali (წყალი, წყალი.) და სელ-მანდილი კუჩკესე, რომ წყლით გამოერეცხა თევლები. ძეირფასი რამ სიტყვაა სწორედ ეს სიტყვა—ცხენის-წყალი. ამ მოკლე სიტყვაში ორჯელ გამომადგა იგი.

5 სასთოზედ დიდი ხნის შეხერების შემდეგ, რომელიც მოანდომეთ სხვა-და-სხვა მცენარეულობის ჩალაგებას, სხვათა შორის მშვენიერის laserpitium alatum, ჩვენ წვალტედით ოვეს ჩვენს მსლებლებს, რომელნიც ემზადებოდნენ დასაბანაკებლად. იმათ ამოერჩიათ კიდეკაც კარგი სწორი ალაგი და გოსტო კარაგს შლიდა. ჩვენდა შეუმჩნეველად ავსულვართ ბუჩქების უმაღლეს სამზღვარამდე და ჩვენს თვალ-წინ ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაშლილიყო ამწვანებული ფერდო ლატვრისა და მოჩანდა სულ ერთიანად გადასავალ ულამდინ. კარაუდით ერთი საათის გზა-და გვრჩებოდა წვერამდინ, მაგრამ ნამდვილად კი ორი საათის სასიარულო გამოდგა. სიმაღლის მაჩვენებელი ჩვენი მანქანა (ანეროიდი) 2,160 მეტრს გვიჩვენებდა. ეს ალაგი წაგვავდა ქვენა ალპების საათიბებს. ტოტა ზემოდ გამოჩრილებდა მოკამკამე წყაროს წყალი; დაკვრანჩხული არეის სეები, უკასასენელნი ამ სიმაღლეზე, ტეტლის მსალას გვაძლევდა; ყოყმანს ალაგი ალარ ჭქონდა: აქ უნდა შეგჩერებულიყავით.

— მართალი ხართ, ბატონო გიგო! აქ უნდა მოგისვენოთ,— გუთსარი გიგოს. გიგო აქ შინა-კაცი იყო: კარგად იცნობდა თავისს ლატვარს. ალაგს ეტყობოდა, რომ სხვა მოგზაურებიც აქ ისვენებდნენ ხოლმე ნაბდის ამარა; გოსტომ მიიარ-მოიარა და ხასა ძველი არეის ხის ტოტი სანასვეროდ დამწკარი.

ტოტა ხანს შემდეგ მშვენიერი ტეტლი გავაჩადეთ. ესლა გოსტომ გამოიტვალა ტანისამოსი და მზარეულობას მიჭყო სელი. ერთი ისეთი ლაზათიანი სარშო მოგვიმზადა, როგორც შეეფერებოდა ადგილს და კარემოებას.

ასი წელიწადიც რომ ვიტოცხლოთ, თავისს დღეში არ დაგვიწყდება ის პირველი დიადი კავკასიური ღამე, რომელიც ავტარეთ 2,000 მეტრის სიმაღლეზედ. კარსკვლავები თითქო გადიდებულიყვნენ, ისე ძლიერ ციმციმებდნენ; მახლობელნი მთები შავად

იყვნენ გამოკვეთილნი ცის კამარაზედ და მოშორებით, სამხრეთისაკენ, მთის კრესილი თეთნერის მიმეოლნი და მისი შტოები ადმოსავლეთისაკენ უფრო გონებით წარმოსადგენი იყვნენ, კინემ შესასედავნი. იგინი მოეტვა ზაფხულის ღამის უფერულს და გამჭვირვალე ორთქლს, რომელიც მოგვგონებდათ ბნელისა და საოცნებო სინათლისაგან ქსოვილს დოლბანდს. ჯალიდან ერუ სმაურობა მოდიოდა, შორეული წყლის ჩხრიალი გეესმოდა და ჩვენს გარშემო სინათლისაგან მოზიდული ღამის მწერები ბზუოდნენ; ბუტ დაგვტრიალებდა დიდ სანს თავზე, სანამ გოსტომ არ დასასლა მას თოფი, რომელიც, ჩვენდა სასიამოვნოდ, ასტიდდა. დიდს სიტკბოებასა ჭვრძნობს კაცი ეველა ამ ერუ სმაურობით, რომელიც შეადგენს მთის მდუმარებას; მაგრამ ხანგრძლივად იგი აგრძნობინებს ადამიანს მარტოობას. ზრით გადვედი ჩვენს სამშობლოში, მოვიგონე ჩვენი სოფლის სამრეკლოს საათი, რომელიც ორი საათით დაგვიანებული იქნებოდა ჩვენს საათზედ; წარმოვიდგინე ჩემი ცარიელი სოდგომი; ესლა, ვიფიქრე, სუფრიდან დგებიან-მეთქი და ვინ იცის რაზედ არა ლაპარაკობენ, მხოლოდ მივიწყებული ჭყავთ ერთი ვისმე მოგზაური, რომელიც გამსდარა კოლო-ბუზების მსხვერპლი... ამ დროს მომესმა: «ბლან, ბლან, სატაბლან! დროა საწოლს მიეშართოთ!» ამ მოწოდებამ გამომაბრძოდა; ფიქრისაგან წაღებული გამომაფხიზლა სტეფანმა, ისეროგორც ერთმა კაბიტანმა ჭენრი ჭეინე, რომელსაც ფესებში სელი სტაცა იმ დროს, როცა მას მოჯადოებულს ონდინები იტუებდნენ უფსკრულისკენ. ორშაბათს დილის 4 აგვისტოს ავროორამ ყარდის ფერის თითებით ფართოდ გაუღო აღმოსავლეთის კარები მეფე-მზეს და მისმა სხივებმა კიდევაც მოაკარაფა კარვის წვერი, როცა მე წამოვჯექ ქვეშსაგებელში და დავიწყე თვალების ფშვნეტა; ამ დროს მომესმა ტეტსდის ტკაცანი და ჩვენი სვანების სმაურობა. უველანი ფესზედ იყვნენ, ჩემს გარდა. ადე ზეზე ზარმაცო-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს და წამოვვარდი! სტეფანი სოგონემელში ჩავარდნილიყო: ბირი უნდა დაგეებანა და წყალი კი შემოგვლოდა. მაგრამ სასსარიტ სასჭაროდ გამოეძებნეთ. ჩვენი კარვის ახლოს მრავალი მტენარენი იყვნენ ფართო ფოთლიანი, როგორც მაცალითებრ მეაუნა, რომელთაც უსვად დასდებოდათ ტვარი; ეს ტვარი ღრუბლით მოგ-

გრიბეთ და იაზმასავით წმინდა და სურნელოვანა პირი-საბანი წყალი ვიშოვნეთ.

შემდეგ მოვიკითხეთ ცხენები, მაგრამ სადღაა ცხენები! გიგოს თავისი მოუკით

ლო ცალის თვალით, რომელიც კიდევ უფრო გაჭეიოლებოდა მზის სხივებივით, გაიქნია თავი; იოსებამ გადაგვითარგმნა ეს ნიშანი ამნაირად: ცხენებმა თავი დაგიგრესთო და გიახლენ სადღაც ბუჩქნარების შესასწავლადო. რა ღმერთი გაუწყრათ! შეხორიკილნი ძლიერ კარგად იყვნენ და 4 საათზედ მათი ასაკალ-დასაკალიც კი დაიკარგა. ადონისი და გრუმი*) გამოუდგნენ მათ საძებრად. ჩვენი პირველი ჩაი გვეშწარა. ნუ თუ იძულებულნი ვიქნებით გავაგზავნოთ იოსება ჩოლუერში, ან ლენტეხში ან კიდევ უფრო შორს—ცაგერში—სხვა ცხენების საშოვრად? და ჩვენ აქ უნდა ვიცადოთ—ლატოკარზე—სუთშაფათამდინ ან შაფათამდინ? ეჭ, არა, არა! გვეირჩევნია ,სევ ზურგით გადავზიდოთ კალამდინ ჩვენი ბარგი-ბარხანა. მერე? კალიდან ბეხომდინ ორი დღის სასიარულოა და ამას გარდა ენგური სანაოსნო მდინარე ხომ არ არის. ბეხო მაინც ახლო იყო. მაგრამ ისიც რომ ჯანდაბაშია—ინგურს გაღმა, მეინვარა უშბას ასლოს! ჩვენ არ გვეყოფა არც 5, არც 10 და არც 15 კაცი ჩვენი 25 ცალი ბარგისათვის! საძაგელი მდგომარეობაა! ეოველ შემთხვევაში შეეშდეთ ჩვენს საქმეს! რაც იქნება—იქნება.

9 საათზედ ადონისი და გრუმი დაბრუნდნენ, გიგომ რაღაც მიაძახა; შეეკმნათ სანგრძლივი და ხმა-მაღალი ლაპარაკი, მაგრამ არა გამოვიდა-რა, რადგან ვსედავ, რომ გრუმი გაიშალარტა იქვე მოდგზე და მოჭყვა დამშვიდებით ყალიონის ბოლებას. აჭ, თქვენც არ მოგიკვდეთ! თუ ცხენები ვერ დაიჭირეთ, ეს ჰეჰელები მაინც დაიჭირეთ-მეთქი, ვუთხარი. მიეცი სელში ბადე და ვანიშნე მათი დაჭერა. აგერ 8 საათია, რაც ჩვენ ცხენებს ვუცდით; გასჭირდა საქმე,—ეიგო სრულიად აღარ იცინის. მაგრამ ერთმა მოუღოდნელმა გარემოებამ დამაყოფა ბუზები, კოღოებიც და ჰეჰელებიც. ზეკითა ბილიკიდან მოგვესმა ცხენების ფეხის ხმა და საუბარი კაცებისა, რომელნიც გამწკრივებული მოდიოდნენ. ვიფიქრე, ჩვენები თუ არიან-მეთქი? მაგრამ ეჭ, არ

*) სახუმროდ ასე უწოდებდნენ თავიანთ ორ მხლებელთ. მთარგ.

მოგვცეთ ჭირი! ესენი მგზავრი სვანები იყვნენ, რომელთაც მოსდევდათ დამარქაფებული ცხენები; მათ შორის ერთი შავი ფერის ცხენი იყო ძლიერ ლამაზი; გიგომ იგი მუშტრის თვალით გასინჯა. ვერა გავიგე-რა მათი საუბრისა, მაგრამ ეტყობოდა, რომ კაჭრობდნენ. მე ჩემს გზას შევუდექი და, როცა დავბრუნდი, ცხენი იქ დამხვდა წინა-ფესებით დაფარმანდებული (დაბორკილი). ეს კი ვეღარსად წავა-მეთქი, ვიფიქრე! „Tzkhénis“? (ცხენის)—მივაძახე გიგოს და ამ ერთ სიტყვაში გამოვსატე ათასნაირი კითხვა.

მართლაც, ერთი ცხენი ვიშოვნეთ; მაგრამ რა ფასად ან რა მიზნით ეს ჩემთვის საიდუმლო იყო.

$3^1/_2$ საათზედ, როცა მე გარეული კიეკვი სასქმეში, წამოვარდა გიგო და შემოძახა: «Tzkhénis» (ცხენის)! ცხენები, ჩვენი დაკარგული ცხენები როგორც იქნა გამოხსნდნენ ბილიკზე მომავალნი! უკელანი აქ იყვნენ სავსებით: სვანები და მათი მეთაური იოსება მოდიოდნენ და მოლაპარაკობდნენ თავისებურად. ეოჩაკ, ბიჭებო-მეთქი, მივაძახე! და მზად კიეკვ ეკელა გადმეკოცნა. მათ ბირი-სანსეს ალმეული ასდიოდა და ოთხი წურ-წურით ჩამოსდიოდათ. მოგვიასლოვდნენ თუ არა, სათითოდ სელი ჩამომართვეს და დამიწყეს აჩქარებით ათას რამეზე ლაპარაკი, რომლიდანაც მე ვერაფერი გავიგე, მე მხოლოდ მადლობას ვეუბნებოდი.

ერთი საათის შემდეგ მოგვესმა სამჯერ თოფის სმა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ სტეფანი და გოსტოტ მოგვიასლოვდნენ. სამჯერ თოფის სროლა ტეუილად არ ჩაგდიდა-მეთქი, გავიფიქრე ჩუნებაში, გოსტოს არ უყვარს უბრალოდ გასროლა თოფისა; მართლაც, იოსებამ წამოიძახა: „Kouritsa! Kouritsa“! (курица, курица), და ვანიშნებდა ამობერილ ჩანთას მონადირისას, რომელშიაც ორი მშვენიერი ფრინველი ელაგა. Kouritsa რუსულად ნიშნავს ქათამს და ამ შემთხვევაში კი ნიშნავდა კაკაბიის მშვენიერ ტყის ქათამს. გოსტოს მოეკლა დედალ-მამალი ქათამი, მამალი შავია, დედალი ნაცრის ფერი. ისე ძლიერ განიჩენიან იგინი ერთმანეთისაგან, რომ კაცი ვერ იტყვის მათ წათესაობას. ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა გავიტყდე, ანა და უკეთესი იქნება, რომ საიდუმლოდ დარჩეს ჩვენ შორის,—ეს ორი იშვიათად სანსასავი ფრინველი გავბტყვენით

და ტუკვიც არ გადვასარჩუნეთ; ჩვენი მუზეები თავს შეაკლავდნენ მათ საშოგრად. ჩვენმა მეგობარმა ჯილიოლიმ რომ ეს შეიტყოს, კიცი, თვალებს დამთხრის.

დღეს კი გვეყოფა მუშაობა. როცა ხუთი-ათასიოდ მტენარეს მოჰკრებ, გაავრობ მზეზე და ამდენ დავი-დარაბას გამოიყლი, მაშინ ბინდი, ბირველი კარსკვლავის ამოსვლა და ტეტლზე ქოთინის შეშინი საამურია; მაი უმეტეს, როცა ქოთანში გეგულება ტეის ქოთმი წვრილი მუსუდოთი ჩასარშოებული. რადა საჭიროა მეორე დამის ამბავიც გიამბო. ეს ხომ განმეორება იქნებოდა. მხოლოდ კიტეი, რომ სადილი უფრო მდიდარი გაქონდა, ჩაი უფრო სურნელოვანი, კისემ ჩინეთის იმპერატორს. 9 საათზედ უკვლანი სვრინავდნენ ტეტლის ბირას; ალბად მეტ მეძინა, რადგან მეზობლის ხმაურობა ადარ მსმენია იმ ღამეს. შემდეგს აგიწერ მაშინ, როდესაც თეთნულდის წვერიდან დაკბრუნდებით, რომელზედაც ხვალ კეფიქრობთ ასვლას. ჩვენის აზრით, ეს თეთნულდი უნდა იყოს, მაგრამ აქ კალაში ამ სასვლს არ უწოდებენ მას. ესლა მომაგონდა, რომ კალაზედაც უნდა მოგწერო რამ, და არამც თუ კალაზე, არამედ კალას დათვზედაც. მაგრამ დღეს შეუძლებელია, საჭიროა სანთელს გაკუფრთხილდე. იქონიეთ მოთმინება—რაც არ შეგიძლია, იმას ნუ მოკითხავთ.

ჯ. ბ—ძე

ინდოეთი

VI *)

სახელმწიფო მუშაობა ხალხისთვის

„სასურველია, ანუ უკედ რომ ვთქვათ, საჭიროა, რომ, როდესაც დროთა და ცივილიზაციის პირობანი ხელს უწყობენ, მმართველობა თვითონ აკეთებდეს ყოველ საკეთილ-დღეოს და ხალხისთვის დიდ-მნიშვნელობიან საქმეებს; იმიტომ კი არა, რომ კერძო პირთ არ შეეძლოთ მათი აღსრულება, არამედ იმიტომ, რომ ისინი არა ჰგრძნობენ იმათ საჭიროებას,—ამბობს ჯონ სტუარტ მილლი. — არსებობს მთელი ეპოქები ანუ ქვეყნები, სადაც არ იქნებოდა არც გზები, არც ნავთსაყუდლები, არც არხები და სარწყავი შენობები, არც საავადმყოფოები, სკოლები, გიმნაზიები, სტამბები, რომ მმართველობას თვითონ არ გაემართნა ესენი. ხალხი მეტად ღარიბია, რომ შესძლოს ამისათვის საშუალების შეკრება, ანუ გონებრივი გამჭვრეტელობა ფრიად მოკლე აქვს, რომ შეიგნოს და დააფასოს ყველა ამ დაწესებულებათა და შენობათა სარგებლობა, ანუ მას არა აქვს საკმარისი პრაქტიკული ცოდნა საამისოდ საშუალების მოპოებისათვის...“

„ანბანისა და წიგნის ბეჭვდის შემოღების შემდეგ არავითარი მოგონება მანქანებისა და აღმოჩენა არ დახმარებია ზნეო-

*) «მოამბე» № 1, 2, 8.

ბრივ და გონებრივ წარმატებას კაცობრიობისას ისე, როგორც ხალხთა შორის მანძილის შემოკლება და ერთმანეთთან მიმოსვლის გაადვილება დაეხმარაო",—სთქვა ლორდმა მაკოლეიმ.

შეიძლება თამამადა ვთქვათ, რომ უინგლისოდ ინდოეთი თითქმის სრულიად მოკლებული იქნებოდა ცივილიზაციის ყველა მადლს.

წინადაც იყო ნათქვამი, რომ ინდოეთში გვალვა ხშირია და ამის შედეგი საშინელია. მცხოერებთა შიმშილისაგან დაფარვა მხოლოდ მათ ეკონომიურ პირობათა გაუმჯობესობას შეუძლიან. ამის მისაღწევად, ხალხის ნივთიერ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა მმართველობამ ხელი შეუწყოს, საშუალება მისცეს ამ მხრით განვითარებისათვის. რკინის გზებმა, გზების გაუმჯობესობამ, სარწყავმა არხებმა აღურიცხველი სარგებლობა მოუტანა ინდოეთს. ეს აშკარად დაამტკიცა 1877—78 წწ. შიმშილმა ინდოეთში, როდესაც შეიძლებოდა ხალხი მილიონობით ამოჟლეტილიყო, რომ რკინის გზებს არ მიეცათ საშუალება სანოვაგის დროზედ გადაზიდვისა. ინდოეთის წინანდელი მფლობელნი, როგორც სჩანს, სრულიად არა ზრუნაედნენ გზების გაყვანაზე. არც გასაკვირველია ან სამაგალითო. ეს უზრუნველობა სჭირს აზიის ყველა სახელმწიფოებს, რადგან, როგორც მილლმა სთქვა, „გონებრივი გამჭვრეტელობა ფრიად მოკლე აქვს, რომ შეიგნოს და დააფასოს ყველა ამ საშუალებათა და შენობათა სარგებლობა". 1836—37 წწ. ინგლისმა ინდოეთში გზების გაყვანაზე 800,000 მან. დახარჯა და შემდეგ 1850 წლამდე საზოგადოდ წელიწადში 4.000,000 მანეთამდე ხარჯავდა ხალხთა სასარგებლო სამუშაოზე. სულ სხვა სურათს წარმოადგენს 1886—1887 წწ. ამ წლებში რკინის გზებზე და სარწყავ არხებზე დახარჯა 104,170,000 მან., გზების გაყვანაზე, ხალხთათვის შენობების აშენებაზე და სხვა საზოგადო მუშაობაზე დახარჯა 52,020,000 მან. ლორდ და ლუზის თხოვნით ინგლისის მმართველობამ უფრო მეტი თანაგრძნობა აღმოუჩინა ინდოეთს. ჩრდილოეთ-დასავლეთ ინდოეთში გამოჩენილი და განათლებული ტომისონის ხელ-მძღვანელობით ბევრი გზა-

ტკეცილები, ხიდები და სხვა სასარგებლო შენობები გაკეთდა. ამას მიჰბაძეს სხვა პროვინციების მეთაურებმაც. 1890 წელს, მარტში 25,905 კილომეტრის სიგრძის რკინის გზები იყო ინდოეთში, რომელზედაც მატარებლები უკვე დადიოდნენ; 1891 წელს 27,000 კილომეტრი და 3,519 კილომეტრსაც ახალად აკეთებდნენ. რკინის გზების წყალობით, როგორც გამოანგარიშებული აქვთ, ვაჭრები და მგზავრები წელიწადში 600 მილიონ მანეთს იგებენ, გარდა დროს მოგებისა, რადგან წინანდელ 20 მილის მაგივრად ახლა დღეში 400 მილს მიდიან.

უკვე მომქმედ რკინის გზებზე ინგლისის მმართველობას 1,180,000,000 მან. აქვს დახარჯული და წელიწადში 22,300,000 მან. ზარალობს ხალხის სარგებლობისათვის. რასაკვირველია, ამ ზარალს სხვა წყაროდან ჰფარავენ და ეს სხვა წყარო მოგებისა ისევ რკინის გზის საშუალებით არის დაბადებული. ამ უკანასკნელ 30 წელიწადში მმართველობა 51 მილიონ მანეთს ჰხარჯავდა ყოველ წელს ხიდების გაკეთებაზე. ინდოეთის პროვინციები, მეტადრე პენჯაპი, ცენტრალური პროვინციები, ბომბეი და ბირმანი გზა-ტკეცილებითა და რკინის გზებით არის დაქსოვილი. მთავრობამ საქონლის გადატან-გადმოტანის გასაადვილებლად გზა-ტკეცილზე დადებული ბაჟის გადახდევინებაც კი მოსპო პროვინციებში.

მმართველობამ არც არხებისა და სხვა სარწყავ შენობების გაკეთებაზედ დაზოგა ფული. უკანასკნელ ხანებში განსაცვიფრებელი მუშაობაა დაწყებული ჩრდილოეთ-ინდოეთში. ამის მსგავსი მთელ ქვეყანაზე არ არის როგორც სიდიადით, აგრეთვე ხელოვნებით.

მდინარე განგიდან 1,560 ვერსზე გაყვანილია დიდი არხი. ამ არხიდან 6,000 ვერსზე აქეთ-იქით არის გაყვანილი წვრილი არხები, რომლებიდამაც ირწყვება მინდვრები. გასაოცარის ხელოვნებით გაკეთებული არხი ზოგან დიდრონ მდინარეებსა და ხევებს სჭრის და გააქვს წყალი.

ამაზედ ნაკლები არ არის სამი არხი, რომლებშიაც მოყრილია გიმალაის მთებიდან ჩამონადენი წყლები. სადაც კი საჭი-

ლება მოითხოვს, იქ მმართველობა ფულს არა ზოგავს სარწყავი არხებისა და შენობების გაკეთებისათვის 1878—8 წწ. დამთავრებულ არხებზე დახარჯულიყო 43,460,000 მან. და ირწყოდა 220,350 დესიატინა, რომელიც 60,200,000 მანეთის ბურს იძლეოდა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ პროვინციებში, სადაც არხები იყო გაყვანილი, 30,000,000 მანეთის სიმდიდრე მოემატათ. ერთ წელიწადში დაბრუნდა სამი მეოთხედი იმ თანხისა, რაც არხების გაყვანაზე იყო დახარჯული.

სარწყავ არხებზედა და შენობებზე დახარჯული ფული ერთი-ოთხად იქმნა აღებული მარტო ერთი მოსავლიდან. უამარხებოდ კი ხშირად მოსალოდნელი იყო შიმშილი.

შუაგულ და სამხრეთ ინდოეთში დიდი სივრცის მიწები ირწყვება ან ტბებიდან გამოყვანილი წყლით, ან მაღლობებში საგანგებოდ წყლის მოსაგროვებლად აშენებულ სხვა-და-სხვა ზომის აუზებიდან.

1886—87 წწ. ირწყვებოდა 4,050,000 დესიატინა მინდვრები. ამავე წელიწადში შემოსავალმა იმატა 145,000,000 მან. აქედან წარმოიდგინეთ, თუ რამოდენა არხები უნდა იყოს გაკეთებული და რა სარგებლობა მოაქვს ამას.

1889 წ. დამლევს მარტო რკინის გზების გაკეთებაზე დახარჯულა 2,046 მილიონი მანეთი. არხებზე და სხვა სარწყავ შენობებზე 270 მილიონი მანეთი.

ამასთან უყურადღებოდ არ იყო დატოვებული ხალხისათვის სხვა სასარგებლო შენობებიც, როგორც მაგალითად სკოლები, საავადმყოფოები, ყაზარმები, ტელეგრაფი. დიდის მზრუნველობით იცავენ, ამშვენიერებენ და უვლიან ძველ შენობებს, ნაშთებს ინდოელთა წინაპრების წარსულ ცხოვრებისას.

აქ იბადება ერთი საკითხავი: ინგლისის მმართველობა რა ღონის-ძიებასა ხმარობდა ნივთიერი საშუალების მოსაპოებლად, მით უფრო, რომ 1857 წ. აჯანყებამ დიდი ხარჯი მოინდომა, როგორც აჯანყებულებთა დასამშვიდებლად, აგრედვე ადგილების გასამაგრებლად, ჯარისათვის ყაზარმებისა და საავადმყოფოების ასაშენებლად და სხვ.? ამ მოულოდნელმა გარემოებამ სა-

მასი მილიონი მანეთი ინაცვალა, ასე რომ საერო სამუშაოებზე დასახარჯად მმართველობას სრულიად არა ჰქონდა საშუალება. მართველობამ სცნო რა აუცილებელ საჭიროდ რკინის გზებისა, არხებისა და სხვა სამუშაოთა დაწყება; 1864 წ. გარდასწყვიტა მუშაობა დაეწყო ნასესხი ფულით.

ლორდ ლაურენსის მოთავეობის დროს განხორციელდა ეს გარდაწყვეტილება და თანხმად გენერალი სტრეჩის მიერ შედგენილი გეგმისა, მმართველობამ ისესხა ფული სარწყავ შენობათა დასაწყებად ინდოეთში. 1869 წ. იმავე გენერალმა სტრეჩმა წინადადება მისცა მმართველობას რკინის გზებიც გაეკეთებინათ ამავე საშუალებით, ესე იგი ნასესხი ფულით. მმართველობა დასთანხმდა და პირველად ამ საგნისათვის ფული ისესხეს 1870 წ., როდესაც ლორდი მეიო ინდოეთის ვიცე-კოროლად იყო.

რასაკვირველია, საჭირო არ არის აქ იმ მოსაზრებათა ჩამოთვლა, რამაც დასკვნა პრინციპი უშიშრად რკინის გზებისა და არხების გაკეთებისა.

საკმარისია ვთქვათ, რომ ეს უშველებელი და განსაცვიფრებელი შენობები აგებულია ან მმართველობის მიერ ნასესხი ფულით, ანუ კერძო ამხანაგობათა და საზოგადოებათა მიერ, რომელთაც ან სუბსიდია მიეცათ, ან აღეთქვათ უეჭველი მოგება თუნდა საქმეს ზარალიც მოეტანა. მმართველობის აზრით, ამგვარი სესხი არავითარ ვნებას არ მოუტანს სახელმწიფო ფინანსს. ამნაირად 1888—1889 წწ. სახელმწიფოს ვალად დაედო რკინის გზებზე დახარჯული 920 მილიონი მან., და სარწყავ არხებზე და შენობებზე დახარჯული 260 მილიონი მან., სულ 1,180 მილიონი მანეთი.

VII

სწავლა-განათლება

ინდოეთში ევროპული სასწავლებლების დაარსების მოთავედ აღიარებული უნდა იქმნას უარრენ გოსტინგსი, რომე-

�ება მოითხოვს, იქ მმართველობა ფულს არა ზოგავს სარწყავი არხებისა და შენობების გაკეთებისათვის 1878—8 წწ. დამთავრებულ არხებზე დახარჯულიყო 43,460,000 მან. და ირწყოდა 220,350 დესიატინა, რომელიც 60,200,000 მანეთის პურს იძლეოდა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ პროვინციებში, სადაც არხები იყო გაყვანილი, 30,000,000 მანეთის სიმდიდრე მოემატათ. ერთ წელიწადში დაბრუნდა სამი მეოთხედი იმ თანხისა, რაც არხების გაყვანაზე იყო დახარჯული.

სარწყავ არხებზედა და შენობებზე დახარჯული ფული ერთი-ოთხად იქმნა აღებული მარტო ერთი მოსავლიდან. უამარხებოდ კი ხშირად მოსალოდნელი იყო შიმშილი.

შუაგულ და სამხრეთ ინდოეთში დიდი სივრცის მიწები ირწყვება ან ტბებიდან გამოყვანილი წყლით, ან მაღლობებში საგანგებოდ წყლის მოსაგროვებლად აშენებულ სხვა-და-სხვა ზომის აუზებიდან.

1886—87 წწ. ირწყვებოდა 4,050,000 დესიატინა მინდვრები. ამავე წელიწადში შემოსავალმა იმატა 145,000,000 მან. აქედან წარმოიდგინეთ, თუ რამოდენა არხები უნდა იყოს გაკეთებული და რა სარგებლობა მოაქვს ამას.

1889 წ. დამლევს მარტო რკინის გზების გაკეთებაზე დახარჯულა 2,046 მილიონი მანეთი. არხებზე და სხვა სარწყავ შენობებზე 270 მილიონი მანეთი.

ამასთან უყურადღებოდ არ იყო დატოვებული ხალხისათვის სხვა სასარგებლო შენობებიც, როგორც მაგალითად სკოლები, საავადმყოფოები, ყაზარმები, ტელეგრაფი. დიდის მზრუნველობით იცავენ, ამშვენიერებენ და უვლიან ძველ შენობებს, ნაშთებს ინდოელთა წინაპრების წარსულ ცხოვრებისას.

აქ იბადება ერთი საკითხავი: ინგლისის მმართველობა რა ღონის-ძიებასა ხმარობდა ნივთიერი საშუალების მოსაპოებლად, მით უფრო, რომ 1857 წ. აჯანყებამ დიდი ხარჯი მოინდომა, როგორც აჯანყებულებთა დასამშვიდებლად, აგრედვე ადგილების გასამაგრებლად, ჯარისათვის ყაზარმებისა და საავადმყოფოების ასაშენებლად და სხვ.? ამ მოულოდნელმა გარემოებამ სა-

მასი მილიონი მანეთი ინაცვალა, ასე რომ საერო სამუშაოებზე დასახარჯად მმართველობას სრულიად არა ჰქონდა საშუალება. მართველობამ სცნო რა აუცილებელ საჭიროდ რკინის გზებისა, არხებისა და სხვა სამუშაოთა დაწყება; 1864 წ. გარდასწყვიტა მუშაობა დაეწყო ნასესხი ფულით.

ლორდ ლაურენსის მოთავეობის დროს განხორციელდა ეს გარდაწყვეტილება და თანხმად გენერალი სტრეჩის მიერ შედგენილი გეგმისა, მმართველობამ ისესხა ფული სარწყავ შენობათა დასაწყებად ინდოეთში. 1869 წ. იმავე გენერალმა სტრეჩმა წინადადება მისცა მმართველობას რკინის გზებიც გაეკეთებინა ამავე საშუალებით, ესე იგი ნასესხი ფულით. მმართველობა დასთანხმდა და პირველად ამ საგნისათვის ფული ისესხეს 1870 წ., როდესაც ლორდი მეიო ინდოეთის ვიცე-კოროლად იყო.

რასაკვირველია, საჭირო არ არის აქ იმ მოსაზრებათა ჩამოთვლა, რამაც დასკვნა პრინციპი უშიშრად რკინის გზებისა და არხების გაკეთებისა.

საკმარისია ვთქვათ, რომ ეს უშველებელი და განსაცვიფრებელი შენობები აგებულია ან მმართველობის მიერ ნასესხი ფულით, ანუ კერძო ამხანაგობათა და საზოგადოებათა მიერ, რომელთაც ან სუბსიდია მიეცათ, ან აღეთქვათ უეჭველი მოგება თუნდა საქმეს ზარალიც მოეტანა. მმართველობის აზრით, ამგვარი სესხი არავითარ ენებას არ მოუტანს სახელმწიფო ფინანსს. ამნაირად 1888—1889 წწ. სახელმწიფოს ვალად დაედო რკინის გზებზე დახარჯული 920 მილიონი მან., და სარწყავ არხებზე და შენობებზე დახარჯული 260 მილიონი მან., სულ 1,180 მილიონი მანეთი.

VII

სწავლა-განათლება

ინდოეთში ევროპული სასწავლებლების დაარსების მოთავედ აღიარებული უნდა იქმნას უარრენ გოსტინგსი, რომე-

ლმაც 1782 წ. გახსნა პირველი კოლეგია ანუ გიმნაზია და რამდენიმე წელიწადი თავისი ხარჯით აწარმოვა ეს საქმე. სასწავლებელი დაარსა მკვიდრთა წასახალისებლად სწავლა-განათლებაში, არაბული და სპარსული ენების შესწავლაში.

1791 წ. ბენგალში მმართველობამ დააარსა მეორე გიმნაზია უფრო ფართო პროგრამით. აქ ყურადღება მიქცეული იყო უფრო კანონებისა, ლიტერატურისა და ინდოელთა სარწმუნოების შესწავლაზე: ამ გიმნაზიაში კურს დამთავრებულნი მსაჯულთა თანაშემწეებად ინიშნებოდნენ. ამას შემდეგ კიდევ რამდენიმე სასწავლებელი იქმნა დაარსებული ამავე მიმართულებითა და პროგრამით. ამ სასწავლებლებში საგნებს ადგილობრივ ენაზე ასწავლიდნენ, მაგრამ როგორც ყოველგან, აქაც აღმოჩნდნენ ამ პროგრამის მოწინააღმდეგენი და ასტყდა დავა ორ დასთა შორის. ზოგნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ მმართველობას ხელი უნდა შეეწყო სანსკრიტულ, არაბულ და სპარსულ ენების შესწავლისათვის და აღმოსავლეთის ენებზე დაებადნა ლიტერატურა როგორც სიტყვა-კაზმული, აგრედვე სამეცნიერო; ზოგნი კი ამტკიცებდნენ, რომ უმაღლესი სწავლა მკვიდრთ უეჭველად ინგლისურ ენაზე მიეღოთ. 1835 წლამდე გაგრძელდა ეს დავა. ამ წელს გენერალ-გუბერნატორმა ლორდმა უილიმ ბენტინკმა გარდასწყვიტა, რომ „უმთავრესი მიზანი ბრიტანიის მმართველობისა უნდა მდგომარეობდეს ინდოეთის მკვიდრთა შორის ევროპული სწავლის გავრცელებაში, და რომ სახალხო განათლებისათვის დანიშნული ყველა საშუალება მიმართულ უნდა იქმნას იმნაირი სასწავლებლების გახსნაზე, სადაც ყველა სამეცნიერო საგნები შესწავლილი იქნება ინგლისურ ენაზე“. ლორდ ბენტინკის ამ გარდაწყვეტილებაზე დიდი ზედ-გავლენა იქონია ლორდ მაკოლეიმ, რომელიც მღაღადებელი იყო მეორე პრინციპისა.

შემდეგ ამისა 10—15 წლის განმავლობაში დაარსებულ იქმნა გიმნაზიებ და სკოლები. დაწყებით სასწავლებლებზე იმ დროს ცოტასა ზრუნავდნენ, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ამაზე უმაღლესი სწავლის მიმღებნი იზრუნებდნენ.

1854 წ. ინგლისის მმართველობამ იგრძნო, რომ მისი მოვალეობაა იზრუნოს დაწყებითი სასწავლებლების დაარსებაზედაც და შეუდგა კიდევაც ამ აზრის განხორციელებას.

დაარსდა განსაკუთრებითი დეპარტამენტი სახალხო სწავლისა; კალკუტაში, მადრასში და ბომბეიში მმართველობამ 1887 წ. უნივერსიტეტები ვახსნა; გახსნა აგრედვე სამოსწავლო სემინარიები, საიდანაც კურს-დამთავრებულები გამოდიოდნენ, გიმნაზიები და სხვა უმაღლესი სასწავლებლები; დააარსეს ახალი სასწავლებლები საშუალო სწავლის მისაღებად. განსაკუთრებითი ყურადღება მიეპყრო ხალხში ელემენტარულ და პრაქტიკული სწავლის გავრცელებას. პროგრამით მაღალ კლასებში სწავლა ინგლისურ ენაზედ უნდა ყოფილიყო, ხოლო დაბალ კლასებში ადგილობრივ ენაზე. ამასთანავე გარდაწყვეტილი იყო **ინგლისურ ენაზე სწავლება იმ ადგილებში, სადაც თვითონ მკვიდრნი ისურგებდნენ ამას.** უმაღლესი სწავლის მიღების წასახალისებლად მოსწავლეთ ეძლეოდა ნივთიერი შემწეობა, რომელიც მდგომარეობდა იმაში, რომ სწავლის ფულს კისრულობდა მმართველობა. ნივთიერივე დახმარება ეძლეოდა ყველა წესიერად მოწყობილ კერძო სკოლებს, რომელშიაც ყმაწვილები იძენდნენ სწავლა განათლებას. ყველა ის სკოლები, რომლებსაც მმართველობა ეხმარებოდა ნივთიერად, მთავრობის აგენტთა ზედამხედველობას ქვეშ უნდა ყოფილიყო. ყოველ პროვინციაში დააარსეს დეპარტამენტი სახალხო განათლებისა, რომელიც განაგებდა სწავლის საქმეს თავისს პრავინციაში. 1877 წ. მმართველობამ ალლახაბადში გახსნა მეოთხე უნივერსიტეტი. უნივერსიტეტები ინდოეთში ლონდონის უნივერსიტიტების მსგავსად იყო მოწყობილი. 1882 წ. ლაგორში მეხუთე უნივერსიტეტი იქმნა გახსნილი პენჯაპის მუსულმანთათვის.

ათი წლის განმავლობაში, 1889 წლამდე, 34,674 კანდიდატმა დაიჭირა ეგზამენი კალკუტისა, მადრასისა და ბომბეის უნივერსიტეტებში, ხოლო დაამთავრა 5,981 სტუდენტმა და მაგისტრობის ხარისხიც მიიღო 454 პირმა. კურს-დამთავრებულთა რიცხვი ფრიად მცირეა შედარებით უნივერსიტეტში შე-

სვლის მსურველთა რიცხვთან. ეს ცხადად ამტკიცებს იმას, რომ ინდოელთა შორის ცოტაა მეცნიერის დიპლომის მაძიებელი. უმრავლესობა კმაყოფილდება პირველ კურსებში მიღებული სწავლით, თავს ანებებს სასწავლებელს და ერთვის ტალღას ცხოვრებისას.

სწავლა გიმნაზიებში ანუ, როგორც იქ უწოდებენ, კოლეგიებში მთელ ინდოეთში ერთ სისტემაზეა აგებული.

მიზანი ამ კოლეგიებისა არის აღზრდა, მომზადება მოსწავლეთა შემდეგ სამსახურში შესასვლელად.

მმართველობის ზრუნვამ უმაღლესი სწავლის გავრცელებისამ ფეხი უფრო ინდუსთა შორის მოიკიდა, ვიდრე მუსულმანთა შორის. ინდოეთის მრავალ მაზრებში მაჰმადიანთა უმაღლესი წოდების წარმომადგენელთ სრულიად არ მოსწონთ კოლეგიებში და სკოლებში მიღებული სისტემა სწავლისა და ყოველთვის ერიდებოდნენ ამ სასწავლებლებს. უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მუსულმანები უფრო სჯულის მიმდევარნი არიან და ყმაწვილობას მედრესებში ატარებენ საღმრთო სჯულის შესასწავლად. რადგან ინდოელს არავითარი გამორკვეული რწმენა არა აქვს, ამისათვის არც დროს ანდომებს ამის შესასწავლად. სამაგიეროდ ინდუსებს აღძრული აქვთ დიდი სურვილი სამსახურში შესვლისა. მუსულმანთა აღსაზრდელად სულ სხვა სისტემის სასწავლებლები იყო საჭირო. ამ სასწავლებლებში უმთავრესი და პირველი ადგილი, მუსულმანთა აზრით, ღვთის მეტყველებას უნდა მიეცეს და ევროპული კლასიკური ენების მაგივრად აზიის კლასიკური ენები უნდა შეასწავლონ.

ჩრდილოეთ ინდოეთში ამ პროგრამის განხორციელებას შეუდგა განათლებული და გონება-განვითარებული მუსულმანი საიდ ახმედ ხანი, წთამომავალი თვით მაჰმადისა.

ამ პატიოსნებით სავსე გვარის წინაპარნი, შუაგულ აზიიდან ინდოეთში გადმოსახლებულნი, ყოველთვის კარის-კაცებად იყვნენ მონგოლთა იმპერატორებთა სასახლეებში.

საიდ ახმედ ხანს კარგად ესმის მნიშვნელობა ევროპული სწავლისა და ჰგრძნობს, რომ თუ მუსულმანები არ შეითვისებენ

ამ სწავლას, არავითარი ადგილი არ ექმნებათ ხალხის მომავალ განათლებულ ცხოვრებაში. საიდ ახმედ ხანი დარწმუნდა რა, რომ ინგლისის მმართველობას არ შეუძლიან შეცვლა პროგრამისა სასწავლებლებში, რომ თავიანთივე ვალია შვილებს მისცენ სწავლა-განათლება თანხმად მაჰმადის სარწმუნოების მოთხოვნილებისა, შეუდგა სასწავლებლის დაარსებას. როგორც ყველგან, ამ კეთილ დაწყებულებასაც აღმოუჩნდნენ მტრები თვით მუსულმანთა შორისაც კი, რომელთაც ასეთი განზრახვა მიაჩნდათ ყოველ აზრს მოკლებულად და საშიშრად. მაგრამ საიდ ახმედ ხანი დარწმუნებული იყო, რომ ისლამის სარწმუნოება სრულიად არ არის მტერი ჭეშმარიტებისა და კაცობრიობის პროგრესისა და მიუხედავად მუსულმანთა უთანაგრძნობლობისა იმან გამოაცხადა, რომ აარსებს მათთვის უმაღლეს სასწავლებელს. ამის განხორციელებას 20 წელიწადი მოანდომა და დახარჯა რაც კი რამ ებადა; ამაგმა და შრომამ უნაყოფოდ არ ჩაუარა. როდესაც თან და თან დარწმუნდნენ ამ სასწავლებლის სიკეთეში,— მეგობრებმა და სხვა გავლენიანმა მუსულმანებმა, ინგლისელებმა და ინდუსებმაც კი შემწეობა აღმოუჩინეს საიდ ახმედ ხანს. 1883 წ. ალიგარში მისგან დაარსებულ კოლეგიაში სწავლამ ისე იწარმატა, რომ ინდოეთის აღზრდა-განათლების კომისარებმა აღიარეს, რომ ეს უმაღლესი სასწავლებელი, ინგლისის მიერ სხვა ამნაირივე სასწავლებლებთან შედარებით პოლიტიკურისა, თუ ხალხის განათლების მხრივ, დიდ წარმატებაშია და შესანიშნავი მომავალი ექმნებაო. ეს იყო პირველი დამოუკიდებელი მოღვაწეობა მუსულმანთა მას შემდეგ, რაც ინდოეთი ინგლისის ხელშია.

„Alighar Society“-მა შეიმუშავა ნიმუში სასწავლებლისა ნაციონალური სწავლა-განათლების შესახებ აღძრული კითხვის პრაქტიკულად გარდასაწყვეტად.

საიდ ახმედ ხანის კოლეგიის დამთავრებას კიდევ ბევრი აკლია. მართალია, ამ სასწავლებელმა ფეხი მოიმაგრა მუსულმანთა გულში, მაგრამ ღარიბმა ხალხმა ვერ შესძლო აღმოეჩინა ისეთი დახმარება, რომ კოლეგია სრულეყო დამფუძნე-

ბელს. ინდოეთში უნივერსიტეტების დაარსების პირველ ხანებში ლორდი კანნინგი დარწმუნებული იყო, რომ ინდოეთის წარჩინებულნი იგრძნობდნენ საჭიროებას სწავლა-განათლებისას და თავიანთ შვილებს მისცემდნენ უმაღლეს სწავლას. მაგრამ არ გამართლდა ეს მოლოდინი. მკვიდრთა წარჩინებულნი იმ შეხედულებისა იყვნენ, რომ წარჩინებულთა შვილებთათვის სწავლა სრულიად მეტი ბარგია, უსწავლელობა არამც თუ არცხვენდა მათ, არამედ ამაყობდნენ კიდევაც ამით.

მმართველობამ მაინც არ დაიშალა თავისი და ყოველი ღონისძიება იხმარა, მაღალწოდების შვილნიც აღეზარდა ევროპულად, ამისათვის მმართველობამ დაარსა იმათთვის განსაკუთრებული კოლეგიები. საუკეთესო იმათგანი დააარსა ლორდმა მეიომ აჟმირში. ამ სასწავლებელში უნდა ესწავლათ რაჯპუტანის წარჩინებულთა შკილებს. ინგლისის მმართველობას წარმოდგენილი ჰქონდა, რომ შეიძლება ინდოეთის მაღალი წოდების პირნი არ კადრულობდნენ შვილების აღზრდას დაბალ ხალხთან ერთად. თითქო ეს შეხედულება გამართლდა ზემოდ ხსენებულ სასწავლებლის დაარსების შემდეგ. მდიდარმა ინდოელებმა შესწირეს კიდევაც ფული ამ სასწავლებელს. მართალია, პირველში მაინც ამ სასწავლებელმა ვერ მოიგო გული ინდოეთის არისტოკრატიისა, მაგრამ კოლეგიის შვიდი წლის არსებობამ და ნაყოფმა შეუცვალა აზრი იმათ და აღუძრა სურვილი სწავლის შეძენისა.

1889 წ. უმაღლესი სასწავლებელი დაარსებული მმართველობის მიერ ან კერძო პირთა და საზოგადოებათა მიერ, რომელთაც მმართველობა ნივთიერად ეხმარებოდა, იყო სულ 127, რომლებშიაც სწავლობდა 14,500 შეგირდი. გარდა ამისა ყოველ თემში დაარსებულია ეგრედ წოდებული უმაღლესი სკოლა, სადაც ასწავლიან ინგლისურ ენას და სხვა საგნებს, რომელთა ცოდნა საჭიროა უნივერსიტეტში შესასვლელად. 1889წ. ამნაირი სკოლა 4,700 იყო და სწავლობდა 455,000 შეგირდი. თუმცა პირველ-დაწყებითი სოფლის სკოლები ინდოელთაც ჰქონდათ წინად, მაგრამ რიცხვი ამათი, რასაკვირველია,

მცირე იყო და სისტემაც სწავლისა არ ესაბამებოდა ამ დროის სისტემას. მმართველობამ ამას მიაპყრო ყურადღება და ზოგი მმართველობის თაოსნობით, ზოგი კერძო პირების თაოსნობით მრავალი დაწყებითი სკოლები იქმნა დაარსებული. 1889 წელსვე 120,000 სკოლა იყო და შიგ სამი მილიონი შაგირდი სწავლობდა, ამათში 6,200 სკოლა ქალებისა იყო, რომელშიაც სწავლობდა 260,00 ქალი.

ინდოელთა შეხედულება ქალების განათლებაზე ისევ ძველებურია. მათი შეხედულებით ქალს სრულიად არ უნდა სწავლის შეძენა, წერა-კითხვის არ-მცოდნე პატიოსანი ქალი უფრო მისაღები და პატივ-საცემია, ვიდრე ნასწავლი ქალი. ინდოელ ქალთა მდგომარეობა ოჯახში და მხნეობა და გამჭრიახობა არა ჰგავს სხვა აღმოსავლეთის ზოგიერთ სახელმწიფოების ქალთა მდგომარეობას. ინდოელი ქალი მხნე, ჭკვიანი და მშრომელია. მრავალნი მათგანი მამულების მოურავებად არიან, ვაჭრობა-მრეწველობის მოთავედ და საქმე მიჰყავთ დიდის ცოდნით და გამჭრიახობით. ინგლისელთა მიერ ჯერ დაუმორჩილებელ ინდოეთის ერთ სახელმწიფოს სახელად ფოპალს ჰმართავენ და განაგებენ დედა-კაცები და, წარმოიდგინეთ, შემთხვევითაც როდი მომხდარა ეს; ამ სახელმწიფოს მმართველად ზედიზედ ქალთა ორი თაობაა.

მიუხედავად ამისა, ინდოელ მამაკაცთა ამგვარი შეხედულების წყალობით ქალთა სწავლა-განათლება დაქვეითებულია და ინგლისის მმართველობის სურვილსა და მეცადინეობას წინ-ეღობება ამათი ამგვარი შეხედულება. მაინც უკანასკნელი ათის წლის განმავლობაში შესამჩნევად განიგმირა სიკერპე ინდოელთა. ბევრმა ინდოელმა ქალმა დაამთავრა უმაღლესი სწავლაც კი და დაიმსახურა ყურადღება ლიტერატურაში. სამხრეთ და დასავლეთ ინდოეთის პროვინციებში ქალები უფრო გათამამებულნი არიან და სწავლის სურვილი მეტად აქვთ აღძრული, ვიდრე ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში; 1871 წ. 10,000 ქალი სწავლობდა სკოლაში, 1889 წ. კი ამათი რიცხვი 70,000-მდე ავიდა; ბომბეიში 9,000-დან 49,000-მდე ავიდა, ბენგალში 5,900-დან 90,000-მდე.

განსაკუთრებით დიდი სამსახური გაუწია ქალების განათლებას ინდოეთში საექიმო დაწესებულებამა ლედი დეფფერინისამ, რომელმაც ამ კეთილი საქმით დაიხსნა მრავალი ქალი დიდი ტანჯვისა და ხშირად სიკვდილისაგან მშობიარების დროს, რადგან ადგილობრივი ბებიები უცოდინარობის გამო საშინლად აწვალებდნენ იმათ. მშობიარეს წვალებასა და სიკვდილს ხშირად ახალ-შობილებსაც გამოასალმებდნენ ხოლმე ამ წუთისოფელს. ლედი დეფფერინისა შეუდგა რა თავისი აზრის განხორციელებას, დიდი თანაგრძნობა მოიპოვა მკვიდრთა შორის. ბევრმა ფული შესწირა.

ჩუკკას მაგარაჯიმ თავისს საკუთარს ხარჯზე ააშენა საავადმყოფო ქალთათვის. 1886 წ. 31 მარტს ლედი დეფფერინისამ ჩაყარა საძირკველი საქალებო სასწავლებლისა მის სახელზედ აგებულისა.

ამ საქმისათვის ხელის შესაწყობად, თანხმად ქ-ნი დეფფერინის წინადადებისა დაარსებულ იქმნა საზოგადოება, რომლის უმთავრესი კომიტეტი და კასა ქალაქ კალკუტაში იყო მოთავსებული და დანარჩენ შესაჩნევ კუთხეებში გახსნილია ფილიალური განყოფილება. თუმცა დიდი ხანი არ არის, რაც ლოდი დეფფერინის დაწესებულებანი არსებობენ, მაგრამ ამათ დიდი სარგებლობა მოუტანეს ინდოელთ და ამ უანგარო მოღვაწეობით, რომელსაც არავითარი პოლიტიკური სარჩული არ უდევს, დაარწმუნა ინდოელნი, რომ ინგლისის მმართველობას და იმათ საექიმო დაწესებულებათ აზრად არა აქვს ინდოელთა სჯულის შეცვლა და გადაგვარებაო.

მიუხედავა ინგლისის ახალი დროის მმართველობის მეცადინეობისა და ხარჯისა, სწავლა ინდოეთში ჯერ ვერ გავრცელდა, როგორც სასურველი იყო. 1881 წ. აღწერით 116,500,000 მამაკაცთა შორის მხოლოდ ათ ნახევარი მილიონი იყო წერა-კითხვის მცოდნე და ნასწავლი და 111,800,000 ქალთა შორის მხოლოდ 400,000 მცოდნე წერა-კითხვისა, ასე რომ ინდოელთა უმრავლესი ნაწილი ისევ უმეცრების მორევშია. ეს ფრიად საშიშარია ინგლისისათვის, რადგან უმეცარი ხალხი უფ-

რო ადვილი ამყოლია ყოველი ცრუ ხმებისა, ხალხის ასაჯანყებლად გავრცელებულისა, მით უფრო როდესაც ამ ხმებს საარჩულად ხალხის რწმენა და ჩვეულება უდევს. სწორედ უმეცრების ნაყოფი იყო 1857 წ. აჯანყება ბენგალიის ჯარისა, რომელნიც დარწმუნებული იყვნენ, რომ ინგლისის მმართველობა ძირს უთხრიდა ინდოელთა სარწმუნოებასაც, ხალხურ ჩვეულებებსაც და ეკონომიურ მდგომარეობასაც. ლორდი მაკოლეის აზრმა ვნების მეტი არა მოუტანა-რა ინგლისსაც და ინდოელთაც, რომელნიც ორმოც და ათი წლით დაწინაურებულები იქნებოდნენ სწავლა-განათლებაში, რომ არ შემოეღოთ უსაფუძვლო სისტემა განათლებისა ლორდი უილიამ ბენტინკისა.

რასაკვირველია, საჭირო იყო მმართველობას ლონის ძიება ეხმარა და ინგლისური ენა შეესწავლებინა, რადგან ამ ენის ცოდნით, მკვიდრნი შეიძენდნენ მთელს განძს დასავლეთის მეცნიერებისას და როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, აგრედვე ადმინისტრაციაში თვალსაჩინო ადგილი ექნებოდათ. მაგრამ განა გონივრება მოითხოვდა თითქმის მხოლოდ ინგლისის ლიტერატურისათვის მიეცათ ადგილი სამოსწავლო პროგრამაში და აღმოსავლეთისა და საკუთარი ლიტერატურის გაცნობაც კი მეტად მიეჩნიათ ინდოელთათვის?!

უარენ გასტინგსი და უილიამ ჯონსი რომ დასწრებოდნენ 1835 წ. კრებას, უეჭველია ცხადად დაუმტკიცებდნენ ლორდ მაკოლეის თანამოაზრეთ, რომ თუმცა ინდოელთა და მაჰმადიანთათვის სასარგებლოა ინგლისურ კლასიკური ლიტერატურის შესწავლა, მაგრამ უფრო სასურველია მათ შეისწავლონ თავიანთი ლიტერატურა, თავიანთი მწერლები. ინდოელი მეტს ისარგებლებდა თხზულებიდან მახაბხარათ და ყალიდაზიდან ამოკრებილი სცენებით, ვიდრე „დაკარგული სამოთხის“, „ჰამლეტის“ და „ოტელოს“ კითხვით. ახალგაზდა მაჰმადიანი არაბულ პოეზიის ღირსებას უფრო კარგად დააფასებდა, ვიდრე ინგლისურისას. „შახნამე“ მეტ სარგებლობას მოუტანდა, ვიდრე ჰომეროსის თარგმანი. უეჭველია „ომარ-ყაიამიდან“ უფრო მეტს ისწავლიდა და შეითვისებდა, ვიდრე ევროპიელ ფილოსოფოსთა

თხზულებებიდან. მაკოლეის ახლა რომ წარმოეთქვა ის აზრი, თანამგრძნობი ევროპაში არავინ გამოუჩნდებოდა. ყოვლად შეუძლებელია ხალხს, რომელსაც ათი-ათასი წლები უცხოვრია, აქვს თავის ენა, ჩვეულებანი, ლიტერატურა, ისტორიული საამაყო წარსული, დედის ძუძუსთან შეთვის-ხორცებია პატივისცემა და სიყვარული სამშობლოსადმი,—დაავიწყებინონ, ხელი ააღებინონ ყველა მშობლიურზე და დედინაცვალი შეაყვარონ. ბუნების კანონთა წინააღმდეგ მებრძოლეს არას დროს გამარჯვება არ ეღირსება. სერ ჰენრი მენმა სთქვა სრული სიმართლე იმის შესახებ, რომ „წარსული დამლევ-საუკუნის ინგლისური კლასიკური ლიტერატურა გაჟენთილი იყო პოლიტიკურ დასთა აზრებით... და მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ მაშინდელ მწერალთა მიერ სამაგალითო მშვენიერი ენით გამოხატული შეხედულება იმ დროის ინდოეთის მმართველობაზე არავითარ ზედმოქმედებას არ იქონიებდა განათლებულ ინდოეთზე“.

სწავლა-განათლების გავრცელებამ, რასაკვირველია, დაჰბადა გამომცემლობა წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებისა. ამ ჟამად მკვიდრთა ენაზე 315 გაზეთი გამოდის და ხელის-მომწერლებიც ზოგიერთ მათგანს 20,000-მდე ჰყავთ. განსაკუთრებით ვრცელდება ის ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც მეტი ყურადღება პრაეინციის ცხოვრებაზეა მიპყრობილი. გარდა ამისა ინდოეთში იბეჭდება წელიწადში 8,000-მდე სხვა-და-სხვა წიგნი, რომელთა შორის ცხრა მეათედი ადგილობრივი ენით არის დაწერილი.

შინაური მიმოხილვა

აზნაურობას რა უშველის?

აზნაურობის სიმრავლე ჩვენში.—მისი მიზეზი, მისი ავი და კარგი.—მაზანდა.—ლორდებს რამ გააძლებინა.—მართლა უიმედოა, ვითომ, ჩვენი აზნაურობის მდგომარეობა?—მისი ნამდვილი სიმდიდრე.—რამდენი გზა და ღონის-ძიება აქვს შველისა?—ერთი ახალი დაწესებულება, მისთვის გამოსადეგი.—გვარში ურთიერთის შველის გამართვა.—რა დედა-აზრი უნდა ედვას აზნაურობის მეცადინეობას?—წოდებათა აშლა და შეტაკება.—„მოდის“ კუდები.—ნამდვილი წყლული.

ქვეყნის გაწყობის დროს, ჩემზე რომ ყოფილიყო მინდობილი რიგისა და წესის დადგენა, იქნება არც აზნაურობის სიჭირობა დამენახა, არც მისი გასკერძოებული არსებობა გამეჩინა. ჩვენდა სიმწუხაროდ, არც ჩემთვის, არც მკითხველისთვის არ უკითხავი—რა აზრისა ხართ ამ წოდებაზეო; ისე გაჩინეს და გაამრავლეს. აკია თუ კარგი, ის არსებობს, და ჩვენი სურვილით, ყინდ ბრძანებით, როდი გაქრება. ჩვენში, როგორც ამას წინადაც მოგახსენებდით («ამოამბე», № 5, შინაური მიმოხილვა, გვ. 145—146), ის იმდენად გაჩაჩვლებულია, რომ «პირდაპირი გაკვლენა აქვს ხალხის ცხოვრებაზე და ერისა თუ ქვეყნის ბედზე, ექნება იმას გასკერძოებული უფლება თუ არა, სულ ერთია. ამოდენა აზნაურობა ერთობ მძიმე, აუტანელი ტვირთია ხალხისთვის. კისაც ამ ხალხის სვე ებრალება, კისაც მისი დახმარება ჭსურს, იმას ჩვენში არ შეუძლია აზნაურობის მდგომარეობას არ მიაქციოს ყურადღება, და აზ-

ნაურობის ბედის გაუმჯობესობაზე არ იმეცადინოს-მეთქი»... მთავრობის გამოთვლილებით (1886-ში მოსდენილი წერილით), მარტო ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში ითვლება 85.952 თავადი და აზნაური. რამდენი ამ წოდების ქართველი კავკასიის დანარჩენ გუბერნიებში ანა-და რუსეთში ცხოვრობს, ეს ვინ იცის. ქართველობა იმდენად მდიდარი როდია ხალხით, რომ არავერად ჩაეგდოს 85.952 ადამიანის ბედი, მის საკუთარ ბედში ისე დრმად და ამოუფსკრელად ჩაწნული. ამ რიცხვს უნდა მიემატოს კიდევ 26.909 სული სამღვდელოებაზ, რომელიც აგრედვე დაწინაურებულ წოდებას შეადგენს ჩვენი ქვეყნის წყობილებაში. როცა რომელიმე ეპარქია ერს 112,861 პირი ჭეშეს უწრმოებლად სარჩენი *), იმას დიდაც შეჭეერის მათ ბედზე და მდგომარეობაზე იზრუნოს და მით თავისი ტვირთიც შეამსუბუქოს, ეს პირებიც სეერიანად გამოიყენოს...

სხვა ქვეყნებში აზნაურობის რაოდენობა ბევრად უფრო მცირეა, დანარჩენი სალხის რიცხვთან შედარებით, ვინემ ჩვენში. ყველამ კარგად იცის, სიდან წარმოებს ეს მდგომარეობა. ის იმ შეუწყვეტელი ბრძოლის შედეგია, რომელიც სამართველოს ყველა თავადს მეზობლებთან უნდა ჭქონოდა. ამ ბრძოლის მიზეზით ჩვენმა ქვეყანამ თავი ვერ დაიხსნა სამსედრო წყობილებისაგან, ვერც საკმაო საშუალება შეეძინა მისი სიმძიმის ასატანად. მისთვის აზნაურობა ერთადერთი იარაღი იყო შინაური და გარეგანი მტრის მოგერებისა. ის მუდამ ჯარის მაგიერობას ეწოდა უბრალო გასაჭირის ან მტერეოდენი ომის დროს. ზოგჯერ კი, როცა მტერი ერთობ მძლავრი იყო, და როცა მთელი ხალხი გამოდიოდა მის მოსაგერებლად, აზნაურობა ჩინებული და გამოტდილი მწყობარი (кадры) ხდებოდა საომრად გამოსული მაგრამ გაუწრთვნელი ხალხისთვის. მშვიდობიანობის დროს აზნაურობა ჩვენთვის პოლიტიკასაც შეადგენდა, სამსჯავროსაც, სასამართლოსაც და ვინ იცის რას არა, კიდევ. ამოდენა სხვა-და-სხვა გვარის სამსახურის დასაჯილდოებლად ჩვენს მეფეებს სხვა არაფერი

*) ნუ დაივიწყებთ, რომ ამ რიცხვში არც ვაჭრები ითვლებიან, არც მოქალაქეები, არც სხვა „თავისუფალი პროფესიის“ პირები. მათი რაოდენობაც ერთობ გადაჭარბებულია ჩვენში.

ჭქონიათ თავადიშვილობისა და აზნაურშვილობის ღირსების გარდა. უფრო დაწინაურებულ, უფრო გამდიდრებულ სასულიერო ოჯახში ქვეყნის სიმსახურის ჯილდოდ სასული და გაკეთილნა ეძლევა კაცს, უმაღლესი ადგილი, ქონება, ან ფული, ან ჩინი, ან ორდენი. ჩვენი სამეფოკი კი, ბოლომდინ, შინაგანი წეს-წყობილების იმ დაწყებითის წერტილზე იდგა, რომ შიგ არამც თუ ეკელა უბრალო თანამდებობა, თვით ვარის წინამძღოლობაც, სპასალარობა, საშვილიშვილოდ გადადიოდა ერთსა და იმავე გვარში. მდივნობა, ესე იგი იმისთანა თანამდებობა, რომელიც დიდს პირად ნაკლს მოითხოვს, მაინასგან შვილს გადაეცემოდა, და სხვა გვარში კი არა, სხვა ოჯახშიაც კერ გადავიდოდა. ამსაირადვე საშვილიშვილოდ გადადიოდა სასლთ-უსუფესობა, ბოქოულთ-უსუფესობა და სხვ. და სხვ. მაშასადამე, მეფეს, კიდევაც რომ სდომებოდა, როდი შეეძლო ეისიმე დიდი დამსახურება უმაღლესი ადგილის ბოძებით დეჯილდოვებინა. სხვა სასულმწიფოებშიაც კი ეოფილა, თითქმის ეოველგან, ამისთანავე წეობილება, მაგრამ მარტო მათი ცხოვრების დაწყებითი პერიოდში, განათლების და წარმატების მიღებამდე. რუსეთში, მაგალითად, ამ წესზე ბევრად უფრო დაწინაურებული мѣстничество 1682-მდინ არსებობდა, პეტრე დიდის უფროსი ძმის, თეოდორეს, მეუბამდინ. ჩვენს მეფეებს არც დანარჩენი ჯილდოები ჭქონიათ: დიდ-ძალი ფული, ან თავისუფალი მამული, ან ჩინები, ან ორდენები. დასჯის საშუალება ბევრი, უოველაი ეიო მათ გასკარგულებაში: თავის მოკვეთა, თვალის დათხრა, მკლავის მოჭრა, ტოტსალის მაწაში ჩაფლვა და ჩაკერვა, ტეკედ გაეიდვა, ემად გაცემა და სხვ. დასსვ. დაჯილდოებაში კი, მარტო თავადიშვილობის ან აზნაურშვილობის ღირსება ჭქონდათ მისანაწესელი. ამით ნამსახურსაც აჯილდოებდნენ, და თან სამსედრო წოდების რიცხვსაც უმატებდნენ, ვარის-კაცთ ამრავლებდნენ. ამას ისიც უნდა დავეურთოთ, რომ შინაური უწესობების და გარეშე მტრის მეფადისობის გამო, ჩვენში ერთობ ხშირად იცვლებოდნენ მეფეები და მთავრები. ავიდოდა თუ არა რომელიმე მათგანი მოტაცებულ ტასტზე, მაშინვე ეკელა თავისს დამსმარეს აჯილდოებდა, რასაკვირველია, თავადის ან აზნაურობის ღირსებით. უწინდელი მეფეებისგან გათავადებულ ან გაზნაურებულ გვარებს კი ასალი მეფე ღირსების ჩამორთმევას კერ

უბედავდა: მტრად რასაც გადაეკიდოთ. ჩვენი წარსული ისტორია, განსაკუთრებით უკანასკნელი ოთხი საუკუნისა, საუბედუროდ, ერთობ იშვიათად წარმოგვიდგენს იმის მაგალითს, რომ ტასტი, ბუნებითი სიკეთილით გარდაცვალებული მეფისაგან, მის კანონიერ მემკვიდრეს რგებოდეს. უფრო ხშირად ტასტი ტაციობით და ძალადობით გადადიოდა ერთი ბირის და ოჯახის სულიდან მეორისაში, სან ოსმალოს, სან სპარსეთის, სან წვრილმანი ხანების და ფაშების ან ლეკების წაქეზებით. ეს გარემოებაც მეტად ამრავლებდა აზნაურობის ღირსებით შემოსილი გვარების რიცხვს. იმ დროს, მართალია, დიდ-ძალი ნაწილი ამ გვარების წევრთა ისეთე მალე იღუპებოდა, ბრძოლაში, როგორც გადიდებოდა სოლმე. მაგრამ მის გვარს და მოდგმას ნაწყალობები ღირსება მაინც საშვალიშვილოდ რჩებოდა...

როცა რუსეთის მართვა და კანონი შემოვიდა ჩვენში, ეს «შენაძენი ღირსება» უკელას დაუმკვიდრდა. ასი წლის შეურეველმა მშვიდობიანობამ უსვად ამრავლა, მას შემდეგ, ჩვენებური აზნაურობა, იმდენად ამრავლა, რომ ის დღეს თითქმის მეათედ ნაწილს უდრის მთელი ჩვენი საძლისას. სსვა-და-სსვა ერს, ალბად, სსვა-და-სსვა ნიერი და ხშირად სულ წინააღმდეგი ღობალი ჰქონია, როგორც ცალკე ბირებს აქვთ სოლმე, რომელზედაც სათქვამია, ვითომ «ზოგისა ბაშბაც ჩსრიალებს, ზოგის არ გადის ვერცხლიცო». ზოგიერთი, ილბლიანი, საძლისთვის ეს სიმრავლე აზნაურობისა, იქნება, ისსარგებლოც ეოფილიყოს. მარიოლაც, თუ მეცნიერულად გაარჩევს კაცი ამ წოდების აკსა და კარგსა, მარტო ეკონომიური და ტოტალოდნად ზნეობრივი ენება დაედება მას ბრალად, და მაგიერად მტერიც კი იცნობს მასში დიდ-ძალ სიკეთეს და ღირსებას. მისი ენება იმაში მდგომარეობს, რომ უშრომოდ, უწარმოებლად, ქვეყნის ქონების მოუმატებლად, სსვის სარჯზე ცხოვრობს, ბევრად უკეთესად, ვინემ მშრომელი ან შემძენი. ეს ერის შეძლებასაც ამცირებს და ზნეობასაც ხიბლავს. მაგრამ ყოველგან, სადაც აზნაურობა დასარჩენ თავისის თვისებას და ღირსებას ეონიერად სმარობს, იმას ქვეყნის ცხოვრებაში და ეკონომიაში საძაგიერო სარგებლობაც შეაქვს. ზოგან მისგან მოტანილი სარგებლობა ერთი-ათადაც აჭარბებს ენებას...

ეზნაურობის ეკონომიური მხარე რომ დავიწყოთ დროებით, ეველა დაეგეოსსრება, რომ ეს წოდება, უმრავლეს შემოხვევაში მაინც, ნარჩევი სამთია ქართველობის უმჯობესის წარმომადგენლობისა. მრავალი საუგუნეების განმავლობაში ცხოვრების ბრუნვას გულმოდგინედ უფლებია, თითქო განგებ, მოდგმის გასაუმჯობესებლად, რაც კი წარჩინებული და სასელოვანი იბადებოდა რამ ერში, რაც კი რამ თავს იჩენდა ან ღონეს იმენდა. იქნება, ჩვენი წარსული ცხოვრების ერთფეროვნობის გამო, სასელისა და ღონეს მარტო სამხედრო ნიჭი იმენდა, რადგანაც ყოველ სხვა ნიჭზე უსაჭიროესი იყო მაშინ სამშობლოსთვის. იქნება ამ მიზეზით, ესლანდელ ჩვენს ეზნაურობასაც წინაპრებისაგან უფრო მხედრული თვისებები მოსდგამდეს, ვიდრე მოქალაქობრივი. ეს შესაძლოა. მაინც მხედრულ წოდებას ბევრი ისეთი თვისება და ღირსება აქვს ძარღვებში გამჯდარი, მოდგმიდან-მოდგმისთვის დედის-ძუძუთი გადაცემული და თვითეული ასალი თაობისაგან თანდათან უფრო და უფრო მეტად განმტკიცებული, რომლის დაურთველად არ იკარგების არც ერთი მოქალაქობა, არც ერთი, მოქალაქური წესით გამართული, საზოგადოება. მისი თვემოყვარეობა აღმოუფხვრელად დადგულებულია ქვეყნის წარსულზე, წინაპრების ღვაწლზე. ამის გამო, ესდა თუ არა, ის მტკელი და მსახური ესდა იქნეს მამულის და წარსულის ტრადიციისა, ადგილობრივი ინტერესისა, დიდებისა და სხვ. მისი სიყვარული სამშობლო ქვეყნისადმი ბევრით უძლიერესია ყველა კაცის ბუნებითს სიყვარულზე, საკუთრივ მით, რომ ამ ბუნებით გრძნობას ზედ ერთვის აგრედვე ამბარტავნული რწმენა,—ქაო-და მაგ მამულის სახელის თუ შეენების შექმნაში ბაბი-ჩემის, ან ჩემი წინაპრების ღვაწლიც ყველასთვის თვალსაჩინოა. არც ერთ ახალ-გამოსულ მოდგმას არ ეელვის გულში ისეთი ღრმა და ისეთი მსურვალე ურთიერთისადმი სიყვარული ოჯახის თუ გვარის სხვა-და-სხვა წევრებ შეა, როგორც ამ წოდებისას. დაბალ წოდებაში ოჯახის წევრებ შეა, თუნდ მამასა და შვილ შეა, ან ძმებ შეა, თითქმის მარტო ისეთი მსუბუქი და უძლური კავშირია, როგორც ბირუტყვებ შეა: წამოიზრდება თუ არა ბავშვი და გაიზრდება თუ არა თავისს საკუთარ ინტერესს, თითქმის ყოველგვარ კავშირს სწყვეტს დედ-მამასთან და ოჯახობას-

თან. ძველ მოდგმებში კი ეს კავშირი სასდისსან სისხლის ღვრასაც უძლებს და სრულიად დაურღვეველი ძალისაა. არამც თუ მარტო საკუთარ ოჯახობასთან, მთელ გვართანაც ამგვარიე ურღვეველი კავშირით შეკრულია ამწოდების პირი. მერე რაო, იტყვიან. რაო-და ის, რომ ეს კავშირი ადამიანს პირუტყვობას აშორებს და კაცობრიულ გრძნობას უნერგავს გულში, აჩვენებს პირადი სარგებლობის უგუგდებას, სხვისი გულისთვის თავისი სურვილის ალაგმვას, სხვისი გასაჭირის გაგებას, სხვისთვის თავის-დადებას, უზენაეს გრძნობას უზენაესის ქმნილებისას. დიდი და საჭირო რამ გასლავთ ეს გრძნობა საზოგადოების და ერის ცხოვრებაში, ეს მსხვერპლის მოსატანად მზად-ყოფნა. ისტორია გვმოწმობს, რომ ზოგიერთ სალხს, დიდი ქონებისა და სასელის პატრონს, თვით-არსებობა მარტო იმისთვის არ ჭირსებია ან არ დასტლია, რომ აი ეს თავის-დადება, ეს სამსხვერპლოდ მზად-ყოფნა არა სთვისებია თურმე. ნუ თუ უანგარიშობა არ იქნება იმ ერისთვის, რომელსაც ოცი საუკუნის განმავლობაში განგებ აღუზრდია და მოდგმიდან-მოდგმისთვის გადაუცია ეს სასიქადულო თვისება, რომ მისი მნიშვნელობა დაიკიწყოს, ან მისი ძალა დაბშოს თუ მოსპოს?..

ის ეთიდშობილური გრძნობა, რომელიც მარტო უკეთესს ადამიანებს ულვიკის გულში, და რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ კაცი თავ-დადებულად ემსრობა ოჯაველ პატიოსანს ამრს, ოჯაველს ერისთვის სასარგებლო საქმეს, იმდენად ძლიერია სოლმე მსედრულ წოდებაში, რომ მარტო მის წრიდან გამოსულან მისი უსამართლო პრივილეგიების თავდაპირველი მებრძოლნი და მომსპობნი. ეკვლამ იცის, რომ მარტო ძალი წოდებისგან გამოსულმა მწერლებმა დასერგეს და აღზარდეს რუსეთში ის მოძრაობა, რომელმაც ბატონყმობა მოსპო ბოლოს. წარსულის საუკუნის დამლეგს, საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს, უმთავრესი მეთაურები საღსის გასმთავისუფლებელი მოძრაობისა სულ აზნაურები იყვნენ. სხვა სახელების ჩამოთვლისგან მარტო ლაფაიეტის, მირაბოს და რობესპიერის სსენება გაგვანთავისუფლებს. უეჭველია, ამათ რომ მომსრეელ თვით სალხი, და განსაკუთრებით შუათანა წოდება, არ ჭყოლოდეთ, მათი თავ-დადება, ღვაწლი და მსხვერპლი ცარიელ ოცნებად

დარჩებოდა, უნაშეოფოდ ჩაიკლიდა. მაგრამ, კარ იცის, შეკითხა წოდება მაშინ ი

რსების დაცვა და ამაღლება... ეს როლი, რასაკვირველია, აზნაურობისგან ერთობ მძიმე მსხვერპლს მოითხოვს: დიდ უანგარობას, მეტის-მეტს გონების განვითარებას. მაგრამ სხვათაშორის, უამისოდ, არსად და არასოდეს არ შეუნახავს მეთაური მდგომარეობა არც კერძო პირს, არც ცალკე წოდებას.

შესანიშნავი ის არის, რომ ოკეანეანი, სადაც კი უმაღლეს წოდებას ეს ბუნების კანონი გაუგია, და, მის თანხმად, სალხის სიკეთისთვის ერთგული სამსახური გაუწევია, მისი მდგომარეობა დღესაც ძველებურადვე შეურყეველია. მისი წარჩინებული მდგომარეობა, მისი უპირატესობა, მისი პოლიტიკური გავლენა თვით უმაღლეს ხარისხამდე მიღწეულ განათლებასაც კი ვერ შეუმუსრავს, თვით დაწინაურებულ ქვეყნებშიაც. ინგლისში, მაგალითად, სადაც პოლიტიკური უფლება რამდენიმე საუკუნეა რაც საშუალო წოდების ხელში იმყოფება და ჩვენს დროში ნელ-ნელა ხალხის ხელშიაც გადადის, ლორდების უპირატესობა დღემდისაც შეურყეველია, და მისი შემცირება ხალხს ჯერ ფიქრადაც არ მოსდის. ეს იმ გარემოების შედეგია, რომ ინგლისში უმაღლესი წოდება, ბევრი საუკუნის განმავლობაში, ოკეანეთის ერის მსარეზე მდგარა, ოკეანეარ განსაცდელში, გაჭირვებაში და ბრძოლაში, სახელდობრ თუნდ კოროლების ბრძოლაში საშუალო წოდებისა და ხალხის წინააღმდეგ... დღეს ინგლისში თითქმის მთელი მიწის-მფლობელობა ისევ ლორდებია ხელშია, და მათი ეკონომიური უპირატესობა მართლაც ერთობ მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის წარმოებას. მაგრამ ლორდები თავიანთ ურიცხვ შემოსავალს ისე უხვად ახმარებენ საზოგადოებას, ისე რიგიანად იცვენ თავიანთ დირსებას, ისე ხშირად გამოდიან ხალხის მფარველად და დამხმარედ, რომ ხალხის უმეტეს ნაწილს ჯერეც თითქო არ უგრძნია მათი ეკონომიური ტვირთი და ვნება... თუ კი უმაღლეს წოდებას ამგვარი გავლენის შიგნა შესძლებია ამისთანა ქვეყანაში, სადაც ხალხს ფეხის გადადგმაც ვერ მოუსერხებია ისე, რომ ლორდების უპირატესობაზე არ წაბორძიკდეს, ნუ თუ ჩვენში, სადაც ხალხი ბევრად უფრო ნაკლებ დამოკიდებულებაშია, ერთიანად შეუძლებელი უნდა იყოს

რიგიანი განწყობილების დამყარება წოდებათა შუა, მათი მშვიდობიანი შეთანხმების და მომავალი შეთანასწორების გასამზადებლად?

არა მგონია, რომ ამ გეგმას მისი წინაღმდეგი სჯობდეს, რომლის ძალით უმაღლესი წოდება ნიადაგ ეკონომიურ და პოლიტიკურ მტრობას უნდა უწევდეს სალხს, არ კეცი ვის სასარგებლოდ. ვინც მიიხედ-მოიხედავს, ისტორიულ მაგალითებს გაიხსენებს, ის ადვილად და ბლომად დაინახავს იმის სურათებს, თუ რაგვარ უმნიშვნელობამდინ, რა ღრმად დაცემამდინ და უძლურებამდინ მიუყვანია აზნაურობა სალხთან მტრობას და ერის წინაღმდეგ ბრძოლას...

უმთავრესი მხარე ამ ძნელი საქმისა იმაში მდგომარეობს, რომ აზნაურობა თავს სალხის შეუწუხებლად ირჩენდეს. ორგვარი საშუალება მოსდენს ამ საქმიერ სასწაულს: მთავრობის დახმარება და საკუთარი მეცადინეობა აზნაურობისა. მთავრობა ამ უკანასკნელი თხუთხმეტი წლის განმავლობაში, როგორც ამ სიმი თვის წინად მოგასენეთ, მართლაც გულ-მხურვალედ მოსურნეა ყოველნაირი დახმარება მისცეს აზნაურობას, და მარტო ჩვენი წინამძღოლების ბრალია, თუ აქამდინ ვერ დაუნახავებია მთავრობისთვის აქაური აზნაურობის უკიდურესი გასაჭირი და მისი შველის საშუალებანი. ამ საგანს დღეს ჩვენ არ შეეხებით, რადგანაც ადგილი გვაქვს ვრცლად მოსალაპარაკებლად კითხვის მეორე მხარეზე—იმ საშუალებაზე, რომელიც თვითონ ჩვენს აზნაურობას თავის-თავად შეუძლიან ისმაროს თავის საშველად. საქმე იმ მდგომარეობაშია კიდევ, რომ მართებლობამ და კანონმდებლობამ სრულიად არავითარი მონაწილეობაც რომ არ მიიღონ ჩვენი აზნაურობის ბედის გაუმჯობესობაში, თვით-შველაც (самопомощь) რიგიან ნაბიჯს გადაადგმევინებს მას წარმატებისკენ.

აზნაურობა დაღარიბდაო, გაღატაკდაო, დაემხოო, რომ მოისმის ყოველი მხრიდან, მართალია ეს კითომ? გაღატაკებას თუ იმას დაკარგვა, რომ ბზესავით ისანეკი ფული აღარ აქვს საქეიფოდ, მაშინ სხვა არის, თორემ მთავრობისაკან გამოცხადებული სტატისტიური ცნობები სულ სხვაგვარ, და ბევრად უფრო საიმედო, მდგომარეობაში გვაისახვენ ჩვენს აზნაურობას. უძვირფასეს საიმდიდრედ ყოველკან მიწა-წყალია მიღებული, რადგანაც მარტო ეს არის მუდმივი მომცემი მოსავლისა, შეურყეველი საფუძველი კერძო ბირის,

მთელი ერის და თვით სახელმწიფოს კეთილდღეობისა. ვნახოთ ახა, ამ სიმდიდრის რამოდენა წაწილი შერჩენია დღემდინ ჩვენს აზნაურობას. ტფილისის გუბერნიაში კერძო საკუთრებას შეადგენს სულ 1,413,535 დესიატინა: აქედან აზნაურობას 1,260,406 დესიატინა ეკუთვნის; თავისუფალ, სასელმწიფო და დროებითვალდებულ გლეხ-კაცობას საკუთრებად აქვთ ამაკე გუბერნიაში მარტო 120,182 დესიატინა, ან საზნაურო მიწა-წყლის მეათედ ნაწილზე ბევრად ნაკლები. ეკელა დანარჩენ წოდებას კი მარტო 32,937 დესიატინა ჭქონია! თუ ეს სიდატაკეა, ამისთანა სიღატაკე ღმერთმა თქვენს კეთილს ნუ მოუშალოს! ქუთაისის გუბერნიაში კერძო მფლობელობაში ითვლება სულ 1,077,891 დესიატინა. აქედან ყოველგვარ გლეხ-კაცობას საკუთრებად აქვს 262,515 დესიატინა, მაშინ, როდესაც აზნაურობას 815,376 დესიატინა ეკუთვნის! იქნება კინმემ იფიქროს—მამულები კი ითვლება ჩვენზე, მაგრამ რაო, სულ დაგირავებული გვაქვს და, დღეს თუ არა, ხვალ მოვალეს დარჩებაო. ამის შესახებ ზედ-მაწყვნილი ტნობა სულ სხვათვრივ სატავს საქმეს. ტფილისის გუბერნიაში, სადაც აზნაურობის ქონება ბევრად უფრო დაგალიანებულია, კინემ ქუთაისისაში, ტფილისის საზნაურო ბანკში მარტო 443,450 დესიატინა ყოფილა დაგირავებული, ან 31 პროცენტი (მესამედზე ნაკლები), ისიც სულ 2,264,725 მანეთში, ან თითო დესიატინა მარტო ხუთ მანეთად და ორ შაურად! ქუთაისის გუბერნიის აზნაურობას ხომ ამის ნახევარიც კაცი არა აქვს.

აქედან ცხადად სჩანს, რომ აზნაურობის საქმე ისე ერთიანად და უამედოდ წასულა არ არის ბოლიდან ჩვენში, ჯერ-ჯერობით, როგორც საზოგადოდ ფიქრობენ ხოლმე. მის სელში, სხვა ყოველი სასსარი გაწყვეტილიც რომ ჭქონდეს, კიდევ იმყოფება თითქმის მთელი კერძო საკუთრებაში მყოფი მიწა-წყალი ტფილისის გუბერნიისა, და სამი მეოთხედი—ქუთაისისა. ამ ქონების პატრონს ადვილად უნდა შეეძლოს ისე გაწყოს თავისი საქმე, რომ არავისთვის ტკირთად აღარ იყოს მისი ცხოვრება, და არამც თუ თავისი საკუთარი თავის, სხვისაც შველა და ფესზე წამოყენება შეეძლოს!

ყველაზე უმთავრესი და უტყუარი საშუალება, ამ მიზნის მისაღწევი, რასაკვირველია, ისევ და ისევ საკუთარი შრომაა საკუთარ ქონებაზე, საკუთარ მიწა-წყალზე. ეზნაურობის შველის პროგრამა, საზოგადოდ რომ სიტყვას კაცმა, სულ ერთიანად აი ამ შრომაში უნდა მდგომარეობდეს. მართლაც, ეოველი სხვა ღონისძიება საზოგადოდ ყველა ეზნაურს და ეოველთვის კი არ გამოადგება, მარტო ზოგიერთს მათგანს მისცემს დროებით სასესარს. მეურნეობა, მიწის მოკლა კი—მუდმივი და საეოველთაო მათი სასესარია, სანამ ეს მიწა ხელიდან არ წაუვათ, ან, სხვათერიე კთქვა, სანამ მათი უგანსაკუთრებელი დღე არ დადგება. ამ საზოგადო ღონისძიებაზე აქ გრძელი ბაასი უდგილოა. ჩვენი საგანი დღეს ერთი ისეთი კერძო საშუალების ჩვენებაა, რომელსაც ადვილად შეუძლიან წარმატებაში ჩაგდება მიწის პატრონობის საქმე, თუ მთელი ეზნაურობისა არა, ზოგიერთი გვარებისა მაინც. ეს საშუალება დღეს დიდ პატივშია ევროპაში, და რუსეთის იმ გუბერნიებში, საცა ეზნაურობა მართლა რიგიანად აფასებს თავისს მდგომარეობას და დანიშნულებას და თან გონიერადაც ცდილობს პატიოსნად დაიცვას თავისი ნაქები სახელი და ღირსება.

წლეულს (1894) რუსეთის მართებლობას სამი წესდება დაუმტკიცებია კანონმდებელი წესით. პირველი ამ წესდებათაგანი დაბეჭდილია «კანონების და მთავრობის განკარგულების კრებულის» მეთექვსმეტე ნომერში (Собраніе узаконеній и распоряженій правительства), 29 იანვრიდან 1894 წ. ამ წესდების ძალით, ყველა იმ პირთ, ვინც კი ბარონ ფონ-რედენის გვარს ეკუთვნის, ნება ეძლევათ ცალკე საზოგადოება, თუ დაწესებულება (учрежденіе) შეადგინონ «ერთიერთის დახმარებისა». მეორე ამისთანაკე წესდება იმავე გამოცემის № 61-შია გამოცხადებული. მის ძალით ამგვარიკე დაწესებულება ფონ-რენნენკამფის გვარშიაც არსდება. მესამე წესდება, შესახებ ფონ-დერ-ოსტენ-საკენის გვარისა, გამოიცა № 78-ში (5 მაისს 1894). ამ სამივე გვარის წევრებს «ერთიერთის დამხმარებელი დაწესებულება» იმ მიზნით დაუარსებიათ, რომ «ერთმანეთს დაუსადგენენ, ერთიერთშორის ნათესაური კავშირი გაამტკიცონ და საჭიროების დროს ზნეობრივი დახმარება

და ფულით შემწეობა მიაწოდონ ხელ-მოკლე ოჯახ-მეგვარეს» (§1). ამ მიზნით დაწესებულებას სწორედ რომ დიდი და ძვირფასი უფლებები ეძლევა. გვარის ყველა წევრების კრება შეადგენს დაწესებულების «რჩევას» (совѣтъ), რომელსაც სწორედ იმისთანა მნიშვნელობა აქვს დაწესებულებაში, როგორიც «წევრების საზოგადო ყრილობას» აქვს საზოგადო ბანკებში თუ საქციონერო საზოგადოებებში. კანონს ესლა ბირდაბირ გამოუცხადებია (ფონ-რენნენკამფების წესდება, § 15, 2) რომ ამ «რჩევის» «გადაწყვეტილებანი იმ წამშივე ძალაში შედის და მათზე არავითარი სხვაგარი არსად არ მიიღებაო». ამ უფლებასა, და ყოველის შემძლე, რჩევას, ესე იგი მის უმრავლესობას, სება ეძლევა, ვინც უნდა, ოჯახ-მეგვარეთაგანი, მიიღოს დაწესებულების წევრად, და ვინც უნდა—გამორიცხოს. გამოსარიცხველად საჭიროა, რომ გამორიცხული წევრი ან საძსეკვარეს გარდაწყვეტილებით იქნეს დირსებასაცდილი, ანა-და ისეთი საქმის ჩამდენი იყოს, რომელიც «ბატიოსნების წესს ეწინააღმდეგება». მაშინაც საჭიროა, რომ რჩევას მეგვარეების ოთხი მეხუთედი დასწროს, და დამსწრეთაგან გამორიცხვა ორი-მესამედის სმის უმრავლესობით აქნეს მიღებული.

ამ დიდ უფლებას გარდ რჩევისთვის კანონს მიუნდეია, სხვათა შორის, იმის გადაწყვეტაც, თუ რამოდენი შემოსატანი (взносъ) დაედოს კალად წევრებს, საერთო სერმიის შესაგროვებლად, რა ნაირად შეინახოს შეგროვებული ფული, რა და რა მამულები შეიძინოს ამ ფულით დაწესებულებამ, და შეძენილ მამულებს როგორ მოუარონ. დაწესებულებას, მამულების ყიდვის, ან ჩუქებით მიღებას გარდ, ფულების გასესხების ნებაცა აქვს მინიჭებული, თვით გირაოს ქვეშაც. რჩევა, დაწესებულების საქმეების მართველისთვის, მმართველობას ირჩევს საძი წევრისგან. ამ მმართველობის თავმჯდომარეს ნება ეძლევა სასამართლოებში და მოვარობის წინ უფროფლობად დაიცვას საზოგადო ინტერესი, და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, ამ წესდების ძალით გვარს, ან გვარის უმეტესს და უმჯობესს ნაწილს, ერთსა და იმავე დროს სრული იურიდიული პიროვნება ეძლევა (права юридическаго лица), და თან ორგანიზაციაც მიეცემა ისეთი, რომელსაც მისი ბატონობა და წინ-წაძღოლა შეეძლება.

ჩვენშიც ერთობ დიდია იმისთანა გვარების რიცხვი, რომელნიც ესი და ორესი ოჯახისაგან შესდგებიან. უმეტესი ნაწილი ამ ოჯახებისა ნიადაგ საჭიროებს სხვა-და-სხვა გვარ დასმარებას, ნიკოთიერს და უფრო ზნეობრივს. სხვა ყველაფერი რომ დავიეიწყოთ, და დიდრონ თუ ეარეთო ეორიზონტებს თვალი მოვაშოროთ, საერთაერთო-დამსმარებელი დაწესებულება ამ გვარებს საერთო სკოლის გახსნის სახსარს მაინც მისცემს, ბავშვების მოსამზადებლად სოფელშიეე, ესა-და საერთო ექიმს მაინც აქირავებინებს, საერთო ბეჭდის მაინც ამოგნიებს და სხვ. და სხვ. თვითეულს წვერს არც საშველება აქვს, არც მოცალება ქალაქებში იარონ შვილის მიღების სათხოვნელად სასწავლებლებში თუ სამსახურში. მთელ გვარს კი ეოველთვის შეეძლება ისეთი მმართველობის არჩევა და შენახვა (თუნდ ეამაგირითაც (§ 20), რომლის თხოვნას და მეცადინეობას ეოველთვის მეტი გაელენა ექნება, მთავრობის თვალში, ვინემ უცნობი სოფლელისა. ერთი სიტყვით, ეს ესადი დაწესებულება ეზნაურების ცალკე გვარებს ანიჭებს ამსანაგობის, ურთიერთობის, შეერთებული შრომის იარაღს და სიკეთეს. კი მომხმარის ხელში, ეს გასუფთავებულად სასარგებლო საშველებაა.

ჩემი აზვარეშით, სამოტეზე მეტი ამგვარი დაწესებულება შეიძლება შესდგეს ჩვენში და მათი შოქმედება დიდ დასმარებას მისცემს ეზნაურობას. ბევრი რომ არ ჩამოგთვალოთ, საკმაოა დავასახელოთ ისეთი გვარები, როგორც ანაშიძე, ამილახვარი, გაჩნაძე, დადიანი, ერისთავი, თარხნიშვილი, თუმანიშვილი, ლორთქიფანიძე, მიქელაძე, ნიკორაძე, ციციშვილი, წულუკიძე, ჭავჭავაძე და სხვ. და სხვ. სულ ტოტა რომ ვთქვათ, და ეოველი სხვა მსარე საქმისა რომ დავიეიწყოთ, ან მიუღწეველად ჩავთვალოთ, მარტო ერთი ღონის-ძიება დამკვიდრებს ამ დაწესებულების საარგებლობას, თუ მისი ხმარება მაინც შეეისწავლეთ. ისეთი გვარი არ მოიძებნება ჩვენში, რომ რამდენიმე წლის მეცადინეობით იმ ასიოდე თუმნის მოსერხება გაუჭირდეს, რომლითაც, როცა მისი წვერის მამულს მოკლე გაეიდვას მოუნდომებს, იმ მამულის ეიდვა საერთო, მთელი გვარის სახელზე შესაძლებელი გახდება. დღეს მოკლეტ და საადგილ-მამულო ბანკებიც თანდათან უფრო და უფრო ხშირად ჭეიდიან ძვირ-

ფასს მამულებს, სშირად სულ მცირეოდენი ფულის გადუსდელობისთვის. თანდათან უფრო და უფრო გაძრავლდება ამგვარი შემთხვევის რიცხვი. გლეს-კაცობა რომ ყიდულობდეს, ამგვარად გასაყიდს მამულებს, კიდევ არაფერი, ან კარგიც იქნებოდა. საუბედურად, ჩვენ ჯერ არა გვაქვს ისეთი ორგანო ან წეს-წყობილება, რომ გასაყიდი დიდრონი მამული წვრილ ნაწერებად იყოფებოდეს გაყიდვის წინ და გრძელი ვადით გლეხს ნისიად ეძლევოდეს. ამ ნაკლის გამო ჩვენი მიწა-წყალი, გვინდა თუ არა, აზნაურობის ხელიდან, ძალად გაყიდვის დროს, აუცილებლად უცხოელებს უნდა ერგოს. ჯუკმა გაკარდეს, ჯამში ჩაკარდესო, დაუწესებია ხალხის გონიერებას. ის არ ემჯობინება, რომ ყოველ ამგვარ შემთხვევაში მეიდგილად მთელი გვარი გამოდიოდეს, რომელსაც ნაყიდი მამულის მოსაგლელად მმართველობა ეყოლებაr ამრიგად სარეთო მფლობელობასაც შეეჩვევა ჩვენი ქვეყანა, საერთო მოგლასაც და ანგარიშობასაც. სხვა სიტყვებით, ეს მცირედი სკოლა იქნება იმ საზოგადოებრივ წესში გამჩვევი, რომელიც კაცობრიობის მომავალი ცხოვრების დედა-ბოძად უნდა შეიქნეს, და რომელიც ჩვენ, ქართველებს, ეგრე გვეუცხოვება, ეგრე გვაკლია...

—

რასაკვირველია, ეს დაწესებულება მარტო ერთი იმ საშუალებათაგანია, რომლითაც ჩვენს აზნაურობას, საკუთარი ღონისძიებით, თავისი მდგომარეობის გაუჯობესობა შეუძლია. სხვათა შორის ეს ღონისძიებაც გამოსადეგი იქნება მისთვის, ამიტომაც საკვირველ დავინახე მასზე მითითება. მაგრამ ამასთანავე—რაკი ლაპარაკი აზნაურობის შეკლაზე გვაქვს—ის დედა-აზრი უნდა გამოვთქვათ, რომლის დაგიწყება შლის საქმეს, ჩვენში და სხვაგანაც. რაგინდ ჩანებული თვისება ჰქონდეს აზნაურობას, რაგინდ დიდი ღვაწლი მიუძღოდეს, ჩვენს წარსულში, მის ძველებს, რაგინდ მხნე და სულ-გრძელი იყოს ის, ან მამულის მოყვარე, სულ ერთია, აქედან მაინც არ გამოდის, რომ იმას ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში განკერძოებული მდგომარეობა და უპირატესობა უნდა ეკუთვნოდესო, და მით უფრო—დანარჩენი ხალხი მსახურად თუ მორჩილად მიეცესო. ამისთანა მეცადინეობა სულ ფუჭე იქნება ჩვენს დროში, და

არც მთავრობის მხრით შებწუნარება, არც ერისთვის კეთილის მსურველის თვალში. ყოველ ამგვარ წადილს და მეცადინეობას გადუვლელ ღობად უნდა წინააღუდგეს მწერლობაც. არა გვგონია, რომ ჩვენში ამგვარი წადილი ჩნდეს სადმე, საზოგადოდ მაინც. და თუნდ ჩნდეს, ეს წადილი მიუწდომელი ოცნება იქნება, სწორედ ისეთივე, როგორსაც უსაქმო კაუბატონები მიეცემიან ხოლმე: «კაი იქნება, შენმა მზემ, ორიოდ-სამი მილიონი რომ მედოს ჯიბეშიო»! არავითარი რეალური ნიადაგი და საფუძველი არ უდევს, ფეხ ქვეშ, ამგვარ ოცნებას და მეცადინეობას. მასზე მონდომებული დრო—დაკარგული იქნება. აზნაურობამ თავისი დრო და ძალა მარტო იმისთანა წადილს და შრომას, იმისთანა მეცადინეობას და საქმეს უნდა მოანდომოს, რომელიც არ ცერთი ხვა წოდებისათვის დასაკლისი არ იყოს. მისთვის სასიკეთო იქნეს, და სხვებისთვის, თუ სასარგებლო არა, საზიანო მაინც არ გახდეს. მაგალითად, არც ერთს სხვა წოდებას ჩვენი ქვეყნისას ერთ ოთტა ენებს არ მოუტანს, აზნაურობამ რომ იმეცადინოს მთავრობის წინ და მისი შეილების აღსაზრდელად ასალ-ახალი სასწავლებლები გაამართვინოს ჩვენში, ან რუსეთში გამართული სასწავლებლების კარები უფრო უსაკად დაალებინოს, ანა-და უფრო ფართო გზა მიაცემინოს საზელმწიფო სამსახურში—რასაკვირველია, უფრო სამსედროში—აზნაურობის ასალგაზდობისათვის, ანა-და მამულების გამიჯვნა დაჩქარებინოს, ან, კადეგ, კალების სარგებელი შეამტკიცებინოს, და სხვ. და სხვ. და სხვ.. როგორც ყოველ სხვა წოდებას, აზნაურობასაც სრული უფლება აქვს მოსთხოვოს საზელმწიფოს ასპარეზი პატიოსანი შრომით თავის რჩენისა (droit au travail). როგორც წინადაც ვთქვი, როცა აზნაურობა მეაოდ ნაწილს შეადგენს მთელი ერისას, მაშინ მთავრობამ და მწერლობამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს ამ კეებს წოდებას მისცეს პატიოსანი შრომით თავის რჩენის საშუალება. თორემ, ყოველგან ასე ყოფილა, და ჩვენშიაც კიდეკაც იწყება, ეს აზნაურობა უპატიოსნო საშუალებებში დაიწყებს თავის რჩენის ღონისძიების ძებნას: ძარცვა-გლეჯაში, შეოთში, სისხლის-ღვრაში და სხვ. და სხვ. კერც საშუალო წოდება, კერც გლეს კაცობა აიტანს, და კერც ალაგმავს, ამოტელა დამშეული და გაკელურებული აზნაურების ძალა-

დობას, და ეკონომიური წარმოება თუ მოქალაქობრივი წესიერება ერთიანად შეწუდება ჩვენს მსარეში, რასაკვირველია, სალხის საზიანოდ, ქვეყნის სასიერცხოდ. უეჭვოა, რუსის მთავრობა ძლიერია, და ციმბირი თვალ-უწედომელია: ადრე თუ გვიან ეს ორი ძალა წესიერებას დაამყარებს ჩვენში. მაგრამ ნუ თუ ძნელია წინადვე ვიანგარიშოთ რა დაუჯდება ჩვენს სალხს, ჩვენს ეროვნებას ამგვარი წესიერების დამყარება?

აზნაურობას, როგორც ზემოდ დავამტკიცეთ, ჯერ კიდევ საგმაო მამული აქვს სელში, და ბევრი სხვა საშუალებაც უდევს წინ, პატიოსნად და რიგიანად თავის სარჩენად, სხვის დაუსაგრელად. თავისი შველა იმან მარტო საკუთარ შრომაზე უნდა დაამყაროს, თუ თავისი სიკეთე უნდა, თუ ჭსურს, რომ ქვეყნის და ერის წინ ხიადაგ პირ-ნათლად იქნეს და სალხი ეოველთვის მომსრედ, მოძმედ, ეღლის გამწეკვად ჭვანდეს. აზნაურობის ეოველ ამგვარ მეცადინეობას მთავრობა, მწერლობა და სალხი სრული თანაგრძნობით უნდა შეჭეურებდეს, სრულ დასმარებას უნდა აძლევდეს, რადგანაც საეოველთაოდ სასარგებლოა ამ წოდების ისეთ მდგომარეობაში ჩაეენება, რომელშიაც ის სსვის საეიერთოდ ადარ იქნება. ამას თვით მთავრობის და სალხის ინტერესიც მოითხოვს, და არა მარტო აზნაურობისა. ბრმა ან უმეცარია ის, ვინც ვერ ხედავს, რომ არავითარი ეკონომიური წარმატება,—პოლიტიკურს ვიდა ჩვეის—არავითარი განვითარება და მდგომარეობის გაუმჯობესება არ ეღირსება ჩვენს სალხს და ქვეყანას, სანამ აი ამ ძველთაგან დატოვებულ წყლულს არ მოვუკლით და არ მოვირჩენთ. მეცნიერებას ჯერ არ მოუგონია ამოდენა წეულების ერთიანად ამოჭრა და მოცილება. ხელის, ან თვხის მოჭრა შესაძლოა, მაგრამ სხეულის მეათედი ნაწილის მოცილება ერთად ჯერ არც ერთ დოსტაქარს არც კი უცდია, არამც თუ მოუხერხებია. ს�ა სალხის აგებულობისათვის ისტორიას ამგვარი თვისება გამოუეოლებია, იქ ხანგრძლივი მეცადინეობაა საჭირო, და ათასნაირი იარაღი თუ წამალი ამ მძიმე სენისაგან ნელ-ნელა განკურნებისათვის. მარადიც, მარტო აზნაურობის ხანგრძლივი და სისტემატიური შრომის შეჩვევით შესაძლოა ნამდვილი წესიერების და ეკონომიური სამართლიანობის დადგენა ჩვენს ქვეყანაში, და ამ შეჩვევისთვის კი

აუცილებლად საჭიროა აზნაურობის წრეში განათლების და საზოგადოებრივი გრძნობის შეტანა, გაძლიერება.

მარტო აზნაურობის სარგებლობა რომ თხოულობდეს ამეებს, არაფერი ჩემი საქმე იქნებოდა თავი მემტკრია მის საშველად. ერთსელ კიდევ კიტუკი: მწერლობა მისთვის უნდა აქცევდეს ამ საქმეს ჯეროკან ურარდღებას, რომ ამას მთელი ჩვენი ქვეყნის, ყველაზე უფრო, გლეს-კაცობის სარგებლობა მოითხოვს. ცხოვრება მარტო უსუსური ბავშვის თვალშია უკრა-უკრად დაუოფილი, კრავებსა და თიკნებ შუა. მარტო ბავშვს, და არა გონიერს კაცს, მიეტევება სურვილი კრავების უყურაოს და თიკნების კი ზურგი შეაქციოს საამუდამოდ. გონიერი ადამიანის თვალში ცხოვრება ერთობ რთული და გადასლართულია. ვერც ერთ წრეს, ვერც ერთ წოდებას ვერ ემსახურება რიგიანად კაცი, და ნამდვილ სიკეთეს ვერ მოუტანს, თუ ყველა ის ძალები არ გაიცნო და გონიერად არ წარმართოს, რომელითაც ის წოდება შემოზღუდულია ან რომელთ გავლენას ქვეშაც ის იმყოფება. წოდებათა ერთმანეთში აშლა და შეტაკება ერთობ ადვილი საქმეა, განსაკუთრებით სასელდასელო სარბ-რეგვენებისათვის, როგორც ადვილია ნაჯახის გადაგდება ტბაში. აქ არც სასასხელოა რამ, არც საკრაბასო. სასასხელო, ჩვენს მდგომარეობაში, მათი ჩართვაა ერთმანეთში, მათი ინტერესების წესიერი და სამართლიანი შეუღლებით და დაკმაყოფილებით... საუბედურად, ამ საგანზე ცოტა ვინ ფიქრობს და ზრუნავს. ჩვენში, განსაკუთრებით განათლებულ საზოგადოებაში, ის შემცდარი აზრი მეფობს, ვითომ აზნაურობაზე საჯა და ცდა «ბოდნა» რადიაო. ესლა «ბოდნა», თურმე, ქარხნების მუშებზე ზრუნვა ყოფილა. წარმოიდგინეთ ჩვენი უბედურება: ქარხნების მუშებზე უნდა ვიზრუნოთ, და არც ქარხნები გვაბადია, არც ქარხნის მუშები! ეს უბედურება სწორედ იმას უდრის, როგორც ბოქაულების ტოლებს ემართებათ სოდმე, სოფლებში. ამოიკითხავენ, საბრალოები, «ნიკის» მოდების აღწერილობაში: „платье изъ гофрированнаго крепона цвѣта даліи“ და სხვ., და არც ის იციან ეს კრეპონი რაა, არც ის, სად იშოვნონ, ან რით გაარჩიონ гофрированный—негофрированный-საგან, ან ეს უცნაური ფერი „цвѣта даліи“—რა ფერია, მოუხ-

დება ის მაო შაგეგრემან ან თეთრგვრემან სახეს თუ არა, და სხვ. ესეები არაფერი გაეგებათ, მაგრამ, მაინც, დღე-და-ღამ, ღვიძავთ, თუ სძინავთ, სულ гофрированный крепонъ цвѣта даліи ებლანდებათ თვალ-წინ. სანამ, ამგვარად, ჩვენც ამ უარსებო ქარხნის მუშებზე კანთსვეთ ტრემლს, და სხვა უმოდნო რაძეზე ზრუნვას ვთაკილობთ, ჩვენ საკუთარს მშრომელს, მიწის მუშას, ან მეაგურეს, ან მეკრამიტეს, ან ხეურეს, ან მწყედელს, ან დურგალს—ესენიც ხომ гофрированный крепонъ... უკეცრავად, სხვა-და-სხვა ქარხნების მუშები არიან—ღუკმა პური ვერ ჩაუდვია პირში ისე, რომ კინმემ ძალადობით არ გამოსტეტოს... კიდრე ჩვენ «მოდნა» საგნებს ვეძებთ უცხოეთში, შინ «უმოდნო» სარჩობელა აგვმართია, როგორც ერთად-ერთი ღონისძება ჩვენებური საზოგადოებრივი კითხვების გარჩევისა, ჩვენი «უმოდნო» წელულის გასკურნებისა...

იქნება სიფუძვლიანი და გაძოსადეგი არ იყოს ის საშუალება, რომელსაც საზოგადოებას ვურჩევთ. ადვილად შესაძლოა, რომ სხვამ უფრო მეტი, უფრო ძლიერი საშუალება მოანახოს. მჯობინეს მჯობინი ღმერთმა ნურასოდეს ნუ მოაკლოს ჩვენს ქვეყანას. აი, ბრძოლა, ბაასი ამ საშუალებებზე უნდა იქონიოს ყველამ, ვისაც კი თავლი ან ზეგა უჭრის და ტოდნა წინ-უძღვის .. იმას ფიქრს კი ნურვინ შეუშვებს თავში—რადგანაც მისი დამტკიცება ყოველად შეუძლებელია—ვითომ აზნაურობის საქმე ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი საერო, სოციალური კითხვა არ შეადგენდეს. ამიტომაც ამ კითხვის ახსნა ჩვენის ცხოვრების ერთს უდიდეს საჭიროებად უნდა ითვლებოდეს. საითკენაც უნდა მიიხედოს ქართველობამ, თავისი ბედის გასაუმჯობესებლად, რა გზასაც უნდა დაადგეს, სულერთია, ყოველგან, ყოველ ნაბიჯზე მას ეს სფინქსი დასდგება, მისი საშიში შეკითხვით: «ამსენ, თორემ შთანგთქამო!».

ნ. ნიკოლაძე

უცხოეთის მიმოხილვა

იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან

— ნეტა რა მეჩინეთება, იფიქრებს მკითხველი, სად იაპონია, და სად ჩვენო? აბა რა მენაღვლება, თუ სადღაც, ცხრა-ასს მთას გადაღმა, რაღაც ომი ამტყდარაო?

რაკი ამ ბრძოლას მთელმა განათლებულმა ქვეყანამ მიაქცია ყურადღება, ნურც შენ დაიზარებ, ჩემო კეთილო, მისი ამბავი და მნიშვნელობა გამოიკვლიო. დარწმუნებული ბრძანდებოდე, ტყუილა-უბრალოდ როდი შეაჩერდებოდა ქვეყანა ამ ბრძოლას, თუ არ ჰგრძნობდეს, რომ იმას მის საკუთარ ბედზედაც პირდაპირი გავლენა ექნება, ადრე თუ გვიან. ქვეყანა მოცლილი როდია, რომ უმნიშვნელო საქმეებზე სჯიდეს... ნურც იმას იფიქრებ, ვითომ მართლა მოშორებული იყოს შენზე ან ჩვენზე ამ ომის ასპარეზი, **კორეა**. ეს სამეფო რუსეთის მოსამზღვრე გახლავს: მასა და რუსეთ შუა ერთი პაწია მდინარე, **ტუმენ-წიანის** მეტი არა მოიძიება-რა. ყველა დარწმუნებულია, რომ რუსეთს ამ სამეფოში დიდი ინტერესი აქვს, მერე ისეთი, რომლის დაცვა იქნება უომოდ არც კი მოხერხდესო. და როგორც ჩვენს მხარეში რუსეთის ვისმესთან ბრძოლა ყოველთვის ციმბირის ბედზე და ცხოვრებაზე ღრმა კვალს აჩნევს, ისე ციმბირის სამზღვრებზე მისი უცხოეთთან შეტაკება, უეჭველია, ჩვენზედაც დიდ გავლენას იქონიებს. თუ კი იმისთანა უდავო და უბრალო საქმეს, როგორც ციმბირის რკინის-გზის კეთებაა, ის შედეგი მოჰყვა ჩვენთვის, რომ თითქო ყოველ-

გვარი შენება ათი წლის ვადით შეწყდა და გადიდო ჩვენს მხარეში, ნუ თუ მოსალოდნელი არ უნდა იყოს, რომ იმ მხარეში გამართულ ომს უფრო პირდაპირი, უფრო ძლიერი გავლენა ექნება ჩვენზე?.. აი, ამიტომაც სასარგებლოა გავიგოთ რა დავიდარაბაა ატეხილი იმ მხარეში და რას ნიშნავს იქიდან მიღებული ამბები?

ციმბირს სამხრეთით, და რუსის საშუალო აზიას—აღმოსავლეთით, ერთი უზარმაზარი, თვალ-უწვდენელი ქვეყანა აკრავს, **ჩინეთი**. აუარებელი, უთვალავი ხალხი ცხოვრობს ამ ქვეყანაში, თითქმის **ოთხჯერ** უმრავლესი, ვიდრე მთელი რუსეთის მცხოვრებლების რიცხვი. უთვალავი მეთქი, რადგანაც მისი ნამდვილი რაოდენობა არავინ იცის. საზოგადოდ კი ის ანგარიშია მიღებული, ვითომ ჩინეთში ოთხასი მილიონი ადამიანი ცხოვრობსო, ან, თითქმის, ორჯელ უფრო მეტი, ვიდრე მთელს ევროპაში. ჩინეთი თორმეტი პროვინციისაგან შესდგება, რომელთაგან თვითეული მთელ გერმანიას ან საფრანგეთს უდრის სივრცითაც და მცხოვრებლების რიცხვითაც.

ეს უზარ-მაზარი სახელმწიფო, თურმე, დღესაც იმ წესით და წყობილებით ცხოვრობს, იმ იარაღით მუშაობს, იმ ზნეს და აზრებს ადგია, როგორც ამ ასი, ათასი, ან ათი-ათასი წლის წინად. ხალხი მშვენიერი თვისებისაა: მეურნე, მშრომელი, წყნარი, მორჩილი, უჩხუბარი, უწყინარი, სხვა ყველა ხალხებზე უფრო ზომიერი სმა და ჭამაში, და სხვ. და სხვ. საუბედუროდ, ამ ჩინებულ ხალხს თითქმის არავითარი მმართველობა და მართებლობა არ ჰყოლია თურმე. თვითეულ მხარეს ამ ვითომ-სახელმწიფოსას მართავს „უმფროსი“, მანდარინი, რომლის დანიშნულება მარტო ბეგრის და ბაჟის მოკრეფა. არავინ იცის, ვინ რამდენს იხდის, ვინ რამდენს ჰბოჭავს, არც ის, თუ სად მიდის შეგროვებული გადასახადი. დაუჯერებელი საქმეა, თუმცა ეს სრული ჭეშმარიტება გახლავს, რომ ჩინეთის მმართველობას, აი ამ ოთხასი მილიონი ადამიანის წარმომადგენელს, სულ მარტო **ასი მილიონი ფრანკი** შემოუდის წელიწადში, ისიც უფრო ზღვის-პირა საბაჟოებიდან. თითქმის არავითარი კავშირი არ

არსებობს არც სხვა-და-სხვა პროვინციებ შუა, არც მათსა და ტახტ შუა. თვითეული ქოროზი (намѣстникъ) თითქმის სრულიად დამოუკიდებელი მთავარია თავისი პროვინციისა. ჩინეთის იმპერატორის გავლენა და უფლება უფრო ფიქტიეურია, ვინემ ნამდვილი.

უწინდელ დროში ჩინეთი ყველას მართლა ძლიერ და შეურყეველ სამეფოდ მიაჩნდა. 1859—1860-ში ინგლისისა და საფრანგეთის შეერთებულმა ფლოტმა მოულოდნელად მიაყენა ჯარი ჩინეთის სატახტო ქალაქს პე-კინგს, რომელიც მარტო სამასი ვერსით არის დაშორებული ზღვის ნაპირისაგან. ევროპელმა ჯარმა მეფის სასახლეც დაიჭირა და შიგ მსწრაფლად დაადგინა ჩინეთის მთავრობასთან მორიგების პირობები, რომ მსწრაფლადვე დაბრუნება შესძლებოდა. მაშინ ყველას ეგონა, რომ მარტო **მოუღოდნელობის** წყალობით გაიმარჯვა ევროპამაო, თორემ ჩინეთს რომ სცოდნოდა, ან დასცლოდა, ჯარსა ან ხალხს მილიონობით შეჰკრებდა და თავს დაასხამდა ევროპელებსაო. ოც და ხუთი წლის შემდეგ საფრანგეთმა დაიჭირა ჩინეთის სამხრეთ სამზღვარზე **ტონკინგი**, ცალკე სამთავრო, რომელშიაც ოციოდე მილიონი ხალხი ცხოვრობს, და რომელიც ჩინეთს ექვემდებარებოდა უწინ. ჩინეთმა საფრანგეთს წინააღმდეგობა გაუწია და ომიც გაუმართა. მაგრამ საფრანგეთს დიდი ძალის ხმარება არც კი დასჭირვებია მის მოსაგერებლად და დასამშვიდებლად. რამდენიმე ბატალიონი ეყო ჩინეთის ჯარის დასამარცხებლად და ოცმილიონიანი სამთავროს შესაძენად. არც ამ გარემოებამ აუხილა ქვეყანას თვალი ჩინეთის სისუსტის შესახებ. ყველას ეგონა, ტონკინგი (ან ტონკინი) ალბად დიდი ხანია მოშორებული და გამოტირებული ჰქონია ჩინეთს, ასე ადვილად რომ შეუშვა ხელიო.

ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ხელს აფარებდა ჩინეთს ინგლისი, რომლის მწერლობა და დიპლომატია განგებ აზვიადებდა ჩინეთის სახელ-დიდებას. მაგრამ ცოტ-ცოტა და ნელ-ნელა ჩინეთი შეისწავლეს მისმა მახლობელმა მეზობლებმა: რუსეთმა და საფრანგეთმა. მათმა მეცნიერებმა და აფი-

ცრებმა გადიარეს კიდით-კიდემდე ეს თვალ-უწვდენელი სამეფო. მათი აღწერილობიდან ის საზოგადო აზრი გამოჰყავს კაცს, რომ ჩინეთი მართლა უთვალავი ხალხითაა დასახლებული, რომ მასში ტევა აღარაა, მაგრამ, თან, სრულიად გაუწყობელი, უთავბოლო, უწესო ქვეყანაა ეს სამეფო. მას არც ჯარი ჰყავს, არც გზები აქვს, არც რიგი, არც რამე აცხია იმ სიკეთისა, რომელიც კაცობრიობისთვის საზოგადო ცხოვრებას და განათლებას მიუნიჭებია. ეს ურიცხვი ხალხი, ეს უზარ-მაზარი სამეფო უფრო ცხვრის ფარას ემსგავსება, ვინემ ადამიანების გროვასო. აქედან, რასაკვირველია, ნელ-ნელა ის აზრი დაიბადა და გავრცელდა მეზობლებში, რომ ეს სამეფო მკვდარი ან მომაკვდავი ყოფილაო, და მისი ნაშთიდან ჩვენთვის აბა რა და რომელია უმჯობესიო, და ან რომელი გვერგებაო.

ამგვარად ჩინეთი აზიაში სწორედ იმნაირსავე „ავადმყოფს“ წარმოგვიდგენს, და იმნაირსავე „აღმოსავლეთურ კითხვას“ შეადგენს, როგორც ევროპაში—ოსმალეთი.

შედარების სრული მსგავსებისათვის საჭიროა ცოტაოდენად საგანს გადავუხვიოთ.

რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, რომელსაც დედა-მიწაზე, ინგლისს გარდა, ტოლი არა ჰყავს, და რომელსაც, ინგლისივით, მეექვსედი ნაწილი უჭირავს ხმელეთისა. საუბედურად ეს დიდი და ძლიერი სამეფო ყოველმხრივ ხელ-შეკრულია იმ გარემოებით, რომ იმას არსაით გზა არა აქვს „**გაშლილ ზღვისაკენ**“. აიღეთ მისი რუკა, თვალი შემოავლეთ ზედ მის საზღვრებს, და ნახავთ, რომ აღმოსავლეთით მის მოსაზღვრე **იაპონიის ზღვას** მარტო ერთი ხეირიანი სრუტე აქვს გაშლილ ოკეანესკენ, იაპონიას და კორეიას შუა, და ეს სრუტეც ჩინეთს და იაპონიას უჭირავს. სამხრეთით მის მოსაზღვრე შავი ზღვიდან მარტო ერთი სრუტე მოიძიება, ბოსფორი (სტამბოლთან), და ამისი კლიტეც სხვას, ოსმალეთს, აბარია. დასავლეთით, ბალტიის ზღვის კარი და კლიტე დანიას, შვეციას და გერმანიას აქვთ გაკავებული. მარტო ერთ მის ზღვას, თეთრ ზღვას, არ ადევს ვიწრო კლიტე-ბოლქომი: ის ფართოდ

ერთვის ჩრდილოეთის ოკეანეს. მაგრამ თვით ეს ზღვა და ოკეანე ერთიანად შეკრულია ყინულით წელიწადში ცხრა ან ათი თვის განმავლობაში. ამას გარდა, თვით თეთრი ზღვა იმდენად მოშორებულია რუსეთის უმეტეს ნაწილზე, რომ მით ამ ორი-სამი თვის განმავლობაშიაც მარტო ჩრდილოეთის უდაბნოს მცირედი ნაწილი თუ ისარგებლებს, მეტი ვერავინ. მაშასადამე, როგორც ხმელეთით, ისე ზღვითაც, რუსეთს ერთი ფუთის არც გაგზავნა, არც მიღება არ შეუძლიან უიმისოდ, რომ გზაზე უცხო სახელმწიფო არ დაუხვდეს, ხარკის ამღები მშვიდობიანობის დროს და გზის შემკვრელი ომიანობისას. ამის მიზეზით რუსეთის ეკონომიური ცხოვრება და რუსეთის აღებ-მიცემობა ჯერაც უცხოეთის მძლავრ გავლენის ქვეშ, თითქმის უცხოეთის მონებაში, იმყოფება. რუსეთი უცხოეთის ხარკის მძლეველი იქნება, სანამ საკუთარ კარს არ გაიხსნის, საკუთარ გზას არ იშოვნის გაშლილ ოკეანესკენ, ისე, რომ პირდაპირი და დამოუკიდებელი აღებ-მიცემობა გამართოს, ვისთანაც ჰსურს და ხელს მისცემს. დღეს კი რაც იმას თავის საკვებად აზიიდან თუ ამერიკიდან საქონელი უნდა მოსდიოდეს (მაგალითად კოლონიური საქონელი, ურომლოდაც გაძლება არ შეუძლიან), სხვისი საშუალებით ან შუა-მდგომლობით მოსდის, და არა პირდაპირ. რუსეთი ამ საქონელში შუა-მდგომელ ევროპას თითქმის იმოდენა ხარკს უხდის, თუ არა უმეტესს, რამდენიც თვით ეს საქონელი ღირს... ეს დამოკიდებულება ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია რუსეთის სიღარიბისა. ყოვლად შეუძლებელია, რომ ხეირიან ეკონომიურ მდგომარეობას ეღირსოს ის სახელმწიფო, რომელიც ამგვარად უგზო-უკვლოა.

ეს ნაკლი ჩინებულად ესმოდა ყველა შორ-გამჭვრეტს მეთაურებს რუსეთის ისტორიისას, ივანე-მრისხანეს, პეტრე-დიდს, ეკატერინა მეორეს, განსაკთრებით პოტემკინს. მთელი რუსეთის ისტორიას, ამ სამი უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში, ნათლად აჩნევია ეს ერთი უმთავრესი ხასიათი: ნიადაგი ცდა ზღვის-პირების და ზღვის სრუტეების შეძენისა თუ დაჭერისა. ეს ისეთი ბუნებითი საჭიროებაა, რომ თითქმის ინსტიქტიურად

მიიზიდვის რუსეთი ამ მიზნისკენ. მისი ათასი უთავ-ბოლო ომებიდან, განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნეში, და ზოგი ეხლანდელშიაც, მარტო ის ომები გამოვიდა სახეირო და ერის მეხსიერებაში ჩაიბეჭდა, რომელნიც აი ამ ისტორიულ და ეკონომიურ მოთხოვნილების სახელით იყვნენ გამოწვეულნი.

დღეს რუსეთი ციმბირის წყობას შეუდგა. ის იქ ეხლა რკინის გზას აკეთებს, იმისთანას, რომელმაც მთელი ციმბირი უნდა გადასჭრას კიდით-კიდემდე, ათი-ათასი ვერსის სიგრძეზე. უეჭველია, რომ ეს რკინის გზა, მისი გათავების შემდეგვე, გავლენას იქონიებს არამც თუ მარტო ციმბირის ეკონომიურ მდგომარეობაზე, არამედ თვით შორე-აღმოსავლეთის მისელა-მოსვლაზე და აღებ-მიცემობაზედაც. დიდ მოძრაობას მოახდენს ეს რკინის გზა განსაკუთრებით მით, რომ ევროპას დაუახლოვებს მყუდრო ოკეანეს ნაპირებს, მათ შორის იაპონიას და ჩინეთსაც. დღეს თუ მთელი თვე უნდება კაცი, ან წიგნი, ან საქონელი, ლონდონიდან ჩინეთში მისვლას, ციმბირის რკინის გზის დასრულების შემდეგ ათი, თორმეტი დღის მეტი როდი-ღა დასჭირდება... ამასთანავე რუსეთს, ამ გზის მეოხებით, სრული საშუალება ეძლევა თვალ-უწვდენელი ციმბირის ნაყოფიერი მინდვრები, აქამდინ უხალხო და უკულტურო, რიგიანად დაასახლოს, თუნდ ჩინელი ხალხით, და აყვავებული მრეწველობის ასპარეზად აქციოს. შორე-აღმოსავლეთის ას-ას მილიონიანი სახელმწიფოები ჩინებული და სამყოფი გამსაღებელი იქნებიან ამ მრეწველობის ნაწარმოებისა...

ეს რკინის გზა თავდება (ან იწყება) ვლადივოსტოკს, ნავთ-საყუდარს იაპონიის ზღვაზე, კორეიას საზღვრის ახლო. იაპონიის ზღვას დასავლეთით კორეია აკრავს, და აღმოსავლეთით—იაპონია. როგორც წელან მოგახსენეთ, ამ ზღვაზე მარტო ერთი რიგიანი სრუტეა—ის ადგილი, საცა, სამხრეთით, კორეია და იაპონია ერთმანეთს უახლოვდებიან. ამ კარს „ბრაუტონის სრუტე“ ჰქვია. იაპონიის ზღვას ეს კარი სწორედ იმ რიგადვე ჰკეტავს, როგორც გიბრალტარი—ხმელთაშუა ზღვას, ან ბოსფორი—შავ-ზღვას. ამ გასავალში, როგორც

ყოველგან დედა-მიწაზე, საცა კი მოხერხებული კარი ან საკეტი აქვს რომელიმე ზღვას, ინგლისს ერთი ჩინებული ნავთ-საყუდარი ჰქონდა აჩენილი და დაჭერილი, საიდანაც ადვილად შეეძლო, როცა მოინდომებდა, ერთიანად დაეკეტა იაპონიის ზღვა, ისე რომ შიგ, უმისოდ, შესვლა ვერავის შეძლებოდეს. ამ ნავთ-საყუდარს სახელად „პორტ-ჰამილტონი“ დაერქვა. 1884-ში, როცა რუსეთსა და ინგლისს შუა დავიდარაბა იყო ატეხილი ავგანისტანის თაობაზე, რუსეთმა ინგლისს ჰამილტონის-პორტის დაცლა და მიტოვება მოსთხოვა. თქვენი იქ ყოფნა გზას მიკრავს ჩემი „პრიმორსკი ობლასტისთვისო“. ინგლისმა (მაშინ მის საქმეებს გლადსტონი მართვიდა) სამაგიეროდ მოსთხოვა—პირობა დამიდეგი რომ კორეიას ხელი არ ახლოო, მაშინ მე ჩემ პორტს დავცლიო. ეს ცოტათი იმას წააგავდა, „კურტანი კურტანზე არ დაადგაო“. თორემ უწინ რუსეთმა თავის-თავად დაუთმო იაპონიას ჩრდილოეთის სრუტეები თავისი ოხოტსკის ზღვიდან გაშლილ ოკეანესკენ, როცა სახალინის კუნძულის ნახევარში ყველა თავისი **კურილის კუნძულები** (Курильскіе острова) გაუცვალა. ისიც კი მართალია, რომ ეს სრუტეები, როგორც ყველა ჩრდილოეთის სრუტეები იაპონიის ზღვიდან, შვიდი, რვა და ცხრა თვის განმავლობაში გაყინული და უხმარია გემებისთვის.

რაკი იაპონიის ზღვიდან, ციმბირის აღებ-მიცემობას და სამხედრო ფლოტს საკუთარი სრუტე არა აქვს, ბევრად ემჯობინებოდა ციმბირის რკინის გზის გაყვანის დაწყებამდე ეშოვათ ეს სრუტე. მაშინ ამას უფრო ადვილად, უფრო იაფად დაუთმობდნენ რუსეთს, ვიდრე ეხლა, როცა რკინის გზის გაყვანას არ შეეძლო ინგლისა არ გაეფრთხილებინა. რკინის გზა რუსეთს ადვილ საშუალებას მისცემს, რამდენიც ჰსურს, იმდენი ჯარი და იარაღი მოზიდოს რუსეთიდან ვლადივოსტოკს. აქ მომავალში რუსეთი, უეჭველია, დიდ ფლოტს გაიმართავს. თუ იმას მაშინ თავისუფალი გასავალი გზა ექნა იაპონიის ზღვიდან გაშლილ ოკეანესკენ, ადვილად მოუხერხდება საკუთარი აღებ-მიცემობაც გაიმართოს ჩინეთთან და აღმოსავლეთთან, და

თან, როცა მოინდომებს, ჯარიც დაასხას ინგლისის სამფლობელოს ინდოეთში და ავსტრალიაში. აქედან ცხადია, რომ ინგლისმა ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რაც კი მოუხერხდება, იაპონიის ზღვის სრუტეს შესაკრავად. თუ ეს სრუტე, ან ერთი მისი მხარე, რუსეთის ხელში ჩავარდა, ცხადია, რომ რუსეთი ინგლისის მზრუნველობიდან თავს იხსნის, ვაჭრობის და ნაოსნობის საქმეებში, და მის მეტოქედ გახდება მარტო შორეა-აღმოსავლეთში კი არა, ინდოეთის ოკეანეშიაც.

იაპონიის ზღვის სრუტე ერთის მხრით იაპონიას უჭირავს, მეორეს მხრით კორეიას, რომელიც ცალკე სამეფოა, ჩინეთის იმპერატორის ვითომ ხელ-ქვეითი. კორეია იაპონიის ზღვასა ჰყოფს ყვითელი ზღვიდან. ამ ორ ზღვას შუა იმას უკავია სიგრძეზე რვა-ასი ვერსი და სიგანით კი—ორასი ვერსი. სამი მხრით იმას, 1,800 ვერსის სიგრძეზე, ზღვები უვლის; ხმელეთს კი მარტო ორასიოდე ვერსის სიგრძეზე აკრავს ეს ნახევარ-კუნძული. ამ სივრცეზე კორეიაში თორმეტი მილიონი ხალხი ცხოვრობს, ან თითქმის ორჯელ უფრო მეტი, ვიდრე მთელს კავკასიაში. საუბედუროდ, ეს ხალხი და ქვეყანა სწორედ ისე გაუწყობელი და ჩამოქვეითებულია, როგორც ჩინეთი, თუ უფრო მეტად არა. თითქმის სრულიად ველურ მდგომარეობაში იმყოფება მისი უმეცარი და ღატაკი ხალხი. მაშასადამე, ამ სამთავროს ბედიც ისე გადაწყვეტილია, როგორც ჩინეთისაც: არავინ იცის ჯერ, ვინ დაიჭერს, დაიმონებს და შთანთქავს, მაგრამ ის კი ყველასთვის ცხადი და უდავოა, რომ ვისმეს ულუფად უნდა ერგოს... წინა კაცი უკანისათვის, უწინდელი შეხედულებით, წინამძღოლი, გზის განმანათლებელი, დამხმარი უნდა ყოფილიყო. ეხლა კი დაწინაურებული ერები იმ მოძღვრებას დასდგომიან, რომ დაწინაურებულმა უკან ჩამორჩენილი უნდა დაიმონოს და ხრასო... ლრონი მეფობენ. ცუდი მოძღვრებაა ეს მოძღვრება, უსვინიდისო, ველური; მაგრამ ლანძღვით და ტირილით მის ძალას ვერავინ შემუსრავს. მისი მოსაგერებელი მარტო ერთი საშუალებაა: ვერიდოთ უკან ჩამორჩენას, დავწინაურდეთ... და რაკი კორეია უკან ჩამორჩენილია,

ყველასთვის აშკარაა დღეს, რომ იაპონიის ზღვის გასახსნელი ან დასაკეტი კარი და კლიტე მარტო კორეიაში უნდა იშოვნოს ან რუსეთმა, ან ინგლისმა. ვინ ჩაიგდებს ხელში ამ კარსა და კლიტეს? გაიხსნის, თუ არა, რუსეთი გზას გაშლილ ოკეანესკენ, ან მოახერხებს, თუ არა, ინგლისი მაგარი რაზა-კოჭაკი დაადოს იმ ერთად-ერთს სრუტეს იაპონიის ზღვის, რომელიც რუსეთის ფლოტს წინ უძევს კორეიას სამხრეთის წვერთან? ვინ იცის.

მარტო კორეიას მხრით, მარტო კორეიაში, შეიძლება-მეთქი კარისა და გზის შეძენა თუ შეკვრა. მართლაც, ბრაუტონის სრუტეს ერთი კიდე კორეიას ეკუთვნის და მეორე კი —იაპონიას, რომელიც ისე დაწინაურდა ამ უკანასკნელი ოც და ხუთი წლის განმავლობაში, რომ მას აგრე ადვილად ვერც ერთი ევროპის სახელმწიფო ვეღარ შეეტაკება, და ძალით ვეღარაფერს წაართმევს. ეს სახელმწიფო ერთობ დიდ და ნათელს მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, თუ რა ადვილი ყოფილა თითქმის სრულიად ველური და უკან-ჩამორჩენილი ხალხისთვის სწავლით და რიგიანი წესით წელში გამართვა და ძალის შეძენა, როცა მას გონიერი მთავრობა ჰყავს და ბეჯითი სურვილი აქვს რიგიანი ადგილი დაიკავოს სხვა ერთა და სამეფოებ შუა...

ამ ოც და ათი წლის წინად, 1863-ში, მთელი იაპონია სწორედ იმგვარსავე ველურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიაც ჩინეთი და კორეია დღემდინაც არიან ჩაფლული. ამ წელიწადში იაპონიას, სხვა-და-სხვა ძარცვისა და ველური მოქმედების გამო, ინგლისის და საფრანგეთის ფლოტი თავს დაესხა, მძარცველების დასასჯელად. ევროპულ ზარბაზნებს და ჯარს, რასაკვირველია, ვერაფერი დაუდგა წინ. ევროპელებმა მთავრობას და დამნაშავეებს ჯარიმა გადაახდევინეს და თავი დაანებეს.— ამ გარემოებამ მთელ ქვეყანას დაანახვა იაპონიის სიძაბუნე. მაგრამ თვითონ ხალხი, მეტად მეცადინე, მარჯვე, გამბედავი და თავმოყვარე, ერთიანად შეიძრა, როცა სხვისი უპირატესობა და თავისი უკან ჩამორჩენა იგრძნო და დაინახა. უნდა ვიცოდეთ, რომ

იაპონია სულ ერთიანად მარტო კუნძულებიდან შესდგება სულ 3,850 კუნძული ითვლება იაპონიაში, და ამ კუნძულებზე ორმოციოდე მილიონი ხალხი ცხოვრობს, რომლის სისხლი ნარევია მონგოლის და ჩინური მოდგმისა. ამ კუნძულებს ერთმანეთში ჩინეთთან ძველი ხნიდან დიდი აღებ-მიცემობა ჰქონდათ გამართული, ისე რომ მრეწველობა და ვაჭრობა იაპონიაში გაჩაღებული იყო. პოლიტიკური წყობილება ამ ქვეყნისა ერთობ დაძველებული ჯ დასუსტებული ყოფილა. მის მეფეს მიკადოს—რომლის უფლება ძველ დროში სასულიეროც ყოფილა ჯ სამხედროც, რომ ვეღარ შესძლებია ამოდენა გაცალ-ცალკევებული კუნძულების მართვა და დამორჩილება, თავისი სამხედრო უფლება გადაუცია, მეთორმეტე საუკუნეში, იმისი მოწინააღმდეგე თავადისთვის, რომელიც დაჰპირებია—ყველა სხვა შენს ურჩ თავადებს დავიმორჩილებ, და შენ სასულიერო მეფე იყავი მთელი იაპონიისაო და მე სამხედრო და სამოქალაქო აღმსრულებელი გავხდები შენი ბრძანებისაო. ამ თავადს, სახელად **იორიტომოს**, მაშინ **სიოგუნას, ან ტაიკუნას,** ღირსება მიეცა. მასაქედ იაპონიაში, 1863-მდე, ორი მეფე იჯდა ტახტზე, სხვა-და-სხვა ქალაქი. ერთი, სიოგუნი თუ ტაიკუნი, სამოქალაქო და სამხედრო მმართველი იყო მთელი იაპონიისა, და მეორე, მიკადო, მარტო სასულიერო საქმეებს მართავდა, თუმც უმფროს იმპერატორად კი ითვლებოდა. ორივე ამ მეფის უფლება იმნაირადვე ფიქტივური იყო, როგორც დღეს ჩინეთის იმპერატორის უფლებაა. თვითეული კუნძულზე, ან კუნძულის ნაწილზე ნამდვილი ბრძანებლობა თავადებს, **და მაოსებს,** ჰქონდათ. ესენი არც კი ემორჩილებოდნენ მეფეებს, და ხალხს, რამდენიც უნდოდათ, იმდენად ავიწროებდნენ. განსაკუთრებით ნაწვალები იყვნენ მათგან ვაჭრები და მოხელეები: თვითეული დაიძიოსი თავის საბრძანებლოში რაც უნდოდა იმ ბაჟს და გადასახადს ადებდა ხელოსნებს, მრეწველებს და ვაჭრებს.

ევროპელები რომ შინისკენ გაბრუნდენ, ჯარიმით დატვირთულები, ხალხში მოძრაობა და აჯანყება მოხდა. მაისის თვეში 1863 გაჭირვებულმა ტაიკუნმა **სტოტსბაშმა** მიკადოს

სთხოვა—დაიბარე ყველა დაიძიოსები, ერთად მოვიაზროთ და გადავწყვიტოთ, როგორ მოვეწყოთ, რომ ამისთანა ლაფი მეორე ჯერ აღარ დაგვესხასო. ასე მართვა აღარ შეიძლება ქვეყნისო, უნდა მთავრობას და მმართველს ძალა ჰქონდეს, შემოსავალი, უფლება და სხვ. თორემ არც წესი იქნება შინაგანი, არც გარეგანი მშვიდობიანობა დაიცვებაო. მიკადომ, სახელად **ᲛᲣᲬᲣᲙᲘᲢᲝᲛ**, დაიბარა ყველა დაიძიოსები. ამ უკანასკნელთა კრებამ, ჯიბრზე, მიკადოს ძალა დაატანა და ბრძანება გამოაცემინა, რომ დღეის იქით ტაიკუნობა ერთიანად მოისპოსო. სამეფო უფლება, როგორც სასულიერო, ისე სამხედრო და სამოქალაქო, ერთიანად მიკადოს ჩაჰბარდა. იმას გვერდით ამოუდგნენ ნიჭიერი დამხმარენი **ᲙᲝᲓᲘᲡ**, **ᲡᲐᲬᲣᲛᲐ**, **ᲜᲐᲒᲝᲚᲝ** და სხვ. და სხვ. ამ მიკადომ თითქმის ისივე ადგილი დაიჭირა იაპონიის ისტორიაში, როგორიც რუსეთისაში პეტრე დიდს უჭერია. რამდენიმე წლის განმავლობაში იმან ერთიანად შესცვალა მთელი შინაგანი წყობილება იაპონიის სახელმწიფოსი. არც აცივა, არც აცხელა, პეტრე დიდისავით, აიღო და ერთიანად, ერთბაშად გადმოიღო ევროპის წესი, კანონი, წყობილება, იარაღი, ტანსაცმელი და სხვ. თან, რაც პეტრეს არ მოუქმედია, ისიც კი გაბედა: პარლამენტი დააარსა იაპონიაში, სხვა-და-სხვა კუნძულების წარმომადგენლებისაგან. ამასთან მეორე საქმეც დაიწყო, აგრედვე პეტრესგან მიტოვებული. დაიძიოსების უფლება მოსპო და ადგილ-მამულები სახაზინოდ ჩარიცხა. სამაგიეროდ დაიძიოსებს ზომიერი პენსია დაუნიშნა.

რაღა თქმა უნდა, ადვილი საქმე როჯი იყო ეს ცვლილება, არც ერთბაშად მიუღია ის იაპონელ ხალხს. 1863-შივე მოხდა პირველი აჯანყება ახალი წესის, თუ განზრახვის წინააღმდეგ. ეს აჯანყება ერთ ალაგას რომ დამარცხდებოდა, მეორე ატყდებოდა, აქა-იქ. მის მეთაურად, რასაკვირველია, დაიძიოსები და თვით მეფის ნათესავები იყვნენ. დიდი ბრძოლის შემდეგ მიკადომ, როგორც იქნა, დაამარცხა და დაამშვიდა ეს აჯანყება 1868-ში. მარტო ამ გამარჯვების შემდეგ იმას საშუალება მიეცა რეფორმები დაეწყო, და მართლაც ამ 1868-დან

იწყება ახალი ხანა იაპონიის ცხოვრებისა. დაიბარეს ნასწავლი და მეცნიერი პირები საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან და თვით რუსეთიდან. უთვალავი სასწავლებელი გამართეს იაპონიაში. ახალგაზდა იაპონლები ათასობით გაგზავნეს სწავლის მისაღებად, ევროპაში თუ ამერიკაში, და იქ სასწავლებელში მიაბარეს, სრული, დამთავრებული სწავლის მისაღებლად, ცოდნის სხვა-და-სხვა ნაწილზე. ზოგი სამხედრო სასწავლებელში მისცეს, ზოგი—სანავოსნოში, ზოგი ტეხნიკურში, ზოგი იურიდიულში და სხვ. სწავლა ყველას ბოლოდან კი არა, თავიდან, ანბანიდან დაიწყებინეს. ამასობაში მთავრობამ ევროპის და ამერიკის ქარხნებს შეუკვეთა ხომალდების აგება ახალი, უკანასკნელი შენობისა. დაიბარა ინჟინერები იაპონიაში რკინის გზების, ტელეგრაფის და ციხეების გასამართავად, აფიცრები—ჯარის გასაწყობად და გასაწრთვნელად და სხვ. და სხვ. ათიოდე წელიწადის განმავლობაში იაპონიას საკუთარი ნასწავლი ყმაწვილებიც დაუბრუნდნენ შინ, ჩინებულად, ევროპულად, დამზადებულნი ქვეყნის სამსახურის გასაწევნად. მასწავლებლებიც თავისი ეღირსა, აფიცრებიც, ინჟინერებიც, მენავეებიც, ტეხნიკებიც და სხვ. და სხვ.

საქმე არ დაჰკლებია არც ევროპელი ინსტრუქტორებისგან გაწრთვნილ ჯარს და მმართველობას, არც საკუთრივ იაპონიელ ახალ-თაობას, ევროპაში გამოზრდილს და ეხლა მმართველობის მეთაურად დაყენებულს. 1873-ში მთელს სამხრეთ იაპონიას ახალი აჯანყება მოედო, აგრედვე დაიძიოსების მეთაურობით მომხდარი. ეს აჯანყება, 1874-ის დამდეგში, დაამარცხა და მოსპო შინაგანი საქმეების მინისტრმა **ოკუბომ,** ქალაქი საგას აღებით, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ. ორი წლის შემდეგ აჯანყება მოახდინა გენერალმა **ხიოგომ,** რომელმაც მთელი დიდი კუნძული **ჯაუ-სიუ** ააჯანყა და დაიჭირა. ეს აჯანყებაც, როგორც იქნა, დაამარცხა მთავრობამ. ორივე ამ აჯანყებასთან ბრძოლაში ახალი იაპონიის ჯარი და მმართველობა გამოიცადა და გაიწრთვნა, და თან ჩინებულ თვი-

სებები გამოიჩინა მამაცობისა, დისციპლინისა და გასაჭირის ატანისა...

უფრო ხეირიანი ასპარეზი მიეცა იაპონიის ფლოტს და ჯარს 1874-ში. ჩინეთს ერთი დიდი კუნძული ეკუთვნის, იაპონიის სამხრეთით, სახელად **ფორმოზი.** ეს კუნძული მეტად მდიდარია ქვა-ნახშირით და ძვირფას საუნჯეს შეადგენს ყოველი სამეფოსთვის, რომელსაც კი ხომალდები აქვს და აღებ-მიცემობა აქვს გამართული. იაპონიას დიდი ხანია თვალი უჭირავს მაზედ. 1871-ში ერთი მისი სავაჭრო ხომალდი, ამ კუნძულთან დამდგარი ნახშირის გასატანად, იქაურმა ველურმა მცხოვრებლებმა გაძარცვეს. იაპონიამ ჩინეთს მიმართა—ზარალი გადამიხადეო. ჩინეთმა უარი უთხრა: იქ ველური ხალხი ცხოვრობს, მე არც კი მემორჩილებაო. ხანგრძლივი მიწერ-მოწერის და მოლაპარაკების შემდეგ, იაპონიამ ჯარი გაგზავნა 1873-ის მაისში ფორმოზის დასამორჩილებლად. გაიმართა ბრძოლა, რომელშიაც გამარჯვებული იაპონიის ჯარი დარჩა. მთელი ფორმოზი იაპონიას ხელში ჩავარდა. მაშინ ინგლისმა ჩინეთს თვალი აუხილა, როგორ შეიძლება ამისთანა საუნჯე იაპონიას დაანებოო, შეურიგდიო, გიჯობს, რასაც თხოულობს იაპონია ყველაფერი გადუხადო, ოღონდ კი კუნძული დაიბრუნოო და სხვ. ჩინეთი, ამის თანხმად, იაპონიას მოურიგდა (ოქტომბერი, 1874): გაძარცული გემის ზარალიც გადაუხადა, და ყველა ის ხარჯიც დაუბრუნა, რაც იაპონიას ფორმოზში ჯარის გასაგზავნად და საომრად მოსვლოდა. სულ გადაჰხდა ჩინეთს ერთ მილიონ-ნახევარი მანეთი. ფორმოზი იაპონიამ ჩინეთს 1874-ის დამლევს დაუბრუნა.

იაპონიის ხალხმა, გემო გაიღო თუ არა წარმატებისა, და დაინახა თუ არა თავისი ჯარის გაწრთვნილი რაზმები, თავისი გემების მორთულობა და იარაღი, მაშინვე კორეისკენ ცქერა დაიწყო. ეს მხარე დიდი ხანია სანატრია მისთვის. 1873-ის ბოლოს უმაღლესმა წოდებამ უშველებელი მოძრაობა ასტეხა მთელს იაპონიაში იმის შესახებ, რომ ეხლავე გავგზავნოთ ჯარი კორეის ასაღებადაო. მიკადოს მმართველობამ ვერ გაბედა

ამ ხალხის სურვილს აჰყოლოდა, რადგანაც კორეიში ჯარი რომ გაეგზავნა, შინ საკმაო ძალა აღარ დარჩებოდა არეულობის ან აჯანყების დასათრგუნად. შემდეგ 1874 წელში ხელმეორედ მოითხოვა ხალმა კორეის დაჭერა. თვით კორეიზე, ზღვის პირად, იმ ადგილას, საცა ბრაუტონის სრუტე უფრო ვიწროა, იაპონიას დიდი ხანია დაჭერილი აქვს ნავთ-საადგური ქალაქი ფუ-ზან (ჰამილტონის პორტის ახლოს და გვერდით). ამ ქალაქში 1874-ის ზაფხულზე იაპონიის ელჩები მოვიდნენ, კორეისთან სავაჭრო ტრაქტატის შესადგენად. სანამ ეს ელჩები კორეის მხრით პასუხს ელოდნენ, მათი მომყვანი ხომალდი საქმეს შეუდგა და ახლო-მახლო ზღვის-პირის სიღრმეს ზომა დაუწყო. კოკის კუნძულთან რომ მივიდა ეს ხომალდი, იქაური კოშკიდან მას ზარბაზნის ყუმბარები დაუშინეს. ხომალდის უფროსმა სამაგიერო პასუხი გასცა ზარბაზნით, და არც ეს ამყოფინა. ჯარი ჩამოსვა ნაპირზე და კოშკის ასაღებად გაგზავნა. მისვლა, დატაკება, აღება და დაქცევა ერთი იყო. ხომალდი ამას შემდეგ ფუ-ზანში და იაპონიაში დაბრუნდა. როცა ეს ამბავი იაპონელებმა გაიგეს, იმ წამშივე მოითხოვეს ომი გამოეცხადოს კორეისო ჯერ ერთი იმისთვის, რომ ჩვენი ელჩები არ დააკმაყოფილეს, და მერე იმისთვისაც, რომ უპატიურება მიაყენეს ჩვენს გემს და დროშასაო. თუმც ამას თითქმის მთელი იაპონია თხოულობდა, მთავრობამ ვერც მაშინ გაბედა ომის დაწყება, აგრეღვე შინაური აჯანყების შიშით. შეიძლება, შინაური მტრის მორიდების გარდა ის იმასაც შეეჩერებინოს, რომ ორივე მისი ახლობელი და ძლიერი მეზობელი, ჩინეთი და რუსეთი, ერთობ საშიში იყვნენ მისთვის, და ორივე იმ დროს სრულიად თავისუფალი იყო ყოველგვარი განსაცდელისგან, ორივეს, მაშასადამე, ადვილად შეეძლო იაპონიის გამოდევნა კორეიდან. ეს იქიდანაც სჩანს, რომ გაება თუ არა ჩინეთი საფრანგეთთან ომში, 1884—1885-ში, იაპონიამ მაშინვე კორეიზე გამოილაშქრა. მიზეზად ის დაიხვია ხელზე, რომ კორეის ველური ხალხი იქ დასახლებულ ჩემ ვაჭრებს და ქვეშევრდომებს სძარცვავს და ავიწროებსო. ჩინეთს იმ დროს კორეისთვის

არ ეცალა და კორეის დაცვა არ შეეძლო. ამ მიზეზით იმან იაპონიასთან მორიგება არჩია. 6 (18) აპრილს 1885 ჩინეთსა და იაპონიას შუა ხელ-შეკრულობა დაიდვა, რომლის ძალითაც ორივე სამეფოს ნება ეძლევათ, ვინიცობაა თუ კორეიში რამე მძიმე არეულობა (troubles graves) მოხდა, თავისი ჯარი გაგზავნოს და თვითონ აღადგინოს წესი. ამ პიროობის ძალით იაპონიამ პირდაპირი გავლენა შეიძინა კორეიში, რადგანაც თვით იმ სამეფომ, რომელსაც მანამდე ექვემდებარებოდა კორეი, ხელ-შეკრულობით იცნო იაპონიის მზრუნველობა კორეიაზე ყოველ არეულობის დროს, იცნო იაპონიის condominium'ობა, ესე იგი თითქმის იმნაირივე უფლება იაპონიისა კორეიაზე, როგორიც თვით მას, ჩინეთს, აქვს.

ამ გვარ მდგომარეობაში იყო საქმე, როცა წლეულს მარტის თვეში, კორეიას სამხრეთ პროვინციებში დიდი არეულობა და აჯანყება ატყდა. ყოველ უფლებას, სწავლას და ქონებას მოკლებული ხალხი აჯანყდა მთავრობის წინააღმდეგ, და კორეის ვითომ-ჯარი, აგრედვე როგორც კორეის ვითომ-მთავრობა წინ იფრინა. მეფემ ირჯელ-სამჯერ ახალ-ახალი ჯარი გაგზავნა, ახალ-ახალი სარდლების წინამძღოლობით: ყველა დამარცხებული დაუბრუნდა. მაშინ ის ჩინეთისკენ მიიქცა: არიქა მიშველე, ჯარი დამახმარეო. სანამ ჩინეთი ფიქრობდა და ჯარსა თუ იარაღს იმარაგებდა, იაპონიამ 1885-ის მორიგების ძალით თავისი რაზმები კიდევაც შეიყვანა კორეიში, და სატახტო ქალაქი სეული კიდევაც დაიჭირა. ამასობაში ჩინეთის ჯარიც შევიდა კორეიში. ადვილად წარმოსადგენია, რით უნდა გათავებულიყო ეს მდგომარეობა. როგორც—სახარების სიტყვით—ორ უფალს ვერავინ ემსახურება, ისე, თურმე, ვერც ორი ბატონი ერთმანეთს შეეთვისება: ორი დათვი ერთად ვერ გასძლებსო. ჩინეთმა იაპონიას წინადადება გაუგზავნა: რაკი აჯანყება დაბოლოვდა და წესიერება აღდგენილია, ჯარი გაიყვანე კორეიდანო. არაო, უპასუხა იაპონიამ: წესი მარტო იმან აღადგინა, რომ ჩემი ჯარი შემოვიყვანეო. თუ ჯარი გავიდა, შფოთიც ხელ-ახლავ ატყდება, რადგანაც ის მდგომარეობა არ

შეცვლილა, რომელმაც არეულობა მოახდინაო; ჯარს მე მარტო მაშინ გავიყვან, როცა დავრწმუნდები, და გარანტიაც მექნება, რომ კორეიში წესიერება შეურყეველად არის დამყარებულიო. ამისთვის კი საჭიროა, რომ კორეის მეფე და მთავრობა მტკიცედ დაადგეს რეფორმების გზას. იმან პირობა უნდა მომცეს აი ეს ოც და ხუთი უმთავრესი ცვლილება მოახდინოს თავისი ქვეყნის წეს-წყობილობაშიო. უამისოდ მე ჯარს არ გავიყვან კორეიდან, რადგანაც, რომ გავიყვანო, მალე ხელ-ახლავ დამჭირდება მისი დარუნება და ეს ერთობ ძვირად ჯდება, ერთობ უანგარიშო იქნებაო. სამი თვის განმავლობაში სულ ამ საგანზე იყო ბაასი და მოლაპარაკება. იქნება სამი წელიც გაგრძელებულიყო ამგვარი მოლაპარაკება, იაპონია რომ არ დარწმუნებულიყოს, საქმის გაგრძელება ჩემთვის სასარგებლო როდი იქნებაო. ამ ანგარიშით, იმან ერთის მხრით კორეის მეფე ხელში იგდო დ დაატუსაღა და მეორეს მხრით ზღვაში დაახვედრა თავისი ფლოტი იმ გემებს, რომელთაც ჩინეთის ჯარი მიჰყავდათ კორეიასკენ; ერთი ამ გემებთაგანი კიდევაც დააღუპვინა, 1500 მხედრით, სხვა კი ზოგი დაატუსაღებინა, ზოგი დააზიანებინა. აქედან იწყება აშკარა ომი იაპონიასა და ჩინეთ შუა.

მალე გათავდება ეს ომი, თუ არა, ან რით გათავდება, ამას ვერავინ გადასწყვეტს, რადგანაც ნამდვილი მებრძოლე ამ ომში იაპონია და ჩინეთი კი არაა, რუსეთი და ინგლისი გახლავან. ინგლისმა იანგარიშა ეს ასე კარგად, თუ იაპონიამ, ვინ იცის; ნამდვილი კი ისაა, რომ ჩინებულად ნაანგარიშევი და გამოზომილია ეს საქმე. ყველაზე უფრო საგრძნობი კორეის ბედი მარტო რუსეთისათვის არის; მისთვის, მისი ციმბირისთვის, მისი ციმბირის ფლოტისა და რკინის გზისთვის კორეი და ბრაუტონის სრუტე სწორედ რომ სიცოცხლის ან სიკვდილის მომნიჭებელია. საუბედუროდ, როცა აი ამ კორეის და ამ სრუტეს ბედი სწყდება ომის ველზე, როგორც რუსეთს, ისე მის ამხანაგს საფრანგეთს ხელ-ფეხი შეკრული აქვთ ევროპული მდგომარეობით, ევროპული ომის მოლოდინით. ორივეს ძალის და ჯარის გაფანტვა ეზარება: საჭიროა მათი მთელი ძალა ევ-

როპაში იქონიონ, სამთა-კავშირის ძალასთან გასაპირდაპირებლად. მათ ჯარს ევროპაში იმოდენი რომ მოაკლდეს, რამდენიც, ვთქვათ, მარტო იაპონიასთან საბრძოლველად დასჭირდება რუსეთს, მაშინ ევროპაში არც ამ უკანასკნელს, არც საფრანგეთს განძრევაც აღარ მოუხერხდება. მერე კორეაში რუსეთმა ომი რომ გამართოს იაპონიასთან, განა ინგლისი გულხელ დაკრეფილი დარჩება? ან იაპონიის ზღვაში ომი რომ აუტყდეს კორეის გულისთვის იაპონიასთან, ან იაპონიასთან და ინგლისთან, ვაი თუ სამთა-კავშირმა ამით ისარგებლოს ევროპაში, იმ საშიში კავშირის დასარღვევლად, რომელიც რუსეთსა და საფრანგეთს შუა არსებობს? ეს კითხვები, ვისაც გნებავთ, იმას ჩააფიქრებს და დააღონებს.

რუსეთის პოლიტიკურ მწერლობას, რუსეთის ჟურნალ-გაზეთებს, ჯერეც ხეირიანად არ ესმის ეს მდგომარეობა. ამ დღეებში გაზეთი „Новости", მაგალითად, სწერდა, კორეი რუსეთისათვის მით არის საჭირო, რომ გასასაღებელი ასპარეზი უშოვოთ ციმბირის მრეწველობასო! ბევრს იყიდის, დიდ მოგებას მისცემს ეს ლატაკი და არაფრის მქონე, არაფრის მოსურნე ხალხი, რასაკვირველია. ის კი არავის ესმის, რომ ვისაც ჰამილტონის პორტი ეკავება ხელში, იმას ციმბირის დაკეტა, დამშევა და დახშობა შეეძლება, და ვინც მთელ მილიარდს ხარჯავს, ათი ათასი ვერსის რკინის გზის გასაყვანად, ის ვალდებულია გასავალი კარი უშოვოს და გაუხსნას ამ გზას, და მისგან აღძრულ ქვეყანას, თუ მისი დაღუპვა არ უნდა...

საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მწერლობაზე კი იაპონიის შეტაკებამ ჩინეთთან საშინელი გავლენა იქონია. სრულიად თავზარდაცემული კილოთი სწერენ საფრანგეთის გაზეთები რომ ყოვლად საჭიროა საქმე იმავე მდგომარეობაში დარჩეს, როგორშიაც აქამდინ იყო. კორეი ჩინეთის იყო და არის, ჩინეთის ხელშივე უნდა დარჩესო, იაპონიას მასთან რა ხელი აქვსო, ყველა ევროპის სახელმწიფოები ერთხმად იმ პოლიტიკას უნდა დაადგნენ, რომ არავის არავითარი ცვლილების თუ შეძენის ნება არ მიეცესო. რუსეთის ჟურნალ-გაზეთებიც, ბო-

ლოს, ამ პოლიტიკას დაადგნენ, ალბად მიხვდნენ, რომ ისევ ეს ემჯობინება ჩვენი ქვეყნისთვის, სანამ ევროპაში ომის მოლოდინისგან არ განვთავისუფლდებითო. მაგიერად სამთა-კავშირის მწერლობა, თითქო განგებ, ორივე მხარეს აქეზებს ერთმანეთზე. მისთვის, აგრედვე როგორც სამთა კავშირისთვის, რასაკვირველია, სასარგებლო და სასურველია, რომ რუსეთის ძალა ჩათრეული იქნას ამ შორეულ ომში, საცა არც გერმანიას, არც ავსტრო-უნგრეთს, არც იტალიას არავითარი არსებითი ინტერესი არ მოქმიება... განზრახვა კიდეც რომ არ ჰქონდეს სამთა-კავშირს რუსეთის უძლურებით ისარგებლოს, ამ ომის დროს, და რუსეთს შეესიოს, უეჭვოა, თვითონ ეს კავშირი ერთიანად შიშს მოიშორებს თავიდან არა თუ მთელი კორეის ომის დროს, ათიოდე წლის განმავლობშიაც მას შემდეგ...

ჩვენი შეხედულობით და რუსეთშიაც ბერია ამ აზრის — რუსეთს ევროპასთან სადავი-დარაბო, საბრძოლი, არა აქვს-რა, არც არაფერს ხეირს დააყრის ევროპასთან ქიშპობა. ევროპასთან შედარებით, ევროპასთან შეტაკებაში, ის ყოველთვის ყოფილა და იქნება უკან ჩამორჩენილ, უკუდამხევ მხარედ. რუსეთი ევროპას მარტო იმ მხრით უნდა ეხებოდეს, რომ განათლებას და განათლების იარაღს იღებდეს მისგან ევროპა რუსეთისთვის არსენალად უნდა იყოს, რომლისგანაც იმას მზა-მზარეული ცოდნა, სინათლე, იარაღი ტ თესლი გამოაქვს, თავისი თვალ-უწვდენელი ტ ხელ-უხლებელი მინდერების დასამუშავებლად, თავისი უთვალავი და უჩინარი ხალხის ცხოვრებაში სინათლისა და კეთილ-დღეობის შესატანად. ამ გზით, და მარტო ამ გზით, მას ბნელი და უბედური აზიის ცხოვრებაში შეუძლია პირნათლი და სახეირო როლის ასრულება: წესისა, სიმართლის, სინათლის და განათლების გავრცელება იმ უთვალავ მილიონებ შუა, რომელნიც დღეს შორ-აღმოსავლეთში ცხვრის-ფარასავით იკვებებიან. ნათელიც, და თან ადვილიც არის ეს როლი. მთელი ევროპა მას ხელს შეუწყობს, რომ დარწმუნდება, რომ საკუთრივ მე მით როდი რამ დამაკლდება და ომის ნიადაგი შიში კი ამცილდებაო. როგორც საფრანგეთს გერმანიამ ხელი როდი შეუშალა ტონკი-

ნის, ტუნისის და კონგოს შეძენის დროს და ვრცელი მფლობელობის დაარსებაში სხვა-და-სხვა კოლონიებში, ისე, საფიქრებელია, რუსეთსაც, ინგლისს გარდა, სხვა მეტოქე არ გამოუჩნდება ევროპის სახელმწიფოებ შუა. მაშინ, მაგრად ფეხის დადგმა მყუდრო-ოკეანში გასავალზე, აღმოსავლეთით—კორეის წვერთან, და სამხრეთით—სპარსეთის ნაპირებზე, სრულიად დააკმაყოფილებს რუსეთის საჭიროებას და ინტერესს. მაშინ რუსეთისთვის არც შავი-ზღვის კარს ექნება დიდი მნიშვნელობა, არც ბალტიის ზღვის კარსა. მაშინ ამ დიდ სამეფოს საკუთარი გზა და მსვლელობა ექნება ნაშოვნი ყოველგან და ყოველთვის. მარტო მაშინ დაიწყება მისი ნამდვილი ზრდა, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკურიც, მარტო ამას შემდეგ მის წინ ფართოდ გადიშლება ის უსამზღვრო მსოფლიო ასპარეზი და დანიშნულება, რომელსაც მას უქადის მისი მდებარეობა ევროპის მეცნიერებასა და აზიის სიბნელეს შუა...

რამდენად სახეიროა ეს როლი, ყველაზედ უფრო ნათლად გამოაჩინა იაპონიის ზრდამ. ვინ წარმოიდგენდა ამ ოც და ათი წლის წინად, ან ჩინეთში, ან თვით იაპონიაში, რომ ეს უკანასკნელი სამეფო მასზე ათჯერ უფრო ძლიერს ჩინეთს შეტაკებას გაუბედავდა, იმ იმედით, იქნება უშველებელი მისი ნაწილი, თორმეტ-მილიონი ხალხით დასახლებული წავართვა და შევირჩინოო? დღეს კი ევროპის განათლებამ, ევროპულმა წეს-წყობილებამ, ევროპულმა იარაღმა და ხომალდებმა არა თუ ეს აზრი თავში ჩაუდვა ამ შედარებით უმცროსს ერს, იმის მოფიქრებაც გააბედვინა, რომ ჩინეთის სატახტო ქალაქს თავზე დავეცემი, ავიღებ და დავჯაბნიო... დიდი მაგალითია ეს მთელი კაცობრიობისთვის, ყველა სახელმწიფოებისთვის. ამას შემდეგ ნურვინ ამაყობს ნურც სივრცით, ნურც რიცხვით.

ამას შემდეგ ყველასთვის, ვინც კი ერთიანად არ დაბრმავებულა, ცხადია, რომ ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, ტოდნას და ორგანიზაციას ეკუთვნის, იარაღს, წესს, დისციპლინას. ჩინეთიც თუ მსწრაფლად ამ გზას არ დაადგა და იაპონიის მაგალითისამებრ, თავის საშველად, ევროპულ მეც-

ნიერებას არ შეუდგა, მისი სივრცე მისთვის შველის კი არა, დაღუპვის იარაღად იქცევა. იმას ასო-ასოდ ჩამოათლიან მის ვრცელ და თვალ-უწვდენელ პროვინციებს. მიწის სივრცე და ხალხის სიმრავლე, უმეცარ და გაუწყობელ ქვეყნებისთვის მით არის საზარელი, რომ განსაცდელის თუ გასაჭირის დღეს მარ-ჯვენა მხარემ არ იცის, მარცხენას რა ემართება, და ერთი მე-ორეს ვერ შველის, ვერ თანაუგრძნობს. ამ გვარი ქვეყანა, შინაგანი წესისა და წყობილების უქონელობით, დამარაგებუ-ლი მსხვერპლია პირველი ძლიერი ქარიშხალისა, რომელსაც ლუკმა-ლუკმა აქეთ-იქით გააქვს მისი ნაგლეჯები, რადგანაც მათ შორის ერთობა ინტერესების შეთანხმებაზე და შედეგე-ბაზე კი არა, ცარიელ დაჯაბნებაზე იყო დამყარებული. ევრო-პული მეცნიერება და სიმართლე, სხვათა შორის, მითაც არის სასარგებლო, რომ ქვეყნის ერთობას და ძლიერებას მარტო ძალაზე კი არა, სამართალზე, ინტერესების შეთანხმებაზე აარ-სებს. ეს საფუძველი რომ არ ჰქონდეს, მაგალითად, ინგლისის მფლობელობას, აბა სად იშოვიდა ის ამოდენა ქვეყნების და-კავების და შენახვის ღონესა...

ეს გახლავთ პოლიტიკური მხარე ეგრედ წოდებული „კო-რეის ომისა“ იაპონიას და ჩინეთს შუა. ამას შემდეგ მკით-ხველს ადვილად შეეძლება თავის-თავად დააფასოს ყველა იმ ახალი ამბების მნიშვნელობა, რომელსაც იმას გაზეთები მოუ-ტანენ. თვით ბრძოლის თაობაზე ისიც შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იაპონიის ფლოტმა თითქმის ერთიანად მოუსპო ჩინეთს ხომალდებით ჯარის გზავნა კორეისკენ. ჩინეთს, ამის გამო, შეუძლიან კორეის დაცვა იმ საშუალებით, რომ ჯარი ხმე-ლეთით უნდა მიაშველოს. უწინ გაგზავნილი ჩინეთის ჯარი იდგა პენ-იანგის მდინარეზე, კორეის ჩრდილოეთ ნაწილში. ამ ჯარსა და კორეის სატახტო ქალაქს, სეულს, შუა იაპო-ნიას დიდ-ძალი ჯარი უყენია. გარდა ამისა იაპონიამ მოახერ-ხა ზღვით გაეგზავნა მეორე ჯარი თვით კორეის და ჩინეთის საზღვარზე, იმ მიზნით, რომ ახალი ჯარი აღარ შეეშვა ჩინე-თიდან კორეიში, და ძველად შესულ ჯარისთვისაც სარჩოს

საზიდი გზა გადაეჭრა. უკანასკნელი დეპეშებიდან სჩანს, რომ იაპონიის ამ ორ ჯარს ერთიანად გაულეწავს და დაუტუსაღებია უმეტესი ნაწილი ჩინეთის ჯარისა, კორეიში. ამასთანავე იაპონიის ფლოტი, რომელიც ბევრად უფრო ძლიერი და უკეთ გაწრთვნილია, ვინემ ჩინური, თითქმის წამდაუწუმ გარშემო დასტრიალებს ორს ძლიერს ციხეს, პე-ჩი-ლის სრუტეზე, ვეი-ჰაი-ვეის და პროტ-არტურს. ეს ორი ციხე პე-ჩი-ლის ზღვის უბეს (заливъ) და ჩინეთის სატახტო ქალაქის, პეკინის, გზას იცავს. რადგანაც ამ ციხეების დაცვა ჩინეთისთვის თვალის-ჩინიეით საჭიროა, რაც ჩინეთს საომარი ხომალდი ჰყავს ყველა აქ არის თურმე მოგროვილი და უმოძრაოდ დგას, ციხეების დასაცველად. ჩინელები, ამასთან, საჩქაროდ ამაგრებენ ყველა გზებს, პეკინისკენ მიმავალს, და უფრო გულ-და-გულ თავიანთი ადგილების დაცვას ცდილობენ, ვინემ კორეის დახმარებას ანა-და იაპონიის აკლებას...

კორეის ხშირად „განდეგილ სამეფოს“ უძახიან შორეალმოსავლეთში, რადგანც ამ უკანასკნელ დროში მართლაც რომ განდეგილის ცხოვრება ჰქონდა, ყველასგან მოშორებული, ყველასთვის მიუკარებელი. იაპონიას ჩინურად ჯი-ჰენ ჰქვია, ესე იგი „ამომავალი მზის სამეფო“. უწინ რა იყო, ვინ იცის, და ეხლა კი მართლა ამომავალი მზისავით ჰფენს იაპონია ცოდნის და წესის სინათლეს, როგორც განდეგილის სენაკში, ისე გარშემოც, მეზობლებში. თვალ-ყურის გდების ღირსია, სწორედ, მისი აწინდელი ბედი და თავ-გადასავალი. მართლაც, ამ შედარებით მცირე და განათლებაში ახლად შესულის, ჯერ დაუმთავრებელი ხალხის გამბედავი თითქო მოუფიქრებელი ღუელი მასზე ათჯერ უფრო ძლიერ ჩინეთთან, და მასთან, იქნება, ბევრად უფრო დაწინაურებულ და შემძლე რუსეთთან, სხვა რომ არა იყოს-რა, დრამატიული, თითქმის ტრაგიული ინტერესით არის სავსე. თუ ომი გაგრძელდა და გაზვიადდა, ჩვენ არა ერთხელ გვექნება შემთხვევა ამ მხარეს კიდევ დავუბრუნდეთ, მის უფრო დაწვრილებულად გამოსახვისათვის.

ნ. ნიკოლაძე

შეცდომების გასწორება

მერვე № ის „უცხოეთის მიმოხილვაში“ შემდეგი კორექტურული შეცდომები შეგვეპარა:

			დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
140	გვერ.		პირველმა 1883	პირველმა 1873
142	—		რესპუბლიკაში—მონარქიას	რესპუბლიკელები—მონარქიას
145	—		დითი ცვლილებაების ჟამისა 1678—1804	დიდი ცვლილებაების ჟამისა 1789—1804
151	—		იმ აზრის მოქმედება...	იმ რაზმის მოქმედება...
136	—		„ან კანონს უნდა შეეტაკოს, ან მის ძალის ქვეშ“...	„ან კანონს უნდა შეეტაკოს და მის ძალის ქვეშ“...

ამ მე-9 №-ში, კ. აბაშიძას წერილში

			დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
9	—		„ფროფესიითა“	„პროფესიითა“

ბიბლიოთეკა

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ალექსანდრე ჯაბადარი

„მოამბე“

წელიწადი პირველი

გამოდის ყოველ თვის პირველ რიცხვებში

7—10 თაბახი (224—320 გვ.)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით:

	წლით	6 თვით	3 თვით
რუსეთის და კავკასიის ქალაქებში	10 მან.	6 მან.	4 მან.
საზღვარ-გარედ	13 მან.	7 მან.	5 მან.

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე—4 მან., 1 მაისამდე—3 მან., და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალი „მოამბის“ რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, № 13.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერმა აღრესის გამოცვლისათვის **ათი შაური** უნდა წარმოადგინოს.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: **Тифлисъ, Редакція Моамбе.**

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ და ან შესწორებულ იქმნება. ხელნაწერები, რომლებიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში,—მერმე ველარ მოსთხოვენ რედაქციას; არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

ხელ-ნაწერები, რომლებზედაც არავითარი პირობა არ იქმნება აღნიშნული, რედაქციისაგან მიღებულ იქმნებიან როგორც უფასონი.

დასაბეჭდად წარმოგზავნილ თარგმანზე აღნიშნული უნდა იყოს უეჭველად ის პერიოდიული გამოცემა ან, საზოგადოდ, ყველა ის წყაროები, საიდანაც არის თარგმნილი ხელ-ნაწერი.

რომელ ავტორსაც ან გამომცემელს ჰსურს, რომ ახალი წიგნის შესახებ ჟურნალმა თავისი აზრი წარმოთქვას, მათ ორ-ორი ეგზემპლიარი უნდა გამოგზავნონ რედაქციაში.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდინ ნაშუადღევს.

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ყველა ხელის მომწერთ, რომელთაც კი ჟურნალის ნომერი არ მიუვათ, განცხადებასთან ერთად რედაქციას წარმოუგზავნონ აგრედვე მოწმობა იმ ფოსტის კანტორისა, რომლიდანაც იღებენ ნომრებს, რომ ამ კანტორას ესა და ეს ნომერი არ მიუღია. წინააღმდეგ მეშთხვევაში ხელ-მეორედ ნომერი ორავის გაეგზავნება.

რედაქტორი	გამომცემელი
ალექსანდრე ჭეონია	**ალექსანდრე ჯაბადარი**